

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Literary Researches

Annual Scholarly Review

XLII

2022

ლიტერატურული ძიებანი

ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი

XLII

2022

(უკ) 821.353.1.09(051.2)

ლ-681

რედაქტორი

მაკა ელბაკიძე

სარედაქციო კოლეგია

ივანე ამირხანაშვილი
ამირან არაბული
თამაზ ვასაძე
მარიამ კარბელაშვილი
ნონა კუპრეიშვილი
თამარ ლომიძე

სარედაქციო საბჭო

კულემანს ბეინენი (ტემპლის
უნივერსიტეტი, აშშ)
მანანა კვაჭანტირაძე
ჰელენ კუპერი (კემბრიჯი, დიდი
ბრიტანეთი)
გაგა ლომიძე
ფირუზა მელვილი (კემბრიჯი, დიდი
ბრიტანეთი)
ირმა რატიანი (თავმჯდომარე)
გაგა შურგაია (რომი, იტალია)
რუსუდან ჩოლოყაშვილი
როსტომ ჩხეიძე
ელგუჯა ხინთიბიძე

პასუხისმგებელი მდივანი

ლილი მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თინათინ დუგლაძე

ლიტერატურული მიეზანი, 42, 2022
რედაქციის მისამართი: 0108, თბილისი,
მერაბ კოსტავას ქ. № 5.
ტელეფონი: 299-63-84
ფაქსი: 299-53-00
E-mail: litinstitut@yahoo.com

ჟურნალში დაბეჭდილი სტატიები გადის რეცენზირებას და ასახულია Google Scholar-ის მონაცემთა ბაზაში.

Articles are peer reviewed and reflected in Google Schollar database.

ISSN 0235-3776, ISSN (online) 2960-9968

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

დაიბეჭდა GCLA Press

მერაბ კოსტავას 5. 0108 თბილისი, საქართველო
5, Merab Kostava str. 0108 Tbilisi, Georgia (+99532) 2 99 53 00

Editor

Maka Elbakidze

Editorial Board

Ivane Amirkhanashvili
Amiran Arabuli
Tamaz Vasadze
Mariam Karbelashvili
Nona Kupreishvili
Tamar Lomidze

Editorial Council

G. Koolemans Beynen (Temple
University, USA)
Manana Kvachantiradze
Helen Cooper (Cambridge, UK)

Gaga Lomidze
Firuza Melville (Cambridge, UK)

Irma Ratiani (Chairman)
Gaga Shurgaia (Rome, Italy)
Rusudan Cholokashvili
Rostom Chkheidze
Elguja Khintibidze

Responsible Editor

Lili Metreveli

Computer Software

Tinatin Dugladze

Literary Researches 42, 2022
Address: 0108, Tbilisi
5, M. Kostava str.
Tel.: 299-63-84
Fax: 299-53-00

E-mail: litinstitut@yahoo.com

ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა
Georgian Religious Literature

- ნანა გონჯილაშვილი** 9 **Nana Gonjilashvili**
ნესტან სულავა **Nestan Sulava**
ივანე ჯავახიშვილის
თეორიული სჯანი წმინდანთა
„მარტვილობებისა“ და
„ცხოვრებების“ შესახებ
Ivane Javakhishvili's Theoretical
Statement about the „Martyrdoms“
and „Lives“ of the Saints

ქართული საერო და საკარო მწერლობა
Georgian Secular and Courtly Literature

- ზოია ცხადაია** 26 **Zoia Tskhadaia**
საიათნოვა Sayat-nova
- თინათინ ბიგანიშვილი** 39 **Tinatin Biganishili**
ახალი ქართული მწერლობის
სათავეებთან
(სულხან-საბა ორბელიანის
ნაწარმოების „მოგზაურობა
ევროპაში“ მიხედვით)
At the Beginning of the New
Georgian Literature
(According to Sul Khan-Saba
Orbeliani's „Journey to Europe“)

XIX საუკუნე: ეპოქა და ლიტერატურა
XIX Century: Epoch and Literature

- თამარ ციციშვილი** 57 **Tamar Tsitsishvili**
ირინე მოდებაძე **Irine Modebadze**
ახალი პარადიგმის სათავეებთან:
გიორგი წერეთელი
ნაწილი II
At the Head of the New Paradigm:
Giorgi Tsereteli
Part II
- გია არგანაშვილი** 68 **Gia Arganashvili**
მედიაციის როლი მხატვრულ
კონფლიქტში ქართული
ლიტერატურის მაგალითზე
ილია ჭავჭავაძე
The Role of Mediation in an Artistic
Conflict on an Example of Georgian
Literature
Ilia Chavchavadze

- ლევან ბებურიშვილი** 86 **Levan Beburishvili**
 ალექსანდრე ორბელიანი
 როგორც ლიტერატურის
 კრიტიკოსი
 Aleksandre Orbeliani as a Literary
 Critic
- ელისაბედ ზარდიაშვილი** 110 **Elisabed Zardiashvili**
 აკაკის დღემდე აკრძალული
 თხზულებები
 („ხმა“, „სიმართლე“,
 „ასის წლის ამბავი“)
 Akaki's works Banned Until Today
 („Voice“, „Truth“,
 „The Centennial Story“)

XX საუკუნის მწერლობა

XX Century Literature

- მაია ტერცვაძე** 125 **Maia Tsertsvadze**
 მიხეილ ჯავახიშვილის რომანის
 „ჯაყოს ხიზნების“
 მხატვრულ სახე-პერსონაჟთა
 გენეზისის საკითხისათვის
 Towards the Question of the Genesis
 of Artistic Images of Characters of
 „Jako's Dispossessed“ by Mikheil
 Javakhishvili
- ადა ნემსაძე** 144 **Ada Nemsadze**
 ეგზისტენციალური კრიზისის
 პრობლემა 80-იანი წლების
 ქალთა პროზაში
 (ლეილა ბეროშვილის „მარიამი“)
 Existential Crisis Problem in the
 Women's Prose of the 80s
 (Leila Beroshvili's „Mariam“)
- მანანა კვატაია** 156 **Manana Kvataia**
 გურამ გეგეშიძის ადრეული
 პროზის ნეორეალისტური
 კონტექსტისათვის
 On the Neorealist Context of
 Guram Gegeshidze's Early Prose
- გოჩა კუჭუხიძე** 170 **Gocha Kuchukhidze**
 გიორგი ლეონიძის
 „რემინისცენციები“
 (ერთი ლექსის ანალიზი)
 „Reminiscences“ by Giorgi Leonidze
 (Analysis of a Poem)
- თამარ გელიტაშვილი** 184 **Tamar Gelitashvili**
 „ლურჯა ცხენების“ კონცეპტი
 გალაკტიონის შემოქმედებაში
 The Concept of „Blue Horses“
 in Galaktioni's Poetry

პოეტიკური კვლევა Poetical Studies

თამარ ბარბაქაძე 200 Tamar Barbakadze
ქართული ვერლიბრის
სათავეებთან To the origins of Georgian Vers
Libre

ნანა გონჯილაშვილი 217 Nana Gonjilashvili
სათაურის პოეტიკა ძველ
ქართულ მწერლობაში Title Poetics in Ancient Georgian
Literature
(V-XI ს.ს) (V-XI centuries)

მითოსი. რიტუალი. სიმბოლო Mythology. Ritual. Symbol

მერი ხუხუნაიშვილი-ჭიკლაური 240 Mary Khukhunaishvili-Tsiklauri
დალის მითოსური ისტორიის
შესწავლისათვის Mythological Image of Dali in the
Epos of Amirani
ამირანის ეპოსში

ლიტერატურული მერიდიანები Literary Meridians

Иринэ Модебадзе 254 Irine Modebadze
Основные маркеры ментальной
карты советских The Main Markers of the Mental
мигрантов-билингв в Map of Soviet Bilingual Migrants in
постсоветский период: Georgian-
грузино-российский опыт Russian Experience

მზისა ბუსკივაძე 287 Mzisa Buskivadze
ფსევდოევროპული დისკურსი
და დეპერსონალიზაციის Pseudo-European Discourse
საკითხი აჰმედ ჰამდის and the Issue of Depersonalization
თანფინარის რომანში in the Novel of Ahmet Hamdi
„დროის მარეგულირებელი Tanpinar „The Time Regulation
ინსტიტუტი“ Institute“

ტექსტოლოგიური კვლევანი Textological Researches

- მაია არველაძე 305 *Maia Arveladze***
„ვინ პოეტი და ვინ შავი ქვა!“
აბიხიდან კეთილ გრაფინიამდე
„Who is a Poet and Who is a Black
Stone!“
From Abich to the Kind Countess

არქივიდან Archive Materials

- მერაბ ღაღანიძე 317 *Merab Ghaghanidze***
ვლადიმირ ბენეშევიჩი
და საქართველოს ეკლესიის
დროებითი მმართველობა
Vladimir Beneshevich
and the Provisional Administration
of the Georgian Church

Memoria

- თამარ ბარბაქაძე 341 *Tamar Barbakadze***
„ხმა – ვით სამყაროს
ჭეშმარიტება“
„Voice – as the Truth of the
Universe“
- საბა მეტრეველი 350 *Saba Metreveli***
მარი აბრამიშვილი – 100
Mari Abramishvili – 100

ახალი წიგნები New Books

363

- „ლიტერატურული ძიებანის“ 390 *Style of Academic Publications of*
სამეცნიერო პუბლიკაციების
სტილი
„Literary Researches“**

ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა /
Georgian Religious Literature

ნანა გონჯილაშვილი, ნესტან სულავა

Nana Gonjilashvili, Nestan Sulava

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

**ივანე ჯავახიშვილის თეორიული სჯანი წმინდანთა
„მარტვილობების“ და „ცხოვრებების“ შესახებ**

**Ivane Javakhishvili's Theoretical Statement about the
„Martyrdoms“ and „Lives“ of the Saints**

Iv. Javakhishvili's multifaceted work, his comprehensive area of fundamental research, his amazing talent and ability for contemplation, scientific scrupulosity, culture and dignity in general are unique. All his papers and monographs demonstrate these qualities.

The present paper is also conducted by Iv. Javakhishvili's research "Martyrdoms" and "Lives" – which is the part of his fundamental work "Old Georgian Historical Writing" in which the most important issues of the old Georgian literature are discussed and evaluated for the first time. It should be noted that most of the conclusions presented in his research are universally recognized and established in the scientific surcles, some – supplemented – deepened and presented with new interpretations.

Very important is the issue of the title – "Old Georgian Historical Writing" (instead of "Old Georgian Literature"). Javakhishvili was the first who gave a classification of Georgian hagiography. He also differentiated its types: "Martirdoms" and "Lives", outlined their order, first – "Martirdoms", then – "Lives". Iv. Javakhishvili's opinion was also division of two types of

historiography – “civil and military history”. According to Javakhishvili, the word “life” would be used as a general title of civil historical works.

Iv. Javakhishvili also touched upon the issue of the metaphysics of keimenon editions, however, he did not mention the terms “keimen” and “Metaphrase”. He explained the reasons for the “renewal” of the texts – “dissemination”, “rewriting and correction”, which are mainly related to the current changes in the orthodoxy (in particular, on the basis of the previous “ecclesiastical life” after the formation of dogma and the proclamation of “universal confession”). However, he also cites an increase in “educated ecclesiastical requirements and tastes” as the reason for the above, which the old editions could not meet. In this regard, the scholar pays special attention to the texts of the “Lives of the Thirteen Assyrian Fathers”, which are discussed in an attempt to date them. There are various opinions expressed in the scientific literature on the issue, which we have tried to highlight in our paper.

Also noteworthy is Iv. Javakhishvili’s view that “Martyrdom” was, in “many” cases, written in the form of a sermon to be read in the church (at the “Anniversary Liturgy”) and to be heard by the worshipers there.

The scholar considers the “Martyrdoms” of Shushanik and Evstati of Mtskheta to be ancient works, however, he considers the late manuscripts containing these works. Based on the historical-philological research, we have expressed different opinions on this issue.

საკვანძო სიტყვები: ძველი ქართული მწერლობა, ივ. ჯავახიშვილი, „მარტვილობანი“, „ცხოვრებანი“, სამოქალაქო საისტორიო თხზულება.

Key words: Old Georgian Literature, Iv. Javakhishvili, „Martyrdoms“, „Lives“, civil historical works.

ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა, მისი ფუნდამენტური კვლევა-ძიების ყოვლისმომცველი არეალი, ჭვრეტა-განსჯის გასაოცარი ნიჭი და უნარი, მეცნიერული კეთილსინდისიერება, კულტურა და ღირსება ზოგადად ქართული კულტურის ფონზე გამორჩეული და განუმეორებელია. ყოველივე ამას ცხადყოფს ყოველი მისი სტატია თუ მონოგრაფია.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ივ. ჯავახიშვილის ერთმა კვლევამ, „მარტვლობანი“ და „წმიდანთა ცხოვრებანი“, რომელიც შეტანილია მის ფუნდამენტურ ნაშრომში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“. დასახელებულ სტატიაში ჰაგიოგრაფიის პრობლემატიკასთან დაკავშირებული ძველი ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები არსებითად პირველად განიხილება და ფასდება. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მის ნაშრომში გამოტანილ დასკვნათა უმრავლესობა სამეცნიერო სივრცეში საყოველთაოდაა აღიარებული და დამკვიდრებული, ნაწილი – შევსებულ-გაღრმავებული და ახალი ინტერპრეტაციებით წარმოდგენილი.

საჭიროდ მიგვაჩნია მცირე ექსკურსი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის იმ გამოცემათა შესახებ, რომლებიც წინ უძღოდა ივანე ჯავახიშვილის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ პირველ გამოცემას. ესენია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილი რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი. ძველი ქართული ლიტერატურის პირველი ისტორიული მიმოხილვა, სახელწოდებით – „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)“ (1832), როგორც ცნობილია, ეკუთვნის სოლომონ დოდაშვილს. ამ სახელწოდებაში ნათლად ჩანს, რომ ავტორი ძველ ქართულ თხზულებებს ქართულ ლიტერატურას, სხვაგვარად – სიტყვიერებას, მიაკუთვნებდა. ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემური კურსის შექმნის პირველი ცდა კი ალექსანდრე ხახანაშვილის სახელს უკავშირდება. რუსულ ენაზე შესრულებული მისი ოთხტომიანი ნაშრომი (სახელწოდებით – „ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიის შესახებ“, 1895, 1897, 1901, 1906 წ.წ.) ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლას ეძღვნება. ცალკე წიგნად მოამზადა და გამოსცა „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ მოკლე კურსი ქართულ ენაზე. როგორც ჩანს, ალექსანდრე ხახანაშვილი „ლიტერატურის“ ნაცვლად „სიტყვიერების“ დასახელებ-

ბას ამჯობინებს. თავისთავად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „სიტყვიერება“ სიტყვებით გამოხატულ მხატვრულ შემოქმედებად განიმარტება. შემდეგი იყო ივანე ჯავახიშვილის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ (V-XVIII ს.ს), რომელიც სერიის – „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ – პირველი წიგნია და იგი პირველად 1916 წელს გამოიცა. მომდევნო გამოცემებში ივანე ჯავახიშვილმა მონოგრაფია შეავსო რამდენიმე გამოკვლევით; ესენი იყო „შუშანიკის წამების“, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“, „კოლაელთა წამების“, არსენ და ნიკოლოზ კათალიკოსთა შესახებ შექმნილი ნაშრომები. 1921 წელს დაიბეჭდა მონოგრაფიის მეორე გამოცემა. 1945 წელს სოლომონ ყუბანეიშვილმა გამოსცა მისი „მეორე-მესამე შევსებული გამოცემა“, რომლის საფუძველზე და სხვა ნაშრომების „დამატებით“ 1977 წელს დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა VIII ტომი – „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, წიგნი I, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ (V-XVIII ს.ს), რომლის რედაქტორი იყო მარიამ ლორთქიფანიძე.

მონოგრაფიის მნიშვნელობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ქართული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის მეცნიერულ შესწავლას. ამ ნაშრომის ხასიათისა და სპეციფიკის შესახებ თავად ივანე ჯავახიშვილი დასაწყისშივე გარკვევით წერდა: „ამ წიგნის მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ჩემი წადილი იყო შეძლებისდაგვარად გამომერკვია, როგორც თვითოეული მემატიანისა და ისტორიკოსის პიროვნება, – თუ რა წრესა და მიმართულებას ეკუთვნოდა სახელდობრ იგი, რა მსოფლმხედველობისა და თვალსაზრისის კაცი იყო, – ისე აგრეთვე შემეტყო, რა მიზანი ჰქონდა და რა სწადდა მას, როდესაც თავისი თხზულების წერას შეუდგა. ამასთანავე ყოველთვის ვცდილობდი, გამეგო რა და რა და რამდენად სანდო წყაროები ქონდა თვითოეულს მათგანს და რა გზით და რა საშუალებით სურდა და შესძლეს თავიანთი მიზნის განხორციელება“ (ჯავახიშვილი, 1977, გვ. 25).

იმ პერიოდისათვის ბევრი საყურადღებო სიახლე ვლინდება, კერძოდ, აქ პირველად კრიტიკულად განხილული ქართული საისტორიო წყაროები, რომელთა კვლევა მეცნიერმა წმინდანების „მარტვილობათა“ და „ცხოვრებათა“ ტექსტების, ახლად აღმოჩენილი

სიგელ-გუჯრების, ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალების შეტანით გააფართოვა და წარმართა. სწორედ ივანე ჯავახიშვილმა გამოკვეთა ქართული ისტორიული აზრის განვითარების შესაბამისობა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ პროცესებთან. როგორც აღნიშნავენ, ეს პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა. ძველი ქართული მწერლობის შესწავლის თვალსაზრისით, ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასში კლასიფიცირებულია „საისტორიო თხზულებათა“ აღმნიშვნელი ტერმინები, კერძოდ, მან უძველეს თხზულებათა სახელდებად „მარტვილობად“ (ქართული შესატყვისი – „წამება“), ხოლო IX-X საუკუნეებში შექმნილი თხზულებებისათვის ტერმინი „ცხოვრებად“ მიიჩნია. აღნიშნული ტერმინოლოგია დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში. ივ. ჯავახიშვილს ასევე ეკუთვნის სხვა საისტორიო ჟანრის თხზულებათა სახელწოდებების გამოყოფა, კერძოდ, „მატიანე“, „ხრონოგრაფი“, „ჟამთააღმწერლობა“, „ჰამბავი“, „თხრობად“, „ისტორია“, რამაც, მისივე თქმით, საისტორიო ტერმინოლოგიის შექმნა განაპირობა და რაშიც წვლილი მიუძღოდა ბიზანტიურ მწერლობასა და მასში შემუშავებულ ტერმინოლოგიას.

ივანე ჯავახიშვილმა დაათარიღა მთელი რიგი თხზულებებისა, გაარკვია მათი ავტორების ვინაობა და მოღვაწეობის პერიოდი, წერის მანერა და სტილი, გამოკვეთა ჭეშმარიტების აღწერის პრინციპი და ე.წ. „აგიოგრაფიული შაბლონის“ არსებობა, „წესი თხრობისა“, „საზღვარი სიტყვსად“ და „სიტყუათა სარბიელი“, „გზა სიტყვსა“ და „წიასვლა“, „განახლება“/„გარდაკაზმვა“ მეტაფრასირება, მთხრობლებად „სარწმუნო კაცთა“ და „უტყუელ პირთა“ გამორჩევა. მანვე აღნიშნა ქართული ფილოლოგიური სკოლის დიდი გავლენა, როლი და ადგილი ქართული საისტორიო მწერლობის წინსვლის პროცესში.

ივანე ჯავახიშვილის დასახელებულ მონოგრაფიაში ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია წამოჭრილი, განხილული და, შესაბამისად, სათანადოდ განმარტებული და შეფასებული. მის მიერ წარმოდგენილი დასკვნების უმეტესი ნაწილი თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში აღიარებული და დამკვიდრებულია. აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის მიერ საკითხის დასმამ და კვლევამ საფუძველი მოამზადა მეცნიერული აზრის შემდგომი განვითარებისათვის, რამაც ასახვა ჰპოვა მომდევნო ხანის

სამეცნიერო სივრცეში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისეული ანალიზი სამეცნიერო აზრის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კვლავ აქტუალურია და, ვფიქრობთ, ასეც დარჩება.

ვიდრე ჰაგიოგრაფიაზე, როგორც საისტორიო წყაროზე, ვისაუბრებდეთ, მონოგრაფიის სახელწოდების შესახებ უნდა დავიმოწმოთ მარიამ ლორთქიფანიძის მოსაზრება ზემოდასახელებული წიგნის შესავალი წერილიდან – „რედაქტორისაგან“, რომელშიც აღნიშნა, რომ „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ წყაროთმცოდნეობით-ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომია, რამდენადაც მასში მოცემულია ძველი ქართული მწერლობის ძეგლების წყაროთმცოდნეობითი ანალიზი და განხილულია შუა საუკუნეების ქართული საისტორიო აზრის განვითარება“ (ლორთქიფანიძე, 1977, გვ. 6). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ნაშრომის სახელწოდებას იმ პერიოდში მიზანმიმართული კამათი არც გამოუწვევია, სახელდობრ – საისტორიო მწერლობა თუ ძველი ქართული ლიტერატურა. მხოლოდ კორნელი კეკელიძემ შენიშნა ძველი ქართული მწერლობის შესახებ მსჯელობისას: „სასულიერო მწერლობის შეუსწავლელად ჩვენ ვერ გავითვალისწინებდით ქართული მწერლობის ისტორიასაც, თუ მწერლობის ისტორიად არ ჩავთვლით, როგორც ზოგიერთები სჩადიან, მხოლოდ საერო მხატვრული მწერლობის ისტორიას“ (კეკელიძე, 1980, გვ. 13). სავარაუდოდ, აქ „ზოგიერთებში“ ივანე ჯავახიშვილიც იგულისხმება. თუმცა, იქვე, ძველი ქართული მწერლობის შესწავლის მდგომარეობის მიმოხილვისას კორნელი კეკელიძემ გამორჩეულად მოიხსენია ივანე ჯავახიშვილის წვლილი ამ დიდ საქმეში: „ი. ჯავახიშვილის შრომათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი მიზნებისათვის მისი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“..., რომელშიც განხილულია, სხვათა შორის, ჩვენი ძველი ორიგინალური აგიოგრაფიის ძეგლები. მართალია, ეს ძეგლები განხილულია როგორც საისტორიო წყაროები, მაგრამ აქ ისეთი საკითხებიცაა აღძრული, რომელთაც ლიტერატურის ისტორიკოსიც ვერ აუვლის გვერდს“ (კეკელიძე 1980: 24).

როდესაც 1923 წელს კორნელი კეკელიძემ გამოსცა „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ორტომეული, რომელიც მოიცავს ძველ მწერლობას (V-XIX ს.ს), სასულიეროსა და საეროს, განმარტა, რომ „ძველი სასულიერო მწერლობის შესწავლას ორგვარი

მნიშვნელობა აქვს: ქართვ ელოლოგიური და ზოგად – მეცნიერული“ (კეკელიძე, 1980, გვ. 12). სასულიერო მწერლობის ქართველოლოგიურ მნიშვნელობაში მოიაზრებდა იმ გარემოებას, რომ ძველ ქართულ ორიგინალურ და, განსაკუთრებით, ნათარგმნ თხზულებებში დაცულია ისეთი ცნობები (ავტორთა, ტექსტთა, რედაქციების, დათარიღების და ა.შ), რომლებიც მნიშვნელოვანია ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიისა და მისი შესწავლისათვის, რიგ შემთხვევებში, ჩვენში დაცული ნათარგმნი ტექსტები ბიზანტიური ლიტერატურის „დიდ ხარვეზს“ ავსებს. რაც შეეხება „ზოგადმეცნიერულ“ მნიშვნელობას, მასში იგულისხმა ის, რომ ძველი ქართული ლიტერატურა უდიდესი საუნჯე და ფრიად საყურადღებო წყაროა მეცნიერების სხვადასხვა დარგისათვის, იქნება ეს ენათმეცნიერება, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა თუ გეოგრაფია. რიგ შემთხვევებში მხოლოდ და მხოლოდ ჰაგიოგრაფიული თხზულება ინახავს მასალას გარკვეული სამეცნიერო დარგისათვის (მაგ., „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ რომ არა, ჩვენ არაფერი გვეცოდინებოდა იმ პერიოდის სამცხის გეოგრაფიული გარემოსა და კონკრეტული პუნქტების შესახებ).

მონოგრაფიაში ჰაგიოგრაფიული თხზულებების თეორიული საკითხების განხილვისას ივანე ჯავახიშვილმა რამდენიმე პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება. ესენია: ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ხასიათი და სახეები ჟანრობრივი თვალსაზრისით, კერძოდ – „წამებათა“ და „ცხოვრებათა“ სახეების გამოყოფა; ჰაგიოგრაფიული მწერლობის რაობის, არსის, მიზნის ჩამოყალიბება; ჰაგიოგრაფია, როგორც საისტორიო წყარო და მისი წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით შესწავლის აუცილებლობა; ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა შინაარსობრივი რაობა, რაც გულისხმობს საუკუნეთა განმავლობაში კიმენიდან მეტაფრასტიკამდე გზის გავლას, თუმცა, ივანე ჯავახიშვილი მათ სახელდებით კიმენად და მეტაფრასად არ იხსენიებს; ამას უკავშირდება ჰაგიოგრაფიაში მეტაფრასტიკის წარმოშობის, მისი მიზეზების, თეორიული საკითხების მიზანდასახულობის, დანიშნულების გამოყოფა და განსაზღვრა. სწორედ ამ საკითხებზე გვექნება საუბარი ჩვენს სტატიაში.

1. დავიწყებთ იმით, რომ ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისა და, საზოგადოდ, ამ დარ-

გით დაინტერესებული პირებისათვის, კარგა ხანია საყოველთაო ჭეშმარიტებადაა მიჩნეული, რომ ქართული მწერლობა ჰაგიოგრაფიით, კერძოდ, ამა თუ იმ პირის „წამებათა“ და „ცხოვრებათა“ თხზულებებით, იწყება. თუმცა, შეიძლება, ბევრმა არც კი იცოდეს, რომ აღნიშნული კლასიფიკაცია და დარგთა რიგითობა, თავდაპირველად – „მარტვილობები“, შემდეგ – „ცხოვრებანი“, ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის. ჰაგიოგრაფიის ამგვარი კლასიფიკაციის საფუძველზე ირკვევა, რომ მეცნიერი ამ დასკვნამდე საქრისტიანო ქვეყნების სასულიერო მწერლობათა წარმოშობის ისტორიის გათვალისწინებით მივიდა. კერძოდ, ქრისტიანთა დევნის პერიოდში სარწმუნოებისათვის სისხლის დათხევით წამებულ პირთა ღვაწლის აღწერას თავისი ფუნქცია, დანიშნულება, სახე ჰქონდა თითქმის ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში. „მარტვილობები“, ქართულად „წამებანი“, მრევლისათვის გასაცნობად იყო განკუთვნილი, ეკლესიაში მოწამის აღსასრულის დღეს იკითხებოდა და ქადაგების ტიპისა იყო. მისი სიტყვით, „მარტვილობები“, „ბევრ“ შემთხვევაში, ეკლესიაში „წლისთავის წირვაზე“ წასაკითხად და იქ მყოფი მლოცველებისათვის მოსასმენად ქადაგების სახით იყო დაწერილი. ეს თვალსაზრისი განმტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის მიერ მოხმობილი ქართული და ბიზანტიური წყაროებით. ამიტომ ქართულ ჰაგიოგრაფიაში მან უძველეს თხზულებებად მიიჩნია შუშანიკისა და ევსტათი მცხეთელის „მარტვილობები“, თუმცა, გაითვალისწინა ამ თხზულებათა შემცველი ხელნაწერების გვიანდებლობაც. შევნიშნავთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევების საფუძველზე ჩვენ შევნიშნეთ თანამედროვე ეტაპზე არსებული განსხვავებული მოსაზრებანი. აქ უთუოდ უნდა დასახელდეს „ცხოვრებათა“ ჟანრის თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, უნდა აღინიშნოს „ცხრა ყრმა კოლაელთა წამების“ ტექსტის თავდაპირველი ტექსტის ბოლოდროინდელი დათარიღების პრობლემაც.

2. ივანე ჯავახიშვილმა სავსებით მართებული მოსაზრება გამოთქვა ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა როლისა და მნიშვნელობის შესახებ საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ პერიოდის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, სოციალური, კულტურულ-ეკონომიური ვითარების შესწავლის საქმეში და განაცხადა, რომ ქართული საისტორიო მწერლობა „მარტვილობათა“ და „ცხოვრება-

თა“ საფუძველზე წარმოიშვა და სწორედ მათ ენიჭებათ გადამწყვეტი მნიშვნელობა და არა – კვინკლოსებსა და მატიანეებს. ეს თვალსაზრისი იმთავითვე გაიზიარეს სამეცნიერო წრეებში და დღემდე სახელმძღვანელო დებულებადაა მიჩნეული. ამასთანავე, ეს იმას გულისხმობს, რომ ივანე ჯავახიშვილმა სასულიერო მწერლობის ძეგლები – „წამებანი“ და „ცხოვრებანი“ – საისტორიო დარგის თხზულებათა რანგში განიხილა და, მარიამ ლორთქიფანიძის სიტყვით, მიუთითა, რომ „ამ თხზულებებს მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ როგორც წყაროს საქართველოს ისტორიისათვის, არამედ, ამასთანავე ამ დარგს მწერლობისა თავისი ადგილი აქვს ქართული ისტორიული აზროვნების განვითარებაში“ (ლორთქიფანიძე, 1977, გვ. 15). ივანე ჯავახიშვილის მიზანი და ამოცანები, რომლებიც ნაშრომში ფუნდამენტური კვლევითაა წარმოდგენილი, სავსებით ნათელია. ყოველივე ამან განაპირობა წიგნის სათაურში „საისტორიო მწერლობის“ და არა ქართული ლიტერატურის დასახელება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „საისტორიო“ არ ნიშნავს მხოლოდ „ისტორიულს“, არამედ – ისტორიის თვალსაზრისით განსახილველს. ცნებები „საისტორიო“ და „ისტორიული“ ტოლფარდი ცნებები არაა, ისინი შინაარსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავდება. პირველი გულისხმობს თხზულებათა დანიშნულებას, რაც მხოლოდ საისტორიო ღირებულებაზე არ გვამახვილებინებს ყურადღებას, ხოლო მეორე შინაარსობრივად მიუთითებს, რომ მათში მოთხრობილი ამბები ისტორიული ღირებულებისაა. ვფიქრობთ, ივანე ჯავახიშვილი სწორედ ამ უკანასკნელი გააზრებით ხელმძღვანელობდა.

ივანე ჯავახიშვილმა ბიზანტიური მწერლობის კვალობაზე ჩამოაყალიბა ქართული საისტორიო მწერლობის წარმოშობის ისტორია, მისი წყაროები და გამოკვეთა მათი მნიშვნელობა. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად შეიძლება მივმართოთ ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას, მის ყოველ ძეგლს და ნიმუშად შეიძლება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტი დავიმოწმოთ, რომლის მნიშვნელობა საქართველოს პოლიტიკური, რელიგიური და სულიერი ცხოვრების ისტორიაში მისი აღმოჩენისთანავე კვლევის საგანი გახდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა როლისა და მნიშვნელობის პრობლემის კვლევას საქართველოს ისტორიისათვის მიემდგვნა მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა, მონოგრაფიებისა, სადი-

სერტაციო შრომებისა, სტატიებისა, მოხსენებებისა; ამ მიმართულე-
ბით სამეცნიერო მუშაობა კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს.

3. ივანე ჯავახიშვილმა, „მარტვილობათა“ მსგავსად, მოკლედ მიმოიხილა ჰაგიოგრაფიის შემდგომი ეტაპის – „ცხოვრებათა“ – წარ-
მოშობის მიზეზები, კერძოდ, IV საუკუნიდან ქრისტიანობის სახელ-
მწიფო რელიგიად გამოცხადებამ განაპირობა წმინდანთა „ცხოვრე-
ბების“ გაჩენაც, მოგვიანებით კი წამყვანი ადგილი სწორედ ამ ჟანრმა
დაიკავა და მარტვილობა იშვიათობად იქცა. ჩვენი მხრიდან შეიძლე-
ბა დავამატოთ შემდეგი: მართალია, რომის იმპერიის წიაღში შექმნილ
ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, – მასში მოიაზრებიან პალესტინისა
და მცირე აზიის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ეკლესი-
ებიც, – მოგვიანებით კი აღმოსავლეთ რომის იმპერიის წიაღში წარ-
მოშობილი ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის სახელით დამკვიდრებულ
ლიტერატურაში, ჯერ „წამებები“ იქმნებოდა ყველასათვის ცნობილი
მიზეზების გამო, რომლის ნიმუში ახალი აღთქმის წიგნებია, ოთხივე
სახარება და „საქმე მოციქულთა“, და შემდეგ, სასულიერო პირთა
განდევილური თუ ლავრული ცხოვრებების დამკვიდრებიდან მო-
ყოლებული, უკვე III-IV საუკუნეებიდან იწყება „ცხოვრებათა“ ტიპის
თხზულებების შექმნა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჰაგიოგრაფი-
აში „ცხოვრებათა“ ჟანრის განვითარების გამო „წამებათა“ ჟანრის ნა-
წარმოებები არ იწერებოდა, ისინი პარალელურად იქმნებოდა, რად-
გან ქრისტიანული სარწმუნოების დაცვას თავდადება, სიცოცხლის
შეწირვა კვლავ სჭირდებოდა. ჰაგიოგრაფიულმა ლიტერატურამ
საქართველოშიც ასეთივე გზა განვლო. მეათე საუკუნეში შეიქმნა
სტეფანე მტბევარის „წმ. მიქელ-გობრონის წამებაც“ როგორც „წამე-
ბათა“ ჟანრის ნიმუში, და გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანც-
თელის ცხოვრება“, როგორც „ცხოვრებათა“ ჟანრის ნიმუში.

4. ივანე ჯავახიშვილი შეეხო კიმენური ძეგლების გამეტაფრასე-
ბის საკითხს, თუმცა, არ უხსენებია ტერმინები „კიმენი“ და „მეტაფრა-
სი“, რომლებიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კორნელი კე-
კელიძემ დაამკვიდრა. ივანე ჯავახიშვილმა განმარტა თხზულებათა
„განახლება“-„განვრცელების“, „ხელმეორედ დაწერისა და გადასწო-
რების“ რამდენიმე მიზეზი: ა) მან ეს მოვლენა მართლმადიდებლო-
ბის წიაღში მიმდინარე ცვლილებების ძველთან შეუთავსებლობის
საფუძველზე ახსნა, კერძოდ, დოგმატიკის ჩამოყალიბებისა და „საყო-

ველთაო აღსარების“ გამოცხადების შემდგომ წინარე „საეკლესიო ყოფა-ცხოვრებასთან“, საეკლესიო იერარქიულ წყობასთან მიმართებით; მისი თქმით, შემდეგდროინდელ სასულიერო პირებს, ქრისტიანობის ისტორიის უცოდინრობის გამო, ძველი თხზულებები „უვიცად“ დაწერილ ან მწვალებელთაგან დამახინჯებულად მიაჩნდათ. აქ V-VI საუკუნეებში მიმდინარე აღმსარებლობით საკითხზე იდეოლოგიური ბრძოლაც უნდა ვიგულისხმოთ, რადგან დიოფიზიტური ცნობიერების დამკვიდრებამ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაც წარმოშვა. ამ თვალსაზრისით მეცნიერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „ათსამეტ ასურელ მამათა ცხოვრებების“ ტექსტებზე, რომელთა განხილვისას მათი დათარიღების ცდაცაა მოცემული. ბ) მეორე მხრივ, ზემოაღნიშნულის მიზეზად იგი ასევე ასახელებს „განათლებული საეკლესიო მოთხოვნებისა და გემოვნების“ ზრდას, რასაც ძველი რედაქციები ვერ აკმაყოფილებდა. აქვე ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს იმასაც, რომ ამგვარ „გარდაკაზმვას“ სხვა თავისებურებაც ახლდა, კერძოდ, „შესწორებულ“ თხზულებებში ავტორები „უმთავრეს ყურადღებას ისტორიულს ამბავს კი არ აქცევდნენ, არამედ სასწაულთმოქმედების მოთხრობას“ (ჯავახიშვილი, 1977, გვ. 48). მეცნიერი ასახელებს ამ მიმდინარეობის (მეტაფრასტიკის) ცნობილ წარმომადგენლებს – სვიმეონ მეტაფრასტსა და იოანე ქსიფილინოსს (X-XI ს.ს).

ივანე ჯავახიშვილმა ძველი ჰაგიოგრაფიული ტექსტების „გადაკეთება“-„შესწორების“ (ზოგჯერ, არაერთგზის) საკითხი ბიზანტიურ და, საზოგადოდ, ქრისტიანულ მწერლობაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად მიიჩნია. აქვე მეცნიერმა აღნიშნა ამ მოვლენის მიზეზებიც, კერძოდ, შემდეგდროინდელი მწერლობის გემოვნებასა და მოთხოვნილებებთან შეუსაბამობა, ძველი ტექსტების დაკარგვა, რისთვისაც დაიმოწმა „არჩილ მეფის მარტვილობა“ და „იოსებ ამბა ალავერდელის ცხოვრებიდან“ შესაბამისი ამონარიდები. მისი აზრით, უმეტეს შემთხვევებში, „წამებანი“ და „ცხოვრებანი“ ხელმეორედ დაიწერა თავად დედნის არსებობის დროს, რასაც, მეცნიერის დაკვირვებით, ასურელ მამათა „ცხოვრებების“ განხილვა მოწმობს. აღნიშნულ ტექსტებში ავტორები პირდაპირ აცხადებენ, რომ მათ ხელთ ჰქონდათ ძველი ტექსტები. ივანე ჯავახიშვილი შეეცადა, აეხსნა თხზულებათა ხელმეორედ დაწერის მიზეზები. უპირველესად და-

ასახელა ძველი ტექსტების (ანუ კიმენურის) „მარტივი და ბუნებრივი ენა“, „გულუბრყვილო მოთხრობის კილო“, რომელიც „მჭევრმეტყველებასა და ფილოსოფიურ მსჯელობას მიჩვეულს მკითხველებს აღარ მოსწონდათ“ (ჯავახიშვილი, 1977, გვ. 51). ასურელ მამათა „ცხოვრებათა“ ტექსტების განხილვა ამყარებს ივანე ჯავახიშვილის შეხედულებას, რომ ზოგჯერ მონასტრის წინამძღვრებს სურდათ, რომ საკუთარი მონასტრის დამაარსებლის ცხოვრება გამოჩენილი „საეკლესიო ისტორიკოსის“ მიერ ყოფილიყო ხელმეორედ დაწერილი. საამისოდ ნიმუშად მოხმობილია „იოანე ზედაზნელის ცხოვრება“, კერძოდ, ზედაზნის წინამძღვრის მიქაელის თხოვნა არსენ კათალიკოსისადმი, ასევე – თხზულების სახელწოდება.

მეტაფრასტიკის საკითხების შესახებ კორნელი კეკელიძემ ივანე ჯავახიშვილის შეხედულებათა ძირითადი ნაწილი გაიზიარა, მაგრამ დააზუსტა ზოგიერთი მათგანის არსი, რომლის მიხედვით თხზულებათა გამეტაფრასების მიზეზებად „ლიტონად და მარტივად“ აღწერილის ახალი მოთხოვნების შესატყვისად „შემკობა“-„განახლებასა“ და მწვალებელთაგან თხზულებების „შერყვნას“ ასახელებს მხოლოდ. აქვე კორნელი კეკელიძე, როგორც თავად შენიშნავს, „სრულიად ახალ ცნობას“ გვაწვდის – წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის წერილზე დაყრდნობით წმინდანთა „ცხოვრება“-„მარტვილობათა“ პირველ შემრყვნელად ივლიანე განდგომილს ასახელებს. ეს ერთგვარად ავსებს ივანე ჯავახიშვილის ამ საკითხთან დაკავშირებულ მსჯელობას. ივანე ჯავახიშვილი „მარტვილობა“-„ცხოვრებათა“ შესახებ ზოგადთეორიულ მსჯელობას ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ძეგლთა განხილვას უსადაგებს. მისი აზრით, საქართველოს ეკლესიაც ქართული ეკლესიის მრევლსა და „მეზობლებს“ აწვდიდა ცნობებს თავის მარტვილთა შესახებ.

5. ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული მსჯელობა სასულიერო მწერლობის ნიმუშთა თავდაპირველი დანიშნულების შესახებ, რა თქმა უნდა, მართებული და სავსებით სარწმუნოა. აქ იკვეთება შემდეგი: თხზულების დაწერის დანიშნულება, რაც ეკლესიაში მყოფი მრევლისათვის//მსმენლისათვის წმინდანის ღვაწლის გაცნობასა და მის ხსენებას ისახავს მიზნად; თხზულების შექმნის მიზანი, რაც გულისხმობს მსმენელთათვის შთაგონების მინიჭებასა და ბაძვის წადილის აღძვრას; ეროვნული წმინდანის სამარადქამო, „შემდგომითი შემდგო-

მად“ ხსენებას; ჰაგიოგრაფიის ჟანრობრივი რაობა, რაც ჰაგიოგრაფიას ქადაგების ტიპისად მოგვააზრებინებს; ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი დაზუსტებას მოითხოვს, რადგან აუცილებელია ჰაგიოგრაფიისა და ჰომილეტიკის ჟანრობრივი მახასიათებლების გამიჯვნა. მართალია, ჰაგიოგრაფიაც თავდაპირველად, კიმენური მახასიათებლების განვითარების პირობებში, მსმენელზე იყო ორიენტირებული და მრევლისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ მას თავისი კომპოზიცია, სტრუქტურა, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები ჩამოუყალიბდა, ისევე, როგორც ჰომილეტიკას თავისი არქიტექტონიკა, კომპოზიციური აგებულება აქვს. აქვე დავძენთ, რომ ივანე ჯავახიშვილის მიერ ავტორისა და მსმენლის როლების აქცენტირება-გამოყოფა ფრიად მნიშვნელოვანია. აღნიშნულ გარემოებას მეცნიერული კვლევის გარკვეულ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს და საბოლოოდ ლიტერატურათმცოდნეობაში ავტორისა და მკითხველის „ფენომენის“ სახელწოდებით დამკვიდრდა.

6. ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქრისტიანობისა და წარმართობის ბრძოლის საკითხს ქრისტიანული რელიგიის საქართველოში გავრცელების ადრეულ ეტაპზე და ამ პერიოდის ამსახველ თხზულებებზე. ამ თვალსაზრისით შეაფასა თხზულებს „წამებად ცხრათა ყრმათა კოლაელთაჲ“ და დასძინა, რომ ძეგლში ქრონოლოგიური ცნობების არარსებობა რაიმეს მტკიცების უფლებას არ იძლევა, რადგან ხელნაწერი X საუკუნის დამლევისაა. ივ. ჯავახიშვილი ამავე მონოგრაფიაში, კონკრეტულად „კოლაელთა წამების“ განხილვისას, ეთანხმება ნ. მარის მოსაზრებას თხზულებაში ასახულ იმ თავდაპირველ ხანაზე, როდესაც ქრისტიანობას წარმართობა ებრძოდა, როგორ უყვარდათ ჩვენს წინაპრებს თავიანთი ადრინდელი რელიგია და პოზიციებს არ თმობდნენ ახალი სარწმუნოების სასარგებლოდ. თავად ივანე ჯავახიშვილიც ადასტურებს უძველესი პლასტების არსებობას, თუმცა ქრისტიანობისა და წარმართობის დაპირისპირების განხილვაზე ყურადღებას მეტად აღარ ამახვილებს, რადგან, მისი აზრით, თხზულება შეცვლილი სახითაა მოღწეული. ცნობილია, რომ კორნელი კეკელიძე ძეგლის განხილვისას გარკვეულ საკითხებში არ ეთანხმება ივანე ჯავახიშვილს. თხზულებაში თარიღების არარსებობის მიუხედავად, იგი დაბეჯითებით ასაბუთებს, რომ აქ წარმოდგენილია ქრისტიანობის უძველესი ხანის სურათი, რომე-

ლიც VI საუკუნეს არ სცილდება. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში თხზულების დათარიღების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული, მეცნიერთა ნაწილი მას ადრინდელად მიიჩნევს (ნ. მარი; პ. ინგოროყვა – IV-VI ს.ს; გ. ნადარეიშვილი – VI ს.; ბ. ჩოლოყაშვილი – III-IV ს.ს. ია გრიგალაშვილი – IV ს. დასაწყისი და სხვ.), სხვათა შეხედულებით, მოღწეული ხელნაწერი გვიანდელია (ი. აბულაძე, ს. ყუბანიშვილი, დ. მუსხელიშვილი – IX ს. და სხვ.), თუმც კი ამბავი ძველ პერიოდს ეხება.

ძველი, პირველადი ჰაგიოგრაფიული თხზულებების, კიმენური რედაქციის „ცხოვრებათა“ და წამებათა“ ჟანრის თხზულებების „განახლებისა“ და „გარდაკაზმვის“ საფუძვლად მიჩნეული იყო ისეთი უტყუარი ცნობები იმდროინდელი საეკლესიო და დოგმატური საკითხების შესახებ, „რომელნიც შემდეგდროინდელ მკაცრ მართლმადიდებლობას ეწინააღმდეგებოდნენ და ამის გამო არ მოსწონდათ. ამგვარს შემთხვევაში ყოველთვის „მწვალებლობის ღვარძლი“ ელანდებოდათ ხოლმე და ამ „ღვარძლის“ მოსასპობად საჭიროდ მიაჩნდათ ძველი თხზულების „განახლება“, რომ „განახლებულს“ წინანდელი ნაწარმოები მოესპო“ (ჯავახიშვილი, 1977, გვ. 53). ამ თვალსაზრისით შეეხო ასურელ მამათა კიმენური რედაქციების საკითხს, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს, მისივე სიტყვების მიხედვით, იმის გამო, რომ ამ თავდაპირველ „ცხოვრებებში“ უნდა ყოფილიყო ისეთი რაღაც, რომლის კვალის წაშლა//წარხოცვა შემდგომში აუცილებელი გახდა. „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრებიდან“ დამოწმებულია ამ შეხედულების დამადასტურებელი ციტატები.

ივანე ჯავახიშვილმა ხელმეორედ დაწერილი, „განახლებული“ და „გავრცელებული“ წამებები და ცხოვრებები უძვირფასეს წყაროდ მიიჩნია ისტორიკოსისათვის ქართული საზოგადოებრივი აზრისა და სალიტერატურო გემოვნების ისტორიის შესასწავლად. ნაშრომში ამ აზრის განსამტკიცებლად მეტად მნიშვნელოვანი საბუთებია დამოწმებული. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ქრისტიანული რელიგიის გავრცელების პირველ ეტაპზე ბერ-მონაზვნები „საეკლესიო სამონასტრო ცხოვრებაში დემოკრატიული აზრების მიმდევარნი და განმახორციელებელნი იყვნენ: ჩამომავლობასა და წოდებრიობას უარჰყოფდნენ“ (ჯავახიშვილი, 1977, გვ. 54). ნიმუშად ისევ „წმ. იოვანე

ზედაზნელის ცხოვრება“ დასახელებული, რომელშიც პერსონაჟები თავიანთ სოციალურ სტატუსს არც ახსენებენ და ყურადღებას არ აქცევენ. შემდეგში კი, „განახლებულ“ და „გავრცობილ“ თხზულებებში სოციალური სტატუსი აღნიშნულია, თუმცა, არა ჰაგიოგრაფიულ გმირთა უპირატესობის საჩვენებლად.

7. ივანე ჯავახიშვილმა განიხილა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში აღძრული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო საკითხები, ჰაგიოგრაფიის მჭევრმეტყველება. მისი შეხედულებით, „ძველ ცხოვრებათა გადამკეთებელნი, „განმაახლებელნი“ და „განმავრცელებელნი“ უმეტეს შემთხვევაში იმდენად ისტორიულს ამბებს არ აქცევენ ყურადღებას, რამდენადაც ფილოსოფიურსა და საღვთისმეტყველო აზრებსა და მჭევრმეტყველებას“ (ჯავახიშვილი, 1977, გვ. 53). ნიმუშად დასახელებულია ნიკოლოზ კათალიკოსი, გულაბერის ძე, რომელიც თავის „საკითხავს“ სწორედ ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო საკითხებზე საუბრით იწყებს და საკმაოდ ვრცელი მსჯელობაცაა მოცემული. ნიკოლოზ გულაბერის ძის თხზულებაში მრავლად გვხვდება სასწაულთმოქმედების ამსახველი ეპიზოდები, რაზეც ივანე ჯავახიშვილმა აქაც მიუთითა: „რაკი ამგვარს „განახლებულს“ თხზულებებში ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო მჭევრმეტყველება ხშირად მოჭარბებული არის ხოლმე, ამიტომ ძველს ისტორიულს ცნობებს მცირედი ადგილი-ღა უკავია. ამასთანავე ყოველი ამნაირად „განვრცელებული“ ნაწარმოების კუთვნილებისა და აუცილებელ სამკაულს სასწაულთ-მოქმედებაც შეადგენს“ (ჯავახიშვილი, 1977, გვ. 53). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნაშრომში თავდაპირველ და გადაკეთებულ, „გარდაკაზმულ“ ცხოვრება-მარტვილობათა ერთმანეთთან შედარების საფუძველზე შეფასებულია მათი ღირებულება ისტორიის შესასწავლად და განმარტებულია თავდაპირველ თხზულებათა უპირატესობა, რადგან გადაკეთებულ, „გარდაკაზმულ“ თხზულებებში მოჭარბებულადაა შეტანილი სასწაულთ-მოქმედებების ეპიზოდები.

ყოველივე ზემოთ განხილული საკითხი ნაკვლევი და შეფასებულია ივანე ჯავახიშვილის მიერ თავისი თანამედროვე კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური პრობლემატიკის მეცნიერული კვლევისა და გამოცემული ტექსტების დონის გათვალისწინებით, რაც ხელის-

შემშლელ მიზეზად არის მიჩნეული არსებითი და საფუძვლიანი დასკვნების გამოსატანად, რადგან ჯერ კიდევ არ იყო მეცნიერულად მომზადებული ტექსტები გამოცემული და ძირითადად მიხეილ-გობრონ საბინინის მიერ პეტერბურგში დაბეჭდილი „საქართველოს სამოთხეში“ განთავსებულ ტექსტებზე იყო დამოკიდებული ქართველ ისტორიკოსთა და ფილოლოგთა მუშაობა.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში – „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ – სასულიერო მწერლობის ძეგლები, ჰაგიოგრაფიული თხზულებები, „ზოგად-მეცნიერული“ მნიშვნელობითაა შესწავლილი და შეფასებული. აქ წარმოდგენილი საკითხები და პრობლემატიკა ისტორიულ-ფილოლოგიურ ძიებათა სფეროს განეკუთვნება. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ძველი ქართული ლიტერატურის, კერძოდ, ჰაგიოგრაფიის ივანე ჯავახიშვილისეული სახელდება; მან ძველ ქართულ ლიტერატურას „საისტორიო მწერლობა“ უწოდა და ამ თვალსაზრისით განიხილა. ქრისტიანული მწერლობის კვალობაზე, პირველმა მოგვცა ქართული სასულიერო მწერლობის, ჰაგიოგრაფიის, კლასიფიკაცია, გამოყო მისი დარგები: „მარტვილობანი“ და „ცხოვრებანი“, გამოკვეთა მათი რიგითობა, თავდაპირველად – „მარტვილობები“, შემდეგ – „ცხოვრებანი“. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა ივანე ჯავახიშვილის ის მოსაზრებაც, რომ „სამოქალაქო და სამხედრო ისტორია“ დასაბამს სწორედ აქედან იღებს, რასაც, მისი სიტყვით, მოწმობს სიტყვა „ცხოვრება“, რომელიც სამოქალაქო საისტორიო თხზულების ზოგად სახელწოდებად დამკვიდრდა. ამდენად, წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილია ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი ძველი ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით კი ჰაგიოგრაფიის, შესწავლაში, იმ ეპოქის სააზროვნო სივრცისათვის მის შეხედულებებში თავჩენილი სიახლეები და მასში წამოჭრილი პრობლემატიკის შესახებ თანამედროვე ეტაპზე არსებული მონაცემები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კეკელიძე, კ. (1980). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი: „მეცნიერება“.
- ლორთქიფანიძე, მ. (1977). შესავალი წერილი რედაქტორისაგან, ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, VIII, თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ჯავახიშვილი, ივ. (1977). ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (თორმეტ ტომად), VIII, თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

References:

- Javakhishvili Iv. (1977). Dzveli kartuli saistorio mt'serloba (tormet t'omad). VIII. [Old Georgian historical writing]. [Volume 8 of Essays]. Tbilisi: „Tbilisi state university publishing house“.
- K'ek'elidze K'. (1980). Dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria. 2. [History of ancient Georgian literature, 2], Tbilisi: „Metsniereba“.
- Lortkipanidze M. (1977). Redakt'oris ts'inasit'q'vaoba. Ivane Javakhishvili. Tkhzulebani. VIII. [Editor's Preface. Iv. Javakhishvili. Georgian Historical Writing. VIII]. Tbilisi: „Tbilisi State University Publishing House“.

ქართული საერო და საკარო მწერლობა /

Georgian Secular and Courtly Literature

ზოია ცხადაია

Zoia Tskhadaia

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

საიათნოვა

Sayat-nova

The minstrel of love, Sayat-Nova is the only one among the ashugs, poet-singers who perfectly displayed the artistic form and content of this specific poetry. He composed his songs in three languages – Georgian, Armenian and Azerbaijani. In the history of 18th-century urban poetry of Tbilisi, he created a distinctive style, introduced street and market jargon, the language of the lower social layer of the urban population, whose sadness or joy, suffering or happiness were taken by him to heart.

The poetry of ashugs, introduced and established in eighteenth-century Georgian literature, was an entirely new genre. It was believed that the ashugs originated in Tbilisi. Georgia's geographic and cultural location has long attracted the interest of its neighbors. As a result, Christians, Muslims, and Jews coexisted peacefully in Tbilisi, which became a center of rapprochement of national cultures and dialogue between people of different nationalities.

Sayat-Nova started writing verses in Georgian, then (at the age of thirty) – in Armenian. The fact that for some time Sayat-Nova was the court poet to King Erekle II significantly contributed to the priority of writing his verses in Georgian. Most of his listeners were Georgian-speaking population. He is regarded as a kind of symbol of the relationship between the peoples of Transcaucasia, the language style of the city of Tbilisi took on a peculiar color in Sayat-Nova's verses under the influence of the native Armenian.

He was King Erekle's favorite minstrel, a feast lover, beautiful women admirer and comforter of the widows, orphans and the oppressed. His poetry resonated most with the city's lower social class. It was very personal, intimate for them. That is why Sayat-Nova's verse has been preserved in people's minds.

The poetry of ashugs was mainly of amorous character. However, it also contained slashing criticism. The poets used song to express bitter and ambiguous words. Sayat-Nova believed that human dignity consists in love for one's neighbor, people in general, doing good, speaking kind words. In his opinion, the arrogance and wrong-doing cannot be justified by noble birth: he is not malevolent, vindictive, but ambitious, he is aware of the worth of his verses. Sayat-Nova's poems have the form of an appeal. He frequently uses alliteration and makes the text extremely melodious. The "mukhambazi" structure and intonation of the verse, tautological rhymes, rhetorical questions and allegories distinguished him from the succeeding generation of ashug poets; his poems dedicated to King Erekle are of special importance... The poet Sayat-Nova, recognized as a major public figure in Georgian scholarly literature, belongs to all three peoples of Transcaucasia: Georgia, Armenia, Azerbaijan.

საკვანძო სიტყვები: აშული, საიათნოვა, თბილისური კილო, ამიერკავკასია, მეფე ერეკლე II.

Key words: ashug, Sayat-Nova, Tbilisi speech, Transcaucasia, King Erekle II.

საიათნოვა, „საქართველოს მეფის საზანდარი“ და სიყვარულის მგოსანი, თავის სიმღერებს ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თხზავდა და მღეროდა. სიმღერებს რამდენიმე ენაზე ქმნიდა, რაც იშვიათი არ ყოფილა თბილისში. ცნობილია, რომ ორ-სამ ენაზე სხვებსაც უცდიათ სასიმღერო ტექსტების შექმნა, მაგრამ ნიჭიერებით ისინი ახლოს ვერ მიდიოდნენ საიათნოვასთან. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ სხვა აშულები, შესაძლოა, იმხანად საკმაოდ პოპულარულე-ბიც კი, ჩრდილში დარჩნენ. XX საუკუნის გამოჩენილი ქართველი

პოეტი და საიათნოვას ერთ-ერთი მკვლევარი გიორგი ლეონიძე აცხადებდა, რომ საიათნოვა ერთადერთი აშუღია, რომელსაც შეუძლია ლიტერატურის მკვლევართა ინტერესი გამოიწვიოს, როგორც ამ სპეციფიკური პოეზიის მხატვრული ფორმისა და შინაარსის ამომწურველმა. XVIII საუკუნის თბილისურ-ქალაქური პოეზიის ისტორიაში საიათნოვამ შექმნა ინდივიდუალური სტილი, შემოიტანა ქუჩის და ბაზრის ჟარგონი, ენა-ფეიქრების, ბაყლების, მეაბანოეების, ანუ ქალაქის დაბალი სოციალური ფენის ადამიანებისა, რომელთა სევდა თუ სიხარული, ტანჯვა თუ ბედნიერება გულთან ახლოს მიჰქონდა.

მეთვრამეტე საუკუნეში ქართულ მწერლობაში შემოსული და დამკვიდრებული აშუღური პოეზია სრულიად ახალი ჟანრი იყო. ის, პირველ ყოვლისა, განკუთვნილი იყო „სააშუღოდ, სალაღობოდ“, როგორც ასეთი ტიპის ლექსებზე ამბობდა შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“. აშუღური ტექსტები შორს იყო ქართულ პოეზიაში მანამდე არსებული აღმოსავლური ვარდისა და ბულბულის სენტიმენტებისგან და, მათგან განსხვავებით, აღმოსავლური ტემპერამენტი, ცეცხლოვანი განწყობა და უდარდებლობა მოჰქონდა.

აშუღს თბილისის შექმნილად მიიჩნევდნენ; საქართველო თავისი გეოპოლიტიკური და გეოკულტურული მდებარეობით ყოველთვის იქცევდა მეზობელი, და არა მხოლოდ მეზობელი, ქვეყნების ყურადღებას. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ თბილისი სხვადასხვა ეროვნების ადამიანების კულტურათა დაახლოებისა და დიალოგის ცენტრად იქცა, სადაც ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი აქ მცხოვრები ხალხების სოციალურ-კულტურული იდენტობის შესანარჩუნებლად. თბილისი ღია ქალაქი იყო, რომელშიც მშვიდობიანად თანაცხოვრობდა ქრისტიანი, მუსლიმი, იუდეველი სარწმუნოების მოსახლეობა. ყველას ჰქონდა უფლება და საშუალება, ეცხოვრა თავისი რჯულისა და ადათის მიხედვით, თავისუფლად გამოეხატა საკუთარი აზრი და დაეცვა თავისი შეხედულება.

აშუღურმა პოეზიამ უშუალოდ კონტაქტი ხალხურ სიტყვიერებასთან, ქალაქურ ფოლკლორთან დაამყარა, გამოიყენა და განავითარა ქალაქური ჟარგონი.

ქალაქის მოსახლეობა მუდამ ჭრელი და მრავალფეროვანი იყო, მაგრამ იგი ყოველთვის თავისი ენით მეტყველებდა. ეს იყო ქალაქური ენა. ქართული ენის ბგერაში ხშირად ისმოდა არაბულ-სპარსულ-

სომხური სიტყვები, მაგრამ ეს სიტყვები ყოველთვის შესისხლხორცებული იყო ქართული ენის ცოცხალ მეტყველებასთან. თბილისმა თავისებური ელფერი შესძინა ამ მრავალფეროვან გამოთქმებს. აშულური პოეზიის ენა, მიუხედავად თავისი აღმოსავლური (სპარსული) წარმოშობისა, ქართულ სივრცეში მაინც გაქართულდა. თბილისი, როგორც საქართველოს გული, ქართული კულტურის გენერატორი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა აშულური პოეზიის როგორც შინა-არსობრივ, ასევე, გამომსახველობით ეფექტსაც. საუკუნეთა განმავლობაში თბილისმა მრავალი უცხო ენობრივი და კულტურული ნაკადი შემოიერთა და ის ქართულ ყაიდაზე გარდაქმნა, მას თავისებური იერი მისცა. სხვადასხვა მოდემისა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ძველი მოქალაქენი უმეტესწილად თბილისის განაპირა უბნებში ცხოვრობდნენ. აქ ისინი უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, სწავლობდნენ ერთმანეთის ენას და მუდმივად ურთიერთობის ზეგავლენით თბილისის ენაც განსაკუთრებულ ინდივიდუალურ და კოლორიტულ ელფერს იძენდა. ამ ვითარებაში ყალიბდებოდა აშულური პოეზია თბილის-ქალაქში.

აშულური პოეზიის პირველი ნიმუშები ჯერ კიდევ XVII ს-ის მიწურულს გაჩნდა. აშულები ჭიანურზე, ჩონგურზე ქართულ-აზერბაიჯანულ, სპარსულ ენებზე ბაიათებს თხზავდნენ და ასრულებდნენ. XVIII საუკუნეში უფრო მრავლად იყვნენ ვაჭრულ-ხელოსნური წრიდან გამოსული პოეტები. ლიტერატურაში იჭრება ვაჭრულ-ხელოსნური თემატიკა და მოტივები აშულური პოეზიის სახით.

XVIII ს-ში მრავლად იყვნენ ბაიათ-მუხამბაზების მთხრობელები და მომღერლები. მათ სპარსული ყვავილების მეზღვეებს უწოდებდნენ, მაგრამ გამორჩეული ადგილი მათ შორის საიათნოვას ეკავა.

საიათნოვას შესახებ ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველ ცნობას თეიმურაზ ბაგრატიონი (ბატონიშვილი) გვაწვდის, შემდეგ კი პ. იოსელიანი, ზ. ჭიჭინაძე, და სხვები; ორიოდღე ლექსი გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ (1877, №28, 30), მაგრამ საიათნოვას სახელი ქართულ რეალობაში მაინც მივიწყებული იყო. ამ მხრივ დიდი ამაგი გასწია ი. გრიშაშვილმა, მისი გამოკვლევებით ქართული საზოგადოება ხელახლა გაეცნო საიათნოვას. იდეა ამ საქმის წამოწყებისა ჩაისახა 1914 წლის 14 მაისს, როცა თბილისში, თათრის მოედანზე, სომხური ეკლესიის ეზოში საფუძველი ჩაეყარა საიათნოვას

სიმბოლური საფლავის ძეგლს. ამ თავყრილობას ესწრებოდნენ ოვ. თუმანიანი, სხვა სომეხი მწერლები და ქართველი ლიტერატორები: ს. ფირცხალავა, გ. რცხილამე, კ. მაყაშვილი, ნ. ნაკაშიძე, ი. ნაკაშიძე, ი. იმედაშვილი და სხვ. ახალგაზრდა პოეტი ი. გრიშაშვილი ქართველ ლიტერატორთა თხოვნით 1914 წლიდან შეუდგა საიათნოვაზე მასალეზის შეგროვებას. ამ საქმეში მას ეხმარებოდა ნ. მარი, რომელმაც 15 ლექსი გამოუგზავნა თეიმურაზ ბაგრატიონისეული დავთრიდან გადმოწერილი. პოეტ-მკვლევარს აქტიურ დახმარებას უწევდნენ ი. ყიფშიძე, ი. მეგრელიძე და სხვები. წიგნი 1918 წელს გამოიცა და მას ქართველი ლიტერატურული საზოგადოება გულთბილად გამოეხმაურა. საიათნოვას ბიოგრაფიის და შემოქმედების მეცნიერული კვლევა საფუძველი გახდა მომავალ მკვლევართა დაინტერესებისა.

დღეისათვის ცნობილია საიათნოვას 35 ქართული, 65 – სომხური და 81 – აზერბაიჯანული ლექსი. ქართული ლექსების ავტოგრაფები შემონახული არ არის და მათ ჩვენამდე ზეპირსიტყვიერების გზით და სხვადასხვა პირთა მიერ ჩანაწერების სახით მოაღწიეს. მიუხედავად იმისა, რომ საიათნოვას ქართულ სიმღერათა ხელნაწერები არ გაგვაჩნია, ჩვენამდე შემორჩენილ ვერსიებშიც კარგად ჩანს აშული პოეტის უდავო ნიჭიერება.

საიათნოვამ ლექსების წერა ქართულად დაიწყო, ხოლო შემდეგ (ოცდაათი წლისამ) – სომხურად. ამის დასტურად იოსებ გრიშაშვილს მოაქვს საიათნოვას სომხური ლექსის ქვეშ მინაწერი: „*მე მღვდლის შვილი, არუთინა, ყმაწვილობიდან ოცდაათ წლამდე თავი დაუდე ყოველ სიმღერას და სურფკარაპეტის ძალით ვისწავლე ჭიანური, ჩონგური და ამბურა, ეხლა კი მსურს სომხურადა ვთქოო...*“ (გრიშაშვილი, გვ. 63). ამას იშველიებს არგუმენტად სომეხი მწერალი ახვერდიანიც, როცა წერს, რომ საიათნოვამ ქართული ლექსებით სახელი მოიხვეჭა, სომხური ლექსების წერა მერე დაიწყო. შეიძლება, მისი ქართული ლექსების რიგით პირველობა იმანაც განაპირობა, რომ საიათნოვა მეფე ერეკლეს კარის პოეტი იყო. ძირითადად, მისი მსმენელი საზოგადოება ქართულენოვანი გახლდათ.

მელიქსეთ-ბეგი საიათნოვას ამიერკავკასიის ხალხთა ერთგვარ დულაბად მიიჩნევდა. წიგნში „საიათნოვა“ მკვლევარი წერს: „საიათნოვა არის ერთგვარი სიმბოლო ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობისა. იგი ის საუკეთესო დულაბია, რომელიც სომხურს, ქართულსა

და თურქულ-სპარსულ ლიტერატურას ამჭიდროებს“ (1930, გვ. 3). ამ „დუღაბის“ ძალა კი თბილის-ქალაქის ენობრივი სტილი იყო, რომელმაც საიათნოვას ლექსებში თავისებური ელფერი მიიღო მშობლიური სომხურის გავლენით. ვფიქრობთ, ენის ამგვარმა ნაზავმა ხიბლი შემატა აშული პოეტის სიმღერად ნათქვამ სიტყვებს. ლექსში „იტყვიან“ საიათნოვა პოეტური სიტყვის შესახებ ამბობს, რომ იგი ფერზე უნდა იცნონ. როგორც ყველა ბალახი ინა არ არის, ისე ყველა სიტყვა სიტყვა არ არის. ლექსი რაგინდ გარეგნული სამკაულებით მოირთოს, მა-ინც არ იქნება ნამდვილი, თუ გულიდან არ მოდისო. ამას გულისხმობს, როცა წერს:

ხის თეფშს რაგინდ ზარნიშანი მოაწყონ,
ისევ იმ დასაწვავ პინას იტყვიან...
... სიტყვა უნდა ერთნაირი ზოლზედდა,
ემშაკია, ვინს აჰყვება ბოლზედა...
ან ფერზედ იცნობენ, ან ფოთოლზედა,
განა ყველა ბალახს ინას იტყვიან...
(„იტყვიან“)

ეს ლექსი საკუთარი თავის ერთგვარი წარდგენაც არის, მინიშნება იმაზე, რომ უბრალო მთქმელი კი არა, ნამდვილი მოლექსეა, პატივცემული, მიღებული, „საქართველოს მეფის საზანდარი“:

ზოგი კაცი იტყვის: „კაი გვარი ვარ!“
მაშინ ხო ტირიფიც იტყვის „კვარი ვარ!“
საქართველოს მეფის საზანდარი ვარ,
საიათნოვას – არუთინას იტყვიან.
(„იტყვიან“)

ერეკლე მეფის საყვარელი მგოსანი, ლხინის მოყვარული, ლამაზი ქალების მოტრფიალე და მათზე „ქებული სიტყვების“ უშურველი აშული ქვრივ-ობოლთა და ჩაგრულთა „სულის მუფარახიც“ (მეწამლე) იყო. თავისი ენამოსწრებულობით, სხარტი და ემოციური ლექსებით აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი: მეფე, დიდებულები, ჩვეულებრივი მოქალაქეები. აშულები ხომ თავადვე თხზავდნენ ლექსის ჰანგებს. საიათნოვას, ცხადია, ამ მხრივაც უხვად ჰქონდა მომადლებული ნიჭი. მის პოპულარობას კიდევ უფრო უწყობდა ხელს მისი ნამღერი ლექ-

სები, სიტყვისა და ჰანგების ნაზავი. დღეს ჩვენს ხელთაა მისი პოეტური ტექსტები, რომლებიც საუკუნეების მიღმა სამყაროს, კონკრეტულად – თბილისის ქუჩაბანდებს დაგვანახებენ, გვაგრძნობინებენ, რა უხაროდა, რა აწუხებდა, რა ამღერებდა, რა აკვნესებდა ერთ რჩეულ თბილისელ აშულს, ტომით უცხოს, გულით – თბილისელს, რომელმაც კარგად იცოდა კაცობის ფასი და ღირსება, რომ „ქვიშა ბამბის ალაგს ვერ დაიჭერს, რაგინდ ყუთნის საპირეშიც გაიწყოს“... მისი სიტყვით, ზოგი კაცი ეშმაკის მსახურია, მაგრამ ეშმაკის ნაშენს ღმერთი არ ამარჯვებინებს: „გოგრა არ გახდება შირაზის შუშა, რაგინდ მაღლა სარკმელშიაც გაიწყოს!“ ამ აფორისტული ნათქვამის შემდეგ იგი კვლავ წარმოგვიდგენს თავს, საკმაოდ თავდაჯერებულად, ამბიციურად. საფუძველი ამისა მისი მართალი ლექსებია და ის სიყვარული, რომელსაც გრძნობდა გარშემომყოფთა მხრიდან:

ნუვინ იტყვის, საზანდარი ვინა ვარ,
ანა – ბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ!
საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ,
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს!
(„ვინა ვარ“)

ყველაზე მეტად მაინც ქალაქის დაბალი სოციალური ფენის საზოგადოებას ეხმიანებოდა მისი პოეზია, მათთვის იყო ძალზე მახლობელი, ინტიმური, ამიტომაც გაძლო საიათნოვას ლექსმა ხალხის მეხსიერებაში.

მართალია, აშულური პოეზია, ძირითადად, სატრფიალო ხასიათისა იყო, მაგრამ მასში არაიშვიათად ისმოდა კრიტიკული ნოტებიც. მწარე და ორაზროვან სიტყვებს პოეტები ტკბილი სიმღერით გამოთქვამდნენ. საიათნოვას ლექსი აქაც განსაკუთრებული იყო: „ზოგი უძლური კაცი სხვის ძალას იწუნებს“... „ჟანგიანი დანის პატრონს ხორასნის ძვირფასი ხმალი არ მოსწონს“...; საიათნოვას ადამიანის ღირსებად მიაჩნდა მეზობლის, მოყვასის (ახლობლის), ზოგადად, ადამიანის სიყვარული, სიკეთის გაცემა, უშურველობა, ტკბილი სიტყვა. მისი აზრით, ქედმაღლობას და აკვაცობას გვარიშვილობაც (თავადობაც) ვერ გადაფარავს: „ავ კაცს რაში უნდა გვარიშვილობა, შეაგინებინებს კაი მამასა!“. საიათნოვა არ არის ბოროტი, შურისმაძიებელი,

მაგრამ პატივმოყვარეა. კარგად ესმის თავისი ლექსების ღირსება. იგი გულკეთილია და სხვასაც იმას გააგონებს, რასაც თვითონ ფიქრობს: „დაე მტერმა ბაღდაში (შხამი) მოგაწოდოს, შენ შაქარი მიაწოდე, საიათნოვო“.

საიათნოვას პოეზიაში ჟღერს სოციალური, ფილოსოფიური, სახოტბო მოტივები, მაგრამ მისი ქართული ლექსების უმრავლესობა სატრფიალო ხასიათისაა. ის მშვენიერების ტრფიალია. მის ლექსებს უფრო მეტად მიმართვის ფორმა აქვს. ქმნის ახალი სიტყვებს, ხშირად იყენებს ალიტერაციებს და ძალზე კეთილხმოვანს ხდის ტექსტს:

თავად გადამდნარი ოწრო, ქურისაგან ლამაზი ხარ,
შუშავ შირაზის, შამახის სურისაგან ლამაზი ხარ.
(„ლამაზი ხარ“)

ქალაქური პოეზიის სხვა რჩეულ თანამედროვეთა შორის საიათნოვა ჰიპერბოლების, მეტაფორებისა და სათქმელის მეტაფორიზებული შედარებების სიუხვით გამოირჩევა;

რა ზარბაზი, რა ატლასი, რა ზარი ვარ, იცის განა?
იასა, ვარდს ენატრება, რა ქარი ვარ, იცის განა?
ნიადაგ საზით ხელშია ნოქარი ვარ, იცის განა?
მაშ, არ შეუტყვია განა? მაშ, არ შეუტყვია განა?
... საიათნოვა ამას ვჩივი, სამალი ვერ მიშოვია,
მინდა გული ზედ ავაგო და ხმალი ვერ მიშოვია,
მისი უბის ბროწეულის ნამალი ვერ მიშოვია,
თავი მტკივა, გული მტკივა, წამალი ვერ მიშოვია,
მომაქვს ზარის ხელმანდილი, ხუმარი ვარ, იცის განა?
თითონ არა იცის განა? მაშ, არ შეუტყვია განა?
(„იცის განა?“)

აღმოსავლური პოეზიისთვის დამახასიათებელი მხატვრული ეფექტებით და სახეებით გამოთქვამს თავის სამიჯნურო განწყობას „საწყალი საიათნოვა“, სიყვარულის ეშხით დამწვარ-დაბნედილი კაცი... მთელ ქვეყანას რომ ებრალება... სიყვარულმა რომ გაათავა... მისი სატრფო მზესავით ლამაზია, შუალამის ვარსკვლავია, სანთელია,

ჯეირანია, გაზაფხულის იაა... მისი რიტორიკული, გულუბრყვილო კითხვები მიჯნურისადმი სავსეა აღმოსავლური ფერადებითა და რაინდული გულწრფელობით, პოეტური ტემპერამენტით, „ცეცხლი რომ უკიდია და ალი არ ჩანს“...

საიათნოვას უყვარს სიტყვებთან შეთამაშება – კეთილხმოვანებისათვის, მწველი გრძნობების გარეგნული სიმსუბუქისათვის:

გიხდება ზარი, ოქროს ღილი, თანა შენია,
ვინც დაგინახამს, ვერსად წავა, მონა შენია!
მოდო, ნუ მომკლავ, ხელთ გიჭირავს დანა შენია!
ბულბული ტირის, დაგიცია განა შენია,
მიჯნურსა სძინამს, შესმენია ნანა შენია!
(„ანაშენია“)

აშულურ-ქალაქური სიმღერების ერთ-ერთ გამორჩეულ ტექსტად რჩება საიათნოვას ლექსი „რა იქნება“, რომელშიც ჰიპერბოლიზებული მეტაფორებითაა და შედარებებითაა დამშვენებული მიჯნურთა სახეები:

რა იქნება, ერთხელ ჩვენსა მოხვიდე,
მთვარესავით ბანიდამ ჩამოხვიდე,
მერცხალივით კარებიდამ გახვიდე!
მე არ მინდა, შენ უბრალოდ დახვიდე,
შენსა პირსა უცხოს დაანახვიდე!

ყოველ დილას გამოვიდე, მზე ვიყო!
თქვენს ეზოში გადარგული ხე ვიყო!
მოგინდები, ცულს ნუ დამკრავ, დე ვიყო!
შენი კარის მეზობელი მე ვიყო,
შენს სახლსავით ჩვენს სახლშია შახვიდე!
(„რა იქნება“)

საიათნოვას ლექსის მკვლევრები საგანგებოდ აღნიშნავენ მის მეტაფორულად გამოთქმის ხელოვნებას, იგი მრავალჯერ გაგონილსა და გამოყენებულს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს, მისებურად შემოატრიალებს; „წუთი-ქვეყანა“ ანუ წუთისოფელი მისთვის ხშირად

მოწყენილია. შვებას მიჯნურის ძეგნაში მოელის, მოუხმობს, თან ფრთხილობს:

*ფიანდაზი მოგიხდება, ზარბაზედ, ზარზედ გამოდი,
არამც ვინმე დაგინახოს, ფარდის ნაფარზედ გამოდი,
შველი ხარ თუ ჯერანი ხარ, მართალი ხარ, დაგინახო...
ერთი წუთი ქართული მაქვს, ცოტა ხანს კარზედ გამოდი.
(„ფიანდაზი მოგიხდება“)*

„ერთი წუთი ქართული“ ანუ ცოტა სათქმელი:

*გამოხვალ და დაგინახე, ზილფი ჩოგანის ჭირიმე“
დაწული და დაუწნავი თმები რეჰანის ჭირიმე.
(„ფიანდაზი მოგიხდება“)*

რეჰანისფერი თმები, როგორც ჩანს, საიათნოვას საყვარელი ფერია, შედარება – ორიგინალური, საიათნოვასეული, მსგავს შედარებას იგი სომხურ ტექსტებშიც მიმართავს (თარგმნა გივი შაჰხანაზარმა):

*ცვრიან რეჰანს გიგავს თმანი,
შარბაზია, სიმი არი,
თხელ სახეზე წვრილი წარბი
ზარნიშანის სხივი არი,
კბილი – ფერად დამდაგველნი –
მარგალიტის მძივი არი...
(„ცვრიან რეჰანს გიგავს თმანი“)*

ანალოგიური შედარება გვხვდება ასევე სომხურიდან ნათარგმნ კიდევ ერთ ლექსში:

*დარდები არის საიათნოვას
ცრემლის საბაზი,
თმა რეჰანისა, კლაპიტონის
წყვილი შარბაზი,
ჯეირნის წელზე მოხდენილი
დიბა, ზარბაზი.
(„თმა რეჰანისა“)*

საინტერესოა, რომ პოეტი მხოლოდ სილამაზის მეხოტბედ არ რჩება. ის მწარე სიმართლესაც იტყვის: „სილამაზე წავა, არც შენ დაგ-რჩება, მასკვლავივით თუგინდ ცაში ახვიდე!“

საიათნოვას პოეზიაში მეფე ერეკლესადმი მიძღვნილი ლექსე-ბი მნიშვნელოვანია როგორც მხატვრული ეფექტებით, ასევე ბიოგ-რაფიული დეტალების მინიშნებებით. ეს ტექსტები გამოირჩევა აღმოსავლური, დაშაქრული საქებარი სიტყვებით. ძირითადად მი-მართავს მეტაფორულ გამოთქმებს და ალიტერაციებს, რაც ლექსის მუსიკალურობას უსვამს ხაზს. თუმცა, მეორე მხრივ, საიათნოვას ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში („მტკვარო ამღვრეულო“) ერეკლე მე-ფე შედარებულია ამღვრეულ მტკვართან, თბილისის გულზე რომ გაედინება მედიდურად, „ღრუბლიდან“ არ გამოდის, მეფე „ბრაზიანი“ შედარებულია „ავ მიჯნურთან“. მეტაფორაში „ავი მიჯნური“ მაინც იმ სიყვარულს და თავაზიან გრძნობას გამოხატავს აშული პოეტი, რომელიც, ჩანს, არ გამქრალა მის გულში. სასახლიდან გაძევებული საიათნოვა ახპატის მონასტერში აღკვეცილა ბერად, მისთვის ახპატის ეპარქიის მმართველობა მიუციათ. თუმცა, როგორც მისი პოეზიიდან ჩანს, გაუჭირდა საერო ცხოვრებიდან განდგომა. ლექსების წერას კვლავ განაგრძობდა. „არ მინდა“ ჰქვია ბერობაში დაწერილ მის ერთ-ერთ ლექსს. მას არ უნდა ავკაცობა, ავი სიტყვების თქმა, ვერ იქნება ორგული. ადამიანის ღირსებად მას, პირველ ყოვლისა, ზნეობა მიაჩ-ნია. ამ მხრივ ის პირნათელია, თამამია, სუფთაა. ხაზს უსვამს თავის მდაბიო წარმოშობას, რომელიც სულაც არ უშლის ხელს, ფლიდების და ორგულების საყურადღებოდ თქვას ოსტატურად შენიღბულ პა-რალელებზე დამყარებული სიტყვები: „მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა... ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა“... მთავარი მისი სათ-ქმელი ამ ლექსში მაინც ისაა, რომ საიათნოვას არ უნდა „შავი კაბა“: „ერი ვიყავ, ბერობა რად მინდოდა“. იგი პოეტია, რომელსაც არ ეთ-მობა ამქვეყნიური ცხოვრება – ამას კიდევ ერთხელ იტყვის ლექსში „რომელს დავაბრალო“.

საიათნოვას როგორც აშულ-მგოსანს, უდავოდ საკუთარი პოეტუ-რი სტილი აქვს. მისი ტექსტების მუხამბაზური წყობა და კილო, ტავ-ტოლოგიური რითმები, ინტონაციური მახვილი სტროფების დასას-რულს, რიტორიკული კითხვები, ალიტერაციები და ალეგორიები მას გამოარჩევს თავისი მომდევნო თაობის აშული პოეტებისგან. ის არ

მოქცეულა აღმოსავლური პოეზიის სტერეოტიპების დამთრგუნველ ტყვეობაში. როგორც მკვლევარი ემზარ კვიციანიშვილი წერს, „აშულურ-ქალაქურ პოეზიაზე სამართლიანად ფიქრობენ, რომ იგი ჩვენი მწერლობის მთავარ მაგისტრალურ ხაზად არასოდეს ჩათვლილა, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ იგი ქართული პოეზიის ერთი ძალზე თავისებური შენაკადია“ (1985, გვ. 8).

ზოგადად, აშულები და განსაკუთრებით საიათნოვას ლექსები ხალხს ასწავლიდნენ მშვენიერებას, უღვიძებდნენ სილამაზით ტკბობის უნარს, ქადაგებდნენ კაცთმოყვარეობას, ერთგულებას მეფისა თუ მეგობრისადმი, მოუწოდებდნენ მიმტევებლობისა და შენდობისაკენ. საიათნოვას ლირიკული გმირი თითქოს გაჩენილია მხოლოდ სიყვარულისთვის, რომელიც განსაკუთრებით სჭირდებოდა ყველა ადამიანს, მთლიანად საზოგადოებას, მით უმეტეს, ისეთ მრავალეროვან, სხვადასხვა კონფესიის ადამიანებით დასახლებულ ქალაქს, როგორც თბილისი იყო. მტრის (განსაკუთრებით ოსმალ-სპარსების, არაბების) მიერ მოყენებულ, ისტორიულ მეხსიერებაში ჩარჩენილ ტკივილს და სიძულვილს ის სალბუნად ედებოდა. განსაკუთრებით ეს ითქმის ქალაქის დაბალ სოციალურ ფენაზე, რომელიც იმხანად მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდა.

აშულები სიყვარულს გამოხატავდნენ ყველა ერისადმი, მაგრამ არ ივიწყებდნენ თავიანთ სამშობლოს, სადაც იყო მათი ფესვები. ამის ნათელი მაგალითია თავად საიათნოვა. სამ ენაზე შექმნილი მისი პოეტური შემოქმედება თბილისურ სივრცეში ერთიანი, ორიგინალური ჰანგებით გაჟღერდა. საიათნოვამ სპარსული ხმები მრავალ ხმად გაახმოვანა. მეტი სიღრმე მისცა ადამიანთა საფიქრალ-ნააზრევს. საიათნოვას მიერ მყარი სალექსო ფორმებით დაწერილი მუხამბაზები, თეჯნისი, ყაზალი, ბაიათი და სხვ. სანიმუშო იყო როგორც მისი თანამედროვე, ასევე შემდგომი აშულებისათვის (ალავერდა, მირზაჯანა, საზანდარ ბაში გიორგი, დაბლიშვილი, ბულბულა, ბეჩარა, მაჩაბელი, შამჩი მეღქო, სკანდარნოვა, იეთიმ გურჯი). აშულური პოეზიის რეპრეზენტაცია აღინიშნება ქართველი რომანტიკოსი პოეტების: ალ. ჭავჭავაძის და გრ. ორბელიანის შემოქმედებაში, მოგვიანებით – აკაკი წერეთლის შესანიშნავ მუხამბაზებში, რომელთა მიზანი იყო ქართულ სასიმღერო ლირიკულ ტექსტებში დავიწყებას არ მისცემოდა და

ახლებურად გაჟღერებულიყო აშუღთა პოეზიის კეთილხმოვანება და ზნეობრივი სიფაქიზე.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდ სახალხო აშუღად აღიარებული პოეტი საიათნოვა თავისი შემოქმედებით ეკუთვნის ამიერკავკასიის სამივე ერს: საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს, რომელთა მკვიდრნიც სხვადასხვა რელიგიას (კონფესიას) მიეკუთვნებიან. სამ ენაზე ლექსთა მთხზველი იგი იყო აშუღური პოეზიის პირველი საუკეთესო წარმომადგენელი, რომელსაც ბევრი მიმბაძველი გაუჩნდა, ძირითადად, თბილისელი სომხები, ასევე აზერბაიჯანელები და ქართველები. საიათნოვას პოეზია მდიდარია აღმოსავლური სალექსო ფორმებით და ლექსიკით. სომეხი მკვლევარი მელიქსეთ-ბეგი წერს: „საიათნოვა არის ერთგვარი სიმბოლო ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობისა. იგი ის საუცხოვო დულაბია, რომელშიც სომხურს, ქართულსა და თურქულ-სპარსულ ლიტერატურას ამჭიდროებს“.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გრიშაშვილი, ი. (1963). საიათნოვა, წიგნში: ძველი თბილისის ბოჰემა, ტ. III, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- კვიციანიშვილი, ე. (1985). მუხამბაზო, რა ტკბილი რამა ხარო, წიგნში: ქართული ქალაქური პოეზია, ტ. 16, თბილისი: „ნაკადული“.
- მელიქსეთ-ბეგი, ლ. (1930). საიათნოვა, თბილისი: „ქართული წიგნი“.
- შაჰნაზარი გ. საიათნოვას ლექსები, თარგმანი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

References:

- Grishashvili, I. (1963). Saiatnova, ts'ignshi: dzveli tbilisis bohema, t'.III. [Sayat-nova. in: The Bohema of Old Tbilisi]. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.
- K'vit'aishvili, E. (1985). Mukhambazo, ra t'k'bili rama kharo, ts'ignshi: kalakuri p'oezia, t'. 16. [Mukhambazi, how sweet voice you have. in: Urban Poetry].
- Melikset-Begi, L. (1930). Saiatnova. [Sayat-nova]. Tbilisi: “Nakaduli”.
- Shaknazari, G. (1972). Saiatnovas leksebi, targmani [Sayat-nova. Poems]. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.

თინათინ ბიგანიშვილი

Tinatin Biganishili

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

Shota Meskhia Zugdidi State Teaching University

Faculty of Social Sciences and Health

ახალი ქართული მწერლობის სათავეებთან

(სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოების

„მოგზაურობა ევროპაში“ მიხედვით)

At the Beginning of New Georgian Literature

(According to Sulkhan-Saba Orbeliani's "Journey to Europe")

Sulkhan-Saba Orbeliani's "Journey to Europe" is one of the first non-fiction novels of Georgian literature. The issue of text genre is not a controversial issue. According to Georgian scientists, Sulkhan-Saba Orbeliani's "Journey to Europe" is a perfect example of the documentary, as well as it is an example of memoirs.

The non-fiction novel is a literary genre which, to be more precise, depicts real historical figures and actual events woven together with fictitious conversations and uses the storytelling techniques of fiction. The non-fiction novel is an otherwise loosely defined and flexible genre.

Georgian literature has its own way of development and to this testifies its genetic relation with European literature what is challenging for typological research.

From a narratological point of view and influence of contemporary critical discourse on the development of scientific theories it is quite possible to talk about a new reading of Sulkhan-Saba Orbeliani's "Journey to Europe" (M. Kharbedia).

Numerous researchers of Georgian literature have noted that Sulkhan-Saba Orbeliani's "Journey to Europe" belongs to the documentary as well as it belongs to other genres. These researchers are: A. Baramidze, A. Gatsrelia, M. Kharbedia, L. Menabde and others. In this scientific article I tried to

introduce their positions and to prove that Sulkhan-Saba Orbeliani's "Journey to Europe" belongs to the documentary as well as it belongs to the fiction too.

Sulkhan-Saba Orbeliani's "Journey to Europe" includes many examples of appeal. The author addresses contemporaries and readers. According to this Sulkhan-Saba Orbeliani's "Journey to Europe" can be called an epistolary novel.

Epistolary novels can be categorized based on the number of people whose letters are included. This gives three types of epistolary novels: monologic – giving the letters of only one character. As it is known, many researchers, for example, Giorgi Leonidze, think that addressee of Sulkhan-Saba Orbeliani's papers/memoirs was Vakhtang the VI; Dialogic – giving the letters of two characters and polylogic – with three or more letter-writing characters.

As I mentioned, Sulkhan-Saba Orbeliani's "Journey to Europe" includes many examples of appeals. Sulkhan-Saba Orbeliani did not have only one addressee, for example, Vakhtang the VI, but many recipients. They were his contemporary readers and they are future generations of readers. This is one of the reasons why Sulkhan-Saba Orbeliani's "Journey to Europe" can be called an epistolary novel.

It should be specially noted, that according to the conception of numerous researchers of Georgian literature, Sulkhan-Saba Orbeliani wrote "The Wisdom of Lie" after his journey to Europe. The origin of Georgian fiction novel is connected with Sulkhan-Saba Orbeliani's texts. Also it is connected with the second part of his biography. It is obvious, that Sulkhan-Saba Orbeliani's fiction novel was based on his European experience. The influence of European culture and literature was the main reason for writing the first examples of Georgian fiction and non-fiction novels, such as "Journey to Europe" and "The Wisdom of Lie".

On the other hand, Sulkhan-Saba Orbeliani's fiction and non-fiction novels were the foundation of development of Georgian fictional literature, particularly, they were the foundation of Georgian fiction and non-fiction novel genre.

საკვანძო სიტყვები: სულხან-საბა ორბელიანი, რომანი, განმანათლებლობა, მხატვრული ლიტერატურა, ჟანრი.

Key words: Sulkhan-Saba Orbeliani, novel, Enlightenment, fiction, genre.

როგორც თანამედროვე სამეცნიერო კვლევები ცხადყოფს, ქართული მწერლობა ევროპული ლიტერატურის პარალელურად განვითარდა. ჟანრის თეორიის მიხედვით, ნებისმიერი ლიტერატურული ჟანრის განვითარება დიაქრონულ ჭრილში ხდება. აქედან გამომდინარე, ეპოსის პარალელურად რომანის წარმოშობამ და განვითარებამ ლიტერატურის ისტორიაში ძირეული გარდატეხა მოახდინა, რამაც ევროპული მწერლობის გავლენით თითქმის ყველა ქვეყნის ლიტერატურაში პოვა ასახვა.

რომანი, როგორც მხატვრული პროზის ერთ-ერთი ჟანრი, ფაქტობრივად, რამდენიმე ჟანრის დაშლისა და კვლავ შერწყმის, შეერთების, სინთეზის შედეგია. რომანში თანაბრადაა წარმოდგენილი ორი ლიტერატურული გვარი – დრამა და ეპოსი. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, დრამა წარმოდგენილია იმანენტური ფორმითა და ფუნქციით. რომანი, როგორც ეპიკური ჟანრის ერთ-ერთი სახეობა, დრამისა და ეპოსის დიაქრონულ ჭრილში განვითარების შედეგად წარმოიქმნა. დროთა განმავლობაში რომანი მხატვრული ლიტერატურის ხერხემლად იქცა და ამა თუ იმ ეროვნული ლიტერატურის განვითარების, გაფართოების, მასშტაბურობის მიზეზი გახდა, იმის მიუხედავად, რომ დრამა ყოველ ეპოქაში, შუა საუკუნეების გარდა, დომინანტურია და ეპოსის ალტერნატივას წარმოადგენს.

XIII-XV საუკუნეების ქართულ ლიტერატურას დაცემის ხანის მწერლობა ეწოდება. კ. კეკელიძე წერს: „ეს არის პერიოდი სასულიერო მწერლობის დაკნინებისა და დაცემისა. თუ ამ მწერლობის წინაპერიოდი იყო მისი ზრდა-განვითარების კლასიკური ხანა, ეს მესამე პერიოდი შეიქნა „კლასიკური“ ხანა მისი დაქვეითებისა“ (კეკელიძე 1960, გვ. 65).

ქართული მწერლობის ევროპული ლიტერატურის წიაღში დაბრუნების საქმეში უდიდესი წვლილი სულხან-საბა ორბელიანმა შეიტანა. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი შეასრულა მისმა ენციკლოპედისტურ-განმანათლებლურმა მოღვაწეობამ და მისმა მცდელობამ, შეექმნა ეპიკური ჟანრის ერთ-ერთი პირველი ქართული პროზაული ნაწარმოები – „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც, „დეკამერონის“ ანალოგიით, რომანის პირველ ფორმას წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას სულხან-საბას ტექსტზე „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც ისევე როგორც „სიბრძნე სიცრუისა“, ქართული ბელეტრისტიკის ერთ-

ერთი პირველი ნიმუშია. აღნიშნული ნაწარმოები ავტორის სამოგზაურო ჩანაწერებს წარმოადგენს, ხოლო „მოგზაურობა“ ამ ტექსტს პროფ. ლევან მენაბდის ინიციატივით ეწოდა, რაც მოგვიანებით გაიზიარეს სამეცნიერო და სალიტერატურულ წრეებში.

მაშასადამე, „მოგზაურობა ევროპაში“ ქართული ბელეტრისტიკის ერთ-ერთი საფუძველია, ისევე, როგორც „სიბრძნე სიცრუისა“, რასაც დიდტანიანი პროზაული ტექსტის შექმნის მცდელობათა მთელი რიგი მოჰყვა, მაგალითად: იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, გრიგოლ ორბელიანის „მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურლამდის“, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“ და სხვ. აღნიშნული ტექსტები დიდტანიანი პროზაული ნაწარმოების შექმნის მცდელობას წარმოადგენს, იმის მიუხედავად, რომ ორი მათგანი დოკუმენტური ჟანრის, ე.წ. „მოგზაურობათა ჟანრის“ ნაწარმოებად ითვლება, ხოლო ერთიც – „კალმასობა“, იგივე „ხუმარსწავლა“ სამოგზაურო ჟანრის, საგანმანათლებლო-ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებაა. ნებისმიერ შემთხვევაში, აშკარაა ქართველი მწერლების სურვილი, ფეხი აუწყონ ევროპაში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს და ე.წ. აღორძინების ხანის შემდეგ ქართულ ლიტერატურაში შექმნან დიდტანიანი პროზაული ტექსტის პირველფორმა. ამგვარი ტექსტების ავტორებს შორის ყველაზე დიდი წარმატება სულხან-საბა ორბელიანს ხვდა წილად.

წინამდებარე სტატიაში განხილულია სულხან-საბას შემოქმედების ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. მან ქართულ ლიტერატურაში ასახა ევროპაში მიმდინარე პროგრესული ლიტერატურული პროცესები, განსაკუთრებით კი ბელეტრისტიკის განვითარება, კერძოდ, რომანის ჟანრისა და რომანის ქვეჟანრების წარმოქმნა-განვითარება.

ნაწარმოები „მოგზაურობა ევროპაში“ დოკუმენტური ჟანრის პროზას განეკუთვნება, კერძოდ, „მოგზაურობათა-მიმოსვლათა“ ჟანრის პროზას, თუმცა, ამის მიუხედავად, ტექსტი პათოსითა და სტილით, მასში წარმოჩენილი რომანტიზებული-ესთეტიზებული სამყაროს მიხედვით, მხატვრულ პროზას არ ჩამოუვარდება. ამიტომაც არის ის ქართული ბელეტრისტიკის ერთ-ერთ პირველ ნიმუშად მიჩნეული. შესაბამისად, თუკი გავითვალისწინებთ მალხაზ ხარბედიას „ახლებურად წაკითხვის“ პრინციპს (2009, გვ. 33) და, ამავედროულად,

მხედველობაში გვექნება ივანე ამირხანაშვილის „ბელეტრიზებული ამბის“ პრინციპი (2016, გვ. 14), ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება აღნიშნული ნაწარმოების ბევრად ფართო მნიშვნელობით განხილვა.

სულხან-საბას ტექსტის „მოგზაურობა ევროპაში“ ჟანრის საკითხზე მეცნიერები, არსებითად, შეთანხმებული არიან. აკაკი გაწერელია ყურადღებას ამახვილებს ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხზე. მართალია, სულხან-საბას ტექსტი „მოგზაურობა ევროპაში“ მხატვრული ლიტერატურას არ განეკუთვნება, მაგრამ ყველა ნიშან-თვისებით ის მხატვრული ლიტერატურის ძეგლების გვერდით დგას. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ აკაკი გაწერელია, როგორც ღვაწლმოსილი მეცნიერი, საჭიროდ მიიჩნევს, არ დასჯერდეს მხოლოდ „მოხილვათა“ ჟანრის დეფინიციას და მოიშველიოს ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა, მისივე თქმით, ე.წ. „უსიუჟეტო ლიტერატურა“, „დაკვირვებისა და ნახულის ფიქსაციის თავისებური ფორმა“, რაც იმას ნიშნავს, რომ მალხაზ ხარბედიას „ახლებურად წაკითხვის“ პრინციპი, ისევე როგორც ივანე ამირხანაშვილის „ბელეტრიზებული ამბის“ პრინციპი, სულხან-საბას აღნიშნული ტექსტის შემსწავლელი სხვა მეცნიერების პოზიციებშიც იკვეთება.

ა. გაწერელია წერს: „*მოგზაურობა ევროპაში*“ ქართულ „მოხილვათა“ პირველი წარმომადგენელია ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. მე-18 საუკუნის დასაწყისში სულხან-საბა ქმნის ე.წ. უსიუჟეტო ლიტერატურის საუკეთესო ძეგლს, რომელსაც დაკვირვებისა და ნახულის ფიქსაციის თავისებური ფორმა აქვს“ (1949, გვ. 30).

როგორც აღვნიშნე, ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც ღიად წამოჭრა საკითხი ტექსტის „მოგზაურობა ევროპაში“ ახლებურად წაკითხვის შესახებ, არის მალხაზ ხარბედია. იგი წერს: „როგორც აღვნიშნეთ, „მოგზაურობა ევროპაში“ ჯერ კიდევ ელის ნამდვილ წამკითხველებს, ჩემი სტატია მხოლოდ ერთ-ერთი ასეთი წაკითხვის ნიმუში შეიძლება იყოს, რომელსაც პირობითად „ტექსტის არქეოლოგია“ ვუწოდებ“ (2009, გვ. 33).

მალხაზ ხარბედიას ამგვარი დამოკიდებულება საკითხის მიმართ, რომ „მოგზაურობა ევროპაში“ სცდება მხოლოდ „მოხილვათა“ და „მიმოსვლათა“ ჟანრის ფარგლებს, რომ ამ ნაწარმოებში ჩაქსოვილი სათქმელი, ავტორის სტილი, გამოხატვის თავისებურება, დრა-

მატიზებული ქვეტექსტი, სტრიქონებს შორის ამოკითხული ტრაგედია საშუალებას გვაძლევს მას უფრო ფართო მნიშვნელობა მივანიჭოთ, უფრო მასშტაბურ კონტექსტში განვიხილოთ და გავიაზროთ, კიდევ უფრო მეტად იკვეთება შემდეგ სიტყვებში: „ამგვარი რეალურობის თუ საგნობრიობის მიუხედავად, საბას უკანასკნელი ტექსტი მაინც დიდი ლიტერატურაა. „ევროპაში მოგზაურობა“ ჯერ კიდევ ელის ნარატოლოგის თვალთ ჩაკითხვას, ჯერ კიდევ ბოლომდე განუსაზღვრელია მისი ადგილი სამოგზაურო ჟანრის ქართულ და მსოფლიო ნიმუშებს შორის“ (2009, გვ. 32).

ა. ბარამიძე ნაწარმოების „მოგზაურობა ევროპაში“ ჟანრის საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. როგორც ყველა მეცნიერი, რომლებიც სულხან-საბას აღნიშნულ ტექსტს განიხილავენ, ა. ბარამიძეც ტექსტს დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებად მიიჩნევს, თუმცა მისსავე სტატიაში, ისევე, როგორც აკაკი გაწერელიასა და მალხაზ ხარბედიას სტატიებში, იკვეთება ტექსტის ბევრად ფართო მნიშვნელობით განხილვის სურვილი, მცდელობა იმისა, რომ ნაწარმოები დღიურისა და სამოგზაურო ჩანაწერების მიღმა უფრო ფართო პლანით წარმოჩინდეს, რაც იკვეთება მეცნიერის ერთ-გვარ პარადოქსულ დეფინიციამ „ქართული მხატვრული დოკუმენტური პროზა“: „დღიურებში გვხვდება საყურადღებო ცნობები ავტობიოგრაფიული ხასიათისა. „მოგზაურობა ევროპაში“ ქართული მხატვრული დოკუმენტური პროზის პირველი და საუკეთესო ნიმუშია. ამ წიგნით საბამ შემოიღო და დაამკვიდრა ქართულ ლიტერატურაში ახალი ჟანრი. საბას ამ მხრივ ბევრი მიმდევარი გაუჩნდა (ვახტანგ ორბელიანი, ტიმოთე გაბაშვილი, იონა გედევანიშვილი, გიორგი ავალიშვილი და სხვები). „მოგზაურობის“ დამახასიათებელი მხარეებია ენობრივი სისადავე და სტილბრივი ეკონომია“ (1959, გვ. 101).

ამავე საკითხის შესახებ ოთარ ჯანელიძე წერს: „დღიურის ფორმით დაწერილმა „მოგზაურობამ“, რომელიც გიორგი ლეონიძის აზრით, ვახტანგ VI-ის შეკვეთითა და დავალებით უნდა იყოს შექმნილი (ლეონიძე, 2002, გვ. 155), დიდი გავლენა იქონია მომდევნო პერიოდის ქართული სამოგზაურო ლიტერატურის განვითარებაზე, კერძოდ, ტიმოთე გაბაშვილის, იონა გედევანიშვილის, გიორგი ავალიშვილისა და სხვა თხზულებებზე“ (2009, გვ. 213).

„მოგზაურობის“ დღიურის ჟანრისთვის მიკუთვნების შესახებ კი უნდა ითქვას, რომ დღიური, როგორც წესი, მკითხველისთვის არ იქმნება. დღიური პრივატული ჩანაწერებია, უკიდურესად პერსონალური და, უმეტეს შემთხვევაში, ავტორი მისი საჯაროობის მომხრე არც არის. ოთარ ჯანელიძე კიდეც აღნიშნავს, რომ, გიორგი ლეონიძის აზრით, სულხან-საბა ამ ტექსტის წერის პროცესში, სულ მცირე, ერთ მკითხველს მაინც გულისხმობს და ეს არის ვახტანგ მეექვსე, რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ სულხან-საბა არაერთგზის მიმართავს მკითხველთა ფართო საზოგადოებას. ამის დამადასტურებელი მაგალითები ნაწარმოებში მრავლადაა წარმოდგენილი.

როგორც აღვნიშნე, განსახილველ ტექსტში მკითხველისადმი მიმართვის საკითხით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა. შესაბამისად, ჩემ მიერ წარმოდგენილ სტატიაში ამ საკითხს არანაკლები ყურადღება ეთმობა, რადგან ამას უშუალო კავშირი აქვს ნაწარმოების ჟანრის დეფინიციის საკითხთან. შესაბამისად, ვიმოწმებ ციტატებს, რომლებიც ცხადყოფს, რომ სულხან-საბა მკითხველთა ფართო წრეს მიმართავს:

ვახტანგ მეექვსისადმი მიმართვა მხოლოდითი ზმნების გამოყენებით მჟღავნდება, მაგალითად, „ამას მხოლოდ დაგიწერ“ (ორბელიანი 1989, გვ. 184), ანდა ერთგვარი ანგარიშვალდებულების განცდით დაწერილი სიტყვების მიხედვით: „*იმ დღეს ამის მეტი ვერა დავსწერე რა*“ (1989, გვ. 185), თუმცა ტექსტში მკითხველისადმი მიმართვის ისეთი ფორმებიც დაიძებნება, რომლებიც მრავლობითი რიცხვის ზმნებით არის წარმოდგენილი, მაგალითად: „*სასახლის ქება მრავალგან სწერია და თქვენც იცით, რომ პაპის სასახლე უარესი არავისზე იქნება*“ (1989, გვ. 185), – ნაცვალსახელი „თქვენ“ ოფიციალური საუბრისათვის დამახასიათებელ ფორმადაც შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ სულხან-საბამ კარგად იცოდა, რომ მისი ჩანაწერები „გაუჩხრეკელი“ არ დარჩებოდა. ეს განსაკუთრებით ცხადად იკითხება მის ანდერძ-ნამაგში, რომელიც მის მიერ შედგენილ განმარტებით ლექსიკონს ერთვის: „*ვიცი, მრავალნი საბასრობელად დასდებენ ნაშრომთა ამათ ჩემთა. მათ თუცა წერილნი უყვარან, მრავალნი სხვანი წერილნი არიან, საღთონი და საერონი, და რომელიც ენებოსთ, იგი იკითხნენ, ხოლო ესე ჩემებრ უცებისათვის აღიწერა, და დაუტეონ*“ (1991, გვ. 30).

მკითხველთა ფართო წრისადმი მიმართვას ასევე ადასტურებს შემდეგი მაგალითები: „ნეტავი ნახოთ და ვინც ნახავთ, ჩემს სიმართლეს მაშინ შეიტყობთ“ (1989, გვ. 283); „ამაზედ ნუ გაიცინებთ! მისთანა არც ღვინჭილა და არც კენჭი გინახავთ და შეწყობა – უფრო არა ჩემს უკან, ღმერთმა ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნას!“ (1989, გვ. 199); „ერთი იმისთანა პატარა ხატი მიბოძა, სოლომონის ქება ქებათა სწერია. ეს ნახეთ და იმასაც შეიტყობთ და დაიჯერებთ“ (1989, გვ. 199).

აღნიშნული ციტატები ცხადყოფს, რომ სულხან-საბა მკითხველთა ფართო წრეს მიმართავს და, მაშასადამე, ტექსტი „მოგზაურობის“ ერთ-ერთი ფორმაა, თუმცა არა ერთადერთი. ამიტომაც აღნიშნული ტექსტის ჟანრის საკითხი გულდასმით გამოკვლევასა და მეტ-ნაკლებად ზუსტ დეფინიციას მოითხოვს.

შესაბამისად, მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის გათვალისწინებული ტექსტი, გარკვეულწილად, ესთეტიზებასა და სათქმელის ბელეტრიზებას მოითხოვს. სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას, ნაწარმოების აღნიშნული ძირეული მახასიათებლები ბევრად ფართო მნიშვნელობით განვიხილოთ და „ახლებურად წაკითხვის“ პრინციპი, ნარატოლოგიური თვალსაზრისით გავამართლოთ.

ნაწარმოების დრამატურგიული ქარგის შესაქმნელად სულხან-საბა, ერთი მხრივ, იყენებს სახარებისეულ ალუზიებს, მეორე მხრივ, ავტობიოგრაფიულ დეტალებთან¹ დაკავშირებულ (სარწმუნოების ფორმალური უარყოფა, საქართველოსა და ვახტანგ მეექვსის უბედობა, წუთისოფლის ამაოების განცდა, რაც ასკეტთათვის არის დამახასიათებელი), დაძაბულ, დინამიკურ, დრამატულ ქვეტექსტს, რაც, საბოლოო ჯამში, ავტორს მოთხრობილი ამბის ბელეტრიზების საშუალებას აძლევს.

ტექსტში „მოგზაურობა ევროპაში“ არაერთი ეპიზოდი, პასაჟი თუ ლირიკული ჩანართია, რომლებიც ნაწარმოების ესთეტიკურ მხარეს წარმოაჩენს და ბელეტრიზებული ამბის წაკითხვის საშუალებას გვაძლევს. შესაბამისად, ტექსტი, აღნიშნული მახასიათებლების მიხედვით, შესაძლებელია, წავიკითხოთ და აღვიქვათ, როგორც მხატვრული ნაწარმოები.

¹ სულხან-საბას მიერ კათოლიკური სარწმუნოების ფორმალურ მიმდევრობას არაერთი ავტორი ამტკიცებს, კერძოდ, სარგის ცაიშვილი, აკაკი გაწერელია, ლევან მენაბდე, კორნელი კეკელიძე, გიორგი ლეონიძე, ალექსანდრე ბარამიძე და სხვ.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს არა მხატვრული, არამედ დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოების ბელეტრიზებისა და ესთეტიზების სრულიად კონკრეტული შემოქმედებითი მეთოდი, რომლის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სახარებისეული ალუზია. აღსანიშნავია, რომ სულხან-საბას მიერ შექმნილი ქარაგმული ტრაგედიის მთავარი სქემა არის ქრისტეს გზა, რასაც ავტორი რომში ნანახისა და განცდილის საშუალებით გადმოგვცემს.

სულხან-საბა აღწერს ერთ სამარხს, რომელსაც ქრისტეს ამქვეყნიური სიცოცხლის ბოლო კვირის ყველაზე დრამატულ ეპიზოდს უკავშირებს – ეს არის იუდას მიერ მაცხოვრის გაყიდვისა და მეკეცის აგარაკის ყიდვის ეპიზოდი: „*იქით ერთი სასაფლაო აეშენებინათ ნოეს კიდობნის ზომაზე სრულ მარმარილოთი. სამასი წყრთა სიგრძე, მისი განი და სიმაღლე. უცხო მარმარილოს სვეტი ორას ოცდარვა ჰქონდა, სიწლოდ წვივის სისხო და სიმაღლე ხუთი ადლი, უცხორიგებად დათლილი. დიად მომეწონა. იქ ვისაც დამარხვენ, ახალი მკვდარი ოცდაოთხ ჟამზე დაფხეკილი ძვლები შეიქნება, იერუსალიმიდამ მეკეცის აგარაკის მიწა მოუტანიათ და ის ჩაუყრიათ, იმისგან არის“ (1989, გვ. 259).*

ამგვარი სტილი სულხან-საბამ კლასიკური ხანის პათეტიკური სტილის საპირისპიროდ დაამკვიდრა. თუკი დავით გურამიშვილმა თავისი სალექსო რეფორმით რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დომინანტური თექვსმეტმარცვლიანი შაირის ბატონობა დაასრულა და ახალი სალექსო ფორმები დაამკვიდრა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართული პოეზიის განვითარების ახალ ეტაპს (ა. ხინთიბიძის აზრით, „გურამიშვილმა, ფაქტიურად, რუსთველის შაბლონად ქცევის წინააღმდეგ გაილაშქრა“ (2000, გვ. 16)), სულხან-საბა ორბელიანმა აღნიშნული სადა და ლაკონიური სტილით, ელიფსური წინადადებებით, ეკონომიური, კონდენსირებული, დაწრეტილი თხრობით დაასრულა კლასიკური ხანის (ქართული რენესანსის) პათეტიკური, ჭარბი აფექტაციით გამორჩეული სტილი და ახალი მწერლობისათვის დამახასიათებელი თხრობის სტილს ჩაუყარა საფუძველი. ამის შესახებ აკაკი გაწერელია წერს:

„...ასეთი მოზაიკური თხრობით იწყება სულხან-საბას წიგნი, რომელსაც უმთავრესად ფერების სიმუნწე ახასიათებს.

ქართველი პოეზიის მკითხველი უმაღლვე მიხვდება, რომ ზემოთ მოტანილ აღწერებში ავტორის ხმა მიჩქმალულია, იგი ტრადიციულად ჟღერს („მელნის გუბენი“ ... „გიშრის ლერწამი“...) და რა სწრაფად ცვლის ყვავილოვან სტილს მის პროზაში სადა, ყოველგვარ აფექტაციას მოკლებული თხრობა!

წამლის მიღებამდე მკითხველს სულხან-საბა აწვდის მზამზარეულ და ტკბილ სასმელს.

ორნამენტულ აღწერებში სულხან-საბა არ იცავს თავისი სტილის ერთ-ერთ უპირველეს ნიშანსაც – ელიპსურ წყობას (გასაოცრად მოკლე წინადადებანი, წერტილების სიჭარბე), რომლის ბადალი საერთოდ მსოფლიო ლიტერატურაშიც იშვიათად მოიპოვება“ (1949, გვ. 35, 36).

სულხან-საბას სურს მშრალი ფაქტების ჩამონათვალსა და ზედაპირულ აღწერას დასჯერდეს, ემოციური განწყობილება უფერული სტატისტიკით გადაფაროს, მაგრამ სულის სიღრმეში დიდ ტრაგედიას ატარებს. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია გ. ლეონიძის პოზიცია. იგი მსჯელობს სულხან-საბას „განლათინების“ (იოანე ბატონიშვილი) შესახებ და დაასკვნის: „დასასრულ, რა მიზეზით უნდა მიეღო საბას კათოლიკობა? ჩვენ გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ საკითხი საბას კათოლიკობისა უმთავრესად პოლიტიკური მოტივებით უნდა აიხსნებოდეს და არა ვიწრო რელიგიური მისწრაფებით, რომ საკითხი კათოლიკობისა, საბასთვის იყო საკითხი პოლიტიკური ორიენტაციისა“ (ორბელიანი 1957, გვ. XXII).

შესაბამისად, სტრიქონსა და სტროქონს შუა, მაშინაც კი, როცა საბა ასკეტის სიღინჯით მალავს თავის ძლიერ განცდებს, ეს ტრაგედია იკითხება:

„ვლეთ იქიდან, მრავალი მაგარი ციხე და სოფლები ჩამოვიარეთ, მაგრამ დიდს ადგილს ვენახოვანი სულ წამხდარიყო. კედლები აეშენათ, გვერდზე მოესწორებინათ, ზედ ვენახები აეშენათ, მაგრამ სრულობით გაოხრებულიყო. ვიკითხე:

– რატომ წამხდარა-მეთქი?

მითხრეს: – მიწა არ ვარგებულაო.

მაგრამ თუ მიწა არ ვარგეყო, იმდენი აუარებელი ვენახი რად ააშენეს? გეგუთის მსგავსი ალაგები იყო“ (ორბელიანი 1989, გვ. 174).

ტექსტში „მოგზაურობა ევროპაში“ სულხან-საბას მიერ აღწერილი ადამიანები თითქოს რომანის პერსონაჟები არიან. ისინი ერთიანი განწყობილებით შექმნილი მხატვრული ტილოს დახვეწილ დეტალებს წარმოადგენენ. ასეთია ქალწული ენკრატისი, რომელიც სნეულთა მომვლელად მსახურობდა, კატურინე ერქვა და ასი წლის მიცვალებულს ცხვირის წვერი ოდნავ შელახვოდა. ჯერ წმინდანად არ შეერაცხათ, მაგრამ ნეტარს უწოდებდნენ. ასეთი იყო ოცდაორი წლის ქალწული, სახელად ასევე კატურნია (კატერინა/კატრინა), რომელიც სნეულთა მკურნალად მსახურობდა, შვიდი წლის განმავლობაში ყოველდღე ეზიარებოდა და სხვა საკვები თუ სასმელი ამის მეტი არაფერი ჰქონდა, თუმცა შრომითა და მსახურებით გამოირჩეოდა. საბა მას ქართველ ქვრივებს ადარებს და მის გარეგნობას თუ ჩაცმულობას დეტალურად აღწერს.

ტექსტის პერსონაჟები არიან წმინდანები, რომლებიც უხრწნელად არიან დაკრძალული სულხან-საბას მიერ აღწერილ წმიდა ტაძრებში. მისი ნაწარმოების მოქმედი პირები არიან მოციქულები, წმიდა მამები, დიდი საეკლესიო მოღვაწენი და ღვთისმეტყველნი, რომელთა ნაკვალევსაც სულხან-საბა იტალიის ქალაქებსა და მონასტრებში ფეხდაფეხ მიუყვება და, რაც ყველაზე მთავარია, სულხან-საბას ჩანაწერების მთავარი შთაგონების წყაროა ვნებული მაცხოვარი: „იქი-დამ გამოგვიყვანეს. იმაზე ახლოს იყო პილატეს სახლის კიბე, რომ ზედ მაცხოვარს ევლო, სამს ადგილს ქრისტეს სისხლი დასხმოდა. ზედ ფანჯარა იყო, რომ მუხლი არავინ დაადგას. მუხლის თავით აგვიყვანეს, ფეხს ვერავინ დაადგამს. ოცდარვა ხარისხია მარმარილოსი. მაგრამ მუხლს გაუცვეთია, იმდენი სული იარება ზედეთ, მაღლა წმიდა წმიდათა დგას“ (1989, გვ. 187).

სულხან-საბას ხშირად პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანის აღტაცება იპყრობს და რომის მშვენიერებას ე.წ. რიტმული პროზით აღწერს, თითქოს ლექსის შეთხზვა სურდეს. სწორედ ასეთია რომის შადრევნების აღწერის ეპიზოდი: „მაგრამ რა ხელოვნებაები მოუყვანიათ, კაცს გულს ჭირი უკუეყრება! სამად შუაზე გამოდის წყარო, თვითო თვითოს საწისქვილოს უფროა, და ორი – აქათ-იქით ნაპირს მარმარილოს ლომების პირიდან, და ხუთივ წვლილს აუზებზედ გადმოდის, ის აუზები ანჩქრევს, და ძირს ერთი დიდი აუზია, სულ თეთრის მარმაროლოსი, უცხოგვარად მოყვანილი, ღრმა და

საცურავად ზომიერი, იმაში ჩამოდის და სად მიდის და სად არა, აღარ ჩანს“ (1989, გვ. 189).

ლირიკული ჩანართები სულხან-საბასთავის ნიშნეულია, რადგან იგი მთელი არსებით ესთეტია. იგი წერს: „იქიდან ჩამოვედით წმიდის პელაგიას მონასტერში. კარგა შემკული მონასტერი იყო, მაგრამ წმიდა არავინ ესაფლავა. ერთს მხარეს ერთი მეფე ესაფლავა, პირდაპირ – დედოფალი, მისი მეუღლე. ერთს საფლავს ეწერა აჩრდილი, მეორეზე – აღარც აჩრდილი“ (1989, გვ. 214).

სულხან-საბა ყოველთვის ცდილობს, ევროპის აღორძინების ეპოქის ხელოვნების მშვენიერება წარმოაჩინოს არა როგორც სასულიერო პირმა, რომელიც პოლიტიკურ და ისტორიულ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, არამედ როგორც ესთეტმა. მის ნაწარმოებში ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა ნარინჯის (ციტრუსის) ბალთა აღწერა: „წალკოტების ქება, ამბები ფრანცისისა დამიწერია, მაგრამ ამისი ეს სჯობდა – სულ ნარინჯი, თურინჯი იყო აუარებელი, ღობესავით, თუ ჭურჭელში ნადგამი, თუ თალარსავით დახურული. ერთს რიგზე სხრტესავით გარდაეგრიხათ-გარდმოეგრიხათ, ადღნახევარი თუ იყო სიმაღლე, გრძლად დიდს ადგილს, და სულ ხშირად ნარინჯ-თურინჯი ესხა. ის დიად მომეწონა, კარგგვარად იყო“ (1989, გვ. 248).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტექსტის „მოგზაურობა ევროპაში“ ჟანრის საკითხს ებმის ტექსტის ე.წ. „ახლებურად წაკითხვის“, ნარატოლოგიური მიდგომის საკითხი, რაც საშუალებას გვაძლევს, ეს უნიკალური ნაწარმოები ახალ ქართულ ლიტერატურაში განვითარებული ჟანრების (განსაკუთრებით რომანის) წარმოქმნის ერთ-ერთ საფუძვლად დავასახელოთ.

სულხან-საბას სამწერლობო სტილსა და ტექსტის „მოგზაურობა ევროპაში“ ჟანრთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთგვარი მრავალფეროვნება, რაზეც გ. ალიბეგაშვილი ამახვილებს ყურადღებას: „საბა, ასე ვთქვათ, რამდენიმე ქართულ სალიტერატურო ენას ფლობს: „სიბრძნე სიცრუისა“ გამართულია სტილურად უბრალოდ, სადა, ხალხური მეტყველებით; „ლექსიკონ ქართულში“ ვაკვირდებით მწერლის მეცნიერულ-ლექსიკოლოგიურ შესაძლებლობებს; ე.წ. „მცხეთურ ბიბლიაში“ ჩანს სულხან-საბას თეოლოგიურ ცნებებსა და სახისმეტყველე-

ბაში განსწავლულობა; ვახტანგ VI-ის მიერ ნათარგმნ „ქილილა და დამანას“ რედაქტირებისას გამოჩნდა მისი მთარგმნელობითი ნიჭი და უნარი; შეიძლება გამოვყოთ აგრეთვე სულხან-საბას თხზულების – „მოგზაურობა ევროპაში“ – ენა, რომელიც, მსგავსად „სიბრძნე სიცრუისას“ ენისა, მარტივი და სადაა, ოღონდ ერთგვარი „მემუარული“, სამოგზაურო ჟანრის თხზულებისთვის დამახასიათებელი მხატვრული სტილისა“ (მურღულია და სხვ, 1992, გვ. 261).

როგორც აღვნიშნე, ტექსტის „მოგზაურობა ევროპაში“ ჟანრის საკითხი მეცნიერთა შორის საკამათო არ არის. „მოგზაურობა ევროპაში“, ძირითადად, განისაზღვრება, როგორც მემუარული ჟანრის, მოგზაურობათა ჟანრის ნაწარმოები, თუმცა ტექსტში მკითხველისადმი, გნებავთ, ადრესატისადმი მიმართვის ფორმების სიუხვე და ასევე სხვა მნიშვნელოვანი თავისებურებები საშუალებას გვაძლევს, ნაწარმოები განვიხილოთ უფრო ფართო მნიშვნელობით, ვიდრე ეს არის მემუარული ჟანრი ან მოგზაურობათა ჟანრი.

აღნიშნული საკითხი უშუალოდ უკავშირდება ლიტერატურულ ანალოგიებს. ამის შესახებ კ. გამსახურდია წერს: „ლიტერატურული ანალოგიები დასაშვებია და საჭიროც, მაგრამ ამ ანალოგიებს უნდა გააჩნდეს სამანი“ (1949, გვ. 18).

ლიტერატურული ანალოგიების, მოდელისა და სტრუქტურის კატეგორიები უნივერსალური ლიტერატურის განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, კერძოდ, უნივერსალური ლიტერატურის პრინციპი გულისხმობს, ამავედროულად, ლიტერატურულ ანალოგიებს, მოდელისა და სტრუქტურის ურთიერთმიმართებას.

ამ საკითხის შესახებ ადრიან მარინო აღნიშნავს: „მართლაც, ყველა დიდი ლიტერატურული კატეგორიები შეადგენენ „მოდელებს“, კოორდინატების სტაბილურ სისტემებს, რომლებიც დროსა და სივრცეში ფუნქციონირებენ... მოდელები „ფართოვდება“, უფრო და უფრო იზრდება და მოიცავს მრავალ ლიტერატურას... გავიხსენოთ, რომ არსებობს უნივერსალური ლიტერატურა (და/ამ ლიტერატურა), რაც გულისხმობს გარკვეულ „საერთო თვისებებს“, არსებითსა და ინტერნაციონალურს და ეს არის ლიტერატურების საერთო ხასიათი. მათი სინთეზი ახორციელებს ლიტერატურის „მოდელს“, უნივერსალური სტრუქტურის გამარტივებულ სახეს. ამ პერსპექტივაში განხილული „ლიტერატურა“ და გადმოცემული „ლიტერატურული

პროცესი“, ისევე, როგორც ოთხი ეტაპის მოქმედება (სამყარო – ნაწარმოები – მწერალი – წაკითხვა), ყველაზე ზოგადი და სტაბილური ლიტერატურის მოდელებია, რომელთა ფარგლებშიც თავსდება ყველა სხვა კატეგორია“ (2010, გვ. 179, 180).

ადრიან მარინოს მიდგომა, უნივერსალური ლიტერატურის პრინციპი, საშუალებას გვაძლევს სულხან-საბას ტექსტი/ტექსტები ევროპულ ლიტერატურაში წარმოქმნილი და განვითარებული ჟანრების მიხედვით განვიხილოთ და ევროპულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების კონტექსტში გავიაზროთ. ამ თვალსაზრისით კი საყურადღებოა რომანის ისეთი ქვეჟანრების წარმოქმნა, როგორებიცაა ეპისტოლარული ჟანრის რომანი და ე.წ. განვითარების რომანი.

ეპისტოლარული რომანი შეიქმნა მე-18 საუკუნეში, სენტიმენტალიზმის ფარგლებში. მართალია, სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ მე-18 საუკუნის დასაწყისში დაიწერა, თუმცა ევროპულ ლიტერატურაში შიდალიტერატურული პროცესების გავლენით არსებობდა ეპისტოლარული და განვითარების ჟანრის რომანების ერთგვარი ჩანასახოვანი ფორმები, ისევე, როგორც ქართულ ლიტერატურაში. გავიხსენოთ „დონ კიხოტისა“ და რაბლეს ხუთწიგნეულის მაგალითები. მათში სიუჟეტის შეკვრა-გამთლიანება ავტორებს ხშირად ეპისტოლეების ჩართვით უწევთ, რაც თხრობას სტატიკურს, ნაკლებად დინამიკურს ხდის. აღნიშნული ტენდენცია შიდალიტერატურული პროცესების შედეგი იყო და მოგვიანებით სწორედ ამის საფუძველზე შეიქმნა ე.წ. ეპისტოლარული ჟანრის რომანი, რომლის საუკეთესო ნიმუშად ლორდი ჩესტერფილდის რომანი – „წერილები ვაჟიშვილს“ – მიმაჩნია. ამ რომანების რიგში ასევე უნდა დავასახელოთ ჟანრულ რუსოს „ჟიული ანუ ახალი ელიოზა“ და გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“.

ეპისტოლარული რომანის ჟანრის პარალელურად წარმოიშვა ე.წ. განვითარების რომანი. ასეთია ჟანრულ რუსოს „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“. განვითარების რომანის ჩანასახოვანი ფორმაა „სიბრძნე სიცრუისა“, რომელსაც კორნელი კეკელიძე დიდაქტიკურ-მორალური ეპოსის ერთ-ერთ ნიმუშად განიხილავს (1981, გვ. 449).

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“ ევროპიდან დაბრუნების შემდეგ შეიქმნა. ამის დასტურია ტექსტში მოცემული არაერთი ნეოლოგიზმი, რომელთა წარმოქმნის

საფუძველი სულხან-საბას ევროპაში მოგზაურობაა, რაც, საბოლოო ჯამში, საშუალებას გვაძლევს სულხან-საბას შემოქმედებაში ევროპული გამოცდილების კვალი ვეძიოთ, ვისაუბროთ ევროპული ლიტერატურის გავლენაზე და მისი ტექსტის – „მოგზაურობა ევროპაში“ – ჟანრის საკითხი ამ პრიზმაში გადავწყვიტოთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სულხან-საბა ორბელიანის ტექსტი „მოგზაურობა ევროპაში“, როგორც მალხაზ ხარბედია აღნიშნავს, ნარატოლოგიური მიდგომის შემთხვევაში ახლებური წაკითხვის საშუალებას გვაძლევს. ტექსტში ავტორის ევროპული გამოცდილება უშუალოდ არის ასახული. ნაწარმოები მდიდარია ნეოლოგიზმებით, რომლებიც სულხან-საბას ფრანგული, იტალიური და ლათინური ენებიდან ქართულ ენაში დაუმკვიდრებია. ავტორს მიზნად აქვს, თავისი მდიდარი გამოცდილება მომავალ თაობებს არა მარტო მოგზაურის ჩანაწერებით შემოუნახოს, არამედ უშუალოდ გაუზიაროს მათ თავისი შთაბეჭდილებები, უშუალოდ მიმართოს მკითხველს, რაც საშუალებას გვაძლევს, ტექსტი ეპისტოლარული ჟანრის რომანის ერთგვარ წინასახედ წარმოვაჩინოთ.

სულხან-საბა ქართული ლიტერატურის გარდამავალ ეტაპზე მოღვაწეობდა, როდესაც ძველი ქართული სალიტერატურო ენა ისევე გახდა წარსულის კუთვნილება, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის, უფრო კი სასულიერო მწერლობის ჟანრები. ევროპული ცნობიერებით, კულტურით, ლიტერატურით გამდიდრებულმა სულხან-საბამ ალლო აულო ევროპაში საუკუნეებით ადრე დაწყებულ კულტურულ და ლიტერატურულ პროგრესს და ევროპელი ავტორების გავლენით შექმნა დიდტანიანი მხატვრული პროზაული ტექსტები, რომელთა შორის ერთ-ერთი – „სიბრძნე სიცრუისა“ – კორნელი კეკელიძის მიერ სამართლიანად განისაზღვრა, როგორც დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი.

სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ ქართული ბელეტრისტიკის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია, ახალი ქართული მწერლობის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს და წინამდებარე სტატიაში განხილული სამეცნიერო პოზიციების საფუძველზე თამამად შემიძლია, ტექსტი „მოგზაურობა ევროპაში“ განვსაზღვრო, როგორც ეპისტოლარული რომანის წინასახე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ამირხანაშვილი, ი. (2016). ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული მწერლობა და ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურა. ქართული ლიტერატურა. ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში, I, თბილისი: „საარი“.
- ბარამიძე, ა. (1959). სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- გამსახურდია, ვ. (1949). სულხან-საბა ორბელიანი. თბილისში წაკითხული საჯარო ლექციების სტენოგრამები, თბილისი: „კომუნისტი“.
- გაწერელია, ა. (1949). სულხან-საბა ორბელიანი. თბილისში წაკითხული საჯარო ლექციების სტენოგრამები, თბილისი: „კომუნისტი“.
- კეკელიძე, ვ. (1960). ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- კეკელიძე, ვ. (1981). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი: „მეცნიერება“
- მარინო, ა. (2010). კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია, თბილისი: „მწიგნობარი“.
- მურღულია, გ. და სხვ. (1992). სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, თბილისი: „განათლება“.
- ორბელიანი, ს. ს. (1957). „სიბრძნე სიცრუისა“, თბილისი: „საბჭოთა მწერალი“.
- ორბელიანი, ს. ს. (1989). „მოგზაურობა ევროპაში“, თბილისი: „ნაკადული“.
- ორბელიანი, ს. ს. (1991). ლექსიკონი ქართული, I, თბილისი: „მერანი“.
- ხარბედია, მ. (2009). 20 მოკლე მოგონება, „მოგზაურობა ევროპაში“ – ტექსტის არქეოლოგიის მცდელობა, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული 350, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“.
- ხინთიბიძე, ა. (2000). ქართული ლექსმცოდნეობა, თბილისი.
- ჯანელიძე, ო. (2009). დასავლეთის ფაქტორი XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში და სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, II საერთაშორისო სიმპოზიუმში, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, თემატური კონფერენცია: სულხან-საბა ორბელიანი და ქართული ევოპეიზმი, ლიტერატურა, კულტურა, ცნობიერება (მასალები), თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“.

References:

- Amirkhanashvili, I. (2016). Adreuli shua sauk'uneebis krist'ianuli mts'erloba da kartuli agiograpiuli lit'erat'ura. Kartuli lit'erat'ura. Ist'oria saertashoriso lit'erat'uruli p'rotsesebis ch'rilshi. I. [Christian Literature of Early Middle Ages and Georgian Agiography. Georgian Literature. I]. Tbilisi: „Saari“.
- Baramidze, A. (1959). Sulkhan-saba Orbeliani. [Sulkhan-Saba Orbeliani]. Tbilisi: „Sabchota Sakhartvelo“.
- Gamsakhurdia, K'. (1949). Sulkhan-saba Orbeliani. Tbilisshi ts'akitkhuli leksiebis st'enogramebi. [Sulkhan-Saba Orbeliani. Stenogrammas of The Tbilisi Lectures]. Tbilisi: „Komunisti“.
- Gats'erelia, A. (1949). Sulkhan-saba Orbeliani. Tbilisshi ts'akitkhuli leksiebis st'enogramebi. [Sulkhan-Saba Orbeliani. Stenogrammas of The Tbilisi Lectures]. Tbilisi: „Komunisti“.
- Janelidze, O. (2009). Dasavletis pakt'ori XVIII sauk'unis p'irveli meotkhedis sakartveloshi da sulkhan-saba orbelianis „mogzauroba evrop'ashi“. II saertashoriso simp'oziumi. Lit'erat'uratmcodneobis tanamedrove p'rob-lemebi. Temat'uri k'onperentsia: sulkhan-saba orbelianis da kartuli evrop'eizmi. Lit'erat'ura, k'ult'ura, tsnobiereba (masalebi). [The Factory of The West in Georgia in the First Quarter of XVIII-th Centure and Sulkhan-Saba Orbeliani's „Voyage in Europe“. II International Simposium. Modern Problems of Literary Theory. Thematic Conference: Sulkhan-Saba Orbeliani and Georgian Europeism. Literature, Culture, Mentality (materials)]. Tbilisi: „Literaturis Institutis Gamomtsemloba“.
- K'ek'elidze, K'. (1960). Kartuli lit'erat'uris ist'oria. I. [History of Georgian literature. I]. Tbilisi: „Sabchota Sakhartvelo“.
- K'ek'elidze, K'. (1981). Dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria. I. [History of old Georgian literature. II]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Kharbedia, M. (2009). 20 mok'le mogoneba. Mogzauroba evrop'ashi - t'ekst'is arkeologiis mtsdeloba. Sulkhan-saba orbelianis. Saiubileo k'rebuli, 350. [20 Short Memories. Voyage in Europe – The Trying of Text's Archeology. Sulkhan-Saba Orbeliani. Collection of Jubilee. 350]. Tbilisi: „Literaturis Institutis Gamomtsemloba“.
- Marino, A. (2010). K'omp'arat'ivizmi da lit'erat'uris teoria. [Comparativism and Theory of Literature]. Tbilisi: „Mtsignobari“.

- Murghulia, G. da skhv. (1992). Sulkhan-saba orbeliani. Saubrebi kartul lit'erat'uraze. [Sulkhan-Saba Orbeliani. Talking about The Georgian Literature]. Tbilisi: „Ganatleba”.
- Orbeliani, S. S. (1957). Sibrdzne sitsruisa. [The Wisdom of The Lie]. Tbilisi: „Sabchota Mtserali”.
- Orbeliani, S. S. (1989). Mogzauroba evrop'ashi. [Voyage in Europe]. Tbilisi: „Nakadul”.
- Orbeliani, S. S. (1991). Leksik'oni kartuli. I. [Georgian Dictionary. I]. Tbilisi: „Merani”.

XIX საუკუნე: ეპოქა და ლიტერატურა /

XIX Century: Epoch and Literature

თამარ ციციშვილი, ირინე მოდებაძე

Tamar Tsitsishvili, Irine Modebadze

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ახალი პარადიგმის სათავეებთან:

გიორგი წერეთელი

ნაწილი II

At the Head of the New Paradigm:

Giorgi Tsereteli

Part II

In the second half of the 19th century, the existence of numerous literary schools and groups in Georgia, from the writings and criticisms point of view, required an assessment of the main problems of literary theory. “Giorgi Tsereteli witnessed and participated in the public life and activities of existing groups. Some of them got their official names from him. That’s why, in many cases, Tsereteli’s statements are of primary importance for the history of groups (“Dasi”)” Giorgi Tsereteli had to live in a historically very difficult and turbulent era. The question was about who among the Georgian figures at that time understood how and what path he chose to create a better future for the nation. Therefore, it is natural that there is a difference of opinion according to the challenges of the time.

Giorgi Tsereteli is one of the first who gave us the characterization and classification of the first, second, and third group (“Dasi”). Back in 1894, in his speech at the funeral of Egnate Ninoshvili, he was the first to “baptize” the new ideological-literary group as the “third group (“Dasi”)”, which entered the history of Georgian literature and public thought of the 19th century under this name.

According to the author, every magazine-newspaper has its position and has a loyal group of readers. The reader will also look at the events only through their eyes. Editors also refer to opposing magazines and newspapers “disrespectfully”, therefore, “together with Georgian publications, various readerships have been established”, where the party struggle has the same ground as in Europe – concludes Tsereteli. Fortunately, the author continues to argue, a significant part of the nation is not involved in this controversy and evaluates the events objectively. The unapproachable reader has such a curious mind that he can easily distinguish truth and lies from one another. Giorgi Tsereteli’s desire is that Georgian publications find out their direction and program according to the circumstances and “effort”, and the readers “standing outside” of the groups will “sincerely recognize” and support the preacher of truth. According to the author, we should not be afraid of the fight against the groups (“Dasi”), because “whoever the nation favors, sooner or later the ball and the field will remain with him”.

Tsereteli’s goal is to support all measures that could unite, strengthen, politically and economically empower the Georgian nation. And fierce resistance was to be met with all attempts to “dominate” one part over another. Therefore, Tsereteli does not sympathize, and moreover, as a matter of principle, he insists that “every institution” should not be called only noble, or only peasant or merchant. It is the author’s dream that the son of a noble and a peasant should study together in the military school, that the peasant and the nobleman should be judged together in the village administration and in the court. All common capital, regardless of its form, whether it is a bank or a savings association, industrial credit, should function for everyone and bear the name of a Georgian institution, not a civil or rural one, but a public one, until the Georgian nation received equal rights among other nations. It was these national principles that “Kvali” put forward, and that’s why they called their supporters the third group (“Dasi”) – the author explains. According to Tsereteli, it is widely known that two troupes already existed and “operated” in Georgian literature and public life, that’s why “Kvali” called their new movement the third group (“Dasi”). We would also like to note that Giorgi Tsereteli considered himself part of the “cultural generation” of the second group (“Dasi”), which waited a long time for the third group (“Dasi”), and it eventually came.

In our opinion, Giorgi Tsereteli's prioritization of the public importance and ideological load of writing indicates the initial stage of the formation of a new paradigm of critical thinking, which is completely consistent with the general cultural situation of that time.

Later, the models built on the chronological-ideological principle of systematization of the literary process and periodization of the history of writing had a great impact on Marxist criticism and the formation of Soviet literary studies. We hope to dwell on this issue in more detail in the future.

საკვანძო სიტყვები: მე-19 საუკუნე, ქართული ლიტერატურა, გიორგი წერეთელი, მესამე დასი, „კვალი“.

Key words: 19th century, Georgian literature, Giorgi Tsereteli, Third group (“Dasi”), “Kvali”.



ჟურნალ „ლიტერატურული ძიებანის“ წინა ნომერში დაიბეჭდა ჩვენი წერილი „ახალი პარადიგმის სათავეებთან: გიორგი წერეთელი“ („ლიტერატურული ძიებანი“, XLI, 2021), რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებისა და ქართულ საზოგადოებრივ და სამწერლო სივრცეში არსებული სამი დასის – პირველი, მეორისა და მესამის – გიორგი წერეთლისეულ რეცეფციას ეხება. წერეთლის სტატიამ „კიტა აბაშიძე და „ჩვენი ახალგაზრდობა“ (გაზ. „კვალი“, 1897

წლის N46) ეპოქის რთული პოლიტიკურ-ეკონომიური, ისტორიული, სოციო-კულტურული და ლიტერატურული ვითარებას ასახული.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მრავალრიცხოვანი ლიტერატურული სკოლისა და დაჯგუფების არსებობა, მწერლობისა და კრიტიკის მხრიდან მოითხოვდა ლიტერატურის თეორიის ძირითადი პრობლემების შეფასებას. როგორც ანდრო ჭილაია აღნიშნავს, „გიორგი წერეთელი არსებული დასების საზოგადოებრივი ცხოვრება-საქმიანობის მომსწრე და მონაწილე იყო. უფრო მეტიც, ზოგიერთმა მათგანმა ოფიციალური საზოგადოებრივი ნათლობა და სახელწოდება მისგან მიიღო. ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში, დასების ისტორიისათვის წერეთელის გამონათქვამებს პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს“ (ჭილაია, 1964, გვ. 237).

გიორგი წერეთელს ისტორიულად მეტად რთულ და ქართველი ეპოქაში მოუხდა ცხოვრება. საკითხი ეხებოდა იმას, თუ ქართველი მოღვაწეებიდან ვის როგორ ესმოდა და რა გზას ირჩევდა ერის უკეთესი მომავლის შესაქმნელად. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, დროის შესაფერი გამოწვევების მიხედვით შეხედულებათა სხვადასხვაობა.

გიორგი წერეთელი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც მოგვცა პირველი, მეორე, მესამე დასის დახასიათება და კლასიფიკაცია. მან ჯერ კიდევ 1894 წელს ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში პირველმა მონათლა „მესამე დასად“ ახალი იდეურ-ლიტერატურული დაჯგუფება, რომელიც ამ სახელით შევიდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. აქვე გვინდა გავიხსენოთ გიორგი წერეთლის წერილი „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“ („კვალი“, 1897, N46), რომელშიც მწერალი კმაყოფილებით შენიშნავს: 1890 წლიდან ქართულ ლიტერატურაში ახალი „არა ჩვეულებრივი“ მიმართულებების თითო ოროლა ახალგაზრდა გამოჩნდა „დაჰბერა კვლავ პროგრესულმა სიომ“. ავტორის მოსაზრებით, ახალგაზრდებმა „თავისებური პროგრამით“ 1893 წელს თავი ჟურნალ „კვალში“ გამოიჩინეს. ისინი „ეკონომიური მატერიალიზმის თეორიის მიმდევრები აღმოჩნდნენ“. ამ დასის მეთაურად სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში წერეთელი ეგნატე ნინოშვილს¹, ხოლო პუბლიცისტიკაში ნოე ჟორდანიას აღიარებს.

1 1895 წელს გიორგი წერეთელმა ორ წიგნად გამოსცა ეგნატე ნინოშვილის ორი მოთხრობა – „მონადირე“ და „განკარგულება“. ის მაღალ შეფასებას აძლევდა ნინოშვილის სამწერლო ნიჭს.

„მეორე დასის წარმომადგენელს ბატონ გიორგი წერეთელს წილად ხვდა ყველაზე ადრე შეენიშნა ეს ახალი პროგრესული მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში და იმანვე მონათლა ახალი ჯგუფი მესამე დასად“, – სიამაყით დასძენს ავტორი. წერეთლის მტკიცებით, ეს ჯგუფი მეორე დასის, ანუ „დროების“, „კრებულის“ თანამშრომლების ჭეშმარიტი მემკვიდრეა, რასაც წარსულის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ფაქტები ცხადყოფს. მაგალითისთვის ავტორს 1873 წელს „კრებულში“ დაბეჭდილი მეფელეტონის წერილი მოჰყავს.

მწერალი თავის სტატიაში „კვალის“ ორი წლის ნაღვანში („კვალი“ 1895: N5) კვლავ მესამე დასზე მსჯელობს. ის თავის წერილს „კვალის“ თანამშრომლებისა და ახალგაზრდა „მოღვაწეების“ პირველ შეხვედრაზე თხრობით იწყებს. წერეთელი ხაზს უსვამს, რომ ახალი თაობის მოძრაობას „კვალის“ რედაქცია სიამოვნებით შეეგება. მათ თავიანთი „მოქმედების“ პროგრამა შეძლებისდაგვარად მოკლედ წარმოადგინეს ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე. წერეთელი საზოგადოებას აცნობს, რომ ამ ახალ გუნდს „კვალმა“ „მესამე დასი შეარქვა“ და იქვე გულისტკივილით შენიშნავს, რომ მესამე დასის პროგრამამ ქართულ მწერლობაში ცხარე კამათი გამოიწვია. გამოჩნდა ახალგაზრდა თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელთაც „სწავლა ჯერ კიდევ არც ჰქონდათ დამთავრებული“ და ახალგაზრდობას მხოლოდ საკუთარ პრივილეგიად აღიქვამდნენ. მათ „კვალის“ რედაქციას საოცარი სითამამითა და ყოყობით შეუტიეს: „ვინ ბედავს ჩვენზე უფრო ახალგაზრდობას, ნუთუ შესაძლებელია ბებრების ახალგაზრდობაო“ (წერეთელი, 1895, გვ. 9).

წერეთელი მკაცრად აკრიტიკებს მოწინააღმდეგეებს – „დამკვიწრ ყვინჩილებს“ უწოდებს და სიამაყით წერს, რომ მათ საკადრისი პასუხი გაეცათ და გასაგებად აუხსნეს, რომ გუნდში მოქმედების პროგრამა წლოვანებით კი არა, არამედ იდეით, მისწრაფებითა და მიმართულებით განისაზღვრება. ახალი უნდა იყოს „მოქმედების გზა“ და არა მასზე „მოსიარულე მუშაკნი, რომელთაც ახალი გაჭრილი სვე გააქვთ ამ სვრელში“. გიორგი წერეთელი სავსებით შესაძლოდ მიიჩნევს, რომ „მესამე დასში“ მოხუციც და ახალგაზრდაც ერთად „იღვწოდეს“ და ამაში გასაკვირს ვერაფერს ხედავს. ის „ივერია“ – „მოამბის“ მაგალითს იმოწმებს, როდესაც ბრძოლაში გამოცდილი მოხუცები ახალგაზრდებს სათავეში ედგნენ და გზას უკვალავდნენ.

ავტორი იმ შეხედულებას იზიარებს, რომ ცხოვრების პროგრესი და წარმატება ყოველთვის თავად გაიკვლევს გზას და ვინც ამ გზას მიუყვება, მნიშვნელობა არ აქვს რომელი თაობის წარმომადგენელია. ოღონდ ახალმა გუნდმა ძალა უნდა გამოიჩინოს, იბრძოლოს, გაიმარჯვოს *„ქაცვითა და ეკლით მობნეული ბილიკი გზატკეცილი გახადოს, მაშინ მოუცილებლად ახალი ცხოვრებაც პირს მათკენ იზამს“*. წერეთელი დარწმუნებულია, რომ ჩამორჩენილები და დავრდომილები, რომლებსაც მხნეობა და გამბედაობა არ გააჩნიათ, ტყვიას მკერდი შეუშვირონ, ბევრს იყვირებენ და გასაკვირიც არ იქნება, რომ *„წინმსვლელებს“* ზურგში ტყვია დაახალონ. *„მხნე მებრძოლი კი არც წინიდან გამოტყორცნილ ფინთიხს შეუშინდება და არც უკნიდან დადევნებულ ტყვიას“*. ის მაინც წინ წავა, გაარღვევს ტალღებს, *„სანამ უშიშარ მეომარს ბედისწერა არ მოუღებს ბოლოს“*. სწორედ ამგვარ ხასიათს ატარებდა ცხარე კამათი, რომელიც „ივერიას“, „მოამბესა“ და „კვალს“ შორის გაიმართაო, – ფიქრობს გიორგი წერეთელი.

„ივერიისა“ და „მოამბის“ „კვალთან“ დაპირისპირებაში უკეთესად სარკვევად ავტორი იმ უმთავრეს საკითხებს იხსენებს, რომლებმაც ეს პოლემიკა გამოიწვია. (იხ. წერეთელი, 1895, გვ. 3). წერეთელი აცხადებს, რომ „კვალმა“ ნათლად გამოხატა თავისი დამოკიდებულება სკოლების, ბანკებისა და ეროვნული ურთიერთობების“ გარშემო და მათ პროგრამას „ივერიასა“ და „მოამბეში“ გამოთქმულ მოსაზრებებთან საერთო არაფერი ჰქონდა (ციციშვილი, მოდებამე, 2021, გვ. 176-191).

გიორგი წერეთლის აზრით, ქართულ გამოცემებს ერის გულწრფელი სიყვარული ამოძრავებთ, ქვეყნის კეთილდღეობისა და წარმატების მსურველნი არიან და სწორედ ამ პრინციპებით ხელმძღვანელობენ, თუმცა საკითხავია, როგორ ესმით *„ჩვენი საჭირბოროტო, სანუკვარი და სავალალო ქართველი ერი და მისი წარმატება“*. ქართულ გამოცემებს *„საგნად აუღიათ ჩვენი გათახსირებული საქართველოს ერის ბედისწერა“* და სურთ მის *„იარებს რაიმე განსაკუთრებული წამალი დაადონ“*, მაგრამ თითოეული მათგანი სულ სხვადასხვა *„ბარგის წამალს ლესავს“*. მხოლოდ საკუთარი თავი მიაჩნია „ჯანიოზ“ ექიმად, სხვას კი აძაგებს და სახელს უტეხს. ავტორის თვალსაზრისით, შესაძლოა, ეს ქვეყნის გულწრფელი სიყვარულით მოსდით, მაგრამ ხანდახან უგნურ დედას თავისი ავადმყოფი შვილის გადასარჩენათ

საწამლავიც მიუცია და შვილი მოუკლავს. ასეა ჩვენი ჟურნალ – გაზეთების საქმეცო.

ავტორის წარმოდგენით, ყოველ ჟურნალ-გაზეთს თავისი პოზიცია გააჩნია და მკითხველთა ერთგული დასიც ჰყავს. მკითხველიც მოვლენებს მარტო მათი თვალთ შეჰყურებს. რედაქციებიც მოწინააღმდეგე ჟურნალ-გაზეთებს „უპატიურად“ მოიხსენიებენ, მაშასადამე „ქართულ გამოცემებთან ერთად დაარსებულან სხვადასხვა მკითხველთა დასებიც“, რომელთა შორისაც პარტიულ ბრძოლას ისეთივე ნიადაგი აქვს, როგორც ევროპაში, – ასკვნის წერეთელი. საბედნიეროდ, ერის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ პოლემიკაში არ ჩაბმულა და მოვლენებს ობიექტურად აფასებს, – დასძენს მწერალი. მიუდგომელ მკითხველს იმდენად მკვირცხლი გონება გააჩნია, რომ ჭეშმარიტებასა და ტყუილს ერთიმეორისგან ადვილად არჩევს. გიორგი წერეთლის სურვილია, რომ ქართულმა გამოცემებმა გარემოებისა და „ღონის“ მიხედვით თავიანთი მიმართულება და პროგრამა გაარკვიონ, ხოლო დასების „გარეშე მდგომი“ მკითხველი ჭეშმარიტების მქადაგებელს „გულწრფელად ამოიცნობს“ და მიემხრობა. ავტორის გადმოცემით, დასებთან ბრძოლა არ უნდა გვაშინებდეს, რადგან „ვისაც ერი მიემხრობა, ადრე თუ გვიან ბურთი და მოედანიც მასვე დარჩება“.

გიორგი წერეთლის დაკვირვებით, ოთხმოციან წლებში საქართველოში გამოჩნდა „პაწია დასი განათლებული თაობისა“, რომელმაც საკუთარი გამოცემა „იმედი“ დააარსა. ჟურნალ „იმედის“ აღიარებით, საქართველოს წარმატება გლეხკაცობისაგან უნდა წარმომდგარიყო. ისინი საჭიროდ მხოლოდ გლეხებთან „მუშაობას“ თვლიდნენ. წერეთელი ხუმრობით წერს, რომ „იმედმა“ მხოლოდ გაუნათლებელი გლეხკაცობა სცნო ერად, რომლის „საშოდანაც“ გაჩნდებოდა ის გონებრივი მოძრაობა, რომელიც ქართველ ერს „შეამაგრებდა“. „ჩვენში ხალხოსნობა (იაკობ ფანცხავამ პირველმა უწოდა მათ „ტეტიათა მოტრფიალეები“ – გ. წ.), ე. წ. „ნაროდნიკობის“ დასი, რუსეთის ნაროდნიკების უშუალო გავლენით დაარსდა“, – წერს ავტორი. „ტეტიათა მოტრფიალეებმა“ წარმატებას ვერ მიაღწიეს, რადგან ხალხოსნების „ცალკერმა“ მიმართულებამ ქართველი ხალხის თანაგრძნობა ვერ მოიპოვა და ცხოვრების ახალი მიმართულების „მორევში დაინთქა“, – მიიჩნევს წერეთელი. გადარჩენილებმა კი „ივერიას“ შეაფარეს თავი. მწერალი თვლის, რომ ილიამ, „ივერიის“ თავკაცმა, „ტე-

ტიათა მოტრფიალებზე“ დიდი ზეგავლენა მოახდინა, ელფერი ადვილად შეუცვალა, „შეიტკბო“ და საკუთარი შეხედულებები თავს მოახვია (იხ.: ციციშვილი, მოდებამე, 2021, გვ. 178). მწერალი „ტეტიათა მოტრფიალებზე“ თავის შეხედულებას მოგვიანებით კიდევ ერთხელ გამოთქვამს ზემოთ ნახსენებ წერილში „კიტა აბაშიძე და „ჩვენი ახალგაზრდობა“ (გაზ. „კვალი“, 1897, N46). ავტორს ხალხოსანი მწერლები გლახობასთან დამოკიდებულებაში პირველ დასს აგონებს და ტეტიათა მოტრფიალებს „იგივე სენტიმენტალური მიმართულების“ განმაახლებლებს უწოდებს. წერეთლისთვის მათ შორის სხვაობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ქართველი ხალხოსნების პრინციპი უბრალო, „განუვითარებელი ხალხის წოდების გაღმერთება იყო“. ისინი „ნამდვილ ერად“ ერის მარტო ამ ნაწილს თვლიდნენ და ქვეყანაზე სხვა თუ კიდევ იყო ვინმე, არ სწამდათ. გიორგი წერეთელი ფიქრობს, რომ ქართველ ხალხოსანთა ტექსტები „გლახის ნაამბობისა“ და „ოთარაანთ ქვრივის“ „ნამდვილი შვილია“. იმავე გაზვიადებითა და სენტიმენტალური გაღმერთებით, განუვითარებელი ხალხის ტიპებით, რომლებიც არ იყვნენ „ნამდვილი ცხოვრების წარმონაშობნი“, როგორც ილიას გლახა. ავტორი ხალხოსნებს საკმაოდ კრიტიკულად უყურებს და პირველი დასის გამგრძელებლებად მიიჩნევს. „ღუმანიტარულ მიმართულების“ წარმომადგენლებსა და ტეტიათა მოტრფიალებს შორის მჭიდრო ნათესაურმა კავშირმა „ერთმანეთთან შეათვისტომა ისინი. ბოლოს თვით ტეტიათა მოტრფიალენი დაემორჩილენ უფრო ნიჭიერ გონება-განვითარებულ და ცხოვრების ბრძოლაში გამოცდილ მეთაურს. ტეტიათა მოტრფიალებმა იმდენად შეისისხორცეს „არამც თუ იდეალი, თვით გადაპრეხილი მაღალი ფრაზეოლოგიური ენაც „საქართველოს მოამბის“ და „ივერიის“, სრულეებით გაიქნენ და გადნენ პირველი დასის წყალში“ („კვალი“, 1897, N46).

ამგვარად, წერეთლის მიდგომით, ძველი ნემტი „ტეტიათა მოტრფიალებისა“ „ივერიის“ მიმართულებას შეუსისხლხორცდა და მათ საკუთარი პრინციპი და პროგრამა წარმოადგინეს. გლახკაცობის საწინააღმდეგოდ, „ივერიაში“ წინ თავადაზნაურობა წამოაყენა, როგორც საქართველოს ისტორიული კულტურის ნაყოფი და უპირატესი წოდება. მართალია, რედაქცია ხვდებოდა, რომ წარჩინებული წოდება დაუძლურებელიყო, ამიტომ „ივერიის“ თავკაცები ქადაგებდნენ, რომ თავადაზნაურობას თუ სურდა თავისი ისტორიული როლის

შენარჩუნება და მომავალშიც ქართველი ერის წინამძღოლობა, ევროპული განათლება უნდა „შეთვისებინა“ და თავისი ერთხელ შეძენილი უპირატესობა, სოციალური (საზოგადოებრივი – გ.წ.) მდგომარეობა არ უნდა დაეთმო.

ავტორი მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ საქართველოში ხალხი „კაპიტალისაგან დაჩაგვრას სტიროდა“ და ამ დროს „ივერია“ და „მოამბე“ ერის საკეთილდღეოდ „მეორე გვარის კაპიტალსაც ზედ ამატებდნენ, რათა უფრო ღონივრად გამოეწოვათ საქართველოს სარჩო-საბადებელი“. წერეთლის წარმოდგენით, სალიტერატურო ასპარეზზე ორი დასი არსებობდა. ერთი, რომელიც თავადაზნაურობის კეთილდღეობის პრინციპს ქადაგებდა და მეორე, რომელიც გლეხკაცის ბედისწერის გაუმჯობესებაში ხედავდა ქართველი ერის ხსნას.

ავტორი განმარტავს, რომ „კვალის“ მეთაურებმა ორივე დასის შეხედულება უარყვეს, რადგან ორივე „ცალკერძა და უსრული“ იყო. როგორც „მთელს კაცის ტანს ვერ აცოცხლებს მარტო წელს-ქვემოთი ტანი, ან მარტო წელზე-მოთი, ისე მთელს ქართველ ერს სიკეთე არ დაეყრება, თუ მარტო მის თავადაზნაურობაზე ვიზრუნებთ, ან მარტო მის გლეხობაზე“. ამიტომ „კვალის“ რედაქცია სიხარულით და აღტაცებით შეეგება ახალ მესამე დასს, რომელმაც უარყო „წოდებათა განკერძოება და მათზე მზრუნველობა“. მესამე დასმა თავისი ყურადღების ობიექტად მთელი საქართველო გამოაცხადა, განურჩევლად წოდებისა, შთამომავლობისა და მოხელეობისა. ქართველი ერი მათი შეხედულებისამებრ „შემკრებლობითი არსება“ იყო, რომელშიც თავადიც, აზნაურიც, გლეხიც, მღვდელიც, ვაჭარიც, მოხელეც და დაქირავებული მუშაც ერთად შედიოდა. ამ „შემკრებლობით არსებას საქართველოს ნაცია ეწოდება, ისტორიული კულტურით ზრდილი და გამაგრებული თავის ენით, თავისი ნაციონალური სარწმუნოებით და თავისი ნაციონალური თვით-არსებობით, აი, საგანი ჩვენი ყურდლებისა“ (წერეთელი, 1895, გვ. 10).

წერეთლის მიზანია, რომ ყველა ის ღონისძიება, რომლებსაც შეემლოთ ქართველი ერის გაერთიანება, განმტკიცება, პოლიტიკურად და ეკონომიურად გაღონიერება, მხარდაჭერილი უნდა ყოფილიყო, ხოლო სასტიკი წინააღმდეგობა უნდა შეხვედროდა ყველა იმ მცდელობას, რომლებიც „შემკრებლობითი ერთარსებობის“ რომელიმე ცალ-

კეულ ნაწილს „გააბატონებდა“ და სხვა ნაწილებზე მეტად დააწინაურებდა. აქედან გამომდინარე, წერეთელი არ თანაუგრძნობს და, მეტიც, პრინციპულად ილაშქრებს, რომ „ყოველსავე დაწესებულებას“ ან მარტო თავადაზნაურული, ან მარტო გლეხური ან ვაჭრული ერქვას. ავტორის ოცნებაა, რომ სათავადაზნაურო სკოლაში თავადისა და გლეხის შვილები ერთად სწავლობდნენ, სასოფლო გამგეობაში და სასამართლოში გლეხი და თავადი ერთად „განიგებოდნენ“ და „განისამართლებოდნენ“. ყოველი საერთო კაპიტალი, სულერთია, რა ფორმისაც არ უნდა იყოს ის, ბანკები იქნება თუ საურთიერთო, გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა, სამრეწველო კრედიტი, ყველასათვის ფუნქციონირებდეს და სახელად ქართული დაწესებულების სახელი ერქვას, არა სათავადაზნაურო, ან საგლეხო, არამედ საზოგადო, სანამ ქართველი ერი თანასწორ უფლებებს არ მიიღებს სხვა ერებს შორის. სწორედ ეს ეროვნული პრინციპები წამოაყენა „კვალმა“ და ამიტომაც თავის მომხრეებს უწოდა მესამე დასი, – გვიხსნის ავტორი. წერეთლის განმარტებით, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ორი დასი უკვე არსებობდა და „მოქმედებდა“, ამიტომაც უწოდა ამ ახალ მოძრაობას „კვალმა“ მესამე დასი. აქვე დავძენთ, რომ გიორგი წერეთელი თავს მეორე დასის „კულტურულ თაობას“ აკუთვნებდა, რომელიც დიდი ხანი მოელოდა მესამე დასს და როგორც იქნა, ეღირსა (წერეთელი, 1897, გვ. 45).

ავტორის შეხედულების თანახმად, მე-18-მე-19 საუკუნეების ისტორიულ პროგრესს ჯერ საქართველოსათვის „ნაყოფი არ გამოედო“. მიზეზს კი ის ჩვენში ისტორიული გარემოებებით დამკვიდრებულ გარეშე ძალებში ხედავს და სანამ ისინი „ძლევამოსილნი“ იქნებიან, მანამ ქართველებმაც თავგამეტებით უნდა იშრომონ და მხოლოდ ევროპის პროგრესის კვალს მიჰყვნენ. წარმატების მისაღწევად და „თვითარსებობის“ დასაცავად ქართველებმაც ის იარაღი უნდა იხმარონ, რომელიც ევროპის ერებმა გამოიყენეს. „ამ მისწრაფებაში გამოიხატება ჩვენი პროგრამა და სწორედ ამით განვსხვავდებით ორს ჩვენ წინამორბედ დასებთან, რომელთა წარმომადგენლებად მიგვაჩნია დღეს „ივერია“ და „მოამბე“, – ასკვნის გიორგი წერეთელი.

ჩვენი აზრით, პრიორიტეტის მინიჭება მწერლობის საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და იდეურ დატვირთვაზე, კრიტიკული

აზროვნების ახალი პარადიგმის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მიუთითებს, რაც სრულიად შეესაბამება იმდროინდელ ზოგადკულტურულ სიტუაციას. მოგვიანებით ლიტერატურული პროცესის სისტემატიზაციისა და მწერლობის ისტორიის პერიოდიზაციის ქრონოლოგიურ-იდეოლოგიურ პრინციპზე აგებულმა მოდელებმა დიდი გავლენა მოახდინა მარქსისტული კრიტიკისა და საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ჩამოყალიბებაზე. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში უფრო დეტალურად შევჩერდებით ამ საკითხზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- წერეთელი, გ. (1895). „კვალის“ ორი წლის ნადვანი, „კვალი“, 1895, 5, 8-12.
- წერეთელი, გ. (1897). კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა, „კვალი“, 1897, 46, 1-6.
- ჭილაია, ა. (1964). გიორგი წერეთელი, თბილისი: „ცოდნა“.
- ციციშვილი, თ. მოდებაძე, ი. (2021). ახალი პარადიგმის სათავეებთან. ლიტერატურული ძიებანი, XLI (41), ISSN 0235-3776. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 176-191. <https://doi.org/10.48614/lr.41.2021.176-191>

References:

- Ch'ilaia, Andro. (1964). Giorgi Ts'ereteli. [Giorgi Tsereteli]. Tbilisi: „Tsodna“.
- Ts'ereteli, Giorgi (1895). „K'valis“ ori ts'lis naghvats'i. [„Two years of vork of „Kvali“]. „kvali“, 1895, N5, 8-11. Tbilisi.
- Ts'ereteli, Giorgi (1897). K'it'a Abashidze da chveni akhalgazrdoba. [Kita Abashidze and “Our Youth“]. „kvali“, 1897, N 46, 1-6. Tbilisi.
- Tsitsishvili, T. & Modebadze, I. (2021). Akhali p'aradigmis sataveebtan. [At the head of the new paradigm: Giorgi Tsereteli]. Literary Researches, XLI (41), ISSN 0235-3776, Tbilisi: TSU Press, 176-191. <https://doi.org/10.48614/lr.41.2021.176-191>

გია არგანაშვილი

Gia Arganashvili

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

მედიაციის როლი მხატვრულ კონფლიქტში ქართული ლიტერატურის მაგალითზე

ილია ჭავჭავაძე

The Role of Mediation in an Artistic Conflict on an Example of Georgian Literature

Ilia Chavchavadze

Mediation is an alternative method to resolve a dispute legally, when two or more opposing parties try to end a conflict by mutual agreement with the assistance of a mediator.

Georgian legal succession has both empirical and scientific precondition of mediation. Today mediation is increasingly establishing itself in modern law.

In the 19th century the legislation of Russian Empire acted on the territory of Georgia, which established an institute of conciliatory judges as one of the methods to resolve a dispute. Here it is worth noting for us that Ilia Chavchavadze was appointed to the position of a conciliatory judge.

In that period, it was necessary to resolve those conflicts and tension between the gentlefolk and peasants caused by carrying out „The Peasant Reform”. It was a must to set boundaries of the lands and draw up the transaction deeds for which Ilia Chavchavadze had to go to the villages of Dusheti district and study the reasons for the dispute with an office worker from the date of his appointment.

Maybe it was the practical activity, which made the author see, that the effort of mediation between a master and a servant was doomed at that stage, because relying on only the existing law was quite insufficient to restore a broken bridge between them. That’s why he turned to fiction, which became a kind of scientific research for Ilia Chavchavadze, to reveal those reasons, which were the basis of acute social confrontation in society.

However, what kind of relationship does mediation have with literature, what is its role in ending an artistic conflict, when does an author turn to mediation and is it possible to define a wide circle of mediators in a gallery of the characters of Georgian literature.

In order to answer these questions, we intend to do a systemic research of Georgian literature from its ancient texts to the present. This time we stopped at Ilia Chavchavadze's works only because that the author tried to accommodate different ranks with his congenital talent, determination and calling throughout his life. In this case his artistic texts are really a creative laboratory and the best example to assess the role of mediation in peaceful resolution of a conflict.

By studying them, we can define the role of mediation in fiction as a kind of effort to prevent tragic results of a conflict. Such effort enriches literature and represents a character's nature and his moral side in a positive context.

In the article we will discuss Ilia Chavchavadze's works, his prose compositions and the poems as well in detail in which it is clear to see the author's life experience and the trace of his observation, which is based on his judicial practice while working as a conciliatory judge.

საკვანძო სიტყვები: ალტერნატივა, მედიაცია, კონფლიქტი, ლიტერატურა, შუამავალი.

Key words: Alternative, mediation, conflict, literature, mediator.

ხუთი წლის წინ, როდესაც ამ სტრიქონებს („ლიტერატურა ცხოვრებისათვის“ – „კრიტიკა“ 12-13, გვ.142) ვწერდი, არ ვფიქრობდი, რომ ამ თემას კვლავ დავუბრუნდებოდი და ილია ჭავჭავაძეზე, ამჯერად როგორც მხოლოდ მომრიგებელ მოსამართლეზე, მედიაციის განვითარებაში მისი, როგორც მწერლის, წვლილზე და მხატვრულ კონფლიქტში მედიაციის როლზე მომიწევდა საუბარი.

მეტაფორულად რომ ვთქვათ, მედიაცია მოსისხლეთა შორის ჩავარდნილი თეთრი მანდილია, სამართლებრივად კი დავის გა-

დაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას.

უკანასკნელ წლებში მთელი ცივილიზებული მსოფლიოს მასშტაბით და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს წინაშეც დავის გადაწყვეტის ისეთი ალტერნატიული საშუალებების საჭიროება შეიქმნა, რომლებიც მოდავე მხარეებს ოპტიმალური გამოსავლის მოძიების და დავის მორიგებით დასრულების შესაძლებლობას მისცემდა. მედიაცია, როგორც მხარეთა მორიგების მიზნით მესამე, ნეიტრალური პირის (მედიატორის) დახმარებით წარმართული პროცესი, ამ ქვეყანაში კოლონისტების დროიდან არსებობდა, თუმცა, როგორც სასამართლოს მიერ შეთავაზებული დავის გადაწყვეტის ალტერნატივა, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში აღმოცენდა, სწორედ იმ დროს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლო ხელისუფლებისადმი უნდობლობამ და უკმაყოფილებამ იმატა.

ევროპულ სახელმწიფოებში მედიაციის ინსტიტუტის ხელახლა დამკვიდრებას ხელი შეუწყო 2002 წელს ევროპარლამენტის მიერ მიღებულმა „მწვანე ფურცელმა“, რომელსაც 2008 წელს მოჰყვა „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ“ ევროპული დირექტივა. მისი მიზანი იყო ევროპაში ხელი შეეწყო მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის საშუალების, დამკვიდრებისა და განვითარების პროცესისათვის. ევროკომისიისა და ევროპარლამენტის წევრებს სურდათ, დახმარებოდნენ სასამართლოს გარეთ მოდავე მხარეთა შორის მორიგების პროცესს სასამართლო პროცესის მნიშვნელობის დაკნინების გარეშე, ასევე, ხელი შეეწყოთ და განემტკიცებინათ დაბალანსებული ურთიერთობა სამედიაციო ინსტიტუტებსა და სასამართლო სისტემას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მესამე ნეიტრალური პირის დახმარებით კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გამოცდილება ცნობილი იყო, თანამედროვე მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, მხოლოდ და მხოლოდ საწყის ეტაპზეა. 2011 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელიც პირველად შეეხო მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსისათვის უცნობ სა-

მართლებრივ ინსტიტუტს – სასამართლო მედიაციას. აღნიშნული ცვლილება მედიაციის თანამედროვე მოდელის დანერგვის მიზნით გადადგმული პირველი ნაბიჯი გახდა, რაც თავისთავად ისტორიული ფაქტია. საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ ქართულ სამართლებრივ სივრცეში ინტერესი მედიაციის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაზეც ამ დროიდან მოყოლებული მედიაციის თემატიკაზე ჩატარებული სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიება, გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და მედიატორთა ასოციაციების დაარსებაც მეტყველებს.

აღსანიშნავია, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, არ არსებობდა მესამე ნეიტრალური პირის – მედიატორისა და მოსამართლის ერთმანეთისაგან ისე მკაცრად გამიჯნული ფუნქციები, როგორც ეს თანამედროვე მართლმსაჯულებაშია. ამის დამადასტურებელია, ერთი მხრივ, სამოსამართლო სამსახურში მყოფ იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთა ფუნქციებში, სხვა საკითხებთან ერთად, დავების მშვიდობიანი გადაწყვეტაც შედიოდა. მათ შორის იყვნენ რჯულის კაცი, მსაჯული, მდივანბეგი, ბჭე-მედიატორი, მორევი, ხევისბერი და ა.შ.

დღეს უკვე შესაძლებელია ვისაუბროთ სასამართლო მედიაციის ქართულ მოდელზე, შევეცადოთ, ერთი მხრივ, მისი ევრო-ამერიკულ პრიზმაში განხილვა. მეორე მხრივ კი, იმ ტრადიციული ფესვების მოძიება, რომლებიც შენახულია ქართულ წეს-ადათში, ხალხურ გადმოცემებში, ქვეყნის ადრინდელ სამართლებრივ კანონებში და მასთან ერთად ლიტერატურის ისტორიაშიც.

მედიაციის როლის გარკვევა მხატვრული კონფლიქტის გადაჭრაში ნაციონალური მწერლობის მაგალითზე საშუალებას მოგვცემს, რომ „სხვა კარიდან შევიხედოთ“ ქართული ლიტერატურის ისტორიაში, სრულიად განსხვავებულ ჭრილში დავინახოთ ჩვენი ლიტერატურული აზროვნების ზნეობრივი და ესთეტიკური საფუძვლები. ამასთანავე, უფრო აქტიურად გამოვიყენოთ მისი მრავალსაუკუნოვანი სასარგებლო გამოცდილება თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებისა და ურთიერთობის ნორმალიზების სფეროში.

ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული კვლევა-ძიების შედეგად ქართული ლიტერატურის გმირთა გალერია მედიატორთა კლასიკური ტიპის პერსონაჟებით შეივსება.

მედიაცია მხატვრულ ლიტერატურაში თხრობის საფუძვლის ერთგვარ გაძლიერებასაც ემსახურება, მხატვრულ კონფლიქტში კი მედიაცია ის ელემენტია, რომელიც დაპირისპირების მოტივაციას აჩენს და სიუჟეტის სხვაგვარად განვითარების შესაძლებლობას გვკარნახობს ან მისი ტრაგიკული დასასრულის უალტერნატივობაში გვარწმუნებს.

აქედან გამომდინარე, მხატვრულ ლიტერატურაში მედიაციის როლი შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც კონფლიქტის თავიდან აცილების მცდელობა, ამ ფუნქციას ხანდახან კონფლიქტის რომელიმე მონაწილე იღებს საკუთარ თავზე, ამას კი უმრავლეს შემთხვევაში წარუმატებლობა მოჰყვება ხოლმე, რადგან მედიატორი აუცილებლად ნეიტრალური პირი უნდა იყოს. თუმცა ლიტერატურა ხშირად მიმართავს ამ დაშვებას, რადგან ეს ამდიდრებს თავად პერსონაჟის ბუნებას და მის მორალურ მხარეს პოზიტიურ კონტექსტში წარმოგვიდგენს,

მედიაცია-შუამავლობის თემას უფრო მეტად დავაახლოვებთ ლიტერატურასთან, თუ გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედმა რუსეთის იმპერიის კანონმდებლობამ დავის გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებად მომრიგებელ – მოსამართლეთა ინსტიტუტი დაამკვიდრა. აქ ჩვენთვის საყურადღებო ის ფაქტია, რომ ერთ-ერთი მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე ილია ჭავჭავაძე დაინიშნა.

იმ დროს აუცილებელი გახდა გლეხთა რეფორმის გატარებით გამოწვეული კონფლიქტებისა და დამაბულობის მოგვარება თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის, ასევე, მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენა, გარიგების სიგელების შედგენა, რის გამოც ილია ჭავჭავაძეს დანიშვნის დღიდანვე მოუწია კანცელარიის მუშაკთან (მწერალთან) ერთად დუშეთის მაზრის სოფლებში სიარული და დავის მიზეზების შესწავლა.

სამწუხაროდ, მორიგების კონფედენციალური ხასიათიდან და საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში დაცულ საკანცელარიო მასალათა (ინფორმაციული თვალსაზირისით) სიმწირიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა ილია ჭავჭავაძის მიერ უშუალოდ ჩატარებულ მორიგების პროცესის მსვლელობის ამსახველი ბევრი მასალის მოპოვება. დაცულ მასალათა შორის ნაპოვნია მხოლოდ ორი საქმე, რომლებშიც ილია ჭავჭავაძემ წარმატებით მოახერხა მხარეთა მორიგება.

პირველი მათგანი მღვდელ შიო ბ-ს და ფილიპე ა-ს შორის არსებული დავა იყო: „მე, მომრიგებელმა მოსამართლემ, დავარწმუნე ორივე მხარე ამ საქმის მშვიდობიანი შეთანხმებით დამთავრებაში, შეთანხმებაში მასზედ, რომ ფილიპე ა გადაუხდიდა მღვდელს ხუთი მანეთის ნაცვლად ოთხ მანეთს და დაუბრუნებდა ცხვარს. ამაზე მათ გამოხატეს თავისი თანხმობა. შესაბამისად, ილია ჭავჭავაძემ შეწყვიტა საქმის წარმოება და გადასცა იგი არქივს შესანახად“ (1868 წლის 23 სექტემბრის ოქმი, №289-1 საქმეზე, დაცულია საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში).

მეორე საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ურმის სოფლის მცხოვრებმა თიკო ქ-ს თავისი ქმრის ქუციკა ქ-ს მრუში ცხოვრების გამო განცხადებით მიმართა სასამართლოს: „დავარწმუნე ბრალმდებელი და ბრალდებულები ამ საქმის მორიგებით დამთავრებასა და ერთმანეთისათვის მიყენებული წყენისა და შეურაცყოფის პატიებაში, ცოლისა და ქმარის ოჯახური უფლებებისა და მოვალეობების სიწმიდის სრულად აღდგენაში. ბრალმდებელმა და ბრალდებულებმა გამოხატეს თავიანთი თანხმობა ჩემს შეგონებაზე და შერიგდნენ რა, ითხოვეს ამ საქმის დავიწყებას მიცემა და წარმოებით შეწყვეტა. წერაკითხვის უცოდინარობის გამო ხელი არ მოაწერეს“, – ვკითხულობთ საქმის ჩანაწერში (1868 წლის 23 ივლისის ოქმი №128 საქმეზე, დაცული საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში).

ის, რომ ილია ჭავჭავაძე აქტიურად იყენებდა მორიგების მეთოდს და წარმატებით ართმევდა თავს საქმეს, კარგად ჩანს ისტორიულ არქივში დარჩენილი საკანცელარიო ჩანაწერებიდანაც, თუმცა მათში არ არის მოცემული საქმის უშუალო გარემოებებისა და მხარეთა შორის სადავო საგნის შესახებ ინფორმაცია.

ბუნებრივია, რუსული წესების შემოღებამ ბჭე-მედიატორების ფუნქციები ეტაპობრივად შეკვეცა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ მათი არსებობა მაინც კარგ წინაპირობას ქმნიდა მე-19 საუკუნის საქართველოში მომრიგებელი სასამართლოების დასამკვიდრებლად, რის გამოც მთელ ამ ღონისძიებას დადებითად აფასებდა ილია ჭავჭავაძე თავის სტატიაში „მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში“ (წერილი მეექვსე):

„არც ერთს კანონმდებლობას რუსეთში ისეთი გარკვეული და ჭეშმარიტი აზრი არ ჩაჰრთვია, როგორც განსამართლების წესსა საზოგადოდ და მომრიგებელ მოსამართლობისას ცალკედ; არცერთს კანონმდებლობას არ შეჰხვედრია იმისთანა კაცნი, რომელთ ცოდნადა გონებითი ძალნი ესე შესაფერად შესწვდომოდეს ამისთანა მაღალს „უადრესს და რთულს საქმეს... კანონმდებლობა რუსეთში სხვას არც ერთს საქმეს ასე ცნობიერად, გულმოდგინედ და ჭეშმარიტების სიყვარულით არ შესჭიდებია. ამიტომაც განსამართლების წესი რუსეთისა საზოგადოდ უფრო მოსაწონია, ვიდრე დასაწუნი, და ამაზედ უფრო მოსაწონია მომრიგებელ მოსამართლის დაწყობილება, გარდა ზოგიერთი ნაკლისა, რომელიც შეჰყოლია წესს სხვადასხვა გარემოებების გამო. ეს სიკეთე... აღიარებულია რუსეთის უკეთესთა კაცთაგან და ევროპიელ მეცნიერთაგანაც“ (ჭავჭავაძე, 1987ბ, გვ. 355).

შესაძლოა, ამ დაკვირვებამ და პრაქტიკულმა საქმიანობამ დაანახა მწერალს, რომ ბატონსა და ყმას შორის შუამავლობის (მედიაციის) მცდელობა იმ ეტაპზე მაინც განწირული იყო, რადგან მხოლოდ არსებულ კანონზე დაყრდნობა სრულიად არასაკმარისი მცდელობა იყო მათ შორის ჩატეხილი ხიდის აღსადგენად. სწორედ ამგვარი საკითხების „მეცნიერული კვლევა-ძიების“ მაგალითად აქცია მან თავისი მხატვრულ შემოქმედება, რომელშიც ავტორი ცდილობდა გამოეშვარავებინა ის მიზეზები, რომლებიც მწვავე სოციალური დაპირისპირების საფუძველი იყო საზოგადოებაში.

ვიდრე ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ამ კუთხით განხილვას შევუდგებით, წინასწარ უნდა განვსაზღვოთ კონფლიქტის, როგორც ორი ან მეტი მხარის ინტერესების, მიზნების, შეხედულებების დაპირისპირების, რაობა და ტიპოლოგია.

კონფლიქტი ადამიანთა ურთიერთობების განუყრელი ნაწილი და ბუნებრივი კომპონენტია. როგორი მოწესრიგებულიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ყოფა და როგორ გამართულადაც არ უნდა მუშაობდნენ სამართლებრივი ინსტიტუტები, სოციალურ კონფლიქტებს თავიდან ვერ ავიცილებთ, რადგან ის ადამიანთა ურთიერთობის თანმდევი მოვლენაა, რომელსაც როგორც დადებითი, ისე უარყოფითი

შედგის მოტანა შეუძლია. თუ რიგ შემთხვევებში კონფლიქტი დაპირისპირების, ძალადობისა და განადგურების საფუძველი ხდება, სხვა შემთხვევებში იგი ახალი იდეების, შესაძლებლობებისა და წინსვლის საწინდარი შეიძლება აღმოჩნდეს. შესაბამისად, კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი ენერჯის პოზიტიურად გამოყენების შემთხვევაში იგი მშვიდობის, პროგრესისა და მრავალფეროვნების საფუძველი ხდება.

განასხვავებენ კონფლიქტის ოთხ ძირითად ტიპს:

1. **პიროვნებათაშორისი კონფლიქტი** – ვლინდება უმეტესად მატერიალური, შრომითი, ღირებულებითი, ემოციური, ფინანსური დაპირისპირების, აგრეთვე სხვადასხვა ხასიათისა და წარმოდგენის მქონე ადამიანების დაპირისპირების დროს.

2. **პიროვნების შინაგანი კონფლიქტი** – შინაგანი კონფლიქტი წარმოიშვება იმის გამო, რომ ზოგჯერ ადამიანს ერთსა და იმავე საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები უყალიბდება. ასეთი სახის კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, როცა საზოგადოების მოთხოვნები არ ან ვერ ემთხვევა პირადს.

3. **კონფლიქტი პიროვნებასა და ჯგუფს შორის** – პიროვნებასა და ჯგუფს შორის კონფლიქტი წარმოიშვება მაშინ, როცა ჯგუფის მიერ დაწესებული ქცევის ნორმები მიუღებელია პიროვნებისთვის ან ამა თუ იმ საკითხის შესახებ პიროვნებას აქვს ჯგუფისგან განსხვავებული პოზიცია.

4. **ჯგუფთაშორისი კონფლიქტი** – ჯგუფთაშორისი კონფლიქტი გულისხმობს დაპირისპირებულ მხარეებს` და ჯგუფებებს შორის არსებულ უთანხმოებას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით. მხარეები ცდილობენ თავიანთი ინტერესების დაკმაყოფილებას მეორე მხარის ინტერესების ხარჯზე.

კონფლიქტში, რომელიც ძირითადად ძალადობის თავიდან აცილებაზე არის ორიენტირებული, გამოყოფენ მისი მართვის, მოგვარების და კონფლიქტის ტრანზფორმაციის სხვადასხვა ეტაპს. უნდა ვთქვათ, რომ მხატვრული კონფლიქტის შემთხვევაშიც ეს სტრატეგიები მუშაობს და მისი სამაგალითო განხილვა ხელს შეუწყობს კონფლიქტების შესწავლის აკადემიური დისციპლინის განვითარებას.

ჩვენ შეგვეძლო ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების განხილვას ქრონოლოგიური პრინციპით შევდგომოდით, რაც არა მხოლოდ პროზაულ,

არამე პოეტურ ნაწარმოებებსაც მოიცავდა, თუმცა დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ თითოეულ ნაწარმოებში სხვადასხვა სახის კონფლიქტი იჩენს თავს და უმჯობესი იქნებოდა მათი განხილვა სწორედ კონფლიქტის სახეობების მიხედვით გვეცადა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მედიაციის ყველაზე მასშტაბური და საფუძვლიანი მცდელობა სწორედ მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ არის წარმოდგენილი. ამ „პატარა ამბავში“, რომელიც სამართლიანად შეგვიძლია ახალი ქართული ლიტერატურის საფუძლად მივიჩნიოთ (ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ, ჩვენ ყველანი ილიას „სარჩობელადან“ მოვდივართ), მთელი ქვეყანა ორ პირობით მხარედ (მოდალადე და მსხვერპლი) არის გაყოფილი და მათი შერიგება ბებერ პეტრეს აქვს დავალებული.

საინტერესოა, რომ მის ამ ფუნქციას ვერც მკითხველი და, რაც უფრო საკვირველია, ვერც პერსონაჟი გრძნობს (აკი ამბობს კიდეც „მერა შუაში ვარო“), არადა თავისი ხასიათით, წარმომავლობით, თვისებებით, ასაკით და მოწოდებით სწორედ ის ადამიანია, რომელიც ამ დაპირისპირებაში შუაში (შუამავლად) უნდა ჩამდგარიყო.

ამის ნიშანს ის პირველად მაშინ ამჟღავნებს, როდესაც ლოჭინის ხევში დამდგარ მეურმეებთან ორი ყმაწვილი მიდის და დახმარებას სთხოვს. მათი ნაყალბევი მონათხრობიდან (რაზეც მეურმეები მხოლოდ დაცინვით პასუხობენ) პეტრეს მხოლოდ ის სიტყვები ესმის, რომ ძმები ორი დღის მშვივრები არიან და ამ უცხო ქვეყანაში არავის დახმარების იმედი აღარა აქვთ.

„-ვაი ჩემს გამჩენს! — უპასუხა ერთმა დროულმა მეურმემ — უცხო ქვეყანაში რად იქნებით!.. ასე გონია, სათათრეთში რომ ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა. პურსაც გაჭმევთ, ღვინოსაც დაგალევენებთ და კაი ქეიფსაც გაგაწევენებთ. ვაი ავ-კაცს, რომ თქვენი ცოდვა აუღია, თორემ თქვენ რა გიჭირთ? ასე ჩაგიყვანთ ქალაქშია, რომ ქარიც არ მოგადინოთ“ (ჭავჭავაძე, 1988, გვ. 226).

ამ სიტყვებით, უფრო კი თავისი ქმედებით, პეტრემ ძმების გული დაიურვა. მისმა გულკეთილობამ კინალამ მადლის შუქი არ ჩააწვდინა მათ ბნელ გულამდე, კინალამ არ მონადირა მათი (განსაკუთრებით უმცროსი ძმის) გულები, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო

ამ ბუნებითმა მედიატორმა ვერ შეძლო „მხარეთა“ კონსტრუქციული კომუნიკაცია და ვერ უზრუნველყო მათ შორის შეთანხმების მისაღწევად საჭირო გარემოს შექმნა.

პეტრეს მიერ ჩადენილი სიკეთე ნეიტრალური საზოგადოების მხრიდან ერთადერთი სამშვიდობოდ გაწვდილი ხელია ძმებისკენ, თუმცა უნდობლობის გამო ძმებმა სიავით უპასუხეს ამ შეთავაზებას (დავიმახსოვრით, რომ დაპირისპირებულ მხარეთა შორის არსებული უნდობლობა ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, რის გამოც მედიაციის განვითარებას მუდმივი წინააღმდეგობა ექმნება). ამიტომ პეტრეც ჩატეხილი ხიდის მეორე მხარეს აღმოჩნდა. გლეხურმა გულუბრყვილობამ და უქმმა ცნოსმოყვარეობამ ამ წუთისოფელში ისიც სანახაობის მაცურებლად აქცია, „თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი...“ (ჭავჭავაძე, 1988, გვ. 238).

თუ გრიგოლ კიკნაძის ნათქვამს დავესებებით, „ჩვენს მშობლიურ ლიტერატურაში პირველი კაცი, რომელმაც ქართველი ხალხის თვისებების წვდომა დაისახა თავის შემოქმედების მთავარ მიზნად, ილია ჭავჭავაძე იყო“ (1999, გვ. 205). მის ნაწარმოებთა შორის კი ერთ-ერთი უპირველესი საკაცობრიო პრობლემებით სწორედ „სარჩობელაზედ“ არის, ხოლო პერსონაჟთა შორის კი პეტრე იყო, როგორც ბუნებითი მედიატორი, რომელიც შეეცადა (თუმც კი გაუზარებლად) საზოგადოების სხვადასხვა დაპირისპირებულ მხარეს შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანებას.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში სოციალური დაპირისპირების მაგალითი ყველაზე სქემატურად (ჟანრის გათვალისწინებით) მის ერთ-ერთ პოემაში „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ წარმოგვიდგება. კონფლიქტი ამ შემთხვევაშიც (ისევე როგორც ილია ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებაში) ბატონისა და ყმის ურთიერთობის „უსამართლო სამართლის“ ნეგატიურ შედეგებს ეხება, რომლის ძალითაც ყმა იძულებულია თავისი ვაჟი ბატონის სასარგებლოდ ამსახუროს და მოხუცი მამის სამართლიანი მოთხოვნა არად ჩააგდოს.

საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ურთიერთობაზე არსებით გავლენას ვერ ახდენს დროის მდინარეობა და გარემოებათა

ცვლილება. მაშინ, როდესაც ხიდის ერთ მხარეს მებატონის ტიპური სახე („ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი“) იცნობა, ხოლო მეორე მხარეს კი სიბერისგან დაუძღვრებული გლეხკაცი დგას. თუმცა ყმა-გლეხი მაინც ემორჩილება საუკუნეების განმავლობაში ტრადიციითა და ადათით განმტკიცებულ წესს და პოემაში ზაქროს მამის სახით ჩვენ ვხედავთ არა ბატონის წინააღმდეგ ამბოხებულ ქვეშევრდომს, არამედ გონიერ მსახურს, რომელიც ცდილობს ბატონთან ურთიერთობა კვლავაც მშვიდობიანად, საერთო სარგებლიანობის საფუძველზე მოაგვაროს:

შენს სადღეგრძელოდ
ოღონდ ზაქარა შინ დაითხოვე,
რომ უკან წასულს ოჯახს ვუშველოთ,
და მერე თუნდა ჩიტის რძე გვთხოვე.
კულუხს, კოდის-პურს, გადასახადსა
ერთი-ორადა მოგართმევთ შენა;
თუ დავაყენებთ ფეხზედ ოჯახსა,
არ გავექცევით სამსახურს ჩვენა.
(ჭავჭავაძე, 1887ა, გვ. 220)

მკითხველმა იცის, რომ ყმის გონიერ შეთავაზებას ძალაუფლებით განმტკიცებული ბატონის შეუვალი პოზიცია ხვდება („ეგ რომ არ იყოს, გაექცევოდი შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბრძანებასა?..“), რომელიც ამ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ყოველგვარ საფუძველს აცლის.

ამ ნაწარმოებში დაპირისპირებულ მხარეთა შორის მედიაცია თავის სამართლებრივ წესზე ვერ ხორციელდება (გლეხი თვითმედიაციას ეწევა), რადგან ამ სოციალურ ურთიერთობაში ნეიტრალური პირის – მედიატორის – როლი არასოდეს ყოფილა გათვალისწინებული, რამაც ბატონისა და ყმის საუკუნოვანი დაპირისპირება და მათთან ერთად ქვეყნის ბედიც საბედისწერო დასასრულამდე მიიყვანა.

წინააღმდეგობის ასეთივე ყრუ კედელს აწყდება ყმა გაბრიელის თხოვნაც (ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „გლახის ნაამბობი“), როდესაც ის თავისი თანშეზრდილი ბატონისგან ბედნიერების უფლებას ითხოვს და მასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობს:

„– დათიკო! სად მიგყევარ? ნუ გამწირავ, შემობრაღე შენი გაბრიელ!..

– წყალსაც წაუღიხარ.

– გოგოს მარტო მე უნდივარ, დათიკო! ღმერთთან ცოლ-ქმრობის პირობა მიგვიცია...

– ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და თქვენი პირობაცა.

– დათიკო! შენ შენს ბედისწერას აუტანიხარ.

– დამეკარგე აქედამ!

– დათიკო!.. არ გეცოდება იმისი დროული მამა? იმის მეტი შვილი არა ჰყავს. ნუ დაასხამ თავზედ ლაფს, ნუ დაეწყევლინები...

– აქედამ გამეცალე-მეთქი, – შემომჰყივლა.

– დათიკო! არ გებრაღება ის ღვთის სული, უცოდველი გოგო? ნუ წაართმევ ნამუსს! მე მაჩუქე იმისი თავი.

– მერე შენ გაჩუქებ....“ (ჭავჭავაძე, 1983, გვ. 199).

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ავტორი ეჭვის ნატამალსაც არ უტოვებს მკითხველს. კონფლიქტი, თავისი ტრაგიკული შედეგით, გარდაუვალია, რადგან ერთი მხარე (ბატონი) შეუვალია რაიმე ცვლილებების მიმართ და მეორე მხრივ ყმა, რომლისთვისაც არჩევანი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გადის. თუმცა ამ ნაწარმოებში სხვა ტიპის კონფლიქტებსაც ვაწყდებით, რომლებშიც მედიაციის სრუყოფილად განხორციელების მოწმენი ვხდებით. ამჯერად დავაში მედიატორად ნეიტრალური პირი – მღვდელი გვევლინება. ნაწარმოებში მღვდელი გლეხს, პეტრეს, სწავლის, წიგნის სიკეთეზე ესაუბრება და სწავლის აუცილებლობაში არწმუნებს. მოლაპარაკება ამ შემთხვევაში ვერტიკალურია, რადგან მომლაპარაკებლის როლში გამოდის სულიერი ლიდერი და მოლაპარაკებას ის საკუთარ მრევლთან მართავს.

ტიპოლოგიურად ეს დაპირისპირება ღირებულებათა ნიადაგზე წარმოქმნილ პიროვნებათშორის კონფლიქტს წარმოადგენს. ამგვარი კონფლიქტები დაკავშირებულია გარკვეულ დამოკიდებულებებთან ამ თუ იმ ღირებულებისადმი ან მოვლენისადმი. იმისადმი, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი, სამართლიანი და უსამართლო, მორალური და ამორალური, სასარგებლო და მავნე. მართალია, ჩვენ არ

მოგვეპოვება დაწვრილებითი ჩანაწერი ილია ჭავჭავაძის მომრიგებელი მოსამართლეობის პრაქტიკიდან, არ ვიცით, თუ როგორ აჯერებდა მომჩივნებს თავის სიმართლეში, თუმცა მღვდლის პეტრესთან დიალოგის მცირე ნაწყვეტის გაცნობა და პეტრეს შეხედულების მყისიერი ცვლილება გვარწმუნებს ავტორის ლოგიკის სიმტკიცესა და დამარწმუნებელ ძალაში:

„– კაცო! – უბძანა მღვდელმა, – მართალია, შენ შვილს შენ უშლი სწავლასა?

– მართალი გახლავთ. რა მაგის საქმეა? არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი, შენი ჭირიმე! – უპასუხა თამამად პეტრემ.

– როგორ თუ არა იყო გვარი მისი?

– ესე, შენი ჭირიმე! ჩვენ გლახკაცებს გვეძახიან, დღე-ღამე ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ. ღმერთს ეგრე უბძანებია: „ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენით“. ეს ღვთის ბრანება მარტო ჩვენ დაგვაწვა კისერზედ და ვეწევით კიდეც. წიგნი რა ჩვენი საქმეა? ის ჩვენ დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძღობს. ჩვენი წიგნი დედამიწაა, ვენაცვალე იმის მადლს! როცა დედამიწას მწვანე ხავერდსავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსაცა. ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კიდეც გულ-ღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია. ამოვაწებთ ოფლში გუთანსა, გადვუხსნით ხოლმე დედამიწას მადლიან გულსა, ჩავაყრით შიგ თესლსა, როცა დრო მოვა – მივალთ – და ის დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთი-ორად მაინც არ დაგვიბრუნოს. ტყუილად კი არ ეძახიან მიწას: „დედაო“, ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღე-ღამე, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის, შენი კვნესამე! წიგნი კარგია, ვინ არ იცის? ბევრიც სხვა რამეა კარგი ამ ქვეყანაზედ, ჩვენ იქამდინ ხელი არ მიგვიწვდება... გაგიბედავთ, შენი ჭირიმე, და გეტყვით, ჯერ კუჭი უნდა გავიძლოთ, კუჭი!.. ჩვენი თავდაპირველი გულის-ტკივილი ეს არის!...(ჭავჭავაძე, 1988. გვ. 149).

აღარ გავაგრძელებ კამათის ხელოვნების დემონსტრირებას (მკითხველს შეუძლია მას გაეცნოს), მხოლოდ იმ ფრაგმენტს შემოგთავაზებთ, რომელშიც ჯერ კიდევ ორი წუთის წინ თავის სიმართლეში დარწმუნებული პეტრე როგორი აღფრთოვანებით ეზიარება ახალ ცოდნას და ემორჩილება მღვდლის რჩევას, რომელიც მის შვილს და მთელ მის გვარს ახალ მომავალს ჰპირდება:

– დაილოცა შენის ენის პირწყლიანობა!.. ღმერთი მაღლიდამ გიყურებს, შე ღვთისაგან კურთხეულო ადამიანო, რომ მე სულის წაწყმედისაგან დამიხსენ. წელან გელაპარაკებოდი ბრმა; შვილის ცოდვაში ვდგებოდი, ეხლა, შენის მადლიანის ენით თვალხილული, გეუბნები: ის მამა შვილის დამლუპავი ყოფილა, რომელსაც შენისთანა ღვთის კაცი გამოუჩნდება შვილის გასაწურთვნელად და არ გააწურთვნიებს. ნუ შეჯდება მწყერი ხესა, ნუ იქნება გვარი მისი, ჩემმა შვილმა კი წიგნი უნდა იცოდეს, შენი ჭირიმე!.. მომეცი ხელი, შენი კვნესამე!.. ერთი გემთხვიო!..“ (ჭავჭავაძე, 1988, გვ. 151).

ამავე ნაწარმოებში მღვდელი-მედიატორი უფრო მკაცრი, პირდაპირი და კატეგორიულია, როდესაც კონფლიქტი ძმათაშორის დაპირისპირებას ეხება და მოძღვარი საკუთარ მრევლს უპირველესად ქრისტიანული მცნებების დარღვევასა და სახარებისეული ცოდნის დავიწყებაში ამხელს:

„– ზაქარიავ! არა გრცხვენიან, კაცო, რომ ძმასთან ვერ მოთავსებულხარ, ძმასთან!.. ვინც შეიტყობს, რას იტყვის? სირცხვილია, სირცხვილი! თავზედ ერთი ბეწვიც აღარა გაქვს შავი და მაგისთანა საქმეებს კი სჩადი.

– რა ვქნა, შენი ჭირიმე? – უპასუხა იმან ცოტად შერცხვენილმა, – განა რომ მრცხვენიან, მაგრამ ერთი აჯამი რამ არის, მოუსვენარი. ღმერთია მოწამე, მე უბრალო ვარ.

– ნუ ჰცრუობ მაგ-დროული კაცი, ცოდვაა!.. დღეს არ გეუბნებოდიტ საყდარში, რომ ქრისტე-ღმერთმა მტრის სიყვარულიც ბძანა, და შენ კი, მტერი კი არა, ღვიძლი ძმა ამოგიძულეხა. სირცხვილია!.. უშვილო კაცი ხარ, დროული... თუ

კაცისა არა გრცხვენიან, ღმერთი ხომ ყველასა ჰხედავს, რა პირით შეხვდები?

– აბეზარსა ვარ მოსული, ამ საყდრის მადლმა და შენი რისხვა არა მაქვს! ძმარს მაწურებს ცხვირში! სხვა არა იყოს-რა, უფროსი ძმა ვარ...

– მე არ ვიცი! თქვენ ორივე მტყუანები ხართ ღმერთთანაც და კაცთანაც, იმიტომ, რომ ძმები ხართ და ჰჩხუბობთ კი. ამ ხალხთან გეუბნებით შენცა და შენს ძმასაცა: თუ ერთიერთმანეთის პატივი არ გექნებათ, საყდარში აღარ შემოგიშვებთ“ (ჭავჭავაძე, 1988, გვ. 152).

სატირულ დონეზე წარმოგვიდგება ძმების ურთიერთობა ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ და მათი კომიკური სახეების შექმნაში თავის „პოზიტიურ“ როლს მედიაციის მეთოდი ასრულებს, როდესაც ლუარსაბისა და მოსეს (მომავალი სიძე-სიმამრის) დაპირიპირებაში ლუარსაბის ძმა დავითი მედიატორის არნახულ ნიჭსა და უნარს ამჟღავნებს:

„– დავით! – უეცრად გადაასხვაფერა სიტყვა მოსემ და ხმაც მოურბილა, – აქეთ მობძანდი.

დავითი გაჰყვა. იქით ორნივე გაშორებით გადგნენ. მოსემ ამოიღო ხუთი თუმანი და უთხრა ხმადაბლა დავითს:

– ეს ხუთი თუმანი, დაჩუმდი, შენ რა გინდა? შენ ხომ არ ირთავ?

დავითი დარბილდა.

– ხუთ თუმანზე ძმა როგორ გავყიდო? – უპასუხა.

– შვიდი იყოს.

– ან შვიდად.

– რვა იყოს.

– ვერც რვა თუმნად.

– აშ რამდენი გინდა?

– ათი მაინც იყოს.

– ცხრაზედ რას იტყვი?

– არა, ათი.

– ეჰ, ჯანი გავარდეს: ათი იყოს“ (ჭავჭავაძე, 1988, გვ. 99).

ამ ნაწარმოებში ამგვარი „წარმატებული“ მედიაციის არაერთი მაგალითი ელოდება მკითხველს (ლუარსაბსა და სუტ-კნეინას, სუტ-კნეინასა და მოსეს, ლუარსაბსა და მკითხავს შორის), თუმცა ამ ხაზს აღარ გავყვები და ილია ჭავჭავაძის ამ თვალსაზრისითაც ურთულესი ნაწარმოების, „ოთარაანთ ქვრივის“, განხილვას შევეცდები.

საგულისხმოა, რომ „ოთარაანთ ქვრივის“ ერთ-ერთ ეპიზოდში გიორგის დახასიათების დროს ავტორი მისი მხრიდან კონფლიქტების გადაწყვეტის ძალადობრივ მეთოდებზე ამახვილებს ყურადღებას და, რაც უფრო საკვირველია, თავად ოთარაანთ ქვრივიც ხელს უმართავს შვილის ამგვარ ქმედებას:

გავიხსენოთ თითოეული ეპიზოდი:

გიორგის პირველი დაპირისპირება კუპრაანთ თედოსთან მოუხდა, როდესაც თედომ მანასაანთ გოლას ქამრის ღილები წაართვა და პატარა გიორგიმ სამართლიანობის აღდგენა ძალის გამოყენებით სცადა.

ნაცემი და ნამტირალევი გიორგი დედამ ანუგემა.

„– არ დამავიწყდება. დაიცა, ერთი გავიზარდო!... მე ვუჩვენებ, – ცემა როგორ უნდა“, – იყო გიორგის პასუხი. როგორც ჩანს, გიორგის ეს ქადილი მთლიანად ჯდება მემკვიდრეობითობის იმ წესში, რომელსაც ოთარაანთ ქვრივის აღზრის მეთოდი ეყრდნობა: „– სულ ცხონებული მამაა, ცხონებული მამა, – გაიხარა დედამ, – უი, შენ კი გენაცვალოს დედა – შენი, ჩემო ქებავ და დიდებავ!“ (ჭავჭავაძე, 1988, გვ. 254).

მეორე შემთხვევაში ოთარაანთ გიორგის პირუტყვის წვალება გააგულისებს და ომარაანთ მოჯამაგირესთან დავას ისევ ძალის გამოყენებით გადაჭრის. აქვე ფრაგმენტულად ვიგებთ გიორგის ბეჟანიშვილების მოჯამაგირესთან წაკიდების ამბავს და იმასაც, რომ გიორგის „ერთი ლაზათიანი, შენი მოწონებული ჩაუთხლეშია“ თავში მოჯამაგირისთვის და უთქვამს: „– შე ადრე და მალე დასაბრმავებლო, ვერა ხედავდი, კამეჩები ირჩობოდნენ, რა პირით მიდიოდი შენ პატრონთანაო“ (ჭავჭავაძე, 1988, გვ. 258).

მეოთხე ეპიზოდშიც კონფლიქტის მიზეზი ისევ პირუტყვის წვალება ხდება. არჩილის მეჯინიბემ ოფლიანი ცხენი დააბა ბაგაზე, ახალმა მოჯამაგირემ („ახალმა ცოცხმა“) ამაზე შენიშვნა მისცა და ცხენის აშვება და ჰაერზე გატარება გადაწყვიტა, მეჯინიბემ დედა შეაგინა,

გიორგი კი ... (როგორც თავად ამბობს) დედის ავად ხსენებას საკუთარ მამასაც არ აპატიებდა და მეჯინიბეს სცემა.

ოთხივე შემთხვევაში ოთარაანთ გიორგი სასჯელს გადაურჩა და მკითხველი გრძნობს, რომ ასე უსასრულოდ ვერ გაგრძელდება, ერთხელაც იქნება და კოკა წყალს ველარ მოიტანს და გიორგის ბედიც საბედისწეროდ დაუახლოვდება გაბრიელის („გლახის ნაამბობი“), კაკოს, ზაქროს („კაკო ყაჩაღი“) ტრაგიკულ ბედს. მკითხველმა კი იცის, რომ ავტორი პერსონაჟს სხვაგვარ განსაცდელს უმზადებს. ამ შემთხვევაში მოქმედების (სიუჟეტის) მამოძრავებელ ძალად არა კონფლიქტი (ძალადობა), არამედ საბედისწერო სიყვარული გვევლინება, თუმცა შეუძლებელია თავად მწერალი ვერ გრძნობდეს, რომ გიორგის ცხოვრების გზა ამის გარეშეც ზედმეტად სახიფათო ჩანს.

რა განაპირობებს გიორგისგან ძალადობრივი გზის არჩევას და ოთარაანთ ქვრივის მხრიდან მის წახალისებას? უპირველესად, შევნიშნოთ, რომ თითქმის ყველა ეპიზოდში კონფლიქტის მიზეზი პირუტყვის ცუდად მოპყრობა ხდება, ეს არ ამართლებს გიორგის, თუმცა კარგად ავლენს მეურნე ადამიანის ხასიათს, რომელსაც პირუტყვზე ზრუნვა თავის უმთავრეს მოვალეობად უქცევია. აქ ისიც გამოდგება გამამართლებელ არგუმენტად, რომლითაც თავად გიორგი ამართლებს თავის ქმედებას სასამართლოში: „ის დავა მქონდა, რომ მაგისთანა ნამუსახდილ კაცისაგან ქვეყანა დაღუპული. კაცი კაცს ველარა ჰნდობია. მაგის გამოისობით კარგ მოჯამაგირესაც ნამუსი აქვს გატეხილი. თითონ ხომ ეძინა და ეძინა, კამეჩებიც მიეღრძო ურემზედ. იმათ საცოდაობამ დამწვა, სხვა არა იყოს-რა“ (ჭავჭავაძე, 1988, გვ. 257).

ნდობა, უფრო სწორად კი უნდობლობაა მთავარი მიზეზი, რის გამოც გლეხკაცს ყველაფერი აეჭვებს ამ წუთისოფელში, ოთარაანთ ქვრივიც სამართლიანობის მიღწევის სხვა გზას არ ცნობს, სასამართლო მასში სრულ უნდობლობას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ მან ამ გზით სამართალსაც მიაღწია (თუმცა კი ძალიან ძვირი დაუჯდა), გიორგის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი მასში ისეთ გაკვირვებას იწვევს („-დახე, ამ ვირთაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართალი სცოდნიათ“; ჭავჭავაძე 1988, გვ. 258), რომ საეჭვოა მის დიდაქტიკურ „სახელმძღვანელოში“ სასამართლოსადმი ნდობის მუხლი ოდესმე გაჩნდეს.

მიუხედავად ამისა, „ოთარაანთ ქვრივში“ ნაწარმოების მთავარი საზრისი მაინც შერიგების მოტივით არის დამუხტული, რადგან ამ ტექსტში ხიდის მეორე მხარისკენ შესარიგებლად გაწვდილი ხელი თავად ოთარაანთ გიორგია, რომელსაც სამსხვერპლოზე საკუთარი სიყვარული მიაქვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კიკნაძე, გ. (1999). თხზულებანი, ტომი III. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
ჭავჭავაძე, ი. (1987ა). ლექსები, პოემები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
ჭავჭავაძე, ი. (1987ბ). მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში. წერილი მეექვსე.
წიგნში: თხზულებათა სრული კრებული. ტ. IV. პუბლიცისტური
წერილები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
ჭავჭავაძე, ი. (1988). მოთხრობები, პიესები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

References:

- K'i K'nadze, Gr. (1999). Tkhzulebani, t'omi III. [Writings, Volume III]. Tbilisi: TSU.
Ch'avch'avadze, I. (1987a). Leksebi, P'oemebi. [Poems]. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.
Ch'avch'avadze, I. (1987), Momrigebeli Mosamartleoba Chvenshi, Ts'erili VI,
P'ublitsisturi' Ts'erili, T'omi IV]. [Conciliatory Judgeship in our Country,
Letter six, publicist letters, vol. IV]. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.
Ch'avch'avadze, I. (1988), Leksebi, P'oemebi. [Poems]. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.

ლევან ბებურიშვილი

Levan Beburishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ალექსანდრე ორბელიანი როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი

Aleksandre Orbeliani as a Literary Critic

Aleksandre Orbeliani is one of the most interesting representatives of Georgian literature of the nineteenth century. He has worked in several fields of literature – poetry, prose, drama, criticism and journalism. Aleksandre Orbeliani's literary abilities were most clearly revealed in his critical works. Since the 1850s, he has published a number of articles about both general literary issues and the works of particular writers.

Aleksandre Orbeliani's article about Grigol Rcheulishvili's story "Widow's Lemons" is noteworthy. In this work, the critic discusses the specifics of the historical fiction in general and points out the inconsistencies that greatly diminish the artistic value of Rcheulishvili's story. The stories of the prose writer Grigol Rcheulishvili, quite popular among contemporaries, due to their bold approach to historical themes, often caused the displeasure of the Georgian aristocracy, including Aleksandre Orbeliani, who criticizes the writer for distorting the historical past of Georgia. The critic deeply believes that historical truth must be scrupulously preserved in a work created on a historical theme. In his opinion, Grigol Rcheulishvili's story cannot answer these requirements even a little.

Aleksandre Orbelian's heartache is mainly caused by the writer's interpretation of King Erekle's character. The name of his own grandfather, King Erekle, was most precious to the critic. That is why he cannot hide his displeasure, because he thinks that the writer is saying an "insulting word" about him.

Aleksandre Orbeliani is outraged by the circumstances, in Rcheulishvili's story, King Erekle, this historical hero and great commander-in-chief, is presented as a mediator between the lovers. Aleksandre Orbeliani considers the tone and behavior of Erekle, to be completely inappropriate (toothless jokes, secretly listening to lovers). Alexander Orbeliani cannot forgive Grigol Rcheulishvili for posting the words that a peasant from Kartli allegedly said to Erekle: "step father of Kartli and father of Kakheti". According to the critic, none of the peasants could dare to say these words to the king, and this story was actually invented by Erekle's enemies.

In the article "Attached to the Attachment", the critic discusses Daniel Chonkadze's "Suram Fortress" and does not share the artistic concept of the story. Aleksandre Orbeliani does not consider it right to criticize the nobility as a separate social stratum. According to him, the writer should be interested in more general, ethical problems.

It is noteworthy that Aleksandre Orbeliani notices the emergence of two main currents in Georgian public thought, the birth of two groups, which he conventionally calls "conservatives and progressives." The critic considers this event as a completely natural and welcome fact.

The fate of the Georgian language, its present and future was one of the main thoughts of Aleksandre Orbeliani. In his article "A Few Words on Comedy "Divorce", Aleksandre Orbeliani questions Platon Ioseliani's views on Giorgi Eristavi's linguistic innovation. Orbeliani points out that it is impossible to generalize the language of Giorgi Eristavi's comedies in all realms of written speech, as it is suitable for works of the comedy genre and in no case can it claim a common literary language. At the same time, the critic acknowledges the need for a unified literary language.

Aleksandre Orbeliani is one of the most prominent figures in Georgian literature of the 1850s, and together with Nikoloz Berdznishvili and Mikheil Tumanishvili, he stands at the forefront of nineteenth-century Georgian literary criticism.

საკვანძო სიტყვები: მე-19 საუკუნე, ქართული ლიტერატურა, ქართული კრიტიკა, ქართული პუბლიცისტიკა, ალექსანდრე ორბელიანი.

Key words: 19th century, Georgian literature, Georgian Criticism, Georgian Journalism, Aleksandre Orbeliani.

XIX საუკუნის 50-იანი წლების კრიტიკოსთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ალექსანდრე ორბელიანს, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მოთავეს, ფართო ლიტერატურული ინტერესების მქონე მოღვაწეს. გადასახლებიდან დაბრუნების (1840) შემდეგ ალექსანდრე ორბელიანი აქტიურად ჩაერთო ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქართული მწერლობის დიდი გულშემატკივრისა და ქველმოქმედის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცემოდა ჟურნალი „ცისკარი“ (ერთხანს ჟურნალის რედაქცია მის სახლშიც იყო განთავსებული). ალექსანდრე ორბელიანი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობითაც დიდად ედგა მხარში „ცისკარს“. იგი ჟურნალის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და პროდუქტიული ავტორი იყო.

ალექსანდრე ორბელიანის ზნეობრივი და ლიტერატურული მრწამსის დასახასიათებლად უნდა გავიხსენოთ მისივე სიტყვები: „ბევრს რაღაცას ამბობენ ჩემზე, იმათ შორის ამას მწამობენ მე, ოღონდ ქართული იყოს და რაც უნდა იყოს, სულ ერთია იმისთვისაო. აღვიარებ საზოგადოების წინაშე, რომ სწორეთ არის ნათქვამი“ (ორბელიანი, 1980ბ, გვ. 164). ამ რწმენიდანაა ამოზრდილი კრიტიკოსის არა მხოლოდ ეთიკური, არამედ ესთეტიკური შეხედულებებიც. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეროვნული თვალთახედვით აფასებს ალექსანდრე ორბელიანი არა მხოლოდ ისტორიულ მოვლენებს, არამედ ლიტერატურულ ფაქტებსაც.

ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურულ შეხედულებებზე მსჯელობა შესაძლებელია როგორც საკუთრივ კრიტიკულ წერილებზე, ასევე ისტორიულ ნაშრომებზე დაყრდნობით, რომლებშიც იგი ზოგჯერ ლიტერატურულ თემებსაც ეხება.

თავისი დროის მოღვაწეთაგან ალექსანდრე ორბელიანი იმითაც იყო გამორჩეული, რომ იგი ხშირად გამოდიოდა ლიტერატურული დისკუსიის ინიციატორად, რადგან კრიტიკის განვითარება ლიტერატურული პროგრესის უცილობელ წინაპირობად მიაჩნდა: „ნულარ დაზოგავთ ერთმანეთს და კრიტიკებს მოჰყევით ერთმანეთის წერილებზე. ესეც დიდი სასარგებლო იქნება და ეკალზედ ვარდი აღმოსცენდება“ (ორბელიანი, 1857ა, გვ. 64), – მოუწოდებდა იგი მწერლებს.

50-იანი წლების ქართული კრიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად იქცა სალიტერატურო ენის პრობლემა. ეს ფაქტი სავსებით კანონზომიერი იყო და იგი ბუნებრივად განსაზღვრა პერიოდული

პრესისა და, ზოგადად, ლიტერატურის განვითარებამ. აღნიშნული საკითხის ირგვლივ თანამედროვეთაგან ყველაზე ხშირად ალექსანდრე ორბელიანი მსჯელობს. ქართული ენის ბედი, მისი აწმყო და მომავალი მუდამ იყო მწერლის ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი. 1856 წელს ბროშურის სახით გამოიცა ალექსანდრე ორბელიანის წერილი „ქართულის ენისათვის“. მასში წამოჭრილია ქართული ენის ისტორიასთან და მის თანამედროვე მდგომარეობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

წერილის შესავალში კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ქართული ულამაზესი ენაა, „დამატკობელი ყურის სმენისათვის“, რომლის ძალიც „სულამდისინ ჩაიჭრება ხოლმე“. ალ. ორბელიანს ენის სიმდიდრის დასტურად მიაჩნია დიალექტების მრავალფეროვნება. იგი სინანულით აღნიშნავს, რომ ქართლში უკვე ნაკლებად იხმარება მშვენიერი ძველებური სიტყვები (აწ, უკეთუ, ვითარცა, რამეთუ და სხვ.), მაშინ როდესაც იმერლები და მთიელები ამ სიტყვებს კვლავ იყენებენ.

კრიტიკოსი ცდილობს წარმოიდგინოს, თუ როგორ საუბრობდნენ ჩვენი წინაპრები, თანამედროვე ქართულის რომელი კილო უფრო უნდა ჰგავდეს ძველ ქართულ მეტყველებას. ალ. ორბელიანის შეხედულებით, იმერულ დიალექტზე ისტორიულად ოსმალურმა ენამ მოახდინა ზეგავლენა, ქართლურსა და კახურზე კი – სპარსულმა. უფრო წმინდად ქართული მეტყველება შენარჩუნებულ იქნა მთაში, ამიტომაც კრიტიკოსის ვარაუდით, ჩვენი წინაპრები დაახლოებით ისე მეტყველებდნენ, როგორც საუბრობენ მთიელები: „ვინ იცის უძველეს დროში, რომელს ლაპარაკსა ანუ გამოთქმასა ამზგავსებდნენ ჩუჭნი წინაპარნი: მთიელსა თუ იმერულსა? მგონია უფრო მთიელსა. ამისთვის, რომ იმერლებსა ოსმალური გამოთქმა აქუსთ და ქართლებსა სპარსული, რომლებსაცა უწინდელს დროში მოდათ ჰქონიათ თავადთ აზნაურთ იმათი ენა“ (ორბელიანი, 1980დ, გვ. 130).

საგულისხმოა, რომ ათწლეულების შემდეგ მსგავს მოსაზრებას წამოაყენებს ვაჟა-ფშაველა. ვაჟას აზრითაც, მთის კილო ყველაზე ახლოს დგას ძველ ქართულ მეტყველებასთან.¹

1 შდრ.: „საყურადღებოა იმათის [ფშაველების] საუბრის კილო და ფორმები, სხვათა შორის იმიტომაც, რომ იმათ უფრო მეტი საშუალება ჰქონიათ ქართული ენა დაეცვათ წმინდად, შეუბღალავად. ფშაველებზე (ფხოველებზე) ნაკლებად ჰქონდათ ზედმოქმედება ოსმალთა, სპარსთა, არაბთა და სხვ. ამიტომ იმათი სათემო კილო (თუკი შეიძლება სათემო კილო დავარქვათ იმათს სასაუბრო ენას) და გრამატიკული

ალ. ორბელიანი მიიჩნევს, რომ ორივე მეტყველება – მწიგნობრულიცა და ხალხურიც მშვენიერია და მწერლებმა შესაძლოა წერონ როგორც ერთი, ასევე მეორე სტილით. უფრო მეტიც, ალ. ორბელიანის მსჯელობიდან იგრძნობა, რომ იგი პრინციპულ სხვაობას ვერ ხედავს ძველსა და ახალ ენას შორის: „მიკვირს მე, ზოგნი ერთნი რათ ანბობენ: ძველებური წერა სხუა არისო, ახლანდელი სხუაო“ (ორბელიანი, 1980დ, გვ. 131). ამ თვალსაზრისითაც ალ. ორბელიანი წინამორბედად გვევლინება იმ თვალსაზრისისა, რომელსაც მეოცე საუკუნეში მკაფიო ფორმულირება ზვიად გამსახურდიამ მისცა. ზ. გამსახურდია აღნიშნავდა, რომ არ იყო სწორი ენათმეცნიერთა მხრიდან ქართული ენის დაყოფა ძველ და ახალ ქართულ ენად, ვინაიდან ყველა დიდი მწერალი ერთი და იმავე „ენობრივი გასაღებით“ წერს და „მეოცე საუკუნის მწერლების ენას იგივე ლექსიკური ბაზისი აქვს, რაც ცურტაველსა და მერჩულეს“ (გამსახურდია, 1991, გვ. 534).

ალ. ორბელიანი 50-იანი წლების ქართულ მწერლობაში მაინც განარჩევს ორ ლიტერატურულ სტილს. ერთია – ძველებური ქართული, „სიტყვიერებით სავსე, უნაკლო და მაღალი“, ხოლო მეორე – „მდაბიური, ესე იგი: როგორც ვლაპარაკობთ და ყველასთვის ადვილი გასაგონია“ (ორბელიანი, 1980დ, გვ. 131). განსხვავება მათ შორის არის არა არსებითი, არამედ – ხარისხობრივი ხასიათისა.

კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ორივე მიმართულების მწერლებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ახლად აღდგენილ სალიტერატურო ჟურნალ „ცისკართან“ და შეეცადონ, თავიანთი სტილის უპირატესობის დამტკიცებას.

1850 წელს წიგნად გამოიცა გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. პიესას წინ უძღოდა პლატონ იოსელიანის წინათქმა, რომელშიც ზოგადად იყო შეფასებული ერისთავის კომედიის მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისათვის. ცნობილმა სწავლულმა გიორგი ერისთავი ახალი სალიტერატურო ენის შემოქმედად გამოაცხადა. მან აღნიშნა, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ენა, „გარდა რუსთაველისა და მცირედთა სხვათა, არა იყო ჩვეულებითის საუბრისა ენითა, რომელიცა არის და უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა“

ფორმები ხელჩასაჭიდებია, ღირსსაცნობელი. ფშაური საუბრის კილო და გრამატიკული ფორმები, როგორც ნამდვილი ძველი ქართული, სრულად ჰგვანან ძველი მწერლების ნაწერებისას“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 62-63).

(იოსელიანი, 1950, გვ. 3). პლატონ იოსელიანის თქმით, ისტორიულად სალიტერატურო ენა დაშორდა ხალხურ მეტყველებას, გიორგი ერისთავმა კი აღადგინა ეს დარღვეული კავშირი და ახალი ლიტერატურული ენის ფუძემდებლად მოგვევლინა: „*დამწერმან ამა პირველისა ქართულსა ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთავმან, დაბადა ენა ქართული ახლისა გუარის მწერლობისათვის*“ (იოსელიანი, 1850, გვ. 4). კრიტიკოსი იმედოვნებდა, რომ ერისთავს სხვა მწერლებიც მიზამავდნენ: „*მაქუს იმედი, რომ ...ქართული სიხარულით და სიამოვნით წაიკითხავს ამ კომედიასა და სხუანიცა ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსაო*“;– წერდა იგი (იოსელიანი, 1850, გვ. 4).

პლატონ იოსელიანის ამ მოსაზრებას რამდენიმე წლის შემდეგ გამოეხმაურა ალექსანდრე ორბელიანი, რომელმაც თავის წერილში „*რამდენიმე სიტყვა „გაყრის“ კამედიაზედ*“ („ცისკარი“, 1857, №9) ეჭვქვეშ დააყენა იოსელიანის შეხედულება გიორგი ერისთავის ენობრივ ნოვატორობასთან დაკავშირებით. ალექსანდრე ორბელიანმა აღნიშნა, რომ შეუძლებელია წერითი მეტყველების ყველა სფეროზე განვაზოგადოთ გიორგი ერისთავის კომედიების ენა, ვინაიდან იგი სწორედ კომედიური ჟანრის თხზულებებისთვის არის შესაფერი და ვერცერთ შემთხვევაში საერთო სალიტერატურო ენის პრეტენზია ვერ ექნება. კრიტიკოსის თქმით, „*არ ვიცით რომელი განსხვავებითი წიგნი რამ დაიწერება იმ კამედიის სიტყვიერებით*“ (ორბელიანი, 1857ბ, გვ. 47). პლატონ იოსელიანის მისამართით პუბლიცისტი მახვილგონივრულ შენიშვნას გამოთქვამს: „*პლატონ იოსელიანი სხუჭებს რომ ურჩევს იმ კამედიის წინასიტყვაობაში „შეუდევით მაგალითსა მისსაო*“, რატომ თავის წინასიტყვაობას ერისთავის კამედიის წერას არ ამზგავსებს და სხუჭებს კი ურჩევს? გავს ვერ მოუხერხებია. ამისთვის, რომ იოსელიანის წერა სწორე წერა არის“ (ორბელიანი, 1857ბ, გვ. 47).

გ. ერისთავის კომედიის პერსონაჟთა მეტყველებას ალექსანდრე ორბელიანი „*დაკუწულ ლაპარაკს*“ უწოდებს, რაც, სავარაუდოდ, დიאלოგური მეტყველების აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს. კრიტიკოსის აზრით, გიორგი ერისთავმა ახალი ენა კი არ შეიმუშავა, არამედ ასახა რეალურად არსებული მეტყველება. მწერლის ენობრივი ალლო, მისი ლიტერატურული პოზიცია, ალექსანდრე ორბელიანის შეხედულებით, უფრო ნათლად იმ შემთხვევაში გამოჩნდება, თუ იგი

პროზაული ფორმით გადმოგვცემს თავის ნააზრევს: „გ. ერისთავმა ერთი მოთხრობა რომ დაგვიწეროს, მაშინ გავარჩევთ რა გვარი წერა არის იმისი, თორემ იმის კამედიით არ შეიძლება შეტყობა“ (ორბელიანი, 1857, გვ. 48).

ალექსანდრე ორბელიანის წერილიდან აშკარად იგრძნობა, რომ იგი ეჭვის თვალით უცქერს თანამედროვე მწერალთაგან „ახალი ენის დაბადების“ თეორიას და მიიჩნევს, რომ არსებითი განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის არ არსებობს. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში ალექსანდრე ორბელიანის მსჯელობა ბევრად უფრო თანმიმდევრულია, ვიდრე პლატონ იოსელიანისა.

ენის საკითხებს ეხება ალექსანდრე ორბელიანი აგრეთვე წერილში „ქართული უბნობა ანუ წერა“ („ცისკარი“, 1860, №6). ამ ნაშრომში კრიტიკოსი ქართულ მეტყველებაში უკვე სამ სტილს განარჩევს: საეკლესიო, მდაბიურ (დარბაისლურ) და გლეხკაცურ ენას. მისი შეხედულებით, საეკლესიო ენა (რომლის ნიმუშადაც მას მოჰყავს ფსალმუნის) შეუდარებელია თავისი სიმდიდრით, მშვენიერებითა და გამომსახველობითი შესაძლებლობებით, თუმცა სირთულის გამო სალიტერატურო ენად მის დამკვიდრებას შეუძლებლად მიიჩნევს.

დარბაისლური ალექსანდრე ორბელიანისათვის „საშუალო“ მეტყველებაა, რომელიც უფრო მარტივია საეკლესიო ენასთან შედარებით და უფრო ადვილად აღსაქმელი ფართო საზოგადოებისათვის: „მდაბიური მესმის მე, ეკლესიის წერილების შემდგომ საქუწყინიერო ანუ ყველასათვის გასაგონი“ (ორბელიანი, 1860, გვ. 90).

რაც შეეხება გლეხურ მეტყველებას, კრიტიკოსის თქმით, მართალია, იგი არის „მარტივი და ადვილი გასაგონი“, მაგრამ ამასთანავე „მოშუშებული“, უფრო უხეში და „მაღალ საგანთათვის“ შეუფერებელი. თუმცა შესაძლოა არაერთ „დარბაისლებსავით ქართულის მცოდნე“ გლეხსაც შევხვდეთ.

ალექსანდრე ორბელიანი გარკვევით მიუთითებს, რომ აუცილებელია **ერთი** სალიტერატურო ენის არსებობა და სამგვარ მეტყველებას შორის ერთ-ერთის ამორჩევა. კრიტიკოსის სიმპათია დარბაისლურისაკენ იხრება: „ჩუწენ ქართველებს, თუმცა ამ სამში ერთი უნდა ამოგუწრჩია ქართული სიტყვებიდგან, იმისთვის მიგვებაძა, იმ ენაზედ დაგვეწყო ლაპარაკი და წერა, მაგრამ ეკლესიურის წერისათვის ზევით ითქუა: ძნელი შემოსაღებია მეთქი. ახლა თუ მეორეს

ჩემზედ მოაგდებთ და ამამარჩევინებთ მე სამუაღს ენას ამოვარჩევ, დარბაისელთ ენას“ (ორბელიანი, 1860, გვ. 95). კრიტიკოსის რწმენით, დარბაისლური „ასეთი უნაკლულო ენა არის რომ, დიად ადვილად შეიძლება რომ ესე, რაც უნდა მაღალი საგანი იყოს, იმაზედაც და კარგადაც გამოვა ყოველი ქართული სიტყვიერება“ (ორბელიანი, 1860, გვ. 97). ალექსანდრე ორბელიანისათვის, დარბაისლური არის, თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, ინტელიგენციის ენა და, მისი აზრით, სწორედ იგი უნდა დაედოს საფუძვლად ლიტერატურულ ქართულს. კრიტიკოსის თვალსაზრისით, ისტორიულად ჩვენი წინაპრები საეკლესიო ტექსტებს „მაღალი“ ენით წერდნენ, ხოლო საერო წიგნებს – „დარბაისლური“ ქართულით. დარბაისლური მეტყველების საუკეთესო ნიმუშებად ალ. ორბელიანი ასახელებს კლასიკური ლიტერატურის ძეგლებს, განსაკუთრებით – „ვეფხისტყაოსანს“, რომლის ენასაც იგი თანამედროვე ავტორებსაც მისაბამად უსახავს.

ალექსანდრე ორბელიანი აღიარებს სასაუბრო ენისა და წერითი მეტყველების ერთგვაროვნების აუცილებლობას: „ჩუწნი ლაპარაკი და წერა, კვალად ვიტყვ, ერთგვარი უნდა იყოს: რა გუარად ილაპარაკონ, ისე დაიწეროს და რაგუარად დაიწეროს, ისე ილაპარაკონ“ (ორბელიანი, 1860, გვ. 97).

ქართულ ენათმეცნიერებაში ერთხანს გავრცელებული მცდარი შეხედულების საწინააღმდეგოდ სავსებით სამართლიანად წერს ჯუმბერ ჭუმბურიძე: „მართალია, ამ სტატიაში ა. ორბელიანი ადასტურებს „სამი ენის“ არსებობას, როგორც ისტორიულ ფაქტს, მაგრამ ეს გარემოება „სამი შტილის“ აღიარებას როდი ნიშნავს. პირიქით, მოტანილი მსჯელობა გვიჩვენებს, რომ კრიტიკოსი „სამი შტილის“ თეორიას უარყოფს და კატეგორიულად მოითხოვს ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრებას“ (ჭუმბურიძე, 1974, გვ. 136).

რაც შეეხება ორთოგრაფიას, ალექსანდრე ორბელიანი 60-იან წლებში გამოეხმაურა ილიას მიერ წამოწყებულ პოლემიკას და აღნიშნა, რომ სადავო ასოების ამოღება არ იყო საჩქარო. კრიტიკოსი ფიქრობდა, რომ ზოგიერთი ბგერა, რომლის აღმნიშვნელიც იყო კონკრეტული სადავო ასო, ნამდვილად დასტურდებოდა ქართულ მეტყველებაში და სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობასაც აწარმოებდა. მიუხედავად ამისა, ალ. ორბელიანი სრულიადაც არ იყო კატეგორიული წინააღმდეგი ანბანის ცალკეულ ასოთაგან განტვირთვისა და

ეს პრინციპული მნიშვნელობის საკითხად არც მიაჩნდა: „ოღონდ რიგიანათ, ერთგუარად წაიყვანეთ საქმე თანხმობითა და როგორც თქუწ გინდათ, ისე მოახდინეთ, მეც მოგყუწბით დიდის სიხარულით, მაგრამ მაინც კი კარგად გაშინჯეთ“ (ორბელიანი, 1865, გვ. 20). ასეთი წინდახედულია ალექსანდრე ორბელიანი ორთოგრაფიის საკითხში.

ალექსანდრე ორბელიანი საფუძვლიანად იცნობდა შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურას, თუმცა მის თხზულებებში ნაკლებად ვხვდებით დაკვირვებებს ძველი ქართული მწერლობის წარმომადგენელთა შემოქმედებაზე. ალ. ორბელიანი არაერთგან ახსენებს რუსთაველს და ყველგან იგრძნობა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მისთვის უდიდესი პოეტური ოსტატობის ეტალონია. აღსანიშნავია ლექსი „რუსთაველი“ („ცისკარი“, 1853, №1), რომელშიც აღტაცება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორით პოეტური ფორმითაა გამოხატული. ლექსში რუსთაველი ღვთივგანბრძნობილ ხელოვანად, სულიწმინდისაგან ნაკურთხ პოეტადაა გამოცხადებული, რომელსაც ისეთი სიმაღლეები დაუპყრია, რომ თვით დავით მეფსალმუნეს მისი „შურით თავისი ქნარი უკიანეს ზღუაში გადაუგდია და მწარედ დასტირის საწყალი ზედა“ (ორბელიანი, 1853, გვ. 5).

ქართველ რომანტიკოსთაგან თავის ნაწერებში ალექსანდრე ორბელიანი ირიბად ეხება გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს, გრიგოლ ორბელიანს უფრო პიროვნული ნიშნით.

ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანების მეგობრობა ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა. გრიგოლი დიდ პატივს სცემდა ალექსანდრეს, როგორც ნამდვილ ქართველსა და სამშობლოს ისტორიის საუკეთესო მცოდნეს. ალექსანდრე ორბელიანი იყო გრიგოლის კონსულტანტი პოემა „სადღეგრძელოს“ წერისას. ნაწარმოებიც სწორედ მას ეძღვნება.

თავის მხრივ, ალექსანდრეც პატივს მიაგებდა გრიგოლს, როგორც დიდად ნიჭიერ პოეტს და ენერგიულ მოღვაწეს, თუმცა მათი პოლიტიკური პოზიციები მაინც განსხვავებული იყო. ალექსანდრე ბოლომდე შეურიგებელი დარჩა რუსულ მმართველობასთან. ამითაც აიხსნება გრიგოლ ორბელიანის ის შეფასება, რომელსაც ვხვდებით ალ. ორბელიანის წერილში „რუსების დასი ქართუელები ჩემზე“. ალექსანდრე გრიგოლს ახასიათებს, როგორც ზედმეტად ფრთხილ,

გაუბედავ ადამიანს. „გრიგოლ მშვიდობისმყოფელი გაუბედავი კაცი იყო... თავის გაუბედაობით, მთავრობაზედ მაგდენი გავლენა არა ჰქონდარა“ (ორბელიანი, 1999, გვ. 56). საგულისხმოა, რომ ამ შეფასებას ზუსტად ემთხვევა ილიას „გამოცანებში“ გამოთქმული აზრი გრიგოლის პიროვნული ბუნების შესახებ: „მაგრამ გაუბედავია, თუმცა უყვარს თვისი ერიო“.

ალექსანდრე ორბელიანს თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს პოეტად მიაჩნია ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეს გარემოება ნათლად ვლინდება მისი წერილიდან „ზოგიერთი შემცნევა“, რომელშიც პუბლიცისტი აღნიშნავს, რომ სალიტერატურო ენის გამშვენება პოეტთა ერთ-ერთი ამოცანაა. ალექსანდრე ორბელიანი წუხს, რომ ამ საქმეს ვეღარ იტვირთავს უდროოდ გარდაცვლილი უნიჭიერესი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომლის ლიტერატურული ტალანტიც სრულად მომავალში უნდა გამოვლენილიყო.

„ცოდო არ არის ეხლა შორსა გზაზედ იყო შენ – კაცის გულის გამომთქმელი სინაღლისა, შენ ჩუენო საქართუჭლოს უზადო პოეტო, ყმაწვილო კაცო, თავადო ნიკოლოზო ბარათაშვილო!.. რომელმა მსაჯულებმა წაიღო ეგ შენი სხივ მოსხმული, ნათელი სული პოეტობისა? აკი ძლიერ ჰფლობდა, ჰპატრონობდა მას დაწმენდილსა სულსა შენსასა?.. ეხლა იყო დრო, ეხლა სრულსა ჰაზრსა პოეტობისას აიღებდა ის! ეხლა მის პატარასა ლამაზს თავზედ მამულისა პოეტების ბრწყინვალესა გვირგვინს დაადგამდნენ... შენ ქართუჭლების მომავალო დიდო პოეტო!.. შენა წევხარ უნაკლულოს პოეტების საგალობელს კუბოს ჩანგში, რომელიცა გენიის ღმერთა შენს ძილსა მშვიდობასა უაღერსებს შენსა მილულებულს თუალებს ჰკოცნის უმანკოს და წრფელის გულით... ობლობის ცრემლსა იხოცს შენს საფლაგზე საქართუჭლო“ (ორბელიანი, 1865, გვ. 27).

ალექსანდრე ორბელიანის ეს სიტყვები გამორჩეულია ბარათაშვილის თანამედროვეთა შეფასებებში, როგორც დიდი სიყვარულით, ჰიმნოგრაფიული სულისკვეთებით განმსჭვალული შესხმა უდროოდ გარდაცვლილი პოეტისა.

ერთგან ალექსანდრე ორბელიანი ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ და აღნიშნავს, რომ პოემაში მთლად ზუსტად არაა აღწერილი ისტორიული გარემოებანი. კრიტიკოსის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ პოემის „ლექს მგონობა საუცხოვოა... ისტორიისათვის არ გამოდგება“ (ორბელიანი, 1980, გვ. 129). ალექსანდრე ორბელიანის თქმით, კრწანისის ბრძოლის შემდეგ ერეკლესა და სოლომონ მსაჯულს შორის საუბარი ვერ გაიმართებოდა, რადგან ალა მაჰმად ხანის შემოსევამდე სამი წლით ადრე ერეკლე ცილისმწამებელთა დასმენის გამო გაუწყრა სოლომონს და იგი სასახლიდან დაითხოვა. მეფეს მოგვიანებით შემოურიგებია მსაჯული, რასაც სოლომონის სამადლობელი წერილები ადასტურებს. ეს ბარათები ალექსანდრე ორბელიანს ჰქონია ხელთ. როგორც ვხედავთ, ალექსანდრე ორბელიანი გულუბრყვილოდ მსჯელობს ისტორიულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების სპეციფიკაზე და მხატვრულ ტექსტებში ისტორიული ქრონოლოგიის უზუსტესად დაცვის მომხრეა.

ალექსანდრე ორბელიანი დიდად აფასებდა გიორგი ერისთავის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მიუხედავად იმისა, რომ პლატონ იოსელიანისაგან განსხვავებით, ქართული კომედიოგრაფიის ფუძემდებელს იგი არ მიიჩნევდა რეფორმატორად ენის სფეროში, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს სათანადოდ არ აფასებდა მისი შემოქმედების მნიშვნელობას. გიორგი ერისთავის, როგორც მწერლისადმი პატივისცემა იგრძნობა არა მხოლოდ წერილში „რამდენიმე სიტყვა გაყრის კამედიაზე“, არამედ სხვა პუბლიკაციაშიც („სალაყბოს ფურცელზე“, ჟ. „ცისკარი“, 1859, №1). ალექსანდრე ორბელიანი ეხება კომედია „გაყრას“, მას „ზნეობით კამედიად“ მოიხსენიებს და სინანულით აღნიშნავს, რომ წარმოდგენით გამხიარულებულ პუბლიკას შეუმჩნეველი დარჩა პიესის ღრმა ზნეობრივი შინაარსი. „როდისაც თავადის გიორგი დავითის ძის ერისთავის გაყრილობის კამედია ითამაშეს, ის ზნეობითი კამედია და ჩვენი დიდი საგრძნობელი, რა ყოფა იყო, ანუ რა ძახილი! სწორედ ვიტყვი უფროსმა ერთმა ვერ იგრძნა ის კარგი ზნეობითი კამედია, სასაცილოდ მიიღეს, ვითომ გაცინებისათვის დაუწერიაო“ (ორბელიანი, 1859ა, გვ.70).

ალექსანდრე ორბელიანის კრიტიკულ პუბლიკაციათაგან საგანგებოდაა აღსანიშნავი გრიგოლ რჩეულიშვილის „ქვრივის ლიმონე-

ბისადმი“ მიძღვნილი წერილი. თანამედროვეთა შორის საკმაოდ პოპულარული პროზაიკოსის, გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობები, ისტორიული თემატიკისადმი თამამი მიდგომიდან გამომდინარე, ხშირად იწვევდა ქართველი არისტოკრატის, მათ შორის ალექსანდრე ორბელიანის, უკმაყოფილებას.

წერილში „ქვრივის ლიმონების განხილვა, ანუ კრიტიკა“ („ცისკარი“, 1858, №4) ალექსანდრე ორბელიანი მწერალს ედავება საქართველოს ისტორიული წარსულის დამახინჯებულად წარმოჩენის გამო. კრიტიკოსს ღრმად სწამს, რომ ისტორიულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებში ზედმიწევნით უნდა იყოს დაცული ისტორიული სიმართლე. ამ მოთხოვნებს, მისი აზრით, ოდნავადაც ვერ პასუხობს გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობა.

ალექსანდრე ორბელიანის გულისწყრომას უმთავრესად იწვევს ერეკლე მეორის სახის მწერლისეული ინტერპრეტაცია. კრიტიკოსისათვის უძვირფასესი იყო საკუთარი პაპის, ერეკლე მეორის სახელი. ამიტომაც იგი ვერ ფარავს უკმაყოფილებას, რადგან ფიქრობს, რომ მწერალი მასზე „საგიებელ სიტყვას“ ამბობს.

ალექსანდრე ორბელიანი აღშფოთებულია იმ გარემოებით, რომ რჩეულიშვილის მოთხრობაში ერეკლე მეორე, ეს ისტორიული გმირი და დიდებული მთავარსარდალი, ყოფითი ნიშნითაა განსახიერებული და სატრფოთა შორის შუამავლად, ლამის მაჭანკლადაა გამოყვანილი, „ვითომც მეფე ერეკლე შუაკაცათ გაუკეთდება ქვრივს კეკეს იმ ყმაწვილკაცებთან“ (ორბელიანი, 1858ა, გვ. 285). ალექსანდრე ორბელიანს სრულიად შეუფერებლად მიაჩნია მოთხრობის პერსონაჟად ქცეული ერეკლეს საუბრის ტონი და საქციელი (უკბილო ხუმრობა, სატრფოთა მალულად მიყურადება). ალექსანდრე ორბელიანი გრიგოლ რჩეულიშვილს ვერ პატიობს იმ სიტყვების აფიშირებას, რომლებიც ვითომ ერთ ქართლელ გლეხს უთქვამს ერეკლესათვის: „ქართლის მამინაცვალო და კახეთის მამაო“. კრიტიკოსის თქმით, ვერცერთი გლეხი ვერ გაკადნიერდებოდა, ეს სიტყვები შეეხებდა მეფისთვის და ეს ამბავი სინამდვილეში ერეკლეს მტერთაგანაა მოგონილი.

ალექსანდრე ორბელიანის დასკვნით, გრიგოლ რჩეულიშვილს, საზოგადოდ, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს საქართველოს ისტორიულ წარსულზე. იგი მიუთითებს მოთხრობაში არსებულ მრავალ

შეუსაბამობაზე. მაგალითად, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ქვრივი კეკე, მოთხრობაში მოხსენიებულია, როგორც „კნეინა“. ალ. ორბელიანის სამართლიანი შენიშვნით, „უწინდელს დროს საქართველოში, წოდებით კნეინობა არ იყო, არც კნიაზობა“ (ორბელიანი, 1858ა, გვ. 280). ასევე შეუსაბამოა, კრიტიკოსის თქმით, მეფისადმი მიმართვის ფორმა „თქვენო დიდებულეზავ“, რადგანაც ისტორიულად ქართველი კაცი მეფეს მიმართავდა სიტყვებით: „ჩვენო ბატონო, ან ბატონო მეფე“. როდესაც ერეკლე მეორე ეხუმრება თავის ნათლულ ახალგაზრდა ქვრივს, მიუალერსებს სიტყვით „გარყვნილო“. კრიტიკოსი მიუთითებს პერსონაჟის მეტყველების სრულ შეუსაბამობაზე მის სოციალურ სტატუსთან და, საზოგადოდ, დარბაისლურ ზრდილობასთან: „უწინდელს დროში არასდროს ალერსში არავინ არ იტყოდა სიტყვას „გარყვნილოვო“, არამც თუ მეფეები“ (ორბელიანი, 1858ა, გვ. 281). ალექსანდრე ორბელიანს აღიზიანებს მობაასეთა საზღვარგადასული უშუალობა, მოურიდებელი ტონი, რაც მას ქართული ზრდილობისთვის სრულიად შეუფერებლად მიაჩნია: „მეფე და ქვრივი კეკე ვითომც სიამოვნით ლაპარაკობენ. არა დარბაისელთან არ იქნებოდა იმ გვარი ლაპარაკი, რაც უნდა ახლო ნათესავი ყოფილიყო, არამც თუ მეფესთან“ (ორბელიანი, 1858ა, გვ. 282).

გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობის მიხედვით, მშვენიერი ქვრივი ეკლესიაში არ დადის იმის გამო, რომ არ უნდა მისი სილამაზე საცდურად იქცეს ახალგაზრდა ვაჟებისათვის და მათ ლოცვის გულისყური გაუფანტოს. ყოველივე ისტორიულის მალმერთებელი ალექსანდრე ორბელიანი აქაც შეუსაბამობას ხედავს ადრინდელ ქართულ ზრდილობასა და ღვთისმომშიშებასთან: „უწინდელს დროში, ეკლესიებში ყმაწვილებისაგან კისრის გრება და ქალების ყურებს როგორ შეიძლებოდა! – თავის დღეში საკიცხავად დასდებდნენ“ (ორბელიანი, 1858ა, გვ. 282).

ალექსანდრე ორბელიანი მწერლისაგან მოითხოვს ქრონოლოგიის ზუსტ დაცვას. მეფე ერეკლე მოთხრობაში 76 წლის მოხუცადაა მოხსენიებული, არადა აღწერილ დროს, იგი 66 წლის იყო. ანასტასია ბატონიშვილი, რომლის მეგობრადაცაა მოხსენიებული ახალგაზრდა ქვრივი, იმ დროს მხოლოდ 12 წლის თუ იქნებოდა და შეუძლებელია ემეგობრა 22 წლის ქვრივთან. კეკეს თაყვანისმცემლები ზაზა თარხნიშვილი და ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი კი, ალ. ორბელიანის

ცნობით, სინამდვილეში ერეკლე მეფეზე ასაკოვნები იყვნენ. ამ და სხვა ისტორიულ შეუსაბამობათა აღნუსხვიდან აშკარა ხდება, რომ ალექსანდრე ორბელიანი ისტორიულ თხზულებაში სიზუსტის დაცვისა და მხატვრული გამონაგონის არეალის შემოზღუდვის მომხრეა. კრიტიკოსის საბოლოო დასკვნით: „უფალი რჩეულოვის თხზულება... არც უწინდელს ჩუწნს ზნეობაში შემოვა... არც ჩვეულობაში, არც გცევაში, არც მართებულობაში, არც ხასიათში და სრულიად არაფერში“ (ორბელიანი, 1858ა, გვ. 286).

ალექსანდრე ორბელიანის თქმით, გრიგოლ რჩეულიშვილმა საბოლოოდ ვერც ისტორიული თხზულება შექმნა და ვერც რიგიანი მოთხრობა: „ისტორიისთვის? – უვარგია. რამანი? რამანის აჩრდილი არ არის. მოთხრობა? – არც მოთხრობად ითქმის“ (ორბელიანი, 1858, გვ. 284).

კრიტიკოსის მეორე არსებითი შენიშვნა მოთხრობის კონკრეტულ პასაჟს ეხება. „ქვრივის ლიმონებში“ ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს ერეკლე მეორე შინაგანი კულტურისა თუ ღირსების თვალსაზრისით ქართლებს კახელებზე მაღლა აყენებდა. ერთ ეპიზოდში მეფე თავის შვილობილს ურჩევს, ქაიხოსრო ანდრონიკაშვილს გაჰყვეს ცოლად, რაზეც ქვრივი ხუმრობით მიუგებს: „კახეთი გიყვარს და კახელებს სწყალობთ. ამისთვის მეც საქმროდ კახელს მირჩევთო“ (რჩეულიშვილი, 1965, გვ. 46). ერეკლე პასუხობს, რომ, მართალია, ადრე მიკერძოებული ვიყავი კახელთა მიმართ, ბევრჯერ „დავფარე იმათი ნაკლებულობა“, მაგრამ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ „ვითარცა დღე ღამესა, ისე ქართლის კეთილშობილება სჯობს კახელთა“. შემდეგ ქართლიდან კახეთში ოჯახები ჩავასახლე, რომ კახელებს მათგან მაინც ესწავლათ „ზრდილობა, ქცევა, ლაპარაკი, მაგრამ შრომა ამაოდ მრჩებოდაო...“ (რჩეულიშვილი, 1965, გვ. 46-47).

ალექსანდრე ორბელიანს არაგონივრულად მიაჩნია მწერლის მხრიდან საქართველოს კუთხეთა ამგვარად წარმოჩენა. კრიტიკოსი სავსებით სწორი, მოქალაქეობრივი პოზიციიდან აფასებს მოთხრობის ამ მონაკვეთს და მიუთითებს, რომ ისტორიულად ქართლიცა და კახეთიც ერთ ბედს ქვეშ იყვნენ, განათლებისა და კულტურის თვალსაზრისით მათ შორის არსებითი სხვაობა არასოდეს ყოფილა. ალექსანდრე ორბელიანის სამართლიანი შენიშვნით, მწერლის მხრიდან ასე უპასუხისმგებლოდ წამოსროლილმა ფრაზებმა შეიძლება

საფრთხე შეუქმნას ეროვნულ მთლიანობას: „არ არის კარგი, ქართლელები კახელებზე ვლავარაკობთ ანუ ხან დავცინით და კახელები ქართლელებზე ლავარაკობენ ანუ ხან დავცვინიან მაშინ, როდესაც რომ ზურგზე ვაკერივართ ერთმანეთს, დასაკლისიც ერთია ჩვენი და შემატებაც“ (ორბელიანი, 1858ა, გვ. 287).

ალექსანდრე ორბელიანის აღშფოთება იქამდე მიდის, რომ იგი გრიგოლ რჩეულიშვილს ჰეროსტრატეს ადარებს, რომელმაც თავისი სახელის უკვდავსაყოფად დაწვა დიდებული ტაძარი. ეს შეფასება უთუოდ გადაჭარბებულია, მით უმეტეს, გასაკვირია იგი ისეთი თავდაჭერილი და დარბაისელი კაცისაგან, როგორც ალექსანდრე ორბელიანი გახლდათ. საერთოდაც ეს წერილი კრიტიკოსისათვის უცხო, უჩვეულოდ აღელვებული ტონითაა დაწერილი. ამ გარემოებამ გვიბიძგა, ყურადღებით დაგვეკვირვებოდით რჩეულიშვილის მოთხრობას, ხომ არ არის მასში რამე ისეთი დეტალი, რომელსაც შეიძლება ალექსანდრე ორბელიანი განერისხებინა, თუმცა კი მასზე პირდაპირ მითითებას ვერ შეძლებდა.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო მოთხრობის ერთმა მონაკვეთმა. „ქვივის ლიმონებში“ სრულიად უადგილოდ, უკონტექსტოდაა ჩასმული კონფორმისტული პასაჟი, რომელშიც ერეკლე მეორე ხოტბას ასხამს რუსებს და ამცირებს თავის მემკვიდრეებს: „რუსნი ძლიერნი არიან, ჩვენი მერჯულენი არიან, იმათ შეუძლიანთ მტრის გაძლოლა, ისინი დაამყარებენ ქართველთ თავის სარწმუნოებაზედ, დაიფარავენ თავის ძლიერის ფრთებით...“ ერეკლეს მონოლოგში ქართლ-კახეთის სამეფოს აღსასრული წარმოჩენილია, როგორც ბუნებრივი და გარდუვალი მოვლენა. მეფის მიერ საკუთარი მემკვიდრე გიორგი დახასიათებულია, როგორც გონიერი, თუმცა უძლური და სწეული უფლისწული, რომელსაც მოსალოდნელია, რომ „ძმები... უსისხლოდ არ დაანებებენ ტახტსა“. ვფიქრობთ, განსაკუთრებით უნდა აღეშფოთებინა ალექსანდრე ორბელიანი მისთვის ძალზე ძვირფასი ადამიანის, ბიძის, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ ქცეული ალექსანდრე ბატონიშვილის ერეკლესეულ დახასიათებას: „ალექსანდრე აბეზარი შვილია. ის არ მოისვენებს, მიიმხრობს და ნაშთენსა ძმებსა... ვხედავ მე იმათში განხეთქილებას... ზოგი სპარსეთში გაიქცევა, ზოგი ოსმალეთში, და ზოგი სადა, წამოიყვანენ ჯარსა და ააკლებინებენ საქართველოს“ (რჩეულიშვილი, 1965, გვ. 38).

სავარაუდოდ, სხვა გარემოებათა გვერდით, სწორედ ამ კონფორმისტულმა, რუსთა მადიდებელმა პასაჟმა განარისხა ალექსანდრე ორბელიანი, კაცი, რომელიც დაუფარავად აცხადებდა: „რა ვენა რა უყო, ღმერთს ისე დაუბადებია, რომ საქართველოში მე რუსები არ მიყუარან? – მე ისინი რუსეთში დიდად მიყუარან, იქ უკეთესი ხალხი ისინი არიან“ („რუსების დასი ქართულები ჩემზე“). დიდწილად ამის გამო უნდა დაემსახურებინა მწერალს ალექსანდრე ორბელიანის რისხვა.

ალ. ორბელიანის საბოლოო დასკვნით, „რჩეულოვის თხზულებაში თუ არის რამე კარგი, მხოლოდ უცხო სიტყვიერება და ყურის სმენისათვის კარგი გასაგონი“ (ორბელიანი, 1858ა, გვ. 287).

60-იანი წლების დასაწყისში ალექსანდრე ორბელიანს შეუქმნია კრიტიკული წერილი „დართულს დართული“, რომელიც ეხება დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეს“. წერილი პრესაში არ გამოქვეყნებულა. იგი დაცული იყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში და თითქმის ასი წლის შემდეგ, 1959 წელს გამოაქვეყნა ჯუმბერ ჭუმბურიძემ („ცისკარი“, 1959, №6). მკვლევრის ვარაუდით, „ცისკრის“ რედაქტორს ნაშრომის დაბეჭდვაზე უარი უნდა ეთქვა სტატიის დროის სულისკვეთებასთან შეუსაბამობის გამო: „საფიქრებელია... რომ რედაქტორმა ი. კერესელიძემ იმ დროს (ბატონყმობის გადავარდნის პერიოდში) უკვე ზედმეტად ჩათვალა მისი გამოქვეყნება“ (ჭუმბურიძე, 1959, გვ. 104-105).

პირველ ყოვლისა, ალ. ორბელიანი გულისტკივილს გამოთქვამს ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის უდროოდ გარდაცვალების გამო და აღნიშნავს, რომ დანიელ ჭონქაძე იმედისმომცემი ავტორი იყო, რომელსაც „იქნება ბოლო დროს დიდი სახელიც დარჩენოდა“.

ნაშრომის პირველ ნაწილში კრიტიკოსი მსჯელობს ზოგად საკითხზე: თუ რა მისია აკისრია მხატვრულ ლიტერატურას, კერძოდ, მოთხრობასა და რომანს. ალ. ორბელიანის შეხედულებით, მხატვრული ნაწარმოების მთავარი დანიშნულებაა სინამდვილის ასახვა. ოღონდაც მწერალს ამ მისიის მსახურებისას დიდი პროფესიული ტაქტი მოეთხოვება. მან ისე უნდა ამხილოს ზნეობრივი მანკიერება, რომ მხილებულს დაუტოვოს გამოსწორების საშუალება. „რამანი ანუ მოთხრობა რა არის? – ნამდვილი საგნიდან გააკეთონ, ეს არის თუ ჭორიდგან? ვინც იცის, მამიგებს: ნამდვილიდგან მხოლოდ დიახ გაფრთხილებით და დაფარულად სახელების გამოყენით, რომ გან-

გაშა არ მოხდეს ხალხში. ვიზედაც არის, უწყინად იგრძნას, დაიჯეროს და გასწორდეს კიდევ თვსებაში. აი ეს არის რამანისა და მოთხრობისა მიმართულება“ (ორბელიანი, 1980ა, გვ. 161).

აღ. ორბელიანის სოციალური მრწამსის გასარკვევად აუცილებელია მისი წერილის „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“ („ცისკარი“, 1859, №11) გათვალისწინება. ამ ვრცელ ნაშრომში ალექსანდრე ორბელიანი ამტკიცებს, რომ ისტორიულად საქართველოში ბატონყმობას არ ჰქონია სასტიკი მონობის ფორმა. „საქართველოში მებატონეთ ყმობა მონად (მონება მესმის მე, დაჩაგვრა) არ ითქმის. მართალია სიტყვა ყმობა იყო, მაგრამ საქმე მონებას არ აცხადებს“ (ორბელიანი, 1859ბ, გვ. 215). ძველად ღირსეულ ქართველებს მამაშვილური დამოკიდებულება ჰქონდათ ყმებისადმი. „უწინდელს დროში, გარეშე კაცი იმას ეძებდა: მებატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნოვო, ამისთვის, რომ მებატონე თავის ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მზგავსად გული სტკიოდა ყმისთვის“ (ორბელიანი, 1859ბ, გვ. 216).

აღ. ორბელიანის თქმით, ყმას ნებისმიერ დროს შეეძლო ბატონთან სტუმრობა, რჩევისათვისა თუ სათხოვრისათვის მისვლა. ბატონი და ყმა ხშირად ერთად იყვნენ, ერთად სადილობდნენ, ერთმანეთზე ზრუნავდნენ, ჭირშიც და ლხინშიც გვერდით ედგნენ ერთმანეთს. კრიტიკოსის აზრით, „რასაკვირველია იმათშიაც იყვნენ ცუდნი კაცნი, ანუ უწყალონი, მაგრამ ერთიან საზოგადოებისათვის ეს რავდენიმე დიახ მცირეა“. რა თქმა უნდა, ალექსანდრე ორბელიანის სტატიაში რამდენადმე რომანტიზებულია ისტორიული სინამდვილე (რის გამოც საბჭოთა ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში ალექსანდრე ორბელიანი რეაქციონერადაა გამოცხადებული), მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ისტორიულად ბატონყმობის ქართული მოდელი გარკვეულწილად მართლაც განსხვავებული იყო რუსული ანალოგისაგან და ამაზე მიუთითებს არა მხოლოდ „ძველი თაობის“ წარმომადგენელი ალექსანდრე ორბელიანი, არამედ არაერთი „ახალთაობელიც“, მათ შორის – აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი. ლექციებში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ აკაკი, რომელსაც ნამდვილად ვერავინ დასდებს ბრალად ბატონყმობის აპოლოგეტობას, აცხადებს: „ამ უკანასკნელ დრომდი ბატონყმობას ისეთი ხასიათი არა ჰქონია საქართველოში, როგორც სხვაგან. ის

იყო მხოლოდ ძმური, ერთმანეთთან უმფროს-უმცროსული დამოკიდებულება. ბატონი მეგრულათ პატონია და ჭანურათ პატრონი... ეს სიტყვები ერთად ნიშნავენ მზრუნველი, მფარველი და არა უფალი. აგრეთვე ჩვენი ძირეული სიტყვა „ყმა“ არ ნიშნავს მონას. ყმა, ე.ი. ყმაწვილი, ანუ ახალგაზდა. რუსთველი ხშირად ყმას ეძახის თვით ტარიელსა და ავთანდილსაც. ამ ნაირათ ბატონ-ყმობა ნიშნავდა თანასწორად უფროს-უმცროსულ დამოკიდებულებას... და არა ნაძალადევ ბრძანებლობას“ (წერეთელი, 1960, გვ. 92).¹

როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთლის მოსაზრება სრულად ემთხვევა ალექსანდრე ორბელიანის შეხედულებას.

„სურამის ციხის“ მთავარ ნაკლად ალექსანდრე ორბელიანი მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ იგი აგებულია არა გავრცელებულ, ტიპურ ამბავზე, არამედ გამონაკლის შემთხვევაზე, ჭორზე: „მართალია, ახლანდელი ჩვენი ზოგიერთის მებატონეებისაგან ბევრჯელ მომხდარა თავის ყმების ძირიანათ აკლება და ჯარიმების წართმევა, მაგრამ ეს ამგვარი საქმეები სრულებით არ მომხდარა... იმ პირებისაგან, ვიზედაც ამბობს ჭონქაძე“ (ორბელიანი, გვ. 1980, გვ. 170). ალექსანდრე ორბელიანს „სურამის ციხე“ კონკრეტულ, რეალურ პიროვნებებზე დაწერილ ნაწარმოებად მიაჩნია. იგი ამტკიცებს, რომ მწერალი მათ შესახებ არსებულ ბოროტ ჭორებს დაეყრდნო და სინამდვილეში, „ის, ვინც გაკიცხა ჭონქაძემ, გლეხებისათვის ჩავარდა ვალში... მეტის სიბრალეულის გამო გლეხებისა“ (ორბელიანი, 1980, გვ. 168).

გულუბრყვილოდ ჟღერს ალექსანდრე ორბელიანის სიტყვები: „ჩემო ხელმწიფეო! აბა ახლა მიბრძანეთ, ის დურმიშხან ვინ არის, მე არ გამიგონია იმისი სახელი და არც ყოფილა იმათ სახლში, რომელიც ყველას ვიცნობდი იმათ კერძობასა... არც მომხდარა მაგვარი რამ ამბავი იმათ სახლში, თორემ მე მეცოდინებოდა“ (ორბელიანი, 1980, გვ. 168).

ალექსანდრე ორბელიანი აღნიშნავს, რომ მებატონეთაგან გლეხთა ჩაგვრაზე საუბრისას ნაკლებად ახსენებენ ხოლმე საპირისპირო ხასიათის ფაქტებსაც, როცა თავადები ხელს უმართავენ და მფარველობენ გლეხებს.

ალექსანდრე ორბელიანის აზრით, „სურამის ციხე“ უფრო ლეგენდას ჰგავს, ვიდრე ისტორიულ მოთხრობას. არადა ჩვენს ისტორი-

¹ მსგავს მოსაზრებას ავითარებს გრიგოლ რობაქიძეც. იხ. (რობაქიძე, 1990).

აში მრავალი ისეთი ამბავია, რომელიც შესანიშნავ მასალას იძლევა მხატვრული ნაწარმოებისათვის. კრიტიკოსის თქმით, თუ მაინცდამაინც ისტორიული თხზულების დაწერა უნდოდა ავტორს, შეეძლო გამოეყენებინა სურამის ციხის შესახებ არსებული არაერთი პატრიოტული შინაარსის გადმოცემა.

ალექსანდრე ორბელიანი არ მიიჩნევს გამართლებულად თავდაზნაურობის, როგორც ცალკე სოციალური კლასის, კრიტიკას. მისი შეხედულებით, მწერალი უფრო ზოგადი, ეთიკური ხასიათის პრობლემებით უნდა ინტერესდებოდეს, როგორებიცაა, მაგალითად: ადამიანთა გულგრილობა, მშობლების უპატივცემულობა, მემთვრალეობა და სხვ. ამ თვალსაზრისით კრიტიკოსისათვის სამაგალითოა ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედება: „ამ ჩვენს ქვეყანაში „საბრალოების-თანა“ (მიზერაბლ) ამბებია, რომ უანგარიშო, რომლებისაგანაც ბევრს კარგს ვისწავლით, თუ როგორც რიგია ისე ააშენებს მწერალი იმ საგანსა“ (ორბელიანი, 1980, გვ. 167). საგულისხმოა, რომ რეალიზმის გაფურჩქვნის ეპოქაში ალექსანდრე ორბელიანისთვის ეტალონად მაინც რომანტიკოსი ჰიუგოს შემოქმედება რჩება. ესეც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის შინაგან მიდრეკილებას რომანტიზმისადმი.

ალექსანდრე ორბელიანი აღნიშნავს, რომ მებატონეთა კლასი, რა თქმა უნდა, არ არის იდეალური. ოღონდაც თუ ამ სოციალური ფენის მანკიერებაზე წერს მწერალი, მაშინ იგი ვალდებულია გამოსწორების გზაც უჩვენოს მას. „გვიპოვეთ საშუალობა და კარგნი შევიქნებით, თუ არა და ტყუილის დაწერით როგორ გავიტანთ საქმეს. ამით უფრო გაჯავრება მოხდება და ვერც გვასწავლით რიგიანათ“ (ორბელიანი, 1980, გვ. 161-162).

ალექსანდრე ორბელიანი წუხს იმის გამო, რომ ქართველი საზოგადოების ნაწილს ამჩნევს **ისტორიული წარსულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების** ნიშნებს. ეს ძალზე მძიმე ასატანი იყო იმ კაცისათვის, რომელიც აღმერთებდა წარსულს და სწამდა, რომ „მართლად რაღაც განსხვავებული ცხოვრება იყო უწინ“. სწორედ ამ ახლად თავჩენილი ტენდენციის გავლენით ხსნის კრიტიკოსი ჭონქაძის მწერლურ პოზიციას.

ალექსანდრე ორბელიანს მიაჩნია, რომ ძველისა და ახლის ორგანული შეთვისება არის ეროვნული განვითარების საწინდარი: „ვერ მივმხდარვარ, არ მესმის მე... რად უნდათ, რომ ძუჭლი გაიკაფოს და

მითამ ახალი აღმოცენონ. თუ კარგი ჭერმერები არიან, ძუჭლზე უნდა ამყნონ... რომ ჩუენი შვილიშვილები მაღლობასა შემოსძღვნიდნენ იმათ“ (ორბელიანი, 1980, გვ. 163). ძალზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ალექსანდრე ორბელიანი ამჩნევს ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ორი ძირითადი ნაკადის გამოკვეთას, ორი დასის დაბადებას, რომელთაც ის პირობითად „კონსერვატორებსა და პროგრესისტებს“ უწოდებს. ამ მოვლენას კრიტიკოსი სავსებით კანონზომიერ და მისასაღმებელ ფაქტად მიიჩნევს:

„მართლა ეტყობა, რომ ორი დასი იბადება, კარგი ნიშანია. ეს ის არის, წინ მივდივართ და უკან აღარ ვრჩებით. პროგრესისტებს უნდათ კონსერვატორები გაიგდონ წინ, კონსერვატორების შეჰყურებენ ჯერ სახეში იმათ: ვნახოთ რა იქნებაო. რაღა რა იქნება, უნდა პასუხი ვსთქუათ ჩუჭნის აზრისამებრ ასე: კარგს ამბავსა ძუჭლისას უნდა პატივი ვცეთ და ახლანდელს განათლებას თაყუანს ვცემდეთ. ოღონდ კარგი რამ ითქვას, რომ საზოგადოს ზნეობისა გასაკეთებელი იყოს, გონების სინათლის მიმცემი და ქუჭყნის სასარგებლო, თორემ სულ ერთია, რაც გინდათ თქვთ, გინდ ძუჭლი, გინდ ახალი განათლებისა“ (ორბელიანი, 1980, გვ. 163).

„ძველი კარგი“ უნდა იყოს საფუძველი „ახალი განათლების შენობის“ დასადგმელად.

ალექსანდრე ორბელიანის მოსაზრებათა განხილვისას ვრწმუნდებით იმ აზრის ჭეშმარიტებაში, რომ „ამ მწერლის ნააზრევში ბევრი რამ არის ისეთი, რაც კრიტიკული შეფასების სფეროში ერთგვარ ლიტერატურულ წინაპირობას უწევდა ჩვენს დიდ სამოციანელებს“ (ევგენიძე, 2009, გვ. 97).

დასასრულ, ორიოდ სიტყვა ალექსანდრე ორბელიანის, როგორც კრიტიკოსის სტილზე. განსაკუთრებული სტილური მახასიათებლებით ალექსანდრე ორბელიანის წერილები არაა გამორჩეული, იგი „დარბაისლური“ ქართულით მეტყველებს. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ორბელიანის პუბლიცისტიკა ძველი, მწიგნობრული ლექსიკური მასალითაა გაჯერებული, ზოგიერთ მის თანამედროვე ავტორთან (პლატონ იოსელიანი, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი

და სხვ.) შედარებით მისი ენა ბევრად მარტივია და დაახლოებულია სასაუბრო მეტყველებასთან. ალ. ორბელიანის სტილის არსებითი თავისებურებაა ზომიერება. მას არ სჩვევია კატეგორიული მსჯელობანი. „თუმცა ჩემის აზრით მე ასე ვამტკიცებ, მაგრამ ნურავის ნუ ეგონება მე იქამდისინ უბრალო ამპარტავნება მქონდეს, ან ურიგო თავის მოყვარება, ამ ჩემს გამოცემულს წერილზედ დავემყარო – რაც ვსთქვი უთუოდ ასეა მეთქი. არა, რასაც ვანბობ იქნება ასე არ იყოს და უფრო სხუა გუარად იყოს“ (ორბელიანი, გვ. 1860, გვ. 102), – მსგავს ფრაზებს ხშირად ვხვდებით ალექსანდრე ორბელიანის წერილებში. მეორე არსებითი ნიშანი ალექსანდრე ორბელიანის წერის მანერისა არის გულწრფელობა, უშუალოება. როგორც ჯუმბერ ჭუმბურიძე მიუთითებს, „ის, რის შესახებაც ავტორი მოგვითხრობს, ღრმადაა განცდილი მის მიერ; აქ არ იგრძნობა ხელოვნურობა და პოზა. მწერალს უდავოდ აქვს ის სიტბო, რომელიც გავლენას ახდენს მკითხველზე. ფანატიკური სიყვარული წარსულისა, ტკივილი – გამოწვეული აწმყოთი, თრთოლვა და შინაგანი წვა მწერლისა, რაც ყოველ სტრიქონში ჩანს, უდავოდ გადაეცემა მკითხველსაც“ (ჭუმბურიძე, 1972, გვ. 219). ალ. ორბელიანი სწორედ ამ გულწრფელობითა და ზოგჯერ გულუბრყვილობამდე მისული სიალალით ხიბლავდა მკითხველებს, მათ შორის ისეთ კრიტიკულად განწყობილ ახალი თაობის მწერალსაც კი, როგორც იყო აკაკი წერეთელი, ავტორი ალექსანდრე ორბელიანის შესახებ დიდი სიტბოთი გამსჭვალული მოგონებისა. ალექსანდრე ორბელიანის შესახებ საუბარსაც აკაკის შეფასებით დავასრულებთ: „[ალექსანდრე ორბელიანი] იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მკითხველი, ბევრის გამგონე და დიდი ნაღვაწი... ძალიან საყვარელი ვინმე იყო და საქართველოც განსხვავებულად უყვარდა“ (წერეთელი, 2015, გვ. 94).

გამოყენებული ლიტერატურა:

- გამსახურდია, ზ. (1991). წერილები, ესსეები. თბილისი: „ხელოვნება“.
- ევგენიძე, ი. (2009). ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III. თბილისი.
- ვაჟა-ფშაველა, (1964). თხზულებათა აკადემიური გამოცემა ათ ტომად, ტ. IX. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

- იოსელიანი, პ.(1850). წინასიტყვაობა, წიგნში: ერისთოვი გ., გაყრა (კომედია, ქმნილი თავადის გიორგი დავითის-ძის ერისთოვისაგან და წარმოდგენილი ორჯერ თფილისის ღიმნაზიის ზალაში ამა წლისა იანვრის თთუწში). თფილისი.
- ორბელიანი, ალ. (1853). რუსთაველი. „ცისკარი“, 1.
- ორბელიანი, ალ. (1857ა). მოწყალეო კელმწიფევ, უფალო რედაქტორო ივანე კერესელიძე. „ცისკარი“, 6.
- ორბელიანი, ალ. (1857ბ). რამდენიმე სიტყვა გაყრის კამედიაზედ. „ცისკარი“, 9.
- ორბელიანი, ალ. (1858ა). ქვრივის ღიმონების განხილვა, ანუ კრიტიკა. „ცისკარი“, 4.
- ორბელიანი, ალ. (1858ბ). მე და ის. „ცისკარი“, 7;
- ორბელიანი, ალ. (1859ა). სალაყბოს ფურცელზე. „ცისკარი“, 1;
- ორბელიანი, ალ. (1859ბ). უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში. „ცისკარი“, №11.
- ორბელიანი, ალ. (1860). ქართული უბნობა, ანუ წერა. „ცისკარი“, 6.
- ორბელიანი, ალ. (1865). ზოგიერთი შემცნევა. „ცისკარი“, 8;
- ორბელიანი, ალ. (1980ა). დართულს დართული, წიგნში: ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ორბელიანი, ალ. (1980ბ). დადესტნიდგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები. წიგნში: ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ორბელიანი, ალ. (1980გ). ქართულის ენისათვის. წიგნში: ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ორბელიანი, ალ. (1999). სიტყვა მამულის ტრაპესზედ, თბილისი, „ლომისი“.
- რობაქიძე, გრ. (1990). მიხაკო წერეთელი, მოგონებათა ბარდული. წიგნში: მიხაკო წერეთელი ერი და კაცობრიობა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- რჩეულიშვილი, გრ. (1865). თხზულებანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- წერეთელი, ა. (1960). თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XII. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- წერეთელი, ა. (2015). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 1960.

- ჭუმბურიძე, ჯ. (1959). ალ. ორბელიანის წერილი დ. ჭონქაძის „სურამის ციხეზე“ „ცისკარი“, 6.
- ჭუმბურიძე, ჯ. (1972). ალექსანდრე ორბელიანი. წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I. თბილისი“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჭუმბურიძე, ჯ. (1974). ქართული კრიტიკის ისტორია, I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

References:

- Ch'umburidze, J. (1959). Al. Orbelianis ts'erili Daniel Ch'onkadzis „suramis tsikheze“. „Tsisk'ari“, 6. [Alexander Orbelian's article about “Surami Castle” by Daniel Chonkadze. “Tsiskari” 6].
- Ch'umburidze, J. (1972). Aleksandre Orbeliani. Ts'ignshi: akhali kartuli lit'erat'uris ist'oria, I. [Alexander Orbeliani. In: History of New Georgian Literature, I]. Tbilisi: „TSU Publishing House“.
- Ch'umburidze, J. (1974). Kartuli k'rit'ik'is ist'oria, I. [History of Georgian Criticism, I].
- Evgenidze, I. (2009). Nark'vevebi kartuli lit'erat'uris ist'oriidan, III. [Essays from the history of Georgian literature, III]. Tbilisi.
- Gamsakhurdia, Z. (1991). Ts'erilebi, essebi. [Essays]. Tbilisi: „Khelovneba“.
- Ioseliani, P'.(1850). Ts'inasi't'q'vaoba, ts'ignshi: eristovi g., gaq'ra (k'omedia, kmnili tavadis giorgi davitis-dzis eristovisagan da ts'armod-genili orjer tpilisis ghimnaziis zalashi ama ts'lisa ianvris ttuჭshi).). [Foreword, in: Eristov G. Divorce (comedy created by Eristov and presented twice in the gymnasium hall of Tiflis)]. Tbilisi
- Orbeliani, Al. (1853). Rustaveli. „Tsisk'ari“, 1.[Rustaveli. „Tsiskari“, 1]..
- Orbeliani, al. (1857a). Mots'q'aleo khelmts'ipev, upalo redakt'oro ivane k'ereselidze. „tsisk'ari“, 6. [Dear Mr. Editor Ivane Kereselidze „Tsiskari“, 6].
- Orbeliani, Al. (1857b). Ramdenime sit'q'va gaq'ris k'amediazed. „tsisk'ari“, 9. [A few words for comedy “Divorce”. “Tsiskari”, 9].
- Orbeliani, Al. (1858a). Kvrivis limonebis gankhilva, anu k'rit'ik'a. „Tsisk'ari“, 4. [Review of Widow's Lemons, or criticism. “Tsiskati”, 4].
- Orbeliani, Al. (1858b). Me da is.„tsisk'ari“, 7. [Me and him. “Tsiskati”, 7].
- Orbeliani, Al. (1859a). Salaq'bos purtselze.„tsisk'ari“, 1. [About the chating paper. „Tsiskari“, 1].

- Orbeliani, Al. (1859b). Uts'indels dros bat'onq'moba sakartveloshi „Tsisk'ari“, 11. [Serfdom in Georgia in the past. “Tsiskari”, 11].
- Orbeliani, Al. (1860). Kartuli ubnoba, anu ts'era „Tsisk'ari“, 6. [Georgian speech, or writing. „Tsiskari“, 6].
- Orbeliani, Al. (1865). Zogierti shemtsneva. „Tsisk'ari“, 8. [Some observations. „Tsiskari“, 8].
- Orbeliani, Al. (1980a). Dartuls dartuli, ts'ignshi: kartveli romant'ik'osebi lit'erat'urisa da khelovnebis shesakheb. [Attached to attached. Georgian romantics about literature and art]. Tbilisi: „TSU Publishing House“.
- Orbeliani, Al. (1980b). Daghest'nidgan lek'ebis gamosvla da skhva ambebi. ts'ignshi: kartveli romant'ik'osebi lit'erat'urisa da khelovnebis shesakheb. [Speech of Leks from Dagestan and other news. Georgian romantics about literature and art]. Tbilisi: „TSU Publishing House“.
- Orbeliani, Al. (1980g). Kartulis enisatüis, ts'ignshi: kartveli romant'ik'osebi lit'erat'urisa da khelovnebis shesakheb. [For the Georgian language. Georgian romantics about literature and art]. Tbilisi: „TSU Publishing House“.
- Orbeliani, Al. (1999). Sit'q'va mamulis t'rap'eszed. [A word on the altar of the motherland]. Tbilisi: „Lomisi“..
- Robakidze, Gr. (1990). Mikhak'o ts'ereteli, mogonebata barduli. ts'ignshi: mikhak'o ts'ereteli eri da k'atsobrioba. [Mikhako Tsereteli, memories, in: Mikhako Tsereteli. Nation and Humanity]. Tbilisi: „TSU Publishing House“.
- Rcheulishvili, Gr. (1865). Tkhzulebani. [Works]. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.
- Ts'ereteli, A. (1960). Tkhzulebata sruli k'rebuli tkhutmet' t'omad, t'. XII. [A complete collection of works in fifteen volumes, Vol. XII]. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.
- Ts'ereteli, A. (2015). Tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'. VII. [A complete collection of works in twenty volumes, Vol. VII]. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.
- Vazha-Pshavela, (1964). Tkhzulebata ak'ademiuri gamotsema at t'omad, t'. IX. [Academic edition of works in ten volumes, Vol. IX]. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.

ელისაბედ ზარდიაშვილი

Elisabed Zardiashvili

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

აკაკის დღემდე აკრძალული თხზულებები

(„ხმა“, „სიმართლე“, „ასის წლის ამბავი“)

Akaki's works Banned Until Today

(„Voice“, „Truth“, „The Centennnial Story“)

No author in Georgian literature has as many unpublished works as Akaki Tsereteli. The interaction of the poet with Tsarist censorship is a subject of special interest. There are hardly any pieces in Akaki's works of literature that is not affected by censorship: distorted, remade or even banned.

Recent studies of the poet's writings stored in the archives have brought a great deal of fresh and fascinating information to the poet's works and biography.

Among Akaki Tsereteli's works "rejected" by the Tsar's censorship and the Soviet conjuncture the paper analyzes three works: the poem "Voice", the journalistic letter "Truth" and the poem "The Centennial Story". As a result of the research, it has been established that they represent the same work of different genres. None of the above listed works were published during Tsereteli's lifetime. After the death of the poet, several stanzas of the poem "Voice" were printed without reference to the author, and also only the first painless chapter of the poem was printed, and "Truth" was not given the honor of being published even after the poet passed away. The question arises, what in these three essays so frightened both the tsarist censorship and the Soviet conjuncture.

In his writings, Akaki considers the century-long Russification policy that raged in Georgia as the cause of the national degeneration of Georgians. All these misfortunes that the annexation of Georgia to Russia brought up are described in these three pieces. The poet claims that Russians are ferociously fighting against religion with various methods, purposefully causing people to lose their faith; the nation does not understand the Russian-language liturgy

introduced in the church, no one can succeed without denying Georgian identity, the Georgian language is excluded from the seminary and students are forbidden to speak their native tongue. All this is necessary for Tsarism in order to quickly assimilate Georgia with Russia. The poet sadly concludes that if the Georgians were able to maintain their identity in the “Tatar era” is now lost. Such passages are found throughout all three of the works, thus it is no longer surprising that they were banned.

The themes and conclusions discussed in Akaki Tsereteli’s unknown literary works are relevant to this day, they resonate with modern times, and therefore their publication is essential.

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთელი, ცენზურა, აკრძალული თხზულებანი, „ასის წლის ამბავი“, არქივი.

Key words: Akaki Tsereteli, censorship, banned works, „The Centennial Story“, archive.

„ჩემს სიცოცხლეში, ცხადად თუ სიზმრად, ერთი რამ მაფრთხობდა ყველაზე მეტად და საფლავშიაც ქარ-ცეცხლად მიმყვება. მე ვამბობ „ცენზურაზე“. ვინც მომსწრე არ არის და არ გამოუცდია, იმას მარტო გაგონებით წარმოდგენაც არ შეუძლია მისი, თუ რა იყო წინეთ ის საოცარი ცენზურა“, – წერდა აკაკი 1908 წელს (1961, გვ. 335).

პოეტის ეს შეშფოთება უსაფუძვლო არ ყოფილა. ქართულ ლიტერატურაში არ არსებობს მწერალი, რომელსაც იმდენი გამოუქვეყნებელი მასალა დარჩენოდა ცენზურის მიზეზით, რამდენიც აკაკი წერეთელს. იშვიათია მის შემოქმედებაში თხზულება, რომელსაც ცენზურის კალამი არ შეხებოდა: არ დაემახინჯებინა, ან საერთოდ არ აეკრძალა. საქართველოს უგვირგვინო მეფედ აღიარებული პოეტი ტრაგიკული პიროვნება იყო და ამ ტრაგიზმის ერთ მიზეზად საქართველოს მდგომარეობით გამოწვეულ სევდასა და არეულ ოჯახურ ურთიერთობებთან ერთად ცენზურაც სახელდება. ყველაზე მნიშ-

ვნელოვანი თხზულებები, რომლებშიც გაანალიზებული იყო მწვავე ეროვნულ-პოლიტიკური საკითხები ავტოკეფალური მოძრაობისა თუ რუსიფიკატორული მმართველობის შესახებ, სტატიების ციკლი ქართულ-სომხურ ურთიერთობებზე, პოეტის იუბილეს ამბების რეალური ჩანაწერები და ა.შ. პოეტის სიცოცხლეში ცენზურამ აკრძალა, შემდეგ საბჭოთა კონიუნქტურის მიზეზით, გამოცემათა მიღმა დარჩა და დღესაც არქივებშია საძიებელი. მათი რაოდენობა ძალიან დიდია. ჯერ კიდევ სიყმაწვილის ჟამს აკაკის ლექსები უკვე იწვევდა კეთილისმყოფელთა შეშფოთებას და ხელისუფლების გაღიზიანებას. მაგალითად, 1860 წლის აპრილში პოეტი პეტერბურგიდან დედას სწერს: „*მე და კერესელიძე როგორღაც ვერ მოვეწყვეთ. ლექსები წამიხდინა, თავისებურათ გადააკეთა...*“ (1963, გვ. 20). აკაკი გულისხმობს ლექსებს: „ნავი“, „ქართლის სალამი“, „შამილის სიზმარი“. ლექს „ქართლის სალამის“ ბოლო სტროფი: „*ჰხედავ რუსეთსა? რუსეთს შენს მხსნელსა?*“ – მკვლევართა უმრავლესობის მოსაზრებით, აკაკისეული არ არის და, სავარაუდოდ, ივანე კერესელიძეს უნდა მიემატებინა თხზულებისათვის, თუმცა „შამილის სიზმრის“ გამოქვეყნება რედაქტორმა ვერ მოახერხა ლექსის თავისუფალი შინაარსისა და სტილის გამო. მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში პოეტი იძულებული იყო ნაწერები შეეცვალა, სათქმელი შეერბილებინა, მიმართავდა ალეგორიას, ურთავდა მინაწერებს, ხშირად აერთიანებდა თხზულებებს ციკლებად: „ბოდვა“, „მიდებ-მოდება“, „ჭორი“, „ლაყობა“. ამით ცდილობდა, როგორმე ცენზურისთვის თვალი აეხვია და სათქმელი მკითხველამდე მიეტანა. მაგალითად, ლექს „ყიზილბაშურს“ გაუკეთა ქვესათაური „ველიჩკოდან“, „ქისას“ – არაკი კრილოვისა, „ახლანდელ პოლიტიკას“ – „რჩევა. გარდასული ამბავი. ეს ლექსი შახ-აბაზის დროს შეეხება...“ და ა.შ.

მიუხედავად ამისა, პოეტის ბევრი თხზულება საერთოდ არ გამოქვეყნებულა ან დამახინჯებულად დაისტამბა („ჩვენი მიხაკა“, „ცრუ მგოსანი“, „ახლანდელი პოლიტიკა“, „ხოლერა“, „მღვდელი და ექიმი“, „ხარაბუზა ღენერალს“, „წვერ-წვერა გამცემლიძესა“, „ქართველი ძეგლის წინ“, „მოთქმა“, „ვედრება“, „ხმა“, „სიმართლე“, „ასის წლის ამბავი“ და ა.შ.). „საისტორიო მოამბე“ სავსეა დოკუმენტებით, რომლებშიც საცენზურო კომიტეტს ხელისუფლებისგან ნაბრძანები აქვს, განსაკუთრებული მეთვალყურეობა დააწესოს აკაკი წერეთლის შემოქ-

მედებაზე, რათა „ვედრებისა“ თუ „ვორონცოვის“ მსგავსი თხზულებები არ გაიპაროს რომელიმე გამოცემაში.

საცენზურო კომიტეტი უარს ეუბნება პოეტს, როგორც სახელისუფლებო წრეებისთვის არასაიმედო პიროვნებას, ყოველკვირეულ გაზეთ „გზის“ გამოცემაზე. 1906 წლის იანვარში აკაკი პროლეტარული ჰიმნის, „ინტერნაციონალის“ თარგმნისა და „პატარა გაზეთში“ დაბეჭდვისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. მისი ბედი გაიზიარა რედაქტორმა კოტე მესხმა, ხოლო გაზეთი დახურეს. 1907 წლის 11 თებერვალს აკაკიმ გამოსცა ჟურნალ „ხუმარას“ ერთადერთი ნომერი, რადგან მასში განთავსებული მასალების გამო ხელისუფლებამ ჟურნალი მეორე დღესვე დახურა, აკაკი დააპატიმრა და მეტეხის ციხეში გამოკეტა. „ხუმარას“ დახურვის ძირითადი მიზეზი იყო აკაკის სატირული ლექსი „დიდყურაანთ ყროყინას“, რომელიც გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა გიგო ზაზიაშვილის კარიკატურასთან ერთად. მასზე გამოსახული იყო სახედარი გუბერნატორ რაუშ-ფონ-ტრაუბენბერგის ტანსაცმლით.

ყველაზე მეტი გამოუქვეყნებელი მასალა აკაკის შემოქმედებაში 1900-იანი წლებიდან ფიქსირდება. ამ პერიოდში პოეტს უფრო მეტი გამწარება (სხვა სიტყვას ვერ ვუწოდებთ) ეტყობა. იგი თითქოს საკუთარ სიცოცხლესაც აღარაფრად აგდებს და გააფთრებული ებრძვის კალმით ცენზურასაც და ხელისუფლებასაც. აკაკის ბევრი თხზულება კი იკრძალება, მაგრამ პოეტი მაინც ახერხებს 1905 წლის რუსეთ-იაპონიის ომისა და 1905-06 წლებში გამძვინვარებული რეაქციის პირობებში დაბეჭდოს ზოგიერთი თხზულება, სახელდობრ: ორი სტატია „სიტყვის“ სახელწოდებით „რევოლუციური მოძრაობისა და მასში ხალხის მნიშვნელობის შესახებ“ („ივერია“, 1905, №186) და „მოწოდება ბრძოლაში ხალხთა შეკავშირებისათვის“ („ივერია“, 1905, №195), ასევე რევოლუციური ლექსები: „ნატვრა“ („მადლობა უფალს, მოვიდა წარღვნა...“) („ივერია“, 1905, №22), „ხანჯალს“ („ივერია“, 1905, №208), „ძირს“ („ძირს, მთავრობავ, უსამართლო!“ („ივერია“, 1905, №219), „კალმახელიძის საჩივარი“ („ივერია“, 1906, №4); სტატია „აღდგომა“ ლექსით „ვისი მადლობა, რისი მადლობა“ („ივერია“, 1906, №5), რომელშიც აკაკი დაუნდობლად ამათრახებს დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის ნაწილს იმ მადლობისთვის, რომელიც მათ ხელისუფლებას გადაუხადეს რევოლუციის სისხლში ჩახშობისთვის.

ეს უმცირესი ნაწილია იმ დევნისა, რომელსაც აკაკი – ხელი-სუფლებისგან, ხოლო მისი შემოქმედება ცენზურისგან განიცდიდა. პოეტის შემოქმედების თანამედროვე კვლევებმა უამრავი აკრძალული მასალა გამოავლინა, რომელთა თემატიკა და დასკვნები დღემდე აქტუალურია, ისინი თანამედროვეობას ეხმიანება და მათ გამოქვეყნებას ყველა დროში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

როგორც მეფის ცენზურის, ისე საბჭოთა კონიუნქტურის მიერ „დაწუნებული“ მასალებიდან ნაშრომში გაანალიზებულია აკაკის სამი ნაწარმოები: ლექსი „ხმა“, პუბლიცისტური წერილი „სიმართლე“ და პოემა „ასის წლის ამბავი“, რადგან ისინი სხვადასხვა ჟანრის ერთსა და იმავე თხზულებას წარმოადგენს.

1990 წლებში მკვლევარი ლევან ჭრელაშვილი არქივებში შეუდგა აკაკის ერთი ლექსის ძებნას. ამის მიზეზი გახდა 1916 წლის გაზეთ „მეგობარში“ (№94) ავტორის მითითების გარეშე გამოქვეყნებული ლექსი სათაურით „ხალხური“. მეცნიერს მკვლევრის ალლომ უკარნახა, რომ ლექსი აკაკის საკუთრება უნდა ყოფილიყო. იმ პერიოდის ეროვნულ მოღვაწეთა არქივებში ძებნამ შედეგი არ გამოიღო. მკვლევარმა საბოლოოდ ლექსს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონის ფონდში (№1459) მიაკვლია. ვინაიდან თხზულება ხელმოუწერელი იყო და ასლის სახით ინახებოდა, ბატონმა ლევან ჭრელაშვილმა იმუშავა აღნიშნული ლექსისა და პოეტის სიცოცხლის ბოლოდროინდელი ნაწერების მხატვრული ხერხებისა და იდეურ-შინაარსობრივი ურთიერთმიმართების საკითხებზე და ატრიბუციის გზით დაადგინა, რომ ეს ხელმოუწერელი ლექსი აკაკის ეკუთვნოდა.

ლექსის სავარაუდო თარიღია 1898-1899 წლები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პოეტი აქტიურად იყო ჩაბმული იმ ავტოკეფალურ მოძრაობაში, რომელიც გაშლილი იყო საქართველოში 900-იან წლებში. ლექსი გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ 1992 წელს (№5-6).

„ხმა“ მნიშვნელოვანი შტრიხია აკაკის მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში, – წერს მეცნიერი, – იგი არალეგალური მუშაობის ფაქტს წარმოადგენს. ეს გარემოება მით უმეტეს მნიშვნელოვანი იყო იმ დროს – 1901 წელს, როცა ეკლესიის ავტოკეფალიისთვის ბრძოლა უშუალო ნაწილი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა...“ (ჭრელაშვილი, 1992, გვ. 159).

ლექსი „ხმა“ იმდენად მწვავე და მძაფრი ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათისა იყო, რომ იგი პოეტის სიცოცხლეში უავტორო ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა გარკვეულ საერო თუ სასულიერო წრეებში.

ლექსში აკაკი ანალიზებს რჯულისა და განათლების მდგომარეობას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. თუ 1892 წელს შექმნილ თხზულებაში „ხოლერა“ ავტორი აქცენტს ქართველების სულიერ დაკნინებასა და უკეთურობებზე ამახვილებს, რის გამოც მათ უფალმა სასჯელად „ხოლერა“ მოუვლინა, „ხმაში“ ერის შეცდომები უკანა პლანზეა გადაწეული. ავტორი „ხოლერისგან“ იდეურად განსხვავებულ თხზულებას ქმნის და ქართველების ეროვნული გადაგვარების საფუძველს არა თვით ერში, არამედ სხვაგან დაედებს. ეს „სხვა“ არის რუსეთი. ავტორი ქართველების ყველა უკეთურობის გამომწვევ მიზეზს იმ ასწლიან რუსიფიკატორულ პოლიტიკაში ხედავს, რომელიც საქართველოში მძვინვარებდა. „ხმაში“ აკაკიმ უკვე მტერი ამხილა და მას შეუტია. თხზულებაში რუსი ჩინოვნიკების კონკრეტულმა გვარებმა (გერმოგენი და თეოფილაქტი) გაიჟღერა, რაც იმ დროს წარმოუდგენელი გაბედულება იყო.

რამ დააფრთხო ასე ცარიზმის ცენზურა? ლექსში ჩამოთვლილია ყველა ის უბედურება, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთებით დაატყდა თავს. ავტორის აზრით, რუსები სხვადასხვა მეთოდით გააფთრებული ებრძვიან რჯულს, განზრახ უკარგავენ ხალხს რწმენას, ქართველი ვერ ეღირსება მღვდლობას, თუ არ უარყოფს ქართველობასა და ქართულ ენას; ეკლესიაში შემოღებული წირვა-ლოცვისა და გალობისა ხალხს არა ესმის რა, ამიტომ მღვდელმსახურებაც სრულად დამხობილია, სემინარიაში მოსწავლეებს დედა-ენას უკრძალავენ და ეს ყველაფერი ცარიზმს იმისთვის სჭირდება, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს საქართველოს ასიმილირება რუსეთთან. ქართველობამ რისი შენარჩუნებაც „თათრობის“ დროს შეძლო, ახლა ეცლება ხელიდან, – ასკვნის აკაკი.

ავტორის მოსაზრება ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ლექსის რამდენიმე სტროფშია მოცემული:

თუ ძველად ჩემი გულისთვის
თავსაც კი სდებდა სამოწმოდ,

დღეს რაღად არის უგრძობლად,
აუღელვებლად და უხმოთ?..

აჰა, ეძიოს იმანაც
საერთო ამბოხებითა,
თუ არ იპოვნის, რაცა სურს
ღვთისმშობლის მეოხებითა.

„ხმის“ დასასრულს იმედიც გამოსჭვივის:

– არაო, – ბრძანა იესომ!
მას იხსნის თქვენი (ღვთისმშობელი – ე.წ.) ფარით
და წაღმაც დატრიალდება
ეგ წმინდა თითისტარიო.

„ხმასთან“ ერთად კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის არქივში მოპოვებულ იქნა სხვა უამრავი დოკუმენტი აკაკის ავტოკეფალისტებთან ურთიერთობის შესახებ. ამ მასალების სახით დღეს უკვე ხელთ გვაქვს ის მყარი და უტყუარი არგუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ აკაკი თავდაუზოგავად იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის. გარდა შემოქმედებითი საქმიანობისა, ხშირად ის პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამდა ეკლესიის პრობლემების მოსაგვარებლად. ამის დასტურია პოეტის წერილი კათოლიკოს კირიონის მდივნის – სოსო ჩიჯავაძისადმი, ინიციატივა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა რომის პაპთან უნიის გაფორმებით; ასევე, ეპისკოპოს ლეონიდეს 1914 წლის 13 თებერვლის წერილი თხოვნით, დაწეროს ლექსი ავტოკეფალიის აღდგენის თემაზე და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, ლექს „ხმის“ ასლს ხელმოწერა არა აქვს, ამიტომ ბ-მა ლევან ჭრელაშვილმა საკმაოდ დიდი დრო და ენერგია შეაღია ავტორობის დადგენას. თუმცა, 1990-იან წლებში „სიმართლე“ და „ასის წლის ამბავი“ მიკვლევული რომ ყოფილიყო, ლექსის ატრიბუციისთვის მოპოვებული არგუმენტები საჭირო აღარ იქნებოდა, რადგან „სიმართლის“ ავტოგრაფითაც მარტივად დადგინდებოდა, რომ ლექსი აკაკის ეკუთვნოდა: „ხმა“, „სიმართლე“ და „ასის წლის ამბავი“ სამი სხვადასხვა ჟანრის ერთი და იგივე თხზულებაა არა მარტო თემებისა და იდეის იგივეობით, არამედ ტექსტუალური პარალელებითაც.

„სიმართლის“ შექმნის ისტორია

„ხმა“ ჩვენს დრომდე გამოუქვეყნებელი დარჩა, თუმცა პოეტს მალე მიეცა მიზეზი ლექსის იდეების სხვა ფორმით გამოხატვისა.

1901 წელს შესრულდა საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავი. ხელისუფლებამ მისი პომპეზურად აღნიშვნა გადაწყვიტა და 1898 წლიდან დაიწყო მზადება, მაგრამ მას ეს პომპეზურობა არ გამოუვიდა, რადგან ინტელიგენციისა და ხალხის გარკვეულმა ნაწილმა უარი თქვა ზეიმში მონაწილეობაზე.

„მე წინააღმდეგი ვარ ასეთი დღესასწაულის გადახდის, 40 წლის განმავლობაში მე სულ იმ აზრის ვიყავ, საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება იყო თვით ქართველი ერის სიკვდილი. 40 წლის განმავლობაში ამას ვფიქრობდი, ამას ვემსახურებოდი, ამას ვამბობდი როგორც სიტყვით, ისე კალმით...“ – ეს ილიას სიტყვებია, რომლებიც მან წარმოთქვა ერთ-ერთ შეკრებაზე. დოკუმენტი დაცულია ლიტერატურის მუზეუმის გამოუქვეყნებელი მასალების ფონდ-ში (№591-1-ბ).

აკაკი წერეთელმა აღნიშნულ ზეიმს ალაპი (ქელეხი) უწოდა ეკატერინე აბელიშვილისადმი გაგზავნილ ერთ აკრძალულ წერილში. „ზეიმის“ შემდეგ კი პოეტმა დაწერა ისეთი მწვავე ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათის სტატია „სიმართლე“, რომელიც ყველა ეპოქის ცენზურის მსხვერპლად იქცა და ჩვენს დრომდე დღის სინათლე არ ღირსებია (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი №280, №283). ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან აკაკიმ რუსიფიკატორული პოლიტიკის ასწლიანი მწარე სიმართლე მოურიდეblად და მკვახედ პირში მიახალა ყველას – ერსაც, ბერსაც და მტერსაც.

სტატიამ ორი ეპოქის ცენზურა დააფრთხო. პოეტს არცერთ პუბლიცისტურ წერილში თავი არ მოუყრია ამდენი მწარე სიმართლისთვის. მან გამოცდილი პუბლიცისტის ალღოთი გააანალიზა საქართველოს ისტორიული წარსული, გმირები შეაქო, მოღალატეებს თავისი ადგილი მიუჩინა, ვრცლად განიხილა პეტრე პირველის, ეკატერინე მეორისა და სხვა მონარქების რეალური მიზნები როგორც კავკასიაში, ისე კონკრეტულად საქართველოში. გააანალიზა სოლომონისა და ერეკლეს ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობაში და დაას-

კვნა, რომ ქართველი მეფეები სიტუაციის შესაბამისად მოიქცნენ, რომ მათ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში შეცდომა არ დაუშვიათ, „კავშირი რუსთ ხელმწიფესთან“ ფატალური აუცილებლობა იყო. ფასდაუდებელ მნიშვნელობას ანიჭებს სტატიას მისი მეორე ნაწილი, რომელშიც ავტორი განიხილავს ეროვნული მეობის მატარებელ იმ სამ ძირითად ღირებულებას – რჯულს, განათლებას და სამსჯავროს – რომლებიც ქვეყანას გადაგვარებისა და განადგურებისგან იცავს. ეს არის აკაკის მიერ ნაანდერძევი პოლიტიკური ფორმულა: თუ მტერს სურს რომელიმე ქვეყნის „მშვიდობიანი“ გზით დამორჩილება, ის სხვადასხვა ხერხით აუცილებლად ანგრევს ერის სამ უმთავრეს ღირებულებას: რჯულს, განათლებასა და სამსჯავროს. ეს იმ პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკამ დაადასტურა. ამ საკითხების გაანალიზების გამო წერილი „სიმართლე“ არა მხოლოდ საეტაპო, არამედ საპროგრამო თხზულებადაც შეიძლება ჩაითვალოს.

შეტევა რჯულზე – ასე შეიძლება დასათაურდეს აკაკის მიერ წერილის მეორე ნაწილში განხილული საკითხი. ავტორის აზრით, პირველი ღირებულება, რომელსაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმტკიცისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის და რომელიც მტერს ყველაზე მეტად უშლის ხელს ერის დამორჩილებაში, არის რჯული. „ქართველობამ სარწმუნოებას შეუკავშირა ეროვნება, ერთი მეორეს შეუსისხლხორცა, ძველად ქართველი ჰნიშნავდა ქრისტიანს და ქრისტიანი ქართველს“, – წერს პოეტი სტატიისში. ეროვნების დასავიწყებლად ჯერ რჯული უნდა დაევიწყებინათ ხალხისთვის. რწმენის გასანადგურებლად რუსეთმა თავისი ვერაგული გეგმა ოსტატურად დააღაგა. ეს იყო ეკლესიის გაღარიბება, ანუ ქონების ჩამორთმევა, კათალიკოსის გადაყენება და რუსი ეგზარქოსის დანიშვნა, ქართული წირვა-ლოცვის აკრძალვა და „სლოვიანის“ შემოღება. ამან რომ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, რუსები სხვა გზას დადგნენ. მათ იცოდნენ, რომ ქართველს ძალიან დიდი რიდი ჰქონდა ეკლესიის მიმართ. საჭირო იყო ამ რიდისა და მოკრძალების გაქრობა. ეს კი უნდა მომხდარიყო ეკლესიის შეურაცხყოფითა და მისი როლის გაუფასურება-გაუბრალოებით, რაც ხელს შეუწყობდა ერში რელიგიური გულგრილობისა და ნიჰილიზმის გაჩენას. ხელისუფლებამ ეკლესიების ძარცვას მიჰყო ხელი. ამან ხალხი გააოცა, „იმას ჰხედავდა, რაც თათრების შემოსევის დროს იშვიათი იყო

და სასწაულს ელოდა“, მაგრამ ამ ამბავს ნელ-ნელა შეეჩვია, „საყდარს ძალა არ ჰქონიაო“ და თვითონაც მიჰყო ხელი... აკაკი ასახელებს უამრავ სიწმინდეს, რომლებიც თავისი თვალთჳჭონია ნანახი სხვადასხვა ეკლესიაში, მაგრამ ისინი გაქრა, რადგან რუსებმა გაიტაცეს. ამ ფაქტს მრავალი მეცნიერის გამოკვლევა ადასტურებს (ნ. დურნოვო, ლ. კიკნაძე, ზ. ოქროპირიძე, საითიძე, ე. ბუბულაშვილი). აკაკი, ასევე, ვრცლად განიხილავს ავტოკეფალიასა და საეკლესიო პირებთან დაკავშირებულ პრობლემებს. იგი გმირობად აფასებს კირიონისა და ლეონიდეს მოღვაწეობას ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. არ ინდობს იმ მოღალატე სასულიერო პირებს, რომელთა განდგომის შედეგად ავტოკეფალიისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი უშედეგოდ დასრულდა. წერილის ავტორი ასკვნის, რომ სწორედ ღალატის, შეურაცხყოფისა და ლაფის შესხმის შედეგად შეიღახა ქართული ეკლესიის ავტორიტეტი, ხალხი გაგულგრილდა რჯულზე და, რაც მთავარია, შეჩერდა ავტოკეფალიისთვის ბრძოლის პროცესი.

რწმენასთან დაკავშირებული პრობლემების მიმოხილვის შემდეგ პოეტი ერის დამორჩილების მეორე გზის – სწავლა აღზრდის თემას ეხება. კოლონიურმა ხელისუფლებამ რჯულთან ერთად განათლების განადგურების გეგმაც შეიმუშავა. მან ახალი თაობის აღსაზრდელად ისეთი „ანტიპედაგოგიური მეთოდები“ შემოიღო, რომლებიც გრძნობა-გონებას „უხრწნიდა“ ახალგაზრდობას. რუსული ხელისუფლების მთავარ მიზანს წარმოადგენდა დედა ენის მოსპობა, წარსულის დავიწყება, იმის შეგონება, რომ რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში საქართველოს წარსული სიბნელისა და უბედურების მეტი არა ყოფილა რა და მხოლოდ გარუსებას შეუძლია ქვეყნის გამობრუნება. სასწავლებლებში „მუნჯური მეთოდის“ შემოღებას ქართველი პედაგოგები შეეწინააღმდეგნენ. ერთ-ერთ მათგანად აკაკი ასახელებს იაკობ გოგებაშვილს, რომლის გამძლეობასაც საარაკოდ მიიჩნევს ამ ბრძოლაში.

აკაკის წერილში მოჰყავს ციტატა დავით დადიანისადმი გაგზავნილი „ვასილ ოსიფოვიჩ ბებუთოვის“ წერილიდან, რომელშიც ავტორი ურჩევს ადრესატს, არ გააგზავნოს მეგრელი ახალგაზრდები საზღვარგარეთ სასწავლებლად, რადგან „ვირი რომ რაშად გადაიქცეს, თავს აღარავის გაახედნიებსო“. აკაკი აღნიშნავს, რომ ამ აზრის იყო

რუსობაც საქართველოს შესახებ. მას უვიცი და გაუნათლებელი ხელ-
ქვეითი სჭირდებოდა, რომელიც ადვილი დასამორჩილებელი და
სამართავი იქნებოდა...

დამუნჯებული მომჩივანი შეიძლება ეწოდოს სტატიაში განხი-
ლულ „ერის მოსასპობელ“ მესამე გზას. „სამართალწარმოებაში შე-
მოღებულ ყველა რეფორმას მხოლოდ გარუსების მიზანი ჰქონდა“,
– წერს აკაკი. რუსეთში მსაჯულს ხალხი ირჩევდა, საქართველოში
მთავრობა ნიშნავდა, რომ „სადავე არ გაეშვა ხელიდან“. ნაფიცი მსა-
ჯულებიც დანიშნულები იყვნენ და სამართლის წარმოებაც უცხო,
ხალხისათვის გაუგებარ ენაზე ხდებოდა. რუსულ ენაზე წარმოებულ-
მა სამართალმა „გააღარბა ხალხი და მიიყვანა იქამდე, რომ სამარ-
თალი აღარა სწამდა და უკუღმართობის მონა გახდა“. გარდა ამისა,
სხვა წვრილმანი სარბიელიც კი რუსებს ჰქონდათ დაკავებული. მათი
ერთადერთი მიზანი იყო ქართველების „გარუსება და გარუსება!!
მეტი არა ფერი!..“ – წერს პოეტი და ფრაზის ბოლო სიტყვა და-
ყოფითაც კი აქვს აქცენტირებული.

სტატიას ფასდაუდებელ ღირებულებას ანიჭებს იმ პერიოდის
მოვლენების არა მხოლოდ ღრმა და ობიექტური ანალიზი, არამედ
გამოსავლის, ანუ ერის გადარჩენის „რეცეპტის“ შეთავაზება. „სიმარ-
თლე“ სწორედ ის წერილია, რომელშიც აკაკიმ ჩამოაყალიბა სა-
ხელმწიფოთა შორის თანასწორობისა და ნებაყოფლობითი ურთი-
ერთობის, საქართველოს დამოუკიდებლობის ეტაპობრივი აღდგე-
ნისა და სხვა მნიშვნელოვანი იდეები, რომლებიც თანამედროვეობასაც
ეხმიანება.

წერილის ამ მცირე და შემოკლებული ანალიზითაც ნათელი
ხდება, რომ ცენზურა ასეთი სტატიის დაბეჭდვის უფლებას არ მის-
ცემდა. ეს სტანდარტული სიტუაცია იყო პოეტისთვის და ამიტომ მან
დაიწყო ფიქრი, თუ როგორ დასხლტომოდა ცენზურას კლანჭებიდან
და როგორ მიეტანა თავისი ნააზრევი მკითხველამდე.

„ასის წლის ამბავი“

თხზულება, რომელშიც პოეტი კიდევ ერთხელ შეეცადა ლექს
„ხმისა“ და სტატია „სიმართლის“ იდეების სრულ გადატანას, არის
პოემა „ასის წლის ამბავი“. თუმცა მანამდე... 1909 წელს პოეტი პარიზ-
შია და იქ წერს პოემა „ვორონცოვს“. აკაკი ნაცნობ ხერხს მიმართავს:

ტონს არბილებს, ვორონცოვის ქებითა და სხვა ხერხებით ცდილობს ცენზურის თვალის ახვევას, მაგრამ არ გამოსდის. „ვორონცოვს“ კინაღამ აკაკის „ჩემი ნაწერების“ II წიგნი შეეწირა. წიგნი კი გადარჩა, მაგრამ ცენზორმა მთლიანი პოემა გამოცემიდან ამოჭრა და კარგა ხანს დაკარგულადაც ითვლებოდა.

პოეტის პუბლიცისტიკის კვლევამ დაადასტურა, რომ აკაკი ცდილობს ლექსისა და სტატიის თემები სხვადასხვა წერილში მცირე დოზებით გადაანაწილოს. მაგალითად, 1911 წელს გაზეთ „თემში“ იბეჭდება აკაკის სტატია „ისე ჩვენი წარსულის გათვალისწინება“, რომელიც საკმაოდ მძაფრია ეროვნულ-პილიტიკური თვალსაზრისით, მაგრამ წერილის ერთი ადგილი – ვორონცოვის ქება – სრულად ამოვარდნილია საერთო კონტექსტიდან და არ ემთხვევა წერილის მიზანდასახულებას. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სტატიის უცნობი ავტოგრაფის (№279) მიგნების შემდეგ ნათელი გახდა, რისთვის დასჭირდა აკაკის ვორონცოვის ქება. უცნობ ავტოგრაფში ვორონცოვის ნაცვლად რუსთაველის ქება და ბრძოლისკენ მოწოდებაა. ასე წერილი ვერ დაიბეჭდებოდა. ამ ხერხით კი პოეტმა ცენზურას თვალი აუხვია, სამაგიეროდ, საჭირო თემები მკითხველამდე მიიტანა... ცოტა ხანში აკაკი ისევ „სიმართლეს“ მიუბრუნდა და მისი გალექსვა გადაწყვიტა. როგორც ჩანს, პოეტი ვარაუდობდა, რომ პუბლიცისტური წერილის ზოგიერთი საკითხის მხატვრული ხერხებით შენიღბვას შეძლებდა და დაბეჭდვაც გაუადვილდებოდა, მაგრამ აკაკის ამ მცდელობამაც უშედეგოდ ჩაიარა. პოემა „ასის წლის ამზავმა“ სრული სახით ადრესატამდე ვერც პოეტის სიცოცხლეში და ვერც მისი გარდაცვალების შემდეგ ვერ მიაღწია. იგი პირველად დაიბეჭდა მხოლოდ 2001 წელს კრებულში „უცნობი აკაკი“ („უცნობი აკაკი“, 2001, გვ. 64, შემდგენელი ნანა ფრუიძე).

პოემის შემოქმედებითი იტორია შეისწავლა მკვლევარმა ჯულიეტა გაბომემ და სხვადასხვა არგუმენტებზე დაყრდნობით თხზულება 1911-1912 წლებით დაათარიდა (წერეთელი, 2014, გვ. 567).

2001 წლამდე პოემის მხოლოდ რამდენიმე უმტკივნეულო სტროფი დაიბეჭდა. აკაკის თხუთმეტტომეულში კი ვერცერთი სტროფის შეტანა ვეღარ შეძლო იოსებ გრიშაშვილმა. ამის მიზეზი იგივე იყო, რაც „ხმისა“ და „სიმართლის“ შემთხვევაში. შეიძლება

ითქვას, რომ სამივე თხზულება იდენტურია მთავარი თემებისა და საკითხთა თანმიმდევრობის, ანუ მასალის განლაგების მიხედვითაც კი. უფრო მეტიც, სიმართლის ძირითადი საკითხები სიტყვა-სიტყვითაა გალექსილი და ისეა გადატანილი პოემაში. განსხვავება წერილსა და პოემას შორის ფორმასა და ტონში ვლინდება. ასევე, პოემას ემატება 1901 წლის („სიმართლის“ დაწერის) შემდეგ მომხდარი რამდენიმე ფაქტი, კერძოდ, რუსეთ-იაპონიის ომი და 1905-07 წლების რევოლუცია-რეაქცია. ტონში განსხვავებაც მხოლოდ შესავალს ეხება, სადაც პოეტი ოსტატურად დასცინის მეფე გიორგი XII-სა და რუსის ჯარს („ღორმუცელა გიორგი ცხენზე შეგოდრებულა, თითქოს ლოქო ეჭამოს, გამხიარულებულა... წინ მოუძღვის ამაყად რუსების ურდო ჯარებს...“). პოეტმა რუსებისგან მიღებული ჯილდო – მეფის ლურჯი სარტყელი – ქალაქის ჭორიკანა დედაკაცის – ტერ-შმოვანთ კეკელას საცვალს გაუთანაბრა („მთელი სამეფო გასცა მაგ ლურჯ სანახავზედა? მეხი კი დავაყარე იმ უტვინო თავზედა“.. შორს რალაზედ გარბოდა? ჩვენც გვცოდნოდა დღემდიო; გადვიჭრიდი ნიფხვის ტოტს და მე მივართმევდიო“).

ისევე როგორც „სიმართლეში“, აკაკი პოემაშიც ფართოდ ანალიზებს ეროვნული მეობის სამ ღირებულებას – რჯულს, განათლებასა და სამსჯავროს. აღნიშნულ თხზულებათა შეპირისპირებისას აშკარად ჩანს ის იდენტურობა, რომელიც ამ ორ ნაწარმოებს ახასიათებს. თუმცა პუბლიცისტური წერილისგან განსხვავებით „ასის წლის ამბავში“ პოეტმა დიდი ადგილი დაუთმო ანტირუსულ აჯანყებებს: კახეთის 1802 წლის, ქართლის მთიანეთის 1804 წლის, მთიულეთის 1804 წლის, კახეთის 1812 წლისას და ა.შ. განსაკუთრებით დრამატულად აღწერს იგი დასავლეთ საქართველოს 1819-20 წლების აჯანყებას, რომელიც სისხლში ჩაახრჩო ცარისტულმა რეჟიმმა. პოეტი რეალურ ფაქტებს ეყრდნობა („იმ დროს მოკლეს ქუთათელი, ტანჯეს, გვემეს გენათელი...“). 1820 წლის 4 მარტს აჯანყების ყველა მოთავე დააპატიმრეს, ივანე აბაშიძის გარდა, რომელიც აკაკის დედის მამა იყო. რუსებმა ის ვერ შეიპყრეს, გაქცევით უშველა თავს, მაგრამ მკვლელი მიუჩინეს და მაინც გაანადგურეს.

თანამედროვე ისტორიოგრაფიული გამოკვლევების მიხედვით დასტურდება, რომ ეს მოვლენები ზუსტად ისე განვითარდა, როგორც

აკაკი აღწერს პოემაში. რაც უნდა ბევრი ვისაუბროთ შემოქმედის ობიექტურობაზე, ფაქტია, აკაკი გულგრილი ვერ დარჩებოდა საკუთარი დედის „დაკარგული“ ბავშვობისა (ის სხვადასხვა ნათესავის კარზე გაიზარდა) და პაპის ღალატით სიკვდილის მიმართ. ზოგადად ერთად, კონკრეტულად, ალბათ, ამანაც განაპირობა პოემის ამ ადგილების დრამატული და მწვავე ტონი, რომელმაც გადაწყვიტა თხზულების ბედი. პოემის დაბეჭდვასთან დაკავშირებული პოეტის ოცნება ისევ ოცნებად დარჩა. ვერც „ასის წლის ამბავმა“ იხილა დღის სინათლე. მასში გაანალიზებულ ყველა მწვავე საკითხს რომ თავი დავანებოთ, როგორ მოახერხებდა აკაკი იმ თხზულების დაბეჭდვას, რომელშიც რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხებული რუსეთის შესახებ შემდეგი სიტყვები ეწერებოდა:

„ამოიძუა რუსებმა
და როგორც მხდალი გოშია,
ნაცემი, ნათათხანები
დაბრუნდა სამშობლოში“.

პოემის ბედს აკაკი წინასწარ გრძნობდა, რადგან ერთხელ აუდიტორიასთან მისი კითხვისას უთქვამს: ახლა ამ პოემას არ დაბეჭდავენ, შთამომავლობას დარჩესო...

ასე კი ბრძანა დიდმა მგოსანმა, მაგრამ კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და პოემა კვლავ გადააკეთა, იგი „რაჭა-ლეჩხუმის“ სახელს ამოაფარა, თუმცა ამაოდ. „უწყინარი“ ნაწილის მეტი ვერ დასტამბა...

აკაკის ამ სამ შედეგს არც მის სიცოცხლეში, არც საბჭოთა დროში არ ეწერა დაბეჭდვა. „ხმა“, „სიმართლე“ და „ასის წლის ამბავი“ მხოლოდ დღეს, ასი წლის შემდეგ გამოქვეყნდა...

გამოყენებული ლიტერატურა:

„უცნობი აკაკი“. (2001). თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ჭრელაშვილი, ლ. (1992). „ერთი უცნობი ლექსის ავტორის დადგენისთვის“, ჟ. „მნათობი“, 5-6, 159 გვ.

წერეთელი, ა. (1961). თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

- წერეთელი, ა. (1963). თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XV, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- წერეთელი, ა. (2014). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. IV, თბილისი: „საქართველოს მაცნე“.
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი 280, 283

References:

- Ch'relashvili, L. (1992). Erti utsnobi leksis avt'oris dadgenistvis, J. „Mnatobi“, 5-6, 159. [To determine the authorship of one unknown poem]. „Mnatobi“, 5-6, 159.
- Khelnats'erta Erovnulli Tsent'ri, Ak'ak'is Pondi, Avtograpi 280, 283. [National Center of Manuscripts, Akaki's Foundation, autograph 280, 283].
- Tsereteli, A. (1961). Tkhzulebata sruli k'rebuli tkhutmet' t'omad, t', XIV, Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“. [A complete collection of works in fifteen volumes, Vol. XIV]. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.
- Tsereteli, A. (1963). Tkhzulebata Sruli K'rebuli Tkhutmet' T'omad, T', XV, Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“. [A complete collection of works in fifteen volumes, Vol. XV], Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.
- Tsereteli, A. (2014). Tkhzulebata Sruli K'rebuli Ots' T'omad, T', IV, Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“. [A complete collection of works in twenty volumes, Vol. IV], Tbilisi: „Sakartvelos Matsne“.
- „Utsnobi Ak'ak'i“ (2001). [Unknown Akaki]. Tbilisi: „TSU Publishing House“.

მაია ცერცვაძე

Maia Tsertsvadze

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

Faculty of Informatics and Control Systems

**მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „ჯაკოს ხიზნების“
მხატვრულ სახე-პერსონაჟთა გენეზისის
საკითხისათვის**

**Towards the Question of the Genesis of Artistic Images
of Characters of „Jako’s Dispossessed“
by Mikheil Javakhishvili**

“Jako’s Dispossessed” by Mikheil Javakhishvili, to which the author attached special importance amongst his creations, is an outstanding example of Georgian writing of the 20th century. It was written in the wake of one of the most tragic periods in Georgia’s recent history – the uprising against Bolshevik Russia in 1924. Soon after, the novel was first published in the magazine „Mnatobi“ and as a separate book the following year.

The novel’s revealing pathos, themes, and issues were equally unacceptable to the government of the period, as well as to the part of the Georgian cultural society – the intelligentsia. Its publication was immediately followed by a lot of responses both in Georgia and abroad from Georgian emigrants who had escaped the Russian occupation regime.

Since then, the novel has not lost the attention of literary critics. Its various aspects have been thoroughly discussed and analyzed by scholars and critics.

One of the important issues regarding the study of Mikheil Javakhishvili's novel "Jako's Dispossessed" is the issue of the genesis of the artistic images of its main characters, which implies the identification of their prototypes. Our previous research, the continuation of which the presented paper is devoted to, described the issue of identifying the two trios of prototypes of the main characters of the novel – Jako Jivashvili, Teimuraz Khevistavi and Margo Kaflanishvili – and gathering information about them introduced in memoirs and other genres of literature, as well as in science in the early and later periods, and based on the exploration of the writer's records.

Currently, we are expanding the gallery of prototypes, and paying attention to other prototypes of these characters in the novel, suggested and established by literary experts and researchers of Mikheil Javakhishvili's life and works at different times. Based on the latest studies in this direction and their critical analysis, we will try to show the diversity and "synthetic" nature of the prototypes of the characters.

In the essay "How I Work" published in 1933, Mikhail Javakhishvili shared his opinion about the prototypes of characters in literary texts: "The prototype helps the writer a lot. If a living acquaintance stands in front of him, his character will also come out alive. However, drawing a portrait is not enough. The writer transforms it in his way, adds some things, leaves out others, and makes up someone who resembles the prototype and is different from him at the same time."

In this paper, we discuss the writer's creative laboratory. Specifically, the transformation of the prototypes and the episodes from their biography; of the events, facts and realia related to the prototypes through the author's literary fantasy, imagination and artistic determination, which led to the final genesis of the artistic images of "Jako's Dispossessed". As these aspects of the novel carry a significant symbolic load, we will also discuss their symbolic and paradigm aspects.

საკვანძო სიტყვები: მიხეილ ჯავახიშვილი, რომანი „ჯაყოს ხიზნები“, „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟები, პერსონაჟის მხატვრული სახე, მხატვრული სახის გენეზისი.

Key words: Mikheil Javakhishvili, novel „Jako's Dispossessed“, characters of „Jako's Dispossessed“, prototypes of „Jako's Dispossessed“, genesis of artistic images.

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ XX საუკუნის ქართული მწერლობის უთვალსაჩინოესი ნიმუშია, რომელსაც თავად მწერალიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და თავის სხვა რომანებში გამოარჩევდა. ავტორმა ის საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უტრაგიკულესი პერიოდის – 1924 წლის ბოლშევიკური რუსეთის საწინააღმდეგო აჯანყების კვალდაკვალ შექმნა. „ჯაყოს“ 1924 წ. სექტ.-ოქტომბერში ვწერდი. ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემ გულს ცეცხლი ედებოდა, ხოლო სული იმ დროს სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო“ გმინვია ჩემი სულის“, – ჩაუწერია მწერალს 1925 წელს უბის წიგნაკში (ჯავახიშვილი, 2015, გვ. 82).

რომანი მალევე პერიოდულ პრესაში – ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა, მომდევნო წელს კი ცალკე წიგნადაც გამოიცა.

„ჯაყოს ხიზნებს“ გამოქვეყნებისთანავე მოჰყვა პრესისა და საზოგადოების მწვავე რეაქცია და უამრავი გამოხმაურება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, რუსულ ოკუპაციურ რეჟიმს გარიდებულ ქართველ ემიგრანტთა წრეში. რომანის მამხილებელი პათოსი, თემატიკა და პრობლემატიკა ერთნაირად მიუღებელი აღმოჩნდა როგორც ქვეყნის იმდროინდელი საბჭოთა ხელისუფლებისა და პოლიტიკური ემიგრანტული წრეებისთვის, ასევე ქართული საზოგადოების კულტურული ელიტის – ინტელიგენციის ნაწილისათვის.

„ჯაყოს ხიზნებს“ არ დაჰკლებია ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღება. მეცნიერთა და კრიტიკოსთა (შ. ამირეჯიბი, ვ. ბაქრაძე, გრ. რობაქიძე, ავ. ბაქრაძე, ტ. კვანჭილაშვილი, ლ. წიქარიშვილი, რ. ჩხეიძე, ა. გომართელი, გ. კუჭუხიძე...) მიერ ჯეროვნად და სათანადოდ არის განხილული და გამოკვლევულ-გაანალიზებული მისი სხვადასხვა ასპექტი.

რომანის შესწავლის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მის მთავარ პერსონაჟთა მხატვრულ სახეთა გენეზისის საკითხი, რაც მათ პროტოტიპთა გამოვლენასაც გულისხმობს. ჩვენი წინარე კვლევა, რომლის გაგრძელებაც გვესახება წარმოდგენილი ნაშრომი, მიედევნა რომანის პერსონაჟების – ჯაყო ჯივავილის, თეიმურაზ ხევისთავისა და მარგო ყაფლანიშვილის – პროტოტიპთა ორი სამეულის იდენტიფიკაციისა და მათ ირგვლივ ცნობების მოძიებისა და თავმოყრის საკითხებს ადრეულ და სამეცნიერო ბრუნვაში ბოლო ხანს შემოსული

მემუარული და სხვა ჟანრის ლიტერატურის, ასევე თავად მწერლის ჩანაწერების საფუძველზე.

კვლევის შედეგად რომანის პერსონაჟთა პროტოტიპებად მივიჩნით შემდეგი ორი სამეული:

1. თავადი ნიკოლოზ (კოლია) სუმბათაშვილი (1868-1930), მისი მეუღლე დარია (დარიკო) ფალავანდიშვილი (1881-1925) და მათი მოურავი, აზნაური დავით ნემსაძე (ცერცვაძე, 2021, გვ. 93);

2. თავადი გიორგი ორბელიანი (1853-1924), მისი მეუღლე მარიამ (მარია, მანია) ორბელიანი (1868-1915) და მათი მოურავი, არტემ (არტურ) ყაზაროვი (ცერცვაძე, 2021, გვ. 99).

ამ ისტორიულ პირთა – ყოფილ თავადთა – ბიოგრაფიული ეპიზოდები და ოჯახური დრამები, მათ მეუღლეთა და მოურავთა შორის აშკარა და დაუფარავი, ცინიკური სასიყვარულო ურთიერთობები და მოურავთაგან თავადთა მამულებისა და ქონების უკანონო და ძალადობრივი დაუფლების ამბები, რაზეც ვრცლად ვსაუბრობთ დასახელებულ ნაშრომში, მწერალმა რომანის ფაბულად გამოიყენა და მის საფუძველზე გაშალა სიუჟეტი.

მართალია, მეორე სამეულის პროტოტიპობა ჩვენ საკითხის დასმის წესით დავაყენეთ მეტი სიზუსტისათვის, მაგრამ ის ფაქტი, რომ გიორგი ორბელიანის ოჯახურმა დრამამ მიიპყრო მწერლის ყურადღება და ამაზე უბის წიგნაკშიც ჩაინიშნა, ვფიქრობთ, იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ დიდი ალბათობით ეს სამეული და მისი ისტორიაც, თუნდაც ქვეცნობიერად, გავლენას იქონიებდა რომანის პერსონაჟთა და ფაბულის გენეზისზე.

ამჟამად გვსურს გავაფართოვოთ რომანის პროტოტიპთა გალერეა და ახალთან ერთად ყურადღება დავუთმო იმ პროტოტიპებსაც, რომლებიც მკვლევართა მიერ სხვადასხვა დროს არიან ნავარაუდევდადგენილნი. ამ მიმართულების უახლოეს კვლევებზე დაყრდნობით შეძლებისდაგვარად შევეცდებით წარმოვაჩინოთ რომანის პერსონაჟთა პროტოტიპების მრავალსახეობა, ასევე გავარკვიოთ, რას წარმოადგენდნენ მწერლის ინსპირაციის წყაროები და ის შემოქმედებითი იმპულსები, რომელთაც მწერლური ფანტაზიითა და მხატვრული მიზანდასახულობით მათი გარდაქმნის შემდეგ ხელი შეუწყეს „ჯაყოს ხიზნების“ მთავარი პერსონაჟების დაბადებას; ვის და რას,

რომელ პირებს, რა ფაქტებსა და რა მოვლენებს უდევთ წილი მათი საბოლოო მხატვრული სახეების გენეზისში.

1933 წელს გამოქვეყნებულ ესსეში „როგორ ვმუშაობ“, რომელშიც მწერალი თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიისა და ფსიქოლოგიის საკითხებზე მსჯელობს, იგი მხატვრული ტექსტების პერსონაჟების პროტოტიპების შესახებაც გვიზიარებს თავის მოსაზრებას: „პროტოტიპი მწერალს ძალიან ეხმარება. თუ მას თვალწინ ცოცხალი ნაცნობი უდგია, მისი ტიპიც ცოცხალი გამოვა. მაგრამ პორტრეტის დახატვა არა კმარა. მწერალი მას თავისებურად გარდაქმნის, ზოგ რამეს მიუმატებს, ზოგსაც დააკლებს და ისეთ ვინმეს გამოიყვანს, რომელიც კიდევაც ჰგავს დედანს და არცა ჰგავს“ (ჯავახიშვილი, 1933, გვ.192).

მიხილ ჯავახიშვილი იქვე განგვიმარტავს იმას, თუ რა მასალები ეხმარება წერაში: „რა მასალა უფრო მშველის – ავტობიოგრაფია, დაკვირვება, წიგნი თუ ჩანაწერები? ყველა ერთად, ცალ-ცალკე კი არცერთი“ (ჯავახიშვილი, 1933, გვ.190).

თვალი გავადევნოთ მწერლის მიერ ჩამოთვლილ იმ მასალებს, რომლებიც დაეხმარა მას „ჯაყოს ხიზნების“ შექმნაში და რომლებიც გვხვდება მამის ცხოვრება-შემოქმედებისადმი მიძღვნილ მისი უფროსი ქალი-შვილის და თავად მწერლის ნაწერებში.

ქეთევან ჯავახიშვილი იხსენებს:

„დედაჩემი (იგულისხმება მწერლის მეუღლე ლუბა ჯაჭვამე – მ.ც.) იგონებს, რომ იმ პერიოდში, როდესაც მამა ამ რომანზე მუშაობას იწყებდა, ერთი ამბავი მომხდარა, რომელიც ერთგვარი ბიძგი გახდა ნაწარმოების შექმნისა. ერთი თავადის ქალი უბრალო ყასაბზე გათხოვილა. ამ ამბავს ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია. უთუოდ ამ ამბავმაც სადღაც დაიბუდა მწერლის გონებაში“ (1984, გვ. 151).

სრულად მოვიხმობთ ასევე მწერლის რამდენიმე ცხოვრებისეულ ეპიზოდს, რომლებმაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოშვა ჯაყო:

„30 წლის წინათ ჯავის ხეობაში უცნაური ვინმე შემხვდა – ბრგე, ბანჯგვლიანი, ცბიერი, ხარბი, ამავე დროს მარდი და მოხერხებული. მისი სახელი აღარ მახსოვს. 10 წლის შემდეგ ინჟინერმა ფილო ყაზბეგმა (იგულისხმება რაფიელ (ფილო) ნიკოლოზის ძე ყაზბეგი (1850-1918), ინჟინერ-გამომგონებელი,

მწერალი, საზოგადო მოღვაწე, მწერალ ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი – მ. ც.) ქართულ კლუბში ასეთი ანეკდოტი გვიამბო: ნაყმევმა თავის კნეინას ძღვენი მიაართვა.

- გამარჯვება, ჯაყო!
- კნეინას გახლავარ.
- რასა იქმ, როგორა ხარ?
- ძალიან კარგად ბრძანდები, შენი წირი მე.
- ცოლ-შვილი როგორა გყავს?
- სულ კარგათა ხართ, გენაცვალე.
- რამდენი შვილი გყავს, ჯაყო?
- თორმეტი გყავს, გენაცვალე მაგ თვალეშია.
- როგორ მოახერხე მაგდენი, ჯაყო?
- მაშა, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა! – მიუგო ნაყმევმა.

უკანასკნელ სამ სიტყვაში ამაზე უფრო მწვავე პილპილი ეყარა. ანეკდოტი ჩემს ხსოვნაში ხუთიოდე წუთზე მეტს ვერა სძლებს, მაგრამ ამ უწმაწურ ანეკდოტს ჯაველი ოსი ჩაეხლართა და ამ სახემ ჩემი ხსოვნის ერთ-ერთ კუნჭულში დაიბუდა. კიდევ გავიდა ათიოდე წელიწადი და იგი მოულოდნელად გაცოცხლდა, გაშიშვლდა და თვალწინ წამომეჭრა. აი ზოგჯერ რა უცნაურად იზადება ტიპი (ჯავახიშვილი, 1933, გვ.192).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო მწერლის უბის წიგნაკის ორმა ჩანაწერმა, რომლებიც მას 1927 წელს გაუკეთებია და რომლებშიც მისი ამ რომანის კონტექსტში ნახსენებია გრიგორი რასპუტინის (1869-1916) ისტორიული ფიგურა. მოგვყავს ისინი: „*ჯაყოს პრობლემა რასპუტინის პრობლემაა. დედოფალ ალექსანდრას წინაშე არჩევანი რომ წამოჭრილიყო – ან რასპუტინი, ან მეფე ნიკოლოზიო – უეჭველად რასპუტინს აირჩევდა. ვინც რასპუტინიადას იცნობს, დამეთანხმება*“ (ჯავახიშვილი, 2015, გვ. 203); „*ჯაყოსთვის*“ გამოსადეგი ახსნის მასალა იხ. „*Дни Шувьгина*“ გვერდი 96 – რასპუტინზე“ (ჯავახიშვილი, 2015, გვ. 214).

როგორც ვხედავთ, მწერალი რასპუტინის პერსონას იშველიებს „ჯაყოს პრობლემისა“ და „ჯაყოსთვის“ გამოსადეგი ახსნის მასალად და უთითებს შულგინის თხზულებაზე.

აზნაურული წარმომავლობის რუსი სამხედრო მოღვაწე ვასილი შულგინი (1878-1976) რუსეთის სახელმწიფო დუმის მე-2, მე-3 და მე-4 მოწვევების დეპუტატი, ანტისოციალისტური და ანტობოლშევიკური შეხედულებების მქონე პოლიტიკოსი, თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგი და ორგანიზატორი, ნაციონალისტი და მონარქისტი იყო. მისი უაღრესად საყურადღებო მემუარები, სახელწოდებით „დღეები“ („Дни“), რომელსაც მიხეილ ჯავახიშვილი იმოწმებს უბის წიგნაკის მოხმობილ ჩანაწერში და რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რასპუტინის პერსონასა და მასთან დაკავშირებულ ამბებს, 1925 წელს გამოიცა სანკტ-პეტერბურგში, იმდროინდელ ლენინგრადში. მართალია, „ჯაყოს ხიზნების“ გამოქვეყნება ერთი წლით უსწრებდა შულგინის წიგნის გამოცემას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მიხეილ ჯავახიშვილი მანამდე არ დაინტერესებულა და არ იცნობდა რუსული მონარქიის ისტორიის იმ „უცნაურ“ პოლიტიკურ-სოციალურ ფენომენს, რომლის ოდიოზური პროტაგონისტიც გრიგორი რასპუტინი იყო. მისთვის სახასიათო, უაღრესად დაკვირვებული მწერლური მზერა, მუდამ „ტიპებისა“ და „ტემების“ შემჩნევაზე გამეცადინებული, რუსეთის სამეფო ოჯახთან რასპუტინის ურთიერთობისა და იმპერიის ბედზე მისი შთამბეჭდავი გავლენისკენაც რომ ყოფილა მიპყრობილი, ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ „ჯაყოს ხიზნებამდე“ ცოტა ხნით ადრე დაწერილ და გამოქვეყნებულ თავის პირველ რომანში „კვაჭი კვაჭანტირაძე“ რასპუტინი მწერალს პერსონაჟად ჰყავს შემოყვანილი.

„რასპუტინიადაზე“ აურაცხელი და მრავალჟანრული ლიტერატურა არსებობს, რის გამოც ამ საკითხზე სიტყვას აქ აღარ გავაგრძელებთ. დავჯერდებით მხოლოდ იმის თქმას, რომ კიდევ ერთი სამეფო – რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ მეორე, იმპერატრიცა ალექსანდრა ფეოდორის ასული და გრიგორი რასპუტინი – ცნობიერად თუ არაცნობიერად შეიძლება გამხდარიყვნენ მიხეილ ჯავახიშვილის რომანის პერსონაჟთა პროტოტიპები თუ არა, ერთ-ერთ შემოქმედებითი იმპულსის მიმცემნი მაინც.

„ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟთა გენეზისისათვის მეტად საყურადღებო დაკვირვებანი გვხვდება მეცნიერისა და მწერლის სოსო სიგუას უმნიშვნელოვანეს კულტუროლოგიურ ნაშრომში „მხატვრუ-

ლი აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“, რომელშიც სხვა ქართველ ავტორებთან ერთად რომანის ავტორის შემოქმედებაცაა ჩართული.

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი ფსიქოლოგიის კვლევისას ავტორი აცხადებს, რომ ზოგადად მისი პროზის და, ცხადია, „ჯაყოს ხიზნების“ სათავეც მწერლისავე ბიოგრაფია და ფსიქობიოგრაფიაა, პირადი, ოჯახური და გვაროვნული ტრაგედიები და მათი რესტავრაცია (სიგუა, 2018, გვ. 241).

მწერლის ბიოგრაფიასა და ფსიქობიოგრაფიაში აქ უწინარესად ნაგულისხმევია მისი ოჯახის უდიდესი ტრაგედია – დედისა და 15 წლის დის სოფიოს (სონას) საზარელი მკვლელობა სოფელ სიონში 1899 წლის წინასაახალწლოდ – 27 დეკემბერს, როცა მიხეილი ყირიმში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში სწავლობდა, ხოლო მამამისი საბა სადახლოში იმყოფებოდა. ორმა მთვარალმა თანასოფლელმა, რომელთაგან ერთი – სანდრო – ძლიერ იყო შეყვარებული სოფიოზე და მისი ცოლად შერთვა სურდა, ქალიშვილისგან უარის მიღებისა და სხვა მამაკაცზე მისი დანიშვნის შემდეგ განიზრახა სოფიოს მოტაცება. როცა თავდამსხმელნი დედა-შვილის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ, ისინი ნაჯახით დახოცეს და მიიმალნენ. მკვლელები მალევე დაიჭირეს. სანდრო სამი თვის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მიხეილს ეს ამბავი დაუმაღეს, ხოლო როცა მოგვიანებით მან ეს შემთხვევით გაიგო, მისი ქალიშვილის თქმით, „გულში თითქოს რაღაც ჩაუწყდა, ტკივილი იგრძნო და ეს ტკივილი უკვე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე აღარ განელებულა“ (ჯავახიშვილი, 1984, გვ. 92).

ს. სიგუას აზრით, თეიმურაზის, ჯაყოსა და მარგოს სახეთა შექმნის შემოქმედებით იმპულსად შემდეგი ფაქტი იქცა: 1920-იან წლებში მიხეილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ იგი ვერ შეურიგდა ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას და შეთქმულებაში ღებულობდა მონაწილეობას. 1923 წელს ის დააპატიმრეს თანამზრახველებთან ერთად, რომელთა უმეტესობა დახვრიტეს, მიხეილს კი აპატიეს, რადგან მან „დანაშაული“ მოინანია.

„1924 წლის აგვისტოს აჯანყებამ, მასობრივმა დახვრეტებმა და სისხლის კომმარმმა (მიხეილ ჯავახიშვილს – მ. ც.) მძაფრად განაცდე-

ვინა საკუთარი უმწეობა – „ნაკაცრობა“, რაც თეიმურაზ ხევისთავის სახედ გამოხატა. ხოლო უცხო, რუსული მოზეიმე ბოლშევიკური ძალა ჯაყოს სახედ აამეტყველა...

მწერალმა საკუთარი ფსიქიკური დრამიდან ეპოქის ტრაგიკული პერიპეტეები ამოზიდა და სამშობლოს დაცემის კომმარი წარმოსახა“ (სიგუა, 2018, გვ. 241).

ს. სიგუას მართებული დასკვნით, „1923-1924 წლების კომმარმა აღუდგინა და გაუცხოველა ძველი ტრავმა... ტრაგიკული განცდები, რაც პერსონაჟთა სიმბოლურ სახეებად გააცოცხლა, რომელთაგან ერთის მოდელი თავად იყო, მეორისა – ურჩხული – მტერი და მკვლელი, რომელიც უნგრევს ოჯახსა და სამშობლოს, წარმოსახვით არქანთროპის მსგავსი მხეცკაცი. ეს ყველაზე მძაფრად, ყველაზე მკვეთრად გამოავლინა თეიმურაზ ხევისთავისა და ჯაყო ჯივაშვილის ტრაგიკული, ჰიპერბოლიზებული დაპირისპირების ფონზე“ (2018, გვ. 244).

როგორც ვხედავთ, მკვლევრის შეხედულებით, თეიმურაზის პერსონაჟის სათავეა მწერლის ბიოგრაფია, ფსიქიკა და გარეგნობა, კერძოდ, მისი ასთენიკური კონსტიტუცია, ხოლო ჯაყოს პერსონაჟის – „ის ურჩხული, რომელმაც ჯერ და და დედა დაუხოცა, შემდეგ „წითელ ეშმად“ იქცა და სამშობლო წაართვა“ (სიგუა, 2018, გვ. 245).

თეიმურაზ ხევისთავის ერთ-ერთი პროტოტიპი რომ თავად-ვეა, ეს არც მიხეილ ჯავახიშვილს დაუმაღლავს და ამას დაუფარავად აცხადებდა.

რაც შეეხება მარგოს პერსონაჟს, რომელიც ასოციაციურად საქართველოს ხატად წარმოჩნდა, იგი სექსის საფუძველზე კონფლიქტის გამლის შედეგად წარმოიქმნა როგორც ერთი მხრივ უძღვრების, ხოლო მეორე მხრივ ძალადობის მსხვერპლი ქალი, – მიიჩნევს ს. სიგუა.

ჩვენი მხრივ გვინდა დავძინოთ ისიც, რომ ჯაყოს მხატვრული სახის გენეზისის ირგვლივ მკვლევრის მიერ აღწერილი და აქ მოხმობილი გარემოებებისა და დებულებების მართებულობას ადასტურებს თავად მწერალიც 1927 წელს უბის წიგნაკში გაკეთებული ერთი ლაკონიური ჩანაწერით: „ფროიდი და აგვისტო – აი ჯაყო“ (ჯავახიშვილი, 2015, გვ. 119). ასე დაწურულად, ფორმულის სახით გაგვიშიფრა მან ჯაყოს წარმომავლობა და არსი. ის, რომ მწერალს სექსის

პრობლემა მუდამ აქტუალურად მიაჩნდა და მისი ფსიქოანალიზით იყო დაინტერესებული, აშკარად ჩანს როგორც მისი მხატვრული თხზულებებით, ასევე უბის წიგნაკის ჩანაწერებით. სამაგალითად მოვიხმოთ ერთ მათგანს: „ვიყიდო ფრეიდის ფსიხოსექსუალობა“ (ჯავახიშვილი, 2015, გვ. 4).

ს. სიგუა თავის ნაშრომში აყალიბებს მიხეილ ჯავახიშვილის ტრაგიკულ პერსონათა იმ წარმოსახვით არქექტიპულ მოდელებს, რომელთა შორის, ცხადია, „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟებიც მოიაზრებიან და რომელთაც „აკონკრეტებდა და მიწასთან ამაგრებდა, რეალური ცხოვრებით ავსებდა პროტოტიპების გალერეა, რასაც ხშირად იყენებდა მწერალი..., ხოლო ორივეს აკავშირებდა და განავრცობდა ფანტაზია...“ (2018, გვ. 250).

ეს არქექტიპული მოდელებია: 1. თავად ავტორი – კეთილი, პატრიოტი, დამარცხებული ანუ „ნაკაცარი“; 2. თავადი ჯავახიშვილი; დისა და დედის მკვლელი; ბოლშევიკი მოძალადე – ბოროტი და გამარჯვებული და 3. ადამაშვილის ქალი; მწერლის და სოფიო – გათელილი და წამებული.

პირველ არქექტიპულ მოდელზე უკვე ვისაუბრეთ, რაც შეეხება მეორესა და მესამეში დასახელებულ „თავად ჯავახიშვილსა“ და „ადამაშვილის ქალს“, ვერ გავიზიარებთ მეცნიერის მოსაზრებას მწერლის პერსონაჟთა არქექტიპულ მოდელებად მათი მიჩნევისა და მწერლის ბიოგრაფიიდან მათი წარმომავლობის შესახებ შემდეგი მიზეზის გამო: დასახელებულ პირებში იგულისხმებიან თავადი, პრაპორშჩიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე მიხეილ ესტატეს ძე ჯავახიშვილი (?-1846 წლამდე), მეტსახელად „პრუწუნე“, რომლის ბიოგრაფიულ ცნობებს ვხვდებით თვალსაჩინო ისტორიკოს-მკვლევარ მაქსიმე ბერძნიშვილის ცნობილ ორტომეულში და რომლის მიხედვითაც მას „ცოლად ჰყავდა ორბელიანის ქალი, რომელიც უშვილო იყო. მიხეილს თავის მოახლის ადამაშვილის ქალისაგან ეყოლა შვილი, რომლის ჩამომავალია ჩვენი მწერალი მიხეილ ადამაშვილი – ჯავახიშვილი“ (ბერძნიშვილი, 1983, გვ. 266).

მ. ბერძნიშვილის ეს მონაცემები არ დასტურდება. თავად მწერლისგან თავისი გვარისა და წარმომავლობის შესახებ ალექსანდრე გომიაშვილთან და გიორგი შატბერაშვილთან გამხელილი ცნობებით, რომელიც შემდეგ მისმა ქალიშვილმა ქეთევანმაც შეიტანა თავის

წიგნში, აგრეთვე სათანადო საარქივო დოკუმენტაციისა და ცნობილი გენეალოგის იური ჩიქოვანის კვლევების საფუძველზე (ჩიქოვანი, 1997, გვ. 53-61) სამეცნიერო ლიტერატურაში უარყოფილია მიხეილ ჯავახიშვილის თავადური წარმომავლობა (ჯავახიშვილები იყვნენ როგორც თავადები, ასევე აზნაურები და გლეხები – მ. ც.) და ისიც, რომ მისი წინაპარი თავადი მიხეილ ესტატეს ძე ჯავახიშვილი იყო. დადგენილია ასევე, რომ ადამაშვილი მწერლის არა ნამდვილი, არამედ შერქმეული გვარია (ხომერიკი, 2008, გვ. 5-30).

„ჩემი ნამდვილი წინაპრები ჯავახიშვილები არიან. ჩემს წინაპარს, ვინმე ჯავახიშვილს (კვლევები ცხადყოფს, რომ მწერლის წინაპარი „ვინმე ჯავახიშვილი“ გლეხი იყო – მ. ც.) ქართლში კაცი შემოკვდომია. იქიდან გამოქცეულა, ქიზიყში გადასულა და იქაური გვარი, ტოკლიკიშვილი აუღია. შემდეგ, ბორჩალოში რომ გადმოვედით, იქ ადამაშვილის გვარით ვცხოვრობდით. პაპაჩემი ხომ ადამა იყო (იგულისხმება მწერლის მამის საბას მამა – მ. ც.) და გვარად ადამაშვილი ავიღეთ. მე აღვიდგინე და დავიბრუნე ჩვენი გვარი“ (ჯავახიშვილი, 1984, გვ. 18), – განუცხადებია მიხეილს ნაცნობი მწერლებისთვის.

შესაბამისად, ვერ გავიზიარებთ ვერც იმ მოსაზრებას, რომ მწერალმა მარგოს „გვარად ყაფლანიშვილი მისცა, რადგან მისი ერთი შორეული წინაპარი ორბელიანის ქალი იყო, ერეკლე მეორის შთამომავალი“ (სიგუა, 2018, გვ. 247). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიხეილ ჯავახიშვილი არ არის მიხეილ („პრუწუნე“) ესტატეს ძე ჯავახიშვილის შთამომავალი, რომელსაც არა მეუღლე, რომლის შესახებ არაფერია ცნობილი, არამედ დედა ჰყავდა ორბელიანის ქალი – ელისაბედ იოანეს ასული ორბელიანი (1772-1833), ერეკლე მეორის შვილთაშვილი. მარგოს გვარად ყაფლანიშვილის (იგივე ორბელიანის) გვარის მიკუთვნება კი, როგორც ეს ჩვენს წინარე კვლევაში მივუთითეთ, ნაკარნახევი უნდა იყოს მისი ერთ-ერთი პროტოტიპის მარიამ (მარია, მანია) ორბელიანის (1868-1915) გვარით (ცერცვაძე, 2021, გვ. 99).

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულია ასევე ჯაყოს პროტოტიპად იოსებ სტალინის, ხოლო თეიმურაზ ხევისთავის პროტოტიპად ნოე ჟორდანიას მიჩნევის თვალსაზრისი.

ა. გომართელი თავის წერილში „პროტოტიპები და პროტაგონისტები („მიწის ყივილი“ და „ჯაყოს ხიზნები“)“ იხსენებს აკაკი ბაქრაძის მთელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების კურსს კინოდრამატურგიაში, რომელსაც თავად ესწრებოდა და რომელშიც ლექტორს „ჯაყოს ხიზნების“ მისეულ პროტოტიპებზეც უსაუბრია. შემდგომში გამოქვეყნებულ წერილში (იგულისხმება აკაკი ბაქრაძის „მოუხმარელი, ანუ ტრაგიკული თავისუფლება“) კრიტიკოსს ეს საკითხი აღარ დაუფიქსირებია.

აკაკი ბაქრაძეს ყურადღება რომანის სამ სიმბოლურ სახეზეც – მარგოს, ჯაყოსა და თეიმურაზ ხევისთავის სიმბოლურ სახეებზე გაუმახვილებია. „მარგო სახეა საქართველოსი, იმ ქვეყნისა, რომელსაც დაცვა და პატრონობა ესაჭიროებოდა... თეიმურაზ ხევისთავის პროტოტიპია ნოე ჟორდანიას, ჟორდანიას ენაბრგვილი კაცი იყო, ჯაყოს პროტოტიპია სტალინი – იოსებ სტალინი – მოძალადე, რომელიც იმას დაეუფლა, რასაც თეიმურაზ ხევისთავმა ვერ უპატრონა. გარდა ფონეტიკური მსგავსებისა ჯივანშვილი – ჯულაშვილი, აკაკი ბაქრაძემ ისიც თქვა, მხედველობაშია მისაღები, რომ ჯულაშვილების გვარი ოსური წარმომავლობის გვარიაო“ (გომართელი, 2020, გვ. 9).

როგორც ვხედავთ, პროტოტიპებად ამ პირთა მიჩნევას სხვა ყველაფერთან ერთად საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, ნოე ჟორდანიას სახასიათო თვისება – ენაბრგვილობა, ხოლო მეორე მხრივ, – იოსებ სტალინის ეთნიკური წარმომავლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოარულმა გადმოცემამ სტალინის არაქართული, კერძოდ, ოსური წარმომავლობის შესახებ, რაც ავტორიტეტულ მეცნიერთა სამეცნიერო კვლევებით (ი. ჯავახიშვილი, ვ. გურული...) არ დასტურდება, დიდად შეუწყო ხელი ჯაყოს პროტოტიპად მისი მიჩნევის თვალსაზრისის წარმოშობას. ამავე საკითხს ეძღვნება გოჩა კუჭუხიძის მეტად საყურადღებო სტატია სათაურით „ჯაყოს სეხნია?“ (კუჭუხიძე, 2011, 9-22).

ჯაყოს ოსობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: მიხეილ ჯავახიშვილი თავად აღნიშნავს: „ჯაყო ოსია. შემთხვევითი ამბავია: ცოცხალი ვნახე და ავწერე. გარდა ამისა, ოსური ჟარგონი დიდ ძალას აძლევს რომანს. არავითარი ეროვნული სარჩული ჯაყოს ოსობას არა აქვს. ოსებს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ამჟამად სადავო და გასაყოფი არაფერი გვაქვს“ (ჯავახიშვილი, 1989, გვ. 51). ეს სიტყვე-

ბი მან იმ თეზისებში ჩაწერა, რომლებიც 1925 წლის 25 მაისს რუსთაველის სახელობის თეატრში „ჯაყოს ხიზნების“ ირგვლივ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ თაოსნობით გამართული დისკუტის გამო ჩამოაყალიბა.

რამდენად გულწრფელია აქ მწერალი, ძნელი სათქმელია. შესაძლოა ეთნიკურ საკითხთან მიმართებაში, თანამედროვე ტერმინი რომ გამოვიყენოთ, იგი პოლიტკორექტულობას და გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს. ჟარგონიზმების გამოყენებას დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებდა მწერალი, ეს მას 1927 წელს უბის წიგნაკშიც აღუნიშნავს: „*ჟარგონს დიდი ძალა აქვს ლიტერატურაში*“ (ჯავახიშვილი, 2015, გვ. 192).

ჯაყოს პროტოტიპად იოსებ სტალინი ერთ-ერთმა პირველმა მიიჩნია პოლიტიკურმა მოღვაწემ და ლიტერატურის კრიტიკოსმა, ემიგრანტმა ვალერიან ბაქრაძემ (1884-?), რომლის ვრცელი წერილი „კრიტიკული შენიშვნები – „ჯაყოს ხიზნები“ რომანი მიხეილ ჯავახიშვილისა“ – 1929 წელს დაიბეჭდა პარიზში გამომავალ ემიგრანტულ ჟურნალ „კავკასიონის“ მეორე ნომერში. მან მაღალი შეფასება მისცა ჯაყოს სახეს და იგი არა მარტო სტალინთან დააკავშირა, არამედ ბოლშევიკთა კრებით და სიმბოლურ სახედ წარმოაჩინა:

„ჯაყო მეტია, ვიდრე მხატვრული ტიპი, ის სიმბოლოა, მხატვრული სიმბოლო ეპოქისა; ის, ასე ვთქვათ, მხატვრული კვინტესენციაა ბოლშევიზმის, იმის, რაც მუდმივი და უკვდავია ბოლშევიზმში, იმის, რაც შეადგენს მის მთავარ დამახასიათებელ თვისებას, მის ბუნებას. გაანთავისუფლეთ ბოლშევიზმი მისი ფრაზეოლოგიიდან, რევოლუციონური რიტორიკიდან, ახადეთ მას ნილაბი და თქვენ მიიღებთ... ჯაყოს“ (შარაძე, 2003, გვ. 309).

„სტალინ-ჯუღაშვილი – იგივე ჯაყოა, მხოლოდ ჯაყო, რომელმაც „უსუნა“, ასე ვსთქვათ ცივილიზაციას და დაიზეპირა რამოდენიმე მარქსისტული ფორმულა, შესწორებული და „გაღრმავებული“ ილიჩის მიერ.

მოუსმინეთ, აბა, სტალინს, რომელიც ლაპარაკობს კომინტერნის სხდომაზე ან კომპარტიის ცეკას კრებაზე. ეს ჯაყოა, რომელსაც დაუბანია, დაუვარცხნია, ჩაუცვამს, საზოგადოება-

ში გამოსულა, ლენინის ნაწერები გაუზეპირებია და პოლიტი-
ბიუროს მდივანი გამხდარა!

მოუსმინეთ ლუნაჩარსკის, ისიც ჯაყოა. მხოლოდ ჯაყო
გაშალაშინებული, პარიზის ბულვარების თეატრებში და კა-
ფე შანტანებში ნამყოფი, ცოტა გალაქული და „ესტეტი“, ასე
ვთქვათ.

Grattez le Russe et vous y trouverez un tartane: (გაფხიკეთ
ცოტა რუსი, იპოვით თათარს), – ამბობდა ნაპოლეონი. შეფ-
ხიკეთ ცოტა სტალინი, ლუნაჩარსკი, ტროცკი, ზინოვიევი და
სხ. მოაშორეთ გარეგნული ლაქი, მოაშორეთ მათ სიტყვებს
რევოლუციონური რიტორიკა და ცრუ-მარქსისტული ფრაზე-
ოლოგია და თქვენ მიიღებთ ჯაყოს მისი უკვდავი ფორმულით:
„ასე ვიცის ჯაყომა“ (შარაძე, 2003, გვ. 311).

როგორც ვხედავთ, ჯაყოს მხატვრული სახე, რაც შემდგომად
მრავალგზის აღნიშნულა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების
მკვლევართა მიერ, რომანის გამოქვეყნებიდან მალევე იქნა მიჩნე-
ული არა მარტო სტალინის, არამედ რუსული ბოლშევიზმის მამების
კრებით სახე-სიმბოლოდ.

აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჯაყოს, როგორც რევოლუ-
ციური მოძრაობის ძალადობის პროდუქტს, ხაზს უსვამს დავით
კასრაძესთან საუბარში წამოთქმული მწერლის სიტყვებიც, რომელ-
საც მისი ქალიშვილი იგონებს: „შენც ხომ ხარ მოწმე, ქურთაში განა
ცოტა ჯაყო მოიპოვებოდა? მთელი სამაჩაბლო ლიახვის ხეობაზე
ჯაყოებს ეპყრათ ხელში, განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციიდან
მოყოლებული“ (ჯავახიშვილი, 1984, გვ. 152).

გვინდა გამოვთქვათ აგრეთვე ფრთხილი ვარაუდი მწერლის-
თვის ბიძგის მიმცემი კიდევ ერთი შემოქმედებითი იმპულსის შე-
სახებ. ჯაყოს, როგორც თეიმურაზ ხევისთავის მოურავის სახის გენე-
ზისისთვის, ვფიქრობთ, თუნდაც ქვეცნობიერად, მნიშვნელობა შეიძ-
ლება ჰქონოდა ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი მოურავის დიმიტრი
ჯაშის (?- 1922) პერსონას. სააქივო წყაროების მოძიებითა და მათზე
დაყრდნობით გამოქვეყნებულ თანამედროვე სანდო საისტორიო კვლე-
ვებში ახლებურადაა წარმოჩენილი ილია მკვლელობის შემზადება-
ში იმთავითვე ეჭვიმტანილი დიმიტრი ჯაშის როლი და მონაწილე-

ობის ხარისხი. ამ საუკუნო ბოროტებაში ის უფრო მეტად სოციალ-დემოკრატთა თანამზრახველად მოიაზრება, ვიდრე რუსეთის იმპერიის სამსახურების აგენტად, როგორც ამის წარმოჩენას განზრახ ცდილობდა საბჭოთა პროპაგანდა (სიმაშვილი, 2020, 13-20), თუმცა ამას ჩვენი ამჟამინდელი კვლევის მიზნებისათვის არსებითი მნიშვნელობა არც აქვს. მიხეილ ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძის სულიერი მემკვიდრე და მისი უპირველესი ჭირისუფლი, როგორც ცნობილია, დიდად იყო დაინტერესებული ილიას მკვლევლობის გამოძიებითა და მისი მკვლევლების გამოამჟღავნებით, რასაც მოწმობს მისი ბიოგრაფია, პუბლიცისტიკა (მოგონება „წიწამურა“ (1936)...) და უბის წიგნაკის ჩანაწერები. ამ ნაწერებში დიმიტრი ჯაში და მისი ის ვერაგობაც იხსენიება, რასაც მოურავისგან თავადის ღალატი და სასიკვდილოდ გაწირვა ჰქვია და რითაც სულით ხორცამდე შეძრულია მწერალი. 1831-1833 წლებში ჩაუნიშნავს მას ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი წევრის, 1905 წლამდე სოციალ-დემოკრატის პეტრე სურგულაძის (1873-1931) ნათქვამი: „დიმ. ჯაში მე ამოვიყვანე სარდაფიდან (ნეტა ხელი გამხმობიყო). შემდეგ მას ყველა სალამს აძლევდა – ვინც მას ჟანდარმების აგენტად სთვლიდა. და ვისაც ილიას მკვლევლად მიაჩნდა“-ო (ჯავახიშვილი, 2015, გვ. 287).

მრავლისმთქმელია ის ფაქტიც, რომ მწერლის ყურადღება ილიას მოურავის ტიპაჟსაც მიუპყრია: „დიმიტრი ჯაში – ტიპი“, – ჩაუწერია მას უფრო ადრე, 1924 წელს თავის უბის წიგნაკში (ჯავახიშვილი, 2015, გვ. 68).

წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე, რომელსაც, ვფიქრობთ, კიდევ გავაგრძელებთ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების“ მთავარ პერსონაჟებს არაერთი პროტოტიპი ჰყავთ და ისინი კრებსითი, მწერლის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „სინტეტიური სახეებია“, მეტად საინტერესო და საყურადღებო სახე-პერსონაჟთა გენეზისისა და სინთეზის თვალსაზრისით და მათ ქრესტომატიულ მაგალითებად გამოდგება.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული მართებული თვალსაზრისით, რომანის პერსონაჟ სახეებს სიმბოლური

დატვირთვა გააჩნიათ – ჯაყო რუსული ბოლშევიზმის, თეიმურაზი – უგერგილო, მერყევი ქართული ინტელიგენციის, ხოლო მარგო – დაცემულ საქართველოს სიმბოლოებია.

ამასთან, ზოგიერთი დაკვირვება, რაც ზემოთ მოვიყვანეთ, მათ შორის „რასპუტინიადას“ პერსონაჟებზე დაფიქსირებული აზრი, ვფიქრობთ, მეტი განზოგადებისა და იმის საფუძველს გვამლევს, რომ „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟთა სიმბოლური დატვირთვა განივრცოს და მიჩნეულ იქნას ისინი მრავალპლანიან და მრავალმნიშვნელოვან სახე-სიმბოლოებად:

ჯაყო არა მარტო ბოლშევიზმის, არამედ ყოველგვარი ძალადობის – სამხედრო, რევოლუციური, პოლიტიკური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური და სხვ. განზოგადოებულ სახედ (ვის-ვის და ავანტიურისტ გრიგორი რასპუტინს რევოლუციონერობას და ბოლშევიკობას ვერ დაეწამებთ); თეიმურაზი – წინააღმდეგობის ძალას მოკლებულ, უუნარო, ძალადობის ნაირგვარი ფორმების ხელშემწყობი ფაქტორების ერთობლიობის კრებით სახედ, ხოლო მარგო – ამ ძალადობათა მსხვერპლისა და ისეთი შედეგის კრებით სახედ, რომლის დადგომაშიც თანაბარი წილი უდევს და რომელსაც განაპირობებს წინა ორი ფაქტორისა თუ სიმბოლური სახის ერთიანობა.

ამ კონტექსტში მნიშვნელობა აღარ აქვს ჯაყოს ოსობას. ოსური ჟარგონი შესაძლოა მართლაც პერსონაჟის გამოსახვის მეტი ექსპრესიისთვის დასჭირდა მწერალს. ამაზევე მეტყველებს მწერლის უბის წიგნაკის კიდევ ერთი ჩანაწერი: „თეიმურაზში“ ჰამლეტის მერყევი სულია“ (ჯავახიშვილი, 2015, გვ. 91), რომლითაც, ვფიქრობთ, ხაზგასმულია სახე-პერსონაჟის ზეეროვნული ხასიათი.

ნათქვამის შედეგად თვალსაჩინო ხდება ისიც, რომ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“ ზემოთმოყვანილ ფაქტორთა (სახეთა) დიალექტიკის მარად აქტუალურ პრობლემატიკას ეძღვნება, რაც ზრდის მის მნიშვნელობას და რასაც ის მხატვრულ-ფილოსოფიური ტექსტის რანგში აჰყავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერძნიშვილი, მ. (1983). მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბილისი: „მეცნიერება“.
- გომართელი, ა. (2020). პროტოტიპები და პროტაგონისტები („მიწის ყვილი“ და „ჯაყოს ხიზნები“). „ცისკარი 1852“, 6.
- კუჭუხიძე, გ. (2011). ჯაყოს სეხნია? გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 11-12. თბილისი: „ინტელექტი“.
- სიგუა, ს. (2018). მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა, თბილისი: „საარი“.
- სიმამიშვილი, თ. (2020). ვინ მოკლა ილია? ახლადმოძიებული საარქივო მასალები, ნაწილი I, თბილისი: „მერიდიანი“.
- შარაძე, გ. (2001). ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 2. თბილისი: „მეცნიერება“.
- შარაძე, გ. (2003). ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 3. თბილისი: „მეცნიერება“.
- ჩიქოვანი, ი. (1997). გენეალოგიური ტაბულები, „არტანუჯი“, თბილისი: „ინტელექტი“.
- ცერცვაძე, მ. (2021). მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟთა პროტოტიპები, „ლიტერატურული ძიებანი“, XLI, თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
- ხომერიკი, მ. (2008). მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, თბილისი: „უნივერსალი“.
- ჯავახიშვილი, მ. (1933). როგორ ვმუშაობ, „მნათობი“, 10, ტფილისი: „სახელგამი“.
- ჯავახიშვილი, მ. (2015). უბის წიგნაკებიდან. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს ცისანა გენძეხაძემ და მარინა შიშნიაშვილმა. თბილისი: „ინტელექტი“.
- ჯავახიშვილი, ქ. (1984). მიხეილ ჯავახიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა თბილისი: „მერანი“.
- ჯავახიშვილი, ქ. (1989). მიხეილ ჯავახიშვილი. ბელეტრისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

References:

- Berdznishvili, M. (1983). Masalebi metskhramete sauk'unis kartuli sazogadoebis ist'oriisatvis. [Materials for the History of the Georgian Society of the First Half of the 19th Century]. Tbilisi: "Metsniereba".
- Chikovani, I. (1997). Genealogiuri t'abulebi, "Artanuji". [Genealogical Tables, "Artanuji"]. Tbilisi: "Intellekti".
- Gomarteli, A. (2020). Prot'ot'yp'ebi da p'rot'agonist'ebi ("mits'is q'ivili" da "jaq'os khiznebi"). "Tsisk'ari 1852", 6. [Prototypes and Protagonists ("Call from Motherland" and "Jaq'o's Dispossessed"). "Tsiskari 1852", 6].
- Javakhishvili, M. (1933). Rogor vmushaob. "Mnatobi", 10. [How I work, "Mnatobi", 10]. Tbilisi: "Sakhelgami".
- Javakhishvili, M. (2015). Ubis ts'ignak'ebidan. Sheadgina da gamosatsemad moamzad da Tsisana Gendzekhadzem da Marina Shishniashvilma. [From the Pocket Notebooks. Compiled and prepared for publication by Tsisana Gendzekhadze and Marina Shishniashvili]. Tbilisi: "Intellekti".
- Javakhishvili, K. (1984). Mikheil Javakhishvili. Tskhovreba da shemokmedeba. [Mikheil Javakhishvili. Life and work]. Tbilisi: "Merani".
- Javakhishvili, K. (1989). Mikheil Javakhishvili. Belet'rist'i, p'ublitsist'i, zhurnalist'i. [Mikheil Javakhishvili. Fiction writer, publicist, journalist]. Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".
- Khomerik'i, M. (2008). Mikheil Javakhishvili unik'aluri dok'ument'ebis ponze. [Mikheil Javakhishvili in the Unique Documents]. Tbilisi: "Universali".
- K'uchukhidze, G. (2011). Jaq'o's sekhnia? Gelatis metsnierebata ak'ademiis zhurnali, 11-12. [Jaq'o's Namesake? Journal of Gelati Academy of Sciences, 11-12]. Tbilisi: "Intellekti".
- Sharadze, G. (2001). Kartuli emigrant'uli zhurnalist'ik'is ist'oria, t'omi 2. [History of Georgian Emigrant Journalism, Vol. 2]. Tbilisi: "Metsniereba".
- Sharadze, G. (2003). Kartuli emigrant'uli zhurnalist'ik'is ist'oria, t'omi 3. [History of Georgian Emigrant Journalism, Vol. 3]. Tbilisi: "Metsniereba".
- Sigua, S. (2018). Mkhat'vruli azrovneba: genezisi da st'rukt'ura. [Artistic Thinking: Genesis and Structure]. Tbilisi: "Saari".

- Simashvili, T. (2020). Vin mok'la Ilya? Akhalmoziebuli saarkovo masalebi. Nats'ili I. [Who killed Ilya? Newly Searched Archival Materials, Part I]. Tbilisi: "Meridiani".
- Tsertsvadze, M. (2021). Mikheil Javakhishvilis romanis "Jaq'os Khiznebis". P'ersonazhta Prototypebi. Lit'erat'uruli Dziebani, XLI. [Prototypes of the Protagonists in the Novel "Jaq'o's Dispossessed" by Mikheil Javakhishvili, "Literary Searches", XLI]. Tbilisi: Shota Rustaveli Institute of Georgian Literature.

ადა ნემსაძე

Ada Nemsadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ეგზისტენციალური კრიზისის პრობლემა 80-იანი წლების
ქალთა პროზაში
(ლეილა ბეროშვილის „მარიამი“)

Existential Crisis Problem in the Women's Prose of the 80s
(**Leila Beroshvili's „Mariam“**)

The 80s of the 20th century is the period distinguished by many innovations for Georgian literature, which have not yet been systematically evaluated in our literary studies. It was at that time when the whole generation of young women writers appeared in Georgian literature: Keti Nizharadze, Ana Mkheidze, Naira Gelashvili, Maka Jokhadze, Leila Beroshvili...

Distinguished name in this generation is Leila Beroshvili while her fiction prose still remains in the shade. Existential problematic characterizes her prose, just like the Georgian short stories of the 70s and especially of the 80s in general: life of an ordinary person, sharp feeling of loneliness and of being unsheltered, harshness of the human world and absence of compassion, activation of death topic and etc. Special attention must be paid to the short story *Mariam*. It is a text created by collage technique. The whole short story is the alteration of stories happening in the present or far or near past. Its main problematic is the existential crisis of a woman living alone and of a single mother, the main reason of which is the lack of love. Mariam is free and at the same time she is “cursed with freedom” (Jean Paul Sartre). Her role in the society she is living in is passive. The lonely woman fails to bear the burden of freedom.

Another existential problem cutting through the woman's life is loneliness. Faith is not a solution for Mariam's loneliness, while it is recognized as

one of the main solutions by existentialists; the woman finds another shelter, which is love, however, her happy love is temporary so the character is left in an existential crisis.

The article will discuss and research the aforementioned accents.

საკვანძო სიტყვები: ეგზისტენციალური კრიზისი, ქალთა პროზა, ლეილა ბეროშვილი, თავისუფლების პრობლემა, სიყვარული.

Key words: existential crisis, women's prose, Leila Beroshvili, problem of freedom, love.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლები ქართული ლიტერატურისათვის სიახლეებით გამორჩეული პერიოდია, რომელიც სისტემურად ჯერაც არაა შეფასებული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ახალგაზრდა მწერალ ქალთა მთელი პლეადა: ქეთი ნიჟარაძე, ანა მხეიძე, ნაირა გელაშვილი, მაკა ჯოხაძე, ლეილა ბეროშვილი... ეს უკანასკნელი თაობის გამორჩეული სახელია, რომლის მხატვრული პროზა ექსისტენციალისტური ფილოსოფიის უმთავრეს საკითხებს დასტრიალებს და, სამწუხაროდ, დღემდე რჩება ჩრდილში.

დილით ყოველთვის აღვიძებდა ცხენის ფეხის ხმა და ორთვალას თვლების საშინელი რიტმი, რუების ჩხრიალი. ისევ თენდებოდა. გათენებას არასოდეს მოუტანია მისთვის სიხარული, მაშინაც, როცა არ იცოდა, რა მოელოდა ცხოვრების გზებზე, უკვე რომ მიემართებოდნენ და მიიყოლებდნენ. თვალეზგაყინული დილა ყოველთვის გულზე აწვა და ასე გამოჰყვა, – დილით იშვიათად იღვიძებს კარგ გუნებაზე... (ბეროშვილი, 2021, გვ. 19)

ლიტერატურათმცოდნეობაში მხატვრული ტექსტის დასაწყისს განსაკუთრებულ, შეიძლება ითქვას, კონცეპტუალურ მნიშვნელობას ანიჭებენ მკვლევრები. ამიტომაც აღნიშნავენ, რომ ჰომეროსის „ილიადის“ პირველი სიტყვა „რისხვა“ თუ „ვეფხისტყაოსნის“ „რომელმან“,

ანუ ღმერთი, სწორედაც რომ მთავარზე მიუთითებს. არა მხოლოდ მწერლის, არამედ, ზოგადად, 80-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობა „მარიამზე“ (რომლითაც იხსნება გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ 2021 წელს გამოცემული ლეილა ბეროშვილის მოთხრობების სრული კრებული „ცაზე მთვარე მიცურავდა“) ამ მხრივ დაკვირვება მართლაც რომ საინტერესო ფიქრებს აღძრავს. მოთხრობა გათენების სურათით იწყება, რაც, ჩვეულებრივ, პოზიტიურ, იმედიან წინასწარგანცდას უნდა აჩენდეს, მაგრამ – არა. პირველივე აბზაცში ისეთი ეპითეტებითაა განსაზღვრული პერსონაჟის ცხოვრება, ისეა დანახული ეს ღვთის მიერ ნაწყალობევი ნათელი, რომელიც ყოველ დილით დგება – „ორთვალას თვლების საშინელი რიტმი“, „თვალეზგაყინული დილა“, „გათენებას არასოდეს მოუტანია მისთვის სიხარული“, „დილით იშვიათად იღვიძებს კარგ გუნებაზე“ – რომ იმთავითვე ჯერაც გაურკვეველი, მაგრამ მოსალოდნელი ტრაგიზმის განცდა ჩნდება და მიზეზიც იქვეა, მეორე აბზაცშივე, პერსონაჟის ფიქრები ყოველ დილით „სადღაც შორს“ მიდიან: „საოცარია, მაგრამ იმ „შორს“ და სიშორეს ეკუთვნის ახლაც თხემით ტერფამდე“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 19). ყველაფერი გასაგებია, „შორს“ ისაა დარჩენილი, რის გარეშეც ცხოვრება გაძლება იქცა (იქცევა ხოლმე).

მოთხრობა ჩვეულებრივი, უბრალო, ყოველდღიური საზრუნავით იწყება, სოფლად მცხოვრები ნებისმიერი ქალის ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ყოფითი სურათებით – შვილი, სამსახური, მეზობლებთან ურთიერთობა – და, ძირითადად, ასევე გრძელდება ბოლომდე. თუმც ამ ყოფით დეტალებში, ერთი შეხედვით ნაკლებად საყურადღებო პასაჟებშიც კი, ღრმა სიმბოლური მნიშვნელობების ამოკითხვაა შესაძლებელი; ტექსტის ენობრივი ქსოვილი ინახავს და მკითხველისთვისაც ზედიზედ იხსნება ახალ-ახალი აზრობრივი სიღრმეები, მოთხრობილი ორიგინალური სტილითა და პოეტური ენისათვის დამახასიათებელი ტროპული მრავალფეროვნებით.

დილით, ჯერ კიდევ სკოლაში წასვლამდე, გადადის მარიამი მეზობელთან ბავშვისთვის რძის საყიდლად ახალი ფეხსაცმლით, მაგრამ, მერძევე ქალის უსინდისობით გააღმასებული და თავად უმწეო ამ უსინდისობის წინაშე, მაშინვე უკან ბრუნდება: „გაიხადა ის ახალი ფეხსაცმელი და მიყარა. დაჯდა მერე ეგრე ჩაცმულ-დახურული და ხმამაღლა ატირდა ბავშვივით“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 20).

შემდეგ კი ისევ ძველით მიდის სკოლაში. ახალი ცხოვრება ვერ იწყება, ახალ გზაზე პირველივე დაბრკოლებას შეჩეხებული უკან ბრუნდება და ისევ გაკვალულს არჩევს. სიძნელესთან დასაპირისპირებლად თითქოს მზად არაა, შინაგანი ძალები არ ჰყოფნის. არადა მერძევე ქალთან მართალია, უკან დასახევი მას არ აქვს, პირიქით, იქით შედავებისთვის ყველანაირი მიზეზი მის ხელშია – მას ატყუებენ. მწერალი პირველივე ამბით მიგვანიშნებს, რომ მარიამი მებრძოლი არაა, ის ქალია, რომელსაც გვერდით ძლიერი მამაკაცი სჭირდებოდა, მაგრამ ცხოვრებამ მარტოობისათვის გაწირა. ამ მარტოობამ კი მისი სასიცოცხლო ძალები მინიმუმამდე დაიყვანა.

ლეილა ბეროშვილის მოთხრობებშიც, როგორც, ზოგადად, 70-იანი და განსაკუთრებით 80-იანი წლების ქართული მოთხრობისთვისაა დამახასიათებელი, შეინიშნება ექსისტენციალური პრობლემატიკა: უბრალო ადამიანის ყოფა, მარტოობისა და მიუსაფრობის მწვავე განცდა, ადამიანური სამყაროს სიხისტე და თანაგრძნობის არარსებობა, სიკვდილის თემის გააქტიურება და ა. შ. უარყო რა ღმერთი, ექსისტენციალისტური ფილოსოფიის ერთ-ერთმა თეორეტიკოსმა ჟან პოლ სარტრმა ადამიანს განუსაზღვრელი თავისუფლება მიანიჭა და მთელი პასუხისმგებლობაც მასვე დააკისრა საკუთარ სიცოცხლეზე – იგი თავისუფალია და მისი ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ მისი არჩევანია. თუმც იქვე აღიარა, რომ ეს არსებობა და ბრძოლა ამ სამყაროში უმძიმესი ტვირთია და ადამიანიც მუდმივად ცდილობს, ამ სიმძიმეს გაექცეს, ამიტომაც სარტრი დაასკვნის: „ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით“ (Кузнецов, 1970, с. 247). მარიამი ამ ბრძოლაში პასიურია, ვერც კი იწყებს, თანაც ბრძოლას კი არა, პროტესტსაც ვერ გამოხატავს არა მხოლოდ მერძევე ქალის, არამედ ყოფილი ქმრისა და სკოლის დირექტორის წინააღმდეგაც კი, ყველგან თითქოს დინებას მიჰყვება და, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ცხოვრებისა თუ ადამიანებისგან მიყენებულ ყველა დარტყმას იღებს საკუთარ თავზე. მარიამი ვერ ახერხებს, თავისუფლების სიმძიმეს მოერიოს.

კიდევ ერთი ექსისტენციალური პრობლემა, რომელიც მსჭვალავს ქალის ცხოვრებას, მარტოობაა. სიორენ კირკეგორს მიაჩნდა, რომ ცხოვრება სიხარული არაა, ის მწუხარების ხვედრია. ადამიანი საკუთარი ნება-სურვილით არაა მიტოვებული პირქუშ სამყაროში,

იგი უფსკრულში ჩაგდებულივითაა, ამ მარტოობის ტანჯვას კი ღვთისკენ მიჰყავს იგი (2019, გვ. 18-23). თუმცა მოთხრობაში მარტოობიდან გამოსავალი სხვაა, ქალი სხვა თავშესაფარს ეფარება და ეს სიყვარულია. სოფელში ბევრი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ პერსონაჟი მაინც „მას“ ელაპარაკება, ქალაქში დარჩენილს თუ დატოვებულს. ეს ერთადერთი კომუნიკაციაა, რომელიც მას სიამოვნებას ანიჭებს და ვალდებულებით არაა განსაზღვრული. ნამდვილი ცხოვრება ქალისთვის მხოლოდ ისაა, რასაც ყოფილ ქმარს უყვება, ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღქმული ცხოვრების დეტალები და არა ის, რაც რეალურ დროში ხდება.

ნუთუ ვერა ხედავ, როგორ გადავეცემით ერთმანეთს ეს ატალახებული გზა, წვიმა, წვიმისაგან გაშავებულ-გაჟიებული ორღობეები და თვალის ერთი შევლება ქვეყნიერება და არ ვიცი, როგორ დავიჯერო, რომ უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც ხდება ქვეყანაზე, ვიდრე წვიმაში, წყალზე მიმავალი მონატრებითა და მარტოობით დაღლილი დედაკაცის მზერა და ნაბიჯებია... (ბეროშვილი, 2021, გვ. 25).

ეს მთავარი ფიქრია, ისაა, რაც ერთ ადამიანს აწუხებს, ინდივიდს, რომელსაც სამყაროს აღქმა, შემეცნება და განცდა შეუძლია. „ერთი განიცდის ზუსტად იმას, რასაც მთელი სამყარო – მთელი არსებობის მანძილზე“ (რჩეულიშვილი, 2012, გვ. 289), – ჩაუწერია გურამ რჩეულიშვილს დღიურში ერთგან. ეს ის სატკივარია, რომლითაც ქალი სოფლის ერთფეროვანი მასისგან გამოირჩევა. ლეილა ბეროშვილი ტრაგიკული ნიშნით აღბეჭდილი ინდივიდის მხატვარია. ზოგადად, ეს გამორჩეულობა და ინდივიდუალიზმი ლიტერატურაში თითქმის ყოველთვის მარტოობის შედეგად ჩნდება; მარტოსული ადამიანი იწყებს ფიქრს და განსჯას, რასაც ბოლოს კათარსისი მოჰყვება. სოფლის ნაცრისფერ მასაზე ამალღებული მარიამისთვის წუთისოფლის (მასის) ზეიმი ყველანაირ აზრს კარგავს: „ახალი წელი მოდის. არ მინდა, არ მინდა არაფერი! შევეგუები ყოველგვარ სატკივარს, მაგრამ დღეები, რომლებიც გამაღებენ სიხარულის ყიჟინას, არ შემიძლია, არ შემიძლია...“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 25).

ხომ პირველი გვერდებიდანვე ცხადია, რომ მოთხრობის უმთავრესი ნიშანი ტრაგიზმია, ოღონდ ეს რაღაცნაირად ნათელი ტრა-

გიზმია, მიუხედავად ყველაფრისა, უიმედობისა და ჩიხის შეგრძნება არ ჩნდება, რადგანაც ყველგან აღწევს სიყვარულის შუქი, თუნდაც მკრთალი, თუნდაც მხოლოდ ერთი სხივი, რომლითაც მწერალი სიბნელისა და უიმედობის განცდის გაფანტვას ახერხებს. „არ შეიძლება შენი დაკარგვა, მარიამ, არ შეიძლება. მათვალისწინებ ხანდახან ვარსკვლავებს შორის. მე ხომ მთელი სიცოცხლე დაჩოქილი ვიყავი ჩემივე თავის წინაშე... გამიხსენე და გეგულეობდე აქ, შენი ღვიძლი, შენი აბოლებული სიყვარული...“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 27). ეპითეტი „აბოლებული“ ვახეს სიყვარულს ახასიათებს, მის არამდგრადობას, ჰაერში გაფანტვის შესაძლებლობას, გაშლას, გაუჩინარებას უსვამს ხაზს. მარიამის გრძნობა კი „ნაპირებმორღვეული სიყვარულია“, ასეთი ასწავლა ციციკო ბებომ ბავშვობიდანვე და ქალსაც მხოლოდ ასეთი ყოვლისმომცველი განცდით შეუძლია შეყვარება. ნაპირი ის ადგილია, სადაც რაღაც მთავრდება და რაღაც იწყება, ორი რამის გასაყარია, საზღვარია. ამ სიყვარულს კი საზღვარი არ აქვს, ეს სამყაროს მოდებული გრძნობაა, უსაზღვროდ და უნაპიროდ.

„მარიამი“ კოლაჟის ტექნიკით შექმნილი ტექსტია. მოთხრობაში ერთმანეთს ენაცვლება წარსულში მომხდარი თუ აწმყოში მიმდინარე ამბები, რომლებიც ერთ მთავარ ღერძზე – სიყვარულზეა აწყობილი. მოთხრობის მთელ სივრცეში ეს გრძნობაა გაშლილი და ღერძის ერთი სემანტიკა მხოლოდ მარიამისა და ვახეს ოჯახური თავგადასავალი. ეს მონაკვეთი სულ რამდენიმე გვერდია, მაგრამ მანამდე მომხდარი ამბებიც და მის შემდეგ განვითარებულიც სწორედ ამ სიყვარულს უკავშირდება. მარიამს თითქოს განგება ამზადებს დიდი გრძნობისათვის. ობლად გაზრდილი გოგოს არსება დაუხარჯავი სიყვარულითაა სავსე და მთელი ცხოვრება იმ ადამიანს ეძებს, ვისაც ამ დიდ სინაზესა და სითბოს გაუნაწილებს. მაგრამ ამ სამყაროში ძალიან ძნელია სიყვარულისთვის სწორი ობიექტის პოვნა, იმ ერთადერთის, ვინც მის მიღებას და გაზიარებას შეძლებს. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ასეთ ადამიანს ვერ პოულობს. ამაზე მწერალი ურთიერთობის დასაწყისშივე მიუთითებს. თუკი ავტობუსში ვახეს მხარს მიკრული ქალი ფიქრობს, რომ მარტოობა დამთავრდა, უკვე სახლთან მისული ვეღარ გრძნობს იმავს: „მიუახლოვდნენ სახლს. უკვე აღარაფერს გრძნობდა მარიამი, მტანჯველი სიცარიელის მეტს“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 76). ამ ფრაზიდან იმთავითვე ცხადი ხდება, რომ

მათ ურთიერთობას მომავალი არ ექნება, სიცარიელით არ შეიძლება დაიწყოს რაიმე; ბინა, ანუ ერთობლივი ცხოვრებისთვის საჭირო მატერიალური და არამატერიალური სივრცე, სადაც ორმა ადამიანმა ერთმანეთს ცხოვრება უნდა შეუვსოს, სიცარიელეზე არ შენდება. მას აუცილებლად სიმყარე სჭირდება, რათა ბევრ რყევასა და მიწისძვრას გაუძლოს, რითაც სავსეა თანაცხოვრების პროცესი. სახლში შესული ვახეს პირველი სიტყვებიც – „*აი, თითქმის შენი ფეხით მოხვედი. დარდი, ბოლმა, სტუმრები არ მოგაკლდება. დანარჩენი არაფერი მომთხოვო იცოდე*“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 76) – ამის დასტურია. და იქვე, მწერლის მოკლე, მაგრამ საოცრად ტევადი ფრაზა, მოსალოდნელი უბედურების წინასწარმეტყველებაა: „*ჩამდგარი ქარაშოტით იყო ამოვსებული კუთხე-კუნჭული*“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 77).

ლეილა ბეროშვილი ღრმა ფსიქოლოგიური წიაღსვლებით მერწავს საკუთარ პერსონაჟებს. მოთხრობის დასაწყისიდანვე ვგრძნობთ, რომ ვახე ცოლისაგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანია, ცხოვრების მიმართ სულ სხვაგვარი დამოკიდებულებითა და ინტერესებით, ამიტომ მათი ცალ-ცალკე ყოფნა თითქოს გარდაუვალი აუცილებლობაა. ამ მოთხრობის პერსონაჟთა ნიშანია უმამობაც. ეს განსაკუთრებული მდგომარეობაა ბიჭისთვის და თანაც ბავშვობის ასაკში, რადგან იგი ცხოვრების მთავარი ორიენტირის დაკარგვას, გაძლებისა და სწორი გზის პოვნის გაძნელებას, სასიცოცხლო და მამაკაცისთვის აუცილებელი საბრძოლო ძალების დაჩლუნგებას იწვევს. ვახეს მამა სისტემის მსხვერპლია:

„მამა რომ წაუყვანიათ, დედაჩემისთვის დაუბარებია, არ შეშინდე, როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო.

ისე სადა ქუხდა, როგორცა წვიმდა. წავიდა და წავიდა“.
(ბეროშვილი, 2021, გვ. 53)

ის ძირითადი სიბრძნე თუ გაკვეთილი, რომლის მიცემასაც მამობა ავალბედა, მაშინაც ვერ მოახერხა, სანამ სახლში იყო: „*ასწავლე ბიჭს, როგორ მოუაროს თავის გრძნობებს, კარგი აღზრდა სხვა არა არის რა, თუ არა გრძნობების კარგა შენახვისა და მოვლის ხელოვნება. მეჯავრება ქათმის საკენკივით გაბნეული ადამიანი, რამდენჯერაც ახლოს ჩაუვლი, იმდენჯერ რომ შეგიძლია ჩაუნისკარტო*“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 54), – ეუბნება მამა დედას. აღზრდის ეს არასწორი სტრატეგია – მამის მოვალეობის სიცოცხლეშივე გადაბარება დედის-

თვის – არის სწორედ ვახეს გაუბედაობის, გვერდით მყოფი ქალისთვის მყუდრო და უსაფრთხო გარემოს შექმნის უნარის არქონის მიზეზი. „გრძნობების შენახვა და მოვლა“ მამაკაცის გადარჩენისათვის საჭირო თვისებები არაა. მისთვის აუცილებელი გრძნობების გამოვლენა და დაცვაა, სითამამეა, გადაწყვეტილების მიღების უნარია. მამის დარიგება სწორედ იმას იწვევს, რის წინააღმდეგ მიმართულიც ეგონა მას – სუსტი ნებისყოფისაა, საკუთარ თავში ჩაკეტილი ვახე, რომელსაც სიყვარულიც კი არ შეუძლია. სიყვარული ცხოვრების საჩუქარია, ამქვეყნიურ სირთულეებთან გამკლავების ენერჯიაა, არსებობის ცხოვრებად გადაქცევის უმთავრესი ძალაა, რომელსაც მიღება და დიდი ზრუნვა სჭირდება. იმ სისავსეს, რომელიც სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებისთვისაა საჭირო, ყველაზე სწრაფად სიყვარული იძლევა. ვახე არც კი ცდილობს ამ შანსის გამოყენებას: *„ვინმეს რომ ეთქვა, ვახე, ვახე, მიდი, ეგე სკამის ფეხთან რო ქვა გდია, გადააბრუნე და ბედს ეწევიო, არ დაიხრებოდა“* (ბეროშვილი, 2021, გვ. 70). ადამიანის პასიური მდგომარეობა სამყაროში მისი ცხოვრების დაპაუზებას, მიზნის მიუღწევლობას გულისხმობს და ნეგატიურ ასპექტში მოიაზრება, სიცოცხლის პოზიტიური მხარე კი სიკეთის ქმნაა. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი არსებობის მაგალითად თავად მამა იქცა ვახესთვის, ალბათ, მისთვის სრულიად გაუცნობიერებლადაც, ეს იყო მისი საბედისწერო შეცდომა. სკოლაში ვახეს მასწავლებელი ცარცს თავზე აფშვნიდა და მერე მასვე აგზავნიდა ახლის მოსატანად. ამის მოთმენა მამაკაცური ბუნებისთვის შეუფერებელია, იგი ასეთ რამეს აუცილებლად უნდა აპროტესტებდეს რაღაც ფორმით მაინც, მით უმეტეს, როცა უდანაშაულოდ ისჯება. ვახე პასიურია აქაც. მწერალს მხოლოდ ამ ორიოდ დეტალით, სულ ორი-სამი წინადადებით მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით აქვს მოცემული პერსონაჟის უნებისყოფობისა და სისუსტის მიზეზი. ზოგადად, ლეილა ბეროშვილის სტილის ერთ-ერთი თავისებურება ესეცაა. მინიმალისტური საღებავებით, სულ რამდენიმე ხაზით მას სრულყოფილი პორტრეტის, დასრულებული ხასიათის შექმნა შეუძლია.

ბუნებრივია, სუსტმა და უნებისყოფო ვახემ სიყვარულიც ვერ შეძლო, მას ამისათვის არც ენერჯია ეყო და არც სურვილი. ამიტომ მათი ურთიერთობა წინასწარვე კრაზისთვის იყო განწირული.

„მარიამის პატარა თავი ვახეს გულის კოვზთან ჰქონდა ჩაკრული და ბედნიერი მარიამი ვერ ხედავდა, როგორ გაურბინა ვახეს გრილმა ნიავმა ნაღვლიან თვალებში“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 56). მეორე მხრივ, მარიამიც იტანჯება უდედმამობით, რაც მასშიც ტოვებს კვალს, საყვარელი ადამიანის გვერდითაც კი ვერ ივსება ბოლომდე ემოციურად: „დაღლილობა და სიცარიელე იგრძნო – მისი არსებობის მთავარი ნიშანი“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 63). ეს ემოციური სიცარიელე ბედნიერების გზაზე მნიშვნელოვანი ბარიერია, თითქმის გადაულახავი.

სიყვარულის განწირულებაზე მწერალი პერსონაჟების პირველივე შეხვედრაზე მიგვანიშნებს. თავის მხრივ ვახეც გრძნობს და აღიარებს კიდევ ამ უძღურებას, მაგრამ ვერ ხვდება მიზეზს: „სული გასძვრაო, გამიგია, მაგრამ სხეული გასძვრაო, არა, მე სხეული გამძვრა, მგონი და უსხეულო სული როგორღა მტანჯავს და მაწვალებს, მიკვირს... [...] რატომ მაკლია ასე სითამამე. [...] ამ სტრიქონებს ვწერ მთლად ხელჩაქნეული და უილაჯო. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი დამთავრდა“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 74-75). და სწორედ აქ, როცა პერსონაჟი ახერხებს, საკუთარი უძღურება გაიაზროს, გააცნობიეროს, რომ რაღაც შხამით აქვს მოწამლული მთელი არსება, რაც საბოლოოდ დაღუპვისკენ მიაქანებს, თითქოს მკრთალად, მაგრამ მაინც ჩნდება გადარჩენის გზა: „როგორ მინდა, პატიება ვთხოვო, ვის ვთხოვო, ვინ მაპატიებს ჩემს უაზრო სიცოცხლეს. შენ, გეხვეწები, მაპატიე ყველაფერი...“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 75). მაგრამ ეს გადარჩენის პერსპექტივა იმდენად მკრთალია, რომ მკითხველში მაინც ვერ აჩენს მყარ იმედს; მრავალწერტილით დამთავრებული ეს წერილი, რომელსაც თვითჩაღრმავების შემდეგ წერს ვახე, მისი ხასიათის ამგვარი განვითარებისთვის საფუძველს ვერ ქმნის. ბუნებრივია, რომ მისი შექმნილი ოჯახიც მალევე იშლება.

ძალიან საინტერესოა ის საუბარი, რომელსაც მარიამისა და ვახეს განშორება მოჰყვება საბოლოოდ. ეს დიალოგი ფაქტობრივად სულის გაშიშვლებაა. მკითხველი კარგად ხედავს, უსიყვარულობამ, ბავშვობაში მიღებულმა ტრავმებმა როგორ აურია მთელი ცხოვრება კაცს; როგორი გაბზარული ფსიქიკით გადააბიჯა დედის სიტბოს დანატრებულმა ბიჭმა ბავშვობის ასაკს, თუმცა საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობის აღება ვერასოდეს მოახერხა. ისიც ჩანს, მარიამის

სიყვარულს გადარჩენის უკანასკნელი იმედივით როგორ ჩამოეკი-
და მისი გაბზარული სული, მაგრამ ამაოდ. „შენკენ რომ მოვიწვე-
დი, ვხვდებოდი, რას ვერ ველეოდი ამ წუთისოფელში. [...] ძალიან
იშვიათად მილიმის სული. სული მილიმოდა, როცა შენკენ მოვდიოდი.
ჩვენი სახლი ეს ის ადგილია, სადაც ყოველთვის შეგიძლია მოხვიდე
მშვიერი, ხელეზგაყინული“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 86-87).

ადამიანი დროსა და სივრცეში განსაზღვრული გონიერი არ-
სებაა. ამიტომ მას უწევს ერთი მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება,
ესაა საკუთარი ადგილისა და ორიენტაციის, ანუ იგივე საკუთარი
მსოფლმხედველობის, განსაზღვრა. ის ინსტანციები, რომელთაც ძი-
რითადი ღირებულება ენიჭებათ, არის: საკუთარი თავი, ოჯახი, ერი,
კაცობრიობა, სამყარო, ღმერთი. პირადი მსოფლმხედველობის დად-
გენაც სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პრიორიტეტით ალა-
გებს ინდივიდი მათ საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერებით.
თუმცა, როგორც პერსონოლოგიაში შენიშნავენ, ზოგჯერ ადამიანს
ახასიათებს პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაცემის სურვილიც.
ვახეც ასეთია. „განა იმიტომ მიყვარხარ ასე, რომ ჩემი შვილი ხარ და მე
გაგაჩინე, ჩემთან ერთად რომ ცხოვრობდი და ჩემსავით იტანჯე-
ბოდი, ეს არის ყველაფერიო“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 89), – ეუბნებო-
და დედა. ვახეს ამისგან „სიცარიელე და გაუგებრობის ბურუსი“
დარჩა. ამიტომ ცხოვრების ყველა უიღბლობას და ნების სისუსტეს,
მათ შორის იმასაც, რომ წერას ვერ ახერხებს, სხვას (დედას) აბრალებს.
მწერლობა რთული საქმეა, უდიდესი ენერგია სჭირდება: „მთელი
ცხოვრება ვემზადები საწერად. [...] დანას თუ არ გაიყრი, მზად უნდა
გქონდეს მაინც მწერლობაზე შემდგარ კაცს“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 87).
საკუთარი ცხოვრებისეული მსოფლმხედველობის ფორმირების გარე-
შე კი ამას ვერაფრით იზამ, ვინაიდან წერა სწორედ ამ მსოფლმხედ-
ველობის ტრანსფორმაციაა ტექსტად. მეტიც, ვახეს ცხოვრება უდი-
დეს განძს აძლევს მარიამის სიყვარულის სახით და ამ შეუდარებელ
საჩუქარსაც არ იღებს, ვერ იყენებს. პასუხისმგებლობის მუდმივად
სხვისთვის გადაბარების ჩვევამ განაპირობა მისი პიროვნული დეგ-
რადაცია და საბოლოოდ მარტოობისათვის თავადვე გაწირა საკუ-
თარი თავი.

მეორე მხრივ, მარიამი ბავშვობიდანვე უყვარს მეორე მამაკაცს
– ირაკლის. იგი თითქოს უფრო აქტიურია, უფრო თამამიც, უმღერის

კიდევ ქუჩიდან, მერე ქალაქშიც აკითხავს, მაგრამ მასაც რაღაც აკლია, ის ხასიათის სიმტკიცე, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიაღებინოს. „შენთან გამოსაგზავნი ერთი კვირის წინ დაწერილი წერილი ჯიბით ვატარე. ათჯერ შევამოწმე, ზოგი წავშალე და ბოლოს ჩემი ხელით ჩამოგიტანე მაინც. მე რომ წავალ, მერე წაიკითხე გულდასმით“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 59). ამიტომაც ქალის გრძნობა მის მიმართ თბილია და არა ვნებიანი; ამბობს, რომ არ შეუძლია უიმისოდ, მაგრამ უშვებს; დარჩიო, იმას კი არ სთხოვს, „არ დამივიწყო“, ეუბნება. სიყვარულისთვის საჭირო ენერჯია თითქოს აქაც დაშრეტილია და იგი მხოლოდ მონატრებას თუღა ჰყოფნის. მარიამს ცხოვრების სიმძიმის შესამსუბუქებლად სჭირდება ირაკლის სიყვარული, გასაძლებად, ასატანად და არა ბედნიერებისთვის: „უნდოდა, გადაეგდო სადღაც ეს ხორცი, გაბრუნებულიყო უკან, რომ კარგა ხნით დაემახსოვრებინა მისი ერთგულებითა და სიყვარულით სავსე გამოხედვა, რომ ოდნავ მაინც ასატანი გამხდარიყო ცხოვრება“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 105).

მოთხრობა სავსეა მარიამის ნაპირებმორღვეული სიყვარულით, რომელსაც განშორების მერეც არ მოჰკლებია არაფერი, რადგან უნაპირო გრძნობები მუდმივია. ამ სიყვარულით იწყება („იმ სიშორეს ეკუთვნის ახლაც თხემით ტერფამდე“) და ამით სრულდება კიდევ, მარიამის ნაპირებმორღვეული სიყვარული მთელ სამყაროს იტევს (რომელსაც აქ მეტაფორულად ერთი სოფელი და ქალაქი წარმოადგენს). სიყვარულთანაა პირდაპირ კავშირში მარიამის ყოფნა (ექსისტენციალისტური გაგებით).

ადამიანის „ყოფნისეული ტენდენცია“, პირველ ყოვლისა, ყოფნისაკენ, არსებობისაკენ მის მიწრაფებაში გამოიხატება – მას უნდა, რომ იყოს, და არ უნდა, რომ არ იყოს; იგი მიესწრაფვის ყოფნას და გაურბის არყოფნას; ხოლო ყოფნა, არსებობა სხვადასხვა სახისაა – სხვაა, მაგალითად, სხეულის სახით ყოფნა და სხვა სულის სახით ყოფნა. (კაკაბაძე, 1988, გვ. 156)

მარიამის ცხოვრებაც ყოფის ამ ორი სახეობის მონაცვლეობაა. როცა უყვარს და საყვარელი ადამიანის გვერდითაა, ეს მდგომარეობა სულიერი და სხეულებრივი ყოფის სინთეზია და, შესაბამისად, სრულყოფილი. სხვაგვარია მისი ყოფნა სოფლად – ეს აღარაა წინანდელი სრულყოფილება, ხშირად მხოლოდ სხეულებრივია და გაძლეება (მემაწვნე ქალის ეპიზოდი, ხორცის საყიდლად წასვლის ეპიზო-

დი, სკოლის ეპიზოდები), მაგრამ ის ნაპირებმორღვეული გრძნობა პერმანენტულად მაინც არსებობს და აქტიურდება ხოლმე, თუნდაც მაშინ, როცა პედაგოგი მომავალ თაობას მის არსებობას უდასტურებს.

„– სიყვარული არსებობს? – გადმოწვა მერხზე წითური, ჭორფლიანი გოგო და შემოიღო ყბაზე ხელი. გაინაბა მთელი კლასი.

– არსებობს, – თქვა მარიამმა უბრალოდ, – არსებობს. ეს ერთადერთი რამეა, რაც არა მარტო არსებობს, არამედ არსებობაზე ათი-ათასჯერ მეტია“ (ბეროშვილი, 2021, გვ. 92-93).

ეს რთული, მძიმე და მტანჯველი ცხოვრების გაძლების, გადარჩენის გზაა, რომელსაც მარტოსული ადამიანიც კი სიყვარულის მაცოცხლებელი ენერჯის აღიარების შემთხვევაში პოულობს მხოლოდ. მოთხრობის კონცეფციიდან გამომდინარეც ასეა – სამყაროში გადაგდებული, უღმერთოდ მიტოვებული, ექსისტენციალურ კრიზისში ჩავარდნილი ადამიანის გადარჩენის ერთადერთი გზა „არსებობაზე ათი-ათასჯერ მეტი“ სიყვარულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბეროშვილი, ლ. (2021). ცაზე მთვარე მიცურავდა. თბილისი: „ინტელექტი“ კაკაბაძე, ზ. (1988). ფილოსოფიური საუბრები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- კირკეგორი, ს. (2019). სატანჯველის სახარება. თბილისი: „აქტი“.
- რჩეულიშვილი, გ. (2012). ექვსტომეული: დღიურები, ჩანაწერები, 1956-1960 წლები. ტ. 5. თბილისი: „პალიტრა L“.
- Кузнецов, В. (1970). Французская буржуазная философия XX века. Москва: „Мысль“.

References:

- Beroshvili, L. (2021). Tsaze mtvare mitsuravda. [The Moon Floated Across the Sky]. Tbilisi: „Intelekti“.
- K'ak'abadze, Z. (1988). Pilosopiuri saubrebi. [hilosophical Conversations]. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.
- K'irk'egori, S. (2019). Sat'anjvelis sakhareba. [The Gospel of Sufferings]. Tbilisi: „Akti“.
- Rcheulishvili, G. (2012). Ekvst'omeuli: Dghiurebi, chanats'erebi, 1956-1960 ts'lebi. T'. 5. [Six-volume: Diaries, Notes, 1956-1960. Vol. 5]. Tbilisi: „Palitra L“.
- Kuznecov, V. (1970). Francuzskaja Buržuaznaja Filosofija XX veka. [French Bourgeois Philosophy of the 20th century]. Moscow: „Misl“.

მანანა კვატაია

Manana Kvataia

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

გურამ გეგეშიძის ადრეული პროზის ნეორეალისტური კონტექსტისათვის

On the Neorealist Context of Guram Gegeshidze's Early Prose

This paper deals with the main trends of Georgian prose during the 1960s. It should be mentioned that after de-Stalinization of the Soviet space, the specimens of world literature became accessible, and the influence of Western writing reinforced. Georgian prose came closer to life, reflected the new social relationships. The focus shifted to the interior microcosm of an individual, the issue of public morality was brought to the fore, the language policy changed. National literature returned to the natural setting in which it developed, young writers felt the need to re-evaluate literary texts. Guram Gegeshidze, whose early prose is an attempt to stray away from social realism, became an outstanding author among innovative writers for his style of artistic thinking and multifaceted creativity. In our view, the neorealist tendencies can be clearly traced in the writer's work.

Neorealism is a literary and cinematic movement originated in Italy in the 1940s and 1950s. Its followers set a goal to depict the objective reality without beautification, to establish the anti-fascist, national art. It encompassed art, architecture, music, cinematography and literature. Neorealist writers paid great attention to depicting everyday lives of ordinary people. The novel became the main genre, as well as the historical and memoir works.

Three main waves of neorealism are differentiated in European culture: English, Italian and French. One of the main features of Italian neorealist literature was its connection with cinematography, resulting in cinematic characters, events, and language. According to theorists, the roots of this new trend lie in Western European realism and Italian verismo.

The neorealist artistic vision is clearly seen in Guram Gegeshidze's works, particularly in his early stories, which is expressed by the cinematography of characters, landscapes, events, and language. In these texts, like film frames, detailed, expressive descriptions of the environment and characters replace each other, vividly and clearly demonstrating the artistic reality of this or that story. Guram Gegeshidze's long story *The Persecuted* ("Devnili", 1968) is distinguished by neorealist realities, at the very beginning of which the writer represents people and the landscape surrounding them in a concise, documentary manner. The images of the main characters are depicted in details, with cinematic clarity. The author's description of the landscapes and environment in his novels revives before the reader the real space of the text, the protagonists, unfolds the author's intention. Guram Gegeshidze sympathizes and carefully observes the lives of ordinary people; his gaze reaches the depths of the personal tragedy of the hero and makes the reader sympathize with the misfortune of the common man. Guram Gegeshidze is an artistic chronicler of his time. With innovative prose experiments, he creates a unique, distinctive style in Georgian writing. At the same time, the prose writer continues the best traditions of Georgian writing. Live dialogues add dynamism to his stories, new style is introduced, and the writer's markers of contemporaneity are clarified. The "shift of emphasis" is clearly seen in the author's literary discoursed who managed to throw off the shackles of socialist realism. For him, the world is presented with different parameters and colors, and new realism becomes a reliable alternative to socialist realism. Thus, it can be said that Guram Gegeshidze, together with other outstanding writers of his generation, substantially changed the old system of artistic thinking.

საკვანძო სიტყვები: ქართული პროზა, გურამ გეგეშიძე, ნეორეალისტი მწერლები, ნეორეალისტური ხედვა, პროზაული ექსპერმენტები.

Key words: Georgian prose, Guram Gegeshidze, Neorealist writers, Neorealist artistic vision, Innovative prose experiments.

1960-იან წლებს ნოდარ დუმბაძემ „სენტიმენტალური ჰუმანიზმის“ ეპოქა უწოდა, გურამ ასათიანმა – „დიდი ცვლილებებისა და კიდევ უფრო დიდი მოლოდინის“ წლები. კრიტიკოსის აზრით, ამ პერიოდს ახასიათებდა მეტი შემწყნარებლობა, სიკეთე, გულისხმიერება, თანაღმობა „პატარა“, „რიგითი“ პიროვნების მიმართ. ადამიანებმა გაიხსენეს სიტყვა „გულმოწყალება“, რაც, თავის მხრივ, გახლდათ ბუნებრივი რეაქცია იმ ცნობილ ანტიჰუმანურ „გადახრებზე“, ამ ლიტერატურის აღმოცენებას წინ რომ უძღოდა. „ქართულ პროზაში ჩაისახა ახალი ტენდენცია, გამოიკვეთა ახალი სულიერი მიდრეკილება... მოხდა ზოგიერთი აქცენტის თვალსაჩინო გადაადგილება“ (ასათიანი, 2002ბ, გვ. 165).

კობა იმედაშვილის დაკვირვებით, „სინამდვილეს მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში თავისი წვლილი შეაქვს“ (1969, გვ. 87). სხვადასხვა ეტაპზე ყალიბდება ადამიანის ახლებური კონცეფცია და იქმნება ახალი გმირის იდეალი – ხშირად ის თავისი თაობის შეხედულებათა გამომხატველი ახალგაზრდა კაცია. ამგვარ გმირებს იმედაშვილი ხედავს 1957 წელს ხელახლა დაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ გურამ რჩეულიშვილისა და გურამ გეგეშიძის მოთხრობებში.

კრიტიკოსი 1960-იანი წლების ქართულ პროზას 1920-იანი წლების მწერლობას ადარებს და აღნიშნავს, რომ „სამოციანელებმა“ შემოიტანეს ახალი თემები და იდეები, ახლებურად გააშუქეს ლიტერატურული მოვლენები. ამავე დროს, განსაკუთრებული იყო დასავლური მწერლობის როლი. კობა იმედაშვილი ჰემინგუეის გავლენას ხედავს გურამ რჩეულიშვილისა და გურამ გეგეშიძის ნაწარმოებებში, ხოლო გეგეშიძის რომანში „ცოდვილი“ ეგზიუპერისა და სარტრის შემოქმედების ნაკვალევს ეძებს (კერძოდ, ვამეხ გურამიშვილის სახეში). ანა გოგილაშვილი პარალელებს ავლებს გურამ გეგეშიძის „ცოდვილსა“ და კნუტ ჰამსუნის „მისტერიებს“ შორის. მისი დაკვირვებით, ორივე თხზულების პერსონაჟთა ბედს სიყვარული განსაზღვრავს, თუმცა ჰამსუნის გმირს სულიერი სიმყარე აკლია, „ცოდვილის“ მთავარი პერსონაჟი კი სამართლიანობისა და სინდისიერების განსახიერებაა. გოგილაშვილის აზრით, გეგეშიძის „დევნილის“ გმირი – მუმუნი კიფიანი – ექსისტენციური პერსონაჟის სახეა. ეს არის გმირი, რომელიც

ეწინააღმდეგება კაცობრიობის მიერ დადგენილ წესებს და საკუთარი სინდისის კარნახით მოქმედებს.

ირმა რატიანის რეფლექსიით, „სამოციანელებმა“ ქართულ ლიტერატურულ სივრცეში დაამკვიდრეს ექსისტენციური პროზა – „ანტისაბჭოთა ნარატივის შენიღბული, სიღრმისეული მოდელი“. სოციალისტური რეალიზმის კონცეპტებმა პოზიციები დაკარგა, ქართული მწერლობა ახალი თემატიკით, სტილისტიკით და მახასიათებლებით გამდიდრდა. „თხრობის ამპლიტუდა მერყეობს რეალისტურ დისკურსს, მითოლოგიურ დისკურსს, დრამატულ ნარატივს, გროტესკსა და, ხშირად, აბსურდს შორის. სახეზეა არა მარტო ჟანრების, არამედ მხატვრული მეთოდების დიდი მრავალფეროვნება“ (რატიანი, 2018, გვ. 187). ინივარციური თემებითა და იდეებით დამუხტული ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორების „სამიზნეს წარმოადგენს არა ცალკეულ პერსონაჟთა მარტოსულობა ან გაუცხოება, არამედ სამყაროს ინტელექტუალური და სულიერი კრიზისი და ამ სამყაროში გამოკვეთილი თანამედროვე ადამიანის ტრაგედია“ (რატიანი, 2018, გვ.189).

1960-იანი წლების ქართული პროზა არსებითად დაუახლოვდა ცხოვრებას, ობიექტურად ასახა ადამიანთა ახალი სოციალური ურთიერთობები, შემოიტანა ახალი თემები (ომის, რიგითი ადამიანის ფსიქოლოგია და სხვ.). პროზაიკოსთა შემოქმედებაში წინა პლანზე საზოგადოებრივი ზნეობის საკითხმა წამოიწია, ყურადღების ცენტრში ადამიანის შინაგანი მიკროსამყარო მოექცა, თავისი მრავალმხრივი გამოვლინებებით. „ეს იყო არსებითად არა მეთოდის, არამედ რაკურსის შეცვლა... რის გამო საგნებმა მოულოდნელი კონტურები შეიძინეს“ (ასათიანი, 2002ა, გვ. 460, 461).

ქართულ აზროვნებაში აქცენტთა კარდინალური გადაანაცვლება ისტორიული პროცესის ვექტორის ცვლილებას დაუკავშირდა. პოსტ-სტალინურ ეპოქაში, 1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე გამოუცხადებელი „დათბობის“, ანუ „ოტტეპელის“ (ილია ერენბურგის ტერმინია) ხანა დაიწყო და საბჭოთა ტოტალიტარულ სივრცეში თავისუფალი სამყაროს კონტურები გამოიკვეთა. პოლიტიკურმა ლიბერალიზაციამ კულტურული და ლიტერატურული პროცესიც შეცვალა: „იზრდება ზეგავლენა დასავლური ლიტერატურული ტენდენციებისა, რომლებიც ჰემინგუეისეული თემებითა და თამამი ნეორეალისტური ექსპერიმენტებით

იჭრება საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე“ (რატიანი, 2018, გვ. 174).

გურამ ასათიანის დაკვირვებით, დროთა განმავლობაში მკითხველი საგრძნობლად იცვლება, ისევე, როგორც თვით ცხოვრების რიტმი. 1960-იანი წლების პროზაიკოსებმა ეს ცვლილება იგრძნეს და მიზნად დაისახეს, გამოეხატათ თავიანთი თაობის – „თანამედროვე ქართველი მოწინავე ადამიანის – ახალი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, მისი ეთიკური მრწამსი და ესთეტიკური იდეალები“ (ასათიანი, 2002ა, გვ. 444). მათი ნაწარმოებების მთავარი გმირი რთული შინაგანი აგებულების ახალგაზრდა ინტელიგენტია. პროზაში ასევე გამოიკვეთა ავტორთა კრიტიკული პათოსი მეშჩანობის წინააღმდეგ.

წერილში „დიდი მოლოდინი“ გურამ ასათიანი მიუთითებს, რომ ხელოვნების დეკუმანიზაციის პარადიგმა ჰუმანისტური ინტერესების საზღვრების გაფართოებასაც გულისხმობს. 1960-იან წლებში ლიტერატურაში ჰუმანური ტენდენციები დამკვიდრდა. ქართული რეალობის ყველაზე ღრმა ფენების კვლევა პროზამ იტვირთა. ამავე დროს, სიმპტომური „დიდი გადასახლება“ პოეტებისა პროზაში.

თეორეტიკოსი დაასკვნის, რომ, მწერლობისაგან განსხვავებით, ქართული ლიტერატურული კრიტიკის აქტუალურ ინტერესთა რკალში არ მოქცეულა ისეთი კონცეპტები, როგორებიცაა: ადამიანის ცნობიერი და არაცნობიერი, გონებრივი და გრძნობადი, სულიერი და ბიოლოგიური იმპულსები და, საერთოდ, „მისი მთლიანი ადამიანური არსის პრობლემა“. თავის მხრივ, ეს იყო „რეალური საჭიროებით განპირობებული ახალი ფასეულობების შექმნის ცდა“.

საბჭოთა სივრცის დესტალინიზაციის შემდეგ ენობრივი პოლიტიკაც შეიცვალა. „სტალინური ეპოქის რიტორიკა, რომლითაც თავის დროზე საბჭოთა მმართველობითი ინსტიტუციები გაფორმდა“, ოფიციალური მიერ სრული და საბოლოო გამარჯვების გარანტიად აღიქმებოდა“ (კუპრეიშვილი, 2013, გვ. 385). სოციალისტური რიტორიკის ალტერნატიულ პოეტიკაზე მსჯელობისას ნონა კუპრეიშვილი მხატვრული და ემოციური ზემოქმედების კანონებს მოიაზრებს. მკვლევარი იმოწმებს მერაბ მამარდაშვილის ფრაზას: „ტოტალიტარიზმი, უპირველეს ყოვლისა, ლინგვისტური დაბეჩავება“ და შენიშნავს, რომ თავისუფალი რეფლექსიისაკენ სწრაფვა დროში სოც-

რეალისტური რიტორიკის პოზიციების დასუსტებას დაემთხვა. ახალი დროის მწერლებმა საბჭოთა ლიტერატურული ველის რღვევაში განსაკუთრებული მისია შეასრულეს და რეფლექსირების მოძველებული სისტემა სრულად შეცვალეს.

ეროვნული მწერლობა თავისი განვითარების ორგანულ გარემოს დაუბრუნდა, ახალგაზრდა ავტორებმა ლიტერატურული ტექსტების გადაფასების საჭიროება იგრძნეს. მათ შემოქმედებაში ნეორეალისტური ტენდენციებიც გამოიკვეთა. „საბჭოთა ნეორეალიზმი იმ-თავითვე ჩამოშორდა პოლიტიკურ თემატიკას და იდეოლოგიისაგან დისტანცირებულ ფიქრიან ლიტერატურად ჩამოყალიბდა“ (რატიანი, 2018, გვ. 174). ის ადამიანურ პრობლემებზე ორიენტირებული გახდა.

მხატვრული აზროვნების ვექტორის ცვლილებამ ლიტერატურული თემატიკა და სტილიც შეცვალა. ირმა რატიანის თქმით, ახალი პროზის გამორჩეული ლიდერი გურამ რჩელიშვილი რეალურად გაემიჯნა „Homo Sovieticus“-ის კულტურულ-სტილისტურ მოდელს და მზერა „კონცეპტუალური, ემოციური და რეპრეზენტაციული თავისუფლებისაკენ“ მიმართა. ნეორეალისტ ავტორებად მიიჩნევენ რატიანი არჩილ სულაკაურს, ერლომ ახვლედიანს, ნოდარ დუმბაძეს და სხვა „სამოციანელებს“, რომლებიც „თანდათანობით იპყრობენ ლიტერატურულ სივრცეს“. „მწერლობა მოთმინებით შეუდგა რეპრეზენტაციის ალტერნატიული გზების ძიებას“ (რატიანი, 2018, გვ. 185).

ახალი თაობის ნოვატორ მწერალთა შორის მხატვრული აზროვნების სტილითა და შემოქმედების მრავალწახნაგოვნებით გამორჩეული ავტორი გახდა გურამ გეგეშიძე, რომელმაც 1957 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდა პირველი მოთხრობა „სანამ ერთად ვართ“. ანა გოგილაშვილის დაკვირვებით, სამწერლო მოღვაწეობის პირველ ეტაპზე შექმნილი გეგეშიძის პროზა სოციალისტური რეალიზმისაგან თავის დაღწევის მცდელობაა. მკვლევარი მის პროზაულ ტექსტებში რეალისტურ ტენდენციებს ხედავს, ამას გარდა, მწერლის შემოქმედებაში გვიანი მოდერნიზმისა და „მაგიური რეალიზმისათვის“ დამახასიათებელ ნიშნებს გამოყოფს. ჩვენი შეფასებით, გურამ გეგეშიძის პროზაში, განსაკუთრებით მის ადრეულ მოთხრობებში ასევე აშკარად იგრძნობა ნეორეალისტური ტენდენციები. ახალი რეალიზმი პროზაიკოსისთვის სოციალისტური რეალიზმის ალტერნატივა გახდა.

ნეორეალიზმი – ლიტერატურული და კინემატოგრაფიული მიმდინარეობა – 1940-1950-იან წლებში იტალიაში ჩამოყალიბდა. მისმა მიმდევრებმა მიზნად დაისახეს, შეულამაზებლად აესახათ სინამდვილე, დაემკვიდრებინათ ანტიფაშისტური, ეროვნული ხელოვნება. ცნობილი ნეორეალისტი რეჟისორების ფილმები იტალიაში არსებულ ვითარებას და სოციალურ პრობლემებს ეძღვნებოდა. გამომსახველობით ხერხებთან ერთად კინოს თემატიკაც შეიცვალა. ნეორეალიზმის მხატვრულ მანიფესტად იქცა რობერტო როსელინის ფილმი „რომი ღია ქალაქია“ (1945). ნეორეალისტი რეჟისორები ძირითადად შავ-თეთრ ფილმებს იღებდნენ, იწვევდნენ არაპროფესიონალ შემსრულებლებს, გადაღებები ქუჩებში, ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა. მსგავსი ტენდენციები სხვა ქვეყნების კინემატოგრაფშიც გავრცელდა.

ნეორეალიზმი არსებობდა მხატვრობაში, ლიტერატურაში, სკულპტურაში. მწერლები და ხელოვანები თავიანთ შემოქმედებაში სინამდვილის რეალურ ასახვას ესწრაფოდნენ, აბსტრაქტული ხელოვნების მომხრეთა საპირისპიროდ.

ნეორეალისტი მწერლები დიდ ყურადღებას უთმობდნენ უბრალო ადამიანების ცხოვრების წარმოჩენას. ძირითად ჟანრად იქცა ნოველა, აგრეთვე, ისტორიულ-მემუარული პროზა. ნეორეალისტურ ტექსტებს ახასიათებდა დოკუმენტურობა, ავტობიოგრაფიზმი, სადა ენა, ლირიკული ინტონაციები. ავტორები ცდილობდნენ, დაეფიქსირებინათ სოციალური სინამდვილე, აესახათ ყოველდღიურობა.

ახალი დროის ევროპულ კულტურაში ნეორეალიზმის სამ ძირითად ტალღას განასხვავებენ: ინგლისურს, იტალიურს, ფრანგულს. შემოქმედების თემატიკითა და წერის მანერით სხვადასხვა ქვეყნის ნეორეალისტი ავტორები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. თეორეტიკოსები მიუთითებენ, რომ იტალიური ნეორეალისტური მწერლობის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება იყო მისი კავშირი კინემატოგრაფთან, რის შედეგადაც წარმოიშვა ამ ლიტერატურის განსაკუთრებული თვისება – პერსონაჟთა, მოვლენათა, ენის კინემატოგრაფიულობა. ნეორეალიზმმა მეოცე საუკუნის პროზასა და დრამატურგიაში შემოიტანა უბრალოება და ენობრივი სიცხადე, პოეზიაში თავი დააღწია ჩაკეტილობას.

ტერმინი ნეორეალიზმი (ახალი რეალიზმი) პირველად ვიკტორ ჟირმუნსკიმ აკმეისტებთან დაკავშირებით 1916 წელს გამოიყენა სტა-

ტიაში „სიმბოლიზმის გადამლახავნი“. ეს ტერმინი გვხვდება ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ ევროპისა და რუსულ ლიტერატურაში (1900-1930-იანი წლების რუს მწერლებთან მიმართებით). კრიტიკოსებმა უ. ბარბარომ და ა. ბოჩელიმ ახალი ტენდენციების აღსანიშნავად ნეორეალიზმის ცნება 1931 წელს ლიტერატურაშიც გამოიყენეს. თეორეტიკოსთა განმარტებით, ამ ახალი მიმდინარეობის ფესვები დასავლეთ ევროპულ რეალიზმსა და იტალიურ ვერიზმშია. მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან ჩამოყალიბებულმა რეალიზმმა სინამდვილის ანალიტიკური გააზრების პრინციპები დაამკვიდრა. ვერიზმი იტალიურ ლიტერატურასა და ხელოვნებაში მე-19 საუკუნის ბოლოს ნატურალიზმის გავლენით ჩამოყალიბდა. მისი მანიფესტის ავტორები იყვნენ ჯოვანი ვერგა და ლუიჯი კაპუანა. ვერისტები უპირატესად დიდი ქალაქების, დედაქალაქების, მსხვილი ინდუსტრიული ცენტრების ცხოვრებას, უბრალო ადამიანების ყოფას ასახავდნენ, შეულამაზებლად აჩვენებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებებს, თანაუგრძნობდნენ გლეხებსა და ქალაქის მდაბიოებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ნეორეალიზმი ერთგვარი ხიდი იყო კლასიკურ და უახლეს ლიტერატურას შორის; მეოცე საუკუნის დასაწყისში მან დიდად განავითარა სიტყვაკაზმული მწერლობა. წინამორბედთაგან განსხვავებით, ნეორეალისტური პროზა არის ნაკლებად დიდაქტიკური, ავტობიოგრაფიული და ქრონიკების ჟანრს უახლოვდება. ნეორეალისტების სტილისტიკას ახასიათებს სწრაფვა ხალხური მეტყველების ზუსტი აღდგენისაკენ (დიდაქტიზმების ჩათვლით), მას გამოარჩევს სიცხადე და უბრალოება, დეტალის გამომსახველობითობა, ლაკონიზმი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ასევე ნეორეალიზმი მიმდინარეობა იყო ინგლისურ-ამერიკულ ფილოსოფიაში. ის გახლდათ რეაქცია აბსოლუტურ იდეალიზმზე და ობიექტების დამოუკიდებელი არსებობას აღიარებდა. ამას გარდა, ნეორეალიზმი, ანუ სტრუქტურული რეალიზმი, არის მიმდინარეობა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, რომლის აღმოცენებას უკავშირებენ 1979 წელს კენეტ უოლტის წიგნის – „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ – პუბლიკაციას.

1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან ნეორეალისტურმა ხელოვნებამ პოზიციები ნელ-ნელა დათმო, მის ნაცვლად შემოვიდა პოსტ-ნეორეალიზმი, შემდეგ – პოსტმოდერნიზმი.

როგორც აღინიშნა, ნეორეალისტური მხატვრული ხედვა აშკარად ივეთება გურამ გეგეშიძის შემოქმედებაში, განსაკუთრებით მის ადრეულ მოთხრობებში, რაც ყველაზე ექსპრესიულად პერსონაჟების, მოვლენათა, ენის კინემატოგრაფიულობით გამოიხატება. ამ ტექსტებში ფილმის კადრებივით ერთმანეთს ენაცვლება გარემოს თუ გმირთა დეტალიზებული, ექსპრესიული აღწერა, ცხადად, მკაფიოდ რომ წარმოაჩენს ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრულ რეალობას.

ნეორეალისტური რეფლექსიებით გამორჩეულია გურამ გეგეშიძის ვრცელი მოთხრობა „დევნილი“ (1968), რომლის დასაწყისშივე მწერალი ლაკონიურად, დოკუმენტური სიზუსტით წარმოადგენს ადამიანებს და მათ ირგვლივ არსებულ პეიზაჟს: *„მინდვრის ბოლოს მობალახე ცხენები გაფანტულან. გრძელი, ერთსართულიანი შენობის ჩრდილში თავი შეუფარებიათ ვერტმფრენის მომლოდინე თუშის ქალებს... ზოგი მათგანი ქვაზე ან ყუთებზე ზის, ზოგი წამოდგარა და კედელს ზურგით მიყრდნობია“* (გეგეშიძე, 2017, გვ. 3). ამავე მოთხრობაში ასევე დეტალიზებულად, ფილმისეული სიცხადით არის დახატული მთავარი პერსონაჟების პორტრეტები. ლაკონიურია მუშნი კიფიანის პიროვნული შტრიხები: *„ვიწრო, გახუნებულ ლურჯ შარვალზე ტალახშემხმარი ჩექმები აცვია, სწორი, ქერა თმა შუბლზე ჩამოჰყრია, მზეზე დამწვარი, ჩავარდნილი ღაწვები წვერს დაუფარავს და ლურჯი თვალეები მიმქრალი მზერით გასცქერიან სივრცეს“* (გეგეშიძე, 2017, გვ. 3). რამდენიმე ექსპრესიული მონახაზით, ოსტატურად ხატავს მწერალი მოთხრობის მეორე პერსონაჟს – თაფლოს: *„მაღალი, ლამაზი ტანი აქვს... ძალიან უხდება შავი კაბა... ფეხებზე სადიაცო ჩითები და ჭრელი თუშური წინდები აცვია... მაღლა აზიდული მრგვალი წარბები აქვს და ოდნავ კეხიანი, მიმინოსებური ცხვირი“* (გეგეშიძე, 2017, გვ. 4).

ნეორეალისტური ხედვით გეგეშიძის სხვა მოთხრობებიც გამოირჩევა. პეიზაჟებისა და გარემოს ავტორისეული აღწერა მკითხველის თვალწინ აცოცხლებს მოთხრობის რეალურ სივრცეს, გმირებს, ააშკარავებს ავტორის ინტენციას. მკითხველი ტექსტის სიღრმეებში მიჰყვება მწერალს, თანაგანცდა აპოგეას აღწევს. *„უნდა ჩავსულიყავით*

ქვემოთ, ხეობაში, სადაც ხმაურით მორბოდა მდინარე. ცაზე მთვარე ანათებდა. ჩვენ ჩუმად მივდიოდით. ძაღლები ბოროტად, რაღაც ბო-
ხი და ავი ხმით უყეფდნენ მთვარეს“ („მდინარესთან, მთებში“ (1956)
(გეგეშიძე, 2017, გვ. 113).

მოთხრობაში „გიგი და ლეო“ (1956) მწერალი ორიგინალურად, მკვეთრი ფერებით, კინემატოგრაფიული სიზუსტით წარმოადგენს ბუნების პეიზაჟს: „ჰაერში ნამჯის სუნი იდგა. ნაპურალში ნაბდიანი მხედრებივით მოჩანდა ზვინები... შორეული გორაკები ტყით იყო შემოსილი... ფეხსაცმელების ქვეშ ღორღი ხრამუნობდა“ (გეგეშიძე, 2017, გვ. 118).

„მგზავრებში“ (1956) გურამ გეგეშიძე ლაკონიური ფრაზებით ხა-
ტავს ერთი შეხედვით ბანალურ გარემოს – რკინიგზის დარბაზს, მა-
ტარებლის მომლოდინე მგზავრებით რომ ავსებულა: „მოსაცდელი
დარბაზი სავსე იყო ხალხით. თამბაქოს კვამლისაგან ნისლი იდგა და
ისმოდა ხმაური. მიუხედავად ხმაურისა, მგზავრების ნაწილი სკამებ-
ზე იწვა და ეძინა“ (გეგეშიძე, 2017, გვ. 129).

დოკუმენტური სიზუსტე ჩანს მოთხრობაში „წყალობა“ (1964),
რომლიც ადრეული გაზაფხულის სოფლის პეიზაჟი ნათელი ფერე-
ბითაა დახატული: „იქ სამი ხარი ხნავდა საყანეს და ჰაერში მიწის
ნოყიერი სურნელი იდგა. ნედლე ბელტებში დაიკლაკნებოდნენ წი-
თელ-წითელი ჭიკაყელები... სადღაც, შორიდან გუგულის ხმა მოის-
მოდა“ (გეგეშიძე, 2017, გვ. 255).

სხვა მოთხრობაში ავტორი გმირების წარმოდგენისას ფილმისე-
ული სიცხადით, მაღალმხატვრულად აღწერს პერსონაჟთა ირგვლივ
არსებულ გარემოს: „ყაყაჩოებით მოფენილ დიდ მწვანე მინდორზე
ორი შავანაფორიანი ბერი გამალებით მიაბიჯებდა მინდვრის ბო-
ლოს, დაბურული მთისკენ... მძიმე, ლუში ღრუბლებით დაფარული
ცა ავისმომასწავებლად მრისხანედ შეფერილიყო“ („საყდარი“, 1968)
(გეგეშიძე, 2017, გვ. 263).

1958 წლით თარიღდება მოთხრობა „თოში“, რომლის დასაწყის-
შივე განსულიერდება წვიმიანი დღის მშვენიერი პეიზაჟი: „გრძელი
აივანი მოჩუქურთმებული სვეტისთავებით... წვიმა ღია აივანზე ას-
ხამდა და ალტობდა რიკულებიან მოაჯირს. ეზოში მდგარი ტანკენარი
კვიპარისი სულმთლად გაწუწულიყო. შორიდან როიალის მიკარგუ-
ლი ხმა ისმოდა“ (გეგეშიძე, 2017, გვ. 177).

მწერალი თანაგანცდით, ყურადღებით აკვირდება რიგითი ადამიანების ცხოვრებას, მისი მზერა გმირის პიროვნული ტრაგედიის სიღრმეებს სწვდება და მკითხველსაც თანაგრძნობით განაწყობს უბრალო ადამიანის უბედურების მიმართ. მოთხრობაში „ღრუბლიანი დღე“ (1959) მთავარი გმირი სოფელში ჩადის, სადაც ხვდება ფოსტალიონ სანდროს, რომელსაც სოფლელებისათვის პენსიები მიაქვს. მოთხრობაში 60 წლის ფოსტალიონის გარეგნობა ტიპურად არის დახატული: „გამბდარი, პატარა ტანის კაცი იყო, წელში მოხრილი დადიოდა, ჭროლა თვალები ჰქონდა, ჭაღარაშერეული, თხელ თმა თითქმის გასცვენოდა“ (გეგეშიძე, 2017, გვ. 207). ოჯახის უფროსი და მისი მეუღლე სანდროს არყითა და ბლინებით უმასპინძლებიან. მოშიებული ფოსტალიონი საჭმელს სულმოუთქმელად მიირთმევს. გადის ცოტა ხანი და სოფელში კვილის ხმა მოისმის. აღმოჩნდება, რომ ფოსტალიონის უფროსი შვილი თოფით იკლავს თავს. გურამ გეგეშიძე თანაუგრძნობს თავის გმირებს და მკითხველსაც იმავე განცდას უტოვებს.

თვითმკვლელობის თემა გურამ გეგეშიძის სხვა მოთხრობაშიც იკვეთება. მდინარის ნაპირზე იპოვნია წყალობას დასახიჩრებულ გვამს („წყალობა“, 1964). მწერალი სევდიანად მედიტირებს: „ვინ იცის, რა აზრმა გაუელვა მას უკანასკნელად?“. *პასუხი არავინ უწყის. იქნებ არც იყო თვითმკვლელობა, უბრალოდ, ფეხი დაუცდა? – იმედს ხავსივით ეჭიდება ავტორი. „პასუხი მხოლოდ წყალობას შეეძლო გაეცა, მაგრამ ის აღარ იყო“* (გეგეშიძე, 2017, გვ. 262), – ნაღვლიანად დაასკვნის გურამ გეგეშიძე.

არარსებობის უფსკრულის პირას დგას მუშნი კიფიანი („დევნილი“), რომელიც მშვიდად ელის მდევრებს. „ერთი ნაბიჯის იქით ბურუსი ნთქავდა სივრცეს... მუშნის მოეჩვენა, რომ დედამიწიდან სადღაც უცნობ, უფსკრულის თეთრ სივრცეში უზარმაზარ ფანჯარასთან იდგა. „სად უნდა გავიქცე? ვერსად ვერ გავიქცევი“, – გაიფიქრა მან“ (გეგეშიძე, 2017, გვ. 112).

გურამ გეგეშიძე თავისი დროის მხატვრული მემატრიანია. თამაში პროზაული ექსპერიმენტებით ქართულ მწერლობაში ის ყველასაგან განსხვავებულ, ინდივიდუალურ სტილს ამკვიდრებს. ამავე დროს პროზაიკოსი ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელია. მკვლევართა დაკვირვებით, მისი თხზულებები ორგანულად ენათესავება ქართული პროზის აღიარებულ ნიმუშებს.

მანანა კვაჭანტირაძე ინტერტექსტუალობის ფსიქოლოგიური ასპექტით განიხილავს „ორი ძმის“ კონცეპტს და ერთმანეთს ადარებს ილია ჭავჭავაძის მოთხრობას „სარჩობელაზედ“ და გურამ გეგეშიძის „შურისძიებას“. მეცნიერის დასკვნით, ეს მოთხრობები „ადამიანის პრობლემების გადაწყვეტის განსხვავებულ გზებს გვთავაზობს“ და ჰუმანიზმის ცნების შინაარსისადმი ავტორთა განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავს. „პრობლემატიკის გარდა, ორივე მოთხრობას ერთი რამ სხვაც აერთიანებს: ავტორთა ძალზე ღრმა ტრაგიზმამდე მისული განცდა ადამიანის პრობლემისა“ (კვაჭანტირაძე, 2013, გვ. 221). გაა არგანაშვილი ტრადიციული სასიყვარულო სამკუთხედის პარალელებს ხედავს გურამ გეგეშიძის „აპრილსა“ და ალექსანდრე ყაზბეგის „მოდღვარს“ შორის.

ანა გოგილაშვილის შეფასებით, „გურამ გეგეშიძემ თავისი თხზულებებით ახლებური სამყარო შესთავაზა მკითხველს და ადამიანური ურთიერთობების მნიშვნელობაზე დააფიქრა იგი“ (2019, გვ. 5). მკვლევარი პროზაიკოსის შემოქმედებაში გამოყოფს ფსიქოლოგიურ მოტივებს, ექსისტენციურ პრობლემატიკას (ვრცლად იხ. გოგილაშვილი, 2019). ახალგაზრდა მეცნიერის აზრით, მისი თხზულების პერსონაჟი ექსისტენციური პრინციპებით უპირისპირდება გარესამყაროს. გოგილაშვილი განიხილავს 1984 წელს შექმნილ მოთხრობა „ჟამს“ და დაასკვნის, რომ ე.წ. „სულიერი ჟამიანობის“ დროს თხზულების მთავარი გმირი ეპოქის განზოგადებულ სახედ უნდა წარმოვიდგინოთ. თამაზ ვასაძე „აპრილს“ ანალიზებს და მიუთითებს, რომ ახლობლის კვდომის პროცესი მთავარ გმირს დაანახებს „ადამიანის უმწეობას, არარაობას, მის უბადრუკ მიჯაჭვულობას ამქვეყნიურობასთან“ (2015, გვ. 82).

გურამ გეგეშიძის მოთხრობებში ყურადღებას იქცევს ინდივიდუალობით გამორჩეული მწერლის თანამედროვე რიგითი ადამიანების პორტრეტები, ბუნების სურათების, გარემოს ლაკონიური, დეტალიზებული, მაღალმხატვრული აღწერანი. მოთხრობებს დინამიზმს მატებს ცოცხალი დიალოგები, იკვეთება ახალი სტილისტიკა, ზუსტდება მწერლის თანამედროვეობის მარკერები, მწერლის მხატვრულ დისკურსში აშკარად იკვეთება „აქცენტთა გადაადგილება“. ავტორი თავს აღწევს სოციალისტური რეალიზმის მარწუხებს, მისთვის სამყარო განსხვავებული პარამეტრებითა და ფერებით წარმოდგება, ხოლო

ახალი რეალიზმი სოციალისტური რეალიზმის საიმედო ალტერნატივა ხდება. რაც მთავარია, თავისი თაობის გამორჩეულ ავტორებთან ერთად გურამ გეგეშიძემ მხატვრული რეფლექსირების ძველი სისტემა ძირფესვიანად შეცვალა და განახლებული ქართული პროზის აღიარებული ავტორი გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ასათიანი, გ. (2002ა). თხზულებანი 4 ტომად, ტ. 3, თბილისი: „განახლებული ივერია“.
- ასათიანი, გ. (2002ბ). თხზულებანი 4 ტომად, ტ. 4, თბილისი: „განახლებული ივერია“.
- გეგეშიძე, გ. (2017). თხზულებანი 6 ტომად, ტ. 2, თბილისი: „პალიტრა“.
- გოგილაშვილი, ა. (2019). გურამ გეგეშიძის მხატვრული პროზა. ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. თბილისი.
- ვასაძე, თ. (2015). ლიტერატურული ეტიუდები, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- იმედაშვილი, კ. (1969). პორტრეტის შტრიხები (შენიშვნები თანამედროვე ქართული პროზის გმირის შესახებ), „ლიტერატურნაია გრუზია“, 1969, 9-10.
- კვაჭანტირაძე, მ. (2013). ვექტორები, თბილისი: „მერიდიანი“.
- კუპრეიშვილი, ნ. (2013). სიტყვის დეგუსტაცია, თბილისი: „საუნჯე“.
- რატინი, ი. (2018). ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი, თბილისი: თსუ გამომცემლობა.

References:

- Asatiani, G. (2002). Tkhsulebani 4 t'omad, t'. 3. [Essays in 4 volumes, vol. 3], Tbilisi: „Renewed Iveria“.
- Asatiani, G. (2002). Tkhsulebani 4 t'omad, t'. 4. [Essays in 4 volumes, vol. 4], Tbilisi: „Renewed Iveria“.
- Gegeshidze, G. (2017). Tkhsulebani 6 t'omad, t'. 2. [Essays in 6 volumes, vol. 2], Tbilisi: „Palitra“.
- Gogilashvili, A. (2019), Guram Gegeshidzis mkhat'vruli p'roza. Pilologiis dokto-ris akademiuri khariskhis mosap'oveblad ts'ardgenili disert'atsia. [Guram

Gegeshidze's fictional prose. Dissertation submitted for the academic degree of Doctor of Philolog]. Tbilisi: 2019.

Imedashvili, K. (1969), P'ortretis sht'rikhebi (Shenishvnebi tanamedrove kartuli p'rozis shesakheb [Strokes to the Portrait (Notes on the Hero of Modern Georgian Prose)]. "Literaturnaya Gruzia", 1969, 9-10.

K'vachanitaradze, M. (2013), Vect'orebi [Vectors]. Tbilisi: „Meridiani“.

K'upreishvili, N. (2013), Sit'q'vis degust'atsia [Degustation of Speech]. Tbilisi: „Saunje“.

Rat'iani, I. (2018), Kartuli mtse'rloba da msoplio lit'erat'uruli p'rotsesi [Georgian Literature and the World Literary Process]. TSU Publishing House.

Vasadze, T. (2015), Lit'erat'uruli et'iudebi [Literary Etudes]. Tbilisi: „Institute of Literature Press“.

გოჩა კუჭუხიძე
Gocha Kuchukhidze

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

გიორგი ლეონიძის „რემინისცენციები“ (ერთი ლექსის ანალიზი)

„Reminiscences“ by Giorgi Leonidze (Analysis of a Poem)

The article offers discussion of *Giorgi Leonidze's* poem “*Reminiscences*”. It specifies the pieces of literature, to which the allusions are made; contents of the first stanza of the “*Reminiscences*” and musical intonation of the text shows that it contains hint on *Akaki Tsereteli's* “*White Hair*”, in further stanzas the allusions are made on *Giorgi Leonidze's* poems written in the earlier period – these are: “*The Song of First Snow*”, “*Ninotsminda Night*”, “*Kipchak With His Date*”, “*Night of Iori*”, “*Guineafowl*” and “*Ole*”.

The article is focused on *Giorgi Leonidze's* poem “*Ole*”. In Georgian, “*Ole*” means the tree standing along and mostly used as shadow. Poet dedicates his poem to it. There is no common view in the scientific community about what *Giorgi Leonidze* wanted to say in this poem. Some researchers regard that *Ole* implies Georgia, a country that has suffered much and yet, it stands firmly and never falls down; in the opinion of the others, *Ole* is metaphoric image of *Giorgi Leonidze*.

In our opinion, poem “*Reminiscences*” would be useful for proper analysis of the poem “*Ole*”. In “*Reminiscences*” the poet says the following (we provide interlinear translation): “*Why did I make Ole cry, I knew, who he was*”; he did not write “*what it was*”, words “*who he was*” shows clearly that metaphorically, *Ole* implies an individual, person, rather than Georgia; In “*Ole*” *Giorgi Leonidze* wrote that *Ole* has a “*golden head*”, i.e. he is very clever and says that “*he looks to the sky*”, showing that he describes a very religious and honest person with the hints; “*Ole*” describes a very clever person, born to sacrifice his life to Lord and does not seek any happiness in this world... In certain sense, the poet promises him to help him in arrangement of his life,

calls him a lonely person and expresses sorrow for him... Though, the verse shows how well the poet is aware that only the godly deeds make this person happy... There is an impression that when *Giorgi Leonidze* wrote this verse, he hurt a person, to whom the verse was dedicated and “made him cry”, it seems that the verse was dedicated to such a person, which did not regard him as a lonely one and believed that serving to the high ideals does not require any sorrow; that such person is always with Lord... We doubt that *Giorgi Leonidze* implied himself in such character; that he was so unhumble with regard of himself, therefore, we regard that we should seek *Ole’s* prototype among people close to *Giorgi Leonidze*. We discussed this issue in the article about great Georgian scientist *Pavle Ingorokva* and we regard that we should seek *Ole’s* prototype among the persons like *Ingorokva*; *Pavle Ingorokva* was the friend of the poets’ order, named *Blue Horns* and *Giorgi Leonidze* was a member of that order; earlier, *Pavle Ingorokva* intended to be a poet and, generally, he was known as a person dedicated to his native country and science, a person like a saint (see details of this issue in our article: *One More Evening Dedicated to a Person Dedicated to Lord*” in the collection published by *Rostom Chkheidze*: “*Postmodernist Novel About Pavle Ingorokva; New Eleazar*”; /2021 / and the same article in magazine “*Gantiadi*“; № 7-8, 2021).

In the poem “*Reminiscences*”, initially the poet shows his sadness because of becoming older, as did *Akaki Tsereteli* and further, referring to the verses written when he was young, recalls his youth and in the next to the last stanza, again following *Akaki Tsereteli’s* intonations, focuses the reader’s attention to his “*White Hair*”, – following the style of mentioned poet, already aged, he asks, whether he is able to write as before and in the last stanza he states that irrespective of age, he will still be able to write the poems as before.

Giorgi Leonidze was distinguished with his optimism and ends this poem optimistically as well.

საკვანძო სიტყვები: გიორგი ლეონიძე, „რემინისცენციები“, აკაკი წერეთელი, „ოლე“, პავლე ინგოროყვა.

Key words: Giorgi Leonidze, „Reminiscences“, Akaki Tsereteli, “Ole”. Pavle Ingorokva.

გიორგი ლეონიძეს აქვს ერთი ლექსი, 1957 წელს დაწერილი, რომლის სათაურია „რემინისცენციები“; რამდენადაც რემინისცენცია იმასაც გულისხმობს, რომ რომელსამე ნაწარმოებზე ცხადი თუ ირიბი ალუზია არის გაკეთებული და ისიც ცხადი ხდება, რომ ამა თუ იმ პოეტურსა თუ პროზაულ ქმნილებაზე მინიშნებებით დაუწერია პოეტს ეს ლექსი, წინამდებარე წერილში ვეცდებით დავაზუსტოთ, კონკრეტულად რომელ ნაწარმოებებზე მიგვანიშნებს ავტორი:

„რემინისცენციები“ ასე იწყება:

გამეპარე, სიჭაბუკვე,
მომეპარე ჭაღარავ;
იმ ჩქროლვის, იმ ქარბუქის.
მითხარით, შემრჩა-ღა-რა?

ეს სტრიქონები აკაკი წერეთლის ლექსს გვაგონებს:

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ძნელი ყოფილა ჭაღარა...
ვეღარ გაჰკვივის თამამად
ჩემი დაფი და ნაღარა.

„რემინისცენციების“ ამ სტროფის ინტონაციას, სიტყვა „ჭაღარის“ ხსენებას, მასზე გაკეთებულ რითმას ძალიან ახლოს მივყავართ აკაკის ლექსთან – „ჭაღარა“; საქვეყნოდ არის ცნობილი გიორგი ლეონიძის გამორჩეულად თვითმყოფადი სტილი, აქ კი აღარ გვესმის, ვიტყვით ასე, მზითა და მიწის ბარაქით, მისი სინოყივრით სიცოცხლის ძალამიცემული პოეტის „ბუბუნა“ ხმა, თითქოს თავისი ხმა დაუდუმებია და აკაკის მსგავსი ენით ალაპარაკებულაო გოგლა (როგორც უწოდებდნენ ხოლმე სიყვარულით). სიტყვები: „მითხარით, შემრჩა-ღა-რა?“ არ ჰგავს მისეულ ინტონაციებს და აკაკისებური მელოდია ისმის ამ სტროფიდან; ვფიქრობთ, მას შემდეგ, რაც აკაკი ვახსენეთ და **ლეონიძის ლექსის სათაურიდან ისიც ვიცით, რომ რომელიღაც პოეტური თუ პროზაული ნაწარმოების რემინისცენცია გვაქვს ამ ლექსში მოსამძებნი**, ძნელი მისახვედრი არ არის, ამ შემთხვევაში აკაკი წერეთლისეული სტილით რომ გვესაუბრება მიახლოებულ სიბერეზე, აკაკის სტრიქონებზე რომ აკეთებს ალუზიას „რემინისცენციების“ ავტორი.

მომდევნო სტროფი:

დე, ლექსმა თქვას პასუხი,
გაფანტა თუ დასტოვა –
იმ აპრილის ნაქუხი,
ქაფი, ცეცხლი, ნიავი –
ჩემი ახალგაზრდობა!

ამ სტროფში კი, ჩანს, საკუთარ სტრიქონებზე გაუკეთებია მი-
ნიშნება გიორგი ლეონიძეს. მის ადრინდელ ლექსში, რომელიც 1926
წელსაა დაწერილი და რომელსაც „სიმღერა პირველი თოვლისა“
ჰქვია, ვკითხულობთ:

ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!
წასულა და წასულა,
ნეტავ საით წასულან
ის პატარა სიზმრები?

ვკითხულობთ „რემინისცენციებს“ და ვხედავთ, რომ განვლილ
ცხოვრებას გაჰყურებს სიბერემიახლოებული პოეტი, თავისი, როგორც
პოეტის, ცხოვრების გადახედვას ცდილობს; ჯერ თუ აკაკისეული
ინტონაციით გამოხატა წუხილი შეპარულ ჭადარაზე, შემდეგ 1926
წელს დაწერილი ლექსი გაიხსენა, – ის, რომელშიც თოვლზე წერდა,
მაგრამ, რადგან სიჭაბუკის ცეცხლით იყო სავსე, გაზაფხული ედგა
სულში (ფერთამეტყველების კუთხითაც ძალზე ოსტატურად გამოს-
დის პოეტს, – „ჭადარა“ ახსენა და თეთრი ფერის ასოციაცია გაჩნდა
ლექსში, შემდეგ „პირველი თოვლის სიმღერა“ იზადება ალუზიის
დამნახავი მკითხველის ასოციაციაში, ისევ თეთრი ფერები ესახება,
მაგრამ რადგან იცის, რომ პირველად წამოსული თოვლის სიმღერაზეა
1926 წელს დაწერილი ლექსი და სიჭაბუკისაა ის სიმღერა, ჭადარისა
და სევდის თეთრ ფერებს ახალგაზრდული სისპეტაკე, „ახალგაზრ-
დობის სითეთრე“ ცვლის მის ცნობიერებაში და მკითხველის მზერა
არამკვეთრი მოძრაობით ხანდაზმულობიდან სიჭაბუკისკენ გადადის;
ასე ნატიფად ხდება ერთი სურათიდან მეორეზე გადასვლა); ახლა

იქნებ ელიმება კიდევ პოეტს, მაშინ, 26 წლის ასაკში, ახალგაზრდობის წასვლა რომ აშინებდა და აფიქრებდა, ამჟამად, როცა „რემინისცენციებს“ წერს, შერჩა თუ არა „იმ აპრილის ნაქუხი“, ძველი „ახალგაზრდობა“; 1926 წელს ამბობდა: „სიჭაბუკის გარეშე / ლექსს ვინ მისცეს დიდება“; 1957 წელს კი ფიქრობს, რამდენად შეუწარჩუნდა ახალგაზრდული გზნება, სიბერესთან უკვე ახლოს მყოფის შეგრძნებამიძალებულს სწადია, ლექსმა გამოაჩინოს, მან „თქვას პასუხი“ – აქვს თუ არა პოეტს ისევ ძველებური ძალა; მომავალში დაწერილმა ლექსებმა უნდა დაანახოს, შეძლებს, თუ ვერა, ძველებურად წერას (თვითონ მიაჩნია, რომ თითქმის უკვე დაბერდა; 26 წლისასაც ახალგაზრდობის მალე წასვლა აფიქრებდა და რა გასაკვირია, რომ შემდგომში ხანში შესულად მიეჩნია თავი...); მინიშნება ადვილად არის შესამჩნევი, – ადრე თუ თქვა: ჩქარა, თორემ წასულა **ჩემი ახალგაზრდობა**, შემდგომში ბრძანა: ლექსმა გაგვცეს პასუხი, – ისევ შემომრჩა, თუ არა, ძალა, ქარმა ხომ არ გაფანტა აპრილის ნაქუხი, ქაფი, ცეცხლი, ნიავი, **ჩემი ახალგაზრდობაო**.

შემდეგ ისევ სიბერესთან მიახლოებული კაცის განცდით განაგრძობს წერას:

ლექსმა გვითხრას მართალი,
 ვარ თუ არა სარდალი
 ნინოწმინდის ხმალისა,
 ყივჩაღური ყიჟინის,
 მისი ქარიშხალისა!

აქ „ნინოწმინდის ღამესა“ და „ყივჩაღის პაემანზეა“ მინიშნება; ის ღამე აგონდება პოეტს, **სანდრო შანშიაშვილთან, პაოლო იაშვილთან და ტიციან ტაბიძესთან** ერთად ნინოწმინდაში რომ ნადიმობდა, სიყვარულის ძველი იარა რომ გაეხსნა, „ათაბაგის ქალისადმი“ სიყვარული რომ გაახსენდა და ძველ სიყვარულს რომ მისტიროდა... ალბათ იმ ღამესაც, როცა გაზაფხულს „*რძის სუნი უდიოდა*“, თავისებურად ბუბუნებდა გოგლა და, რადგან წერს, რომ „ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა“, ჩანს, ყველანი ტარიელს მიმსგავსებოდნენ და ერთმანეთის შემწე „ავთანდილებადაც“ წარმოედგინათ თავი; ახლა, 1957 წელს, აინტერესებს, არის თუ არა ისევ ის „სარდალი“, ის „ტარიელი“, კიდევ თუ ეჯახება სიყვარული „ტამერლანის

ხმალივით“ („რემინისცენციებში“ ნახსენები „ნიოწმინდის ხმალი“ ეს იგივე „ტამერლანის ხმალი“ უნდა იყოს); ყივჩაღის ყიჟინის ხსენებით კი, ცხადია, „ყივჩაღის პაემანზე“ მიგვანიშნებს პოეტი, იმ შემართებას იხსენებს, რომლითაც ეს ლექსი არის დაწერილი. შემდეგ:

ამ გულს როდი მოვეშვი
იერიშით ზარხოში,
ჩქარა ცხენი მომეცით!
ჩქარა! – ქარს მივძახოდი,

ახლა სად დაიმუხლეს
ან ერთმა, ან მეორემ?
ქართულ სიტყვის სიუხვეს
რა დაღვეს... რად ვეომე?

როდის იძახდა პოეტი, – „ჩქარა, ცხენი მომეცითო“, რომელ ადრეულ სტრიქონებს გვახსენებს ამჯერად? როცა ზემოხსენებულ ლექსს, „სიმღერა პირველი თოვლისა“ რომ ჰქვია, გადავხედავთ, დავინახავთ, რომ კვლავაც ამ ლექსის სტრიქონებს გულისხმობს გიორგი ლეონიძე:

ეს თოვლია, თუ მიმინომ
დააფეთა მტრედები?
ვარსკვლავთა ოთახებში
ჩათვლემილებს ეძინათ.
ეხურათ ხავერდები.

ჩქარა,
მინდა ვუყელო,
მესმის მათი თქერანი...
სავსე თოფი მომეცით
და ცხენი ნაქერალი!

ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!

„რემინისცენციებში“ ორჯერ ისმის სიტყვა – „ჩქარა!“ და ცხენის გაჭენების ადრინდელ სურვილს იხსენებს ამ ლექსში პოეტი... 1926 წელს ეჩვენებოდა, რომ მისდის ახალგაზრდობა, „**ნაქერალი ცხენი მომეცითო**“, – იმახდა იმ დროს და 1957 წელს კი იმასაც იხსენებს, რომ არ ნებდებოდა მაშინ სიბერეზე ფიქრს და ამბობს: „*ამ გულს როდი მოვეშვი*“... „**ჩქარა ცხენი მომეცით, / ჩქარა! ქარს მივძახოდი**“; ოდნავ განსხვავებულად იგონებს ძველ სტრიქონებში ნათქვამ სიტყვებს და კითხულობს, – „*ახლა სად დაიმუხლეს / ან ერთმა, ან მეორემ?*“, – ანუ, ჩანს, გულისხმობს, რომ გულმაც „დაიმუხლა“ და – „სიჭაბუკის ცხენმაც“; უეჭველია, რომ აქაც 26 წლის ასაკში დაწერილ ამ ლექსზე მიგვანიშნებს.

შემდეგ „იორის ღამეს“ იხსენებს პოეტი, ანუ, როგორც საფიქრებელია, ცდილობს, კვლავ ერთ-ერთ ლექსზე მიგვანიშნოს:

წნორის ხმას რომ ვისმენდი
მე იორის ღამისას, –
ჭაღარის ვერცხლის მეტი,
გულს საჩუქრად რა მისცა?

როცა გვინდა გავარკვიოთ, ამჯერად საით სურს ჩვენი მზერის წარმართვა და როცა პოეტის მიერ ამ სტროფში ნახსენებ „**წნორის ხმასა**“ და „**იორის ღამეზე**“ ვფიქრობთ, ახალგაზრდა ასაკში დაწერილი ის ლექსი გვახსენდება, რომელსაც „**ღამე ივერიისა**“ ჰქვია და რომელშიაც მტკვარზე „**წნორების მიერ თარებზე დაკვრაზე**“ წერდა პოეტი:

ისევ აყვავდა გული ვარდივით.
და ისევ მინდა შენზე დავწერო...
დარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო.

დახანძრებული წევს ივერია,
მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს,
მეტივეები სადღაც მღერიან,
სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე.

„ღამე ივერიისა“ 1925 წელს არის დაწერილი. ჰყვავდა მაშინ ჭაბუკის გული, პოეზიის ცეცხლით ესახებოდა მთელი ქვეყანა ანთებული, – „დახანძრებულად“ აღიქვამდა ივერიას „საქართველოს ლექსის ერთ-ერთი მეხანძარე“ და იქნებ ეჩვენებოდა, რომ მტკვრისპირა წნორები მუსიკას აჟღერებდნენ; როგორც არ უნდა განვმარტოთ ამ სიჭაბუკისდროინდელი ლექსის მეტაფორები, ერთი რამ ცხადია, – „რემინისცენციებში“ ახალგაზრდობის სიყვარულს იხსენებს გიორგი ლეონიძე და „ღამე ივერიისაზე“ მიგვანიშნებს, რაზედაც, გარდა იმ ფაქტისა, რომ **შინაარსობრივად პირდაპირ უკავშირდება ეს ლექსები ერთმანეთს**, ისიც მოწმობს, 1957 წელს დაწერილ სტრიქონებში შორეული, არაპირდაპირი, არა მხოლოდ სემანტიკური, არამედ **ბგერითი ალუზიით**, ანუ „იორის ღამის“ ხსენებითაც რომ ხდება იმ ლექსზე მინიშნება, რომელშიაც „**ივერიის ღამე**“ დახატა პოეტმა ოდესღაც; „**წნორის ხმას ვისმენდიო**“, – ამბობს იქვე და უფრო ცხადი ხდება, იმ ადრინდელ ლექსს რომ გულისხმობს, რომელშიც ასე წერდა ოდესღაც: „**მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს**“; მტკვარია, იორი არაა იმ ადრინდელ ლექსში ნახსენები, მაგრამ ეს განსხვავება მინიშნებული ლექსის ამოცნობაში ხელს არ გვიშლის; თითქოს ერთგვარი „გამოცანაც“ დაუწერიაო პოეტს, – თითქოს უნდა, რომ შევეცადოთ და მივხვდეთ, რომელი სტრიქონები იგულისხმა და ვფიქრობთ, ამჯერად უკვე იმ ლექსისაკენ სურს მკითხველთა ყურადღების გადატანა, რომლისთვისაც „ღამე ივერიისა“ დაურქმევია სიჭაბუკისას (მართალია, ერთგვარ „გამოცანასაც“ ჰგავს ეს ლექსი, მაგრამ მაინც საინტერესოა, რატომ ასე არ წერია „რემინისცენციებში“: – „წნორის ხმას რომ ვისმენდი ივერიის ღამისას“, – გაგვირთულა პოეტმა ალუზია, თუ სხვა რამ მიზეზითა გამოწვეული, ივერიის ნაცვლად, „იორი“ რომ არის ამ ლექსში დამკვიდრებული...); იხსენებს ძველ დროს, 1925 წელს, აგონდება, როგორ წერდა სიყვარულისგან „ვარდივით აყვავებული გულით“ და 1957 წელს კი თითქოს იმედგაცრუებული ამბობს: „**ჭადარის ვერცხლის მეტი**“ რა მომეცაო სიყვარულით ცხოვრების სანაცვლოდ.

შემდგომი სტროფი:

ოლე რად ავატირე,
 ხომ ვიცოდი, ვინც არი,

რით ვერ მოვიხადირე,
სად შეფრინდა ციცარი?..

ციცარის ხსენება ადვილად გასაგებს ხდის, რომ 1925 წელს შექმნილი „ციცარი“, ანუ ის ლექსი იგულისხმება აქ, რომელშიც დაკარგულ სიყვარულზე წერდა პოეტი და „რემინისცენციებში“ ნახსენებმა ოლემ კი, რომელიც, ასევე, სრულიად ცხადია, ლექს „ოლეზე“ რომ მიგვანიშნებს, იმ კუთხითაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება, რომ „ხედ ქცეულ ოლეზე“ ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ: **„ხომ ვიცოდი, ვინც არი“**; „რაც არიო“ – არ წერია აქ, – **„ვინც არი“**, – ამბობს გიორგი ლეონიძე, რაც იმ აზრს აძლიერებს, რომ **ადამიანთა შორის არის სამიველი ოლეს „პროტოტიპი“**; „რემინისცენციები“ ჰქვია ლექსს და, შესაძლოა, მხოლოდ ამა თუ იმ ლექსზე ალუზიები კი არა, სხვა მინიშნებებიც იყოს მასში და რომ იმაზე დაფიქრებისკენაც გვიბიძგებდეს ავტორი, თუ **ვინ** უნდა იყოს ის **„ხედ ქცეული“** (ცხოვრებისაგან გაწვალებული, „ნამეხარი“, მაგრამ მაინც ფესვძლიერი, შეურყეველი და წაუქცეველი ხის მსგავსი) ოლე... თავის მხრივ, ლექსი „ოლეც“ ერთგვარი მინიშნებაა და ტრაგიკულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს გვაგონებს მასში დახატული ოლე, – ისეთს, წმიდა იდეებისთვის რომ წირავს ამქვეყნიურ ბედნიერებას, „ოქროს თავი“, ანუ ბრწყინვალე გონება რომ აქვს, ძალიან ჭკვიანი რომ არის, მძიმე ცხოვრება რომ ურგუნებია ბედს და, მიუხედავად ამისა, მაინც რომ არ ტყდება და ცას რომ შეჰყურებს ერთთავად; **ღვთაებრივ ადამიანს ხატავს** პოეტი, თავმდაბლურადაა ამ მაღალსულიერი ადამიანის მიმართ განწყობილი (განმარტოებით მყოფ წმიდანს ჰგავს ოლე) და ამქვეყნიური ცხოვრების მოწყობაში მიხმარებასაც სთავაზობს მას; თუ იცი, რომ ღვთისადმი შეწირული ცხოვრებისთვისაა შობილი და, ამქვეყნიურ სიძნელეთა მიუხედავად, სხვაგვარად ვერ იცხოვრებს, მაშინ, თუ მის მძიმე ყოფაზე გადაგიტანია ოდესღაც ყურადღება, მერე, მოგვიანებით, ეგებ იმაზეც დაფიქრდე, – იყო კი ეს საჭირო?! მაშინაც დაინახე და იქნებ ახლაც უფრო მეტად ხვდები, რომ გული ატკინე და „ატირე“ იმის გამო, მის ტრაგიკულსა და მძიმე ყოფაზეც რომ დაწერე ლექსში... იქნებ ისე გამოვიდა, თითქოს მიგაჩნდა, რომ ბედნიერი არ იყო, რომ ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრების მოწესრიგებაშიც

სჭირდებოდა შენი შეწევნა, თან „დაპურებასაც“ შეჰპირდი საქვეყნოდ („მოდი ჩემთან, / დაგაპურო, / არ გინახავს ხემსი“)... ყველამ თუ არა, შენ ხომ კარგად იცოდი, ღვთისთვის ცხოვრება რომ იყო მისთვის მთავარი, სხვაგვარად რომ არ შეეძლო ამ ცისკენ მაყურებელ კაცს, სწორედ ეს ყოფა რომ იყო მისთვის ნეტარების მომტანი და არც შესაბრალო-სად მიაჩნდა თავი... „ხომ ვიცოდი, ვისზეც ვწერდი და როგორია ოლე, ვიცოდი, სხვაგვარი ცხოვრება რომ აღარც აინტერესებდა, სიბრალო-ლი რად გამოვხატე, რატომ ვაწყენინე, რად ავატირე იგი“, – თითქოს ასეთი სათქმელი გამოსჭვივის პოეტის ამ ლექსის სტრიქონებიდან; იქნებ ისიც აწუხებს, მაცხოვარივით რომ მიმართა ამ კაცს, წმიდანად ქცეულს რომ გვაგონებს და მიაჩნია, რომ უპირველესად თავად ჩვენ უნდა ვითხოვდეთ მისგან და მის მსგავსთაგან შეწევნას („მე აგიყვან ხელში, / როგორც ნაპოვნ ბატკანს მწყემსი“); ჩვენ თითქმის უეჭველი გვგონია, რომ, როცა თავის შედეგში ამ სიტყვებს წერს გიორგი ლეონიძე: „ხომ ვიცოდი, ვინც არი“, როცა გვაგებინებს, რომ იცის მისი ვინაობა, მაგრამ არ გვიმჟღავნებს, განზრახ იქცევა ასე, რათა ინტერესი გაგვიღვივოს და დაგვაფიქროს, თუ ვინ უნდა იყოს ის ოლე, რომლისთვისაც ერთხელ ღიახვის პირას მოუკრავს თვალი (რასაც ლექსის წერის განწყობაზე დაუყენებია, შთაგონებით აუვსია პოეტი, – „ოლე, ოლე, მე ღიახვზე დაგინახე წამით“) და რომელსაც ხალხური „შემომყარა ყივჩაღის“ პერსონაჟიც მოუგონებია მისთვის (ხსენებული ხალხური ლექსი, ლეონიძის „ოლე“ და „ყივჩაღის პაემანი“ ერთ კონტექსტში ცალკე წერილში გვაქვს განხილული; იხ. კუჭუხიძე; 2021; კუჭუხიძე 2021ა)... პოეტის შვილიშვილი – გიორგი ქავთარაძე იგონებს, რომ გიორგი ლეონიძეს განსაკუთრებულად „ნინოწმინდის ღამე“, „ყივჩაღის პაემანი“ და „ოლე“ უყვარდა; შემდეგ ამბობს: „ოლეზე ჰყვებოდა: 'საღამოს შინ შემოვედი, მარტო ვიყავი, დავჯექი, მეღანში ჩავაწე კალამი და ერთი ამოსუნთქვით დავწერეო', მგონი, ეჭვი ეპარებოდა, მისი დაწერილი რომ იყო, ამბობდა, არ ვიცი, რამ დამაწერი-ნაო..." (უცნობი დეტალები 2012); „რემინისცენციებიდან“ ცხადად ვხედავთ, რომ თურმე სცოდნია, რამაც დააწერინა ეს ლექსი და „ოლეს“ ზემოხსენებული სტრიქონები იმაზეც მიანიშნებს, რომ რომელიღაც კონკრეტული ადამიანი იგულისხმა გიორგი ლეონიძემ „ოლეში“ და თავს არიდებდა იმის ვინაობის ხსენებას, ვისაც, როგორც

ჩანს, ოდნავ გულიც დასწყვიტა („აატირა“) ამ შედეგის ზოგიერთი სტრიქონით... ლიახვის პირას თვალმოკრული, „წამით დანახული“ ოლეს პროტოტიპში ადამიანი, პიროვნება ჩანს და საქართველო რომ არ იგულისხმება მასში (როგორც მიაჩნიათ ზოგჯერ), ვფიქრობთ, სრულიად ცხადია; ისიც საეჭვო ხდება, რომ საკუთარ თავს მიმართავდა ისე, როგორც წმიდანს და სატრფოსთან შეყრასა და ოჯახური ბედნიერების მოგვარებასაც ჰპირდებოდა მას: „*მოდი, მოგცე, გაგახარო, ცოლი მესაწოლე*“ (იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს წმიდა კაცი ოდესღაც „*ყივჩაღის პაემნისეული*“ „ყივჩაღის“ მსგავსი ცოფილა, – სატრფოსადმი სიყვარულისთვის მასავით თავგანწირული... იქნებ ოდესღაც გაუწია კიდეც პოეტმა მას ავთანდილისებური დახმარება და ახლა უკვე მეტაფორულად ეუბნება, რომ ყოველთვის იზრუნებს მისი ბედნიერებისთვის...); ცოტა საეჭვოდ გვეჩვენება ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული იმ მოსაზრების სისწორეც, რომ თვითონ გიორგი ლეონიძეა ოლე, რომ საკუთარ თავს აღიქვამდა მარტოსულად („*ოხერო*“ და „*მარტოხეო ოლე*“, „შიგნიდანვე გამომწვარო მარტოობის შხამით“), გვეჩვენება, რომ გიორგი ლეონიძეს ჰგავდეს „*ოლეში*“ დახატული მარტოსული და მიგვაჩნია, რომ საკითხი კვლავაც საჭიროებს კვლევას... პოეტისათვის ძალზე საყვარელ, თავისი ღვაწლით წმიდანობის საფეხურს მიახლოებულ, იდეისათვის თავშეწირულ ადამიანთა შორის არის სამიებელი ოლეს პროტოტიპი... ამჯერად აღარ გავაგრძელებთ მინიშნებებზე დაწერილი ლექსის ამ სტრიქონების შესახებ მსჯელობას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ხსენებულ და სხვა საკითხებზე ვრცლად ვსაუბრობთ *როსტომ ჩხეიძის მიერ პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილი კრებულის შესახებ დაწერილ ზემოხსენებულ წერილში* (კუჭუხიძე 2021: 95-102; კუჭუხიძე 2021ა: 154-155)...

„*რემინისცენციები*“ ამ სტროფებით სრულდება:

იმ ჩქროლვის, სიჩაუქის
 ნეტავი შემრჩა-ლა რა?
 დამიმოწმე სიჭაბუკვე,
 გამინათე, ჭადარავ!

თქვენ იცოდეთ, ჩემმა მზემ
რაგინდ დაისამხრეთოს,
ლექსთა ლაშქარს შევავსებ,
როგორც ბანაკს სამხედროს!..

აქ წარმოდგენილ პირველ სტროფში ისევ აკაკისებურ ინტონაციას უბრუნდება გიორგი ლეონიძე, – სიჭაბუკეში დაწერილ ლექსებს იხსენებს, – მათ, რომელნიც თვალნათლივ უდასტურებენ, სიყვარულის ცეცხლით რომ იყო პოეტი ერთ დროს დადავული და თავის „ჭადარას“, უკვე ხანში შემავალ, ცხოვრებაგამოცდილ საკუთარ თავს, სთხოვს, ნათლად დაანახოს, რა გადაურჩა იმ სიჭაბუკისდროინდელი „სიჩაუქიდან“ და ბოლოს, ლექსის დამასრულებელ სტროფში, პასუხს თავადვე გვიძხელს, – ოპტიმისტური განწყობით ამთავრებს ლექსს და ამბობს, რომ როგორც არ უნდა „გადაიხაროს მზე სამხრეთისკენ“, როგორც არ უნდა „დაუახლოვდეს დასავალს“, მაინც შერჩება პოეტური ენერგია და არ ჩაუკვდება ლექსის წერის ძალა, მაინც დაწერს და შეავსებს „ლექსთა ლაშქარს, როგორც ბანაკს სამხედროს!“.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ:

ჩვენი აზრით, აკაკი წერეთლის ლექსთან მიმსგავსებული ინტონაციებით დაიწყო „რემისცენციების“ წერა გიორგი ლეონიძემ; იმ ლექსზე გააკეთა ალუზია, რომელშიც თავის „ჭადარაზე“ წერდა აკაკი და რომელშიაც სიბერის გამო ჩიოდა, შემდეგ სიჭაბუკეში დაწერილ საკუთარ ლექსებს გადახედა, ხანდაზმულობას მიახლოებული ადამიანის მზერით შეავლო მათ თვალი, გაიხსენა ყმაწვილური გზნება, ისევ აკაკის სტილით იკითხა, თუ რა შერჩა იმ ძველი ახალგაზრდული ენერგიიდან და ბოლოს მაინც დაძლია მიძალეებული სევდა და მაინც ოპტიმისტურად დაასრულა ლექსი, – გვითხრა, რომ ისევ დაგვიწერდა, ისევ „შეავსებდა ლექსთა ლაშქარს“. მისი ბუნებისათვის უცხო იყო სევდა, სიცოცხლის ტრფიალი გახლდათ გიორგი ლეონიძე და სხვაგვარი დასასრული ვერც ექნებოდა ამ ლექსს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გოგლა ლეონიძის ცხოვრების უცნობი დეტალები (2012). ჟურნალისტ ნანა ფიცხელაურის ინტერვიუ გიორგი ქავთარაძესთან. გაზ. ყველა სი-ახლე. 01. 06. 2012. <https://www.ambebi.ge/article/54543-gogla-leonizis-cxovrebis-ucnobi-detalebi/>
- კუჭუხიძე, გ. (2021). ღმერთსშეწირულისადმი მიძღვნილი „კიდევ ერთი საღამო“, წიგნში: პოსტმოდერნისტული რომანი პავლე ინგოროყვაზე, ახალი ელვაზარი, რედ. როსტომ ჩხეიძე, თბილისი: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება. <https://www.academia.edu/49588382>
- კუჭუხიძე, გ. (2021ა). ღმერთსშეწირულისადმი მიძღვნილი „კიდევ ერთი საღამო“, ქუთაისი, ჟურნ. „განთიადი“, 7-8 (განმეორებითი პუბლიკაცია).
- ლეონიძე, გ. (2001). 102 რჩეული ლექსი, 11 სონეტი, ციკლიდან „ბელადი“: ქართლის ბაღი, დაბადება, ძეობა. ავტობიოგრაფია, მოგონებანი. წერილები გიორგი ლეონიძის შემოქმედებაზე. შემდგენელ-რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თამარ ბარბაქაძე; თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
- ქართული პოეზია (1984). ტომი XIV. ტომი შეადგინეს: გივი გეგეჭკორმა, ემზარ კვიციანიშვილმა, ტარიელ ჭანტურიამ. თბილისი: „ნაკადული“.

References:

- Gogla Leonidzis tskhovrebis utsnobi det'alebi (2012). Zhurnalist' Nana Pirtskhelauris int'erviu Giorgi Kavtaradzesran. gaz. "Q'vela Siakhle", 01.06. 2012 [Unknown details of the life of Giorgi Leonidze]. Newsp. Kvela Siakhle. 01.06.2012. <https://www.ambebi.ge/article/54543-gogla-leonizis-cxovrebis-ucnobi-detalebi/>
- Kartuli p'oezia (1984). T'omi XIV. T'omi sheadgines: Givi Gegech'k'orma, Emzar K'vitaishvilma, T'ariel Ch'anturiam. [Georgian Poetry. Volume XIV]. Tbilisi: Nakaduli Publishing.
- K'uchukhidze, G. (2021). Ghmertsshets'irulisadmi midzghvnili "k'idev erti saghamo", ts'ignshi: P'ostmodernist'uli romani P'avle Ingoroy'vaze, Akhali Eleazari. Red. Rostom Chkheidze. [One more memorial evening to the man who sacrificed his life to the God, In: A postmodernist novel about Pavle

Ingorokva, New Eleazar; edited by Rostom Chkheidze]. Tbilisi: Society of Alexander Orbeliani. <https://www.academia.edu/49588382>

K'uchukhidze, G. (2021 a). Ghmertsshets'irulisadmi midzghvnili "k'idev erti saghamo". Kutaisi, Journ. "Gantiadi", 7-8 (ganmeorebiti p'ublicatsia) [One more memorial evening to the man who sacrificed his life to the God; Magazine Gantiadi № 7-8 / the republication].

Leonidze, G. (2021). Rcheuli leksebi. 11 sonet'i, tsik'lidan "beladi": kartlis baghi, dabadeba, dzeoba. avt'obiografia, mogonebani. Ts'erilebi Giorgi Leonidzis shemokmedebaze. Shemngenel-redakt'ori filologii metsnierebata dokt'ori Tamar Barbaqadze. [Selected poems. Sonnets. Autobiography. Recollections. Articles about the poetry Giorgi Leonidze]. Tbilisi: Shota Rustaveli Institute of Georgian Literature Press.

თამარ გელიტაშვილი

Tamar Gelitashvili

საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული

უნივერსიტეტი

Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

„ლურჯა ცხენების“ კონცეპტი გალაკტიონის შემოქმედებაში

The Concept of „Blue Horses“ in Galaktioni’s Poetry

Along with the extreme expressiveness and artistic diversity of Galaktion Tabidze’s creative work, the surplus use of the syntactic entry – blue horses – is clearly visible, although the attention of most researchers of Georgian literature was directed only to the interpretation of the poem “Blue Horses”. This continues even today.

The abstract way of depicting and thinking is not unfamiliar for Galaktioni, as a symbolist poet. The author’s goal in this particular case is to shed light on the content of this abstraction, on the example of the artistic image – “Blue Horses” and of the poem under the same name.

The observant reader will easily notice that poet’s insatiable striving beyond microcosmic boundaries is often carried out by blue horses. It is this fact that makes the author think that in Galaktioni’s work, the artistic image – blue horses – for the poet is the poet’s own poetry blessed with divine talent, poetic inspiration, manifestation of poetic ascension.

Galaktioni’s poetry and inspiration are also hinted at by the blue horses in the poems: “**Consolation**”, in which the poet says: “*Let me enter the foreign lightness, /Let the dust of the blue horses follow me*”; in “**Who is this woman?**” – “*A blue horse was flying me off on the banks*”; in “**Marie Antoinette**” – “*The thoroughbred blue horse/Dangerous-fast is rushing/And in the blue-sand of the paths/It is taking the strong wind away!/ It is rushing with thrown-back plaits/Dovin-doven-dovli:/Snow, snowflake and April,/Pink snow*”; “*How*

the bells fought the bells” – “Death is coming... Hey, blue thoroughbred blue horse,/Let rush over the forest strongly, with shriek.../May your fate be wrong!/For you the harmless night, without dawn/ will turn into a paradise,/ It’s me, it’s me , it’s me the wind...”

Artistic image *blue horses* – characteristic of Galaktioni’s poetry full of occasionalisms and word-creation – is that syntactic pair that turned into a poetic licence and is distinguished by the colorfulness of speech, is specific not only for its capacious content, but also for its amazing musical sounding and rhythmical intonation.

One thing is clearly visible in Galaktioni’s work: as it was mentioned earlier, the creating process of a poem is a divine mystery for him, and this depends on the mood of the poet – the more the faith, the more the desire for the striving towards divine in order to form a perfect mystical ecstasy (“*the soul longs for a limit like limitless*”), but as soon as a crack appears in the poet’s faith, instead of exalted pathos, a skeptical worry settles in his soul. At this time, it is clearly seen hopelessness Galaktioni whose demonic impulses were hindered by religious skepticism, and the roadway of his mysterious path leading to the divine abode became curved, which hindered the dynamics of the poet’s thinking and depiction and slowed down the creative pulse.

Thus, the poetic image – blue horses – simultaneously denotes both Galaktioni’s poetry itself and the expression of inspiration, as the chaos of the poetic ascension is finally has the finished poem form.

საკვანძო სიტყვები: ლურჯა ცხენები, ტრანსცენდირება, ზემოთაგონება, ექსპრესია, ქაოსი.

Key words: blue horses, transcendentalize, inspiration, expression, chaos.

„მე არაერთხელ მქონია ფრთები
თავბრუდამხვევი სიმღერით მქროლი“.
(გ. ტაბიძე)

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების უკიდურესი ექსპრესიულობისა და მხატვრული მრავალფეროვნების კვალდაკვალ მკაფიოდ საცნაურდება სინტაქსური ერთეულის – ლურჯა ცხენების – ჭარბი გამოყენება, თუმცა ქართული ლიტერატურის მკვლევართა უმეტესობის ყურადღება მხოლოდ ლექს „ლურჯა ცხენების“ ინტერპრეტაციისკენ იყო მიმართული. ასე გრძელდება დღესაც.

ლექსში „ლურჯა ცხენები“ ზოგი ლიტერატურათმცოდნე „ბედისწერით დადგენილი საზღვრების გარღვევასა“ და „ადამიანური შეზღუდულობის დაძლევის პათოსს“ ხედავდა, (კვესელავა, 1977, გვ.77); ზოგი – „სულის უკვდავებას, სულის მარადიულ ქროლვას“ (კენჭოშვილი, 1999, გვ.205); ზოგი – რუსი მხატვრის, ვასილი კანდინსკის ნახატის, „ლურჯი მხედრების“ გავლენას (სირაძე, 2008, გვ. 98), ზოგი კი – „მისტიკურ ქარიშხალს“ (სიგუა, 2014, გვ. 309).

გალაკტიონისთვის, როგორც სიმბოლისტი პოეტისთვის, უცხო არ არის გამოსახვისა და აზროვნების აბსტრაქტული მანერა. ჩემს მიზანს ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ამ აბსტრაქციის შინაარსის ამოხსნა წარმოადგენს მხატვრული სახის, „ლურჯა ცხენებისა“ და ამავე სახელწოდების ლექსის მაგალითზე.

სინტაგმა – ლურჯა ცხენები – გალაკტიონმა პირველად ზემოთ დასახელებულ ლექსში გამოიყენა, 1915 წელს (ლექსი ამ წლით თარიღდება, პირველი პუბლიკაცია კი – 1916 წლით. [ქურნალი „ცისფერი ყანწები“, №1]) და მას შემდეგ აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს არცთუ იშვიათად მიმართავს მგოსანი, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ეს მისი პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული პოეტური სახეა, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ მისი სახისმეტყველებითი შინაარსი მხოლოდ ერთი ლექსის განხილვა-გაანალიზებასა და კონცეფციურ მსჯელობაზე არ დავიყვანოთ.

გალაკტიონი რომ არ იყო შექმნილი მიწიერი, რაციონალური ყოფისთვის („ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა“ – „ეფემერა“), ის ფაქტი, რომ ემპირიული სამყარო მისთვის ხშირად უდაბნოს (სიცარიელეს), ქაოსს, ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა, „ღრიანცელს“

(„ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელადმართული“ – „ეფემერა“) წარმოადგენდა, ეს არც უცხოა ვინმესთვის და არც ახალია. ამიტომაც ამ საკითხზე აღარ შევჩერდები. მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს შევახსენებ მკითხველს მისი შემოქმედებიდან:

სიყმაწვილეში მე ვჭკნებოდი, როგორც ფოთოლი,
ობოლი ვიყავ მე მაშინაც სულით ობოლი.

დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა.
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა.

ო, სად ხარ, სადა უჩვეულო რაიმე ძალო,
სიცარიელის შავი ნისლი რომ გამაცალო.
(„უდაბნო“)

ან: საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?
(„სად?“)

პოეტური ჰანგებით „დასნებოვნებული“ მგოსნის ეგზისტენცი-ალური სულისკვეთებისთვის ხშირად მეტად უინტერესო, უშინა-არსო იყო მიწიერი ყოფის კონცეფციური არსი (ამაზე მეტყველებს სიყმაწვილიდანვე მისი სუიციდისკენ მიდრეკილება) და ისიც შთა-გონებით, ილუზიური წარმოსახვით ქმნიდა მხოლოდ მისეულ, მის-თვის სასურველ იდეალურ სამყაროს: „ერთი შეხედვითაც შეატყობ-დით სხვა კაცი იყო. როდესაც გესაუბრებოდათ, თითქოს სხვაგან იმყოფებოდა და ეს „სხვაგან“ იყო მისი სავანე“ (ჯავახაძე, 1991, გვ. 283). ამიტომაც ხშირად ეფემერული, ამავედროულად, ვიზიონერული ხედვით იყო გამსჭვალული მთელი მისი შინაგანი მსოფლგანცდის არეალი. ამბობდა კიდევ:

მოხდება ხოლმე, ცა მიზიდავს
განუსაზღვრელი,
ვარსკვლავთა შორის, სხივთა ტბაში
არა მყავს ტოლი.

ვბრძანებ: ტყის შქერში გაჩუმდება
ნიავი ნელი.
ვიტყვი და თრთოლვად გადიქცევა
ვერხვის ფოთოლი.
(„შემოქმედება“)

მიღმიურისკენ, ტრანსცენდენტურისკენ ლტოლვა წარმართავდა გალაკტიონის გრძნობათა ბუნების ჰარმონიულობას („ვიყო ამ დრინცელში მარად ხელადმართული, / ლანდი არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა“ – „ეფემერა“).

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ მგოსნის დაუოკებელი სწრაფვა მიკროკოსმიურ საზღვრებს მიღმა ხშირად ლურჯა ცხენებით ხორციელდება. სწორედ ეს ფაქტი მაფიქრებინებს, რომ გალაკტიონის შემოქმედებაში, მხატვრული სახე – ლურჯა ცხენები – პოეტისათვის ღვთაებრივი ნიჭით მადლფენილ საკუთარ პოეზიას, პოეტურ ზეშთაგონებას, პოეტური აღმაფრენის გამოვლინებას აღნიშნავს. ლექსი შთაგონების, „ქროლვის“ გარეშე ვერ შეიქმნება, ამიტომაც გალაკტიონთან, ყველაგან, სადაც კი ნახსენებია ლურჯა ცხენები, იქვეა „ქროლვაც“. ამგვარი მოსაზრების მართებულობაში ყველა იმ ლექსის მოხმობა და მათი აზრობრივი შინაარსის განხილვა-გაანალიზება დაგვეხმარება.

ლექსში „ეფემერა“ შთაგონებამოგვრილი მგოსნის პათოსი პოეტური დიდებისა და გამარჯვების ემოციური მუხტით არის აღბეჭდილი:

ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები
ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით...

ვფიქრობ, მოცემულ სტრიქონებში „ცხენთა შეჯიბრება“ პოეტური შედევრის შექმნის ალტკინებულ პროცესსა და მხატვრულ პაექრობაში ჩაბმას გულისხმობს, რომელშიც საკუთარი პოეზიის, ანუ ლურჯა ცხენების წყალობით, მისი პოეზიისთვის დამახასიათებელი ზეშთაგონების რიტმულობით, ტემპერამენტით, გრძნობათა დინამიკურობით, სტილური ორიგინალობითა თუ ემოციური მუხტის ჰარმონიულობით მხოლოდ ის ხდება გამარჯვებული:

იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები
ვწუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები.

ლექსთა შეჯიბრებაზე – მხოლოდ ინტეგრალები,
ცხენტა შეჯიბრებაზე – ისევ ლურჯა ცხენები.

პოეტის ეგზალტაცია აშკარაა. ის უზომოდ კმაყოფილია და, ამავდროულად, „ძლიერ წუხს“ („ვწუხვარ: ერთადერთი ვარ...“), რომ საუკუნეების განმავლობაში მისი მსგავსი პოეტური დიდების მწვერვალი ჯერ არც ერთ მგოსანს არ დაუპყრია, რომ მისი შესაძლებლობა უსასრულოა და განუსაზღვრელი („ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალები“), მხოლოდ ისაა ერთადერთი. ამგვარი პათეტიკური, გნებავთ, ამბიციური ტონი გალაკტიონის მხრიდან უცხო არ არის. ასეთი პიროვნული პათოსითაა გამსჭვალული მთელი მისი შემოქმედება. ეს არცაა გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რომ საკუთარ თავს პოეტების (პოეზიის) მეფეს ჯერ კიდევ მანამდე უწოდებდა, ვიდრე რეალურად შეამკობდნენ ამ რეგალიით. გავიხსენოთ „მთაწმინდის მთვარე“, რომელშიც საკმაოდ ხმამაღალ განაცხადს აკეთებს: „მე მეფე ვარ, და მგოსანი...“ მეტიც, შთაგონების სანეტარო ბურუსში გახვეული, მიწიერ ღმერთადაც კი მიიჩნევს თავს:

მზე ჩემთვის ბრწყინავს და მეფე ვარ
ყოვლისმომქმედი...
ჩემს ხელში არის მაშინ ჩემი
მძვინვარე ბედი,
ქვეყნად ყოველი არსის სული
მემორჩილება...
ო, უძლეველო დიდო წამო
შემოქმედების,
ახლა ყველაფერს... ყველაფერს ვქმნი
ახალი ღმერთი! („შემოქმედება“)

ლექსში „ეფემერა“ ვკითხულობთ:

ბედი – ქროლვის გარეშე – ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.
ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება

მახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება.
სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას...
წინ! იმ უსაზღვროებაში მწუხარებას აიტან
ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები.

მოცემული ფრაგმენტის უტრირებას თუ შევეცდებით, ცხადი და ნათელი გახდება, რომ საუბარი მუზის წვევას, შთაგონებით აღმაფრენას, ლექსის შექმნის პროცესს ეხება.

„ბედი – ქოლვის გარეშე – ჩემთვის არაფერია“, – მიგვანიშნებს, რომ ცხოვრება გალაკტიონისთვის აზრსმოკლებულია ქოლვის, ე.ი. შთაგონების გარეშე, რა დროსაც ხორცს ისხამს მისი პოეტური შედეგები, ანუ ლურჯა ცხენები („ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები“). რაც შეეხება „ქაოსში დაკარგული“ მგოსნის ვერმიგნებას, აქაც მკაფიოდ საცნაურდება ქაოსურად მოვარდნილი პოეტური აღმაფრენის, შთაგონების ნისლით შებურვილი მიწიერი შემოქმედის წვა, ის ენერგეტიკული იმპულსი, რითაც აბსურდულ ქაოსს (ლექსის შექმნის პროცესს ვგულისხმობ) წესრიგის, მხატვრული ქმნილების ფორმა და სახე ეძლევა, რითაც მუზის დამორჩილება ხდება. ამიტომაც მოუწოდებს იგი საკუთარ პოეტურ ხმას, ანუ „ლურჯა ცხენებს“ ცხენთა შეჯიბრებისკენ – პირველობა-გამარჯვებისაკენ.

ცხენთა შეჯიბრებაზე! ცხენთა შეჯიბრებაზე!
ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო!

პოეტის აპოთეოზი ამ სტრიქონებში უმაღლეს მწვერვალს აღწევს, რადგანაც ის ზეშთაგონების კოსმიურ, ენერგეტიკულ ძალას ფლობს და ყველაფერზე მაღლდება.

ანალოგიური დატვირთვა აქვს ლურჯა ცხენებს ლექსში „დრო“, რომელშიც ლირიკული გმირის მიერ პოეტური პარნასის დაპყრობა მხოლოდ შთაგონებას ემყარება:

მსუბუქი ტალღები და ლურჯა ცხენები!
შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის,
როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები.

როგორც ვხედავთ, ერთადერთი ფაქტორი განსაზღვრავს გალაკტიონის დიდებასა და უკვდავებას – ლექსი, რომელიც, ცხადია, შთა-

გონების გარეშე ვერ შეიქმნება. ამიტომაც ლურჯა ცხენების – შინაარსი გალაკტიონის შემოქმედებაში მის ლექსებსა და შთაგონების ექსპრესიას აღნიშნავს, პოეტური აღმაფრენის სტიქიურ ქაოსს, ისეთსავე მგრგვინავსა და წყვილად მქროლავს, როგორც ველური, გაუხედნავი და დაუმორჩილებელი ურა ულაყებია.

გალაკტიონის პოეზიაზე, შთაგონებაზე მიგვანიშნებს აგრეთვე ლურჯა ცხენები ლექსებში: „**ნუგეში**“, რომელშიც მგოსანი ამბობს: „შევიდე უცხო სიმსუბუქეში, / გამომყვეს ლურჯა ცხენების მტვერი“; „მიმაფრენდა ნაპირებზე ლურჯა ცხენი“ („**ვინ არის ეს ქალი?**“); „ლურჯა რაში/მიქრის საშიშ-ჩქარი/და ბილიკთა ლურჯ-ქვიშაში/მიაქვს მძაფრი ქარი!/მიქრის დაღალ-გადაყრილი/დოვინ-დოვენ-დოვლი:/თოვ-ლი, ფიფქი და აპრილი,/ვარდისფერი თოვლი“ („**მარიამ ანტუ-ანეტა**“); „მოდის სიკვდილი... ჰე, ლურჯა რაშო,/მედგრად, კივილით მოედე ტყეებს.../უსწორო იყოს შენი ავდარი!/შენთვის სამოთხედ გადაიშლება/ღამე უვნებო და ურიჟრაჟო,/ეს მე ვარ, მე ვარ, ეს მე ვარ ქარი...“ („**როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები**“).

თუ ლურჯა ცხენების სახისმეტყველებას ერთდროულად მივყავართ გალაკტიონის პოეზიასა და პოეტურ აღმაფრენასთან, მაშინ ლოგიკურია ცხენების ფერიც – ლურჯი. განმარტებით ლექსიკონებში ლურჯა არის ისეთი ცხენი, რომელსაც ლურჯი ფერი გადაჰკრავს. ვინაიდან ზეშთაგონება ყოველთვის ღვთაებრივ ძალასთან წილნაყარობა და რომანტიკულობის უსამანო გამოვლინებაა, ამიტომაც ასოცირდება იგი ლურჯ ფერთან, რამეთუ ლურჯი, ლაჟვარდი, ცისფერი – პირველქმნილი, სამყაროს პირველსაწყისის ფერებია. ამიტომაც არის ისინი გაბატონებული პოეზიაში, განსაკუთრებით კი რომანტიკოსებსა და სიმბოლისტებთან (მაგ. ნოვალისის „ცისფერი ყვავილი“, ბარათაშვილის „ცისა ფერს“ და „ცისფერყანწელები“).

მკვლევარ კონსტანტინე ბრეგამის აზრით: „გალაკტიონისა და ნოვალისის პოეტურ ტექსტებში მნიშვნელოვანია ლურჯი ფერის სიმბოლიკის ტიპოლოგია, სადაც ლურჯი ფერის პოეტურ-სახისმეტყველებით რეცეფციაში, კვლავ ვლინდება გალაკტიონისა და ნოვალისის, შესაბამისად, ქართული სიმბოლიზმისა და გერმანული რომანტიზმის ესთეტიკურ-კონცეპტუალური თანამოაზრობა“ (2009, <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/4/38>).

ნოვალისის შემდეგ გალაკტიონის შემოქმედების ცენტრალური სიმბოლო – ცისფერი ყვავილი (ლურჯი ყვავილი) იქცა რომანტიკოსთა ერთ-ერთ უმთავრეს პოეტურ ხატად, სიმბოლიზმმა კი სწორედ რომანტიზმისგან იმემკვიდრა თავისი უმთავრესი კონცეფცია – სამყაროს ტრანსცენდირება, ზეგრძნობადი სინამდვილის შემეცნება, საკუთარ „მე“-სგან გამოყოფა, თავისი თავის გარეთ გასვლა. რომანტიზმისა და სიმბოლიზმის დემურგიული ხასიათიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ საღმრთო ფერი, ტრანსცენდენტური სივრცის სიმბოლო – ლურჯი/ცისფერი – ქცეულიყო როგორც, ზოგადად, რომანტიკოსთა, ისე ცისფერყანწელთა თუ გალაკტიონის პოეტური მეტყველების ერთ-ერთ უმთავრეს ქვაკუთხედად და ინსპირაციის წყაროდ. გალაკტიონთან ლურჯა ცხენებით „გასეირნებაში“, ლურჯი ფერი საღმრთო, ტრანსცენდენტურ ძალას განსახიერებს, რადგან ლექსის შექმნის პროცესი სხვა არაფერია, თუ არა ღვთაებრივ არსთან ზიარება.

გალაკტიონი ამ მისთვის სათაყვანო ფერებს (ლურჯი, ცისფერი) იდეალური სამყაროს სიმბოლოდ სახავდა. მისი შემოქმედების მრავალფეროვან თემატიკაში, რომელიც აღსავსეა განუმეორებელი პოეტური ინტონაციებით, რიტმის უმახვილესი გრძნობით, მუსიკალური ფერადოვნებითა და ორიგინალური ფერთამეტყველებით, განსაკუთრებულად არის აქცენტირებული ლურჯი ფერი. წინამდებარე სტატია ვერ დაიტევდა ყველა იმ ლექსის დასახელებას, რომელთა მხატვრულ გამომსახველობაშიც სტიქიურადაა შეჭრილი ლურჯი და ცისფერი. მხოლოდ რამდენიმე ნიმუშის მოხმობით შემოვიფარგლები და აქვე ვიტყვი, რომ, თუ ნოვალისთან ცისფერი ფერი ერთმნიშვნელოვანია და მხოლოდ ტრანსცენდენტურ ძალას განსახიერებს, გალაკტიონთან ის სხვადასხვა ნიშნითა და ასპექტითაც გვხვდება:

„ცა ლურჯი, ასე უსაზღვროდ ლურჯი...
(„ციხის ნანგრევებთან“)

„ლურჯ ზღაპარივით ხავსი ფარავს დაწეწილ წისქვილს...“
(„ძველი წისქვილი“)

„იქ ლურჯ კუნძულებს დაენახვება
ხან სიზმარივით, ხან ნაფოტივით...“ .
(„ძველი მოტივით“)

„ველად ყრია ლურჯი კომში
და ცისფერი ატამი...“ .
(„ომნიბუსით“)

„ტბას დაეცა ლურჯი ნისლი, მსუბუქი და გამჭვირვალე...“ .
(„განთიადზე“)

„განთიადს სძინავს ლურჯ სარეცელზე...“ .
(„ახალ ცისკართან“)

„ლურჯ მთების ზოლი ლურჯ ცის სივრცეში
შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლავნება,
ლურჯ ოკეანის ლურჯი ტალღები
ლურჯ ტყიან ნაპირს აქცევს, აკვდება...“
(„გემზე“)

ასევე მრავლად არის გამოყენებული ხატოვანი გამოთქმები: „ლურჯი იორი“; „ლურჯი ბურუსი“; „ლურჯი ნიავეარი“; „ლურჯი იალქნები“; „ლურჯი ანგელოზები“; „ლურჯი დღე“ და ა. შ. უამრავი ასეთი მხატვრული სახის დასახელება შეიძლება. გალაკტიონს – სიტყვათქმნადობის ნამდვილ ჯადოქარს – ეს არ გაუჭირდებოდა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, გალაკტიონის შემოქმედების რომანტიკულ მგრძნობელობას ხშირად ლურჯი ფონი განსაზღვრავს.

როგორც ითქვა, გალაკტიონის ეგზისტენციალური მსოფლგანცდა, მთელი მისი პიროვნული თუ პოეტური „მე“ სხვა, მხოლოდ მისეული სამყაროს გამუდმებული ძიებით იყო აღბეჭდილი. რეალისტური ყოფის ამაოების ნისლს იგი ლურჯად შეფერილი ირაციონალური მიღმიურობისაკენ სწრაფვით ფანტავდა. მის შემოქმედებაში ხშირია ასეთი მისტიკური გარდასახვები. აქვე უნდა შევნიშნო, რომ გალაკტიონის პოეზიისათვის დამახასიათებელი არაა გრძნობათა ერთფეროვნება. თუ ზემოთ მოხმობილ ლექსებში აშკარაა პოეტის

მგზნებარე, ოპტიმისტური პათოსი და კონკრეტული მიზნისკენ სწრაფვაც შეინიშნება, იმ მხატვრულ ნიმუშებში, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა, სკეპსისა და იმედგაცრუებას ამოიკითხავს მკითხველი. გრძნობათა ასეთი გაორება მუდმივად შეინიშნება გალაკტიონის შემოქმედებაში. ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი, რადგანაც, ზოგადად, ლექსი პოეტის განწყობას, მის კონკრეტულ სიტუაციურ განცდას ამჟღავნებს. მგოსნის გრძნობისა და განცდის იმპულსურობა, საკუთარ ვნებათა ტყვეობაში მოქცეული აზროვნების საზრისი ვერ იქნება ერთგვაროვანი და საგანგებოდ დამუშავებულ, რაფინირებულ ჩარჩოებში ვერ მოთავსდება.

ლექსში „მგლოვიარე სერაფიმები“ ნაჩვენებია სულთა სამყოფლიდან „მიწაზე დაბრუნებული“ ლირიკული გმირის განცდები. ის ამქვეყნიურ, ემპირიულ ყოფას „სამშობლოს“ უწოდებს:

ერთხელ ზმანებით მე ამოველ ბნელ სამარიდან.
მე მოვდიოდი სამშობლოსკენ გზებით ირიბით,
ჰაერში კვნესდა დაწყვეტილი წვიმის სიმები
და სასაფლავს ძეგლებიდან მწუხარე რიგით
მე მომყვებოდნენ და სტიროდნენ სერაფიმები.

ტრაგიკული სიმძაფრით ასახული სკეპსისი და ნიჰილიზმი აშკარაა. პოეტმა ვერც მიღმიურ და ვერც მატერიალურ სამყაროში ვერ ჰპოვა სულის სიმშვიდე. ამის მიზეზად, ვფიქრობ, ის სულიერი კრიზისი იქცა, ღვთაებრივ წიაღთან დაშორებამ რომ გამოიწვია, თუმც მგოსანი აქვე შენიშნავს, რომ მისთვის ამქვეყნიური ყოფის ერთადერთ სიამეს, სიცოცხლის ერთადერთ საზრისს მხოლოდ შემოქმედებითი პროცესი, შთაგონებით მოგვრილი ეგზალტაცია წარმოადგენს. ისევე, როგორც სხვა პოეტურ ნიმუშებში, ვფიქრობ, „მგლოვიარე სერაფიმებშიც“ ლურჯა ცხენები ერთნაირად გულისხმობს გალაკტიონის ლექსებსაც და შთაგონებასაც:

ყოველი წვეთი სავსე იყო უმძაფრეს შხამით;
ლურჯა ცხენებით თუ გაფრენდა გრძნობათ სინაზე.
იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით
და უაილდის ყვავილივით დაეცი გზაზე.

გალაკტიონის ოკაზიონალიზმებითა და სიტყვათქმნადობით სავსე პოეზიისათვის დამახასიათებელი მხატვრული სახე – ლურჯა ცხენები – პოეტურ ლიცენციად ქცეული, მეტყველების ფერადოვნებით გამორჩეული ეს სინტაქსური წყვილი ნიშანდობლივია არა მარტო თავისი ტევადი შინაარსით, არამედ გასაოცარი მუსიკალური ჟღერადობითა და რიტმული ინტონაციით.

ერთი რამ აშკარად შეინიშნება გალაკტიონის შემოქმედებაში: როგორც უკვე აღვნიშნე, მისთვის ლექსის შექმნის პროცესი საღმრთო მისტერიაა, ეს კი ერთმნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პოეტის განწყობილებაზე – რაც მეტია რწმენა, მით მეტია სწრაფვა ღვთაებრივისაკენ, რათა შედგეს სრულყოფილი მისტიკური ექსტაზი („სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროება“), მაგრამ როგორც კი პოეტის რწმენას ბზარი უჩნდება, მის სამშვინველში, ეგზალტირებული პათოსის ნაცვლად, სკეპტიკური ურვა სახლდება. ამ დროს აშკარად ვხედავთ უნუგეშო ყოფაში ჩავარდნილ გალაკტიონს, რომლის დემონური იმპულსებიც რელიგიურმა სკეპტიციზმმა შეაფერხა, საღვთო სამყოფლისკენ მიმსწრაფავი მისი იდუმალი გზის სავალი ნაწილი კი გამრუდდა, რამაც პოეტის აზროვნებისა და გამოსახვის დინამიკა შეაფერხა და შემოქმედებითი პულსი შეანელა. სწორედ ამის მაგალითია ლექსი „დილიჟანსი“, რომელშიც ბნელი ღამე, ჩემი აზრით, სწორედ უღმერთობით გამოწვეულ სულიერ კრიზისთან ასოცირდება:

წინეთ მივქროდი ლურჯა ცხენებით,
ვარ დილიჟანსის ამჟამად მგზავრი,
ველარ შევძახებ ცხენებს: „წინ გასწით!“
მეეტლეს ვეტყვი: „წყნარად იარე“.

მივაპობ ტალღას, ო, დილიჟანსო,
გარეშემო კი ღამეა ბნელი,
ჩემო მეეტლევ, ნუ გეჩქარება,
შენ კარგად იცი, არვინ მოგველის.

„დილიჟანსი“ 1948 წლით თარიღდება. ამ დროს პოეტი უკვე 56 წლის წლის არის. ასაკმა, ბუნებრივია, მკვეთრად დაამუხრუჭა მისი შემოქმედებითი მუხტი. ამ ლექსში სავსებით გამქრალა გალაკტიონის

ჭაბუკური აღტკინებაცა და სხვა მგოსნებთან შეპაექრების („ვწუხვარ, ერთადერთი ვარ...“) განუზომელი პათოსიც. მეტიც, აქ სამყაროს ტრანსცენდენტურ მოდელს ბზარი გასჩენია და ძალაგამოცლილი და უილაჯო შემოქმედის ზეგრძნობადი განცდა სინანულს ჩაუნაცვლებია („წინეთ მივქროდი ლურჯა ცხენებით, ვარ დილიჯანსის ამჟამად მგზავრი“). ამასთან, გასათვალისწინებელია ეპოქის კონიუნქტურაც. „დილიჯანსი“ იმ ლექსთა ციკლს მიეკუთვნება, რომელშიც რწმენა-შერყეული გალაკტიონის პესიმიზმია ნაჩვენები, სადაც გამქრალია სადმართო მისტერიის მისეული იდუმალთმეტყველება. ამიტომაც ჯდება არა სწრაფად მქროლავ ცხენზე /ცხენებზე/, არამედ დილიჯანსში, რომელიც ნელა, დუნედ მოძრაობს და მირახრახებს.

საღვთო ყოფიერების დაკარგვით გამოწვეული დაეჭვება და პესიმიზმია აგრეთვე გადმოცემული გალაკტიონის სიმბოლისტურ ლექსში – „ლურჯა ცხენები“, რომელზე მსჯელობითაც დავიწყე წინამდებარე ნარკვევი და რომელშიც პოეტი დეტალურად აღწერს იმ სულისშემძვრელ მელანქოლიურ განწყობას, რომელიც მან „სამუდამო მხარეში“, ანუ საიქიოში წარმოსახვითი მოგზაურობის ჟამს განიცადა. ლექსი მთლიანად ეფემერული ხასიათისაა და მასში გალაკტიონის ვიზიონერული ხედვის, პოეტური წარმოსახვის შთაბეჭდილებები აირეკლება.

„ლურჯა ცხენების“ პირველ ორ სტრიქონში თითქოს გამჟღავნებულია გალაკტიონის წარმოდგენა თუ ლტოლვა „სამუდამო მხარის“ იდუმალებით მოცული მშვენიერებისაკენ: „როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი, / ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!“, თუმცა მომდევნო ტაეპებში მთლიანად ქარწყლდება ეს მცდარი წარმოდგენა და პოეტური რეპორტაჟი ჯოჯოხეთის საშინელებათა ლაბირინთებიდან ხორციელდება:

შეშლილი სახეების ჩონჩიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!

ვერავინ განუგემებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!

მიუხედავად იმისა, რომ ლირიკულმა გმირმა სამოთხის ჩამავალი მზით ნაფერი სილამაზე იხილა („ელვარება ნაპირი“), რწმენის კრიზისით გამოწვეული სკეპსისი და ნიჰილიზმი აშკარა და თვალნათელია – სულთა საუფლოში, „სამუდამო მხარეში“ მან ვერ იხილა ის დაპირებული, ენით აღუწერელი ნეტარება („არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი“), რაც სასუფეველში მოხვედრის შემდეგ ელოდა. ამქვეყნიური ამოებით მოგვრილ კაემანს ვერც სულთა სამყოფელში გაიქარვებს პოეტი, ვერც იქ ჰპოვებს სულის სიმშვიდეს, ვინაიდან იქაც ისეთივე ცივი და მიუსაფარი მდუმარება დახვდა გამეფებული, ისეთივე სევდა-კაემანი და უსასოება, როგორსაც რეალურ, ემპირიულ სამყაროში ყოფნისას განიცდის:

სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალეზში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც გულს უხარია.

საიქიო ყოფის ამგვარი აღქმა, ერთი შეხედვით, მოულოდნელია სასულიერო სემინარიაგამოვლილი, ქრისტოლოგიაში განსწავლული პოეტისათვის, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად გასათვლისწინებელია: გალაკტიონი იმ ეპოქის შვილია, როცა საზოგადოება ერთი დილემის – ღმერთის არსებობა-არარსებობის წინაშე აღმოჩნდა. ამიტომაც გალაკტიონის სიმბოლისტურ პოეზიასთან მკვეთრდ არის შენივთებული ნიცმესეული დებულება: „ღმერთი მოკვდა!“ „ლურჯა ცხენებიც“ ამ ყაიდის ლექსთა ციკლს მიეკუთვნება. ლექსის კონცეფციური შინაარსი თუ არქიტექტონიკა რწმენის კრიზისით არის გამსჭვალული. სასოწარკვეთილი პოეტი ორივე განზომილებაში ეძიებს ღმერთს – არაქვეყნიურ, უცხო, შორეულ ლანდს (როგორც თვითონ უწოდებს ლექსში „ლანდი არაქვეყნიური“). ასევე რწმენის კრიზისით მოგვრილი ყოვლისმომცველი ნიჰილიზმი და დაექვება ათქმევინებს გალაკტიონს 1922 წელს დაწერილ ლექსში „სამშობლო შავი ლიუციფერის“ – „არასდროს ჩვენთან აქ არ ყოფილა ნაზარეველი“. ამიტომაც არის „ლურჯა ცხენებში“ მის მიერ აღქმული საიქიო ასე მკვეთრად გამოხატული მწუხარე პოეტური მგრძნობელობით, თუმც, როგორც უკვე ითქვა, ღვთაებრივ ჭეშმარიტებაში დაექვება გალაკტიონთან მუდმივი არ არის, ამგვარ სკეპსისს მის შემოქმედე-

ბაში ხშირად ენაცვლება რწმენისა და სასოების პათოსი. მაგალითად, იმავე „ლურჯა ცხენებში“ ერთადერთი იმედი, რომელსაც კი „შემლო-ლი სახეების ჩონჩხიანი ტყეებითა“ და უსულდგმულო დღეებით სავსე მწუხარე „სამუდამო მხარეში“ განიცდის პოეტი, ღმერთის ძიება, ღვთაებრივი ნათლის მოლოდინია („მხოლოდ შუქთა კამარა ვერა-ფერმა დაფარა“).

აღნიშნული საკითხის შესახებ ამირან გომართელი ასეთ მო-საზრებას გამოთქვამს: „ლურჯა ცხენები“ პოლემიკაა „მერანის“ ავ-ტორთან. მაგრამ არც გალაკტიონის სკეპსისია მყარი და მუდმივი. იგი ჟამიდან ჟამზე იტყვის: „თუ გინდა ჯვარს ეცვი, საშველი არ არის, არ არის, არ არის!“ (ამ დროს მისი განცდა უფრო ტრაგიკულია, ვი-ნემ ბარათაშვილისა), მაგრამ დროდადრო ღვთაებრივი სამყაროს არ-სებობის რწმენაც კიაფობს მასში“ (2005, გვ.19).

„ლურჯა ცხენებში“ არის ასეთი ფრაზა: „მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!“, რაც უმაღლეს ბადებს კითხვას: რას უნდა ნიშ-ნავდეს ეს მშრალი რიცხვები? ლოგიკურად, ადამიანისგან სიკვდი-ლის შემდეგ ერთადერთი რამ რჩება – საფლავის ქვაზე მიწერილი მცირე ინფორმაცია – დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ გალაკტიონი სწორედ ამ მშრალი, არცთუ ისე ბევრისმთქმელი ციფრების შესახებ საუბრობს.

როგორც ვხედავთ, გალაკტიონისთვის არც მეორე, მიღმიური, „სამუდამო მხარე“ თუ სამყოფელი აღმოჩნდა მიმზიდველი. მისთვის მიწიერი ყოფაცა და ვიზიონერული წარმოსახვაც, ქვესკნელიცა და ზესკნელიც ერთნაირად წარმოადგენს ფატალურ, ბედისწერით შე-მოსაზღვრულ არეალს. ორივე ერთნაირად დაგმობილი, შენაჩვენები და მიუღებელია („ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები“).

ამდენად, როგორც ზემოთ მოხმობილი პოეტური ნიმუშების ანალიზმა ცხადყო, პოეტური ხატი – ლურჯა ცხენები – ერთდროუ-ლად აღნიშნავს, როგორც საკუთრივ გალაკტიონის პოეზიას, ისე შთა-გონების ექსპრესიას, რამეთუ პოეტური აღმაფრენის სტიქიურ ქაოსს საბოლოოდ ლექსის დასრულებული სახე ეძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გომართელი, ა. (2005). ლიტერატურული წერილები და ესეები, თბილისი: „უნივერსალი“.
- ბრეგაძე, კ. (2009). გალაკტიონის სიმბოლისტური და ნოვალისის რომანტიკული პოეზიის ტიპოლოგიისთვის. „სპეკალი“, N4. [Towards the typology of Galaktion's symbolist and Novalis' romantic poetry; "Spekal", 4]. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/4/38>.
- კენჭოშვილი, ი. (1999). გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი: „მეცნიერება“.
- კვესელავა, მ. (1977). პოეტური ინტეგრატები. გალაკტიონ ტაბიძე და თანამედროვე პოეზია, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- სიგუა, ს. (2014). მოდერნიზმი, თბილისი: „მწერლის გაზეთი“.
- სირაძე, რ. (2008). გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ და ვ. კანდინსკის „ლურჯი მხედარი“, გალაკტიონილოგია IV, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ჯავახაძე, ვ. (1991). „უცნობი“, თბილისი: „ნაკადული“.

References:

- Bregadze, K'. (2009). Galak't'ionis simbolist'uri da novalisis romant'ik'uli p'oeziis t'ip'ologiiistvis; „Spekali“, 4. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/4/38>).
- Gomarteli A. (2005). Lit'erat'uruli ts'erilebi da eseebi. [Literary letters and essays]. Tbilisi: „Universal“.
- Javakhadze, V. (1991) „Utsnobi“. [“Unknown”]. Tbilisi: „Nakaduli“.
- K'ench'oshvili, I. (1999). Galak't'ion T'abizis p'oetika]. [Galaktion Tabidze's poetics]. Tbilisi: „Metsniereba“.
- K'veselava, M. (1977). P'oet'uri int'egralebi. Galak't'ion T'abidze da tanamedrove p'oezia. [Poetic integrals. Galaktion Tabidze and modern poetry]. Tbilisi, “Sabchota Sakartvelo”.
- Sigua, S. (2014). Modernizmi. [Modernism]. Tbilisi: „Mts'erlis gazeti“.
- Siradze, R. (2008). Galak't'ionis „lurja tskhenebi“ da v. k'andinsk'is „lurji mkhedari“, galaktionologia, IV. [Galaktion's “The Blue Horses” and V. Kandinsky's “The Blue Horseman”, Galactionology IV]. Tbilisi.

თამარ ბარბაკაძე

Tamar Barbakadze

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ქართული ვერლიბრის სათავეებთან

(შარლ ვილდრაკისა და ჟორჟ დიუამელის ნაშრომის:

„თავისუფალი ლექსის თეორია. შენიშვნები პოეტური ტექნიკის შესახებ“ მალხაზ ივანიძის (ივანე ამირხანაშვილის) მიერ ქართულად თარგმნის გამო)

To the Origins of Georgian Vers Libre

This paper considers one important issue of the history and theory of Georgian verse: the genesis of vers libre in national poetry and the history of its study.

On the path of reformation of our national verse of particular importance was a positive impact of symbolism in general and of French symbolists in particular. Georgian conventional verse that was enriched with new metres, fixed verse forms (sonnet, triolet, villanelle, rondel, etc.), also legalized verse libre and thus, the history of Georgian free verse began. Paolo Iashvili's "To Europe" written in 1915 is considered to be the first example of Georgian vers libre by literary critics of that time (S. Tsirekidze) and contemporary ones (G. Merkviladze, L. Avaliani, L. Bregadze, etc.). Galaktion also introduced free verse in his collection "Artistic Flowers".

The emergence of the first Georgian specimens of free verse necessitated the creation of the theory of Georgian free verse and the poets did this on their own initiative. In this respect, the "Blue Horns" were especially distinguished.

In the early 20th century, the first letters about vers libre already came out: Sandro Tsirekidze (1920), Shalva Apkhaidze (1922), Grigol Tsetskhladze

(1923). In their essays on free verse, these poets analyze the signs of vers libre and consider specific Georgian examples.

Shalva Apkhaidze seems to have been well acquainted with the long essay “Theory of Free Poetry. Notes on Poetic Techniques” written jointly by French poets and critics Charles Vildrac (1882-1971) and Georges Duhamel (1884-1996) in Russian translation. Shalva Apkhaidze took into consideration the views of French authors when explaining and analyzing the first specimens of Georgian vers libre of that time and, we can safely say and took his place in the history of Georgian prosody.

“Theory of Free Verse. Notes on Poetic Technique” written by French authors in the form of essay, in October 2020, was translated into Georgian by Malkhaz Ivanidze (Ivane Amirkhanashvili) and published in three issues of the newspaper Literaturnaya Gruziya (Literary Georgia, N. 21-23).

The material for translation was properly chosen by the translator. Nowadays, when free verse has become a dominant poetic mode in our country but critics of poetic texts are no longer available, it would be useful if their authors familiarize themselves with theory of free verse and the issues of poetic techniques. In any case, at the dawn of the history of free verse, our scholars behaved in this way (Sh. Apkhaidze, S. Tsirekidze, G. Tsetskhladze).

The new translation on the theory and technique of free verse acquires importance and promises the revival of the research process of the issues of the history of Georgian vers libre and theory.

Some issues of Georgian free verse are treated and evaluated in a new way in the letter.

საკვანძო სიტყვები: ვერლიბრი, პ.იაშვილი, ს. ცირეკიძე, შ. აფხაიძე, გრ. ტეტსხლადე.

Key words: Vers libre, P. Iashvili, S. Tsirekidze, Sh. Apkhaidze, Gr. Tsetskhladze.

დღეს აღარავინ დავობს იმის თაობაზე, რომ XX ს. დამდეგს დაწყებული ქართული ლექსის განახლების პროცესი 1915 წლის რეფორმით დასრულდა. ეროვნული პოეზიის ფერისცვალებას სათავეში გალაკტიონ ტაბიძე ედგა „არტისტული ყვავილებით“ (1919); თუმცა ევროპული სიტყვიერი კულტურის წიაღში შეღწევას, ქართული პოეზიის „მსოფლიო რადიუსით“ გამართვას, „მსოფლიო პოეზიის რუკაზე“ ჩვენი წყობილსიტყვაობისათვის ადგილის დამკვიდრებას გალაკტიონთან ერთად „ცისფერყანწელები“ და სხვა ცნობილი ქართველი პოეტებიც ცდილობდნენ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ეროვნული ლექსის რეფორმაციის გზაზე, ზოგადად, სიმბოლიზმისა და, კერძოდ, ფრანგი სიმბოლისტების სასიკეთო გავლენა. ქართულ კონვენციურ ლექსში, რომელიც ახალი საზომებით, ევროპული მყარი სალექსო ფორმებით (სონეტი, ტრიოლეტი, ვილანელი, რონდო და ა.შ.) გამდიდრდა, ასევე დაკანონდა ვერლიბრი: დაიწყო ქართული თავისუფალი ლექსის ისტორიის ათვლა. 1922 წელს დაბეჭდილ პაოლო იაშვილის „ევროპას“ (ჟურ. „მეოცნეზე ნიამორები“, №8, 1922) როგორც იმდროინდელი (ს. ცირეკიძე), ისე თანამედროვე (გ. მერკვილაძე, ლ. ავალიანი, ლ. ბრეგაძე და სხვ.) კრიტიკოსები ქართული ვერლიბრის პირველ ნიმუშად მიიჩნევენ; თუმცა გალაკტიონმა „არტისტულ ყვავილებში“ (1919) შეიტანა თავისუფალი ლექსები: „სამრეკლო უდაბნოში“ (1919), „ღრუბლები ოქროს ამურებით“ (1919), „ჩვენი საუკუნე“ (1919), „ფარდების შრიალი“ (1919) და სხვ. აკაკი ხინთიბიძის აზრით, „ვერლიბრის გამოჩენა გალაკტიონის ლექსებში იმის მაუწყებელია, რომ პოეტი თვალს ადევნებს, საზოგადოდ, ვერსიფიკაციის განვითარებას და მის კვალობაზე უნდა ქართული მეტრიკის საზღვრების გაფართოება“ (ხინთიბიძე, 1987, გვ. 228).

ვერლიბრის პირველი ქართული ნიმუშების გამოჩენამ (გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვ.) განაპირობა ქართული თავისუფალი ლექსის თეორიის შექმნის აუცილებლობა, რაც თვითონ პოეტებმა ითავეს. ამ მხრივ განსაკუთრებით „ცისფერყანწელები“ გამოირჩეოდნენ: თავიანთი „ფრანგი სიმბოლისტი ძმების“ მსგავსად, „ცისფერყანწელებსაც“ გაბედულად შეჰყავდათ ერთმანეთი პოეზიის ისტორიაში: ერთმანეთს უძღვნიდნენ არა მარტო ლექს-მედალიონებს (სონეტებს, ტრიოლეტებს...), არამედ ესეებში,

ნარკვევებში განიხილავდნენ ერთმანეთის შემოქმედებას, საუკეთესო ლექსებს, შეარჩევდნენ „სეზონის ფალავანს“ – ლირიკის შედეგს – ქებას არ იშურებდნენ ერთმანეთის მიმართ, „ლირიკის ელიზეუმში“ ადგილს უმკვიდრებდნენ თავიანთ რჩეულს.

XX ს-ის 20-იან წლებში („არტიტული ყვავილების“ გამოცემის შემდგომ) უკვე გამოჩნდა პირველი წერილები თავისუფალ ლექსზე (სანდრო ცირეკიდის (1920), შალვა აფხაიძის (1922), გრიგოლ ცეცხლაძისა (1923)). ეს პოეტები თავისუფალ ლექსზე დაწერილ ესეებში აანალიზებენ ვერლიბრის ნიშნებს და განიხილავენ მის კონკრეტულ ქართულ ნიმუშებს. გამოკვლევაში „ქართული ვერლიბრის პირველი მკვლევარნი“ აღვნიშნავდით: „მართალია, ს. ცირეკიძეს უფრო ადრე აქვს წერილი გამოქვეყნებული ვერლიბრზე (1920), მაგრამ ვერლიბრის თეორიული დამუშავების მხრივ ქართულ ლექსმცოდნეობაში პრიორიტეტი შალვა აფხაიძეს ეკუთვნის“ (ბარბაქაძე, 2011, გვ. 142).

შალვა აფხაიძის ესე „თავისუფალი ლექსი“ (გაზ. „ბარრიკადი“, 1922, №6) დაწვრილებით განვიხილეთ ჩვენს ზემოხსენებულ ნაშრომში და აღვნიშნეთ: „...ავტორი ასახელებს ვერლიბრის იმდროინდელ ცნობილ მკვლევრებს: ჟორჟ დიუამელს, შარლ ვილდრაკს, ანდრე ბელის და სერგეი ბობროვს, რომელთა გამოკვლევებითაც უსარგებლია წერილის დაწერისას“ (ბარბაქაძე, 2011, გვ. 144).

საფიქრებელია, რომ შალვა აფხაიძე რუსულ ენაზე გაეცნო ფრანგი პოეტებისა და კრიტიკოსების, შარლ ვილდრაკისა (1882-1971) და ჟორჟ დიუამელის (1884-1996) ერთობლივ ვრცელ ესეისტურ ნაშრომს: „თავისუფალი ლექსის თეორია. შენიშვნები პოეტური ტექნიკის თაობაზე“ (1910). ფრანგი ავტორების მოსაზრებანი შალვა აფხაიძემ იმდროინდელი ქართული ვერლიბრის პირველი ნიმუშების ახსნა-განალიზებისას გაითვალისწინა და, თამამად შეიძლება ითქვას, ქართული ლექსმცოდნეობის ისტორიაში კუთვნილი ადგილიც დაიმკვიდრა.

სასიხარულოა, რომ ფრანგი ავტორების მიერ ესეს ფორმით დაწერილი „თავისუფალი ლექსის თეორია. შენიშვნები პოეტური ტექნიკის შესახებ“ 2020 წელს ქართულ ენაზე თარგმნა მალხაზ ივანიძემ (ივანე ამირხანაშვილმა) და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ სამ ნომერში დაბეჭდა (2020, №21-23, 2-16.X.). ეს არ არის „სამეცნიერო გამოკვლევა ან ტრაქტატი. ეს გახლავთ თავისუფალი ვარიაციები

თავისუფალი ლექსის თაობაზე... განგვაწყობს საკამათოდ, სააზროვნოდ, საანალიზოდ“... (ვილდრაკი, დიუამელი, 2020, №21, გვ. 11). კარგია, რომ მთარგმნელმა მალხაზ ივანიძემ (ივანე ამირხანაშვილმა) მოკლედ, თუმცა ამომწურავად, ორიოდ აზნავეში ჩაატია „თავისუფალი ლექსის თეორიის...“ ავტორთა ვინაობა: შარლ ვილდრაკს 1906 წელს ჟულ რომენტან, ჟორჟ დიუამელსა და რენე არკოსთან ერთად დაუარსებია ახალგაზრდა პოეტებისა და მხატვრების გაერთიანება „საბატო“. შარლ ვილდრაკიც და ჟორჟ დიუამელიც სოციალური პოეზიის აღორძინებას ცდილობდნენ; შარლ ვილდრაკის მიზანი იყო, წაეშალა ზღვარი სალაპარაკო ენასა და პოეტურ მეტყველებას შორის, ხოლო ჟორჟ დიუამელი იბრძოდა მწიგნობრულობის, ხელოვნურობის, ნატურალიზმისა და სიმბოლიზმის წინააღმდეგ (ვილდრაკი, დიუამელი, 2020, №21, გვ. 11).

ჩვენი მიზანი, გარდა ამ თარგმანის გაცნობით გამოწვეული სიხარულის მკითხველისათვის გაზიარებისა, ისიც არის, რომ კიდევ ერთხელ გავანალიზოთ, გავხსენოთ ქართული ლექსის ისტორიის ის მნიშვნელოვანი ეტაპი, ჩვენში ვერლიბრის პირველი ნიმუშების გამოჩენასა და მის შეფასებას რომ ასახავს. ამ ნაშრომის თარგმანმა დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია ქართული ლექსის ისტორიისა და თეორიის ხშირად გახსენება, ახლებური თვალთ შეხედვა ძველი შეფასებებისა და დაზუსტება ზოგიერთი მოსაზრებისა. მთარგმნელმა ნამდვილად სწორად შეარჩია სათარგმნი მასალა: დღეს, ჩვენში მოძალეხული ვერლიბრის თუ მეტაპოეზიის ფონზე, როდესაც უამრავი ლექს-ტექსტის შემფასებელ-განმკითხავი აღარ ჩანს, კარგი იქნებოდა, თვითონ, მათმა ავტორებმა, მეტი თეორიული ნაშრომი წაიკითხოთ და გაითვალისწინონ თავისუფალი ლექსის თეორიისა და ტექნიკის საკითხების თაობაზე მათში გამოთქმული მოსაზრებანი. ყოველ შემთხვევაში, ქართული თავისუფალი ლექსის ისტორიის გარიჟრაჟზე ჩვენი ღირსეული წინაპრები ასე იქცეოდნენ...

უპირველეს ყოვლისა, გვინდა ერთი მსგავსების თაობაზე შევნიშნოთ: შ. ვილდრაკი და ჟ. დიუამელი თავიანთ ნაშრომს, ჩანაწერებს, სამეცნიერო ღირებულებას არ ანიჭებდნენ: ისინი საკუთარ თავს „თავისუფალ, კეთილსინდისიერ პოეტებს“ უწოდებენ, რომლებიც ცდილობენ, დააკვირდნენ და გააუმჯობესონ საკუთარი „ლექსის ტექნიკა“. ამგვარივე ცდად შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენი პოეტ-ესეისტე-

ბის: შ. აფხაიძის, გრ. ცეცხლადის, ს. ცირეკიძის – ქართული ვერლიბრის პირველი მკვლევრების – ესეები ქართულ თავისუფალ ლექსზე. ფრანგი და ქართველი პოეტ-ესეისტები იმითაც ჰგვანან ერთმანეთს, რომ თავისუფალი ლექსის თეორიასა და ტექნიკაზე მსჯელობისას ხშირად იმოწმებენ საკუთარსა და მეგობარი პოეტების ვერლიბრებს. შ. ვილდრაკი და ჟ. დიუამელი წერენ: „მაგალითებად ზოგჯერ ჩვენი ლექსებიც მოგვყავს: გულუბრყვილობაა ტომების ქექვა, როდესაც ხელთა გვაქვს ცოცხალი მაგალითები...“ (გავიხსენოთ მამუკა ბართაშვილის „ჭაშნიკი“ (1731), რომელშიც ავტორს ქართული ლექსის სახეთა ნიმუშებად ხშირად საკუთარი ლექსები მოჰყავს); ქართველი პოეტ-ესეისტებიც, ასევე, იმოწმებენ საკუთარ ვერლიბრებს თავისუფალი ლექსის ტექნიკის თავისებურებაზე მსჯელობისას. კიდევ ერთი სასიამოვნო მოულოდნელობა: ქართველი მთარგმნელი ივანე ამირხანაშვილი, ტექსტის ზოგიერთი პუნქტის განმარტებისას, თამამად იმოწმებს ტიციან ტაბიძის კონსონანსებსა და ასონანსებს: „გულადი“ – „გულამდე“, „ნაზადი“ – „გაბედე“, „ლანქერს“ – „დამცქერის“ (V. 10); ესეს IV მონაკვეთში ავტორები უარყოფითად აფასებენ ზოგიერთი ვერლიბრისტის მიერ რიტმის გაძლიერების გამო სტრიქონების ხელოვნურად გახლეჩას ნახევარტაეპებად; მთარგმნელი ეხმარება ქართველ მკითხველს, რომ ზუსტად წარმოიდგინოს ამგვარი პროცესი და სამაგალითოდ ასახელებს მაიაკოვსკისა და მუხრან მაჭავარიანის ლექსებს.

როგორც ვხედავთ, მთარგმნელი უკვე ჩართულია ამ ესეს გამოქვეყნების შემდგომ გასამართ საგულისხმო და აუცილებელ დისკუსიაში: ივანე ამირხანაშვილი, თითქოს, სადისკუსიოდ, საანალიზოდ იწვევს თანამედროვე ვერლიბრისტებს, ვერლიბრის მკვლევრებს, ლექსმცოდნეებს – ყველას, ვისაც ქართული თავისუფალი ლექსის წარსული, აწმყო და მომავალი აღელვებს...

შ. ვილდრაკისა და ჟ. დიუამელის ჩანაწერები ხუთ ნაწილად არის დაყოფილი. თითოეული მონაკვეთი რამდენიმე პუნქტს აერთიანებს (I – 31; II – 23; III – 4; IV – 34, V – 16), რომელთა მეშვეობით, ავტორები, თეზისების სახით, გვაწვდიან თავიანთ დაკვირვებებს ვერლიბრის ტექნიკაზე.

„თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა მისწრაფება მეტი ღირსებისაკენ, მეტი სიზუსტისაკენ და მეტი დამო-

უკიდებლობისაკენ“, – ამ თეზით იწყებენ თავიანთ ესეს ფრანგი ავტორები. ღირსება, სიზუსტე, დამოუკიდებლობა – ეს მოთხოვნები ყველა დროში წინ უძღოდა რეფორმატორების ცდას ლექსის წერის ტექნიკის წინსვლისა და განახლებისათვის, თუმცა რეფორმატორებს თავისუფლების მოპოვების გზაზე აუცილებლად სჭირდებოდათ კრიტიკული ალღო და პასუხისმგებლობის გრძნობა (IV. 12). თანაც: „პოეტი თავის სმენას უფრო უნდა ენდოს, ვიდრე ფონეტიკის ინსტიტუტს... მაგრამ ჯერ პოეტი უნდა იყო!“ (V, 15-16).

ქართულ კულტურულ და სოციოკულტურულ სივრცეში ვერლიბრი რევოლუციური მუხტის მქონე ფორმაა: XX ს-ის 10-იან-20-იან წლებში, როგორც ეპიგონიზმის გადასალახავად მომარჯვებული ერთ-ერთი სტრუქტურა, ხოლო შემდეგ, XX ს-ის 40-50-60-იანი წლებში – საბჭოთა სინამდვილესთან წინააღმდეგობის ალეგორიული, შეფარული ფორმა (შოთა ჩანტლაძე, ბესიკ ხარანაული). უპრიანი იქნება ისიც გავიხსენოთ, რომ ვერლიბრის თაობაზე ჩვენში რამდენჯერმე გაიმართა მძაფრი პოლემიკა გასულ საუკუნეში. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა შოთა ნიშნიანიძესა და მამუკა წიკლაურს შორის (1977-1978 წწ.) დაწყებული დისკუსია, რომელსაც მერე სხვა კრიტიკოსები და პოეტებიც შეუერთდნენ.

როგორც უკვე ითქვა, 1915 წელს ქართული ლექსის რეფორმა განხორციელდა: ამ ძირეული გარდაქმნის პროცესში ვერლიბრმაც შეასრულა თავისი როლი, რადგან იგი ქართველი პოეტებისათვის ევროპული პოეზიის წიაღში დაბრუნების ერთ-ერთი გზა იყო, ეროვნული ეპიგონიზმის უარყოფითა და თავისუფალი მეტრიკის, მოულოდნელი ფორმების დამკვიდრებით.

შალვა აფხაიძის წერილში ყურადღება გამახვილებულია ფრანგი ავტორების მოსაზრებაზე, რომ საფრანგეთში ვერლიბრი იყო რეაქცია ალექსანდრიული ლექსის წინააღმდეგ. ჩვენი მკვლევარ-ესეისტი შესაშური სიზუსტით ეძებს და პოულობს სახელმძღვანელო წერილში ვერლიბრის თეორიისათვის აუცილებელ პუნქტებს, კერძოდ, საკითხს თავისუფალ ლექსში გადატანის (Enjambement) ფუნქციური დანიშნულების თაობაზე და გუსტავ კანისეულ განმარტებას სტრიქონის ბგერობრივი და აზრობრივი პაუზის შესახებ.

შ. ვილდრაკისა და ჟ. დიუამელის ნაშრომზე დაყრდნობით, შ. აფხაიძე მიუთითებს რიტმისა და მეტრის კონფლიქტზე ვერლიბრში,

როდესაც უპირატესობა რიტმს ენიჭება. სამაგალითოდ მოჰყავს სტრიქონები პაოლო იაშვილის ვერლიბრიდან „წერილი დედას“ (1916 წ. დათარიღებულია ხელნაწერით. დაიბეჭდა გაზ. „ხალხის მეგობარი“, სურათებიანი დამატება“, №1, 1917. (იაშვილი, 2004, გვ. 367)). შ. აფხაიძე, ასევე, მართებულად ამახვილებს ყურადღებას პოეზიის როლზე თავისუფალ ლექსში და ექსპრესიულ სიტყვათა განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე (ტ. ტაბიძე „ცხენი ანგელოსით“).

ფრანგი ავტორების ნაშრომის გავლენა მკაფიოდ ჩანს სანდრო ცირეკიდის წერილებში „თავისუფალი ლექსი“ (გაზ. „რუბიკონი“, 1923, 8 აპრილი, №9) და „რიტმი პროზაში“ (გაზ. „ბახტრიონი“, 1922, №21, 3 დეკემბერი; იხ. აგრეთვე, გაზ. „ბარრიკადი“, 1922, №7).

საგულისხმოა, რომ შ. აფხაიძის მსგავსად, ს. ცირეკიძეც ფიქრობს, რომ თავისუფალი ლექსი ერთგვარი გზაშესაყარია პროზისა და პოეზიისა, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენის ფონეტიკური მხარის დახვეწას, ლექსის კეთილხმოვანების სრულყოფას და რიტმს ენიჭება. ვერ დავეთანხმებით თვალსაზრისს ვერლიბრის, როგორც პროზისა და პოეზიის შეხვედრის, გადაკვეთის თაობაზე, ასევე ლექსსა და გაბმით, სასაუბროდ განკუთვნილ სათქმელს შორის იდენტობის ძიებას. ეს საფრთხე უკვე კანონზომიერებად გადააქცია თანამედროვე ქართულმა სალიტერატურო სივრცემ, რომელიც სავსეა პოეზიისაგან გაუცხოებული, უხეში, დაუხვეწავი პროზაიზმებითა და გრამატიკული შეცდომებით სავსე ლექს-ტექსტებით; ფსევდოპოეზიის ამ ნიმუშებს თავისუფალი ლექსის პრეტენზიით ბეჭდავს ბევრი თანამედროვე ავტორი. აკაკი გაწერელია გვაფრთხილებდა: „თავისუფალ ლექსში „რიტმული უწესრიგობა“ კანონზომიერებისადმი მიდრეკილების სახით ვლინდება, პროზაში კი – იშვიათი „მეტრულ-რიტმული წესრიგი“ სიუჟეტის ზეგავლენით იშლება და ფუნქციურად ზედმეტი ხდება“ (1978, გვ. 370). შარლ ვილდრაკი და ჟორჟ დიუამელი წერენ: „არც ახლა და არც მომავალში არ დაუშვა ორაზროვნება რიტმულ ინტერპრეტაციებში... რიტმი არ იყოს თეთრზე შავით ნაკერი“ (IV, 9-10). „ლექსებში არ უნდა ავურიოთ მელოდია და რიტმიკა... თავისუფალი ლექსის არსი ის არის, რომ განვითარდეს ნაწარმოების არსის შესაბამისად“... (IV, 17).

ს. ცირეკიძე შენიშნავს, რომ ფრანგი პოეტებისათვის თავისუფალი ლექსი არის ერთგვარი შვება, გამოსავალი, ხსნა ტრადიციული

სილაბური, ალექსანდრიული ლექსის მკაცრი კანონებისაგან გასათავისუფლებლად: ხმოვნების კულტურის (სონეტის) შეცვლა აუცილებელია თანხმოვნების (ჩვეულებრივი, ყოფითი ენის) კულტურით, ანუ თავისუფალი ლექსით.

ორივე ქართველი ესეისტი თავისუფალი ლექსის თეორიისა და ტექნიკის თაობაზე ფრანგი ავტორების ჩანაწერების განხილვა-გაანალიზების დროს ითვალისწინებს ქართული ენის თავისებურებას. ს. ცირევიძე წერილებში („ორსახიანი იანუსი“, „რიტმი პროზაში“) საგანგებოდ აღნიშნავს: რადგან მახვილი გადამწყვეტ როლს არ ასრულებს ქართული ლექსის სტრიქონის მეტრულ-რიტმულ ორგანიზებაში, ქართული ვერლიბრის დასამკვიდრებლად საჭიროა ახალი რიტმის ძიება.

ჟორჟ დიუამელისა და შარლ ვილდრაკის დაკვირვებებს დაუმოწმებლად იზიარებს და ქართულ თავისუფალ ლექსს უსადაგებს გრიგოლ ცეცხლაძეც – ერთ-ერთი პირველი ქართველი ვერლიბრისტი: „დღეს წერის ტექნიკა ისეა განვითარებული, რომ ლექსის დაწერა მეტად გაადვილებულია. ყველამ ადვილად გაიგო, როგორ იწერება: სონეტი, ტრიოლეტი, სექსტინა, რონდელი და სხვა. ხშირად ძნელია გამოცნობა ფალსიფიკაციის“ (1923, გვ. 3). გრ. ცეცხლაძეც, ფრანგი ავტორების მსგავსად, მიიჩნევს, რომ ვერლიბრის წარმოშობა განაპირობა „სონეტში, ტრიოლეტში, და, საზოგადოდ, ცნობილ ფორმებში ჩამწყვედელი ლექსის განთავისუფლების სურვილმა“.

გრ. ცეცხლაძის წერილში სწორად არის შენიშნული, რომ ვერლიბრში „ყოველი სიტყვა მოჩანს, ყოველი სახე ცოცხლობს“. საყურადღებოა გრ. ცეცხლაძის შენიშვნა: ვერლიბრისტებისათვის დამახასიათებელია „საკუთარ სიტყვათა ლექსიკონი და სინტაქსი“. თანამედროვე ლექსმცოდნეობაშიც მსგავსი აზრია გაზიარებული: „ბგერითი ერთეულების კანონზომიერი თანამიმდევრობა აქ ხშირად შეცვლილია სინტაქსურ ერთეულთა კანონზომიერი გამეორებით“ (ქსე, 1979, გვ. 371).

დავიმოწმებთ განმარტებას გერმანული ვიკიპედიიდან (მასალა მოგვაწოდა ლევან ბრეგაძემ): „ლექსმცოდნეობაში თავისუფალი ლექსი ეწოდება სალექსო ფორმას, რომელიც უარს ამბობს ყოველგვარ მეტრულ და ჟღერადობრივ კავშირებზე... თავისუფალი ლექსის ორი მთავარი ფესვიდან ერთი არის თავისუფალი რიტმები, რომელიც

მე-18 ს-ის შუა ხანებიდან კლოპშტოკმა განავითარა. ეს ლექსი ანტიკური ოდების საზომებს ეყრდნობოდა... (გოეთეს ადრეული ლირიკა, მე-19 ს. ჰოლდერლინის ოდები, ჰაინრიხ ჰაინე, დეტლევ ფონ ლილიენკორნი, არნო ჰოლცი); თანამედროვე თავისუფალი ლექსის მეორე ფესვს წარმოადგენს ამერიკელი უოტ უიტმენის პოეზია; უწინარეს ყოვლისა, მისი ურითმო, რიტმული ლექსით დაწერილი მთავარი წიგნი: „ბალახის ფოთლები“ ([https://de.wikipedia.org//uciki/Freier vers](https://de.wikipedia.org//uciki/Freier%20vers)). თავისუფალი რიტმები არ მიაჯაჭვავდა პოეტს მეტრულ ჩარჩოს, ამიტომაც კლოპშტოკის მიერ შექმნილი თავისუფალრიტმიანი ლექსი მალე აიტაცეს ახალგაზრდა გოეთემ და „Sturm und drang“, ე.წ. „გენიოსთა ხანის“, პოეტებმა“.

თავისუფალი რიტმები (თავისუფალი ლექსი) რიტმული პროზიდან კი არ წარმოიშვა, არამედ ამ ფორმის ისტორიის გათვალისწინებით, იგი მყარი სალექსო ფორმების – ოდების, ჰექსამეტრების, მადრიგალების ან კნიტელვერსის (გერმანული გართიმული ლექსის) – აფეთქების შედეგია. უწინარეს ყოვლისა, სწორედ მყარ მეტრულ ფორმებთან ასეთი შეხმიანება უნარჩუნებს თავისუფალი რიტმებით შესრულებულ ადრეულ ტექსტებს ლექსის სახეს.

მიხეილ გასპაროვის აზრით, აღორძინების ეპოქამ პოეზიაში შემოიტანა ახალი, ძირითადად, ასტროფული ფორმები – თავისუფალი, ან შერეული ლექსი (vers libres, vers mêlés) – სხვადასხვა გრძლიობის სტრიქონების მოუწესრიგებელი შეხამება. აღორძინების ხანაში მუსიკის განვითარებამ შეცვალა მოთხოვნები ლექსის ტექსტისადმი: შესაძლებელი გახდა ინტონაციის შეცვლა; ამიტომაც თავიდან (XVI ს-ის ბოლო მეოთხედში) თავისუფალი ლექსი დამკვიდრდა მუსიკასთან დაკავშირებულ ჟანრებში (მადრიგალი, იდილია, დითირამბი, ბაიფი, კიაზერერი, მუსიკალური დრამა (რინუჩინი). მიხეილ გასპაროვი აღნიშნავს, რომ ლაფონტენამდე ევროპულ პოეზიაში იგავი და ნოველა მხოლოდ თანაბარმარცვლიანი ლექსით იწერებოდა: „ფრანგული გავლენით, XVIII ს. თავისუფალი ლექსი ამ ჟანრებში გავრცელდა მთელი ევროპის მასშტაბით (გერმანულ და სლავურ სილაბო-ტონიკაში მისი ანალოგია თავისუფალი, ანუ სხვადასხვატერფიანი იამბი) და მიაღწია კრილოვამდე და გრიბოედოვამდე“ (Гаспаров, 2003, стр. 134). თანამედროვე ვერლიბრის ჩამოყალიბებაში, მეცნიერთა აზრით, უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რენესანსის კიდევ ერთ სიახლეს

ლექსის სფეროში: რითმის უარყოფის მცდელობას და ურითმო ლექსის რესტავრაციას.

თავისუფალი ლექსის თეორიისა და ტექნიკის თაობაზე საუბრისას ფრანგი ავტორები მართებულად აღნიშნავენ: „არ შეიძლება ფორმას იგივე მნიშვნელობა მივანიჭოთ, რაც შინაარსს, როდესაც ქვეყანაზე არსებობს ამდენი უპასუხისმგებლო პოეტი, რომლებსაც ჩირად არ უღირთ თავიანთი ხელოვნება“ (ვილდრაკი, დიუამელი, 2020, გვ. 11). სამწუხაროდ, 21-ე საუკუნის პირველი ოცწლეულის დასრულებაც კი ვერაფერს შველის ჩვენს სინამდვილეში ამ უპასუხისმგებლობას: ვერლიბრი, ანუ თავისუფალი ლექსი, არცთუ იშვიათად პოეზიის მიღმა რჩება და მხოლოდ მისი ავტორების „დღიური პროზის“ „წვრილი ამბების“ აღწერით შემოიფარგლება. ბესიკ ხარანაული, ქართული ვერლიბრის ერთ-ერთი პირველი რეფორმატორი XX ს-ის 60-იან წლებში, შეგვახსენებს: „სიახლე ისე უნდა გწვდეს ყელში, რომ არათუ დაგავიწყოს პრინციპები, ეჭვიც შეგეპაროს მათს სიმართლესა და მარადიულობაში. აქ პრინციპები რა მოსატანია! პოეზია მშვენიერია ყველა ფორმაში, სადაც იგი არის. სადაც იგი არ არის, ფორმა გინდ ყოფილა, გინდ არა!.. ნუ ვეცდებით პოეზიის ახსნას! ის სამ უპასუხო კითხვათაგან ერთ-ერთია, ისევე უპასუხოა, როგორც: „რა არის სიცოცხლე“ და „რა არის სიკვდილი“ (2005, გვ. 252).

ცნობილია, რომ XX საუკუნე სხვადასხვაგვარი პირობითობისაგან გათავისუფლების ეპოქა იყო, ამიტომაც მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთ პოპულარულ ფორმად „ვერლიბრი“ მოგვევლინა (ეს ტერმინი ლექსის თეორიაში დაამკვიდრა ინგლისელმა პოეტმა და პროზაიკოსმა რიჩარდ ოლდინგტონმა): პოეტებმა უგულვებელყვეს წინამორბედი საუკუნეების მიერ შემუშავებული შტამპები და პოეტიზმები, ლექსის ენა და იგი მაქსიმალურად დაუახლოვდა ყოფით, სასაუბრო მეტყველებას. თავისუფალ ლექსში, როგორც ცნობილია, მონოტონური რიტმის, შერჩეული, დადგენილი მეტრისა და რითმის ნაცვლად, აქცენტირებულია ინტონაციური და აზრობრივი რიტმები, ლოგიკური და ასოციაციური მეტაფორები და, რაც მთავარია, ფორმალური, შემზღვევლი ფაქტორების ანულირების შედეგად წინა პლანზე გამოდის სიტყვა, მისი პოლისემანტიკურობა, ქვეტექსტები, ასოციაციური კავშირები.

XX ს-ის 10-იანი წლებიდან იწყება ქართული ვერლიბრის ისტორიაც, რომელიც, პირობითად, ხუთ ეტაპად შეიძლება დავყოთ: I. XX ს-ის 10-20-იანი წლები (გალაკტიონი, „ცისფერყანწელები“, გრიგოლ ცეცხლაძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე და სხვ.); II. XX ს-ის 40-50-იანი წლები (შოთა ჩანტლაძე), III. XX ს-ის 60-იანი წლები (ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა და სხვ.); IV. XX ს-ის 70-80-იანი წლები (ჯარჯი ფხოველი, მამუკა წიკლაური, თამაზ ბაძაღუა და სხვ.); V. XX ს-ის 90-იანი წლები – XXI ს. – ქართული ვერლიბრი პოსტსაბჭოთა ეპოქაში.

ტოტალიტარიზმმა და საბჭოთა ცენზურამ გასული საუკუნის 30-იან წლებში თითქმის გააქრო ვერლიბრი, როგორც მტრული, სოციალისტური რეალიზმისათვის „უცხო, ბურჟუაზიული კულტურის“ სამეტყველო ფორმა, თუმცა 40-იანი წლებს დამღევს, 1949 წელს, „ცისფერყანწელთა“ რეაბილიტაციამდე (1956), შოთა ჩანტლაძემ შექმნა ვერლიბრი „ბოდვა“; ეს ნოვატია იმ დროს, საბჭოთა ლირიკის ტრადიციული თემებისა და კონვენციური ლექსის ფონზე, ბევრს, მართლაც, „ბოდვად“ უნდა მიეჩნია. შოთა ჩანტლაძემ პირველმა იგრძნო, სრულიად ორიგინალურად, 10-20-იანი წლების ქართული ვერლიბრის გავლენის გარეშე, რომ რითმისა და აზრის დაპირისპირების ფონზე ჩვენში ახალი ლექსი, ახალი პოეზია უნდა დაბადებულიყო:

ვწერ, ვწერ, ვწერ.
ვწერ გულმოსული,
ო! უნდო სულო!
ო! უნდო სულო!..
სანამდე, სანამდე, – ვიძახი
ქშენით და გულამოვარდნილი
– რითმა, აზრები, ფორმა, იდეა
რაც მთავარია სტილი
– ნუთუ ჩემს სულში ცეცხლი კიდეა?..
.....
უკვე საცაა გათენდება და მე განთიადს
ასე ურითმო და ურიგო „ბოდვით“ ვხვდები...
(ჩანტლაძე, 1998, გვ. 50)

შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვე ქართული თავისუფალი ლექსის სათავეებთან შოთა ჩანტლაძეც დგას თავისი ახალი პოეზიითა და ახალი ლექსის ფორმით: გალაკტიონ ტაბიძის, „ცისფერყანწელების“ თუ 10-20-იანი წლების სხვა ქართველი პოეტების (გრიგოლ ცეცხლაძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე და სხვ.) ვერლიბრები ნამდვილად არ იყო 40-50-იანი წლების ქართულ სინამდვილეში ცნობილი, ან გავლენის ძალის მქონე. შოთა ჩანტლაძის „მანიფესტი“ კი (1952) ნამდვილად შეიძლება მივიჩნიოთ ახალი ქართული ვერლიბრის დაბადების მაუწყებლად. შემთხვევითი არ არის, ალბათ, რომ 1949 წელს დაწერილ ლექსში „მე“ შოთა ჩანტლაძეს ციტატა მოჰყავს პაოლო იაშვილის ლექსიდან და აღიარებს მისი ლექსის დიდ ძალას (ჩანტლაძე, 1998, გვ. 82):

რომ არ თქმულიყო გულის ტეხილი,
რაიც კი ითქვა უკვე ჩემამდე,
ყველას ვიტყოდი, თუნდაც ახლავე
და სიხარულსაც დაიმშვენებდნენ...

.....
გარდა ერთისა, გარდა ამისა:
„დადის ქუჩაში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული“.

(ჩანტლაძე, 1998, გვ. 82)

ბოჰემის შეხსენება და პაოლო იაშვილის ციტირება შოთა ჩანტლაძის ადრეულ ლექსებში, განსაკუთრებით 1949 წლიდან იჩენს თავს. 1949 წელს არის დაწერილი კენტმარცვლიანი, ქართული მეტრიკისათვის იშვიათი, თხუთმეტმარცვლიანი (5/5/5) საზომითა და ექვსტაეპედით შედგენილი ლექსი, რომელშიც პოეტი ურითმო ლექსის თაობაზეც გვესაუბრება:

ჩვენი გულებით, სხვისი გულებით, შენი გულითა
გალღვება შუღლი, გალღვება სული, გალღვება გული
თუ გაიჩარხა, ექნება გული ეგრე ბალღური.
სიტყვით ქვეითით, სიტყვით ნართიმით, გეტყვი ზეითას:
გალღვება შუღლი, გალღვება სული, გალღვება გული.

(„გულებით-გულითა“. ჩანტლაძე, 1998, გვ. 49)

იდენტური, შიდარიტმით გამართული (II-VI ტაეპები), ასევე სიტყვათა გამეორების საფუძველზე შექმნილი რიტმი (I-IV ტაეპები) მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს „ურითმო ლექსსა“ და „სიტყვით ნართიმით“ („სიტყვით ქვეითით“) განსხვავებას, ეჭვისთვისაც რჩება ადგილი: „თუ გაიჩარხა...“

„მათი პოეზია კატასტროფა“, – აი, განაჩენი პროლეტარიატის, კომუნისტური იდეოლოგიით ნასაზრდოები „ზედსართავი ლექსების“, „ცხვირისა და ხორხის პოეზიის“ მიმართ და ჭეშმარიტების აღიარება: „პოეზიის სინათლე უნდა უნათებდეს ყველას დედამიწაზე... ყელამდე აღწევდეს“ (ჩანტლაძე, 1998, გვ. 127). 40-50-იან წლებში შექმნილი ვერლიბრები შოთა ჩანტლაძეს ქართული ვერლიბრის გზის გამკვალავის საპატიო სახელს უმკვიდრებს. შოთა ჩანტლაძემ ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო, რომ რითმისა და აზრის დაპირისპირების ფონზე ახალი ლექსი უნდა შექმნილიყო, რომელიც პოეზიის ჩაუქრობელ ცეცხლს შეინახავდა.

XX ს.-ის 60-70-იანი წლების საქართველოში ვერლიბრმა მთელი თაობა გააერთიანა თვითგამოხატვის, პიროვნული ამბოხის ფონზე. ბესიკ ხარანაულის „ხეივანი თოჯინა“ და ლია სტურუას ვერლიბრები მძაფრი პოლემიკის საბაზი გახდა და ასეც იყო მოსალოდნელი: სოციალისტური რეალიზმის პრინციპებთან ადაპტირებულ, შეგუებულ სალიტერატურო კრიტიკას შეეშინდა, რომ ახალგაზრდა პოეტების ნოვაციას არ მოჰყოლოდა კარგად მივიწყებული „ძველი“ (10-20-იანი წლების სიმბოლისტური) ვერლიბრისა და ე.წ. „დაპატიმრებული“, „უჯრის“ ლექსების (შოთა ჩანტლაძის) გაცოცხლება-რეანიმაცია.

1971 წელს დაიბეჭდა ჯარჯი ფხოველის „გვრინი“, რომელიც ერთგვარი მანიფესტია ხალხური რითმითა და რიტმით ამღერებული ლექსების ნაცვლად ახლებური ხმის დამკვიდრებისა.

„არ იმღერება ეს სიმღერები, / ჩემი სტრიქონი / არ იფარფატებს როიალის ნათელ მინდვრებზე...“; „არ იმღერება ეს სიმღერა. / ამ წარმავალი ჟამის ამარა იფარფატებს / და განილევის / ეს ხმამალალი დაფიქრება / ქართა ჩურჩული / და მოძახილი მთიბავისა“. – „გვრინის“ სალექსო ტაეპები, სტრიქონები, მართლაც, ახალი, უჩვეულო საფიქრალით ავსებდა მკითხველს, რომელსაც ავტორი აფრთხილებდა: „მუნჯია ეს ხმა. მოგუდული და უმოტივო / თავგაჩეხილი მეციხოვნის ხაფია იგი, / ყელგამოღადრულ მოზვრის ხრიალი“.

მთის წიაღიდან წამოსული ხევსურული „სიმღერების“, რითმიანი თუ ურითმო მთიბლურებისა თუ კაფიების რიტმებს შეჩვეული ქართული მთის შვილების, ახალგაზრდა პოეტების (ბესიკ ხარანაული, მამუკა წიკლაური, ჯარჯი ფხოველი და სხვ.) მიერ ვერლიბრის არჩევა სალექსო ფორმად განსაკუთრებით აღიზიანებდა შოთა ნიშნიანიძეს, რომელსაც აშინებდა რითმასთან ერთად „პოეზიის ცეცხლის“ ჩაქრობის პერსპექტივაც.

შოთა ნიშნიანიძე, გამორჩეული ხმისა და სათქმელის მქონე პოეტი, თვითონაც წერდა ვერლიბრს, თუმცა 70-იანი წლების ბოლოს ლამის ხმალამოღებული იცავდა კონვენციურ, ტრადიციულ ქართულ ლექსსა და რითმას; მან მკაცრად, საყვედურითაც კი მიმართა ვერლიბრის დამცველებს, ქართული მთის მკვიდრ ცნობილ პოეტებს:

ყრმა ხევსურებმა ხარივით დაკლეს
ბებერი, მაგრამ გამზრდელი ლექსი.
(ნიშნიანიძე, 1989, გვ. 184)

პოსტსაბჭოთა, პოსტმოდერნისტულმა ქართულმა სინამდვილემ ახალი, ნოვატორული ძიებანი შემოგვთავაზა ეროვნული ველიბრის განვითარების გზაზე: ევროპული თუ ამერიკული ვერლიბრის ახალი თარგმანები, ორიგინალური, ახალი ძიებანი თანამედროვე ქართველი ვერლიბრისტებისა (ბესიკ ხარანაული, ზვიად რატიანი, დათა ხარიშვილი და მრავალი სხვა) უთუოდ ითხოვს ახლებურ შეფასებასა და კლასიფიკაციას.

ვერლიბრის ქართველი მკვლევარები: გურამ ასათიანი, თეიმურაზ დოიაშვილი, ლერი ალიმონაკი, ლევან ბრეგაძე, ემზარ კვიციანიშვილი, ნინო დარბაისელი, ლაშა იმედაშვილი, ბელა წიფურია და სხვ. არცთუ იშვიათად განიხილავენ და აფასებენ ეროვნული ლექსის განვითარების გზაზე ვერლიბრის ადგილსა და თავისებურებებს, თუმცა მაინც არა გვაქვს დღემდე სრული ისტორია ქართული ვერლიბრისა, არც მისი თეორია და ტექნიკა არის შესწავლილი სრულყოფილად, „ქართული ვერლიბრის ანთოლოგია“ ელოდება შემდგენელ-გამომცემლებს... ამიტომაც, თუ „პირველსავე სიტყვასა მოვალთ“, ახალი თარგმანი თავისუფალი ლექსის თეორიისა და ტექნიკის თაობაზე განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს და ქართული ვერლიბრის ისტორიისა და თეორიის პრობლემების კვლევის პროცესის გამოცოცხლებას გვპირდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარბაქაძე, თ. (2011). ქართული ლექსმცოდნეობის ისტორია (პერიოდული გამოცემების მიხედვით), თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“.
- ვილდრაკი შ., დიუამელი ჟ. (2020). თავისუფალი ლექსის თეორია, შენიშვნები პოეტური ტექნიკის შესახებ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2.X, 9.X; 16.X (21-23).
- გაწერელია, ა. (1981). რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი: „მერანი“.
- იაშვილი, პ. (2004). საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ წიგნად, წიგნი პირველი, თბილისი: „სეზამი“.
- ნიშნიანიძე, შ. (1989). ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან, თბილისი: „მერანი“.
- ჩანტლაძე, შ. (1998). მე მოვალ... თბილისი: „ლიტერატურის მატთანე“.
- ხარანაული, ბ. (2005). ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისათვის, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- ხინთიბიძე, აკ. (1987). გალაკტიონის პოეტიკა. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- Гаспаров, М. (2003). Очерк историй европейского стиха. Москва: „Формула“.

References:

- Barbakadze, T. (2011). Kartuli leksmtcodneobis ist'oria (P'eriodyuli gamotsemebis mikhedvit). [History of Georgian literature (according to periodicals)]. Tbilisi: „Publishing House of the Institute of Literature“.
- Chantladze, Sh. (1998). Me moval ... [I will come...]. Tbilisi: „Literature Chronicle“.
- Gatserelia, A. (1981). Rcheuli Nats'erebi, t'. II]. [Selected Writings. v. II]. Tbilisi: „Merani“.
- Iashvili, P'. (2004). Saiubileo-saarkivo gamotsema or ts'ignad. Ts'igni p'irveli. [Anniversary-archival edition in two books. Book one]. Tbilisi: „Sesame“.
- Kharanauli, B. (2005). Ep'igravebi davits'q'ebuli sizmrebisatvis]. [Epigraphs for Forgotten Dreams]. Tbilisi: „Bakur Sulakauri publishing house“.
- Khintibidze, Ak'. (1987). Galak't'ionis p'oet'ik'a. [The Poetry of Galaktion]. Tbilisi: „TSU Publishing House“.
- Nishnianidze, Sh. (1989). Lirik'a, nats'q'vet'ebi p'oemidan. [Lyrics. Fragments from poem]. Tbilisi: „Merani“.

- Vildrak'i Sh., Diuameli J. (2020). Tavisupali leksis teoria. Shenishvnebi p'oet'uri t'eknikis shesakheb. Gaz. „Lit'erat'urui Sakartvelo“, 2.X, 9.X; 16.X (21-23) [Theory of free verse. Notes on poetic techniques newspaper „Literaturuli Sakartvelo“ (Literary Georgia), 2.X, 9.X; 16. X (21-23)].
- Gasparov, M. (2003). Ocherk Istoriy Evropeyskogo Stikha. [Ocherki istorii evropeiskogo stikha]. Moscow: „Formula“, Review of a History of European Literature.

ნანა გონჯილაშვილი

Nana Gonjilashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

სათაურის პოეტიკა ძველ ქართულ მწერლობაში (V-XI ს.ს)

Title Poetics in Ancient Georgian Literature (V-XI centuries)

The title is one of the important components of a text. In general, it shows the epoch, the genre, the style of the literary text, themes and features of the artistic image, the worldview of the author and the phenomenon of the reader (his taste, spiritual values).

Observation of the titles of original Georgian hagiographic works reveals a number of issues worthy of an attention. As a result of a detailed analysis of the titles of the “martyrdoms” and “lives” of the saints, the following was singled out: the titles of hagiographic works, first of all, determine the genre, “martyrdom” or “life-citizenship”; However, the difference can be seen in the structure and content of the titles of the same genre. The titles of “martyrdoms” are ambiguous; There are both long, informative titles and short, concise titles that name only the main character, and may also mention his nationality or place of origin. In long titles, in most cases, the name of the author and the customer also appears. There are headlines that also contain the names of the tormentors, who, together with their religion and nationality, distinguish the era. It should be noted that in one of them (“The Martyrdom of the Saint Eustathius of Mtskheta”) instead of Georgian “tsameba” (Passion) its Greek counterpart is used – “martyrdom” (“martviloba” in Georgian) . It is also worth noting that only once (“The Martyrdom of Saint Abo Tbileli”) is the division of the works into subchapters and their titles, which determines the reader the content and sequence of the narrative, as well as the author’s purposefulness. “Citizenship and Martyrdom”, “Martyrdom and Patience”,

“Life and Martyrdom” can be found in the titles of works of the “Martyrdom” genre, which, in turn, prepares the reader for a story about the protagonist’s inquisitive path, existence, his worldly courage and work.

The names of “lives”, as it turns out, are heterogeneous; keimenon editions are represented by relatively short and concise titles, in metaphrased editions we find both short and long titles, which provide various types of information (personality, epithets, origin, place of service, church rank, merits, author’s name, etc.). Only in one work (“The Life of St. Nino”) we find chapter headings. In the titles of works depicting the activities of the great church fathers, for the most part, one main character is named; There are times when two people are named; There are examples in which, along with the main characters, their associates are also mentioned. In the works of this genre, for the most part, “life and citizenship” is mentioned, which, along with the genre designation, outlines their life path, the worldly achievements of the one following the divine path, and directs the reader’s attention to these areas. It should be noted that in one of them (“The Life of Saint Gregory of Khandzta”) we find “labor and activity”, which, it seems to us, refers to spiritual and physical labor. It should be noted that the title “Life and Miracles” is mentioned only in one case (“The Life of Saint Shio Mgvimeli”), which emphasizes the perfection and grace of the Holy Father. It should be noted that in the titles of “lives”, mostly, while mentioning the hero, the possessive pronoun “We” is used, regardless of his nationality, Georgians or “foreigner”. In the latter case, as we think, for the Georgians, their merits and activities are the determining factor, therefore they show special attention and warmth to the authors, they considered them the children of their people. On the one hand, the title mentions “Gruzinsky” (“The Life of Hilarion Iberian”), which, in our opinion, highlights the merits of St. father in Georgia and abroad (which the reader will learn about after reading the work). Here, unlike other writings, there is one more innovation, namely the concept-term “new”, which marks the similarity with the feat of the predecessor – St. Father Hilarion the Great. Unlike works of the martyrdom genre, the titles of the Lives do not give the reader (at least in general terms) an idea of the era described in the work.

On the basis of a comparison of Georgian hagiographic works with the titles of the same genre of Byzantine texts, the following was distinguished:

– The titles in the original Georgian hagiographic works in some cases follow the names of Byzantine hagiographic works, but there are also differences.

საკვანძო სიტყვები: სათაური, „წამებანი“, „ცხოვრებანი“, ინფორმაცია, სტრუქტურა.

Key words: title, „martirologies“, „lives“, information, structure.

მხატვრული შემოქმედება, ზოგადად, ღვთაებრივი შემოქმედების გამოვლენა-გაცხადებაა. გავიხსენოთ, ადამისეული შემოქმედება, როდესაც ის სახელს არქმევს ღვთისგან მიგვრილ ყველა ცხოველსა და ფრინველს (დაბ. 2, 19-20).

„ადამი აგრძელებს უფლის შემოქმედებას; თავის, ადამისეულ წვლილს სდებს უფლის დაბადებულში; ... ძველების რწმენით სახელის დარქმევს, სახელდება რაიმეს გაჩენის ბადალია... განმეორება სიტყვით შექმნის ღვთიური აქტისა. ...სახელდებით, ადამს არსებითად შემოქმედებითი სიახლე შემოაქვს მის გაჩენამდე არსებულ სამყაროში და ეს სიახლე ადამისეული ბეჭედია უფლის ქმნილებაზე“, – წერს ზ. კიკნაძე (1989, გვ. 17). აღნიშნულის კვალობაზე, ყოველი ადამიანური შემოქმედება, კონკრეტულ შემთხვევაში, ტექსტის სახელდება, „ადამური“ შემოქმედების მიმსგავსებაა, ახალი მხატვრული სინამდვილის ქმნალობაა, რომელსაც ავტორი-შემოქმედი საკუთარი პიროვნული სულითა და სიტყვით აღბეჭდავს, თავის ადგილს მიუჩენს და სხვათაგან განარჩევს კიდეც.

მხატვრული ტექსტების სათაურები მრავალფეროვანია. სათაური ლიტერატურულ ეპოქაზე, ნაწარმოების ჟანრზე, სტილზე, თემატიკასა და განსახოვნების თავისებურებებზე, ავტორის მსოფლმხედველობასა და მკითხველის ფენომენზე მეტყველებს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სათაურის გააზრებას არაერთი ნაშრომი ეძღვნება (რ. ყარალაშვილი, მ. გაბადაძე, მ. გოდუაძე, ც. ბარბაქაძე, თ. ტალიაშვილი,

ნ. მარტაშვილი, თ. ფარულავა). თუმცა, ქართული მხატვრული ტექსტების სახელწოდებათა შესახებ აქ მწირი ინფორმაციაა, უმეტესწილად, თეორიული მსჯელობანია ან უცხოენოვან ტექსტთა სათაურებზეა საუბარი. ძველი ქართული ლიტერატურის სათაურის პოეტიკის შესახებ კვლევა სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ მოვიძიეთ. ჩვენი ნაშრომის მიზანია, შევისწავლოთ, როგორაა წარმოდგენილი თხზულებათა სათაურები სხვადასხვა ეპოქაში, მიჰყვება და ექვემდებარება თუ არა გარკვეულ პრინციპებს და სხვ. ვფიქრობთ, ამგვარი კვლევა გარკვეულ სურათს გამოკვეთს, რაც შემდგომი ეპოქების სათაურის პოეტიკის შესწავლისათვის საფუძველს შექმნის. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლთა უძველესი ხელნაწერები მხოლოდ X ს-ის და შემდეგდროინდელია. ამდენად, მსჯელობაც მათი სახელწოდებების კვალობაზე წარიმართება.

ქართული მწერლობის დასაწყისში, იმ პერიოდის ბიზანტიური მწერლობის მსგავსად, აგიოგრაფიული თხზულებები, „წამებანი“ და „ცხოვრებანი“ იქმნება. პირველი ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულება იაკობ ხუცესს ეკუთვნის (თუმცა, არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული სხვა ძეგლთა პირველადობის შესახებ), სახელწოდებით – **წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა** (უძველესი ხელნაწერი X-XI ს-ისაა).¹ სათაური ლაკონიურია და მწირი ინფორმაციის შემცველი. უპირველეს ყოვლისა, მკითხველი სათაურიდანვე იგებს, რომ თხზულება „წამებათა“ ჟანრისაა. აქვე მოწამის ვინაობა (სახელი) და მის წოდებრივი მდგომარეობაცაა წარმოდგენილი (დედოფალი).

ამავე ტიპისაა უცნობი ავტორის **მარტვლობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა** (უძველესი ხელნაწერი XI ს-ისაა). ეს სათაური მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის მკითხველს. მოწამის ვინაობასთან ერთად ავტორი ევსტათის მკვიდრობის ადგილს (მცხეთას) ასახელებს, უპირველესად კი აქ მოწამის ღვაწლია გამოკვეთილი. სხვა აგიოგრაფიულ თხზულებათაგან განსხვავებით, „წამება“ ბერძნული სიტყვითაა აღნიშნული – „მარტვილობა“, რაც ცხადყოფს, რომ ქართველთაგან ეს სიტყვა იმდენადაა გათავისებული, რომ თავის ქართულ შესატყვისს თავისუფლად ენაცვლება. კიდევ

1 სათაურებს ვიმოწმებთ წიგნიდან – ძეგლები, I, თბ., 1963; ძეგლები, III, თბ., 1971.

ერთი საყურადღებო რამ – მარტვილობასთან ერთად გამოკვეთილია ევსტათის „მოთმინება“, რაც ნიშნავს „დათმენას“, „ღვაწლს“ (აბულაძე, 1973, გვ. 264). „მოთმინება“ სხვა თხზულებათა სახელდებებში არ ჩანს. ამით უცნობი ავტორი მკითხველისათვის მოწამის სულიერ ახოვანებასა და შეუდრეკელობასაც გამოკვეთს.

სრულიად განსხვავებულია იოანე საბანისძის თხზულების სათაური – **წამება წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბომსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, კელითა სარკინოზთადათა, გამოთქმული იოვანე, მისა საბანისი, ბრძანებითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისადათა** (უძველესი ხელნაწერი X ს-ისაა). იგი ვრცელია და მრავალმხრივი ინფორმაციის მომცველი. ირკვევა, რომ თხრობა ეხება ქრისტესთვის წამებულ აბოს, ხოლო ეპითეტები – „წმინდა და ნეტარი“ – მის ღმერთშემოსილობაზე მეტყველებს. „ქრისტეს მოწამეზე“ დასმული აქცენტი გამოკვეთს არაბი ჭაბუკის უფლისადმი უზომო სიყვარულს. აქვე დასახელებულია წამების ადგილი (ქართლი, თბილისი) და მწამებელნი (სარკინოზნი). ეს უკანასკნელი მკითხველის „გულისყურს“ არაბთა მძლავრების ეპოქისკენ წარმართავს. წინა სათაურთაგან განსხვავებით, აქ ავტორსა და მომგებელზეცაა გარკვეული ცნობები, კერძოდ, იოვანე საბანის ძე მისი „გამომთქმელია“.

მენიერთა ნაწილი – ბ. კილანავა (1990), ხ. ზარიძე (1997) – ფიქრობს, რომ უნდა დამკვიდრდეს ფორმა „საბანის ძე“ და არა „საბანისძე“, რადგან საბან იოვანეს მამის სახელია. ნ. სულავას შეხედულებით, ... არ ვიცით, თუ ვინ და რა წოდებისა უნდა ყოფილიყო მამა მწერლისა საბან, მეტიც, არაა საბოლოოდ გარკვეული, თუ რომელ წოდებას მიეკუთვნებოდა თვით იოვანე, ავტორი თხზულებისა. ცხადია, საბან დიდგვაროვანი ფეოდალი უნდა ყოფილიყო, რადგან შვილს სრულყოფილი საღვთისმეტყველო განათლება მისცა. მამისადმი პატივისცემის გამოხატულებაა იოვანეს მოხსენიება მამის სახელით, რაც ძველ დროში არც ხშირია, მაგრამ არც იშვიათი. ასევე სახელითა და მამის სახელით მოიხსენიებს მას თხზულების დამკვეთი სამოელ ქართლის კათალიკოსიც, რომელთან მიმოწერაც თხზულებას წინ უძღვის (2020, ლექცია VI, გვ. 5).

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა იმის შესახებაც, იოვანე საბანის ძე საერო პირი იყო თუ – სასულიერო, რაც

არც სათაურიდან და არც ტექსტიდან გარკვევით არ ჩანს. სათაურში ტექსტის „გამომთქმელად“ იოვანე საკუთარ თავს მესამე პირით წარმოადგენს, რაც, სავარაუდოდ, მისი თავმდაბლობის მაჩვენებელია. „გამომთქმელი“, ვფიქრობთ, იმაზეც მიანიშნებს, რომ მან მხოლოდ „გამოთქვა“ სულიწმინდისგან უწყებული, რაც აგიოგრაფიის პრინციპებს მიჰყვება.

რაც შეეხება მომგებელს, სათაურში მისი ვინაობა და სტატუსიცაა დასახელებული – სამოელ ქართლის კათალიკოსი, რომლის დიდი მონდომებით დაიწერა „წამება“. კ. კეკელიძე საისტორიო წყაროებში დაცული სამოელის კათალიკოსობის ბოლო თარიღით განსაზღვრავს თხზულების დასრულების სავარაუდო დროს (კეკელიძე, 1980, გვ. 130).

აღსანიშნავია, რომ ქართულ ლიტერატურაში პირველად სწორედ „აბოს წამებაში“ გვხვდება ტექსტის თავებად დაყოფა და მათი დასათაურება. რ. სირაძის აზრით, ავტორი ამგვარი სტრუქტურით ყოველი თავის შინაარსსა და მიზანდასახულობას მკაფიოდ განსაზღვრავს. ამდენად, თავების დასათაურება მკითხველისათვის ყოველგვარ მოულოდნელობას გამორიცხავს (სირაძე, 1987). შესაბამისად, მკითხველს განაწყობს, ამზადებს თხრობისათვის, რომ თავების დასათაურებაში გამოკვეთილი ამბის კვალობაზე „გონებისა“ და „გულის“ ყურნი კონკრეტულ ამბავს მიაპყროს და მასთან ერთად გააცნობიეროს აბოს ღვაწლი.

როგორც ცნობილია, „აბოს წამება“ პოლიჟანრულია, რასაც თავების დასათაურება მოწმობს, კერძოდ, პირველი თავი, ჰომილეტიკურია (მსმენელთა „უწყებად“ და „სწავლად“); მეორე და მესამე თავები აგიოგრაფიულია (აბოს ქართლად მოსვლა, ნათლისღება და „წამებად“) და მეოთხე თავი – შესხმა, ხობტა („ქებად“).

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ იოანე საბანისძის თხზულების მოხმობილი ქვესათაურები ამომწურავად გვაწვდის ინფორმაციას ტექსტის შინაარსსა და მის მიზანდასახულობაზე.

ასეთივე ვრცელი სათაური აქვს უცნობი ავტორის თხზულებას – **ცხორება და წამება წმიდისა კონსტანტისი ქართველისაჲ, რომელი იწამა ბაბილონელთა მეფისა ჯაფარის მიერ** (დაცულია XVIII ს-ის ხელნაწერებში). აქ ავტორი გვაწვდის ინფორმაციას მოწამის ვინაობაზე და სახელთან ერთად მის ეროვნებასაც წარმოაჩენს (ქართველი),

რაც გარკვეულ მიზანს ემსახურება – არაქართველ მარტვილებთან ერთად გამოიკვეთოს ქართველი მოწამის ღვაწლი. სხვა აგიოგრაფიულ თხზულებათაგან განსხვავებით, წამებასთან ერთად აქცენტირებულია კონსტანტის ცხოვრებაც. უნდა ითქვას, რომ კონსტანტი კახი საერო პირია და, შესაბამისად, ნაწარმოებში გადმოცემულია მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები, რომლებიც მის ღვთისმომიშობასა და უფლის სიყვარულს წარმოაჩენს.

ნ. სულავას აზრით, თხზულებაში წმ. კონსტანტის წამებულად ქცევამდე მისი ცხოვრების ქრისტიანული წესი, ლიტურგიული ცნობიერების კვალობაზე ცხოვრებაა აღწერილი, რომელიც წამებით სრულდება, და ამიტომაც უწოდა მას ავტორმა „ცხოვრება და წამება“ (2020, ლექცია VIII, გვ. 1).

თხზულების სათაურშივე დასახელებულია უშუალოდ ის პიროვნება, რომლის ბრძანებითაც აწამეს კონსტანტი კახი (მეფე ჯაფარი). მტანჯველის ვინაობის დასახელებით მკითხველი, გარკვეულწილად, ეპოქასაც განსაზღვრავს.

ამავე ტიპის სათაური აქვს *სტეფანე მტბევარის თხზულებას* – წამებად წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ციხით. მე, სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსმან დავწერე ბრძანებითა აშოტ ერისთავთა-ერისთავისადათა გუაკურთხენ, მამაო! (XVIII ს-ის ხელნაწერი). ეს სათაური ზემოგანხილულ თხზულებათა სახელწოდებებისგან განსხვავდება, კერძოდ, მოწამის სახელისა და მისი შეპყრობის ადგილის აღნიშვნის შემდგომ ავტორი პირველ პირში გვამცნობს თავის ვინაობას, წოდებრივ მდგომარეობას (მე, სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსმან) და კურთხევას ითხოვს. მართალია, „აბოს წამების“ სათაურშიც თავჩენილია ავტორი, თუმცა, ამ ფაქტის აღნიშვნა იქ მესამე პირშია (გამოთქმული იოვანე, ძისა საბანისი). „გობრონის წამების“ სათაურში მომგებელ-დამკვეთიც სახელდება, რომელიც უმაღლესი საერო პირია (აშოტ ერისთავთ-ერისთავი). ამასთან დაკავშირებით ნ. სულავა წერს – როგორც ჩანს, სტეფანე მტბევარი თანამედროვეებს საღვთისმეტყველო მწერლობაში ღრმად განსწავლულ პიროვნებად მიაჩნდათ, რადგან აშოტ კუხს მისთვის დაუვალეობია ყველის ციხესთან მეზრძოლი, მამაცობით განთქმული დიდებულის, მიქელ-გობრონის წამების აღწერა (2020, ლექცია VIII, გვ. 13). ვფიქრობთ, მკითხველი ამ დეტალით იმასაც ხვდება, რომ სა-

ერო პირები დაინტერესებულნი იყვნენ მოწამეთა ღვაწლის აღწერით, რაც არა მხოლოდ ეროვნულ-სარწმუნოებრივი სულისკვეთებით იყო განპირობებული, პოლიტიკურ-იდეოლოგიური თვალსაზრისითაც.

„წამებათა“ ჟანრის ნაწარმოებთა შორის სათაურის თვალსაზრისით გამოირჩევა მეტაფრაზული თხზულება (უძველესი ხელნაწერი XII ს-ისა) – **წამებად და ღუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგუეთისასა, საბრძანებელსა ქართველთასა შემდგომად მიცვალებისა დიდისა მის და მალლისა მეფისა ვახტანგ გორგასალისსა, რომელმან მეფობად ყოვლისა ქუეყანისა საფლავად შთაიტანა, უღმრთოდსა მის მძლავრისა სპარსთა მეფისა მურმან აბულ-კასიმისგან, რომელსა ეწოდა ნართაულად ყრუ, რომელი იყო დისწული მუჰმად ცუდ სახელისა მოციქულისა.** მეტაფრასტიკის კვალობაზე გამართულ ამ სათაურს თხრობითი ფორმა აქვს და საკმაოდ ვრცელია. სათაური მკითხველ/მსმენელს ამცნობს, რომ თხრობა ორი მოწამის (დავითსა და კონსტანტინეს) შესახებაა, რაც მას განასხვავებს სხვა მარტვილოლოგიურ თხზულებათაგან. სათაურში „სიწმინდესთან“ ერთად მათი „დიდებულებაცა“ გამოკვეთილი. აქვე სრულადაა წარმოდგენილი დრო-სივრცული გარემო, მათი წამების ადგილი (ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგუეთისასა, საბრძანებელსა ქართველთასა), რომელსაც დროითი განმარტებაც ახლავს – ვახტანგ გორგასლის მეფობის შემდგომი პერიოდი; აღმატებული ეპითეტებითაა შემკული თავად ვახტანგ მეფე; აქვე ვახტანგის გარდაცვალებით მეფობის პერიოდის დასასრულზეცაა მითითება. სათაურშივე სახელდება მტარვალის ვინაობა (სპარსთა მეფე მურმან აბულ-კასიმი), მისი ზედწოდებაც (ნართაულად ყრუ) და შთამომავლობითი ხაზი, თავისი უარყოფითი დატვირთვით (დისწული მუჰმად ცუდ სახელისა მოციქულისა). მსგავსი ტიპის სათაური ქართული მეტაფრასული აგიოგრაფიის არც ერთ თხზულებაში არ იძებნება.

ვრცელი სათაური უძღვის უცნობი ავტორის თხზულებას – **წამებად ყრმათა წმიდათა რიცხვთ ცხრათა, რომელნი იყვნეს სულითა ძმანი ნათლის-ღებითა წმიდისაგან ემბაზისა, ხოლო შობილ იყვნეს თავის-თავისა დედისაგან თვისისა** (ერთადერთი ხელნაწერი ათონის X ს-ის მრავალთავშია დაცული). სათაურიდან ირკვევა, რომ წამებულნი ყრმები, ბავშვები, არიან; დასახელებულია მათი რაოდენობაც

(9). ნ. სულავას აზრით, მნიშვნელობა იმასაც ენიჭება, რომ ისინი ცხრანი არიან, ხოლო ცხრა სამი ტრიადაა, რაც, არეოპაგიტული მოძღვრების თანახმად, ზეციური ძალების, ანგელოზთა დასების შესაბამისია. წმინდანთა დასს ცხრა ბავშვის ზესთასოფლად ამაღლებით ცხრა ანგელოზი შეემატა. თუ სამყაროს აგებულების რაობას, კერძოდ, ცხრა ცის სიმბოლიკასაც გავითვალისწინებთ, ცხრა ყრმა კოლაელის სულიერ ძმებად წარმოსახვა მიზანდასახულია და ქრისტიანული სახისმეტყველებით აიხსნება (2020, ლექცია V, გვ.6).

უკანასკნელ წინადადებასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, აგიოგრაფი ჭეშმარიტების აღწერის პრინციპს იცავს; ის რეალობას აღწერს და სათაურიდანვე გარკვევით აწვდის ინფორმაციას, რომ მარტვილნი ხორციელ, სისხლით ძმობაზე აღმატებული ნათლისღების სიწმინდით შეკრული ძმანი არიან.

სათაურიდან არ ჩანს ყრმათა წარმომავლობა და არც ის, თუ ვინ აწამა ისინი. ამდენად, ტექსტის შინაარსი ნაწილობრივია გახსნილი. სათაურში ყრმების წამების აღნიშვნა იმთავითვე მკითხველის ინტერესს აღძრავს, რადგან მსგავსი შინაარსის ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ თხზულებას ის არ იცნობს. ყოველივე ეს კი მოლოდინის ჰორიზონტს აძლიერებს და ამბის წაკითხვის წყურვილს ამძაფრებს.

ერთ-ერთი ასურელი მამის, აბიბოს ნეკრესელის, მარტვილობის ამსახველი თხზულების სათაურია **წმიდისა მღვდელმოწამისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლისმსახურთა მიერ ქართლს, თქმული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოსისა** (უძველესი ხელნაწერი – X ს-ისაა). სახელწოდებიდან მკითხველი იგებს მოწამის სახელს, მის სასულიერო წოდებასა (ეპისკოპოსი) და სამოღვაწეო ადგილს (ნეკრესი). აქვე წმ. აბიბოსის მტანჯველთა სარწმუნოებაცაა აღნიშნული, რომელიც, თავის მხრივ, მათს ეროვნებასაც (სპარსი) გააცხადებს. სათაურშივეა დაცული ინფორმაცია აბიბოს წამების ადგილის შესახებ (ქართლი), დასახელებულია თხზულების ავტორი (არსენ ქართლის კათალიკოსი).

თხზულების მოკლე რედაქციის სახელწოდებაა **მოქალაქობა და წამება წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა** (უძველესი ხელნაწერი XIII ს – ისაა). იგი ლაკონიურია და, შესაბამისად, მკითხველს მწირ ინფორმაციას აწვდის. დასახელებულია მთავარი გმირი, მისი სასულიერო წოდება. ეს სათაური ყურადღებას იმითაც

იქცევს, რომ ამავე ჟანრის სხვა თხზულებათაგან განსხვავებით აქ „წამებასთან“ ერთად „მოქალაქეობა“ დასახელებული („ცხოვრება და წამება“ დაფიქსირებულია „კონსტანტი კახის წამებაში“), რაც ცხოვრება-მოღვაწეობის აღმნიშვნელია. წმ. აბიბოსი, *მღდელთ-მოდლუარი მადლისად, შუამდგომელი ღმრთისა და კაცთა... ქალაქისა ეპისკოპოსი...* (აბულაძე, 1963, გვ. 241), ჭეშმარიტი რწმენის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის იღვწის. „მოქალაქეობა“ სწორედ აღნიშნულს წარმოაჩენს, მის მოწამეობრივ აღსასრულს კი „წამება“ ამოწმებს.

საინტერესოა, რა არის დაფიქსირებული აგიოგრაფთა მიერ „ცხოვრებათა“ სახელწოდებებში, რა აქცენტები დაისმის და ა.შ. როგორც უკვე აღინიშნა, აგიოგრაფიაში სათაური თხზულების ჟანრს გამოკვეთს.

„ცხოვრებათა“ სათაურების განხილვა, ვფიქრობთ, წმ. ნინოს ცხოვრების ამსახავი თხზულებებით უნდა დავიწყოთ. რ. სირაძე შენიშნავს: წმ. ნინოს ცხოვრების“ „ტექსტის ასეთი ცვალებადობა ფაქტობრივ მისი მკითხველის ცვალებადობის გამოხატულებაა. იცვლება მკითხველი და მისდა შესაბამისად, იცვლება ტექსტი (2008, გვ. 11).

სინურ ხელნაწერებში დაცული „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში შესული „წმ. ნინოს ცხოვრებანი“ უძველესია (მოკლე – Sin-48 და ვრცელი – Sin-50 რედაქციები, IX-X სს.). არც ერთ რედაქციას სათაური არ აქვს (მოკლე რედაქცია ნაკლულია, შესაძლოა, ჰქონოდა სათაური); თავების სახელწოდებები მხოლოდ ვრცელ რედაქციაშია. აქ, უმეტესწილად, დასახელებულია აღმწერის ვინაობა; რიგ შემთხვევებში, სახელდება აღნიშნულ თავში მოთხრობილი მთავარი მოვლენა, ამბავი (მაგ., *მისივე აღწერილი აღმწერისათვის ეკლესიისა და ა.შ.*). ზოგიერთ თავს საკმაოდ ვრცელი სახელწოდება უძღვის და კონკრეტულ ინფორმაციას აწვდის მკითხველს (მაგ., *აღწერილი მისივე სიდუნიაჲსი, ჰურისა დედაკაცისაჲ, რომელი იხილა, დაწერა მირიან მეფისა მოქცევისა, შვერდომისა ნინოსა და ჯუარისა აღმართებისათვის, და ეკლესიათა შენებისათვის და ყოველთა სასწაულთათვის*). ყოველ შემთხვევაში, მკითხველისთვის სავსებით ნათელია, თუ რას ეხება თხრობა და რა არის უმთავრესი სათქმელი.

რაც შეეხება „წმ. ნინოს ცხოვრების“ შატბერდულსა (X ს.) და ჭელიძურ (დაცულია XIII ს-ის ხელნაწერში, ტექსტი გადმოწერილია

IX ს-ის დედნიდან) რედაქციებს. „წმ. ნინოს ცხოვრების“ ე. წ. მოკლე რედაქციას სათაური არ აქვს, რაც, როგორც ჩანს, იმითაა განპირობებული, რომ იგი ქრონიკებში მირიან მეფის დასახელების შემდეგაა წარმოდგენილი. ამ ტექსტში ბოლო ორ თავს აქვს დასათაურება (ერთი გვამცნობს წმ. ნინოს სრბის აღსრულებას, მეორე – სოჯი დედოფლის მონათვლას). თხზულების ე. წ. ვრცელი რედაქციის შატბერდულ ვარიანტს „ლიტონი“ სახელწოდება აქვს – **ცხოვრება წმიდისა ნინოსის**; თავები დასათაურებულია და სინური ხელნაწერის შესატყვისია.

ლეონტი მროველი აღნიშნული თხზულების ახალ რედაქციას (უძველესი ხელნაწერი XV ს-ისაა) საისტორიო თხზულების კვალობაზე უცვლის სახელწოდებას, კერძოდ – **მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა ნინო მოციქულისა მიერ**. როგორც ჩანს, ავტორი, უპირველესად, გამოკვეთს წმ. ნინოს ძალისხმევით მეფე მირიანის და ქართლის ერის გაქრისტიანებას. ამასთანავე, ნინო „წმინდად“, „ნეტარად“ და ქართველთა „დედად“ იწოდება, რაც, თავის მხრივ, სულიერ დედობასთან ერთად წმ. ნინოს ღვთისმშობლის მონაცვლედ დასახვის შესაძლებლობას ქმნის. და, რაც მთავარია, წმ. ნინო მოციქულადაა სახელდებული, განსხვავებით ჭელიშური რედაქციისგან, რომელშიც წმინდანი მოციქულთა სწორად იწოდება, კერძოდ, ელენე დედოფალი წმ. ნინოსადმი გაგზავნილ წერილში მას *სურვილით უწოდა დედოფლად და თვსსა სწორად და სწორად წმიდათა მოციქულთა* (აბულაძე, 1963, გვ. 85). ამდენად, ლეონტი მროველი ამ სათაურით წმ. ნინოს მოციქულის პატივს მიაგებს, რითაც განადიდებს მის ღვაწლს და მკითხველის ყურადღებას აღნიშნულის გაცნობიერებისკენ წარმართავს.

ამავე თხზულების არსენ ბერის მეტაფრასულ რედაქციას (უძველესი ხელნაწერი XIII ს-ისაა) ამგვარი სათაური აქვს – **ცხოვრება და მოქალაქობა და ღვაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩვენისა ნინოსის**. როგორც ჩანს, ავტორი აღადგენს ძველი რედაქციების სათაურს; მათგან განსხვავებით, აქ დამატებულია „მოქალაქობა“, რაც ცხოვრებასთან ერთად მოღვაწეობასაც აღნიშნავს. ამ შემთხვევაშიც ხაზგასმულია წმ. ნინოს ღვაწლი და მისი ქართველთა „დედად“ ხმობის პატივი. თხზულების სათაურში გამოკვეთილი „ცხოვრება“, „მო-

ქალაქობა“ და „ღუაწლი“, თითქოს, ერთიანად ამოწურავს და კრავს წმ. ნინოს სამისიონერო ცხოვრებას. მკითხველი იმთავითვე იგებს, რომ აქ მოთხრობილი იქნება წმინდანის ცხოვრება (ბიოგრაფიული პასაჟები), მისი მუშაკობა და მათი შემაჯამებელ-დამაგვირგვინებელი ღვაწლი.

უცნობი ავტორის პერიფრაზულ რედაქციას (უძველესი ხელნაწერი XIII ს-ისაა) შემდეგი სათაური უძღვის – **ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნინოსის**. როგორც ჩანს, უცნობი ავტორი უცვლელად იმეორებს მეტაფრასული რედაქციის სათაურის ერთ ნაწლს, ამავდროულად საჭიროდ თვლის, წმ. ნინოს მოციქულთა სწორობა გამოკვეთოს (ლეონტი მროველისაგან განსხვავებით).

ამდენად, „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციათა პირველი სათაური (შატბერდული ვარიანტი; სინურ რედაქციაში არაა) მცირე და ლაკონიურია, შემდგომ ეტაპზე (ლეონტი მროველთან) იგი იცვლება ჟანრის სპეციფიკისდა მიხედვით, გარკვეული ინფორმაციით ივსება, თუმცა, დიდად არაა გავრცობილი; პერიფრაზული რედაქცია მცირედით ცვლის მეტაფრასული რედაქციის სახელწოდებას (ამატებს **მოციქულთა სწორს**), რაც, სავარაუდოდ, მროველისეული რედაქციის სათაურში წმ. ნინოს მოციქულბრივი მისიის („მოციქული“) დაზუსტების მიზნითაა განპირობებული.

„ცხოვრებათა“ ჟანრის შემდეგი თხზულებაა გიორგი მერჩულის **შრომა და მოღუაწება ღირსად ცხოვრებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა, ხანციისა და შატბერდისა აღმაშენებლისა. და მის თანა ქსენება მრავალთა მამათა ნეტართა** (უძველესია XI ს-ის ხელნაწერი). სათაურში დასახელებულია თხზულების მთავარი გმირი. აქ წამყვანია მისი შრომა და ღვწა. „შრომა და ღუაწლი“ – ორივე ლექსემა სულიერთან ერთად წმ. მამათა ფიზიკურ საქმიანობასაც ითავსებს. აქვეა აღნიშნული მამა გრიგოლის წოდებრივი ხარისხი (არქიმანდრიტი) და მთავარი დამსახურება – ხანძთისა და შატბერდის აღმშენებლობა.

ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით, ამგვარად განიმარტება **აღშენება, აშენება, აღშენება, აშენება, აგება, აღმართვა; სიკეთით ავსება, დასახლება, „განგებულება“, გაშენება, დამტკიცება; განახლება, შეძენა** (ძველი ქართული ენის... 1973, გვ. 24). რ. სირამე

დავით მეფის ზედწოდებასთან – „აღმაშენებელთან“ – დაკავშირებით განმარტავს – ...ეს ზედწოდება დავითს დაუმკვიდრდა როგორც მეფეს და როგორც წმინდანს, ე. ი. საერო საქმეთა სულიერი აღმაშენებლობითაც და საეკლესიო ცხოვრების აღმაშენებლობისათვის... (1992, გვ. 93).

ნ. სულავას აზრით, წმ. გრიგოლ ხანცთელმა თავისი მოღვაწეობით საქართველოს სულიერ აღმშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. ამიტომაც უწოდა გიორგი მერჩულემ წმ. გრიგოლს აღმაშენებელი ხანცთისა და შატბერდისა, რომლებიც წმ. გრიგოლთან ერთად არიან თხზულების მთავარი პერსონაჟები (2020, ლექცია XI, გვ. 11).

გიორგი მერჩულის თხზულების სათაურში კიდევ ერთი სიახლეა თავჩენილი, კერძოდ, აქ ავტორი მკითხველს აუწყებს, რომ გრიგოლთან ერთად მოიხსენებს გრიგოლის თანამოღვაწეთ, რომელთაც ტაო-კლარჯეთის აღმშენებლობის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით (...მის თანა ხსენებად მრავალთა მამათა ნეტართა); მკითხველს მათი მხნეობის, შემართების, სულის ახოვანების გაცნობას ჰპირდება, რათა მკითხველი შთააგონოს და ბაძვის წადილი აღუძრას; ამავდროულად, მათი სახელები და საქმენი თაობიდან თაობას გადასცეს (ნათესავადმდე მითხრობა), რადთამცა ერი დაბადებადი აქებდეს... (90 წლის შემდგომ გიორგი მერჩულეს მიერ მამათა ღვაწლის დაფიქსირება ისტორიისა და ეროვნული ცნობიერებისათვის უმნიშვნელოვანესია).

„ცხოვრება და მოქალაქობა“ წამყვანია ბასილ ზარზმელის თხზულების სათაურშიც – **ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი** (მოღწეულია XVI-ის ერთადერთი ხელნაწერით). მკითხველი აქ მხოლოდ ნეტარი მამის სახელს ეცნობა, ეპითეტი „ღმერთ-შემოსილი“ იმთავითვე სერაპიონის სიწმინდეს გამოკვეთს ...**წმინდანის ცხოვრების გზა არის ხორციელი სამოსის შეცვლა ღვთაებრივი ნათლით... წარუვალი ნათლით შემოსილ ანუ განმღრთობილ ადამიანს „ღმერთშემოსილიც“ ეთქმოდა. მის სინონიმად ხშირად გვხვდება „რომელმან ქრისტე შეიმოსა** (გიგინეიშვილი და სხვა., 1999, გვ. 115). უნდა ითქვას, რომ სათაურში სერაპიონის არც ვინაობა-წარმომავლობის შესახებაა ცნობა და არც მოღვაწეობის ადგილზეა მინიშნება. ამგვარი სათაური მკითხველში

იმთავითვე აღძრავს ინტერესს ნეტარი მამის ვინაობის, მისი ნაღვა-
წის გასაცნობად.

ასურელ მამათა ცხოვრების აღმწერ თხზულებათა სათაურებშიც იკითხება „ცხოვრება და მოქალაქეობა“, კერძოდ, ვრცელი (ა) რედაქცია – **ცხოვრებად წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისაჲ. რომელი ბრძანებითა ღმრთისაჲთა და წინამძღვრობითა სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლისად ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა. განაახლა და განავრცო წმიდამან მამამან ჩუენმან ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზმან არსენი** (უძველესი ხელნაწერი XV ს-ისაჲ). ამ სახელწოდებიდან მკითხველი ეცნობა იოანეს მოკლე ბიოგრაფიას, თავდაპირველ (შუამდინარეთი) და საბოლოო (ქართლი) სამოღვაწეო ადგილებს, ხოლო ზედწოდების მიხედვით – კონკრეტული პუნქტისას (ზედაზენი); აქვე აღნიშნულია, რომ იოანესთან ერთად მისი 12 მოწაფეც მოდის. სა-თაური ცხადყოფს მათს საღვთო მისიას, ღვთის ბრძანებითა და სულიწმინდის წინამძღვრობით განსაზღვრულ მათს სვლას. ამავდროულად მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ მის ხელთაჲ მამათა ღვაწლზე მზრუნველი ქართლის კათალიკოსი არსენის მიერ განახლებული და გავრცობილი თხზულება.

თხზულების მოკლე (ბ) რედაქციის სათაურია – **ცხოვრებად და მოქალაქეობად წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაძნელისაჲ და მოწაფეთა მისთაჲ. რომელთა განანათლეს ქუეყანად ესე ჩრდილოეთისაჲ. ხოლო აღწერა არსენი ქართლისა კათალიკოზმან სარგებლად რომელნი ისმენდენ**. ეს სახელწოდებაც საკმაოდ ინფორმაციულია. ვრცელი რედაქციის სათაურისაგან განსხვავებით, აქ აღნიშნება იოანესა და მის მოწაფეთა „მოქალაქეობა“. ავტორი კუთვნილებითი ნაცვალსახელის – „ჩუენი“ – დასახელებით „უცხო“ იოანეს ქართველთა წიაღში მოაქცევს. ავტორი ასევე წარმოაჩენს მათს დამსახურებას – „სიმართლის მზისგან“ მოკლებული „ჩრდილო“ ქართლის განათლებას, რაც მათგან „ახალნერგ“ ქრისტიანთა გაძლიერება-განმტკიცებასა და სამონასტრო, ბერ-მონაზვნური ცხოვრების დაწესება-დაარსებას უკავშირდება. სათაურშივე მითითებულია წმ. იოანეს სამოღვაწეო ადგილი – ზედაზენი; სახელდება აღმწერიც – ქართლის კათალიკოსი არსენი. აქ ისიცაა აღნიშნული, რომ მკითხველ-მსმენელი ამ თხზულებისაგან სულიერ საზრდოს („სარგებელს“) მიიღებს

(გავიხსენოთ რუსთველი – კვლა აქაცა იამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი – რუსთაველი, 1966, სტრ.12, 3).

ამავე თხზულების მეტაფრასული რედაქციის (უძველესი ხელნაწერი XV ს-ისაა) სათაურია – **ცხოვრება წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაძნელისა, რომელი ბრძანებითა ღმრთისაათა და წინამძღურობითა სულისა წმიდისაათა მოივლინა ქუეყანით შუამდი-ნარით ქუეყანად ქართლისა ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა. განახლა და განავრცო წმიდამან მამამან ჩუენმან ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზმან არსენი.** იგი მეტაფრასტიკის კვალობაზეა გავრცობილი; მთავარი მოქმედი გმირის ვინაობის და ქართლში მისი სამოღვაწეო ადგილის დასახელების შემდეგ მკითხველი იგებს არა მარტო წმ. იოანეს ქართლად მისვლის მიზეზს (ღვთაებრივ მოწოდებას და სულიწმინდის წინამძღვრობას), მის თანმხლებ მოწაფეთა რაოდენობას, მათს წარმომავლობას. ისიცაა აღნიშნული, რომ თხზულება განახლებული და განვრცობილია უმაღლესი სასულიერო პირის (ქართლის კათალიკოსი არსენის) მიერ. ამ მონაცემთა მიხედვით, მკითხველი უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას იღებს ასურელ მამებზე; მზაობა აქვს იმისა, რომ დაწვრილებით გაეცნობა საქართველოში ჩამოსულ ბერ-მონაზონთა ცხოვრება-მოღვაწეობას.

ასურელ მამათა „ცხოვრებათა“ სათაურებში თანდათან ცვლილება შეინიშნება. შემდეგი თხზულების სახელწოდებაა **ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩუენისა შიომისი და ევაგრესი** (უძველესი ხელნაწერი XIV-XV სს-ისაა). სათაური ლაკონიურია, თუმცა, სხვათაგან გამორჩეული, რადგან თხრობა ორი წმ. მამის „ცხოვრება“-„მოქალაქობას“ ეძღვნება. მკითხველისათვის უცნობია მათი წარმომავლობა, სამოღვაწეო ადგილი. ამდენად, აღნიშნული სათაური მწირ ინფორმაციას შეიცავს, რაც, თავისთავად, ინტერესს იწვევს; ავტორის მიერ სიტყვაზე „ჩუენი“ აქცენტირება კი კვლავაც მშობლიურის განცდას აღძრავს მკითხველ-მსმენელში და წმინდანთა ცხოვრების მოყვარულთ მისი წაკითხვისაკენ უბიძგებს.

ამავე თხზულების მეტაფრასული რედაქციის სახელწოდებაა **ცხოვრება და საკვრველებანი წმიდისა და ნეტარისა შიომსნი, რომელი იყო ანტიოქიამთ შუამდინარისაათ, ხოლო მოიწია ქუეყანად ქართლისა და დაემკვდრა სარკინისა მღვმესა, რომელი-ესე აღწერა ღირსმან მარტვრი, პირველ რომელსა ეწოდა იოანე, რომელი იყო**

მოწაფეთაგანი წმიდისა იოანესთა კონსტანტინეპოლით (უძვ. ხელნაწერი XII ს-ისაა). სათაური მეტაფრასტიკის კვალობაზეა გავრცობილი. აქ პირველად სახელდება „ცხოვრება და საკვრველებანი“, რაც მკითხველს ამცნობს, რომ წმ. შიოს არა მარტო დაუღალავ მუშაკობას, მისი ხელით აღსრულებულ სასწაულებსაც გაეცნობა. აქვე აღნიშნულია წმ. მამის წარმომავლობა, სამოღვაწეო ადგილი. საკმაო ინფორმაციაა თხზულების ავტორის შესახებაც, სასულიეროსთან ერთად მისი საერო სახელიცაა მოწოდებული (მარტვირი და იოანე), ასევე – მისი მასწავლებლის ვინაობა და წარმომავლობა. ავტორის შესახებ თხზულების სათაურში ასეთი დაწვრილებითი ცნობების აღნიშვნა ერთობ უჩვეულოა აგიოგრაფიული თხზულებისათვის.

ორი თხზულების სათაური – **ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისა** (უძველესი ხელნაწერი XIV-XV სს-ისაა) (მეტაფრასული – **ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისა** – XVII ს.) და **ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა ჩვენისა ილარიონ ქართველისა** (უძველესი ხელნაწერი XI ს-ისაა) (მეტაფრასული – **ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა ჩვენისა ილარიონ ახლისა** – უძველესი ხელნაწერი XI ს-ისაა) – თითქმის იდენტურია და კვლავაც წმ. მამათა ღვაწლს მათი ცხოვრება-მოქალაქეობით წარმოაჩენს. ორივეგან დასახელებულია წმ. მამათა სახელები. პირველ თხზულებაში მითითებულია მამა დავითის სამოღვაწეო ადგილი (გარეჯა). ორივე თხზულების სათაურში წმ. მამების შესახებ თქმული „ჩვენი“ მათ საქართველოს სამონასტრო ცხოვრების დამაშვრალ მუშაკებად წარმოგვიდგენს და, ამავედროულად, მათს სახელებს მშობლიური „სიტყვებით“ მოსავს. მკითხველმაც ამავე განცდითა და გულისხმიერებით თავის „კარავში“ უნდა მიიღოს და „უმასპინძლოს“ მათზე თქმულ სიტყვას. ამ მწირი ინფორმაციის კვალობაზეც მკითხველს წმ. მამებზე გარკვეული წარმოდგენა ექმნება. მეტაფრასული რედაქციის სათაურში დავით გარეჯელის „ღმერთშემოსილობა“ მის ზემოთასულიერებას გამოკვეთს. მამა ილარიონთან დაკავშირებით ყურადღება უნდა გამახვილდეს მისი ეროვნების (ქართველის) აღნიშვნაზე. ამის მიზეზსა და მიზანს მკითხველი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ შეიტყობს, როდესაც გაეცნობა წმ. ილარიონის მოღ-

ვაწეობას საქართველოს ფარგლებს გარეთ, მის ავტორიტეტსა და დამსახურებას.

რაც შეეხება მეტაფრასულ რედაქციაში წმ. ილარიონის სახელთან „ახლის“ ხსენებას: „ახალი“ სამეცნიერო ლიტერატურაში (თ. ჩხენკელი, ზ. კიკნაძე, რ. სირაძე, ლ. გრიგოლაშვილი და სხვ.) სხვადასხვაგვარადაა განმარტებული. ვფიქრობთ, ილარიონ ქართველს „ახალი“ ცნობილი პალესტინელი ასკეტის ილარიონ დიდის (291-371/372 წ.წ) სახელთან დაკავშირებით ეწოდება. იკვეთება მსგავსება, კერძოდ, ილარიონ ქართველიც ტოვებს სამშობლოს, ერთხანს იორდანეს უდაბნოს ქვაბში დაყუდებით ცხოვრობს, შემდგომ ბრუნდება საქართველოში; ილარიონ დიდის მსგავსად, მასაც ოჯახის წევრები გარდაცვლილი დახვდება (დედის გარდა) და ოჯახის მონაგებს (ნაწილს) გლახაკებს ურიგებს (როგორც ილარიონ დიდი). რაც მთავარია, ორივე მოღვაწე სამონასტრო ცხოვრებას უყრის საფუძველს საზღვარგარეთ, სხვადასხვა ადგილას აარსებს მონასტრებს და უცხოეთში აღესრულება.

საინტერესოა, რას წარმოაჩენს ათონელთა „ცხოვრებების“ სახელწოდებანი. გიორგი ათონელის თხზულების სათაურია **ცხოვრება მამისა ჩვენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცეს-მონაზონისა** (XI ს-ის ხელნაწერი). სათაურიდან მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ თხრობა ორი წმინდა მამის ცხოვრება-მოქალაქობას ეხება. აქ „ჩვენი“ (განსახვავებით ასურელ მამათა მიმართ თქმულისაგან) ეროვნებას (ქართველს) გულისხმობს. სათაურიდან მკითხველი მხოლოდ წმ. მამების სახელებს იგებს, არც სამოღვაწეო ადგილზეა მინიშნება და არც მათი ნათესაური კავშირია ფიქსირებული; მკითხველი მხოლოდ ტექსტის გაცნობისას იგებს, რომ ათონზე მოღვაწე მამა-შვილზეა საუბარი. დაკონკრეტებულია ავტორის ვინაობა და მისი სასულიერო წოდება. აქვე, აგიოგრაფიის პრინციპთა კვალობაზე, მისი თავმდაბლობა („სიგლახაკე“) წარმოჩინდება.

გიორგი მცირის თხზულების სათაური ე.წ. შაბლონურ სახელწოდებათა რიგზეა გაწყობილი – **ცხოვრება და მოქალაქობა წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი ათონელისაჲ**. ავტორი მკითხველს უშუალოდ წარუდგენს თხზულების მთავარ გმირს, რომელსაც „ნეტარს“ უწოდებს; ასახელებს მისი მოღვაწეობის ადგილს.

როგორც იოანესა და ექვთიმეს შემთხვევაში, აქაც გიორგი „ჩუნად“ იწოდება. მკითხველი მის ცხოვრება-მოქალაქეობას და თვალშეუდგამ სულიერ სიმაღლეს მხოლოდ თხზულების წაკითხვის შემდეგ შეიტყობს.

საინტერესოა ბიზანტიური აგიოგრაფიული თხზულებების სათაურებზე თვალის გადევნება, რამდენად მიჰყვება მათ ორიგინალური ქართული აგიოგრაფიული ტექსტების სახელწოდებები, შეინიშნება თუ არა რაიმე განსხვავება. ამ მიზნით, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, ბიზანტიურ აგიოგრაფიულ თხზულებათა სათაურების მცირე ნაწილს მოვიხმობთ. **„წამებათა“ ჟანრი, კიმენი** – „წამებად წმიდისა და დიდებულისა დიდი მოწამისა ანასტასიასი“, „წამებად წმიდისა და ნეტარისა მამისა ათანასესი, რომელი იწამა ქალაქსა შინა კულიზმას, რომელ არს ეგვიპტისა“, „წამებად წმიდისა ათენაგენესი, ეპისკოპოსისა სევასტისა დიოკლეთიანე მეფისა ზე უღმრთოასა“, „წამებად წმიდათა მამათა, რომელნი მოისრნეს ბარბაროზთაგან ლავრასა შინა წმიდისა მამისა ჩუენისა საბადსა. აღწერა ამბა სტეფანე მანსურის ძემან დამასკელმან საბაწმინდას“; **მეტაფრასი** – „ღუაწლი და სიმკნე წმიდისა მამისა ჩუენისა მღდელმოწამისა, ანთიმოასი ნიკომიდიელთა ეპისკოპოსისა, რომელ ეწამა მაქსიმიანეს ზე“, „ღვაწლი წმიდისა და დიდებულის მღდელმოწამისა ქრისტესისა ავტონომოსი“, „ცხოვრებად და მოქალაქობად და წამებად მოწესე მოწამისა ანასტასია ჰრომისა“ და სხვ.¹

მოხმობილ თხზულებათა სათაურებიდან ჩანს, რომ არსებობს როგორც ლაკონიური, ასევე ვრცელი სახელწოდებები, განურჩევლად იმისა, კიმენური ტექსტია, თუ მეტაფრასული (როგორც ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებათა შემთხვევებში), ფიქსირდება მოწამე/მოწამეთა სახელები, რიგ შემთხვევაში – მათი ვინაობა (წოდება, წარმომავლობა), მოწამის ეპითეტები („წმინდა“, „ნეტარი“, „დიდებულო“), წამების დრო და ადგილი, მწამებელნი, აღმწერელი, აღწერის ადგილი (რაც ქართულ ძეგლთა სათაურებში არ ჩანს) და ა.შ. სათაურებში, უმთავრესად კიმენურში, აღნიშნულია „წამებად“, მეტაფრასულში – „ცხოვრებად და მოქალაქობად და მიცვალებად“, „ცხოვრებად და მოქალაქობად და წამებად“ (მათ მიჰყვება ქართული აგიოგრაფიული

1 თხზულებათა სათაურებს ვიმოწმებთ წიგნიდან: ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია. თბილისი, 2004.

თხზულებათა სათაურები – „მოქალაქეობა და წამება“, „მარტვილობა და მოთმინება“, „ცხოვრება და წამება“); განსხვავებით ქართული აგიოგრაფიული თხზულებებისგან, გვხვდება „ღუაწლი“, „ღუაწლი და სიმხნე“, „წამება და სიმწნით მოთმინება“, „ქსენება“, „მოსაცსენებელი“ და სხვ.

„ცხოვრებათა“ ჟანრი, კიმენი – „ცხოვრება და ღუაწლი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ათანასე მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა“, „ცხოვრება და საკვრველებანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ეპისკოპოსისა აკრაკანტელთა ქალაქისა, რომელ არს სიკილიისა. აღწერა ლეონ ხუცესმან და მონაზონმან წმიდისა მამისა ჩუენისა საბადს ლავრასა მამასახლისმან, რომელი არს ქალაქსა შინა დიდსა ჰრომს, ხოლო თარგმნა ენასა ჩუენსა სანატრელმან დავით ტბელმან“ და სხვ. **მეტაფრასი** – „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა ჩუენისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა“, „ღვაწლი წმიდისა და დიდებულის მღდელმოწამისა ქრისტესისა ავტონომოსი“, „საქმენი და აღსასრული წმიდისა კორნელიოს ასისტავისა“, „მოთხრობა ღუაწლისა და ვნებულებათა ღირსისა და აღმსარებელისა მაქსიმესთა და ანასტასი მოწაფისა მისისათა და ამათ თანა მრავალღუაწლისა რომთა პაპისა მარტინესი“ და სხვ.

როგორც ჩანს, „ცხოვრებათა“ ჟანრის ბიზანტიური თხზულებების სათაურებში, რიგ შემთხვევებში, დასახელებულია მოღვაწის/მოღვაწეთა ვინაობა (წოდება, წარმომავლობა), აღმწერის ვინაობა (წოდება, მოღვაწეობის ადგილი, თანამდებობა და ა.შ.), ეპითეტები (წმინდა, ნეტარი, ასევე – დიდებული; იშვიათად – მეტაფორაც), ზოგჯერ – მთარგმნელის ვინაობა. მოკლე და ვრცელი სათაურები შეიძლება ჰქონდეს როგორც კიმენურ, ასევე – მეტაფრასულ თხზულებებს. სათაურში ხშირადაა გამოტანილი „ცხოვრება და მოქალაქეობა“; ამავე ჟანრის ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებათაგან განსხვავებით, გვხვდება – „საქმენი და აღსასრული“, „ცხოვრება და განგება“, „ცხოვრება და ღუაწლი“, „მოთხრობა ღუაწლისა და ვნებულებათა“, „ქსენება“, „კერძობითთა საკვრველებათა მოთხრობა“ და ა.შ.

ყოველივე ზემოგანხილულის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი – აგიოგრაფიულ თხზულებათა სათაურები, უპირველეს ყოვლისა, ჟანრს განსაზღვრავს: „წამებას“ ან „ცხოვრება-მოქალაქეობას“; თუმცა,

განსხვავება ერთსა და იმავე ჟანრის თხზულებათა სათაურების წყობასა და შინაარსშიც წარმოჩინდება. „წამებათა“ სახელწოდებანი არაერთგვაროვანია; გვხვდება როგორც ვრცელი, ინფორმაციულად დატვირთული სათაურები, ასევე – მოკლე, ლაკონიური სათაურები, რომლებიც მხოლოდ მთავარ გმირს ასახელებს, შესაძლოა, მისი ეროვნება ან სამკვიდრო ადგილიც იყოს აღნიშნული. ვრცელ სათაურებში, უმეტესწილად, ავტორისა და მომგებლის სახელიც წარმოჩინდება. გვხვდება ისეთი სათაურები, რომლებშიც მოწამის მტანჯველთა ვინაობაცაა დასახელებული, რაც მათს სარწმუნოებრივ აღმსარებლობასა და ეროვნებასთან ერთად ეპოქასაც გამოკვეთს. აღსანიშნია, რომ ერთგან („ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“) „წამების“ ნაცვლად მისი ბერძნული შესატყვისი – „მარტვილობა“ – სახელდება. ასევე ყურადსაღებია, რომ მხოლოდ ერთგზის („აბოს წამება“) გვხვდება თხზულების ქვეთავებად დაყოფა და მათი დასათაურება, რაც მკითხველს იმთავითვე განუსაზღვრავს თხრობის შინაარსსა და თანმიმდევრობას, აგრეთვე – ავტორის მიზანდასახულობას. „წამებათა“ სათაურებში გვხვდება „მოქალაქეობა და წამება“, „მარტვილობა და მოთმინება“, „ცხოვრება და წამება“, რაც, თავის მხრივ, მკითხველს მთავარი გმირის წამებამდელი ყოფის, მისი ამქვეყნიური მხნეობა-მუშაკობის შესახებ თხრობისათვის განაწყობს.

„ცხოვრებათა“ სათაურები, როგორც ირკვევა, არაერთგვაროვანია; კიმენური რედაქციები შედარებით მოკლე და ლაკონიური სათაურებითაა წარმოდგენილი, მეტაფრასულ რედაქციებში ვხვდებით როგორც მოკლე, ასევე – ვრცელ სათაურებს, რომლებშიც სხვადასხვაგვარი ინფორმაციაა მოწოდებული (ვინაობა, ეპითეტები, წარმომავლობა, სამოღვაწეო ადგილი, სასულიერო წოდება, დამსახურება, ავტორის ვინაობა და სხვ.). მხოლოდ ერთ თხზულებაში („წმ. ნინოს ცხოვრება“) გვხვდება თავების დასათაურება. წმ. მამათა ღვაწლის ამსახავ თხზულებათა სათაურებში, უმეტესწილად, ერთი მთავარი გმირი სახელდება; არის შემთხვევები, როდესაც ორი პირია დასახელებული; გვხვდება ნიმუშები, რომლებშიც მთავარ გმირებთან ერთად მათი თანამოღვაწენიც მოიხსენებიან. ამ ჟანრის თხზულებებში, უმეტესწილად, თავჩენილია „ცხოვრება და მოქალაქეობა“, რაც ჟანრის აღნიშვნასთან ერთად საღვთო სარბიელზე გამოსულთა ამქვეყნიურ ღვაწლს გამოკვეთს და მკითხველის ყურადღებას ამ სფეროებისკენ

წარმართავს. აღსანიშნია, რომ ერთგან („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) გვხვდება „შრომადა და მოღვაწეობა“, რაც, ვფიქრობთ, სულიერ და ხორციელ მუშაკობას გულისხმობს. ასევე ერთგან სათაურში თავჩენილი „ცხოვრება და საკვრველებანი...“ („შიო მღვიმელის ცხოვრება“), რაც წმ. მამის სრულყოფილებასა და მადლმოსილებას გამოკვეთს. აღსანიშნია, რომ „ცხოვრებათა“ სახელწოდებებში, უმეტესწილად, გმირის ხსენებისას კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩუენი“ მოიხმობა, განურჩევლად ეროვნებისა, ქართველია ის თუ „უცხოდა“ მოსული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ქართველთათვის მათი ღვაწლია ამოსავალი, რის გამოც ისინი ავტორებს მშობლიური სიტყვობით „შეუმოსავთ“ და საკუთარი ერის შვილებად მიუჩნევიან. ერთგან სათაურში იხსენება „ქართველი“ („ილარიონ ქართველის ცხოვრება“), რაც, ჩვენი აზრით, გამოკვეთს წმ. მამის ღვაწლს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. აქვე, სხვა თხზულებათაგან განსხვავებით, კიდევ ერთი სიახლეა, კერძოდ, გვხვდება ცნება-ტერმინი „ახალი“, რაც წინამორბედი წმ. მამის (ილარიონ დიდის) ღვაწლთან მსგავსებას აფიქსირებს. განსხვავებით „წამებათა“ ჟანრის თხზულებებისაგან, „ცხოვრებათა“ სათაურები რიგით მკითხველს ნაწარმოებში აღწერილ ეპოქაზე წარმოდგენას (ზოგადად მაინც) ვერ უქმნის.

ბიზანტიური აგიოგრაფიულ თხზულებათა სათაურებზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის თხზულებებში სათაურები, ძირითადად, მიჰყვება ბიზანტიური აგიოგრაფიული თხზულებების სახელწოდებებს, თუმცა, განსხვავებებიც შეინიშნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. (1963). ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, თბილისი: „საქათველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- გიგინეიშვილი, მ., გრიგოლაშვილი, ლ., როდონაია, ვ. (1990). ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია (1999). IX კლასი, თბილისი: „საქართველოს მაცნე“.

- ზარიძე, ხ. (1997). „წამებად წმიდისა მოწამისა ჰაზოდის“ (იდეურ-მხატვრული ანალიზი), იოანე საბანისძე. „წამებად წმიდისა მოწამისა ჰაზოდის“, აბიტურიენტის ბიბლიოთეკა, 55-79, თბილისი: „ქართული ენა“.
- კეკელიძე, ვ. (1980). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბილისი: „მეცნიერება“.
- კიკნაძე, ზ. (1989). საუბრები ბიბლიაზე, თბილისი: „მეცნიერება“.
- კილანავა, ბ. (1990). იოვანე, ძე საბანისი, ქართული დამწერლობისა და მწერლობის სათავეებთან, 260-280, თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.
- რუსთაველი, შ. (1966). რუსთაველი შ. „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- სირაძე, რ. (1987). ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბილისი: „განათლება“.
- სირაძე, რ. (1987). ქართული აგიოგრაფია, თბილისი: „ნაკადული“.
- სირაძე, რ. (1992). ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.
- სირაძე, რ. (2008). კულტურა და სახისმეტყველება, თბილისი: „ინტელექტი“.
- სულავა, ნ. (2020). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1, (სალექციო კურსი, ხელნაწერი).
- ძველი ქართული ენის ლექსიკონი (1997). თბილისი: „მეცნიერება“.

References:

- Abuladze, I. (1963). Dzveli kartuli agiograpiuli lit'erat'uris dzeglebi. 1. [Monuments of ancient Georgian hagiographic literature. 1]. Tbilisi: „Georgian Academy of Sciences Publishing House“.
- Dzveli kartuli enis leksik'oni. (1997). [Dictionary of the Old Georgian Language]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Gigineishvili, M. Grigolashvili, L. Rodonaia, V. (1999). Dzveli kartuli lit'erat'uris kre-stomatia. IX k'las. [Chrestomathy of ancient Georgian literature. Class IX]. Tbilisi: „Sakartvelos Matsne“.
- K'ek'elidze, K'. (1980). Dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria. 1. [History of Ancient Georgian Literature, 1]. Tbilisi: „Metsniereba“.
- K'ik'nadze, Z. (1989). Saubrebi bibliaze. [Conversations about the Bible]. Tbilisi: „Metsnierba“.

- K'ilanava, B. (1990). Iovane, dze Sabanisi. Kartuli mts'erlobisa da damts'erlobis sataveebtan. 260-280. [Iovane, son of Sabanis, of Georgian script and writing At the beginning, 260-280]. Tbilisi: „TSU publishing house“.
- Rustaveli, Sh. (1966). Vepkhist'q'aosani. [The Knight in the Panther's Skin]. Tbilisi: „Sabch'ota Sakartvelo“.
- Siradze, R. (1987). Lit'erat'urul-estet'ik'uri nark'vevebi. [Literary-aesthetic essays]. Tbilisi: „Ganatileba“.
- Siradze, R. (1987). Kartuli hagiografia. [Georgian Hagiography]. Tbilisi: „Nakaduli“.
- Siradze, R. (1992). Kristianuli mts'erloba da kartuli k'ult'ura. [Christian culture and Georgian writing]. Tbilisi: „Tsu publishing house“.
- Siradze, R. (2008). K'ult'ura da sakhismet'q'veleba. [Culture and Facial Expression]. Tbilisi: „Intelekti“.
- Sulava, N. (2020). Dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria. 1. (salektsio k'ursi. Khelnats'eri) [History of Ancient Georgian Literature (Lecture course. Manuscript)].
- Zaridze, Kh. (1997). „Tsa'mebai ts'midisa mots'amisa Haboisi“ (ideur-mkhat'vruli analizi). Ioane Sabanisdze. [„The Martyrdom of the Holy Martyr Habo“ (Ideological-artisticn Analysis), Ioane Sabanisdze]. Tbilisi: „Kartuli ena“.

მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური

Mary Khukhunaishvili-Tsiklauri

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

დალის მითოსური ისტორიის შესწავლისათვის ამირანის ეპოსში

Mythological Image of Dali in the Epos of Amirani

Comparative analysis of the versions of the Epos of Amirani (220 texts collected in the 17 historical-geographical regions of Georgia) confirms that it is a quite complex epic story. The legend is divided into three cycles: the birth of Amirani by hunting deity Dali, his exploits and the punishment of the hero. The story is based on various mytho-religious layers created and precipitated during the course of time, each of them being relatively independent but having the interconnection, where indisputably are presented the stages of development of the Georgian mythology.

The story is regarded to be derived from the old hunting ballade “Dali is Giving Birth on the Crag.” It must be noted that the story of the parturient Dali underlay the round dance song which is one of the oldest Georgian (Svan) round dance songs together with “Amirani’s Round Dance” or so called „Hunting”. The story of kidnapping Dali’s newborn baby by the wolf must be the mythological motif of the ancient myth depicting the periodical waning of the moon or its eclipse (Virsaladze, 1964, p. 79). It is known that as a result of astralization a hunting deity was connected with the cult of the moon alike Artemis and Diana. Dali’s newborn child in the demand of the Goddess after her death is placed on the crossroad, sacred place of Triple Goddess (Diana, Artemis, Hecate) representing life cycles like the moon (birth, life and death).

Except lunar attributes Dali is bearer of the traits of the Morning Star (Venus), having copper teeth. Svan traditions preserved rituals of worship of Dali as of the Morning Star. In Georgian mythology Morning Star was a goddess of fertility. Amirani inherited not only the Lunar image of his mother but Solar symbols, too: being half of silver and half of gold, having the Moon and the Sun on the forehead, being of copper and forged in the fire. The hero swallowed by a dragon (a dev) with the help of the clan golden (diamond) knife freed captured Sun and Moon. His eyes look like two sieves (symbol of the sky / the Moon). In the versions of the Legend, Amirani after birth from Dali inherited a tiger's tail as a weapon, too. This brings forward the necessity to continue the investigation of the mythological history of Dali. It must be noted that the name "Dali" is phonetically close to the word "God" or "Deity" of the nations living in the Northern Caucasus. Hence we can suppose that at some time "Dali" was the common Caucasian highest Goddess with supreme rank and functions. After a time she was transformed into a local Georgian hunting deity.

Supposedly the investigation of the motif of Dali and a tiger could help in going forward to solve the problem of the genetic roots of the Goddess.

საკვანძო სიტყვები: ქართული მითოლოგია, დალი, ამირანი, მთვარე, ცისკრის ვარსკვლავი.

Key words: Georgian Mythology, Dali, Amirani, Moon, Morning Star.

ქართველთა წარმართული სარწმუნოების ხასიათის შესასწავლად ივ. ჯავახიშვილს მნიშვნელოვნად მიაჩნდა ამირანის თქმულების ვარიანტების შედარებითი შესწავლა, რადგანაც ამირანის ეპოსი წარმოადგენდა ძველის-ძველი წარმართობის-დროინდელი თქმულების სანიმუშო მაგალითს (ჯავახიშვილი, 1951, გვ. 149). შ. ნუცუბიძის აზრით, ამირანის თქმულება არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, თუ მეტი არა, ვიდრე რომელიმე საკულტო გამოსახულება ქვაზე ან ლითონ-

ზე, ანუ ადრინდელი წარწერა. თქმულებათა უპირატესობად მეცნიერს მიაჩნდა ის, რომ ამირანის თქმულებანი თაობიდან თაობამდე, ფორმაციიდან ფორმაციამდე წარსულსაც ინარჩუნებდნენ და განვითარების მომენტსაც აღბეჭდავდნენ (ნუცუბიძე, 1945, გვ. XI). ე. ვირსალაძე აღნიშნავდა, რომ ამირანის თქმულება ორგანულად იყო ამოზრდილი ქართული წარმოდგენების უძველესი კომპლექსიდან, ხოლო საგმირო ეპოსის ჩასახვისა და განვითარების უადრესი საფეხურები მტკიცედ იყო გადაჯაჭვული მითოლოგიასთან, მითოლოგიურ აზროვნებასთან. ამირანის წარმოშობა ქალღვთაებისაგან ეჭვს გარეშე იყო. თუ მსოფლიო ეპოსის უდიდესი ძეგლები: ედა, გილგამეშიანი, სიმღერა ნიბელუნგებზე, რამაიანა, სიმღერა როლანდზე ადრევე იყვნენ ფიქსირებულნი წერილობითი სახით, ამირანიანი ზეპირი ტრადიციის შედეგი იყო საქართველოში. ამირანის ეპოსი ვითარდებოდა მთაშიც და ბარშიც. ბარის საქართველოში ამირანიანი ლიტერატურული გადამუშავების ობიექტად იქცა (ვირსალაძე, 1959, გვ. 255-259; 1964, გვ. 77-78). წინამდებარე გამოკვლევას საფუძვლად სწორედ ამირანის ეპოსის ვარიანტების (220 ტექსტის) ანალიზის შედეგები დაედო, რომელთა ჩაწერის არეალი მოიცავს საქართველოს 17 ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონს – მთასაც და ბარსაც. ეპოსის აღნიშნული ვარიანტები თავმოყრილია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების მიერ 2019 წელს გამოცემული ამირანიანის კრებულში (რედაქტორები: ზურაბ კიკნაძე, რუსუდან ჩოლოყაშვილი). აღნიშნული კრებული წარმოადგენს პროფ. მიხეილ ჩიქოვანის მიერ 1947 წელს გამოცემული ამირანიანის (69 ტექსტი) გაფართოებულ გამოცემას.

თქმულების ვერსიების შესწავლისას ამირანის შობის ციკლში დალის მოტივი იმდენად მნიშვნელოვნად გამოიკვეთა, რომ ტექსტობრივმა მასალამ დალიზე არსებული მითოსური წარმოდგენების გაფართოების საშუალება მოგვცა. მართალია, ამირანის შობის შემდეგ დალი კვდება და ეპოსში შემდგომ აღარ ფიგურირებს, მაგრამ ამირანი იმეორებს დედას და მთელ რიგ ეპიზოდებში დედის მითოსური ატრიბუტების მატარებელია.

1 ჩვენ მიერ გამოკვლევაში დამოწმებული „ამირანიანის“ ვარიანტები წარმოდგენილია 2019 წლის გამოცემიდან კრებულში წარმოდგენილი ტექსტების ნუმერაციის მიხედვით.

როგორც ცნობილია, ამირანის ეპოსი სამი ციკლისგან შედგება: **ამირანის დაბადება, ამირანის საგმირო თავგადასავლები და ამირანის დასჯა**. ჩვენ შეგნებულად არ ვიყენებთ სიტყვა „მიჯაჭვას“, რადგანაც ვარიანტებში ამირანის დასჯის სხვა ფორმებიცაა გამოყენებული და ქრისტიანული წმინდანები არ ფიგურირებენ. ზოგჯერ ამირანის ამბავს ბედნიერი დასასრულიც აქვს. საყურადღებოა, რომ თქმულების თითოეული ციკლი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, სხვადასხვა პერიოდისა და ფორმაციის მითო-რელიგიური წარმოდგენებისგან არის შექმნილი, რომელთა გამაერთიანებელიც დალი და ამირანია. დალის მშობიარობის მოტივი უძველესი მითოსური ფრაგმენტია, რომელსაც საფუძვლად დაედო ქართული (სვანური) **სამონადირეო ბალადა „დალი კლდეში მშობიარობს“** (ვირსალაძე, 1964, გვ. 74-79; თათარაძე, 1976, გვ. 16-17; სამსონაძე, 2018, გვ. 269-272). ამირანის დაბადების ციკლში იკვეთება დალის როგორც არა მხოლოდ ნადირთ-ღვთაების სახე, არამედ სხვა ღვთაებრივი ფუნქციებიც, რასაც თავის დროზე ე. ვირსალაძე ვარაუდობდა: *„მგლის მიერ დალის ჩვილის მოტაცების მოტივი შესაძლოა ნადირთღვთაების მიერ ასტრალური ნიშნების მიღების შემდეგ, მთვარის პერიოდული დაკნინების ან მთვარის დაბნელების მითოსი ყოფილიყო“* (1964, გვ.79). დალი კლდეში მშობიარობს და კვილით იპყრობს მონადირის ან მჭედლის, მათ შორის ღმერთების მჭედლის ყურადღებას. კვილის მიზეზი მშობიარობა ან დაკარგული ქმრის გახსენებაა (N174, N175, N177, N181, N185, N186, N188, N190, N197, N199, N201). **კვილის დროს დალი ქვეყანას თხრის, ნედლ ხეებს ახმობს, გამხმარს ნედლად აქცევს; რაც მაკვია, იმას მუცელს უშლის, ცხოველია თუ ადამიანი; ცხრომის კვირაში ან ახალ კვირაში ყველას ცალი მხარი აქვს გამხმარი; ყოველ კვირაში მთელი სოფელი ფერს იცვლის – ხან შავად, ხან წითლად, ხან ყვითლად; კვილის დროს დილას დაბადებულს საღამოს აქვს თვალი გაფუჭებული, საღამოს დაბადებულს – დილას**. დალის სამყოფელი კლდის თავში მდებარე გამოქვაბულშია, რომელიც დალის ოქროს ატრიბუტებითაა განათებული: ოქროს ტახტით, ოქროს ტაშტით და მასში ჩაფენილი ოქროს ნაწნავებით (N181, N190, N197, N201); კლდეში დალი მარტო ცხოვრობს. ქალღვთაება დათვის ტყავზე წევს (N168); გამოქვაბული გარეული ცხოველების ბალნით არის სავსე (N183); დალის სასათუმალქვეშ ოქროს მაკრატელი (N148), დუქარდი აქვს

(N184, N98); დალი ფლობს ალმასის დანას (N16), ოქროს დანას (N173, N179, N184, N190); ქალღვთაება მზის ამოსვლისას იძინებს (N168), ღრმა ძილი იცის – „**უბედური ძილი ვიციო**“, – ეუბნება მონადირე სულკალმახს (N 45); ამირანი დალის, ზოგი ვერსიის მიხედვით, ან უბიწოდ ჩაესახება (N16, N47), ან უცნობი მონადირე ცამცუმისგან ძილში, რომელმაც ოქროს ნაწნავები მოაჭრა (N 10); ამირანი დალისა და მისი მიჯნური მონადირის (მჭედლის) შვილია, ნაადრევად ჩნდება, რადგანაც ძილის დროს კუდიანმა დედაბერმა (N179), მონადირის ან მჭედლის ცოლმა (N 148, N 51, N174, N181), საკუთარმა მამამ, დამ ან დებმა (N190, N186, N179) ოქროს ნაწნავები მოსჭრეს, ამიტომ დალიმ უნდა ნაადრევად იმშობიაროს და მოკვდეს. მომაკვდავ დალის მშობიარობაში მონადირე (მჭედელი) ეხმარება. მუცლის კვეთის – მშობიარობის – იარაღებია დალის ოქროს (ალმასის) დანა ან მაკრატელი. დალიმ წინასწარ იცის შვილის ღვთაებრიობის შესახებ, რაც იმ ატრიბუტებით არის განსაზღვრული, დედის მუცლიდან რომ დაჰყვება შვილს: ჩვილი ოქროსია, შუბლი – მზის, ტანი ალვისა აქვს. დალი – ოქროს კუბოში, ხოლო ამირანი ოქროს აკვანში უნდა ჩააწვინოს ოქრომჭედელმა მამამ და იამანის წყაროზე დასვას (N150). **ახალშობილი წელს ზემოთ ოქროსია, წელს ქვემოთ – ვერცხლის (N181), შუბლზე მზე და მთვარე უნათებს (N190), ლამპარივით ანათებს (200), ბროლის (6), ოქროს (N 5, N10, N76, N131, N138) ან გიშრის კბილი აქვს (N15), ცხრილისოდენა, საცერივით თვალები (N 25, N76, N138).** ბარონ უსლარის მიერ სვანეთში ჩაწერილი თქმულების მიხედვით, მშობიარე დალს სპილენძის კბილები (ეშვები) აქვს (Потанин, 1899, გვ. 386)¹. დედის მუცლიდან ამირანს პატარა ხმალი დაჰყვება (N1, N127, N130, N 131). იგი დედის მსგავსად ალმასის, ოქროს დანის მფლობელია, რომელიც, თქმულების მიხედვით, საგვარეულო იარაღია (N25, N40, N45, N127, N131, N 138, N148, N173). **საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი ვერსიით ამირანს დედის მუცლიდან საბრძოლო იარაღად ვეფხვის კული დაჰყვა (N176, N198, N200).** ვეფხვის თემა დალი–ამირანის ციკლში სიახლეთა და ჩვენი შემდგომი კვლევის თემა იქნება. ახალშობილი ამირანი დედის დავალებით მონადირემ / მჭედელმა სა-

¹ ტექსტი გამოქვეყნებულია რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში (1895 წ. გვ. 38).

მი გზის გზაჯვარედინზე (N175, N185, N186, N197, N199, N201) ან თორმეტ გზაჯვარედინზე უნდა დატოვოს (N 183).

ამირანს დედისგან მემკვიდრეობით დამაზიანებელი კივილის და ღრმა ძილის უნარი გადაეცა: შემოიკრეფდა გულხელს და ერთი დაკვივლებით სამას ხარს ხოცავდა (N9). ბავშვობაში მის კივილზე ხეებს ფოთლები სცვივოდა (N3). ამირანს ძილი უყვარს, ძილის დროს იზრდება (N15, N168), ძალა ემატება (N131). ამირანს ღრმა ძილით იანვრის თვეში ტანზე დაწყობილი 12 საყენი შეშით სძინავს (N174), სძინავს ერთ თვეს, ერთი მთვარის განახლებას, რითაც სარგებლობენ მისი მტრები – ქაჯები და ამირანი სამუდამოდ ბნელ ხევში მიჰყავთ (N190). დალის მსგავსად ამირანის ატრიბუტი სპილენძია. ცა-ღრუბელთა გამგებლის ასულის მოსატაცებლად მისული ამირანი ზეციურ კოშკში მოსახვედრად მჭედელს თავს კამარის სათამაშოებში შეაჭედვინებს – სპილენძის ვარ და ჭედვისას არ დავიწვებიო (N175). **თუ დალის სიცოცხლე ოქროს ნაწნავებშია, ამირანის სასიცოცხლო ძალა ნეკა თითშია (N10, N76). დალისგან განსხვავებით ამირანის გაცოცხლება შეუძლებელია. ამირანს ჯადოსნური ბალახით კამარი გააცოცხლებს (N 10, N 76).**

დალის კივილით ბუნებას, მცენარეულ, ცხოველურ და ადამიანთა სამყაროს ზიანი ადგება ცხრომის კვირას, ყოველ ახალ კვირას. კივილი მითოლოგიურ სიმბოლოთა სისტემაში ცისა და მიწის კავშირს, კვდომა-აღდგომას გამოხატავს (Кэриот, 1994, გვ. 563). დალი ძლიერი გავლენის მქონე ენერჯის მატარებელი მდედრობითი ღვთაების ნიშნების მატარებელია, რაც მის ლუნარულ ბუნებაზე მიანიშნებს. ცნობილია, რომ მთვარეს უზარმაზარი ძალა აქვს, რადგანაც კოსმოსურ ობიექტებს შორის დედამიწასთან ყველაზე ახლოს იმყოფება. მთვარის თითოეული ფაზა თავისებურად კარგია და თავისებურად საშიში. მთვარის ციკლებს შეუძლია მართოს რეპროდუქცია, ჯანმრთელობა, გამოიწვიოს ანომალიური მოვლენები, რის გამოც უძველესი პერიოდიდან ცის მნათობთა შორის მთვარე განსაკუთრებული დაკვირვების ობიექტი იყო, რაც კარგად არის შემონახული ხალხურ სამკურნალო და სამეურნეო შელოცვებში (შიოშვილი, 1994, გვ. 7-10; 73-77; 177-178; 217-231). ჩვენი აზრით, ამირანის ძილი იანვრის თვეში, დაწყობილი 12 საყენი შეშით, მთვარის კალენდრის დესაკრალიზებული მითოსური ფრაგმენტია, 12 საყენი შეშა კი უკვე გასული წლის

12 თვეზე მიაწიშნებს (N174). როგორც ვ. ბარდაველიძე აღნიშნავდა, გარე ბუნებასთან, ადამიანის ნაყოფიერებასთან და გამრავლებასთან დაკავშირებით საქართველოში, ისევე როგორც ძველ კულტურულ ხალხებში, ღამის მნათობების – მთვარისა და ცისკრის ვარსკვლავის თაყვანისცემა ყოფილა განვითარებული. ვ. ბარდაველიძე, მკვლევარ ალ. სვანიძის მსგავსად, იზიარებდა დალის კავშირს ცისკრის ვარსკვლავის კულტთან ქართულ ხალხურ მისამღერში: „ო დელია, ო დელია, ო დელია ნანუნი, ო დელია, ო დელია რანუნი“, „ვარდო დელი, ო დელი, ო დელა ეა ვარდო“ (ბარდაველიძე, 1953, გვ. 83-89; სვანიძე, 1936, გვ. 35-36). სვანურ ტრადიციაში ცისკრის ვარსკვლავის კულტის ამსახველ კვერად „კუანჭილი“, ანუ „ანჭი – კუანჭი“ მიაჩნდა, რომელიც ერთ-ერთი სვანური წარმართული რიტუალის მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო. ლოცვა ტარდებოდა გარიჟრაჟზე. მლოცველი ოჯახის უფროსი დარაბას მცირედ გამოაღებდა, კვანჭილებიან ხელს გარიჟრაჟს გადაუშლიდა და ლოცვას წარმოთქვამდა. მზის ამოსვლამდე კვანჭილები უნდა შეეჭამათ და რიტუალი დაემთავრებინათ. რიტუალი ტარდებოდა ახალი წლის ციკლის „ემზუამის“ („შუმზუამის“) დღესასწაულზე. ეს დღე ახალი წლის წინა დღედ მოიაზრება და დალს, იგივე ცისკრის ვარსკვლავს მიმართავდნენ: **„დალო შუმზუამისაო, მხოლოდ კარგი გვიშუმზამეო“** (ბარდაველიძე, 1953, გვ. 87). დალისა და ამირანის ცისკრის ვარსკვლავთან ერთობლივ კავშირზე დალის სპილენძის კბილი და ამირანის სპილენძის სხეულიც მიაწიშნებს. სპილენძი ასტრალურ მითოლოგიაში ცისკრის ვარსკვლავის ლითონია (ნოზაძე, 1957, გვ. 77-81). **ამირანის თქმულების ერთი ვარიანტის მიხედვით, ამირანის დედა მარიხია, რომელსაც ამირანი უბიწოდ ჩაესახა (N47). სვანურ საგაზაფხულო საკულტო სიმღერაში „ნათელ-მარეხი“, იგივე ნათელ-მარიხი, ცისკრის ვარსკვლავია და გამნათებელს ნიშნავს.** (წერედიანი, 2011, გვ.17-18). „ეთერიანის“ ვერსიებში აბესალომის და შუქურ-ვარსკვლავია, მარეხ-მასკვლავია, მარეხია (ეთერიანი, 1954, გვ. 62-65; 88-109). ამირანის ეპოსის სვანურ ვარიანტში დალის კივილზე დილას დაბადებულებს ერთი თვალი უფუჭდებათ, ღამით დაბადებულებს კი – მეორე. მითოსურ წარმოდგენებში თვალი სინათლის, ნათელი ცის სიმბოლოა, ცის ღვთაების ატრიბუტია (Мифы Народов Мира, 1987, გვ. 306-307). ეგვიპტურ მითოლოგიაში ჰოროსი – ცის ღმერთი ციდან მფარველობდა დედამიწას, თვალებად მარჯ-

ვნივ მზე და მარცხნივ მთვარე ესხა (გელოვანი, 1983, გვ. 627). ზოგადად თვალი მფარველობის, ჯანმრთელობის, განახლების სიმბოლოა. დალის კვილი გარემოს ფერთა ცვლილებს იწვევს შავად, ყვითლად და წითლად. ვ. ბარდაველიძე წითელ, ყვითელ და თეთრ ფერს მნათობ ღვთაებათა თვისებების გამომჟღავნებად თვლიდა (1953, გვ. 130). მითოსურ სიმბოლიკაში შავი ქვესკნელის ფერია, ყვითელი – მზის ღვთაების, წითელი – ვეგეტაციის გამომხატველია და შუასკნელს გამოხატავს (ჩოლოყაშვილი, 2004, გვ. 97-106). სავარაუდოდ, ამირანის ეპოსში ღვთაება დალისთან დაკავშირებული სამი ფერი ამ ქალღვთაების სამივე სკნელის გავლენის არეალს უნდა გულისხმობდეს, კვდომა-აღდგომას უკავშირდებოდეს და მის ვეგეტატიურ ბუნებას გამოხატავდეს. დალის ოქროს მაკრატელი სიკვდილ-სიცოცხლის მითოსური სიმბოლოა. ბერძნულ მითოლოგიაში მოირა ატროპოსის ატრიბუტია, რომელიც მოკვდავთა და უკვდავთა ბედის მწერალია. ოქროს ნაწნავები მზესთან ასოცირდება, ნაყოფიერების სიმბოლოა. სკანდინავიელების ნაყოფიერების ღვთაებაა ოქროსნაწნავებიანი სიფია, ჭექა-ქუხილის ღმერთ ტორის მეუღლე, რომელსაც ნაწნავები ძილში ცეცხლის ღვთაება ლოკმა მოსჭრა (Кэрлот, 1994, გვ. 73; 124-126; Мифы Народов Мира, 1988, გვ. 431; გელოვანი, 1983, გვ. 328). აღმასი სინათლის სიმბოლოა, ხოლო აღმასის დანა – ცის ღვთაებისა. ფინური ეპოსის, „კალევალას“ მიხედვით, ოქროსტარიანი და ვერცხლისპირიანი დანა მზის ღვთაების ატრიბუტია, რომელსაც მზის შვილი ფლობს (კალევალა, 1969, გვ. 676-679). მითოსურ წარმოდგენებში დანის, ხმლის პირი ცის ელვას განასახიერებს (Вильямс, 1996, გვ. 167; Кэрлот, 1994, გვ. 320-322).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამირანს დედისგან ასტრალურ-ლუნარულ-სოლარული სიმბოლოები დაჰყვა: ამირანი ოქროსია, ან წელს ზემოთ ოქროსია, წელს ქვე – ვერცხლისა, შუბლზე მზე და მთვარე უნათებს, შუბლი – მზის, ტანი ალვისა აქვს, გიშრის, აღმასის ან ოქროს კბილი აქვს, საცერივით (ცხრილისოდენა) თვალები. გიშერი მაგიური ქვაა და მას ავი თვალისკვრის ასაცდენად იყენებდნენ (ბრეგაძე, 2012, გვ. 125-126). საცერი მითოსურ წარმოდგენებში ცის და მთვარის სიმბოლოა. „ეთერიანში“ მურმანის ზეციურ მარმარილოს კოშკში მყოფ ეთერს თავს ევლებიან მულები, რომლებიც ციური ვარსკვლავები არიან, დედამთილი კი აბრეშუმის საცერია – მთვარეა (ეთერიანი,

1954, გვ. 159, 181, 224; მაკალათია, 1926, გვ. 133; ხუბუტია, 1969, გვ. 63). ალვა უნივერსალური საკრალური ხეა და მასთან დაკავშირებულ მითო-რელიგიურ წარმოდგენებს მრავალი ხალხის ტრადიციებში ვხვდებით. ქართულ რწმენა-წარმოდგენებში ალვა ღვთაებათა საბრძანისია, ნაყოფიერების სიმბოლოა (სურგულაძე, 1993, გვ. 176-178); ირლანდიელთა ნაყოფიერების წარმართული ღვთაების, ბრიგიტას, წმინდა ხეა (Vickery, 1995, გვ. 36-37). ალვას კვდომა-აღდგომის ხედ მიიჩნევენ შავ მურყანსა და კვიპაროსთან ერთად (Graves, 1955, გვ. 121-125). ალვის ხე პერსეფონეს წმინდა ხედაც ითვლებოდა. გადმოცემის მიხედვით, ჰერაკლეს, ქვესკნელის საზარელ გუშაგზე ცერბერზე (კერბერზე) გამარჯვების ნიშნად, თავი ალვის ფოთლების გვირგვინით ჰქონდა შემკული. ანტიკურ საბერძნეთში ოლიმპიური თამაშების დროს გამარჯვებულებს ჰერაკლეს საპატივცემულოდ ალვის ხის ფოთლების გვირგვინით ამკობდნენ (Keeler, 1900, გვ. 428-432).

დედის დავალებით მონადირე (მჭედელი) მამა ამირანს სამი გზის გასაყარზე ტოვებს. სხვა ვერსიებით, ღმერთების მჭედელი – დალ-დარეჯანის, ამირანის მამა კი პირადი გადაწყვეტილებით უღრან ტყეში ტოვებს ბავშვს (ამირანს) (N190). სამი გზის გასაყარი მიოსური ატრიბუტია ბერძნულ-რომაული სამსახოვანი ნადირთღვთაებების, არტემიდესა და დიანასი, რომლებიც მთვარის ღვთაებებიც იყვნენ, რაც, მთვარის ბუნებიდან გამომდინარე, მათ სამსახოვნებას განაპირობებდა: მატება – ახალმთვარეობას, სავსემთვარეობას და კლება-დაბერებას. სამი გზის გზაჯვარედინი, ასევე, ბერძენთა სამსახოვანი ღვთაების, ჰეკატეს კუთვნილებაც იყო, რომელიც მთვარესთანაც ასოცირდებოდა, განაგებდა დაბადებას, სიცოცხლესა და სიკვდილს, მფარველობდა მწყემსებს, მცენარეულ სამყაროს (Кэрлот, 1994, გვ. 563; Мифы Народов Мира, 1987, გვ. 107; 269-376). **დალის მიერ ჩვილი ამირანის განთავსება სამი გზის გზაჯვარედინზე უნდა გავიგოთ, როგორც ახალშობილის მიბარება ქალღვთაების ფუნქციონალურ სამყოფელში, სავარაუდოდ, ახალმთვარეობის სივრცეში.**

ამირანის ეპოსის მთელი რიგი ვარიანტებიდან ცნობილია დედის მუცლიდან თანდაყოლილი ასტრალური სიმბოლო: აღმასის ან ოქროს დანა ან მოკლე ხმალი. ეს იარაღი ამირანს ვეშაპთან, უფრო ხშირად ბადრისთან და უსუპთან ერთად თეთრ, წითელ და შავ ვეშაპებთან საბრძოლველად სჭირდება. ეს ეპიზოდი ასტრალური მითის

პროფანირებული ფრაგმენტია. ამირანის თქმულებაში აღნიშნული ეპიზოდი ამირანის – ცისკრის ვარსკვლავის მიერ გველეშაპის ან დევის მუცლიდან (დევი გველეშაპის მითოსური წყვილია) მზისა და მთვარის დახსნის მითოსური წარმოდგენის პროფანირებული ფრაგმენტია (N173, N177). ანალოგიური მითოსური მოტივი „კალევალაშიც“ ფიქსირდება, რომელშიც ამირანის სინონიმური წყვილი მზის შვილია მამის ოქროსტარიანი და ვერცხლისპირიანი დანით, ხოლო გველეშაპისა – სამი თევზი: **სიგი, კალმახი და ქარიყლაპია** (კალევალა, 1969, გვ. 666-676).

ცისკრის ვარსკვლავის სამსახოვნების (სადამოს, ანუ მწუხრის, ღამის და განთიადის) კვალი ქართულმა ჯადოსნურმა ზღაპარმა „ივანე ცისკრისამ“ შემოგვინახა, რომელშიც ღმერთის ბოძებული ვაშლის წყალობით უშვილო ცოლ-ქმარს დღე-ღამის სამ მონაკვეთში სა-მი ვაჟი შეეძინებათ: ივანე სადამოსი, ივანე შუაღამისა და ივანე ცისკრისა (ხალხური სიბრძნე, 1963: 92-99). მითოსური წარმოდგენით, სადამოს ცისკარი მთვარის მომყვანია, განთიადისა კი – მზის. მნიშვნელოვანი სიახლეა ამირანის საბრძოლო იარაღი – დედის მუცლიდან თანდაყოლილი **ვეფხვის კუდი**. სამ ტექსტში, რომლებშიც ვეფხვის კუდი ფიგურირებს, საგვარეულო დანის (მოკლე ხმლის) **ასტრალური მოტივი** (ამირანის მიერ მზის და მთვარის დახსნა) აღარ ფიგურირებს. ჩნდება ვეფხვი, როგორც დალის სიმბოლო, რამაც წარმოშვა ქალღვთაების გენეტიკური ფესვების სიღრმეების შესწავლის აუცილებლობა. ფოლკლორისტმა ხ. თავდგირიძემ თავი მოუყარა და გამოსცა ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ 1979 წელს სვანეთში ჩატარებული ფოლკლორული ექსპედიციის მასალები, რომლებშიც მოქმედები საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდიან: **„დალი ქალი ღმერთია, მისი სალოცავი არ არის. სვანები სახელად „დალს“ არ არქმევენ, რადგანაც ის ღმერთია და ღმერთის სახელის დარქმევა ადამიანისთვის არ შეიძლება“** (2004, გვ.244-248). ეს გადმოცემები კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას, რომ „დალი“ ღმერთის / ქალღმერთის საზოგადო სახელი ყოფილა კავკასიურ სივრცეში. ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ხალხთა ენებში „ღმერთის“, „ღვთაების“ სახელწოდება ფონეტიკური განსხვავებებით დალს ენათესავება („დალე“, „დელე“ „დელ“, „დეილა“, „დიალი“ (სურგულაძე, 1993, გვ. 143-144).

ქართულ-კავკასიურ მითო-რელიგიური ურთიერთობის განხილვის დროს საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა მკვლევარმა ქეთევან სიხარულიძემ. მისი აზრით, კავკასიური მითოლოგია მოიცავს სახეებსა და სიუჟეტებს, რომლებსაც უნივერსალური ხასიათი აქვთ, თუმცა გააჩნიათ კავკასიური ორიგინალური ნიშებიც, რასაც მეცნიერი დალიში ხედავს (2006, გვ. 43-46). ჩვენ მიერ ამირანის ეპოსის ვარიანტების წარმოდგენილი ანალიზიც აღნიშნული მოსაზრების განმტკიცებას ემსახურება და კვლევა ამ კუთხით გაგრძელდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ამირანიანი. (2019). ქართული ხალხური პროზა, ტ. II. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ბარდაველიძე, ვ. (1953). ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები . თბილისი: „მეცნიერება“.
- ბრეგაძე, ლ. (2012). ყოფითი რწმენა-წარმოდგენები. თბილისი: „არტანუჯი“.
- გელოვანი, ა. (1983). მითოლოგიური ლექსიკონი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ეთერიანი. (1954). ხალხური სიტყვიერება. ტ. IV. თბილისი: „მეცნიერება“.
- ვირსალაძე, ე. (1959). ქართული ხალხური ეპიკური ტრადიციის ზოგიერთი თავისებურება. ლიტერატურული ძიებანი, XII.გვ. 255-259. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი.
- ვირსალაძე, ე. (1964). ქართული სამონადირეო ეპოსი. თბილისი: „მეცნიერება“.
- თავდგირიძე, ხ. (2004). აჭარული სამონადირეო ეპოსი. ბათუმი: „აჭარა“.
- თათარაძე, ა. (1976). ძველი ქართული (სვანური) ფერხულები. თბილისი: „მეცნიერება“.
- კალევალა. (1969). კალევალა . თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- მაკალათია, ს. (1926). ფალოსის კულტი საქართველოში. თბილისი: ჟურნალი „მიმომხილველი“, 1.
- ნოზაძე, ვ. (1957). ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება. სანტიაგო დე ჩილე: გამომცემლობა „ავთანდილ მერაბიშვილისა“.
- ნუცუბიძე, შ. (1945). ამირანი. მითოლოგიური პოემა. შესავალი. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“.

- სამსონაძე, ა. (2018). მითის ინტერპრეტაცია ხელოვნებაში. დალის სახე ქართულ საცეკვაო ფოლკლორში. თბილისი: „კენტავრი“.
- სვანიძე, ალ. (1936). შესავალი აღაროდოიულ ტომთა ისტორიიდან. თსუ-ს შრომები, III. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- სიხარულიძე, ქ. (2006). კავკასიური მითოლოგია. თბილისი: „კავკასიური სახლი“.
- სურგულაძე, ი. (1993). ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბილისი: „სამშობლო“.
- შიოშვილი, თ. (1994). ქართული ხალხური შელოცვები. ბათუმი: „აჭარა პრეს“.
- ჩოლოყაშვილი, რ. (2004). უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში. თბილისი: „ნეკერი“.
- წერედიანი დ. (2011). სვანური სიმღერების კვალდაკვალ. თბილისი: „დიოგენე“.
- ხალხური სიბრძნე. (1963). ხალხური სიბრძნე, I. ქართული ხალხური ზღაპრები. თბილისი: „ნაკადული“.
- ხუბუტია, პ. (1969). თუშური კილო. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ჯავახიშვილი, ივ. (1951). ქართველი ერის ისტორია, I. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- Graves , R. (1955). Three Greek Myths. London: Penguin books.
- Kerlot, H. E. (1994). Slovar Simvolov. [Dictionary of Symbols]. Moskva: REFL-book.
- Keeler, H.L. (1900) Our Native Trees. How to Identify Them. New York: Charle’s Scriber’s Sons.
- Mifi Narodov Mira, I. (1987). Mifi Narodov Mira, I. [Myths of the World ‘s Natio, I]. Moskva: „Sovetskaia Entciklopedia“.
- Mifi Narodov Mira, II. (1988). Mifi Narodov Mira, II. [Myths of the World’s Nation, II]. Moskva: „Sovetskaia Enciklopedia“.
- Potanin, G.N. (1899). Vostočnie Motivы v Srednevekovom Evropeiskom Epose. Eastern Motifs in the Medieval European Epos]. Moskva.
- Vickery, R. (1995). Dictionary of Plant-Lore. UK: Oxford.
- Vil’iams, K. A. (1996). Entciiklopedia Vostočnogo Simvolizma. [Encyclopedia of the Eastern Symbolizm]. Moskva: „Zolotoj Vek“.

References:

- Amiraniani (2019). Amiraniani. Kartuli khalkhuri p'roza, II. [Amiraniani. Georgian Folk Prose, II]. Tbilisi: TSU Press. ISBN 978-9941-13-884-3.
- Bardavelidze, V. (1953). Kartuli (Svanuri) sats'eso grapik'uli khelovnebis nimushebi. [Samples of the Georgian (Svan) Ceremonial Art]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Bregadze, L. (2012). Q'opiti rts'mena-ts'armodgenebi]. [Life Beliefs]. Tbilisi: „Artanuji“. ISBN 978-9941-421-75-4.
- Eteriani., (1954). „Eteriani“. Khalkhuri sitq'viereba, t. IV. [Eteriani. Folk Literature, t. IV]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Choloq'ashvili, R. (2004). Udzveles rts'mena-ts'armodgenata k'vali khalkhur zghapurul eposshi. [Traces of the Ancient Beliefs in the Folk Tales]. Tbilisi: „Nekeri“. ISBN 99928-58-92-3.
- Javakhishvili, Iv. (1951). Kartveli eris ist'oria, I. [History of Georgian Nation, I]. Tbilisi: TSU Press.
- Gelovani, A. (1983). Mitologiuri leksik'oni. [Mythological Dictionary]. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.
- K'alevala (1969). K'alevala. [Kalevala]. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.
- Khalkhuri sibrdzne (1963). Khalkhuri sibrdzne. I. Kartuli khalkhuri zghaprebi. [Folk Wisdom, I. Georgian Folk Tales]. Tbilisi: „Nakaduli“.
- Khubut'ia, P. (1969). Tushuri k'ilo. [Tush Dielect]. Tbilisi: TSU Press.
- Mak'alatia, S. (1926). Palosis k'ult'i Sakartveloshi. Zhurnali „Mimomkhilveli“, 1. [Cult of Phallus in Georgia]. Journal „Mimomkhilveli“, 1. Tbilisi.
- Nozadze, V. (1957). Vepkhist'q'aosnis Varsk'vlavtmetq'veleba. [Astral Expression of „The Knight in the Panther's Skin“]. Santiago De Chile: publishing house of Avtandil Merabishvili“.
- Nutsubidze, Sh. (1945). Amirani. Mitologiuri p'oema. Shesavali. [Amirani. Mythological Poem. Introduction]. Tbilisi: „Sabch'ota Mts'erali“.
- Samsonadze, A. (2018). Mitis int'erpret'atsia khelovnebashi. Dalis sakhe kartul satsek'vavo polklorshi. [Interpretation of Myth in Art. Image of Dali in the Georgian Folk Choreography]. Tbilisi: „Kentavri“.
- Svanidze, A. (1936). Shesavali alarodiul t'omta ist'oriis. TSU-s shromebi, III. [Introduction of the History of the Alarodian Tribes. Annual Scholarly Researches of Tbilisi State University, III]. Tbilisi: TSU Press.

- Sikharulidze, K. (2006). K'avk'asiuri mitologia. [Caucasian Mythology]. Tbilisi: „Kavkasiuri sakhli“. ISBN 99928-71-93-8.
- Surguladze, I (1993). Kartuli khalkhuri ornament'is simbolik'a. [Symbolics of the Georgian Folk Ornaments]. Tbilisi: „Samshoblo“.
- Shioshvili, T. (1994). Kartuli khalkhuri shelotsvebi. [Georgian Folk Charms]. Batumi: „Achara Press“.
- Tataradze, A. (1976). Dzveli kartuli perkhulebi (Svanuri). [Ancient Georgian (Svan) Round Dances]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Tavdgiridze, Kh. (2004). Ach'aruli samonadireo ep'osi. [Ajarian Hunting Epos]. Batumi: „Achara“.
- Ts'erediani, D. (2011). Svanuri simgherebis K'valdak'val. [Right Behind the Svan Folk Songs]. Tbilisi: „Diogene“. ISBN 978-9941-11-254-6.
- Virsaladze, E. (1959). Kartuli khalkhuri ep'ik'uri t'raditsiis zogierti tavisebureba“. Lit'erat'uruli Dziebani“, XII, pp.255-259. [Some Peculiarities of the Georgian Folk Epic Traditions. Literary Researches XII, pp.255-259]. Tbilisi: Annual Scholarly Review of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. ISSN 0235-3776.
- Virsaladze, E. (1964). Kartuli samonadireo ep'osi. [Georgian Hunting Epos]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Graves, R. (1955). Three Greek Myths. London: Penguin books.
- Kerlot, H. E. (1994). Slovar Simvolov. [Dictionary of Symbols]. Moskva: REFL-book.
- Keeler, H.L. (1900) Our Native Trees. How to Identify Them. New York: Charles Scriber's Sons.
- Mifi Narodov Mira, I. (1987). Mifi Narodov Mira, I. [Myths of the World 's Natio, I]. Moskva: „Sovetskaia Enciklopedia“.
- Mifi Narodov Mira, II. (1988). Mifi Narodov Mira, II. [Myths of the World's Nation, II]. Moskva: „Sovetskaia Enciklopedia“.
- Potanin, G.N. (1899). Vostočnie Motivy v Srednevekovom Evropeiskom Epose. Eastern Motifs in the Medieval European Epos]. Moskva.
- Vickery, R. (1995). Dictionary of Plant-Lore. UK: Oxford.
- Vil'iams, K. A. (1996). Entciiklopedia Vostočnogo Simvolizma. [Encyclopedia of the Eastern Symbolizm]. Moskva: „Zolotoj Vek“.

Иринэ Модебадзе

Irine Modebadze

Институт грузинской литературы им. Шота Руставели

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Основные маркеры ментальной карты советских
мигрантов-билингв в постсоветский период:
грузино-российский опыт**

**The Main Markers of the Mental Map of Soviet Bilingual
Migrants in the Post-Soviet Period:
Georgian-Russian Experience**

Soviet and post-Soviet experience is important to study the features of the worldview of bi – and multilinguals. The desire to create a new cultural identity – the Soviet people, could be described as the process of “Soviet mini-globalization”, involving several generations and nationalities of the USSR, on which territory most of the processes typical of economic and cultural globalization were recorded, including intensive internal migration (*rotation, forced/deportation, economic, family/individual*) and integration processes. Bi- and polylingualism was common: majority of population spoke the state language (Russian), the union republics (at the place of residence) and the native language of historical motherland (among ethnically non-Russian population). Although Russian was often the first native language, for so-called Russian-speaking population of the Union republics was characteristic liminal or hybrid consciousness of a multicultural type.

The collapse of the USSR, establishment of rigid borders of independent states significantly narrowed the boundaries of habitual life and cultural space of Russian-speaking writers, now living not in the territory of a single country

(USSR), but in neighboring independent states. The special conditions, when people found themselves separated from their historical motherland, contributed that their works, as a rule, are not characterized by the main indicators typical for the literature of migrants, such markers of cultural identity as language, religion and territory – “do not work”.

The article analyzes the main artistic markers of the mental map of modern Russian authors – immigrants from Georgia and their descendants. These are the concepts of *own town* and *home*.

The narrative of Moscow author Sopiko/Sofia Bezhanova’s poems dedicated to Tbilisi captures bilingualism: there are Georgian words and expressions in Russian transcription and their translation. The author’s commentary, explaining unknown to Russian reader realities and intertextual links between the imagery of the poem and words of Russian translations of Georgian songs, is also noteworthy. All this creates a special, “Georgian” discourse in Russian-language text. The ancient city is positioned as a “father”. Psychological time transports the reader to Tbilisi in the 1980s, and the concept of nostalgia for a lost motherland acquires additional connotations of longing for lost youth and happiness of first love.

In some cases, Tbilisi acts as a concept of historical motherland, memory of which should be passed on to subsequent generations. For example, Dimitri S/Dimitri Shengelia/ positions himself as a descendant of Tbilisians. He left the city in his early childhood, but for him Tbilisi is a home, family nest, the memory/love for which the poet must pass on to his son, born in the North.

Second-generation migrants born in Russia after formation of independent states are not characterized by typical bifurcation of the concept of *motherland* in hybrid consciousness, Georgia remains a *historical motherland* /land of ancestors/. In the work of the St. Petersburg poet Giorgi Khubulava, Tbilisi is no longer correlated with a mental map, but acquires the significance of a symbol of the struggle for independence.

The study shows that the main markers of conceptsphere coincide in the works of Russian-speaking writers living in Georgia and abroad.

საკვანძო სიტყვები: რუსულენოვანი მწერლები, საბჭოთა ბილინგვი მიგრანტები, მენტალური რუკის მარკერები, სახლი, ისტორიული სამშობლო.

Key words: Russian-speaking writers, Soviet bilingual migrants, Markers of the Mental map, Home, Historical Motherland.

Вступление. Проблемы би- и полилингвизма в условиях культурной глобализации

В настоящее время би- и полилингвизм являются объектом пристального внимания научной общественности. Изучение билингвизма (двуязычия) и полилингвизма (многоязычия) как социокультурного явления обрело актуальность в связи с активно протекающими процессами культурной глобализации и формированием т.н. глобализованного общества. По мнению исследователей, поскольку «живущий в эпоху глобализма поликультурный и полиязычный человек – это хранитель культурного наследия и посредник между лингвокультурами, <...> одна из главных функций билингвизма состоит в том, что он способствует коммуникации, и диалогу культур». Соответственно, «поскольку одним из основных показателей состояния общества является язык, любая трансформация социальных отношений отражается прежде всего на языковой системе. Понимая под трансформацией социальных отношений переход к мультикультурному обществу (сосуществованию культур на равных), <...> билингвизм/полилингвизм является настоятельным требованием современного глобализованного общества, функционирующего по принципу коммуникативного консенсуса» (Липчанская и др., 2019, с. 50, 51-52). Несомненно, это утверждение в полной мере относится и к состоящему из различных этнических групп и национальных меньшинств поликультурному обществу. Следует особо оговорить, что в современной научной литературе понятие «мультикультурное» используется в различном наполнении, иногда даже как синоним «поликультурного», тем не менее, это отнюдь не синонимы: «это два разных понятия и поле употребления их разное» (Новолодская, 2012, с. 237). Не вдаваясь в терминологические тонкости, отметим, что прежде чем развитие современного общества достигнет стадии равноправного сосуществования и взаимодействия различных культур, перед современной научной общественностью уже достаточно остро стоит вопрос о психологических особенностях мировосприятия би- и полилингвов. Речь, в первую очередь, идет об особенностях би- и поли/мульти/-лингвального мироощущения мигрантов второго/третьего поколения и потомках смешанных браков. Доказано, что

би- и полилингвизм оказывает влияние как на мировоззрение, так и на психологию поведения личности. Тем не менее, несмотря на обилие собранных фактов и многочисленные исследования, этот вопрос, все еще остается открытым. Достаточно значимым материалом исследований представляется русскоязычная литература Грузии и творчество писателей-мигрантов.

I. Советская «миниглобализация» и русскоязычная литература Грузии

Благодаря своему, имеющему устойчивую традицию, поликультурному характеру, русскоязычная литература Грузии представляется культурным феноменом, который формировался на протяжении многих веков. Прежде всего следует отметить, что полилингвизм был присущ жителям Грузии с незапамятных времен: даже самые низшие слои населения, как правило, владели языками соседних народов (хотя бы на контактном уровне). Объяснялось это как необходимостью общения с многонациональным населением Тбилиси – одного из крупнейших перевалочных пунктов между Азией и Европой на Великом шелковом пути, так и миграционными процессами в пограничных районах страны. Что касается образования – изучались как «христианские» языки (греческий, латынь), так и «политические», т. е. языки соседних влиятельных империй (персидский, арабский, турецкий), позднее к ним добавились европейские языки (начиная с XVIII в. это немецкий, позднее итальянский, французский, английский и русский). На протяжении веков приоритеты менялись, и с начала XIX века, после включения Грузии в состав Российской Империи, русский язык обретает особый статус – статус государственного языка, на котором осуществлялась коммуникация населения огромной страны.

Тифлис /Тбилиси/ – столица Кавказской губернии был культурным центром Закавказья, где создавались принадлежавшие различным национальным культурам русскоязычные тексты. Схожая ситуация сохранилась и в период существования Советского Союза – будучи государственным языком, русский язык был основным языком общения

на территории страны, и для многонационального населения Союза дву- и многоязычие было органической частью культурной ситуации. Поскольку основным критерием оценки советского литературоведения была идейная направленность произведений, то, независимо от того, на каком языке писался тот или иной текст, все они считались частью советской /или антисоветской/ литературы. Проблема культурной идентичности того или иного русскоязычного автора Грузии обрела актуальность только после распада СССР и образования независимых государств постсоветского пространства. По словам Хоми Бхабха, *«на рубеже столетий мы обнаруживаем себя в переходном состоянии, где встречаются пространство и время, чтобы разродиться сложными сочетаниями сходства и различия, прошлого и настоящего, внутреннего и внешнего, включения и исключения. Ибо в «за пределами» присутствует некое чувство потерянности, утраты направления: беспорядочная непрекращающаяся суэта, так хорошо улавливаемая французскими словами *audela* – здесь и там, со всех сторон, и *fort/da* – туда-сюда, взад-вперед»* (Бхабха, 2005, с. 161). При исследовании психологических особенностей протекающих в стремительно глобализующемся обществе социально-культурных процессов достаточно интересным представляется рассмотрение советского и постсоветского опыта.

Стремление создать новую культурную идентичность – советский народ, конечной целью которого было «воспитание нового человека» (*Homo soveticus*), с некоторыми оговорками, вполне можно было бы обозначить как процесс «советской миниглобализации», в котором участвовало несколько поколений народов и народностей СССР. В период этого масштабного социо-культурного эксперимента фиксируется большинство типичных для экономической и культурной глобализации процессов, в том числе интенсивные миграционные процессы (последняя, самая сильная, волна внутренней миграции на территории СССР была зафиксирована в 80-90 гг. годах прошлого века). Среди внутренних миграционных процессов можно выделить: 1) обусловленные государственными интересами *вахтовые миграции*: грандиозные советские проекты (освоение Крайнего Севера, целины, строительство БАМ – Байкало-Амурской магистрали, ТюменьСтрой и т.д.), «индустриализация страны» и «подъем народного хозяйства» требовали переброски огромного количества строителей и специалистов

в неосвоенные или малонаселенные районы страны. К этой категории можно отнести и т.н. «военные поселки» семей военнослужащих в местах дислокации военных частей. Военнослужащие нередко переводились с базы на базу, и их семьи следовали за ними, но некоторые члены семьи (напр., вступившие в брак с представителями коренного населения или не желавшие бросать любимую работу) оставались жить в той или иной республике, иногда оставались целые семьи вышедших на пенсию военных; 2) *принудительные миграции* (депортация) – высылка осужденных или неблагонадежных граждан в сложные по своим климатическим условиям районы; 3) вызванные объективными обстоятельствами (эвакуация гражданского населения в период войны, эвакуация из зон радиоактивного заражения, напр., после взрыва Чернобыля и т.д. *вынужденные миграции*; 4) *экономические миграции*, когда целые семьи меняли место жительства и устремлялись в интенсивно развивающиеся районы новостроек, а также в культурно-административные центры страны в стремлении получить лучшее образование и более высокооплачиваемую работу; к этому типу можно причислить и проводимое правительством с 1960-х годов стимулирование переселения людей в отдаленные районы, где им предоставлялась более высокая заработная плата, а также рабочие места выпускникам вузов (см.: Кумо, 2006, с. 1-19); 5) *семейно-бытовые (индивидуальные) миграции*, обусловленные личными обстоятельствами, такими, как смешанный брак и др. Многие из этих «временных переселенцев» впоследствии оставались жить на новом месте, и миграциям сопутствовала интенсификация интеграционных процессов. Обычным явлением был не только би-, но и полилингвизм: большая часть населения СССР владела государственными языками страны (русским), союзных республик (по месту проживания) и родным языком исторической родины (в среде этнически нерусского населения). Благодаря приоритету русскоязычного образования, именно русский язык нередко становился первым родным языком, хотя в целом для т. н. русскоязычного населения союзных республик характерно лиминальное, или гибридное сознание¹ поликультурного типа.

¹ Термин *гибридное сознание* введен в научный оборот Хоми Бхабха (Bhabha Homi K., 1994. The Location of Culture). По свидетельству Ил .Кукулина, «в неофициальной русской культуре и в культуре некоторых других народов СССР постколониальное

Распад СССР и установление жестких границ новых независимых государств значимо *сузил* границы привычного жизненного и культурного пространства, поставив писателей перед необходимостью определения собственной национальной и культурной идентичности. Многие из них, совершенно неожиданно для себя, оказались проживающими на территории соседних государств в силу того, что задолго до распада Союза проживали там, вступили в брак, имели детей, налаженный быт и карьеру. Они оказались в чрезвычайно сложной ситуации: если раньше на территории единой страны (СССР) связь с родными и близкими не представляла сложности, то теперь ситуация кардинально изменилась. Особые условия, в которых оказались эти «эмигранты поневоле»,¹ способствовали тому, что типичные для литературы мигрантов основные показатели, как правило, не характерны их произведениям: «не работают» основные маркеры культурной идентичности, такие, например, как язык, религия и территория.

Язык считается одним из основных компонентов этнокультурной идентичности, а также важнейшим критерием идентификации. Дифференциация «своего» и «чужого» в пространстве межэтнического социального взаимодействия осуществляется именно по этому критерию. Но, поскольку ни один грузиноязычный писатель не мигрировал в русскоязычное культурное пространство и мы можем говорить лишь об оказавшихся за пределами Грузии русскоязычных авторах, в данном случае маркер *язык* «не работает»: для большинства из них русский является или единственным родным, или, что встречается гораздо чаще (в случаях би- и полилингвизма), первым родным языком. Соответственно, независимо от того, где проживает в настоящее время тот или иной автор, их творчество продолжает развиваться в парадигме родного языка. «Не работает» и такой значимый маркер как религия (концепты конфессия и вероисповедание, на которые, как правило, опирается сис-

сознание начало формироваться в 1960-е - начале 1970-х годов - задолго до распада СССР как империи. <...> После распада СССР в русской литературе и литературах других бывших «союзных республик» элементы постколониального сознания стали гораздо более заметными» (Кукулин, 2013, с. 151).

¹ Условную дефиницию «эмигранты поневоле» использую с целью дифференциации этой группы от т. н. «принудительных мигрантов» в терминологии П. Поляна (Полян 2001), т.е. депортированных советским правительством, в отличие от которых эти люди оказались жертвами не тоталитарного режима, но исторических перемен.

тема нравственных ценностей). Объяснение лежит на поверхности: с одной стороны, нравственные основы и русской и грузинской культур уходят корнями в православную традицию и имеют схожую систему нравственных ориентаций, но, с другой, огромное влияние оказывает факт профанации религиозных ценностей на протяжении 70 лет существования госатеизма, в результате чего достаточно большое количество «бывших советских людей» могло бы присоединиться к словам одного из героев Акунина-Чхартишвили: *«К сожалению, я не религиозен – таким сформировала меня среда и воспитание»* (Акунин-Чхартишвили, 2012, с. 7). Поэтому применительно к русскоязычным авторам постсоветского пространства совершенно справедливым представляется утверждение Т. А. Снигиревой и А. В. Подчиненова: *«Безусловно, что приверженность к той или иной религии, равно как и принадлежность к той или иной нации, не является гарантом поступательного развития личности и общества»* (Снигирева, Подчиненов, 2013, с. 244). Что касается другого, не менее значимого показателя национальной и культурной идентичности, местопроизводства (территории), он и вовсе не применим к русскоязычным авторам постсоветского пространства. Говорить о том, что эти люди, переселившись в другие страны, изменили место жительства в данном случае невозможно – это их огромная страна исчезла с политической карты мира, в силу чего многие оказались на территории иностранных государств не по своему желанию, но в силу исторических перемен.

В настоящее время активно развивается процесс формирования нового типа человеческой личности, который часто характеризуют как маргинальный (поскольку считается, что эти люди существуют на стыке двух и более культур – см. Мартынова, 2010, с. 507-528) или, в контексте постколониального сознания, как гибридный. В условиях ускорения процессов культурной диффузии, огромный интерес научной общественности привлекают проблемы инкультурации (усвоения традиций и норм поведения иной культуры), маргинальной среды, под которой понимается сфера схождения культур и культурной маргинальности.¹ Тем не менее, русскоязычная литература Грузии,

¹ *Культурная маргинальность* - понятие, характеризующее положение и особенности жизнедеятельности групп и отдельных личностей, чьи установки, ценностные ориентации, модели поведения одновременно соотносены (реально или в интенции) с

исследование которой в этом ракурсе могло бы дать интереснейшие результаты, все еще остается в зачаточном состоянии. Как мы уже отметили выше, в силу идеологического диктата она осталась вне поля зрения советского литературоведения. Несмотря на то, что после распада Союза этому вопросу был посвящен ряд статей И. Модебадзе и Т. Мегрелишвили, вопрос о её специфике и культурной значимости всё еще остается открытым. Что же касается русскоязычной литературы мигрантов и их потомков, то изучение их творчества только начинается и представляется перспективным направлением будущих исследований.¹ В центре нашего внимания сегодня специфика би- и полилингвального мироощущения проживающих на территории Российской Федерации писателей. Поскольку, как уже было сказано в этом случае «не работают» основные маркеры культурной индентичности, мы проанализировали художественные маркеры таких концептов как Родина, Тбилиси, Дом в контексте ментальной карты современных российских авторов – выходцев из Грузии и их потомков.

II. «Родной город» на ментальной карте уроженцев Тбилиси

Следует особо оговорить, что практически во всех, как создаваемых на территории Грузии, так и за рубежом, русскоязычных текстах уроженцев Грузии звучат ностальгические нотки – тоска по утраченной родине, но родина предстает тем большим общим русскоязычным миром, память о котором еще жива в сознании этого поколения, или видится в образе родного города, чаще всего, многонационального Тбилиси, каким он остался на ментальной карте его жителей. В качестве примера приведем несколько стихотворений московского автора Сопико /Софьи Бежановой/, опубликованные на российском литературном портале Стихи.ру.:

различными культурными системами, но при этом они не интегрированы полностью ни в одну из них.

¹ Нами была предпринята попытка исследования наиболее общих вопросов в статьях Модебадзе, 2019, с.17- 36; Модебадзе, 2016, с. 265-321.

Я так скучаю, мой Тбилиси...

Окно, распахнутое в небо,
В такой **лазурный небосвод**,
Скучаю очень, менагребби,
Я по тебе который год,

По милым уголкам Тбилиси,
По парку старому, в **Ваке**,
По ресторанчику «**Эгриси**»
Скучаю здесь я, вдалеке,

Хочу пройтись по **Руставели**,
Подняться на **фуникулер**,
Хочу, чтоб мне «Мхолод шен...»
спели
Все, кто когда-то был влюблен,

Хочу я станцевать «**Картули**»
На свадьбе у своих друзей,
Хочу, чтоб времена вернулись,
Когда мы были вместе все,

Хочу услышать вновь «**Орэра**»,
Когда над нами солнца круг,
И песня прозвучит — симгера,
Лозой обвит здесь каждый звук!

Хочу, как в детстве, в «**Накадули**»
Смотреть любимое кино,
С соседской девочкой Нанули
В киоск бежать за эскимо,

Хочу я лимонад **Лагидзе**
В кафе уютном снова пить,
Хочу без памяти влюбиться,
Над «**Тирипеби**» слезы лить,

У памятника Горгасали
Над величавою **Курой**
Рассвет июньский вновь
встречать бы
Всем классом в год наш
выпускной,

Мне б в октябре, на «**Тбилисоба**»
Признаться вновь в любви тебе,
И говорить всем: «Гамарджоба!»
И слышать: «Мравалжамиэр!»

Спят **Нарикала** и **Мтацминда**,
Платанов кроны шелестят,
К тебе хочу — ме шентан минда,
Шепчу который год подряд,

Я так скучаю, мой Тбилиси,
До боли в сердце и до слез,
И о тебе, родной, все мысли
В краю снегов, в стране берез

При первом же прочтении этого стихотворения обращает на себя внимание включение в нарратив написанных кириллицей грузинских лексем. Мы выделили их курсивом. Почти во всех случаях в тексте тут же приводится их перевод на русский:

Скучаю очень, менатреби → მენატრები (menatrebi) – скучаю (по тебе)
песня прозвучит – симгера → სიმღერა (simghera) – песня
К тебе хочу – ме шентан минда → მე შენთან მიბრძა (me shent'an minda) –
хочу к тебе.

Единственное исключение – данное без пояснений слово *Гамарджоба* (გამარჯობა/gamardjoba/) в переводе не нуждается: контекст однозначно указывает на то, что это приветствие. Подтверждение того, что Сопико – билингв находим в ее переписке с читателями (рубрика Рецензии): «*Что касается грузинского – это мой родной язык*».

Двуязычие, как художественный прием, далеко не нов (достаточно вспомнить стихи Вл. Маяковского).¹ Вместе с названиями грузинских песен («*Мхолод шен...*», «*Тирипеби*», «*Мравалжамиэр*») и реалий (географических маркеров – *парк Ваке, Руставели, фуникулер, Лагидзе, памятник Горгасали, Нарикала, Мтацминда; платанов* – символа Тбилиси второй половины XX века) оно придает тексту специфичный «грузинский акцент». Лейтмотивом звучит аллюзия на известный шлягер 80-ых – т. н. «Гимн Тбилиси» /«Тбилисо»; «Песни о Тбилиси»/, неоднократно исполнявшийся Нани Брегвадзе, Вахтангом/Бубой Кицабидзе, Тамарой Гвердцители и Валерием Меладзе в переводе Мих. Танича.² Напомним несколько куплетов из этого русскоязычного текста:

<i>Такой лазурный небосвод</i>	<i>Идёшь аллеей вдоль Куры</i>
<i>Сияет только над тобой,</i>	<i>И над тобой платанов сень</i>
<i>Тбилиси, мой любимый и родной.</i>	<i>Своей прохладой в знойный день</i>
	<i>манит.</i>

Маркерами интертекстуальной переключки служит упоминание платанов и лазурного небосвода. В ответе на рецензии читателей Сопико признавалась: «*И именно о этом небосводе из этой песни я и написала... Тбилисо, мзис да вардебис мхарео! О, Тбилиси, город солнца и роз!*» (17.03.2011). Примечателен и сам псевдоним поэтессы: Сопико

1 О художественной функции русскоязычных вкраплений в грузиноязычных текстах см.: (Модебадзе, 2008, с. 350-356 и Модебадзе, 2007, с. 508-516).

2 Популярности этой песни в немалой степени способствовал и тот факт, что в 1976 г. Нани Брегвадзе дебютировала с ней на фестивале «Песня-76».



– уменьшительная форма грузинского имени Сопио / Софья/. Однако, исходя из выбранного ракурса исследования, для нас гораздо более интересна другая группа выделенных мной слов. Это реалии, которых давно уже нет в современном Тбилиси: нет кинотеатра «Накадули»,

да и сама улица, на которой он когда-то находился (ул. Камо) уже много лет как переименована; нет и ресторанчика «Эгриси». В начале 80-х годов XX века распался вокально-инструментальный ансамбль «Орэра» (правда, альбомы песен «Орера» выходили почти до конца десятилетия). Перестроена набережная – проезжая часть расширена за счет бывшей когда-то популярным местом пешеходных прогулок платановой аллеи. В наше время гулять вдоль Куры (среди нескончаемого потока автомобилей!) практически невозможно, и традиция бродить после школьного выпускного бала до рассвета по набережной также давно осталась в прошлом... Таким образом, все эти реалии оказываются маркерами не только города, но и времени, вернее, оставшейся в прошлом целой эпохи.

Совершенно очевидно, что Софья Бежанова покинула Тбилиси, скорее всего, в конце 80-х – начале 90-ых годов прошлого века (названные в стихотворении места были особо популярны именно в те годы), и на ментальной карте поэтессы город остался таким, каким он был в то время. Что же касается психологического времени, то синхрония ментальной карты однозначно указывает на то, что ее воспоминания соотносимы с ранней юностью. Они обрываются после окончания школы: на временной оси ментальной карты выпускной бал служит точкой отсчета начала нового периода жизни. Из переписки с читателями узнаем, что какое-то время поэтесса жила в Сухуми: *«Я замужем была в Абхазии. Война проклятая жизнь надвое расколола»* (рецензии 25.03.2011), и проведенная в Тбилиси ранняя юность запомнилась как самый приятный период жизни.

Человеку свойственна индивидуальная особенность восприятия времени. Большинство исследователей отмечают наличие существенных различий между психологическим временем и хронологическим, объективным. Психологическое время «характеризуется отсутствием линейности, необратимости, отсутствием строгой метрики и непроницаемости» (Нестерова, 2019, с. 165-166). Психологическое время обратимо, и в стихах поэтессы четко прочитывается желание вернуться в эпоху своей юности, которая символизируется в образе затерянного во времени города-символа утраченной культурной общности (*Хочу, чтоб времена вернулись, Когда мы были вместе все*), и именно этот «любимый город продолжает существовать в наших сердцах!..» (Ия Диаконидзе, 24.01.2012) – сердца живущих «в краю снегов, в стране берез». То, что Сопико прекрасно осознает, что ее ностальгия — это не только ностальгия по городу юности, но и по самой юности четко прочитывается в другом стихотворении поэтессы:

Тбилиси, спой мне «Иавнана» (<https://www.stihi.ru/2011/05/14/5781>)

О чем грустят твои **платаны**
По фиолетовым ночам?
Тбилиси, спой мне «Иавнана»,
Вернув мне детское «вчера»,
Тебе уже я прошептала
О том, как здесь скучаю я,
Крепка любовь, как **Нарикала**,
И годы нас не разлучат...
Моя ты боль, моя ты радость,
Ты – мой уют и цитадель,
Ты – мудрости извечный кладезь,
Ты как отец мне...И поверь
Что я люблю твой каждый камень,
Мосты, сады, изгиб **Куры**,

И всех признаний жаркий
пламень,
Что **Руставели** рождены,
Мой город, мой родной Тбилиси,
Чем дальше ты, тем мне милей,
Галактион мне дарит мысли,
Леча поэзией своей!
И белый конь летит, как в песне,
Себя не дал он обуздать,
И лебедь рвется в поднебесье,
Рожденный высоко летать!
Вновь над **Метехи** солнце встало,
Тебе даря любви рассвет,
Мой седовласый, величавый
Тбилиси!
Краше в мире нет!

Здесь также встречаем географические маркеры (*Нарикала, Кура, Метехи*), встречаются и интертекстуальные отсылки к тексту грузинской культуры – упоминания *Руставели, Галактиона, белого коня и лебедя*. Привлекает внимание и комментарий, которым поэтесса сочла нужным сопроводить публикацию своего стихотворения:

«Иавнана» – грузинская колыбельная Нарикала – древняя крепость

Галактион Табидзе – классик грузинской литературы (У Оры Гурули есть замечательный перевод его гениального «Чем дальше ты, тем больше я влюбляюсь»). Есть очень красивая песня «Тетри раши» в исполнении Мераба Сепашвили – там про белого коня и белого лебедя... Прослушайте, если будет желание. Есть и перевод.

Метехи – исторический район Тбилиси, на скале, прямо над Курой».

Комментарий не только объясняет неизвестные русскому читателю реалии, но и подчеркивает связь образной канвы стихотворения со словами русских переводов грузинских песен, а также обращает внимание читателей на интертекстуальную перекличку со строкой Галактиона в переводе Оры Гурули:

Чем дальше ты, тем мне милей (Сопико)

Чем дальше ты, тем больше я влюбляюсь (Галактион)

Все это создает совершенно особый, «грузинский», дискурс русскоязычного текста. Сам древний город позиционируется как «отец» (*Ты как отец мне*). Колыбельная Иавнана призвана вернуть поэтессе «детское вчера», однако, в отличие от психологического, реальное время необратимо, а способное перенести человека в мир прошлого вино из одуванчиков, к сожалению, существует только в художественной реальности одноименной повести Рея Бредбери (Ray Bradbury. *Dandelion Wine*, 1957). Ассоциация *иавнаны* Софики с вином из одуванчиков далеко не случайна – оба метафорических символа несут схожую художественную нагрузку, и хотя первый перевод повести на русский язык датируется концом 70-х годов, она пользовалась огромной популярнос-

тью именно у молодежи 80-ых. Приведем еще одно стихотворение Сопико:

Шатало ты мое, шатало!

Как дышалось тогда нам привольно!

Тбилисо, мой родной Тбилисо,

Ты живи!!! И того мне будет довольно!»

Сопико (<https://www.stihi.ru/comments.html?2011/03/14/558>)

Здесь также имеются включения грузинских лексем: *Тбилисо* – звательный падеж от обращения к городу и, одновременно, название т. н. «гимна Тбилиси» *სობღურს ობოლობზე*¹. Поэтому заключительная строка стихотворения воспринимается как отсылка к рефрену песни: «Не найти в других краях твоих красот, // Без тебя и жизнь мне не мила». Особого внимания заслуживает временная дистанция сейчас → тогда (*Как дышалось тогда нам привольно!*). Так концепт ностальгия по утраченной родине обретает дополнительную коннотацию тоски по утраченной юности и счастью первой любви: *А над Тбилиси – первый гром, // С многоголою грозою, // И ты безудержно влюблен...* («Будущие воспоминания» – <https://stihi.ru/2012/06/11/8554>). Подобная трансформация представляется совершенно естественным следствием жизненных перемен. Аналогичный мотив встречается и в текстах других поэтов (в том числе и проживающих в Грузии) — ностальгия по полной надежд юности, по той поре, когда «деревья были большие»², а будущее представлялось безоблачной дорогой к счастью, персонифицируется в образе города «прекрасного далёка»³. Примечательно, что читатели так и восприняли стихотворение «Я так скучаю, мой Тбилиси...»: «*Милая София! Это стихотворение-ностальгия... И в первую очередь – по*

1 Музыка Реваза Лагидзе, слова Петра Грузинского. Начиная с 80-ых – всесоюзный шлягер в исполнении ансамбля «Орера».

2 «Когда деревья были большими» — популярная в советском культурном дискурсе 70-ых – 80-ых годов прошлого века метафора детства. Распространилась после выхода на экран в 1962 г. одноименного художественного фильма, главную роль в котором исполнял кумир советских зрителей Юрий Никулин.

3 «Прекрасное далёко» – популярная песня из кинофильма «Гостья из будущего» (1984), сюжет которого по мотивам фантастической повести Кира Булычёва «Сто лет тому вперёд» (1977) построен на приключениях путешественников во времени, в частности, возвращении в прошлое.

детству... *Нравится! спасибо!!!*» (Лариса Шахбазян Лапшова, 14.03.2011). Но время вносит свои коррективы (см.: Бессокирная и др., 2010) – город изменился, и поскольку в реальности настоящего уже не существует оставшейся в прошлом родины нашей юности, то, независимо от того, где в настоящее время проживают поэты — в Тбилиси или за пределами Грузии, их объединяет общее чувство безвозвратной утраты. Отклики читателей доказывают, что выраженные поэтессой чувства разделяют и другие мигранты, более того, объединенные порталом Стихи.ру, они как бы образуют новую культурную общность – «тбилисцы в России»:

«Сопико! Все во мне взбудоражила. Тот... Наш любимый город продолжает существовать в наших сердцах!.. Красиво у тебя получается вплести до боли родные слова в стих, супер!!! Диди мадлоба! Сикварулит да пативисцемит, Ия» (Ия Диаконидзе, 24.01.2012); «Пора, пора домой. Правда, кафе «Лагидзе» на Руставели уже нет. <...> И многое изменилось. Но главное – осталось... А, что главное – пойдем только мы с Вами» (Канатчикова Дача 20.04.2011); «Над «Тирипеби» слезы лить. Лью... Стареем что ли))) Прошлого не вернуть, но я ВЕРЮ в будущее. Сонь, Ты мне уже как родная. Спасибо, окунула с головой...))» (Вера Гиоргадзе, 04.07.2011); «Эту боль назвали красивым словом – ностальжи... Разве можно боль называть красивым словом... Софико, за день ставшая мне духовно близким человеком, мы должны быть вместе! Назло нежелающим этого!» (Роза Хастян, 18.01.2012) и т.д.

«Литература – неотрывная часть целостности культуры, её нельзя изучать вне целостного контекста культуры» (Бахтин, 1986, с. 363), и это заставляет нас обратить особое внимание на специфику понятий *Тбилиси* и *тбилисец* в общем контексте городской культуры¹. Благодаря многочисленным волнам миграционных и интеграционных процессов, за свою многовековую историю Тбилиси сформировался как поликультурный город, а сложившееся из представителей различных национальных меньшинств, а также потомков смешанных браков, рус-

¹ Понятие *городская культура* включает в себя типичный для населения того или иного города образ жизни, собственную иерархию духовных ценностей и специфику менталитета (см.: Белоусова, 2007, с. 214– 219).

скоязычное население города составило особый социо-культурный слой со своими традициями, мироощущением, жизненным укладом и собственными культурными концептами. Таким образом, *тбилисец* – это представитель созданной многими поколениями разноэтнического населения поликультурного города особой субкультуры, которая характеризуется целым рядом характерных особенностей, к самым значимым из которых можно причислить приоритет таких ценностных ориентаций, как *этническая и культурная толерантность*, определяющих иерархию нравственных ценностей и поведенческие модели их носителей. Как известно, структура любой городской субкультуры в качестве базовых элементов включает систему ценностных ориентаций, поведенческие модели и особую коммуникативную среду, в которой рождаются и функционируют ее представители. Они определяют специфику мироощущения и образ жизни. Русский язык собственно и был подобной коммуникативной средой, объединявшей многоэтническую общность тбилисцев в условиях государственного билингвизма последних двух веков, поэтому Тбилиси, чаще всего, выступает как символ единения различных культур. Привлекает внимание тот факт, что как литературную традицию мы встречаем Тбилиси в этом качестве и в произведениях проживающих в Грузии представителей молодого поколения русскоязычных авторов, для которых утрата «старого Тбилиси» такая же культурная трагедия, как и для писателей старшего поколения. Поскольку большинство наших авторов – уроженцы Тбилиси, неудивительно, что функцию концепта *родина* обретает именно Тбилиси, и национальная и культурная идентичность выражается через утверждение «Я – тбилисец».

Многие из современных писателей пользуются псевдонимами¹, и на сегодняшний день установить точное количество проживающих за рубежом русскоязычных писателей – уроженцев Грузии или их прямых потомков, к сожалению, не представляется возможным: конфиденциальность частной информации охраняется международным законодательством. Чаще всего мы можем ориентироваться лишь на созданные ими тексты, такие, как, например, стихотворение Dimitri S /

¹ В ряде случаев, получая гражданство, или, вступая в брак и меняя социальный статус, люди изменили не только фамилии, но и национальность.

Димитрия Шенгелия/ «Мой дом – мой Тбилиси». Это стихотворение, особенно в музыкальном сопровождении, нашло горячий отклик в сердцах мигрантов (см.: <https://soundcloud.com/levan-kapanadze-865508810>). Приведу небольшой отрывок (<https://stihi.ru/2002/09/23-805>):

***Я не знал до сих пор,** пока сам не услышал как шумят поезда в тишине
той ночной.*

***Я не знал до сих пор,** пока сам не увидел как горят фонари в темноте
над рекой.*

*Я безумно влюблен в **город свой, свой Тбилиси.***

Я приехал сюда для того, чтоб любить.

***Я хочу чтобы он, сын мой, тоже увидел** те места, где и я предпочел
бы жить.*

*Фонари над Курой освещают мне путь , по которому я выбрал всю
жизни суть.*

*И угрюмая жизнь, по которой живут, для меня бы она создавала б уют.
Когда южное небо создает ореол от земли до созвездий , ты летишь
как орёл.*

*И когда ты безумен, и взмахнешь ты крылом, то **тогда не забудешь как
прекрасен твой дом.***

Автор позиционирует себя как потомок тбилисцев (вероятно, он покинул родной город в раннем детстве). Из текста следует, что поэт впервые приехал на родину предков (...я не знал до сих пор...), но для него Тбилиси не просто город, в который он *безумно влюблен*, это – то место, где он *предпочел бы жить*. Тбилиси Dimitri S –далеко не идеализированный образ. Здесь *угрюмая жизнь, по которой живут* (вероятно, речь идет о Тбилиси времён энергетического и экономического кризиса), но – это *дом*, где даже такая жизнь *создавала б уют*. Это – родовое гнездо, память/любовь к которому поэт должен передать рождённому в далеком краю сыну, и «*тогда не забудешь, как прекрасен твой дом*». Таким образом, в ряде случаев Тбилиси выступает и в качестве концепта *историческая родина*, память о которой должна быть передана последующим поколениям.

III. «Историческая родина» в творчестве мигрантов второго поколения

Дефиниция «историческая родина» имеет несколько определений¹, но относительно родившихся в советскую эпоху русскоязычных поэтов вопрос об их исторической родине настолько сложен и противоречив, что в ряде случаев чёткая дифференциация не представляется возможной, как, например, в случае с православным мыслителем, поэтом-философом, публицистом и ученым Валентином Арсеньевичем Никитиным (1947-2017). Этнически русский, мигрант второго поколения (его родителей забросила в Грузию из России Вторая мировая война), уроженец Тбилиси, Вал. Никитин вырос и получил образование в Грузии, но по окончании Университета (в 1971 г.) в надежде продолжить образование в Духовной академии переехал в Москву, женился и прожил там всю жизнь. Казалось бы, в этом случае следует говорить о возвращении россиянина на историческую родину предков, но это было бы непростительным упрощением – в глубине души поэт так и остался тбилисцем: *«Уехав из Тбилиси, он словно никогда не покидал Грузию. <...> Именно разноголо- сый Тбилиси стал «замесом» для творчества Валентина»* (Филина, 2021, с. 15, 19). Вся деятельность учёного и общественного деятеля была посвящена укреплению грузино-русских культурных связей, сближению русской и грузинской церковей. Мать и родственники поэта остались в Тбилиси, а сам Вал. Никитин часто приезжал в Грузию. Он был прекрасно интегрирован и в русскую, и в грузинскую социокультурную среду. Живя на родине предков (в России), поэт не только не порывал связи с Грузией, но и планировал «вернуться на родину» – в Тбилиси, что однозначно звучит в его стихах: **«Зов родины и зов души! // Вернуться в Грузию пора мне... // Я слышу голос: поспеши!»**, 2015 (из сб. «Вечерний зов», 2019). Таким образом, по принадлежности к титульной нации и родине предков, *исторической родиной* поэта должна считаться Россия, но по месту рождения и «зову души» – это Грузия. Вал. Никитин умер в Грузии, похоронен в Москве...

¹ Чаще всего понятие «историческая родина» используется и как обозначение места рождения конкретного человека (то есть государства, на территории которого он родился), так и государства, к титульной нации которого он относится по своей национальности, независимо от места его рождения.

Грузия является исторической родиной /землей предков/ и для тех, кто родился в семьях уроженцев Грузии уже в России, и в заключение, мы хотели бы остановиться на недавних стихотворениях современного петербургского автора Григория Хубулава. Однако прежде чем перейти к разбору текстов, считаем необходимым сказать несколько слов о самом писателе. Его отец – известный российский кардиохирург, академик РАН, Геннадий Григорьевич Хубулава родился в 1960 г. в селе Ингири Зугдидского района Грузинской ССР (отец мегрел, мать русская). В возрасте 18 лет он покинул родные места и продолжил образование в Ленинграде /Санкт-Петербурге/. Получив профессию военного врача, продолжил службу/работу на территории России. В 1982 году, уже в Санкт-Петербурге, родился старший сын – Григорий. Таким образом, этот потомок смешанных браков (мать писателя, так же как и бабушка, русская) однозначно может быть причислен к т. н. мигрантам второго поколения.

Доктор философских наук, профессор нескольких ВУЗов, Гр. Хубулава, одновременно, успешный писатель и поэт. Он – лауреат ряда литературных премий, автор поэтических сборников «Клубок» (2005), «Точка опоры» (2007), «Признаки жизни» (2010), «Иными словами» (2012) и сборника малой прозы «Камушки» (2017). Формирование личности родившегося в России писателя происходило уже в эпоху становления независимых государств постсоветского пространства, поэтому свойственное гибриднему сознанию раздвоение понятия родина ему не свойственно. Тем не менее, поэт не утратил связи с Грузией, особенно с ее Западным регионом, Самегрело /Мегрелией/ – исторической родиной предков. Связь поколений с родной землей образно передана в «Песне о груше. Подражание грузинскому» (<https://stihi.ru/2020/07/30/6366>):

*Заледенела в бурю, не видя Божий свет,
Погибла **хечечури**, что посадил мой дед.
Кому-то – просто груша, забыли и живём,
А мне, как будто душу порезали ножом.
Побегов молодые мне видятся следы,
Под солнцем золотые, упругие плоды.*

*Цветут на небе звёзды и пьют с листвы росу,
А я порою поздней в сад саженцы несу,
Их посажу сегодня, земле шепну «Прости»,
Мы – семена Господни, рождённые расти.*

Среди стихотворений поэта встречаем обращение к чонгури («Мегрельская песня»: <https://stihi.ru/2021/12/18/7349>), зарисовки живописных пейзажей («Мегрельское»: <https://stihi.ru/2020/11/15/9399>), а в числе адресатов многочисленных «Фантазий на тему...» и «Подражаний ...» (... французскому, ... древнему) – имя Терентия Гранели («Подражая Гранели»: <https://stihi.ru/2021/12/13/5213>). В этих поэтических текстах отсутствует типичное для билингов включение грузинских лексем: упоминание хечечури (местный сорт груш), так же, как и чонгури – всего лишь реалии, однако наличие среди произведений поэта стихотворений на английском языке (“Whole life is past so slowly step by step”, “The healer was standing over a child”, “I m flying, yet I never learned to fly” и др.) позволяет предположить, что он является носителем полилингвального сознания. Хотя Тбилиси и не соотносится с ментальной картой поэта, среди размещённых на портале Стихи.ру в 2022 году произведений находим текст, в котором явственно проступает образ этого города (<https://stihi.ru/2022/03/21/7348>):

*Это битва твоя, это слава твоя,
Я гляжу, и глаза не закрою,
В тёмном небе ночном – наконечник копья,
Как звезда над драконьей горою.
Устремляешься вниз, восседая верхом,
Вечный враг вакханалий и оргий,
На чудесном своём скакуне кучевом,
Поражающий змия Георгий
Учишь боль и желанья свои побеждать,
Переполнив полночную чашу,
Рай и чистую вечность готовый отдать
За свободу жестокою нашу.*

В тексте нет никаких указаний на то, где видел поэт вдохновивший его на это стихотворение образ. Но перед внутренним взором любого тбилисца неизбежно возникает одна и та же картина – посвященный независимости грузинского народа *Памятник Свободе* на центральной площади родного города. Мемориал, известный как статуя Св. Георгия /покровителя Грузии/, был установлен на Площади Свободы в 2006 году. Покрытое золотом бронзовое изваяние (5,6 м в высоту) подарил родному городу скульптор Зураб Церетели. Статуя Святого установлена на гранитной стеле. Общая высота мемориала составляет 35 м. Золотое свечение возвышающегося над городом, день и ночь ярко освещённого Памятника символизирует святое покровительство борьбе за Свободу. На этом общекультурном фоне для тех, кому знаком затекст¹, обращение к Св. Георгию звучит как обращение к недавней истории грузинского народа.

Ключевым словом, открывающим глубинный смысл стихотворения служит упоминание *Драконьей горы*. «Драконья гора» – вымышленная реалья в серии романов Джорджа Р. Р. Мартина «Песнь льда и огня», обретших особую популярность после выхода на экран снятого по ее мотивам телесериала «Игра престолов» (англ. *Game of Thrones*), премьера Первого сезона которого состоялась в 2011 году. В художественном пространстве произведения это активный вулкан на острове Драконий Камень в Узком море, в пещерах которого когда-то обитали драконы. У подножия вулкана расположен замок Драконий Камень – наследственное владение «повелителей драконов» /«наездников драконов»/, королевской династии Таргариенов, почти триста лет правивших Семью Королевствами. Их правление поддерживали драконы, кровь которых, по преданию, текла в жилах древней династии. Одна из основных сюжетных линий строится на истории борьбы за трон Семи Королевств потомка свергнутой династии. Последним из выживших драконов отводится роль верных соратников. Соответственно, Драконья гора может быть интерпретирована не просто как географическая реалья вымышленного мира, но как символ опирающейся на мощь драконов власти. В романах/

¹ Затекст – «фрагмент действительности, отображенной в тексте. Затекст присутствует в тексте неявно — как отсылка к реальным событиям или явлениям» (Глухов, 2005, с. 115).

телесериале поднимается вопрос об оправданности/неоправданности завоевания соседних государств с целью «освобождения народов» (уничтожения рабовладельческого строя), недопустимости насилия в борьбе за власть, а также многое другое.



Интертекстуальная отсылка позволяет интерпретировать глубинную символику стихотворения: копьё Святого Георгия направлено против опоры свергнутой власти – родового гнезда драконов (Драконьей горы): *В тёмном небе ночном – наконецник копья, // Как звезда над драконьей горою. // Устремляешься вниз, восседая верхом.* В поэтической реальности стихотворения общепризнанный символ борьбы Добра со Злом (Св. Георгий) продолжает нескончаемую битву «За свободу жестокую нашу».

У старожилов Тбилиси еще свежа память о том времени, когда площадь носила имя В. И. Ленина, а на месте Памятника Свободы возвышалась статуя «вождя мирового пролетариата». Непроизвольно возникает аллюзия на историческую реальность – борьбу с отжившей свое время властью. Соответственно, не только Памятник, но и сам город обретают значимость символа самоотверженной борьбы за свободу.

Свобода жестока. Так же, как и борьба за власть, борьба за свободу неотделима от битв, кровопролития, насилия... Позиция автора по отношению к тем, кто готов проливать чужую кровь, строго непримирима (<https://stihi.ru/2022/03/12/8596>):

Увидев Сатану, не поведёт и бровью

Твой господин, властитель мудрый твой,

И соглашение с ним подпишет свежей кровью...

Не собственной... чужой..

На этом фоне особую значимость обретают посвященные «горячим точкам» постсоветского пространства строки других стихотворений

визуализации свидетельствует стихотворение «Мальчик рисует сражение: танки и взрывы» (<https://stihi.ru/2022/03/03/8220>):

*Мальчик рисует сражение: танки и взрывы
Яркой гуашью на плотном холодном листе,
**Кто-то из взрослых считает, что это красиво,
Что понимает счастливец в такой красоте.***

*Рыжая девочка сутки проводит в подвале,
Смотрит растерянно вверх посреди пустоты,
**Что бы знакомые мальчики ни рисовали,
Девочка пальцем на стенах выводит цветы.***

*Время терпеть или в голос молиться о чуде,
Явь превратилась в безумный, бессмысленный сон.
Слышишь отсюда, как громче тяжёлых орудий
Стонут пехотные, в Харьков входя и Херсон?*

*Эхо над городом катится сухо и грозно,
Столп нерушимого мира навеки разбит,
В реку дрожащую падают дикие звёзды,
Ангел стальной в белый рог раскалённый трубит.*

«Столп нерушимого мира навеки разбит; Явь превратилась в безумный, бессмысленный сон» – это Армагеддон. Ужас происходящего передан сквозь призму детских рисунков: *Что бы знакомые мальчики ни рисовали, // Девочка (которая сутки проводит в подвале) пальцем на стенах выводит цветы.* Невольно возникает вопрос о воспитании молодёжи (*Кто-то из взрослых считает, что это красиво, // Что понимает счастливец в такой красоте*), но поскольку рассуждения на эту тему выходят за рамки данного исследования, мы лишь отметим, что поэт сопереживает беженцам /изгнанникам с родной земли/ («Рассветы ослепят напрасной новью»):

*Всесильный враг накладывает лапу
На каждый дом, не пробуй возражать!
<...>*

Прости, счастливой жизни половина!

Оставить всё, что дорого спешу.

(<https://stihi.ru/2022/03/17/1963>)

Он скорбит о судьбе всех участниках происходящего:

Слишком хочется каждому верить

В то, что именно он победит.

*«Мама, милая, **кто эти звери?**»*

Богородица с неба глядит.

(«Мама» – <https://stihi.ru/2022/03/02/182>)

Происходящее представляется противоестественным, противоречащим человеческой природе и Замыслу Божию («Когда-нибудь я научусь не слышать»):

Стоявший на колени опустился,

Могучий стал слабее всех калек,

Я чувствую, что в глину обратился

Прекрасный изначальный человек.

И некому надеяться на чудо,

До самого последнего суда.

Адама будто не было... Откуда...

Ответь мне, брат, откуда мы тогда?

(<https://stihi.ru/2022/02/27/5674>)

Ностальгия поэта обращена к тому времени, когда народы жили в мире, а образ *Прекрасного изначального человека* соответствовал созданному По образу и Подобию.

Создатель! Посмотри, что сделал с нами

Отчаянный и сумасшедший Каин

Наш брат...

(«Сгустилась мгла, не знавшая предтечи» –

<https://stihi.ru/2022/03/16/2174>)

Полагаем, что эти строки не нуждаются в комментариях...

Вместо заключения

Подводя итог, прежде всего напомним, что изучение специфики би- и полилингвального мироощущения уроженцев Грузии, только начинается. Естественно, что собранный материал пока не даёт возможности широких обобщений. Проведенное исследование показало наличие совпадений основных маркеров концептосферы (см.: Модебадзе, 2016), а также симилярность эволюции мировоззренческих ориентиров би- и полилингв у проживающих на территории Грузии и за ее пределами русскоязычных писателей. Это даёт основание полагать, что мы имеем дело с ответвлением единой субкультуры (см.: Модебадзе, 2019). Огромную роль в формировании специфики мироощущения русскоязычного населения сыграл Тбилиси, что прекрасно сформулировал проживающий на территории Германии писатель-мигрант Михаил Гиголашвили: *«старый Тбилиси имел свою ауру, свою особую субкультуру, которая вырабатывалась веками и была основана на толерантности и взаимоуважении всех многочисленных наций, проживавших в этом – не менее вечном, чем Рим, – городе. Тбилисец – очень конкретное понятие, вмещающее в себя много разных составляющих. Среди них в числе первых – гостеприимство, веро- и просто терпимость, душевность, хлебосольность, бесконечный юмор, оценка человека по его сути, а не по рангу, стремление понять душу другого, деликатность, приоритет поэзии и слова над другими проявлениями жизни, уважение к искусству, высокая интеллигентность»* (Гиголашвили, 2009).

Русскоязычная литература Грузии, в особенности ее культурное ядро – тбилисская русскоязычная городская субкультура (см.: Аверина, 2010, с. 412-427; Сванидзе, 1995 и др.), пройдя на протяжении веков все этапы развития от мультикультурализма до аккультурации¹, обрела уникальный культурный опыт. Это дает основание допускать развитие освященного многовековой традицией транскультурализма², сло-

1 В процессе аккультурации (взаимовлияния культур) происходит восприятие, полностью или частично, культуры другого народа, могут быть изменены оригинальные культурные модели одной или обеих групп, но сами группы по-прежнему остаются различными.

2 Транскультурализмом принято обозначать принадлежность индивида (или группы) к нескольким культурам при условии сохранения собственной культурной ориентации, т.е. способность осваивать одновременно различные культурные традиции в их совокупности.

жившегося задолго до возникновения самого этого понятия. Исследование творчества проживающих на территории России русскоязычных писателей, уроженцев Грузии, и их потомков указывает на то, что их мироощущение проходит схожие стадии, а именно: поликультурное → мультикультурное → транскультурное. Впрочем, окончательные выводы возможны лишь в результате проведения дальнейших исследований.

Лიტერატურა:

- მოდებაძე, ი. (2016). საქართველოს მწერლობა რუსულენოვან კულტურულ სივრცეში (ტერმინოლოგიური დეფინიციების დაზუსტებისათვის). ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა. ISBN 978-9941-22-780-6. თბილისი: უნივერსალი, 265-321.
- Модебадзе И. (2019). «Размывание национальных границ» и проблема культурной идентичности: русскоязычная литература Грузии на рубеже XX-XXI веков (к постановке вопроса). XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, II. ISBN 978-9941-13-921-5; ISSN 1987-5363. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 17-36.
- Аверина, М. В. (2010). Городская культура как объект исследования, Культурология. Фундаментальные основания прикладных исследований, 412-427. ISBN: 978-5-89357-274-2. Москва: Смысл.
- Акунин-Чхартишвили, Б. (2012). Аристономия. ISBN: 978-5-815-911-39-0. Москва: Захаров.
- Бахтин, М. М. (1986). Эстетика словесного творчества, Москва: Искусство.
- Белюсова, Г. А. (2007). Городская субкультура как категория современной социологии, Вестник Ставропольского государственного университета, 48/7, 214-219. ISSN 1998-6383. <http://vestnik.stavsu.ru/48-2007/33.pdf>
- Бессокирная, Г. П., Большакова О. А., Караханова, Т. М. (2010). Повседневная деятельность городских жителей в годы реформ: бюджет времени, ценности, тенденции (1986-2008) / Под общ. ред. Т. М. Карахановой/. ISBN 978-5-89697-185-6. Москва: Изд-во Института социологии РАН. <https://www.isras.ru/publ.html?id=2002>
- Бхабха Хоми (2005). Местонахождение культуры. Перекрестки: Журнал исследований восточноевропейского пограничья, 3-4, 161-191. https://en.ehu.lt/wp-content/uploads/2017/11/CrossRoad_3-4_2005.pdf

- Гиголашвили, М. (2009). Немецкий грузин Михаил Гиголашвили: о России и Грузии, о юности в Тбилиси и знаменитом венгерском предке, о деде и Шеварднадзе. <https://fantlab.ru/user5509/blog/tag/%D0%BF%D1%80%D1%8F%D0%BC%D0%B0%D1%8F%20%D1%80%D0%B5%D1%87%D1%8C>
- Глухов, В. П. (2005). Основы психолингвистики: учеб. пособие для студентов педвузов. Москва: АСТ: Астрель, 2005: https://pedlib.ru/Books/4/0356/4_0356-115.shtml
- Кукулин, И. (2013). «Внутренняя постколонизация»: формирование постколониального сознания в русской литературе 1970–2000 годов. Политическая концептология, 2, 149-185. ISSN 2218-5518: <http://politconcept.sfedu.ru/2013.2/09.pdf>
- Кумо Кадзухиро (2006). Миграция Населения в Постсоветской России. Institute of Economic Research Discussion Paper Series DPS-480 Hitotsubashi University, Tokyo, Japan, April. https://www.ier.hit-u.ac.jp/~kumo/MigrationinPost-SovietRussia_ru.pdf
- Липчанская, В. В., Ломтева, Т. Н., Каменский, М. В. (2019). Билингвизм как языковое и социокультурное явление в эпоху мультикультурализма и глобализации. Известия Южного Федерального Университета. Филологические Науки, 3, 46-54. ISSN 2312-1343: <https://www.elibrary.ru/item.asp?id=41111687>
- Мартынова, В. В. (2010). Маргинальность как социокультурный феномен эпохи глобализации. Культурология. Фундаментальные основания прикладных исследований. ISBN: 978-5-89357-274-2. Москва: Смысл, 507-528.
- Модебадзе, И. И. (2008), Русская литература в контексте грузинской литературы: история и современность. Русская литература в мировом культурном и образовательном пространстве, Санкт–Петербург 15–17 октября 2008, 1, 1. Русская литература в контексте мировой культуры. ISBN 978-5-91395-024-6. Санкт–Петербург, 350-356.
- Модебадзе, И. И. (2007). Русскоязычные включения в текстах грузинской прозы: история и современность. Русский язык в странах СНГ и Балтии. ISBN 5020362646, 9785020362642. Москва: Наука, 508-516.
- Нестерова, С. Б. (2019). Теоретические подходы к понятию «психологическое время». РЕМ: Psychology. Educology. Medicine, 1, 159-169. ISSN 2312-9352: <https://cyberleninka.ru/article/n/teoreticheskie-podhody-k->

ponyatiyu-psihologi-cheskoe-vremya/viewer

- Новолодская, С. Л. (2012). Дефиниция понятий «поликультурный» и «мультикультурный». Вектор науки Тольяттинского государственного университета. Серия: Педагогика, психология, 1(8), 234-237. ISSN print: 2221-5662. <https://journal.tltsu.ru/rus/index.php/VNSPP/article/view/2283>
- Полян, П. (2001). Не по своей воле... История и география принудительных миграций в СССР. ISBN 5942820074, 9785942820077. Москва: ОГИ–Мемориал. <http://old.memo.ru/history/deport/>
- Сванидзе, А. А. (1995). Город как социокультурное явление исторического процесса. ISBN 5-02-011228-3. Москва: Наука.
- Снигирева, Т. А., Подчиненов А. В. (2013). Аристоном Б. Акунина: национально-религиозный аспект. Филология и культура. Philology and Culture, 2 (32). ISSN 2782-4756. <https://cyberleninka.ru/article/v/aristonom-b-akunina-natsionalno-religioznuu-aspekt>
- Филина, М. (2021). Вернуться в Грузию пора мне...» Валентин Никитин. ISBN 978-9941-8-3987-0. Тбилиси: Русский Клуб.
- Фундаментальные основания прикладных исследований, 412-427. ISBN: 978-5-89357-274-2. Москва: Смысл.

References:

- Modebadze Irine (2016). Sakartvelos mts'erloba rusulenovan k'ult'urul sivrtseshi (t'erminologiuri dep'initsebis dazustebisatvis). Kartuli mts'erlobis int'erk'ult'uruli modeli da natsionaluri ident'obis p'roblema. [Georgian literature in the Russian-speaking cultural space (for clasification of terminological definitions)]. ISBN 978-9941-22-780-6. Tbilisi: universali, 265-321.
- Averina M.V. (2010). Gorodskaja kultura kak ob'ekt issledovanija. [Urban culture as an object of study], Culturology. Fundamental foundations of applied research, 412-427. ISBN: 978-5-89357-274-2. Moskva: Smysl.
- Akunin-Chkhartishvili (2012). Aristonomja [Aristonomy]. ISBN: 978-5-815-911-39-0. Moskva: Zakharov.
- Bakhtin M.M. (1986). Èstetika slovesnogo tvorcestva. [Aesthetics of verbal creativity], Moskva: Isskustvo.

- Belousova G.A. (2007). Gorodskaja subkultura kak kategorija sovremennoj sotsiologii. [Urban subculture as a category of modern sociology], Vestnik Stavropol'skogo gosudarstvennogo universiteta, 48/7, 214-219. ISSN 1998-6383. <http://vestnik.stavsu.ru/48-2007/33.pdf>
- Bessorkirnaja G.P., Bol'shakova O.A., & Karakhanova T.M. (2010). Povsednevnaia dejatel'nost' gorodskikh zhitelej v gody reform: bjudzhet vremeni. Tsennosti, tendentsii (1986-2008). [Daily activities of urban residents during the reform years: time budget, values, trends] / Pod obshchej redaktsiej T.M. Karakhanovoj /. ISBN 978-5-89697-185-6. Moskva: Izd-vo Instituta sotsiologii RAN. <https://www.isras.ru/publ.html?id=2002>
- Bhabha Homi (2005). Mestonakhozhdenija kul'tury. [The Location of Culture]. Perkrjostki: Zhurnal issledovanij vostochnoevropejskogo pogranich'ja, 3-4, 161-191. https://en.ehu.lt/wp-content/uploads/2017/11/CrossRoad_3-4_2005.pdf
- Filina Mariya (2021). Vernut'sya v Gruziju pora mne...» Valentin Nikitin. [It's time for me to return to Georgia...» Valentin Nikitin]. ISBN 978-9941-8-3987-0. Tbilisi: Russkiy Klub.
- Gigolashvili (2009). Nemetskij gruzin Mikhail Gigolashvili: o Possii i Gruzii. O junosti v Tbilisi i znamenitom vengerskom predke, o dede i Sheverdnadze. [German Georgian Mikhail Gigolashvili: about Russia and Georgia, about youth in Tbilisi and the famous Hungarian ancestor, about grandfather and Shevardnadze]. <https://fantlab.ru/user5509/blog/tag/%D0%BF%D1%80%D1%8F%D0%BC%D0%B0%D1%8F%20%D1%80%D0%B5%D1%87%D1%8C>
- Glukhov V.P. (2005). Osnovy psikholingvistiki: uchebnoe posobie dlja studentov pedvuzov. [Fundamentals of psycholinguistics: textbook allowance for students of pedagogical universities]. Moskva: AST: Astrel', 2001: https://pedlib.ru/Books/4/0356/4_0356-115.shtml
- Kukulin Il'ja (2013). "Vnutrennjaja postkolonizatsija": formirovanie postkolonial'nogogo soznaniya v russkoj literature 1970–2000 godov. ["Internal post-colonization": the formation of post-colonial consciousness in Russian literature in 1970-2000]. Politicheskaja kontseptologija, 2, 149-185. ISSN 2218-5518. <http://politconcept.sfedu.ru/2013.2/09.pdf>
- Kumo Kadzukhiro (2006). Migratsija naselenija v Postsovetskoj Rossii. [Migration in Post-Soviet Russia]. Institute of Economic Research Discussion Paper Series DPS-480 Hitotsubashi University, Tokyo, Japan, April. https://www.ier.hit-u.ac.jp/~kumo/MigrationinPost-SovietRussia_ru.pdf

- Lipchanskaja V.V., Lomteva T.N., & Kamenskij M.B. (2019). Bilingvizm kak jazykovoe i sotsiokul'turnoe javlenie v èpokhu mul'tikul'turalizma i globalizatsii. [Bilingualism as a linguistic and sociocultural phenomenon in the era of multiculturalism and globalization]. *Izvestija Juzhnogo Federal'nogo universiteta. Filologicheskie nauki*, 3, 46-54. ISSN 2312-1343: <https://www.elibrary.ru/item.asp?id=41111687>
- Martynova V.V. (2010). Marginal'nost' kak sotsiokul'turnyy fenomen epokhi globalizatsii. [Marginality as a socio-cultural phenomenon of the era of globalization]. *Kul'turologija. Fundamental'nye osnovaniya prikladnykh issledovanij*. ISBN: 978-5-89357-274-2. Moskva: Smysl, 507-528.
- Modebadze I.I. (2008), *Russkaya literatura v kontekste gruzinskoy literatury: istoriya i sovremennost'*. [Russian literature in the context of Georgian literature: history and modernity]. *Russkaya literatura v mirovom kul'turnom i obrazovatel'nom prostranstve. Sankt-Peterburg 15-17 oktjabrja 2008*, 1, 1. *Russkaja literature v kontekste mirovoj kul'tury*. ISBN 978-5-91395-024-6. Sankt-Peterburg, 350-356.
- Modebadze I.I. (2007). *Russkoyazychnyye vklyucheniya v tekstakh gruzinskoy prozy: istoriya i sovremennost'*. [Russian-language inclusions in Georgian prose texts: history and modernity]. *Russkiy yazyk v stranakh SNG i Baltii*. ISBN 5020362646, 9785020362642. Moskva: Nauka, 508-516.
- Modebadze I.I. (2019). "Razmyvaniye natsional'nykh granits" i problema kul'turnoy identichnosti: russkoyazychnaya literatura Gruzii na rubezhe XX-XXI vekov (k postanovke voprosa). ["Border Disruption" and the Problem of Cultural Identity (Russian-speaking writers of Georgia at the turn of the XX-XXI centuries)]. *Political Events of 1980-1990s and Literary Discourse Proceedings of International Symposium, II*. ISBN 978-9941-13-921-5; ISSN 1987-5363. Tbilisi: TSU Press, 17-36.
- Nesterova S.B. (2019). *Teoreticheskiye podkhody k ponyatiyu «psikhologicheskoye vremya»*. [Theoretical approaches to the concept of "psychological time"]. *REM: Psychology. Educology. Medicine*, 1, 159-169. ISSN 2312-9352: <https://cyberleninka.ru/article/n/teoreticheskie-podhody-k-ponyatiyu-psihologicheskoe-vremya/viewer>
- Novolodskaja S.L. (2012). *Definitsiya ponyatiy «polikul'turnyy» i «mul'tikul'turnyy»*. [Definition of the concepts "policultural" and "multicultural"]. *Vektor*

nauki Tol'yatinskogo gosudarstvennogo universiteta. Serija: Pedagogika, Psikhologija 1(8), 234-237. ISSN print: 2221-5662. <https://journal.tltsu.ru/rus/index.php/VNSPP/article/view/2283>

Poljan P. (2001). Ne po svoey vole... Istoriya i geografiya prinuditel'nykh migratsiy v SSSR. [Against one's will ... The history and geography of forced migrations in USSR]. ISBN 5942820074, 9785942820077. Moskva: OGI-Memorial. <http://old.memo.ru/history/deport/>

Svanidze A. A. (1995). Gorod kak sotsiokul'turnoe yavlenie istoricheskogo protsessa. [The city as a socio-cultural phenomenon of the historical process]. ISBN 5-02-011228-3. Moskva: Nauka.

Snigirjova T. A., & Podchin'onov A.V. (2013). Aristonom B. Akunina: natsional'no-religioznyy aspekt. [Aristonom by B. Akunin: national-religious aspect]. *Philology and Culture*, 2 (32). ISSN 2782-4756. <https://cyberleninka.ru/article/v/aristonom-b-akunina-natsionalno-religioznyy-aspekt>

მზისა ბუსკივაძე

Mzisa Buskivadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარული ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**ფსევდოევროპული დისკურსი და დეპერსონალიზაციის
საკითხი აჰმედ ჰამდი თანფინარის რომანში
„დროის მარეგულირებელი ინსტიტუტი“**

**Pseudo-European Discourse and the Issue of Depersonalization
in the Novel of Ahmet Hamdi Tanpınar
„The Time Regulation Institute“**

The basis of the new Turkish literature is crisis of civilization. The mentioned critical situation was conditioned by the historical, political-economic and social factors. For the purpose of maintaining territorial integrity, state governance, the Ottoman intellectuals had to seek the “way to safety” in the Europe. Fermani (Edict), declared in 1839, by Mustafa Reshid Pasha in Gulhane Park, known also as Tanzimat Fermani was official declaration of the pro-European course. Attempt of establishing of the European concept turned out to be doomed from the outset, as it was based on the superficial views about the bases of the European civilization. The mentioned narrative has not prepared the public opinion for meeting with the Europe and for the actual traumas. Attempt of building of the European civilization on the fragile basis resulted in formation of two public life styles – alaturca and alafranga. Dualism revealed in all spheres of public life. In Turkish literature, such ambivalence has its relevant name, it is called “pseudo-Europeanization” or “false Europeanization”. The writers, representatives of the first generation of Tanzimat literature attempted to fully liberate Turkish literature from the influence of oriental literature and place it within the framework of the western literary traditions. And in this process, the most significant is changing of the system of thought and this

has conditioned the “unhealthy” European discourse. In the pseudo-European narrative, sensitivity to the system of values and identity crisis were placed on the first plane. Ahmed Hamdi Tanpınar demonstrates distortion of the social consciousness, destruction of the moral categories on the example of the life of the novel’s main protagonist. “Maybe what we call the person, is nothing else but synthesis of the accidentally acquired masks that we store in the chest of our memory?” This question bothers Hayri İrdal, protagonist of the novel “The Time Regulation Institute” by famous Turkish writer of 20th century Ahmet Hamdi Tanpınar. He is somewhere between the “traditional time” and “new time” and cannot make choice in favor of one of them. Modernization process commenced in 1839 in Ottoman Empire became the basis for dividing of Turkish society into two parts. New thinking forms, differentiation of the orientation of the values, secularization and pluralizing of the public knowledge and education, diversity of ideological directions and self-identification of a person became the significant strategies that have formed two styles of life and thinking: *alaturca* and *alafranga*. In Turkish literature the issue of leveling of individual thinking, free activity of a person arose in full clarity. Ahmet Hamdi Tanpınar, in his novel “The Time Regulation Institute”, creates the model of society fed with the pseudo values, where there is described the drama of the person “once thrown” into the world. The process of protagonist’s degradation is placed into the frame of parody and absurdity. It is hard for Hayri İrdal to identify himself as part of any specific group of the society. He is stranger in his family, at his job, with his friends. In case of the character, drastic change of sociocultural environment results in de-personalization. People living in unreal time and space, successfully demonstrate pseudo-happiness by arranging various festivities. For Hayri İrdal, lost in the illusive and utopic world model, kindness, dignity, national identity is determined in his teacher, Nuri Efendi, clock repairman, which has assembled him like the “rusty clock” and attempted to adapt him to the real world. At the initial stage of his life, sense of freedom in Hayri İrdal is all-embracing and he cares about it like “gold bar”. Though, at the following stage of his life, after fighting with himself, the consumer’s nature made him a conformist and he made choice in favor of living in abundance in the magic world of the falsehood. Hayri İrdal is some kind of “polyphonic character”, which listens, of numerous voices in his soul, to the one requiring from him sacrificing of his soul instead of material wealth.

საკვანძო სიტყვები: თურქული ლიტერატურა, ფსევდოევროპული ნარატივი, ცივილიზაციათა კონფლიქტი, აჰმედ ჰამდი თანფინარი, რომანი „დროის მარეგულირებელი ინსტიტუტი“

Key words: Turkish Literature, Pseudo-European discourse, conflict of civilization, Ahmed Hamdi Tanpinar, The novel “The Time Regulation Institute”

მე-20 საუკუნის გამორჩეულად საინტერესო თურქი მწერალი, აჰმედ ჰამდი თანფინარი, რომელიც ამავე დროს „მე-19 საუკუნის თურქული ლიტერატურის ისტორიის“ ავტორიც გახლავთ, სტატიათა კრებულში „სტატიები ლიტერატურის შესახებ“ აღნიშნავს: „ახალ თურქულ ლიტერატურას საფუძვლად ცივილიზაციის კრიზისი უდევს (1977, გვ. 85). აღნიშნული კრიზისი კლასიკური ეპისტემის ევროპული კონცეპტით „ჩანაცვლებამ“, ან უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, „ჩანაცვლების მცდელობამ“ გამოიწვია. ისტორიულმა და არანაკლებ მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა პირობებმა უძლველობის ხიბლში გახვეული ოსმალეთის იმპერია „ავადმყოფ ადამიანს“ დაამსგავსა, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდებოდა მკურნალი. ტერიტორიული მთლიანობის, სახელისუფლებო მმართველობის შენარჩუნების მიზნით ოსმალთა ინტელიგენცია იძულებული გახდა „ხსნის გზა“ ევროპაში ეძებნა. 1839 წელს გიულჰანეს პარკში მუსტაფა რეშით ფაშას მიერ წაკითხული სულთნის ფირმანი, რომელიც „თანზიმათის ფირმანის“ სახელითაც არის ცნობილი, ოსმალეთის იმპერიის პროევროპული კურსის ოფიციალური განაცხადი იყო. თანზიმათის რეფორმები საზოგადოებრივი მოწყობის სისტემის ძირეულ ცვლილებებს მოიაზრებდა. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი სისტემის დანერგვა თავისთავად მოასწავებდა ძველი სისტემის დეკონსტრუქციას, დეკონსტრუქციის შედეგების გათვალისწინებაც გარდაუალა უნდა გამხდარიყო. ახალი, ევროპული ცივილიზაციის არეალში გადასვლა საწყის ეტაპზე ყოველგვარ დიქტომიას, საზოგადოების დუალიზმს გამორიცხავდა. თურქი განმანათლებლების პირველი თაობა (იბრაჰიმ

შინასი, ნამიქ ქემალი, აჰმედ მიდჰათ ეფენდი, შემსეთთინ სამი, სამიფაშაზადე სეზაი) ევროპასთან ურთიერთობას ორი მიმართულებით განიხილავდა: ტექნოლოგიების დანერგვა და მეცნიერების, განსაკუთრებით, პოზიტივისტური მეცნიერებების, შესწავლა. მოდერნიზების მთავარ საფუძვლად ისინი „ახალი ცნებების, ღირებულებების გადმოტანასა და საზოგადოებაში მათ იმპლემენტაციას მიიჩნევდნენ“ (Moran, 2012, გვ. 49). მათი წარმოდგენით, შესაძლებელი იყო ევროპული მეცნიერების ისლამის იდეოლოგიასთან „მორგება“, რაც თავისთავად გამორიცხავდა ყოველგვარი სახის დუალიზმს. ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, გულუბრყვილობად უნდა შევაფასოთ. შედეგიანი იქნებოდა ევროპული ცივილიზაციის გონივრული ადაპტირება და გამოცდილების აკუმულირება, იმის ღრმა ცოდნა, რომელ ისტორიულ, ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში ჩამოყალიბდა ეს ცივილიზაცია. ევროპასთან კავშირი ასოცირებული იყო იდეალური აწმყოს უპირობო დასაწყისთან. როგორც აღმოჩნდა, ევროპეიზაცია იდეალის სახით უფრო არსებობდა, ვიდრე რეალურად შეეძლო ფუნქციონირება. აღნიშნულ ნარატივს არ მოუმზადებია საზოგადოებრივი ცნობიერება ევროპასთან შეხვედრისა და რეალური ტრავმებისათვის. ოსმალურ ნარატივში დაიმსხვრა კიდევ ერთი მითი, რომელიც მისი უძლეველობის კონცეპტზე იყო დაფუძნებული. ევროპულ ქვეყნებზე ფინანსურმა დამოკიდებულებამ დიდწილად განაპირობა სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზება, ევროპული კაპიტალის შემოდინება, ადგილობრივი წარმოების გაკოტრება. ახალი ცივილიზაციის არეალი ასევე გულისხმობდა ახალი განათლების სისტემის დანერგვას. ერთი მხრივ, სასულიერო სკოლები (მედრესე), მეორე მხრივ, სამოქალაქო სკოლები და ლიცეუმები განათლების მხრივაც საზოგადოების ამბივალენტურ განწყობას განაპირობებდა. განათლება კი ახალი სააზროვნო სისტემის დანერგვის შეუცვლელი წინაპირობაა. ეტაპობრივად, საზოგადოების ყველა სფეროში გამოვლენილი დუალიზმი ოსმალთურქი საზოგადოების მუდმივად „ზღურბლისმიერ“ პოზიციაში ყოფნის მთავარი მარკერი გახდა. „ზღურბლისმიერობამ“ კი, თავის მხრივ, ამავე საზოგადოების ტრაგიზმი განაპირობა, რომელიც ან სრულად, ან ნაწილობრივ იდენტობის დაკარგვაში გამოვლინდა. მყარ საფუძველს მოკლებული ევროპეიზაციის პროცესი ლიტერატურაში ადეკვატურად შეფასდა და

შესაბამისი სახელიც მოეძებნა: „ფსევდოევროპეიზაცია“, „მცდარი გაევროპელება“. განსაკუთრებული ინტენსივობით ეს თემა აჰმედ მითჰათ ეფენდის („ფელათუნ ბეი და რაქიმ ეფენდი“), რეჯაიზადე მაჰმუდ ექრემის („ეტლისადმი სიყავრული“), ჰალით ზია უშაკლი-გილის („აკრძალული სიყვარული“), მეჰმეთ რაუფის („სექტემბერი“), ჰუსეინ რაჰმი გიურფინარის („უმადლესი ფილოსოფია“), იაკუბ კადრი კარაოსმანოღლუს („გასაქირავებელი სასახლე“), ჰალიდე ედიფ ადივარის („მსახიობი და მისი ქალიშვილი“) აჰმედ ჰამდი თანფინარის („სიმშვიდე“), („დროის მარეგულირებელი ინსტიტუტი“) შემოქმედებაში დამუშავდა. ვფიქრობთ, აჰმედ ჰამდი თანფინარი წინარე ლიტერატურული ტრადიციის გათვალისწინებით და ევროპული, განსაკუთრებით, ფრანგული ლიტერატურის ღრმა ცოდნის საფუძველზე საკითხს სწორედ იდენტობის კრიზისის კუთხით წარმოაჩენს. იგი პაროდის ტექნიკის გამოყენებით, ერთი მხრივ, ცდილობს საზოგადოებაში არსებული კვაზინორმირებული ურთიერთობის ხაზგასმას, მეორე მხრივ კი, „არაჯანსაღი ევროპული“ დისკურსის დეკონსტრუქციას.

რომანი „დროის მარეგულირებელი ინსტიტუტი“ პირველად 1954 წელს ნაწყვეტის სახით ჟურნალში „ახალი სტამბოლი“ გამოქვეყნდა. 1960 წელს იგი წიგნად აიკინძა, 1961 წელს კი დაიბეჭდა. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე არც აქტუალობა დაუკარგავს და არც მკითხველი მოჰკლებია. რომანში ორმოცდაათწლიან დროის მონაკვეთში თურქული საზოგადოების გაცილებით ვრცელი და ხანგრძლივი სულიერი კრიზისია აღწერილი. სტატიაში „ცივილიზაცია და ადამიანი“ აჰმედ ჰამდი თანფინარი წერს:

„დუალიზმი, რომელიც ერთი კულტურიდან მეორე კულტურაზე გადასვლის პროცესმა მოგვიტანა ჯერ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, შემდეგ კი, ინდივიდუალურად ყველა ადამიანზე აისახა. ახლის მომხრეები ვართ და ვიბრძვით კიდეც მისთვის, თუმცა წარსულს ვერსად გავურბივართ, საფიქრალი მხოლოდ ეს რომ იყოს, კიდეც არა უშავდა, მაგრამ ყველაფერი გაცილებით არეული და რთულია. ჩვენი ცხოვრების რალაც

ეტაპზე, როგორც სიახლის მომხრეები, წარსულის ზეწოლას განვიცდით, ცხოვრების სხვა ეტაპზე კი, პირიქით, წარსულთან მჭიდრო კავშირის გამო სიახლე გვაწევს მძიმე ტვირთად. აღნიშნული დუალიზმი უკვე საუკუნეა ჩვენი ცხოვრების ბატონპატრონია. ზოგჯერ ამ პროცესებს ისტორიული კონტექსტი განაპირობებს, ზოგჯერ კი, ფსიქოლოგიური. მაგალითად, საკუთარი თვითმყოფადობის შეგრძნების უნარი დაკარგული გვაქვს, საკუთარი ცხოვრებით არ ვცხოვრობთ, საკუთარი ენით არ ვმეტყველებთ, მუდმივი ეჭვებით გვიწევს ცხოვრება. გამბედაობა რომ მყოფნოდა, ვიტყოდი, რომ თანზიმითიდან მოყოლებული დღემდე ერთგვარი ოდიოპოსის კომპლექსით, ანუ უნებურად მამის მკვლელის კომპლექსით ვართ მოცულნი. სწორედ ეჭვი ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე გავლენას, იგი აბრკოლებს ჩვენი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ადეკვატურ მოწყობას. სწორედ ცივილიზაციის ცვლილებაა იმის მიზეზი, რომ ერთი თაობის მიერ ვერგადალახული სირთულე მომდევნო თაობას გადაეცემა, მუდმივად იქმნება ზღურბლები, რომელთა გადალახვა გვიჭირს. დავაღწევთ თუ არა თავს ამ ეჭვებს? რა თქმა უნდა, მთავარია ვიცოდეთ, ახალი ცივილიზაცია ჩვენს ცხოვრებას გონივრულად როგორ შევუსაბამოთ“ (Tanpinar, 2000, გვ.34).

გეოკულტურული გარემოს ცვლილების გამო ახლისა და ძველის დიქტომიის საფუძველზე ორმაგმა დისკურსმა და ორმაგმა მორალმა იჩინა თავი – იქნება ეს სამოსი, წეს-ჩვეულებები, საუბრის მანერა, ენა, რწმენა, განათლება და სხვა. აჰმედ ჰამდი თანფინარი დროის კონცეპტს მნიშვნელოვან ყურადღებას ანიჭებს. მისთვის დროსთან ასოცირდა ყველა სახის რეგრესი თუ პროგრესი. დრო თანფინარისთვის წარსულის, აწმყოსა და მომავლის უწყვეტი ჯაჭვია. მეჰმეთ ქაფლანის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „იგი ყველაფერს, საგნებს, ადგილს (...) თუ ნებისმიერ სხვა რამეს მხოლოდ დროსთან აკავშირებს და მხოლოდ დროსთან მიმართებაში აანალიზებს“ (Kaplan, 1999, გვ. 100). მწერლის შემოქმედება გაჯერებულია დროის კონცეფციაზე ფიქრით და იმის განსაზღვრით, სუბიექტი თავად არეგულირებს დროს თუ მის მიღმა რჩება. თანფინარისათვის ტემპორალური ტრიადა –

წარსული, აწმყო, მომავალი – ერთ მთლიან ჯაჭვად აღიქმება; მისთვის მოვლენები თანმიმდევრულობით ხასიათდება, ესა თუ ის მოვლენა სუბიექტის მიერ ერთდორულადაა გააზრებული, ანუ ხორციელდება წარსული მოვლენის პერსპექტიული პროექცირება აწმყოში. გარდა ამისა, წარსულის, აწმყოსა და მომავლის გააზრებისას მწერალი სიმბოლურ გზას მიმართავს – ფიზიკური დრო დეტერმინირებულია კონკრეტულ პერსონაჟებში. თანფინარი ძალიან კარგად იცნობდა მისი თანამედროვე ევროპელი მწერლების შემოქმედებას, განსაკუთრებით, მარსელ პრუსტს. პრუსტი კი ცნობილია „დაკარგული დროის ძიებით“. მწერალი დროის კონცეფციის სუბიექტივისტურ თეორიას ემხრობა. მისთვის ბერგოსნის დროის თეორია ზედმიწევნით მისაღები აღმოჩნდა. ლექსში „დრო“ თანფინარი დროის დაუნაწილებლობის, მრავალგანზომილებიანობის, ადამიანის ზედროულობასთან ზიარების იდეას აფიქსირებს. რომანში „სიმშვიდე“ მთავარი გმირი, მუმთაზი, მუდმივად გაორებულ მდგომარეობაში იმყოფება. მისთვის ევროპული და ეროვნული ღირებულებების, ანუ წარსულისა და აწმყოს მნიშვნელოვანი გამოცდილებისა და მონაპოვრის გააზრება და რეალიზება სულიერ სიმშვიდესთან არის დაკავშირებული. რომანში „მაჰურ ბესთე“ ხაზგასმულია რელიგიის თემატიკა და საზოგადოების აღფრთოვანებული დამოკიდებულება ევროპული მუსიკისადმი, მაშინ, როცა თურქული ხალხური მუსიკალური ჟანრები მას არაფრით ჩამოუვარდება. რომანის ერთ-ერთი გმირი, საბრი ჰოჯა, თავს აღმოსავლელად თვლის, თუმცა იძულებულია აღიაროს, რომ „აღმოსავლეთი მოკვდა“, წარსული დავიწყებას მიეცა, მაგრამ მხოლოდ წარსულის სულიერ მემკვიდრეობის განცდას შეუძლია ადამიანს სიმშვიდე მოუტანოს. უნდა აღინიშნოს, რომ თანფინარს აქვს „ისტორიის გრძნობა“ სწორედ იმ გაგებით, როგორც ამას ტომას სტერნზ ელიოტი განმარტავდა: „ისტორიის გრძნობა გულისხმობდა ტრადიციულისა და თანამედროვეს, ძველისა და ახლის, გუშინდელისა და დღევანდელის თანასწორუფლებიან ურთიერთობას“ (რატიანი, 2008, გვ.123). ტრადიციისა და ევროპიზაცია-მოდერნიზაციის ჰომოგენურობის ნარატივი, რომელსაც ავტორი ავითარებს, რომანში საზოგადოების მკვეთრი დეჰუმანიზაციისა და დეპერსონალიზაციის ფონზე მიმდინარეობს.

პიროვნული დეგრადაციის პრობლემა, რომელსაც აღნიშნულ რომანში ვხვდებით, „საზოგადო ქირის“ მეტაფორული სახე უფროა, ვიდრე ერთი ადამიანის ტრაგედია. „ახალი ადამიანის“ შექმნის მცდელობა ტოტალური დეპერსონალიზაციის აშკარა მაგალითია. ანთროპოცენტრისტული დისკურსი, რომლის თანახმად ყოფიერების საზრისისეული და ღირებულებითი ცენტრი ადამიანია და სწორედ ადამიანი ანიჭებს ყოფიერებას საზრისს, ლამის უკიდურეს ნეგაციამდეა მისული. რომანის მთავარი პროტაგონისტის ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, როგორ შეიძლება იქცეს „ეგზისტენციალური ჰომო საპიენსი“ „უფერულ ადამიანად“ და მასის შემადგენელი ნაწილი გახდეს. რომანს ჰყავს აუქტორული მთხრობელი, რომელიც გარე ხედვის პერსპექტივიდან აფასებს მოვლენებს, რიგ შემთხვევებში უშუალოდ მონაწილეობს მოვლენების განვითარებაში. რომანის მთავარი პროტაგონისტი, ჰაირი ირდალი, თხრობას საკუთარ თავზე ოდანვ ირონიული ფორმით იწყებს და განმარტავს მემუარების დაწერის მიზეზს.

„არასოდეს ვყოფილვარ წერა-კითხვის მოყვარული ადამიანი, ყველა ვინც მიცნობს ამას დაადასტურებს, მხოლოდ ჟიულ ვერნიტა და ნიკ კარტერის მოთხრობებით შემოიფარგლება ჩემი ბიბლიოთეკა, ასევე გავცანი ავიცენას ნაშრომებს, უმუშევრობის ჟამს ჩემი შვილების სკოლის სახელმძღვანელოების კითხვით ვკლავდი დროს, არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ჩაიხანაში სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთსაც ვეცნობოდი (...) მემუარების წერისას სულაც არ ვაპირებ საკუთარ თავზე საუბარს. ჩემი მიზანია, რომ გარკვეული მოვლენები, რომელთა მოწმეც ვიყავი, დავიწყებას არ მიეცეს“ (Tanpınar, 2007, გვ.5).

გმირის პიროვნული აღმასვლისა თუ დაღმასვლის საკითხის გაანალიზება გარკვეული სახის სისტემატიზაციას მოითხოვს. ასევე მნიშვნელოვანია დროისა და სივრცის კორელაციის საკითხის განსაზღვრა, რომელიც მისი სულიერი ტრანსფორმაციის განმსაზღვრელი ფაქტორია. მწერალი რომანში ფსევდოღირებულებებით ნაკვები საზოგადოების რეალური სახის წარმოჩენას ცდილობს. მორალი, ზნეობა, ჭეშმარიტება ამ საზოგადოებაში ფეხს ვერასოდეს მოიკიდებს,

რადგან მისი ბინადრები ამგვარი კატეგორიების არსებობის აუცილებლობას ვერ გრძნობენ. სამყაროს მოდელი, რომელიც მწერალმა შემოგვთავაზა, სრულიად არის დამოკიდებული დრო-სივრცული მოდელების განსაზღვრის საკითხზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მუსლიმი ადამიანისათვის დრო და საათი ღვთისკენ მიმავალი გზის ყველაზე საიმედო მაჩვენებელი და ცხოვრების მარეგულირებელიც არის. ის, რომ რომანში ადამიანური ყოფის აბსურდულობას შევხვდებით, ამაზე თავად სათაურიც მეტყველებს. ინსტიტუტი, რომელიც დროს უკან ჩამორჩენილი საათების გასწორების მეშვეობით არეგულირებს, ობიექტურ, ფიზიკურ დროში არ არსებობს. მაგრამ რომანში მოცემულ დროში, რომელიც ტემპორალური ტრიადის წყვეტადობითაც არის გამორჩეული, სწორედ ამ ინსტიტუტშია თავმოყრილი საზოგადოების „მოაზროვნე ნაწილი“. დროს სივრცული გამოხატულება ინსტიტუტის სახით ეძლევა, ნივთიერი სახით კი მას საათი გამოხატავს. რომანის მთავარი გმირის, ჰაირი ირდალის, ცხოვრებისეული პერიოდის პირველი ფაზა მისი ბავშვობაა, რომელშიც ნათლად იკვეთება სამყაროში „ერთხელ გადაგდებული ადამიანის“ მარტოსულობის თემა. მაგრამ არის თუ არა ეს მარტოსულობა პიროვნული ტრაგიზმის მიზეზი? ცალსახად უნდა ითქვას, რომ არა. პირიქით, ყველასგან მიტოვებული და დავიწყებული ჰაირი ირდალი საკუთარ თავში იმ „ოქროს ზოდს“ აღმოაჩენს, რომელსაც თავისუფლება ჰქვია. იგი შეიძლება ითქვას „თავისუფლებითაა დაწყველილი“ და სრულიად არ საჭიროებს საკუთარი თავის შესაცნობად „სხვას“.

„დროდადრო გაჭირვებულად ვცხოვრობდი, სიღარიბე ჩემთვის ერთგვარ ტყავად იქცა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბედნიერი წამები არ მქონია. ხელმოკლე ოჯახში დავიბადე, მაგრამ ბედნიერი ბავშვობა მქონდა. თუ ოჯახში და მის გარშემო ერთგვარი ჰარმონია სუფევს, გაჭირვება, თუ ის გარკვეულ ზღვარს არ გადასცდა, ისე საშინლად და აუტანლად აღარ გეჩვენება, მას თან ახლავს რამდენიმე პრივილეგიაც. ჩემი ბავშვობის მთავარი პრივილეგია თავისუფლება იყო. თავისუფლება ბავშვობაში რომ ვიგემე, სულ სხვა ბუნებისა იყო და რაც მთავარია, არავის უჩუქებია. ეს ბაჯალლო ოქროს ზოდი საკუთარ თავში ვიპოვე. იმ დღიდან ჩემ ირგვლივ ყველა-

ფერი შეიცვალა: ჩემი პატარა ცხოვრება, ჩემი ღარიბული სახლი, გარშემომყოფები, თუმცა მოგვიანებით ეს ყველაფერი ხელიდან გამომეცალა (---) მოსწავლეთა უმეტესობისაგან განსხვავებით სკოლაში მოსამსახურეს არ დავყავდი, არც მოხდენილი ახალი ტანსაცმელი მეცვა, არც წყალგაუმტარი ფეხსაცმლით, ან თბილი პალტოთი გამოვირჩეოდი. მუხლებზე შარვალი ყოველთვის დალაქავებული მქონდა, პერანგი კი – იდაყვებზე ამობურცული. სკოლაში წასვლის წინ გულში არავინ მიკრავდა, არც ათას რჩევა-დარიგებას მაძლევდა, არც მოუთმენლად ელოდა ჩემს დაბრუნებას. რაც უფრო გვიან მივიდოდი სახლში, უფრო უხაროდათ. მიუხედავად ამისა, მაინც ბედნიერი ვიყავი ყველა დანაკლისს ქუჩა და ლალი ცხოვრება მინაზღაურებდა. მხოლოდ ბედნიერების გრძნობით გაჟღენთილმა შინაგანმა სამყარომ ამარიდა ჩემი ცხოვრების მთლიან არევ-დარევას. ამან გარკვეული მიმართულება და ფორმა მისცა ჩემს ცხოვრებას, ალბათ სწორედ მისი დახმარებით ვიპოვე თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა“ (Tanpınar, 2007, გვ. 25).

გმირის ბავშვობისა და მოზარდობის ფაზაში ტოპოგრაფიული სივრცე ქუჩითა და ნური ეფენდის საათების სახელოსნოთია განსაზღვრული. მათგან მნიშვნელოვანი ნური ეფენდის სახელოსნოა, სადაც საათები ცოცხალ ადამიანებთან არის პერსონიფიცირებული. ნური ეფენდი ერთადერთი პერსონაჟია, რომელიც რეალურ სამყაროში ცხოვრობს და თავის თავში წარსულის საუკეთესო გამოცდილებას აერთიანებს. მან შეძლო მისტიციზმისა და ზღაპრების სამყაროში მცხოვრები ადამიანების გვერდით (ასეთები კი ბევრია) ღირებულებათა ორიენტაციის რყევის ფონზე, ისტორიული კრიზისის მიუხედავად, საკუთარი მსოფლმხედველობის შენარჩუნება, რამაც განაპირობა კიდევ მისი აზროვნებისა და სოციალური სტრუქტურებისადმი მდგრადობა. მესაათე ნური ეფენდი თავიდანვე განსაზღვრავს გზას, რომელსაც ჰაირი ირდალი უნდა გაჰყვეს, რათა გადარჩეს. არა „ამაო შრომითა“ და მცონარებით, არამედ საქმისადმი სიყვარულითა და წარსულთან თანადროულობის შეგრძნებით შეძლებს იგი სულიერი კრიზისის დაძლევის.

„ჰაირი, ჩემო ყმაწვილო, არ ვიცი რამდენად კარგი მესათე დადგები. თუ ხუთ წელიწადში ხელობას ვერ დაეუფლები, ბედისწერა არ დაგინდობს, მცირე მოთხოვნილების ადამიანი ბრძანდები, ცხოვრებისა და გარემოცვის მიმართ მერყევი. მხოლოდ სწორად შერჩეული ხელობა თუ გადაგარჩენს, მაგრამ, სამწუხაროდ, საამისოდ აუცილებელი ყურადღების უნარი არ გაქვს. თუმცა საათები გიყვარს. ეს მეტად მნიშვნელოვანია, გარდა ამისა, კარგი მსმენელი ხარ. მოსმენის უნარი კი დიდი სათნოებაა. სხვა თუ არაფერი, ადამიანის შინაგან სიცარიელეს ახშობს და მას მოსაუბრის დონემდე ალაზევებს“ (Tanpınar, 2007, გვ.23).

ნური ეფენდის გარდა, ჰაირი ირდალის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი სამმა ადამიანმა შეასრულა. სწორედ ეს ადამიანები იყვნენ აღმოსავლური მისტიკითა და ფსევდორელიგიური ღირებულებებით ნასაზრდოები. ერთი თავს მესიად ასაღებდა და მიღმიერ სამყაროსთან ამყარებდა კავშირს, მეორე ალქიმიით იყო დაკავებული და ოქროს მიღებას ცდილობდა, მესამე კი ოპერეტის პერსონაჟს ჰგავდა, რომელსაც საკუთარი ქონება დიდი ხნის წინ გაენიაგებინა და სალი აზროვნების უნარიც დაჰკარგვოდა. ამ ადამიანების სუბიექტური დრო რეალურ დროს არ ემთხვევოდა. ისინი არც ცდილობდნენ ობიექტურ დროსთან საერთო გამოენახათ. „ახალი დრო“ მათთვის მიუღებელი და გაუგებარი იყო. ისინი ისე ცხოვრობდნენ, თითქოს იმ თითქოს იმ კედელში რეალობას რომ ვეძახით, თითოეულმა დიდი ხვრელი აღმოაჩინა და ყოფიერების მეორე მხარეს გაღწევა შეძლო. ისინი ცხოვრობდნენ სამყაროში, სადაც შეუძლებელი არაფერი იყო. დანარჩენებისაგან განსხვავებით, მათ არ სწამდათ ის, რასაც ხედავდნენ, ხელით ეხებოდნენ და ალქმის ორგანოების საშუალებით სწვდებოდნენ. ტოპოგრაფიული სივრცეც მათი აზროვნების შესაბამისი იყო. ლაბორატორია, რომელშიც ოქროს მიღებას ცდილობდნენ, დანგრეული მეჩეთი და გაღარიბებული სასახლე იყო. საბოლოო ჯამში, ყველა ეს პერსონაჟი მთავარი გმირის, ჰაირი ირდალის, სახეში დეტერმინირდა. *„წლების განმავლობაში ამ ადამიანების გვერდით ვიდექი და მათი ოცნებებისთვის ვარსებობდი. ზოგჯერ მათ ტანსაცმელსა და ხასიათს ვირგებდი. ხან ნური ეფენდი ვიყავი, ხან ლუდფულაჰი,*

ხანაც აბდუსელიმი, თანაც ისე, რომ ამას თვითონაც ვერ ვამჩნევდი, ჩემთვის ისინი სამაგალითო ნიღბები იყვნენ, რომელთაც უნებლიეთ სახეზე ვირგებდი. როდესაც სარკეში ვიხედები, ხანდახან საკუთარ თავში ერთ-ერთ მათგანს ამოვიცნობ ხოლმე“ (Tanpınar, 2007, გვ.27). სოციალურ-კულტურული გარემოს მკვეთრ ცვლილებას შედეგად გმირის დეპერსონალიზაცია მოჰყვა. თავისუფლება, რომელიც ჰაირი ირდალმა „ოქროს ზოდით“ საკუთარ თავში აღმოაჩინა, საკმარისი არ აღმოჩნდა მისი, როგორც პიროვნების განვითარებისა და ფორმირებისათვის. მისდამი დამოკიდებულება ყოველთვის ამბივალენტური იყო, ის ერთდროულად ეცოდებოდათ და უყვარდათ კიდეც, თუმცა მისი თანდაყოლილი დილეტანტიზმი მისი შემდგომი ცხოვრებისეული ფაზების განმსაზღვრელი გამოდგა. რომანში გმირის მომდევნო ცხოვრებისეული ფაზის აღწერისთვის კონკრეტული ისტორიული მოვლენაა ნახსენები. პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნებულ ჰაირი ირდალს ყველა და ყველაფერი შეცვლილი ხვდება. ეს ცვლილება ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდია მისი, როგორც „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბების პროცესში. გმირის ახალ ადამიანად ფორმირებას წინ ერთი აბსურდული ფაქტი უძღვის. აბსურდის მასშტაბები და წრე იმდენად დიდია, რომ საქმე სასამართლომდეც კი მიდის. მთავარ გმირს იმ ბრილიანტის ადგილსამყოფლის გამხელას ედავებიან, რომელიც ფიზიკურად არ არსებობს. სასამართლო პროცესი ძლიან ჰგავს ფრანც კაფკას „პროცესს“, რომელშიც იოზეფ კას ცილი დასწამეს იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელიც ბუნებაში არ არსებობდა. იოზეფ კა „ძალიან დაკლეს“, ჰაირი ირდალი კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაამწესეს. იქ კი ექიმი რამიზის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა გაევლო მკურნალობის კურსი. ექიმი რამიზი ტიპური ნიმუშია ფსევდოგანათლებული ადამიანისა, რომელიც ადამიანური არსებობის მთავარ მიზეზად ფსიქოანალიზს მიიჩნევს. ექიმი დაჟინებით ითხოვს „პაციენტისგან“ სიზმრის ნახვას, რომელიც მას ოიდიპოსის კომპლექსის დიაგნოზის დასმაში დაეხმარება. ექიმი რამიზი მორიგი პერსონაჟია, რომელმაც ჰაირი ირდალი ერთი მოჩვენებითი სამყაროდან მეორეში გადაიყვანა. მისთვის წარსული არ არსებობს, არსებობს მხოლოდ აწმყო. თუმცა, აწმყოც ფსევდოღირებულებებითაა გაჟღენთილი. იგი კატეგორიულად მოითხოვს აღმოსავლური ფატალიზმისგან გათავისუფლებას. აღნიშნული დროის სივრცული

გამოხატულების ყველაზე კარგი მაგალითია ყავახანა, რომელშიც საზოგადოების თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენლია შეკრებილი.

„ყავახანაში ყველა სჯულის და ჯიშის ადამიანი მოდიოდა: გაკოტრებული ვაჭარი თუ უსახელო პოეტი, მხატვარი, ჟურნალისტი, ჩინოვნიკი თუ მოჭადრაკე, უნივერსიტეტის პროფესორი თუ სტუნდეტი, მსახიობები, მუსიკოსები, მიუხედავად იმისა, რომ პატარ-პატარა ჯგუფებად იყოფოდნენ, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, რომ ყველანი ერთად ცხოვრობდნენ. რას აღარ მოისმენდი ამ ყავახანაში: ისტორიას, ბერგსონის ფილოსოფიას, არისტოტელეს ლოგიკას, ბერძნულ ლირიკას, ფსიქოანალიზს, პოლიტიკას, საინტერსო თუ საშიშ ისტორიებს... რა თქმა უნდა, ამ საკითხებზე სიღრმისეულად არავინ ლაპარაკობდა; ყველა ეს ადამიანი თითქოს ხანგრძლივი ძილიდან გამოღვიძებულს, ან მკვდრეთით აღმდგარს ჰგავდა. ყველა ის საკითხი, რომლებზეც ისინი ლაპარაკობდნენ – ალექსანდრე თუ ჰანიბალი, კანტის კატეგორიული იმპერატივი – რეალური ცხოვრებიდან გაქცევა იყო და სხვა არაფერი (Tanpinar, 2007, გვ.75).

საზოგადოების ამ მდგომარეობის შეფასებას ყველაზე მკაფიოდ ისევ ექიმი რამიზი ახდენს. „სოციალური ფსიქოლოგიისთვის ეს საუკეთესო ადგილია, აქ კარგად ჩანს წარსულის კვალი, ყველა ეს ადამიანი საკუთარ ილუზორულ სამყაროშია ჩაფლული, თითქოს სხვა სამყაროში ცხოვრობენ, თითქოს კოლექტიურ სიზმარს ხედავენ“ (Tanpinar, 2007, გვ. 80). ჰაირი ირდალისათვის კი ეს ადგილი ზედმიწევნით მისაღები აღმოჩნდა, „თუმცა თავდაპირველად ეს უცნაური საზოგადოება, რომელიც, ერთი შეხედვით, ხალხური ბალაგანისა და ჩრდილების თეატრის ეპოქის გადმონაშთი იყო და აღმოსავლური თხზულებებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებდა, ნერვებს უშლიდა“ (Tanpinar, 2007, გვ. 95). მაგრამ ვინაიდან ყავახანის საზოგადოებას რეალურ დროს ისევ ილუზორული ერჩივნა და მზად იყო იმპერატორ ანდრონიკეს განძის არსებობაც დაეჯერებინა, მან ჰაირი ირდალი ღვიძლი შვილივით მიიღო და სახელიც კი შეურჩია – „ობოლი ბიჭუნა“. აქ არავის ერქვა საკუთარი სახელი, ეს კიდევ ერთი

მანიშნებელია რეალობიდან გაქცევისა და დეპერსონალიზაციისა. „ყოფის სიმსუბუქეში“ რომანის პროტაგონისტი თავით გადაეშვა არ-არსებულ სამყაროში: „თითქოს რომელიღაც მრავალფეხა ფრთოსანი მხეცის კლანჭებში აღმოვჩნდი, რომელიც ადამიანს განუწყვეტლივი ლიტინით მოხითხითე, განცხრომისაგან მინაბულ არსებად აქცევს და იმონებს. ასე ვცხოვრობდი სამყაროში, რომელშიც არ არსებობდა შესატყვისობა და, მიუხედავად ამისა, მისი ყველა დეტალი საოცრად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. თითქოს შტორმის მიერ მოტანილი ნამსხვრევებისგან აგებულ ბაზარში ვცხოვრობდი“ (Tanpinar, 2007, გვ. 125). ჰაირი ირდალს ვერაფრით გაეგო, საიდან გამოხტა ეს შტორმი, რომელმაც ფეხებთან უამრავი ხარახურა მიუყარა და მათი ჭეშმარიტი სახის გამოცნობა შეუძლებელი გახადა. რომანის პროტაგონისტი დინებას აჰყვას, მას არ შესწევდა ძალა, საკუთარ „აჩრდილს გადახტომოდა“. იგი კუდში დასდევდა ყველას, ვინც კი თავზე ხელს გადაუსვამდა. თავს იქ გრძნობდა კომფორტულად, სადაც მეტი სარგებელი იყო. რომანს მეორე მთავარი პერსონაჟიც ჰყავს, ჰალით აიარჯი, თუმცა არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იგი ჰარი ირდალის ორეულია, მეფისტოფელისებური ბუნებით. სწორედ მასთან შეხვედრამ დააჩქარა გმირის პიროვნული დეგრადაცია. რომანში მხოლოდ ეს პერსონაჟი გხვდება წარსულის გარეშე, მის შესახებ არავინ არაფერი იცის, იგი მოულოდნელად ჩნდება და ქრება კიდევ. იქამდე კი ჰაირი ირდალის სულის სიღრმეში შემორჩენილ სინათლეს ჩააქრობს და მისგან „მასის ადამიანს“ აქცევს. ჰალით აიარჯი „ახალი დროის“ „ახალი ადამიანია“, მისთვის წარსული არ არსებობს; რეალურად არსებული მხოლოდ აწმყოა, მაგრამ დამოკიდებულება აწმყოსადმი მერკანტილურია.

„იყო რეალისტი, არ ნიშნავს რეალობას ისე ხედავდე, როგორადაც ის არსებობს, იყო რეალისტი, ნიშნავს ამ რეალობასთან თანაცხოვრების შემეცნებას. რა ხეირია იმაში თუ რეალობას უბრალოდ ვხედავთ. ამ შემთხვევაში ადამიანი იწყებს მსჯელობას (ხაზი ჩემია – მ.ბ.), რომელიც თავისთავად არაფრის მომტანია; ამასთან, მანკიერებისა და გაჭირვების მთელი რიგი იჩენს თავს. შედგად კი რა? როგორც წესი, ადამიანს რაიმეს კეთების სურვილი ეკარგება, პესიმიზმიში

ვარდება და ითრგუნება. ხედავდე რეალობას, როგორიც ის არის, ნიშნავს წინასწარ წაგებულ მდგომარეობაში ჩაიყენო თავი. თქვენ სიტყვებით იწამლავთ თავს, ამიტომაც გიწოდეთ **წარსულის ადამიანი. ახალი ადამიანის** რეალიზმი სულ სხვა რამეა. ხელში მიჭირავს რაღაც ნივთი, რომელსაც გარკვეული თვისებები აქვს, რაში გამოვიყენებ მას? ესაა კითხვა, რომელიც საკუთარ თავს უნდა დაუსვა“ (Tanpinar, 2007, გვ.130).

ასეთმა დამოკიდებულებამ ჰაირი ირდალს ცხოვრება სიზმრად უქცია, სადაც ყველაფერი ტყუილზე იყო აგებული. *„ტყუილებს ძალიან მივეჩვიე, სხვაგვარად ასეთ ყალბ ცხოვრებას ვერ მოვახერხებდი, ხალხს ასეთი მოვწონდი – მატყუარა“* (Tanpinar, 2007, გვ. 160). სიყალბეში ყელამდე ჩაფლული ჰაირი ირდალი იმაზეც კი თანხმდება, რომ წიგნი დაწეროს „ეპოქალური მნიშვნელობის ადამიანზე“, რომელსაც სინამდვილეში არასდროს უცხოვრია. გამოგონილი ადამიანის უკვდავყოფა, საფლავის მოძიება (ღვთის მადლით, უპატრონო საფლავი ბევრია) ისტორიის „გამოგონების“ პირდაპირპროპორციულია. *„მცდელობა, საკუთარი თავი დავუკავშიროთ ხეთებს, ფრიგიელებს და ღმერთმა უწყის კიდევ სხვა რომელიმე ძველ ერებს, სწორედ მამის მოჭარბებული კომპლექსით აიხსნება“* (Tanpinar, 2007, გვ. 132). ჰალით აიარჯის მიერ ტანსაცმლის ჩუქების ფაქტმა (ტანსაცმელი კი გამონაცვალა) ჰაირი ირდალის სააზროვნო სისტემასა და მეხსიერებას „ინფანტილური ამნეზიისკენ“ გაუხსნა გზა. *„მისი სამოსლის მორგებისთანავე მომეჩვენა, თითქოს მთელი არსებით შევიცვალე, თვალსაწიერი გამიფართოვდა, სწრაფად მოვახერხე ცხოვრება, ჰალით აიარჯივით ერთი მთლიანობად აღვიქვი. უკვე ისეთ სიტყვებს ვიყენებდი, როგორებიცაა: „ცვლილება“, „კოორდინაცია“, „მეტნალიტეტი“, „ტრანსფორმაცია“, „უზენაესი ლოგიკა“, „მეცნიერული მიდგომა“. ყველა ადამიანთან მიმართებაში ვსვამდი კითხვას, „რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩემთვის?“* (Tanpinar, 2007, გვ. 175). ჰალით აიარჯის ინიციატივით დაარსდა „დროის ინსტიტუტი“, რომელიც ახალი დროის, ახალი ადამიანების წარმოების ცენტრი უნდა გამხდარიყო. გმირის შინაგანი კონფლიქტი სწორედ აქ დაიწყო. იცოდა, რომ ყველაფერი ტყუილზე იყო აგებული, თუმცა უზრუნველი ცხოვრება ყველას და ყველაფერს ერჩივნა. აღარც თვითონ ახსოვ-

და, ვინ იყო და არც გარშემომყოფები იხსენიებდნენ ერთი სახელით. ხან ჰაირი შვილი იყო, ხან ჰაირი წინასწარმეტყველი, ხან ჰაირი მესაათე, ჰაირი ობოლი, ჰაირი ჯადოქარი, მფლანგველი, ლოთი, ჰაშიშის მოყვარული, ბატონო ჰაირი. „ხედავთ, რამდენი ჰაირი არსებობდა! ნეტავ რომელიმე მათგანი სადმე ხომ არ დაგვეკარგა, რა მოხდებოდა, სხვებივით მხოლოდ ერთი რომ ვყოფილიყავი, საკუთრივ მე!“ (Tanpinar, 2007, გვ. 211). საკუთარი თავისა და, ზოგადად, რეალური სამყაროსაგან გაუცხოებულ ჰაირი ირდალს მინავლებული და ოდნავ მბჟუტავი თავისუფლება, რომელსაც გემო ბავშვობაში გაუსინჯა, აჩრდილივით დასდევს და მოსვენებას არ აძლევს, მაგრამ იქ დაბრუნება აღარ შეუძლია. ამაზე მისი ორეულის, ჰალით აიარჯის, სიტყვებიც ნათლად მეტყველებს: „გინდათ, გითხრათ სინამდვილეში რა გჭირთ? უკან დაბრუნება აღარ შეგიძლიათ იმიტომ, რომ ამ ყველაფერზე უარს ვერ იტყვით, პოპულარობაც მოგწონთ და თქვენი ახალი დინამიკური ცხოვრებაც, თუნდაც იმ ჩარჩოებით განსაზღვრული, რომლებიც აბსურდულად მიგაჩნიათ. ცხოვრებას რვაფეხასავით ებღაუჭებით და ვერაფერს შეეღვეით“ (Tanpinar, 2007, გვ. 245). ჰაირი ირდალის მარადიული კითხვა – „იქნებ ის, რასაც პიროვნებას ვეძახით, სხვა არაფერია, თუ არა შემთხვევით შეთვისებული ნიღბების სინთეზი, რომელსაც ჩვენი მეხსიერების სკივრში ვინახავთ“ (Tanpinar, 2007, გვ. 25) – პასუხგაუცემელი არ დარჩენილა, მას მისმა ვაჟმა გასცა პასუხი, რომელიც სწორედ ის „სხვა“ აღმოჩნდა, რომელმაც მას ყოფის აბსურდულობა დაანახა, თუმცა უკვე გვიან იყო. ჰაირი ირდალი სრულიად შთაენთქა ჰალით აიარჯის, იგი ზედმეტად დაჰკანკალბედა საკუთარ ბედს.

რომანში პროტაგონისტის დეპერსონალიზაციისა და დეჰუმანიზაციის მაგალითზე წარმოჩენილია ცივილიზაციათა მიჯნაზე საზოგადოების სააზროვნო და საზოგადოებრივი ცხოვრების სისტემის დეკონსტრუქციის სავალალო შედეგები. ტრადიცია, რომელიც ხანგრძლივი შრომით მოიპოვება, ერთგვარი ფუნდამენტია, რომელზეც ახალი სააზროვნო სისტემა უნდა დაშენდეს. ახალი, უტოპიური სამყაროს შექმნა, რომელიც ფსევდოევროპულ დისკურსს ემყარება, თავინდანვე განწირულია ფიზიკური (ჰალით აიარჯი) და მორალუ-

რი (ჰაირი ირდალი) განადგურებისათვის. ფსევდოევროპეიზაციის პროცესმა თურქულ საზოგადოებაში ღირებულებათა კონფლიქტი გარდაუვალი გახადა. ახალი სააზროვნო ფორმები, ღირებულებათა ორიენტაციის დიფერენცია, საზოგადოებრივი ცოდნისა და განათლების სეკულარიზაცია და პლურალიზაცია, იდეოლოგიური მიმართულებების მრავალფეროვნება და პიროვნების თვითგამორკვევა გახდა ის მნიშვნელოვანი სტრატეგები, რომლებმაც ცხოვრებისა და აზროვნების ორი წესი ალათურქა და ალაფრანგა ჩამოაყალიბა. ამას თან მოჰყვა ინდივიდუალური აზროვნების, ადამიანის თავისუფალი აქტივობის ნიველირების საფრთხეც. აჰმედ ჰამდი თანფინარმა რომანში „დროის მარეგულირებელი ინსტიტუტი“ ფსევდოღირებულებებით ნაკვები საზოგადოების მოდელი შექმნა, რომელშიც სამყაროში „ერთხელ გადაგდებული“ ადამიანის პიროვნული დრამა აღწერილი. პროტაგონისტის დეგრადაციის პროცესი პაროდისა და აბსურდულობის ჩარჩოებშია მოქცეული. ჰაირი ირდალს უჭირს საკუთარი თავის მიკუთვნება რომელიმე კონკრეტულ საზოგადოებრივ ჯგუფთან. ის უცხოა ოჯახშიც, სამსახურშიც, მეგობრებთანაც. გმირის შემთხვევაში სოციალურ-კულტურული გარემოს მკვეთრ ცვლილებას შედეგად დეპერსონალიზაცია და დეჰუმანიზაცია მოჰყვა. ირეალურ დროსა და სივრცეში მცხოვრები ადამიანები სხვადასხვა საზეიმო შეხვედრის მოწყობით წარმატებით ახდენენ ფსევდობედნიერების დემონსტრირებას. მოჩვენებითი და უტოპიური სამყაროს მოდელში ჩაკარგული ჰაირი ირდალისათვის სიკეთე, ღირსება, ეროვნული იდენტობა მისი მასწავლებლის, მესაათე ნური ეფენდის სახეშია დეტერმინირებული, რომელმაც იგი, როგორც „ჟანგიანი საათი“, ნაწილ-ნაწილ ააწყო და რეალურ სამყაროსთან მის ადაპტაციას შეეცადა. ცხოვრების საწყის ეტაპზე ჰაირი ირდალში თავისუფლების შეგრძნება მთელი სისრულით არის მოცემული. იგი მას, როგორც „ოქროს ზოდს“, ისე უფრთხილდება. თუმცა, ცხოვრების მომდევნო ეტაპზე საკუთარ თავთან ჭიდილის შემდეგ მომხმარებლურმა ბუნებამ იგი კომფორმისტად აქცია და მანაც ტყუილის ჯადოსნურ სამყაროში კმაყოფილებით ცხოვრება არჩია. ჰაირი ირდალი ერთგვარი „პოლიფონიური პერსონაჟია“, რომელიც მის სულში ჩაბუდებულ უამრავ ხმათაგან იმას უსმენს, რომელიც მისგან მატერიალური საზრდოს სანაცვლოდ მსხვერპლად სულს ითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- რატიანი, ი. (2008). ამერიკული ახალი კრიტიკა. წიგნში: ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. გვ. 123-145, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, ISBN 978-9941-0-0355-4.
- Kaplan, M. (2008). *Bir Gül bu Karanlıkta*, [A Rose in the Dark]. İstanbul: 3F Yayınevi.
- Moran, B. (2012) *Türk Romanına Eleştirel bir Bakış*, 1 Ahmet Midhat'tan A. H. Tanpınar'a İstanbul, İletişim Yayınları. [A Critical look At the Turkish Novel 1, From Ahmed Midhat to A.H. Tanpınar]. Istanbul: İletişim Publishing.
- Tanpınar, A.H. (1997). *Edebiyat Üzerine Makaleler*, [Articels on Literature] İstanbul: Dergah Yayınları.
- Tanpınar, A.H. (2000). *Yaşadığım gibi*, İstanbul, [As I Have Lived], Istanbul: Dergah Yayınları.
- Tanpınar, A. H. (2007). *Saatleri Ayarlama Enstitüsü*, [The Time Regulation Institute] İstanbul: Dergah Yayınları.

References:

- Rat'iani, I. (2008). „Amerik'uli akhali k'ritika. Lit'erat'uris teoria, XX sauk'unis dzi-ritadi metodologiuri k'ontsepsiebi da mimdinareobebi, 123-145. [The American New Criticism, Literary Theory, The Basic Methodological Conceptions and Scholls of XX century]. Tbilisi: Publishing House of Institite of Literature, ISBN 978-9941-0-0355-4.
- Kaplan, M. (2008) *Bir Gül bu Karanlıkta*, İstanbul, 3F Yayınevi. [A Rose in the Dark]. Istanbul: 3F Publishing.
- Moran, B. (2012) *Türk Romanına Eleştirel bir Bakış*, 1 Ahmet Midhat'tan A. H. Tanpınar'a İstanbul, İletişim Yayınları. [A Critical look At the Turkish Novel 1, From Ahmed Midhat to A.H. Tanpınar]. Istanbul: İletişim Publishing.
- Tanpınar, A.H. (1997) *Edebiyat Üzerine Makaleler*, İstanbul, Dergah Yayınları. [Articels on Literature]. Istanbul: Dergah Publishing.
- Tanpınar, A.H. (2000) *Yaşadığım gibi*, İstanbul, Dergah Yayınları. [As I Have Lived]. Istanbul: Dergah Publishing.
- Tanpınar, A. H. (2007) *Saatleri Ayarlama Enstitüsü*, İstanbul, Dergah Yayınları. [The Time Regulation Institute]. Istanbul, Dergah Publishing.

მაია არველაძე

Maia Arveladze

შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**„ვინ პოეტი და ვინ შავი ქვა!“
აბიხიდან კეთილ გრაფინიამდე**

„Who is a Poet and Who is a Black Stone!“

From Abich to the Kind Countess

In the 19th century, manganese production started in Western Georgia. Many well-known entrepreneurs, writers and public figures were drawn to this business. Akaki Tsereteli was also actively involved in the “black stone fever”. While being in St. Petersburg, young Akaki became familiar with the monograph of the known German geologist Otto Abich who made the important discovery of manganese deposits in the Transcaucasus. Otto Abich was an outstanding expert in the field of geology, but behind his scientific research and observations was the great empire of tsarist Russia, which used all the resources of the conquered and annexed lands to maximize the growth of the empire’s economy, to oppress and deplete the “small peoples”. The colonial policy of the tsarist Russia towards the oppressed peoples was also exhibited by the following fact. Immediately after building the railway line in Shorapani, the government raised the prices for this transportation so making it difficult for Georgia’s industry to advance and even hindered the production of steel in Russia because for the production of steel manganese was required.

After becoming familiar with Abich’s work, Akaki brought famous mining engineers to Georgia, to thoroughly examine the raw materials and the poet himself was also actively involved in this activity. However, Akaki

faced many objections and received lots of undeserved accusations. His sincere desire to develop manganese production, improve Georgia's economic situation and create jobs for the locals, remained completely unappreciated. In his writings, Akaki often recalled and described the experiences he and his companions had while being engaged in this activity. The Censorship Fund of the National Archives of Georgia keeps the resolution of the Black Stone council, according to which Akaki was instructed to submit his writings on manganese ore in Shorapani viregion to the council. The autograph of Tsereteli's unfinished letter "Black Stone Adventure" was attached to the resolution. This letter was not published during Akaki's lifetime. In the letter, the author describes manganese-related events in more detail than in his previous writings. In the aforementioned text, we come across a Russian lady whom the poet refers to as "Countess Galvi." The identity of this lady has not yet been established in numerous studies devoted to Akaki's work. We have investigated and found out that she was the daughter of a wealthy Russian merchant and philanthropist, and her husband was Count of Galve. Countess Adelaide Galfe's benevolent attitude towards Akaki was explained by genetic predisposition of this lady to kindness, as her mother was also known as a noble and charitable person. By examining the date of the council's resolution and the content of the letter, we assumed the approximate date of writing the letter: from August 3, 1912 to November 1912. During the entire period when Akaki was involved in the manganese mining activities, one thought was running through his mind: "Who is a poet and who is a black stone!"

საკვანძო სიტყვები: მანგანუმის მრეწველობა, რუსეთის იმპერია, მოგონებები, დაუმსახურებელი ბრალდებები, საარქივო მასალა.

Key words: manganese industry, Russian Empire, memories, undeserved accusations, archival material.

„ჩემი დაცინება არაფერია, მაგრამ ვნახავ, თუ ამ ყმაწვილმა მთელი ქვეყანა არ გადაიმტეროს!“ – ეს სიტყვები აკაკი წერეთლის ბავშვობაში წარმოთქვა სხვიტორის წერეთლების მამულის განაწყენებულმა მოურავმა, როდესაც პატარა აკაკიმ თავის საბავშვო პიესაში მწვალებლობასა და დამბეზლებლობაში ამხილა. მოგვიანებით პოეტმა ყმაწვილური ნაწარმოებები „იუკადრისა“ და ბუხარში დაწვა (წერეთელი, 2015, გვ. 52).

ძველი ნაწერები კი გაანადგურა, მაგრამ აკაკის წერა არასდროს შეუწყვეტია. წერდა ლექსებს, ექსპრომტებს, პოემებს, მოთხრობებს, პუბლიკაციებს, რეპლიკებს, წერდა ყველაფერზე, რაც კი მისი სამშობლოს ისტორიას, ბედს, აწმყო მდგომარეობას, პრობლემებსა თუ პერსპექტივებს ეხებოდა. წერდა საკმაოდ მახვილგონივრულად და მისი სიტყვები და ფრაზები ქარქაშიდან ამოდებული მახვილივით ცელავდა ყველას და ყველაფერს, რაც კი ოდნავ მაინც აკნინებდა მშობლიურ ენას ან აფერხებდა სამშობლოს წინსვლას.

სრულიად ახალგაზრდა, იგი სამხედრო განათლების მისაღებად სანქტ-პეტერბურგში გაემგზავრა, თუმცა მალევე გადაიფიქრა და სამხედრო სასწავლებლის ნაცვლად სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. პირველად რომ ჩავიდა რუსეთში, აკაკი წერეთელი უფროსმა ძმამ, მეფის კონვოის ოფიცერმა ილიკომ (იასონ წერეთელი, 1837-1873) „ცარსკოე სელოში“ ბოროდინოს გმირს, გენერალ პეტრე ბაგრატიონს (1818-1876) გააცნო (წერეთელი, 2015, გვ. 78). ვერც გენერალმა დაიყოლია აკაკი სამხედრო სასწავლებელში ჩაბარებაზე, თუმცა განათლებით ქიმიკოსმა, პირველი მშრალი გალვანური ელემენტის გამომგონებელმა, გზაზე დააყენა ახალგაზრდა კაცი და ისიც მისი ხშირი სტუმარი გახდა. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ პეტრეს ოჯახში ენახა ა. წერეთელს ცნობილი გეოლოგის ოტო აბიხის (1806-1886) სტატია კავკასიაში მანგანუმის საბადოების შესახებ, რომელიც მგოსანს მოხსენიებული აქვს თავის პუბლიცისტურ წერილებში „შავი-ქვის ამბავი“ (წერეთელი, 1961, გვ. 75) და „შავი ქვის თავგადასავალი“ (წერეთელი, 2005, გვ. 10).

ცნობილი რუსი (წარმოშობით გერმანელი) ვულკანოლოგი, გეოლოგი და მოგზაური ოტო ჰერმან ფონ აბიხი 1844 წლიდან 42 წლის განმავლობაში იკვლევდა კავკასიის მთებს. 1853 წელს პეტერ-

ბურგში კავკასიის გეოგნოსტიკური მასალების წარდგენისთვის იგი მეცნიერებათა აკადემიის მოქმედ წევრად აირჩიეს. აღიარებულ მეცნიერს კავკასიაში არც მეფის ნაცვლის (1844-1854 წწ.) მიხეილ ვორონცოვის (1782-1856) დიდი მხარდაჭერა და დაფასება დაჰკლებია.

აზიის ზემოაღნიშნული სტატია „ამიერკავკასიის მანგანუმის საბადოების შესახებ“ დაიბეჭდა 1858 წელს სანქტ-პეტერბურგის ყოველთვიური ჟურნალის „სამთო ჟურნალი“ („Горный Журнал“) მეექვსე ნომერში (Абих, 1858, გვ. 404-433). აზიის წერილი დაწვრილებით აღწერს კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოს ტერიტორიაზე, ნიადაგის აგებულებას, ქანების ვულკანურ წარმოშობას, გეოლოგიურ შრეებსა და შემადგენლობას. ყველაზე მეტად სტატიაში იკვეთება დასავლეთ საქართველოში მდინარე ყვირილადან ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიამდე გაკეთებული გეოგნოსტიკური ანალიზი. ავტორი გეოლოგიური ტერმინოლოგიით ასაბუთებდა იმ ფაქტს, რომ განსაკუთრებით მდინარე ძირულას და ჭიათურას შორის მდებარე ტერიტორიაზე, საწერეთლოში („Газетно“), აღმოჩნდა მაღალხარისხიანი და მოსაპოვებლად იოლი მანგანუმი, რაც თავისთავად კომერციული კუთხით მომგებიანობას ნიშნავს, თანაც ის რეინის (საფრანგეთი, ევროპა) მიდამოებში მოძიებულზე ბევრად უფრო მაღალი ხარისხის ყოფილა. ჭიათურის მადანი შეიცავდა მანგანუმის (MnO_2) სუფთა ზეჟანგის 76,8%-ს და თავისუფალი იყო მანგანუმის წყალზეჟანგისაგან, რაც ნედლეულის მუქ ფერზეც აისახებოდა (Абих, 1858, გვ. 405-407, 415-416). თუმცა, აზიხი იმასაც აღნიშნავდა თავის ნარკვევში, რომ მადნეული ზოგან საკმაოდ ღრმად იყო ნიადაგში და მისი უფრო დაწვრილებითი შესწავლისთვის მაღალტექნოლოგიური საშუალებები იყო საჭირო (Абих, 1858, გვ. 416).

ოტო აზიხი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი იყო გეოლოგიის დარგში, მაგრამ მისი მეცნიერული გამოკვლევებისა და დაკვირვებების უკან იდგა მეფის რუსეთის დიდი იმპერია, რომელიც ყველა რესურსს იყენებდა დაპყრობილი და შემოერთებული მიწების მაქსიმალური ათვისებისთვის, რათა გაეზარდა იმპერიის ეკონომიკა და „პატარა ერები“ გამოეფიტა და დაეკნინებინა. ჯერ კიდევ 1825 წელს საქართველოში, კერძოდ ტყიბულში, ცნობილი იყო ქვანახშირის კერების არსებობის შესახებ. 1847 წელს თვით მიხეილ ვორონცოვი ჩარეულა საქმეში, მაგრამ საბადოს დამუშავება 1850 წელს შეჩერებუ-

ლა (ყუშიტაშვილი, 1969, გვ. 55). 1869 წელს დაიწყო ტყიბულის ქვანახშირის საბადოს გაყიდვა-შემქნის ციებ-ცხელება და ამ საქმიანობის ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა. ქვანახშირის საბადოს მიწის ნაკვეთი მისმა მეპატრონეებმა თავადებმა აგიაშვილებმა და კანდელაკებმა (1846 წელს მათ ეს მიწა გლეხ ბოჭორიშვილთან ერთად ხაზინისგან ჰქონდათ მიღებული იჯარის სახით 36 წლის ვადით) დიდ რუს მეწარმეს, ერთ დროს ოდესის ქალაქის თავსა და ხელმწიფის საიდუმლო მრჩეველს, ნიკოლაი ნოვოსელსკის (1818-1898) მიჰყიდეს 80000 მანეთად. ნასყიდობის გაფორმება გააჭიანურა იმ გარემოებამ, რომ ნაკვეთის კიდევ სხვა მფლობელებმა, გლეხმა ქასრაშვილმა და ნიჟარაძის ქვრივმა ეკატერინა გამრეკელმა, გამოთქვეს პროტესტი. თავისთავად ქვანახშირის საბადოს ნაკვეთის შეფასებაც არასწორად მოხდა, თანხა მიზერული იყო. სინამდვილეში საბადოს ღირებულება სულ ცოტა მილიონ მანეთს სცდებოდა. მიწის და საბადოს გადარჩენის მიზნით ცნობილი საზოგადო მოღვაწე, განათლებით იურისტი, ნიკო ნიკოლაძე (1843-1928) ვექილად დაუდგა აგიაშვილებსა და კანდელაკებს და რამდენიმეწლიანი ბრძოლის შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილებით ნიკოლაძე ტყიბულის ქვანახშირიანი მამულის ერთი ნაწილის მფლობელი, ხოლო ნოვოსელსკი მეორე ნახევრის მეპატრონე გახდა (იხ. გაზ. „დროება“, 1871, №35, გვ. 1,2; №49, გვ. 3; 1873, №3, გვ. 4; 1874, №444, გვ. 1). ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდოდათ უცხოელებს, იაფად ჩაეგდოთ ხელში ჩვენი სასარგებლო წიაღისეული და როგორი ბრძოლით უხდებოდათ ქართველებს სამართლიანობის დაცვა.

აკაკიმ წაიკითხა აბიხის კვლევა და მოხვდა პარალელურ სამყაროში, რასაც დღეს ბიზნესინტერესების გარემო ჰქვია. სურვილს – მარგანეცის მოპოვებას საქართველოსთვის ეკონომიკური დოვლათი მოეტანა, რომ ეს ბუნებრივი სიმდიდრე უცხოელებს არ ჩაეგდოთ ხელში, ადგილობრივი გლეხები რომ დასაქმებულიყვნენ და მოსახლეობა წელში გამართულიყო, არასდროს დაუტოვებია მგოსანი. გიჟად და გადარეულადაც კი მონათლეს (წერეთელი, 1960ბ, გვ. 391). ბეჟან წერეთლისადმი (1845-1913) გაგზავნილ წერილში კარგად ჩანს მგოსნის დიდი გულის ტკივილი: „*იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ იქამდინაც მიაწევდა ჩემდამი შურის ძიება და მტრობა, რომ იმ კაცს, რომელსაც მცირე რამ მიუძღვის ჭიათურის ხორცმესხმაში, ასე*

უსამართლოდ მოეპყრობოდენ და გაჰკიცხავდენ?“ (წერეთელი, 1963, გვ. 230) და აკაკი წერეთელი სულ იმის მტკიცებაში იყო, რომ მას ე.წ. „ქვა-გუნდის“ საქმეში პირადი ანგარიში არ ჰქონდა და მისი „სურვილია ცდა არის, რომ ყველამ ისარგებლოს და არცერთი მადნის პატრონი და მუშა ჩვენში ხელ-ცარიელი არ დარჩეს“ (წერეთელი, 1960ა, გვ. 473).

გრძელი და ხმაურიანი გზა გაიარა ჭიათურაში მანგანუმის მოპოვებისა და ამ საქმიანობის განვითარების ისტორიამ. აკაკი კი მუდამ ჩართული იყო „მარგანეცის“ ამბებში. ჯერ წარმოშობით სერბ მკვლევარ-გეოლოგთან სპირიდონ სვიმონიჩთან (1846-1905) ერთად იკვლევდა მადანს. დედით ქართველი სვიმონიჩი ქართულ ენასაც სრულყოფილად ფლობდა და ქართული საქმისადმი კეთილსინდისიერადაც იყო განწყობილი. მერე რუს სამხედრო ინჟინერთან ალექსანდრე საროკინთან (1795-1869) და 1872-1877 წლებში გეოლოგიური კვლევებისთვის კავკასიაში მივლინებულ სამთო ინჟინერ ლეოპოლდ ბაცევიჩთან (1849-1923) ერთად მოამზადა ჭიათურის მანგანუმის კვლევითი დასკვნა. სკეპტიკურად განწყობილი ადამიანები, რომლებიც 70-იანი წლების დასაწყისში დაცინვით უყურებდნენ „შავი ქვის“ საქმეს, ნელ-ნელა ჩაებნენ „ბიზნესში“ და ზოგმა გამორჩენაზეც კი დაიწყო ფიქრი. აკაკი წერეთელს კი ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა. საბადოებიდან მადნის გამოზიდვის მიზნით არსებული ბილიკების საურმე გზად გადაკეთება თავისი ხარჯით დააპირა, მაგრამ მემამულეები შეეწინააღმდეგნენ. შემდეგ სალომე წერეთელმა, რომლისგანაც აკაკის იჯარით ჰქონდა მიწები აღებული, უღალატა. მგოსანმა მტრებიც გაიჩინა, მაგრამ ბევრი კეთილი ადამიანი ამოუდგა მხარში. შიგადაშიგ თავის პუბლიკაციებში „ქვა-გუნდისა“ და „მარგანეცის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსაც აღწერდა ხოლმე. ერთ-ერთ ასეთ წერილში თან ირონიული და თან სევდანარევი ისტორიაც კი გაიხსენა, საწერეთლოში მამამისი როსტომ წერეთელი (1802-1876) ფრანგებთან სიტყვიერად დადებული ხელშეკრულების (იგულისხმებოდა დასტურად ულვაშზე ხელის გადასმა) გამო კუთვნილი მიწების შავი ქვის მოსაპოვებლად გასხვისებაზე მტკიცე უარზე რომ იდგა: „სხვასთან მაქვს საქმე დაჭერილი და გათავებულაო!“ (წერეთელი, 1960ბ, გვ. 398). უარი ძალაში დარჩა როსტომ წერეთ-

ლის გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდეგაც, რადგანაც ამ „სიტყვის გაუტეხლობა“ პოეტს მშობლისგან ანდერძად დარჩა.

1880-იანი წლებიდან გაჩნდა მადნის ტრანსპორტირების არსებული საშუალებების, ცხენების, ჯორების, აქლემებისა და ურმების სარკინიგზო ინფრასტრუქტურით ჩანაცვლების აუცილებლობა. ამ საკითხში აკაკი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე თანამოაზრეები იყვნენ და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად „*მიაღწიეს სასურველ შედეგს. დაიწყო რკინიგზის მშენებლობა და 1895 წლის შემოდგომას შორაპან-ჭიათურას შორის მარგანეცით დატვირთული პირველი მატარებელი გამოჩნდა*“ (კოჭლავაშვილი, 1958, გვ. 81). თუმცა რუსულმა მთავრობამ რკინიგზას მაღალი ტარიფები დაუწესა და ახალი ტრანსპორტით სარგებლობა მომდევნო რამდენიმე წელიწადი ვერ მოხერხდა. ამ ფაქტით ნათლად იკვეთება მეფის რუსეთის ბოროტი დამოკიდებულება პატარა ერების მიმართ. იმისთვის, რომ საქართველოში მრეწველობის წინსვლა შეეფერხებინა, სარკინიგზო ტრანსპორტზე ფასების გაზრდით რუსეთში ფოლადის წარმოებასაც კი შეუშალა ხელი, რადგანაც მანგანუმი სწორედ ფოლადის მიღებისთვის იყო საჭირო.

გადიოდა წლები და ისევ წერდა და ისევ იგონებდა მგოსანი მანგანუმის საქმესთან დაკავშირებულ ისტორიებს. საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცულია 1912 წლის 31 ივლისით დათარიღებული რუსულენოვანი საბუთი – „*შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დადგენილება: მოისმინა რა ყრილობის საბჭომ მანგანუმის განვითარების ისტორიის საქმის მასალების დასაბეჭდად გამოყოფილი ფულის საკითხი, დაადგინა: „სთხოვოს თავ. აკაკი წერეთელს, ამ უკანასკნელმა გამოუგზავნოს ყრილობის საბჭოს მისი სტატიები შორაპნის მაზრაში მანგანუმის მადნის შესახებ, შემდგომ კი გამოუყოს მას 600 მანეთი სალაროს მდგომარეობის შესაბამისად. საბჭოს კანტორის მმართველი*“ (საქართველოს... ფურც. 33). ფულადი თანხის გამოყოფის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. საარქივო მასალებში ინახება ა. წერეთლის დაუმთავრებელი წერილი, ავტოგრაფი „შავი ქვის თავგადასავალი“, რომელშიც პოეტი მიმოიხილავს მანგანუმის მოპოვებასთან თავის ურთიერთობისა და ჩართულობის მთელ ისტორიას. ეს წერილი აკაკის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. პირველად ის დაიბეჭდა 1953 წელს „საისტორიო მოამბის“ მეშვიდე წიგნში (წერეთელი, 1953,

გვ. 413). მოგვიანებით წერილის ტექსტი შევიდა „აკაკის კრებულში“ (წერეთელი, 2005, გვ. 10). არ არის გამორიცხული, აკაკიმ წერილის დასრულება მოუცლელობის გამო ვერ მოახერხა. როდესაც საბჭომ ზემოაღნიშნული დადგენილება მიიღო, მგოსანი იმყოფებოდა რაჭა-ლეჩხუმში, ცნობილ „მოგზაურობაში“ (1912 წლის 21 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით); 3 აგვისტოდან 7 ნოემბრამდე მწერალი მოძრაობდა ქუთაისსა და თბილისს შორის, ნოემბერში კი გაემგზავრა რუსეთში, სადაც 1913 წლის იანვრის ბოლომდე დარჩა; 1912-1913 წლებში გამოვიდა მწერლის ნაწარმოებების ნანატრი კრებულის „ჩემი ნაწერების“ I და II ტომები; 1912 წელს ა. წერეთელმა სასამართლოში საქმე აღძრა მდიდარი სომეხი მეწარმის, ვინმე მადათოვის წინააღმდეგ. მადათოვმა უკანონოდ შეისყიდა აკაკის კუთვნილი მიწები სოფელ ბუნიკაუთში, რომლის მიდამოებშიც მანგანუმის მადანი მოიპოვებოდა. 1912 წლის 12 აპრილს პოეტმა თავის ახლო მეგობარს კოტე (კონსტანტინე) აბდუშელიშვილს (1862-1935) მიანდო „*მთელი უძრავი ქონების მართვის უფლება და ამ მართვასთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმეების მოგვარება, ყველა აქტებსა და პროცესებში მონაწილეობა*“ (სხვიტორის... N4875). ამავე წელს მგოსანმა სანქტ-პეტერბურგიდან კ. აბდუშელიშვილს მისწერა: „*შენი იმედი მანდ უფრო მაქვს, ვიდრე ჩემი თავის! მადათოვის საქმე – შენ იცი და შენმა კაი კაცობამ...*“ (წერეთელი, 1963, გვ. 305). 1914 წლის თებერვალში აკაკი წერეთელმა სასამართლო პროცესი წააგო. ყოველივე აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ეს დაუშთავრებელი წერილი აკაკიმ დაწერა 1912 წლის 3 აგვისტოდან 1912 წლის ნოემბრამდე.

დამამტკიცებელი საბუთების არქონის გამო ვერც იმას ვიტყვით, ჩააბარა თუ არა აკაკიმ საბჭოს მოთხოვნილი სტატიები. ფაქტი ერთია, აღნიშნული წერილი მთლიან სურათს ხატავს „შავი ქვის“ საქმიანობასთან მგოსნის კავშირზე და ბევრი პასაჟი გამოქვეყნებული წერილებიდან მეორდება. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდია აკაკისა და გრაფინია გალვეს საქმიანი ურთიერთობა სანქტ-პეტერბურგში. მანამდე ეს ქალბატონი პოეტს ნახსენები ჰყავდა სტატიაში „შავი ქვა“, რომელიც 1889 წელს სამ ნაწილად დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ (N224, გვ. 1-2; N257, გვ. 1-2; N269, გვ. 1-3). სტატიის მიხედვით, გრაფინია დაინტერესებულია „შავი ქვის“ ბედით და დიდი დახმარებაც გაუწევია მანგანუმის წარმოებისათვის (წერეთელი, 1960ბ, გვ. 393). წერილ-

ში „შავი ქვის თავგადასავალი“ პოეტს უფრო დაწვრილებით აქვს მოთხრობილი გრაფინიას მიერ გაწეული დახმარების შესახებ. გრაფინიამ აკაკი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს (1879-1880 წწ.) ლევ-მაკოვს (1830-1883) შეახვედრა. მაკოვმა დიდი ინტერესი გამოთქვა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ რადგანაც რუსეთს ფოლადის დასამზადებლად მანგანუმის მადნეული საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა, ამ საქმეში დახმარების გაწევა მთავრობის ვალდებულებად დახატა და ქართველ პოეტს დახმარება აღუთქვა. გრაფინიამ კი მგოსანი დააიძეა და წილში შეყვანაც მოითხოვა (წერეთელი, 2005, გვ. 13).

ა. წერეთელი სანქტ-პეტერბურგში 1891 წლის ზაფხულამდე პერიოდში ბოლოს მხოლოდ 1879 წელს, ზამთარ-გაზაფხულზე, იმყოფებოდა. სწორედ 90-იანი წლების დასაწყისში უნდა შემდგარიყო ეს მოლაპარაკება. გეგმები კი 1893 წელს მაკოვის თვითმკვლელობამ ჩაშალა, თუმცა გრაფინიამ მაინც გააგრძელა საქმის „მოგვარება“. აკაკის რუსი ნაფიცი ვეჟილი და რუსეთის ოქროს საბადოების ერთ-ერთი მფლობელი ალექსეი ოსტრიაკოვი გააცნო და მასთან ხელშეკრულებაც გააფორმებინა. საქმეში დაბრკოლებები არ ილეოდა, მაგრამ ქალბატონმა 10000 მანეთი მაინც გადაუხადა აკაკის საქმის წამოსაწყებად (წერეთელი, 2005, გვ. 14). მერე კი მოხდა ის, რასაც მგოსანი „პოეტური ოცნების გათამაშებად“ აფასებს, ვერ გაითვალისწინა ადამიანების „სხვანაირი შეხედულება“, რომ ხალხისთვის „საზოგადო საქმე საპირადოს წარმოადგენდა“ (წერეთელი, 2005, გვ. 15) და თითქოს ხელიც კი ჩაიქნია „პარალელურ სამყაროზე“. კეთილი ქალბატონი კი, რომელსაც აკაკის ნაწერებში 1912 წლის შემდეგ აღარ ვხვდებით, გახლდათ გრაფინია ადელაიდა გალვე (1842-?), ორენბურგის მკვიდრის, მდიდარი ვაჭრის, ოქროს მრეწველის, გავლენიანი ადამიანისა (1819 წლიდან სანქტ-პეტერბურგის მასონთა ლოჟის „რჩეული მიხეილის“ წევრი) და ქველმოქმედის ივანე ბაზილევსკის (1791-1876) ქალიშვილი, მეორე ქორწინებით (1871 წლიდან) გრაფ ჰენრიხ გალვეს (1826-1882) მეუღლე. ი. ბაზილევსკი სანქტ-პეტერბურგში საცხოვრებლად 1860 წელს გადავიდა. მისი მეუღლე (ადელაიდას დედა) ვარვარა ოზნობიშჩინა (1807-1892) საზოგადოებისთვის ცნობილი იყო, როგორც სტუმართმოყვარე, კეთილშობილი და ქველმოქმედი ქალბატონი (<https://bogatov.info/Genbase6?p=adelaida;n=bazil evskaya>). ბაზილევსკების ნათესაური კავშირი აკაკის ცოლთან ნატა-

ლიასთან (1847-1933) მოპოვებული მასალებით არ დასტურდება. აკაკი წერეთლის ნაცნობობა და ახლობლობა რუსეთის არისტოკრატიის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან გასაკვირი არ არის. ის ხომ ცხრამეტი წლის ჭაბუკი რუსეთში პირველივე გამგზავრებისას მშობლების დავალებით (უფრო კი დავალდებულებით) ოდესაში მიხეილ ვორონცოვის ქვრივს, ელისაბედს (1792-1880) ესტუმრა და იმავე დღეს გაიცნო ელიტარული საზოგადოების წარმომადგენლები (წერეთელი, 2015, გვ. 69-76). რაც შეეხება გრაფინიას, მიუხედავად იმისა, რომ მანგანუმის საქმიანობიდან წილი მოითხოვა, ადელაიდას კეთილი განწყობა აკაკის მიმართ ამ ქალბატონის გენეტიკას უფრო უნდა მივაწეროთ. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის თვითმკვლევლობამ (1883 წ.) უიმედობა გამოიწვია, ამ დროისთვის უკვე დაქვრივებულმა გრაფინიამ მაინც საკმაოდ დიდი თანხა გაიღო მანგანუმის საქმიანობის წელში გასამართად, მაგრამ, სამწუხაროდ (ან, იქნებ, საბედნიეროდაც), აკაკის არ ეყო „ბიზნეს მოქნილობა“ და, სავარაუდოდ, კეთილ გრაფინიასთან ურთიერთობასაც დაესვა წერტილი. ბევრი მეგობარი ჰყავდა, ბევრიც მტრად გადაეკიდა, მაგრამ წერა არასდროს შეუწყვეტია. ისევ წერდა ლექსებს, პოემებს, ისევ წერდა ყველაფერზე, რაც მისი ქვეყნის პრობლემებს ეხებოდა და ისევ უტრიალებდა თავში აზრი: „ვინ პოეტი და ვინ შავი ქვა!“

გამოყენებული ლიტერატურა:

- კოჭლავაშვილი, ა. (1958). ა. წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- საქართველოს... საქართველოს სახელმწიფო არქივი, ფონდი 417, საქმე 1412. სხვიტორის... მინდობილობა. სხვიტორის აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის ფონდი, მინდობილობა.
- ყუშიტაშვილი, ა. (1969). ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის განვითარება (1845-1965 წწ.), ჟ. „მაცნე“, №1, თბილისი: „მეცნიერება“.
- წერეთელი, ა. (1953). შავი ქვის თავგადასავალი, საისტორიო მოამბე, ტ. VII, თბილისი.
- წერეთელი, ა. (1960ა). ქვა-გუნდის ამბავი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XI, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

- წერეთელი, ა. (1960ბ). შავი ქვა, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XII, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- წერეთელი, ა. (1961). მოგონება მარგანეცის გამო, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIII, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- წერეთელი, ა. (1963). წერილი კოტე აბდუშელიშვილისადმი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XV, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- წერეთელი, ა. (2005). შავი ქვის თავგადასავალი, აკაკის კრებული, ტ. II, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- წერეთელი, ა. (2015). ჩემი თავგადასავალი, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII, თბილისი: „საქართველოს მაცნე“.
- Абих, О. (1858). О Марганцовых рудах в закавказском крае, 1858, № „Горный Журнал“, N 6, Санкт-Петербург.
- <https://bogatov.info/Genbase6?p=adelaida;n=bazilevskaia>

References:

- Koch'lavashvili, A. (1958). A. Ts'ereteli da ch'iaturis marganetsi. [A. Tsereteli and Chiatura Manganese]. Tbilisi: „Sabchota Saqartvelo“.
- Q'ushit'ashvili, A. (1969). Tq'ibulis kvanakhshiris mrets'velobis ganvitareba (1845-1965). Zh. „matsne“, N 1]. [Development of Tkibuli Coal Industry (1845-1965). mag. „Macne“, N 1]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Sakartvelos... Sakartvelos sakhelmts'ipo arkivi, pondi 417, sakme 1412 [The state ... The state archive of Georgia, fund 417, case 1412].
- Skhvit'oris... mindobiloba. Skhvit'oris Ak'ak'i Ts'eretelis sakhl-muzeumis pondi, mindobiloba [Skhvitori's... power of attorney. The fund of the house-museum of Akaki Tsereteli in Skhvitori. power of attorney].
- Ts'ereteli, A. (1953). Shavi kvis tavgadasavali. Saist'orio moambe, t'. VII]. [The Adventure of Black Stone. Historical Story, v. VII]. Tbilisi.
- Ts'ereteli, A. (1960a). Kva-gundis ambavi. Tkhzulebata sruli k'rebuli tkhutmet' t'omad, t'. XI]. [The Story of the Stone-team. A complete collection of selected works in fifteen volumes, v. XI]. Tbilisi: „Sabchota Saqartvelo“.
- Ts'ereteli, A. (1960b). Shavi kva. Tkhzulebata sruli k'rebuli tkhutmet' t'omad, t'. XII]. [Black Stone. A complete collection of selected works in fifteen volumes, v. XII]. Tbilisi: „Sabchota Saqartvelo“.

- Ts'ereteli, A. (1961). Mogoneba marganetsis gamo. Tkhzulebata sruli k'rebuli tkhutmet' t'omad, t'. XIII]. [Memori due to Mandanese. A complete collection of selected works in fifteen volumes, v. XIII]. Tbilisi: „Sabchota Saqartvelo“.
- Ts'ereteli, A. (1963). Ts'erili Kot'e Abdushelishvilisadmi. Tkhzulebata sruli k'rebuli tkhutmet' t'omad, t'. XV]. [A Letter to Kote Abdushelishvili. A complete collection of selected works in fifteen volumes, v. XV]. Tbilisi: „Sabchota Saqartvelo“.
- Ts'ereteli, A. (2005). Shavi kvis tavgadasavali. Ak'ak'is k'rebuli, t'. II]. [The Advanture of Black Stone. Akaki's Collection, v. II]. Tbilisi: “TSU Press”.
- Ts'ereteli, A. (2015). Chemi tavgadasavali. Tkhzulebata sruli ak'ademiuri k'rebuli ots t'omad, t'. VII]. [My Edventure. An academic edition of complete collection of selected works in twenty volumes, v. XII]. Tbilisi: „Saqartvelos Macne“ .
<https://bogatov.info/Genbase6?p=adelaida;n=bazilevskaya>
- Abich, O. (1858). O margancovykh rudach v zakavkazckom krae. ž. „Gornyj Žurnal“, N 6]. [About Manganese Deposits in Transcaucasia. Mag. „Mining Magazine“, 6]. St. Petersburg.

მერაბ ღაღანიძე

Merab Ghaghanidze

საქართველოს უნივერსიტეტი (თბილისი)

University of Georgia (Tbilisi)

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

School of Arts and Humanities

ვლადიმირ ბენეშევიჩი და საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა

Vladimir Beneshevich and the Provisional Administration of the Georgian Church

On March 12, 1917 the Georgian clergy and lay people – with the support of the political forces – declared the autocephaly of the Georgian Church, i.e. the independence of the Georgian Church from the Russian Church. At the beginning, the Russian Provisional Government supported this decision, but the Synod of the Russian Church firmly opposed to it. As the situation became tense, the Government decided, – in its attempt to solve the issue, – to send its representative, Professor Vladimir Beneshevich to Tbilisi, as the commissioner of the Government.

Now a good opportunity to describe and understand time tense situation is given by the archive materials, which were first published only recently, such as the documents of the Provisional Administration of the Georgian Church.

The most important letter to to the Provisional Administration by Beneshevich's of May 4 is published in the book, and which in fact, consists of questions that were raised to the Administration and the answers to which would be decisive not so much for the state recognition of the Georgian Church as for its canonical recognition, even from the point of view of

the Russian Church. Beneshevich's letter received a strong response from Georgians, but he still tried to ease the situation and transfer the agreements to the solving private problems and he entrusted the final solution of the essential issue to the Provisional Government in Petrograd.

In the end, the Provisional Administration preferred not to aggravate relations with Beneshevich and the fundamental issues related to the autocephaly of the Georgian Church and its future work were judged and decided in Petrograd, where an extraordinary delegation was sent and where they hoped for the political support there.

საკვანძო სიტყვები: ბენეშევიჩი, ეკლესია, მმართველობა, ავტოკეფალია, რწმუნებული.

Key words: Beneshevich, Church, administration, autocephaly, commissioner.

ქართველი სამღვდელოებისა და საერო პირთა მიერ 1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის, ანუ ავტოკეფალიის გამოცხადება და მას მოდევნებულ მოვლენები დღემდე სარგებლობს მკვლევართა თუ, ასევე, საჯარო ფენათა გამორჩეული გულისყურით, რადგან საკითხები, რომლებიც მაშინ წამოიჭრა, აქამდე რჩება საჭირობოროტო სატკივრად ან იმ შეკითხვებად, რომლებზეც პასუხის გაცემა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს როგორც ქვეყნის აწმყოს, ისე მის მომავალს. ეკლესიის ადგილი ეროვნულ ცხოვრებაში, ეკლესიისა და სახელმწიფოს კავშირები ერთმანეთთან, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა, საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან (იგულისხმება როგორც ბიზანტიურ-მართლმადიდებლური, ისე სხვა ტრადიციის განშტოებანი), ქართული ეკლესიის მიმართება სხვა ეროვნებისა და სხვა კონფესიის ქრისტიანებთან, ეკლესიაში რეფორმების გატარების საჭიროება, საეკლესიო ცხოვრების ეკონომიკურ-სამეურნეო უზრუნ-

ველყოფა, სასულიერო განათლების შინაარსი და ფარგლები, – ის საკითხებია, რომელთაც გასული ასი წლის განმავლობაში არ დაუკარგავს სიმწვავე.

1917 წლის იმ კონკრეტული თვეებისა და იმ კონკრეტული დღეების შესწავლისას, როგორც მოსალოდნელი იყო, თვალსაწიერის არეში აღმოჩნდა რუსი პროფესორი ვლადიმირ ბენეშევიჩი, რომელიც რუსეთის დროებითმა მთავრობამ იმჟამინდელ დამაბულ და გადამწყვეტ დროს საგანგებო რწმუნებულად მოავლინა ტფილისს რთული საეკლესიო პრობლემების მოსაგვარებლად. ამ ბოლო ხანს ზედიზედ რამდენიმე საგანგებო ნარკვევი მიეძღვნა ვლადიმირ ბენეშევიჩის იმჟამინდელ დავალებას, მისთვის დაკისრებული მოვალეობის აღსრულებასა და მის მიერ გაშლილ საქმიანობას (ღაღანიძე, 2006, გვ. 220-228; იგივე: ღაღანიძე, 2021ა, გვ. 147-161; არაბიძე, 2008, გვ. 303-327; Соколов, 2013, გვ. 238-260; ღაღანიძე, 2020, გვ. 281-301; იგივე: ღაღანიძე, 2021ბ, გვ. 245-271). უეჭველია, რომ კვლევითი ყურადღება ამ მღელვარე პერიოდის მოვლენათა და მის მოქმედ მონაწილეთა მიმართ წარმოშვა როგორც ეკლესიის ისტორიის შესწავლის ხელახლა გაჩენილმა საშუალებამ, ისე აქამდე გამოუქვეყნებელმა და ახლა გამოცემულმა მეტად საგულისხმო საარქივო მასალებმა.

მათ შორის მეტად ღირებულია რამდენიმე წლის წინათ ცალკე წიგნად დაბეჭდილი მნიშვნელოვანი საარქივო გამოცემა, – „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი)“, – რომელიც სრულად მოიცავს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომების ოქმებს (ჟურნალები, 2016). ამ ოფიციალურ ჩანაწერთა დროითი ფარგლებია 1917 წლის 13 მარტიდან 1917 წლის 14 სექტემბრამდე, ანუ დაწყებული ავტოკეფალიის გამოცხადების მეორე დღიდან, დამთავრებული ადგილობრივი საეკლესიო კრების დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, – შემდგომ უკვე განახლებული ეკლესიის საქმიანობას სათავეში ჩაუდგა, ერთი მხრივ, პირველი კათოლიკოს-პატრიარქი, კირიონ მეორე (სამაგლიშვილი) და, მეორე მხრივ, საკათოლიკოსო საბჭო (რომელიც ხშირად უფრო მეტად გავლენიანი აღმოჩნდა, ვიდრე თავად ეკლესიის საჭეთმპყრობელი). სწორედ ამ დროითს შუალედში წარმართავდა ქართული ეკლესიის

საქმიანობას ეს საგანგებოდ და სასწრაფოდ შექმნილი საკრებულო – დროებითი მმართველობა.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ითქვა, მიმდინარე საუკუნეში კიდევ უფრო გამდიდრდა როგორც წყაროთა გამოცემები, ისე გამოკვლევები იმდროინდელი საეკლესიო ცხოვრების შესახებ, მაინც საჭურნალო ჩანაწერებს (და მათს გამოქვეყნებას) განსაკუთრებული ფასი აქვს: თუ ვლადიმირ ბენეშევიჩის დახურული წერილები, რომლებითაც იგი რუსეთის მთავრობას ატყობინებდა თავისი ყოველდღიური საქმიანობის თანამიმდევრობასა თუ შედეგებს, უშუალოდ მის ცოდნასა და ხედვას გამოხატავს, ხოლო თავის ამ თვალსაზრისს იგი პეტროგრადში მყოფ მმართველებს უზიარებს, თუ ნიკიტა თალაქვაძის დღიურები (თალაქვაძე, 2013) მოვლენათა უშუალო მონაწილის – თანაც სრულებით არაგულგრილი მონაწილის – „ცხელ გულზე“ გაკეთებული ყოველდღიური ჩანაწერებია, თუ კალისტრატე ცინცაძის მოგონებები (ცინცაძე, 2010, გვ. 224-473) შექმნილი გამოცდილების საფუძველზე განიხილავს და აფასებს არცთუ შორეული წარსულის ამბებს, ჟურნალების მონაცემები ასახავს იმ მწვავე კამათების მსვლელობასა და შეჯამებას, რომლებიც დროებითი მმართველობის სხდომებზე ხანგრძლივ მსჯელობა-დაპირისპირებათა ვითარებაში იმართებოდა.

ყველა ეს მასალა საგანგებო განხილვასა და ვრცელ კვლევას საჭიროებს, მაგრამ რაც შეეხება ვლადიმირ ბენეშევიჩს, მისი სახელი ხშირად ჩნდება დროებითი მმართველობის სხდომათა ჟურნალებში და მის საქმიანობას მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა ამ სხდომების მონაწილეთა მხრივ.

უწინარესად უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, იმ დროს საჯარო გარემო სრულიად რევოლუციურია, გაჟღენთილია მკაფიო რევოლუციური სულისკვეთებითა და განწყობებით, ხოლო ქართველი სასულიერო თუ საერო პირები – დროებითი მმართველობის წევრები – სრულიად აცნობიერებენ არა მარტო ჟამის რაგვარობას, არამედ ცდილობენ, საკუთარ სწრაფვათა ხორცშესახსმელად მარჯვედ გამოიყენონ მოულოდნელად გაჩენილი ახალი შესაძლებლობა: იმ დღეებში მიმდინარე რევოლუციური გარდატეხა. ხოლო რაკი იმსხვრევა ძველი რეჟიმი, დროულად იქნა მიჩნეული, ყველა საეკლესიო სიახლე რევოლუციური გზით იქნეს მიღებული და შემოღებული.

შესაბამისად, შეტევებიც ხშირად პოლიტიკურ ველზე გადადის: მაგალითად, იმდროინდელი პრესა რუს სამღვდელოებასა და მათს მხარდამჭერებს ბრალს სდებს „ძველი რეჟიმისადმი სიმპათიებში“ (არაბიძე, 2008, გვ. 320), ხოლო დაძაბულობა ქართველ და რუს სამღვდელოებას შორის ფასდება „მთავარეპისკოპოს პლატონის მიერ ორგანიზებულ მცდელობად, რუსული რევოლუციური არმია ქართველი რევოლუციონერების წინააღმდეგ აემხედრებინათ. [...] ეს შენიღბული კონტრრევოლუცია იყო“ (არაბიძე, 2008, გვ. 321). ამგვარი ვითარება პეტროგრადში შექმნილი ვითარების გამოძახილია, რადგან დროებითი მთავრობა უპირისპირდება რუსეთის ეკლესიის სინოდს, როგორც „ძველი რეჟიმის“ წარმონაქმნს, ხოლო საქართველოს ექსარქოსი პლატონ როჟდესტვენსკი არა მარტო ამ სინოდის მიერ დანიშნული საეკლესიო მოხელე იყო, არამედ სულ მალე მისი თავმჯდომარეც გახდა. ქართველი საეკლესიო პირები, თავის მხრივ, სარგებლობენ ურთიერთობით ქართველ პოლიტიკოსებთან, რომელთაც რუსეთის სახელმწიფო მმართველობაში მნიშვნელოვანი თანამდებობები უკავიათ (ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე) და დაჟინებით არიდებენ თავს რუს საეკლესიო პირებთან ურთიერთობას. შესაბამისად, ქართველთა მიერ გამოცხადებული ავტოკეფალიის დასტური – 1917 წლის 27 მარტის საგანგებო აქტი – მოდის არა რუსული საეკლესიო მღვდელმთავრობისაგან (სინოდისაგან), არამედ რუსეთის დროებითი მთავრობიდან (საბუთის სახელწოდებაა: „იმ სამართლებრივ შედეგთა დადგენისათვის, რომლებიც უკავშირდება საქართველოს ძველი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მცხეთის კათოლიკოსის მეთაურობით“)¹.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, მაგალითად, დროებითი მმართველობის ერთ სხდომაზე საგანგებო მსჯელობაც კი გაიმართა შექმნილი მდგომარეობის გამო: შეკრებილებს გამოუცხადეს, როგორი შემაშფოთებელი ამბები მოდის რეგიონებიდან; მაგალითად, 1917 წლის 23 მარტის სხდომაზე გამოაცხადებენ, რომ უკვე ცნობილი გამხდარა „გურია-სამეგრელოდან და იმერეთიდანაც არასასიამოვნო ამბები [...]: ბევრ ადგილას საერო კომიტეტებს მღვდლები გადაუყენებიათ, ზოგი დაუშწყვდევიან, ეკლესიები დაუკეტნიათ და ღვთისმსახურებას უკრძალავენ“ (ჟურნალები, 2016, გვ. 30; შემდგომ გვერდები მითითებულია ციტირებისთანავე ფრჩხილებში). შესამჩნევია, რომ ალაგ-ალაგ

იდევნება სამღვდელოება: „უპატრონობას მოჰყვა სამღვდელოების დამცირება, შელანძღვა; ქუთაისში თითქმის ყოველდღე შეუძლია ადამიანს შეხვდეს ქუჩაში მომავალი მღვდელი თმაგაწეწილი, ფეხშიშველა, უქუდო, ლაფში ამოსვრილი. მას მოსდევენ ერისკაცები და მიჰყავთ სადღაც გასასამართლებლად, ან დასატუსაღებლად. საშინელი ცუდი სურათებია, მაგრამ ეხლა ამ საქმის გამოსწორება უფრო ძნელია“ (116).

თავის მხრივ, რევოლუციური სულისკვეთება ჩნდება მრევლშიც, რაც, შესაძლოა, მძაფრად აისახოს ყოველდღიურ საეკლესიო ცხოვრებაზე, რადგან მრევლის წევრები – ყოფილ იმპერიაში მიმდინარე რევოლუციური თუ დემოკრატიული გარდაქმნების კვალობაზე – მოითხოვენ საეკლესიო ცხოვრების დემოკრატიზაციასაც, თუნდაც მათთვის სასურველი ადამიანის არჩევას ან დანიშვნას „სასულიერო სამსახურისათვის“: „ვინაიდან დღეს მრავალია იმისთანა შემთხვევები, როდესაც მრევლი სასოფლო განაჩენით თხოულობს სრულიად მოუმზადებელსა და სრულებით უვიც პირის დანიშვნას“ (118-119).

ამავე დროს, მრევლისათვის, როგორც ჩანს, არცთუ ნათლადაა გასაგები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნები თუ მიზნები, რაკი ეს მოძრაობა უფრო მაღალი სამღვდელოების მისწრაფებას გამოხატავს და იქ იღებს სათავეს: „[სერგი] გორგაძემ ისიც კი დასძინა, რომ ხალხში საკმარისად არც კი არის გაწეული პროპაგანდა ავტოკეფალიის მნიშვნელობის შესახებ“ (178).

რაკი ავტოკეფალიის გამოცხადების მესვეურთა ძირითადი იმედები იმჟამად მთლიანად უკავშირდებოდა რუსეთის დროებით მთავრობას, რომელიც რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა და რომელმაც რევოლუციური სულისკვეთებით წარმართა ყოფილი იმპერიის ცხოვრება, ისინი მოუთმენლად ელოდნენ პეტროგრადიდან ამ მთავრობის რწმუნებულს ვლადიმირ ბენეშევიჩს („პეტროგრადაში დანიშნული საეკლესიო საქმეთა გადამწყვეტი კომისარი“ – 52), რომელსაც დაევალა, ქართული ეკლესიის საკითხები მოეგვარებინა 27 მარტის სამთავრობო აქტის საფუძველზე. უკვე რამდენიმე დღის შემდეგ, 1 აპრილს, დროებითი მმართველობის სხდომაზე, „ვექილმა ზურაბიშვილმა გამოსთქვა სურვილი, რომ ბენეშევიჩის მოსვლა ტელეგრამით დაჩქარდეს“ (41).

სხდომათა მიმდინარეობისას ცხადად ჩანს, რომ იმ დღეებში, რწმუნებულის ტფილისში ჩამოსვლამდე, დროებითი მმართველობის ყველა იმჟამინდელი გეგმა თუ გადაწყვეტილება უკავშირდება ბენეშევიჩის სახელს, რომელიც მეტად ხშირად ისმის გამოსვლებისას და მსჯელობა-კამათისას. თვალსაზრისები და საბუთები მზადდება საგანგებოდ მისთვის წარსადგენად.

11 აპრილს ვლადიმირ ბენეშევიჩის უკვე ქალაქშია. მაშინვე წამოიჭრება საჭოჭმანო საკითხი, მოიწვიონ თუ არა იგი მმართველობის სხდომებზე, თუმცა თავად წევრები დამოუკიდებლადც გააჩაღებენ მჭიდრო ურთიერთობას მასთან (მათ შორის, დეკანოზი კორნელი კეკელიძე), ხოლო ამ შეხვედრების შედეგებს ისინი შეკრებისას აცნობენ ხოლმე სხვა წევრებს.

შემდგომ, მისი ხსენება არ სცილდება სხდომათა ოქმების ფურცლებს (სანამ იგი ტფილისში იმყოფება), ხოლო ამგვარ ხსენებათა რაოდენობა შემონახულ ჟურნალებში, ანუ ოქმებში ორ ასეულს აღწევს.

ცნობილია და შესწავლილია ბენეშევიჩის დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართ, ან ამ დამოკიდებულების თანდათანობითი, შესამჩნევი ცვლილება, თუმცა იგი თავიდანვე მხარს უჭერდა პეტროგრადის მთავრობის გადაწყვეტილებას, ქართული ეკლესია დარჩენილიყო მხოლოდ ეროვნულ (ქართველ მართლმადიდებელთა) ეკლესიად და არ მინიჭებოდა მას ტერიტორიული მმართველობის უფლება (არაქართველ მართლმადიდებელთა მიმართ ეკლესიური მზრუნველობა მიენდობოდა კავკასიის რუსულ სამიტროპოლიტოს)².

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა მიუღებლად მიიჩნევდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ იმჟამად მას არ გააჩნდა არც საკმარისი ძალა და არც საკმარისი მხარდაჭერა, განეხორცილებინა არა მარტო ეროვნული (რაც, რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, მას უკვე მოპოვებული ჰქონდა), არამედ ტერიტორიული უფლებამოსილებაც.

თავდაპირველი და ხანგრძლივი ჭოჭმანის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, დროებითი მმართველობა უსურველად მაინც დასთანხმდა საქართველოს ეკლესიის ეროვნულ და არა ტერიტორიულ ავტოკეფალიას, თუმცა საკითხის მოგვარება მომავალში გადასაჭრელ ამოცანად დასახა: „კრებამ ერთხმად გადასწყვიტა, დაადგეს ასეთ ტაქტიკას:

კომისია უკანასკნელ წამამდე უნდა იცავდეს ტერიტორიალურს ავტოკეფალიის პრინციპებს და თუ ეს ბენეშევიჩმა შეუძლებლად სცნო, მაშინ, მეტი ჯანი არ არის, კომისიამ უნდა შეიტანოს წინადადება, რომ რუსთათვის მისიონი დაარსდეს. თუ ესეც შეუძლებელი გახდა, ავტოკეფალიის საკითხის სულ დამარხვას, აღარაფერი დაგვრჩენია, მაშინ უნდა გამოუცხადოს ბატონ ბენეშევიჩსა, რომ დროებითი მმართველობა ემორჩილება მხოლოდ ძალას და უნებლიეთ კისრულობს ექსტერიტორიალურს – ეროვნულს ავტოკეფალიას, თუმცა პასუხისმგებლობა ისტორიისა და მსოფლიო ეკლესიის წინაშე დაედება რუსის ეკლესიას“ (52); „დროებითმა მმართველობამ ყოველივე ღონე იღონა, რომ განეხორციელებინა ტერიტორიალური ავტოკეფალია; ეს შეუძლებელი გახდა; მმართველობამ, თუმცა იძულებით, ეროვნულ ავტოკეფალიაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ მაინც შეიტანა ისეთი მუხლი დეკლარაციაში, რომლითაც იგი იტოვებს უფლებას, დროჟამის განმავლობაში განახორციელოს თვისი სურვილი ტერიტორიალურ ავტოკეფალიის შესახებ“ (96); „მმართველობა იძულებული იყო ეროვნულ ავტოკეფალიის მიღებას და არა თავისი სურვილით დათანხმდა ამას“ (148).

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მმართველობის ზოგიერთი წევრი, მაგალითად, ეპისკოპოსი კირიონი არ ემხრობოდა ტერიტორიული ავტოკეფალიის პრინციპს და მის გამო ბრძოლას არცთუ სასურველად მიიჩნევდა: „ლაპარაკში ჩაერია ყოვლად სამღვდელო კირიონი, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს, დეკანოზ [კორნელი] კეკელიძეს: „რომელი ავტოკეფალია გვირჩევნია?“. კეკელიძის პასუხის შემდეგ, რომ მმართველობამ სასურველად ტერიტორიალური სცნო, – კირიონმა ხელახლად კითხვა დასვა: „რითი სჯობს ტერიტორიალური ეროვნულ ავტოკეფალიას? ჩვენთვის უკანასკნელი უმჯობესია, თვითონვე დასძინა, იგი უფრო ფართოა [...]; ტყუილად ნუ ახირდებით მთავრობის წინააღმდეგ, თორემ იმასაც დაჰკარგავთ, რაც დღეს გვაქვსო“ (66).

სხვათა შორის, ის გარემოება, რომ კირიონი იშვიათად ეთანხმება და იზიარებს დროებითი მმართველობის ეროვნულ სწრაფვებს, კიდევ უფრო ამყარებს მეტად ექვიან დამოკიდებულებას მის მიმართ, – იმ ექვიებს, რომ იგი რუსეთის ეკლესიის ინტერესებს ემსახურება³.

პეტროგრადიდან ჩამოსულ კირიონს დროებითი მმართველობის სხდომებზე თავიდანვე მიმართავენ როგორც რუსეთიდან გამოგზავნილ და რუსეთის ხელისუფლების მიერ ნდობით აღჭურვილი პირს: „როგორც რუსეთიდან მოსულს და ობერპროკურორისაგან ნდობამოსილს“ (65). ცნობილია, რომ ამგვარადვე აღიქვამდა მას ვლადიმირ ბენეშევიჩიც, თუმცა კირიონის მიზანსწრაფვა თუ საქმიანობა ტფილისში რუსეთის მთავრობის რწმუნებულს უსარგებლოდ და მისთვის ხელისშემშლელად მიაჩნდა (ლალანიძე, 2021ბ, გვ. 252-253).

იმას, რომ დროებითი მმართველობის გეგმებს, რომელთაც ქართული ეკლესიის თუნდაც უახლოესი მომავალი უნდა განესაზღვრა, არ ჰქონდა ერთობლივი გაგება თუ სრული მხარდაჭერა თვით მაღალი სამღვდელთა მხრიდანაც კი, მეტყველებს, ასევე, რამდენჯერმე გამკრთალი მინიშნებანი, რომ რუსეთიდან ჩამოსული ქართველი სასულიერო პირები – უკმაყოფილონი მმართველობის მუშაობითაც და მის ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობის საკუთარი წილითაც – საქართველოდან გამგზავრებას და ისევ რუსეთში დაბრუნებას ცდილობდნენ: იგივე ეპისკოპოსი კირიონ სამაგლიშვილი (შემდგომ – კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე) ან არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია (შემდგომ – კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი): „ეტყობა, კირიონი უკვე ჩაფიქრებულია... ბევრი უტაქტობა ჩაიდინა ტფილისში... მაინც გაიძახის – წავალ და დავჯდები რუსეთში!..“ (თალაქვაძე, 2013, გვ. 24); „ამ დღეებში არქიმანდრიტი ამბროსი ბრუნდება რუსეთში და მისი აქ ყოფნა კი მეტად საჭირო არის. მმართველობამ უნდა რამე ბინა გაუჩინოს, რომ საქართველოში დაბრუნდეს და თავის ეკლესიას ემსახუროს“ (93-94).

ყოველი შემთხვევისას, სხდომათა ოქმებიც მკაფიოდ ადასტურებს, რომ როგორც კირიონი, ისე ამბროსი იშვიათად მონაწილეობენ შეკრებებისას და იქ ყოფნისას არც გრძნობენ თავს თანამოაზრეთა გარემოში, ხოლო თუკი კამათი წამოიჭრება, სხვა მონაწილეთა მხრივ ხშირად არცთუ კეთილ განწყობას იწვევენ, – თუმცა ეს მდგომარეობა უფრო მეტად მაინც შეეხება კირიონს. მის მიმართ სწორედ ამგვარ დამოკიდებულებას ადასტურებს თუნდაც ადვოკატ პეტრე ბარათაშვილის სიტყვები მმართველობის ერთ-ერთ სხდომაზე: „თითქოს ჩვენ ეპისკოპოს კირიონსა და სხვებს თავს ვარიდებთ, არ ვსურობდით მათ სამშობლოში დაბრუნებას. თუ ეპისკოპოს კირიონის შესა-

ხებ ინცინდენტი რამ მოხდა, ეს სულ თვით კირიონის ბრალია, – მან ისე აჩვენა ყველას თავისი თავი, რომ ყველანი შეაძრწუნა მისმა საქციელმა“ (111), ანდა დავით დავითაშვილის (დავიდოვის) განცხადება, – იმ საეკლესიო მოხელისა, იმჟამად დროებითი მმართველობის მდივნისა, რომლის გავლენა უაღრესად ძლიერი იყო ქართული ეკლესიის მომდევნო ცხოვრებაზე⁴: „ეპისკოპოს კირიონის საქციელი იმდენად მოულოდნელი და ასაღელვებელი იყო, რომ მე იმის თანადასწრებით, გეხსომებათ, განვაცხადე, რომ არამც თუ პროფესორი ბენეშევიჩი, არამედ ის ქართველიც, რომელიც იკისრებს სინოდისაგან და ობერპროკურორისაგან მოციქულობას, მე მიმაჩნია იმათვე აგენტად. ეს, ვიმეორებ, ვსთქვი კირიონის კრებაზედ ყოფნის დროს და მან თვითონვე ვერ განაცხადა რაიმე პროტესტი. მაშ, ვიღას შეუძლია რომ მე და ან სხვა ვისმეს აუკრძალოს იმისი თქმა, რაც სიმართლეა!“ (112-113).

ამგვარად დაძაბული ვითარების გამო, – შიგნით თუ გარეთ, – დროებითმა მმართველობამ გადაწყვიტა, რომ რუსეთის მთავრობის რწმუნებულის, ვლადიმირ ბენეშევიჩის, შემწეობით მოგვარებულიყო მხოლოდ კერძო – იმჟამად და არა სამომავლოდ გადასაწყვეტი – საკითხები: მაგალითად, საკრებულოთა საეკლესიო-ადმინისტრაციული მეურვეობის, საეკლესიო ქონების გაყოფის, სამეურნეო უზრუნველყოფის, სასულიერო სასწავლებლების მომავლის თუ სხვა საჭირობოროტო საგნები.

მათ შორის, განსაკუთრებული იმედი ჩნდება, რომ ბენეშევიჩი მხარს დაუჭერს ქართველი სამღვდელოების სწრაფვას, დაიკავონ ეგზარქოს პლატონის ტფილისური სასახლე, – მით უმეტეს, რაკი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე, გამოცხადებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ, უბინაოდ აღმოჩნდა ქალაქში: „დაინიშნოს კომისია სამი კაცისაგან [...], რომელმაც უნდა მიმართოს პროფესორ ბენეშევიჩს თხოვნით, რომ მან მოახდინოს განკარგულება, რათა პლატონის წასვლის შემდეგ მისი ბინა დაეთმოს ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს, რომელიც ეხლა მეტად უკიდურეს პირობებში იმყოფება ცალკე ბინის უქონლობისა გამო“ (81).

ეს თხოვნა რწმუნებულმა არათუ ყურად არ იღო, არამედ „პროფესორი ბენეშევიჩი [აპრილის] 19-ს დილით თვითონ გადასახლდა

ყოფილ ექზარხოხის ბინის ქვემო სართულში“ (81), რითაც მან ექსარქოსის სასახლე დემონსტრაციულად დაიცვა ქართველი სამღვდელოების მიერ შენობის დაკავების საფრთხისაგან. შედეგად ურთიერთობა მთავრობის წარმომადგენელსა და მმართველობის წევრებს შორის კიდევ უფრო მეტად დაიძაბა: „ბენეშევიჩის საქციელმა მეტად დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ზოგიერთმა წევრმა განაცხადა, რომ ეხლავე უნდა მოვსპოთ ბენეშევიჩთან ყოველივე კავშირი, გამოვუცხადოთ სრული უნდობლობაო. სხვებმა საჭიროდ სცნეს პროტესტის დეპეშის გაგზავნა პეტროგრადში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან და ობერპროკურორთან თხოვნით, რომ დაუყოვნებლივ დაინიშნოს საქმეების დასამთავრებლად სხვა, უფრო მტკიცე ხასიათისა და მართლმსაჯული კაცი“ (81).

სამომავლო ქართულ-რუსული საეკლესიო ურთიერთობის გასარკვევად და მოსაწესრიგებლად მოვლენილი სამთავრობო მოხელის ამგვარი მკაფიო არჩევანი ექსარქოსისა და, ზოგადად, რუსული ეკლესიის მოთხოვნათა მხარდასაჭერად, ფაქტობრივად, წყალგამყოფი აღმოჩნდა ქართველ სამღვდელოებსა და მთავრობის რწმუნებულს შორის. ამას გარდა, გაუხმაურებელი არ რჩებოდა ბენეშევიჩის გამონათქვამები თუ ქმედებანი, – ზოგი საჯაროდ გამოხატული, ზოგი ყურს მოწვდენილი დროებითი მმართველობის წევრთათვის, – მიუღებელი, საწყენი, გულდასაწყვეტი ქართული მხარისათვის; ამავე დროს, ბენეშევიჩისათვის, აღმოსავლურ-ბიზანტიური საეკლესიო სამართლის შესანიშნავი მცოდნისათვის, ხშირად გაუგებარი და მიუღებელი იყო ქართველ სასულიერო თუ ეკლესიასთან დაკავშირებულ საერო პირთა არაერთი ქმედების კანონიკური საყრდენები. ურთიერთგაუცხოება და უხვად დაგროვებული უსიამოვნო გაუგებრობანი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ორივე მხარემ ერთმანეთის ნდობა დაკარგა.

მაგრამ, როცა მმართველობის წევრებმა ჩაიფიქრეს, გაეწყვიტათ ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობა ბენეშევიჩთან, მათ ვერ მოიპოვეს ტფილისში მოქმედ ქართულ პოლიტიკურ პარტიათა მხარდაჭერა: „მმართველობის განზრახვა – ბენეშევიჩთან კავშირის შეწყვეტა – არ მოიწონეს, რადგან საკმარისი იურიდიული საბუთები არ გიჭირავთო“ (85); ასევე, მას შემდეგ, რაც „ერთი მეტად საპატიო წარმომადგენელი პოლიტიკური პარტიებისა“ მოისმენს მთავრობის რწმუნებულის მი-

მართ ქართველთა მიერ გამოთქმულ საყვედურს, მმართველობის ერთ-ერთი წევრი, მღვდელი ქრისტეფორე ციციშვილი (შემდგომ – კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე მესამე) სხდომას ამცნობს ამ „საკატიო წარმომადგენლის“ თვალსაზრისს, რომელმაც „*მაინც უმჯობესად სცნო, რომ პროფესორ ბენეშევიჩს, როგორც მთავრობის წარმომადგენელს, უფრო ფაქიზად უნდა მოვეპყრათ*“ (85). ღირსშესანიშნავია, რომ ეკლესიის დროებითი მმართველობისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკურ მეთაურთა განწყობანი თუ დამოკიდებულება როგორც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებისას და რუსული ეკლესიისაგან გამიჯვნისას, ისე – შემდგომ (ღაღანიძე, 2021ბ, გვ. 249-250).

საქმე ისაა, რომ კავკასიის იმდროინდელი, რევოლუციური დროებითი მმართველობა – ამიერკავკასიის კომისარიატი – უეჭველად მიიჩნევს, რომ საეკლესიო საკითხები სცდება ოდენ ეკლესიის ფარგლებს, რადგან ისინი საჯარო ყურადღებას იქცევს და იმსახურებს. აკაკი ჩხენკელი, რომელიც ბენეშევიჩის სიტყვებით, „წარმართავს მთელს ამიერკავკასიის კომიტეტს“ (სოკოლოვი, 2013, გვ. 251; შდრ. ღაღანიძე, 2021ბ, გვ. 256), ასე უცხადებს საგანგებო შეხვედრისას დროებითი მმართველობის მეთაურს, ეპისკოპოს ლეონიდეს: „მე, განმარტა ჩხენკელმა, როგორც სოციალისტს, შეიძლება არც კი მაინტერესებდეს თქვენი საეკლესიო საკითხი და არც დრო მაქვს მაგის დევნისათვის, მაგრამ ეს საკითხი არც ისეთი რამ არის, რომ მის შემჩნევლად შეიძლებოდეს გავლა. საეკლესიო საკითხმა მიიპყრო ბევრის ყურადღება, მან დააინტერესა როგორც რუსის, ისე ქართველი საზოგადოება, ამ საკითხში დაინტერესებულად გამოდგა ზოგიერთი ჯარისკაციც და აი, ამისთვის ჩვენ, ახალ მთავრობის წარმომადგენელთ, არ შეგვიძლიან უყურადღებოთ დავსტოვოთ იგი. ჩვენი სურვილია ეს საკითხი მშვიდობიანად გათავდეს და რუს-ქართველთა შორის არავითარი უთანხმოება არ ჩამოვარდეს. ამ თვალსაზრისით გავერიე ამ საქმეში, ველაპარაკე პროფესორ ბენეშევიჩსა, რომელმაც განაცხადა, რომ მე სრულებით არაფერი ცუდი, იდუმალი რამ განზრახვა არა მქონია იმ წერილის შინაარსში, როგორც ამას ხედავენ სხვები და რომელსაც გამოუწვევია რაღაც გაუგებრობაო. ხანგრძლივ ბაასის შემდეგ ბენეშევიჩთან მან გამოარკვია, რომ ის იმის წინააღმდეგ არ იქნებოდა, თუ საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა

პასუხს სულაც არ მისცემდა. ბენეშევიჩის წერილის პასუხად შედგენილი ქალაქი ჩხენკელმა მოიწონა, გარდა იმ ადგილისა, სადაც მმართველობა მასთან კავშირის შეწყვეტას ლამობს“ (105-106).

ამჯერადაც, ქართველი პარტიულ-პოლიტიკური ხელმძღვანელი ისევ არ ურჩევს ქართული ეკლესიის დროებით მმართველობას, უგულვებელყოს ბენეშევიჩის უფლებამოსილება (ცხადია, იმიტომაც, რომ რუსი პროფესორი წარმოადგენს პეტროგრადის მთავრობას, რომელსაც იმხანად ემორჩილება ამიერკავკასიის სახელმწიფო ხელმძღვანელობა), მაგრამ მთავარ საჭოჭმანო-საკამათო საკითხად, რომელიც ამდენად აღელვებს აკაკი ჩხენკელს და რომლის გამო იგი, – თავად მისივე განცხადებით, პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით, სოციალისტი და, სულ მცირე, გულგრილი საეკლესიო საკითხების მიმართ, – თავად ბენეშევიჩსაც კი შეჰხვედრია, მაინც რჩება რუსეთის მთავრობის რწმუნებულის ღია წერილი, რომლითაც მან ეკლესიის დროებით მმართველობას მიმართა და რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საეკლესიო ცხოვრების მომავალი საქართველოში, – მათ შორის, რუსულ-ქართული საეკლესიო ურთიერთობანი როგორც ამ ნიადაგზე, ისევე ზოგადადაც.

თავად ბენეშევიჩის 4 მაისის წერილი, ფაქტობრივად, შედგება შეკითხვებისაგან, რომლებიც წამოჭრილია დროებითი მმართველობის მიმართ და რომლებზეც პასუხის გაცემა გადამწყვეტი იქნებოდა ქართული ეკლესიის არა იმდენად სახელმწიფოებრივი აღიარებისათვის, რამდენადაც მისი კანონიკურ-სამართლებრივი (საეკლესიო-სამართლებრივი) ცნობისათვის, თუნდაც რუსული ეკლესიის მხრივ. მაგრამ ეს შეკითხვები თითქოს უკან აბრუნებდა ავტოკეფალიის გამოცხადების საკითხს იმ დროს, როცა მის გამო თავისი დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოხატული რუსეთის დროებით მთავრობას (არადა, ეს დამოკიდებულება – ოფიციალური ცხადი მხარდაჭერა – მალევე, ავტოკეფალიის გამოცხადებიდან თხუთმეტი დღის შემდეგ დადასტურდა). ღირსშესანიშნავია, რომ ამ შემთხვევისას ბენეშევიჩი უფრო რუსული ეკლესიის თვალსაზრისსა და მისწრაფებას იცავს, ვიდრე რუსეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელთა გამოხატულებას, რომლის ძალითაც უკვე აღიარებული იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, თუნდაც მხოლოდ ეროვნულ ფარგლებში.

თავის წერილში საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიმართ ვლადიმირ ბენეშევიჩი სვამს შვიდ შეკითხვას:

პირველი: რატომ ეწოდება რუსული ეკლესიის ოთხ ეპისკოპოსს (როგორც ჩანს, იგულისხმებიან: ლეონიდე ოქროპირიძე, გიორგი ალადაშვილი, ანტონი გიორგაძე, პიროს ოქროპირიძე, მაგრამ არა – კირიონ სამაგლიშვილი) „ქართული ეკლესიის მღვდელმთავრები“, როცა ისინი ისევ სარგებლობენ რუსეთის ეკლესიისაგან ყველა შესაბამისი პატივითა და უპირატესობით, რამდენადაც რუსული ეკლესიის მღვდელმთავრები არიან?

მეორე: რა მოხდა, კერძოდ, 12 მარტს (იგულისხმება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება ქართველ სასულიერო და საერო პირთა მიერ სვეტიცხოველში): ჩატარდა ქართული ეკლესიის ადგილობრივი საეკლესიო კრება თუ მხოლოდ ღმრთისმსახურება, რომელსაც მოჰყვა წინასწარ მომზადებული დეკლარაციის საჯაროდ წაკითხვა, ანდა ღმრთისმსახურების შემდეგ, საერთოდ, განიხილეს თუ არა ამ დეკლარაციის კენჭისყრის საკითხი?

მესამე: როგორ და როდის იქნა არჩეული სამღვდელოთა და საეროთა წარმომადგენლები 12 მარტის შეკრებისათვის?

მეოთხე: სად და როგორ აირჩიეს კათოლიკოსის მოსაყდრე და დროებითი მმართველობა?

მეხუთე: რომელი დადგენილებები შემუშავდა და სად გაიგზავნა ისინი დროებითი მმართველობის მიერ?

მეექვსე: 12 მარტის აქტის გამოცხადებისას იყვნენ თუ არ მოწვეული იმ ეროვნებათა სამღვდელოება და საერო პირები, რომლებიც უნდა შევიდნენ – ტერიტორიული პრინციპის გამოყენების შემთხვევისას – ქართული ეკლესიის შემადგენლობაში, ან, საზოგადოდ, შეატყობინეს თუ არა მათ სვეტიცხოველში ამ დღეს შეკრებილებმა თავიანთი ჩანაფიქრის შესახებ?

მეშვიდე: გადადგამს თუ არა ქართული ეკლესიის დროებითი მმართველობა ნაბიჯებს ურთიერთობის დასამყარებლად რუსულ საეკლესიო მმართველობასთან, როგორც ამას ელოდება დროებითი მთავრობა და რაც მან გამოხატა თავის დადგენილებაში? (98-99).

ბენეშევიჩის მიერ წამოჭრილი შეკითხვები, რა თქმა უნდა, შეიცავს საკითხთა განსხვავებულ წყებას, დაწყებული – მცირედ შე-

ფარული მორალური საყვედურით (რომ რუსეთის ეკლესიისაგან გამიჯნული ქართველი ეპისკოპოსები, რომელთაც ურთიერთობაც კი აღარ სურთ რუსულ ეკლესიასთან, ისევ ამ ეკლესიის სახსრებითა და უპირატესობებით სარგებლობენ), დამთავრებული – ცხადი მინიშნებით ავტოკეფალიის დეკლარაციის სამართლებრივად საექვო საფუძვლიანობაზე, სრულიად არადემოკრატიული გზით მისი შემუშავებისა და გამოცხადების გამო (იმ რევოლუციურ დღეებსა და თვეებში კი ყველგან სახალხო-საჯარო გადაწყვეტილებათა სულისკვეთება სუფევს!): წინასწარ მომზადებული საბუთი მოულოდნელად გამოცხადდა ღმრთისმსახურების დასრულების შემდეგ, ყოველგვარი მოთათბირების, განხილვისა თუ კენჭისყრის გარეშე.

საყურადღებოა ისიც, რომ, რწმუნებულის თვალსაზრისით, მეტად სათუთა 12 მარტის შეკრების არა მარტო ზოგადი წარმომადგენლობითობა, არამედ ისიც, რომ ამ შეკრებისა თუ დეკლარაციის მომზადების შესახებ არაფერი აცნობეს არაქართული ეროვნების არც სამღვდლო და არც საერო პირებს, რომლებსაც, ამის გამო, ბუნებრივია, არც არავითარი მონაწილეობა მიუღიათ ავტოკეფალიის გამოცხადებაში. ამდენად, ქართული ეკლესიის ტერიტორიული (და არა მხოლოდ ეროვნული) პრეტენზიები მიუღებლად ჩანს არა მარტო სამართლებრივად, არამედ პიროვნული დამოკიდებულების მხრივაც, რამდენადაც იმჟამად არცთუ მცირერიცხოვან არაქართულ სამრევლოებს არც არავინ დაეკითხა მათს სურვილს.

მაინც, შეკითხვების მიმართულებას უწინარესად წარმართავს მცხეთაში, სვეტიცხოველში 12 მარტს შეკრებილ ადამიანთა თავყრილობისა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების საეკლესიო კანონიერების – საეკლესიო სამართალთან შესაბამისობის – საკითხი, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო როგორც პირადად ბენეშევიჩისათვის, საეკლესიო კანონიკის გამორჩეული სწავლულისათვის, ასევე, რუსეთის მთავრობისა და რუსეთის ეკლესიის მღვდელმთავრობისათვის. ფაქტი იყო, რომ ამ განზომილებით სადავოობა თავისთავად იძლეოდა შესაძლებლობას, ეჭვი შეტანილიყო დაუყოვნებლივ მიღებული დადგენილების სამართლებრივ სიმყარეში.

ისიც სათქმელია, რომ აღმოსავლურ-ბიზანტიურ საეკლესიო სამართალში თავისთავად საჭოჭმანო საგანს წარმოადგენს თვით კრების მოწვევის უფლებამოსილება, ანუ ვის განეკუთვნება ამგვარი

ნების გამოვლენის – ეკლესიის წარმომადგენელთა მოხმობისა და თავმოყრის – კომპეტენცია, როცა ბიზანტიური ტრადიციის ეკლესიას არ ჰყავს ერთი საყოველთაო მღვდელთმოდღვარი, ხოლო იმპერატორის ძალაუფლება და მისი მოვალეობანი კარგა ხანია გაუქმებულია. ასევე, ამავე ტრადიციის საეკლესიო ცხოვრებისათვის ჩვეულებრივ გადაუწყვეტელი და გაურკვეველია, თუ ვის იურისდიქციას განეკუთვნება ცალკეული მრევლი იქ, სადაც შერეული მოსახლეობაა: ადგილობრივად მკვიდრ ეპისკოპოსს თუ ეროვნულ ეპისკოპოსს, რომელიც, შესაძლოა, ტერიტორიულად მოშორებულ მშობლიურ – ეროვნულ – ეკლესიას წარმოადგენდეს.

კიდევ, აღმოსავლურ-ბიზანტიური საეკლესიო წყობა, მართალია, არსობრივად ჩაკეტილია ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფარგლებში, მაგრამ მაინც ავტოკეფალიის გამოცხადებას არ მოსდევს ავტოკეფალიის აღიარება სხვა ეროვნულ ეკლესიათა მხრივ, რადგან ეს ორი მოვლენა ხშირად მეტისმეტად დაშორებულია ერთმანეთს დროითი თვალსაზრისით. ამდენად, ბენეშევიჩისათვის არსებითი საკითხია, ცდილობს თუ არა ქართული ეკლესია, მოიპოვოს რუსული საეკლესიო აღიარება, თუ ის მარტო რუსულ სამთავრობო აღიარებას სჯერდება.

ამგვარი იყო ბენეშევიჩის შეკითხვების სახე და შინაარსი, – თუნდაც ზოგჯერ არცთუ მკაფიოდ გამოთქმული და მხოლოდ მინიმუმებული, – რომლებიც მთავრობის რწმუნებულმა ქართული ეკლესიის დროებით მმართველობას დაუსვა და რომელმაც ქართველი საეკლესიო თუ საერო პირების აღშფოთება გამოიწვია: „ამ წერილის შინაარსმა გააოცა და ააღელვა მთელი მმართველობის შემადგენლობა. უზომოდ ალაშფოთა, აგრეთვე, პროფესორი ივ. ჯავახიშვილი“ (99). ვლადიმირ ბენეშევიჩის წერილს ქართველების მხრივ მწვავე გამოხმაურება მოჰყვა, რასაც აკაკი ჩხენკელის უშუალო ჩარევაც მოწმობს მისთვის არცთუ ახლობელ საქმეში და თავად რუსი პროფესორის შესამჩნევი უკანდახევაც, რაც იმ შინაურულ უწყებაშიც გამოიხატა, რომ იგი თანახმა იქნებოდა, თუ მმართველობა, საერთოდ, არც უპასუხებდა მის შეკითხვებს.

როგორც ჩანს, დროებითმა მმართველობამაც განსაკუთრებული ყურადღება აღარ გამოიჩინა დასმულ შეკითხვებზე საპასუხოდ და სამი დღის შემდეგ, 7 მაისს გაამზადა მიმართვა ბენეშევიჩის მიმართ, – უფრო ზუსტად, ზოგადი განცხადება, სადაც შეგნებულადაა ნათ-

ქვაში უარი, გაიშალოს რამე მსჯელობა წერილში წამოჭრილი საკითხების ირგვლივ: „ქართული ეკლესიის დროებითი მმართველობა არა მარტო თავს იკავებს, პასუხი გასცეს თქვენ მიერ შემოთავაზებულ შეკითხვებს, არამედ თავს იძულებულად მიიჩნევს, შეწყვიტოს თქვენთან შემდგომი მუშაობა“ (103), რადგან თვით წერილი მიჩნეულია „ღრმად სამწუხაროდ და საწყენად ქართველთა საეკლესიო ცნობიერებისათვის“ (102), რამდენადაც მასში გამოთქმულია ეჭვი თავად ცნების „ქართულის ეკლესიის“ კანონიერების მიმართ (103). თუმცა უნდა ითქვას, პასუხი იმგვარადაა შედგენილი, რომ მთავრობის რწმუნებულს მთავრობის ნების შეუსრულებლობა და მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების უგულებელყოფა დაჰზრალდეს.

ბენეშევიჩმა მაინც სცადა მდგომარეობის განმუხტვა და შეთანხმებათა გადატანა კერძო პრობლემების მოგვარების კალაპოტში (მაგალითად, მოწესრიგებულებით ქართული და არაქართული სამრევლოების ერთმანეთისაგან გამიჯვნა), ხოლო არსობრივი საკითხის საბოლოო გადაწყვეტა კი მაინც პეტროგრადს მიენდო: როგორც მთავრობას, ისე მღვდელმთავრობას, რომელიც სწორედ იმ დღეებში ემზადებოდა ადგილობრივი საეკლესიო კრების ჩასატარებლად. მაგრამ დროებითი მმართველობისა და რწმუნებულის ურთიერთობა მაინც ვეღარ მოგვარდა. ისტორიკოს სერგი გორგამის სიტყვებით, ერთი შემდგომი შეხვედრისას „ბენეშევიჩმა პირდაპირ გასაშტერებელი პასუხი მოგვცა: [...] ჯერჯერობით იურიდიულად საქართველოს ეკლესია არ არსებობსო, ე. ი. სწორედ იმისი წინააღმდეგი გვითხრა, რაც წინა დღეს ჩვენთან თათბირის დროს ილაპარაკა: ჩემს წერილში სრულიად აზრად არა მქონია 12 მარტის აქტისათვის ძირი გამომეტხარაო. ამაზე მეტი ძირის გამოთხრა კიდევ იქნება?! [...] ერთი სიტყვით, ჩვენ ამჟამად საქმე გვაქვს ფრიად საშიშ პიროვნებასთან და სახიფათო მდგომარეობასთან“ (121-122); „დეკანოზმა თალაქვაძემ დასძინა, ბენეშევიჩთან საზოგადოდ სათაკილოც კია მუშაობა იმის შემდეგ, რაც იმან საქმეები ჩაიდინა“ (137).

მიუხედავად ამგვარი დამოკიდებულებისა, მაშინ, როცა ბენეშევიჩის შეკითხვებზე ბოლოს და ბოლოს მაინც გაიგზავნა დროებითი მმართველობის საპასუხო განცხადება, მასში, პარტიული ლიდერების რჩევის გათვალისწინებით, აღარაფერი იყო ნათქვამი რწმუნებულთან კავშირის გაწყვეტაზე.

თუმცა ზოგადი განწყობა ცხადია: ქართული მხარის მოლოდინი სრულიად გაწვილებულია და უკმაყოფილებაც არც ჩამცხრალა ბენეშევიჩის იმ საქმიანობით, რომელიც მან ტფილისში გამალა. ღირსშესანიშნავია, რომ მისმა საქციელმა იმედი გაუცრუა არა მარტო ქართველ სამღვდელოებასა და ავტოკეფალიის ირგვლივ შემოკრებილ მის მხარდამჭერებს, არამედ გაკვირვებული დარჩა მისი პეტერბურგელ-პეტროგრადელი კოლეგა, პროფესორი ნიკო მარიც, – მოგვიანებით ჩამოსული ტფილისში, – რომელიც ვერც ხსნიდა მის ამგვარ სახეცვლილებას: „პროფესორ მარს აკვირვებდა ბენეშევიჩის მოქმედება, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ის თითქოს სულ სხვა პიროვნებად ქცეულა“ (არაბიძე, 2008, გვ. 323), „ამას არ მოველოდი მისგანო“ (თალაქვაძე, 2013, გვ. 41).

საბოლოოდ, დროებითმა მმართველობამ ამჯობინა, აღარ გაემწვავებინა ურთიერთობა ბენეშევიჩთან და საფუძველმდები საკითხები, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასა და მის მომავალ მუშაობას უკავშირდებოდა, განესაჯათ და გადაეწყვიტათ პეტროგრადში, სადაც საგანგებო დელეგაცია გაიგზავნა და სადაც იქაური სამთავრობო-პოლიტიკური მხარდაჭერის იმედი ეგულებოდა⁵: „ვინაიდან პროფესორი ბენეშევიჩი პეტროგრადში მიემგზავრება, პროექტის შესახებ უკანასკნელი აზრის გამოთქმა ეხლა უდროვოდ იყო ცნობილი“ (137).

4 ივნისს ვლადიმირ ბენეშევიჩმა დატოვა ტფილისი. ქალაქიდან გამგზავრებამდე, გამომშვიდობებისას მას განუცხადებია, რომ „როგორც მეცნიერი, იგი იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველი და ასეთადვე დარჩება“ (ლაღანიძე, 2021ბ, გვ. 257).

29 ივლისს იგი გათავისუფლდა მთავრობის რწმუნებულის მოვალეობისაგან და მისი ურთიერთობაც საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობასთან – ტფილისში თუ პეტროგრადში – ამოიწურა.

ბენეშევიჩის შემცვლელად რუსეთის დროებითმა მთავრობამ სამართალმცოდნე, პროფესორი, ბარონი ბორის ნოლდე დანიშნა, რის შესახებაც სარწმუნოებათა მინისტრმა, ანტონ კარტაშოვმა, დროებით მმართველობას 11 სექტემბერს აცნობა (274), როცა რუსეთის ეკლესიის ადგილობრივი კრება უკვე დაწყებული იყო, სადაც ბენეშევიჩი კრების მდივნის თანაშემწედ იყო დასაქმებული.

სხვათა შორის, როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს მკვიდრდება თანდათანობით სახელდება: „მართლმადიდებელი ეკლესია“, – როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, – რომლითაც აღმოსავლურ-ბიზანტიური ტრადიციის ეკლესია აღინიშნება, თუმცა ჯერ კიდევ არაა მოძებნილი საბოლოო ყალიბი, რის გამოც დროებითი მმართველობის მიერ შემუშავებულ „საქართველოს ეკლესიის ძირითად დებულებებში“ ის ამგვარად მოიხსენიება: „მართლმადიდებლობითი ეკლესია“: „საქართველოს მართლმადიდებლობითს ეკლესიას ისეთივე იურიდიული მდგომარეობა აქვს სახელმწიფოში, როგორც რუსეთის მართლმადიდებლობითს ეკლესიას“ (78; შდრ. 190).

ნიშანდობლივი იყო, რომ ამ ტრადიციის ეკლესია, რომელსაც სწორედ იმ დღეებში მიეცა იშვიათი (და ხანმოკლე) შესაძლებლობა, გათავისუფლებულიყო სახელმწიფო-პოლიტიკური მეურვეობისაგან და შესდგომოდა საკუთარი სულიერი დანიშნულების თავისუფლად განხორციელებას, ქვეყნის პოლიტიკური მმართველობისათვის მიზანშეწონილობასთან შეთანხმების – „სიმფონიის“ – გარეშე, მაინც მიჰყვება ბიზანტიური მემკვიდრეობის შარაგზას, რის გამოც განუწყვეტლივ, – დაწყებული ავტოკეფალიის გამოცხადებიდან, – ეთათბირება ქვეყნის ხელისუფლებას თუ პოლიტიკურ წრეებს. ამგვარი შეთანხმების ნიმუშებად – მრავალთაგან – დროებითი მმართველობის სხდომების თუნდაც ამგვარი ჩაწერები მეტყველებს: „ვინაიდგან ბენეშევიჩის პროექტის მიღება [...] საპასუხისმგებლო ნაბიჯია, ორივე პროექტი ეჩვენოს პარტიათა საპატიო წარმომადგენელთ და, თუ მოწონებულ იქმნას, წარედგინოს შესწორებული პროექტი პროფესორს“ (128); [ეპისკოპოსმა ანტონიმ] „ამცნო კრებას, რომ პროფესორ ბენეშევიჩის პროექტი (საქმეების განაწილებისა და მათ მართვა-გამგებლობის შესახებ) მან უჩვენა პარტიის საპატიო წარმომადგენელს, გააცნო მმართველობისაგან ყველა შეცვლილი მუხლები და სთხოვა თავისი შეხედულების გამოთქმა. პარტიის წარმომადგენელს შესაძლოდ უცვნია პროექტის მიღება სწორედ იმ შესწორებით, როგორც მოუხდენია მმართველობას“ (131).

თუმცა, მეორე მხრივ, სხდომებზე, ასევე, გამოსჭვივის ხოლმე რევოლუციური, ანუ განახლების მისწრაფება, რომელიც ეყრდნობა არა იმდენად საეკლესიო კანონიკას, რამდენადაც იმ დღეების რევო-

ლუციურ სულისკვეთებას. მაგალითად, იმერეთიდან ჩამოსული მღვდელი სპირიდონ ლეკვეიშვილი „აცხადებს, რომ მმართველობას მართლაც რომ ბევრი რამ არ გაუკეთებია. იგი, როგორც ჩანს, მოსდომებია პროფესორ ბენეშევიჩთან ბრძოლას და საქმის დასაბოლოებლად თითქოს ისევ წინანდელ გზით იცქირება – პეტროგრადისაკენ, ეს ამბავი 12 მარტის შემდეგ შეუფერებელია. თუ რევოლუციით დავიწყეთ საქმე, რევოლუციითვე უნდა დავამთავროთ“ (111-112), ხოლო იურისტ გიორგი ჟორდანიას მიაჩნია, რომ „ბენეშევიჩისაგან შემოტანა ამისთანა პროექტისა ჩვენი დაცინვა-დამარხვაა. შეუძლებლად სცნობს ამის მოთმენას, ჩვენ რევოლუციურად [უნდა] დავიცვათ ჩვენი უფლებანი“ (124).

როგორც ჩანს, ხშირად, იმ მშფოთვარე დღეებში, სამართლის მაგივრად, წონას იძენს რევოლუციური მიზანშეწონილობა, ხოლო საეკლესიო კანონიკის ველს ენაცვლება დროის სულისკვეთების გარემო. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიზანსწრაფვას განაპირობებს იმჟამინდელი ზოგადი პოლიტიკური ვითარება – რევოლუციური განწყობილება, ხოლო ვლადიმირ ბენეშევიჩის თვალსაწიერი, მიუხედავად იმისა, რომ იგი რევოლუციის ტალღაზე წარმოქმნილი დროებითი მთავრობის წარმომადგენელია, მაინც განპირობებულია მისი პროფესიული ცოდნით: საეკლესიო-კანონიკური სამართლის პროფესორს მიაჩნია, რომ საეკლესიო წესრიგი და მართვა არასოდეს უნდა გასცდეს კანონიკის ფარგლებს. მაგრამ რევოლუციისა და სამართლის მორიგება შეუძლებელი იყო და ვერც ამ შემთხვევისას მოხერხდებოდა. კალისტრატე ცინცაძის სიტყვებით, „[ბენეშევიჩი] თბილისში ჩამოვიდა და „მუხრანის ნომრებში“ დაბინავდა. ვიდრე იქ ცხოვრობდა, კანონების ენაზე გველაპარაკებოდა, მაგრამ როგორც კი ეგზარქოსის სამყოფელში გადაბარგდა, კანონები გადაივიწყა“ (ცინცაძე, 2010, გვ. 411).

სავარაუდოა, ბენეშევიჩის დამოკიდებულების ამგვარი ნიშნული ცვლილება განაპირობა იმ სინამდვილესთან შეჯახებამ, რაც მისთვის ცხადი გახდა და რამაც იგი მალე დაარწმუნა: რომ ახალშექმნილი საეკლესიო დაწესებულება, რომელიც რევოლუციურ გარემოში და რევოლუციონერთა მხარდაჭერით ჩამოყალიბდა, არ მიანიჭებდა უპირატესობას საეკლესიო კანონიკის უპირობო და ზედმიწევნით დაცვას.

ის საჭირობოროტო საკითხები, რომელთა გადასაჭრელად უძლურები აღმოჩნდნენ როგორც საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, ისე დროებითი მთავრობის რწმუნებული ვლადიმირ ბენეშევიჩი, საქართველოს რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ სავსებით სხვაგვარად წარმოჩნდა ან გადაწყდა. რუსული ეკლესია საქართველოში გაუქმდა რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად, მაგრამ ქვეყნის სოციალისტური ხელმძღვანელობა არ გამოირჩეოდა თავისი თანაგრძნობით რელიგიისა თუ ეკლესიის მიმართ, რამაც ახალგათავისუფლებული ქართული ეკლესია სრულიად მოულოდნელ სატკივართა წინაშე დააყენა.

შენიშვნები:

1. საკითხის მიმოხილვა: (ღაღანიძე, 2021ბ, გვ. 250-251).
2. საკითხის ვრცელი მიმოხილვა: (ღაღანიძე, 2021ბ, გვ. 245-271).
3. „საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში საქმის ვითარება ისე დახატეს, თითქოს ეპისკოპოსი კირიონი რუსეთის ეკლესიის ობერ-პროკურორს გაურიგდა საქართველოს ეკლესიის საზიანოდ“ (ვარდოსანიძე, 2017, გვ. 20-21).
4. კირიონის მიმართ დავითაშვილის განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულების შესაძლო პირველმიზეზის გამო: (ღაღანიძე, 2021ბ, გვ. 253).
5. პეტროგრადში მიმდინარე მოვლენები – ურთიერთობანი მთავრობასთან და სინოდთან – მოგვიანებით, თავის მოგონებებში, აღწერილი აქვს დელეგაციის მონაწილეს, დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს (შემდგომ – კათოლიკოს-პატრიარქს): (ცინცაძე, 2010, გვ. 412-432).

გამოყენებული ლიტერატურა:

- არაბიძე, ი. (2008). საქართველოს საეკლესიო საქმეთა გადამწყვეტი კომისიის პროფესორ ბენეშევიჩის მოღვაწეობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი (1917 წ.), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I (3), თბილისი: „უნივერსალი“.
- ვარდოსანიძე, ს. (2017). საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატთანე (1917-2017 წ.წ.), თბილისი: ქართული უნივერსიტეტი.
- თალაქვაძე, ნ. (2013). მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი.
- ჟურნალები (2016). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი), გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ, თბილისი: „მერიდიანი“.
- ღაღანიძე, მ. (2006). ვლადიმირ ბენეშევიჩის სამმაგი ტრაგედია, ლიტერატურული ძიებანი, XXVII, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტი.
- ღაღანიძე, მ. (2020). ვლადიმირ ბენეშევიჩი – რუსეთის დროებითი მთავრობის რწმუნებული ტფილისში, ლიტერატურული ძიებანი, XL, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტი.
- ღაღანიძე, მ. (2021ა). ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, 1, 2000-2009, თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
- ღაღანიძე, მ. (2021ბ). ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, 2/1, 2010-2019, თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
- ცინცაძე, ვ. (2010). კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან, მწიგნობრობა ქართული, 10, თბილისი: „ციცინათელა“.
- Соколов, А. В. (2013). Византинист В. Н. Бенешевич – уполномоченный Временного правительства по делам Грузинской православной церкви, Труды Государственного Эрмитажа, [Т.] 69: Византия в контексте мировой культуры: Сборник научных трудов, посвященный памяти Алисы Владимировны Банк (1906–1984), Санкт-Петербург: Изд. Гос. Эрмитажа.

References:

- Arabidze, I. (2008). Sakartvelos saek'lesio sakmeta gadamts'q'vet'i k'omisris profesor Beneshevichis moghvats'eoba da sakartvelos ek'lesiis avtok'epaliis sak'itkhi (1917 ts'), Akhali da uakhlesi ist'oriis sak'itkhebi, I (3). [Activities of professor Beneshevich, the decisive commissioner of the Church affairs of Georgia, and the issue of the autocephaly the Georgian Church, Issues of the modern and contemporary history]. Tbilis: Universali.
- Ghaghanidze, M. (2006). Vladimir Beneshevichis sammagi t'ragedia, Lit'erat'uruli dziebani, XXVII. [Vladimir Beneshevich's triple tragedy, Literary Researches, XXVII]. Tbilisi: Institute of Literature.
- Ghaghanidze, M. (2020). Vladimir Beneshevichi – Rusetis droebiti mtavrobis rts'munebuli Tpilisshi, Lit'erat'uruli dziebani, XL. [Vladimir Beneshevich – a Commissioner of Russian Provisional Government in Tiflis, Literary Researches, XL]. Tbilisi: Institute of Literature.
- Ghaghanidze, M. (2021a). Lit'erat'ura, k'ult'ura, religia, 1, 2000-2009. [Literature, culture, religion, 1, 2000-2009]. Tbilisi: National Parliamentary Library of Georgia.
- Ghaghanidze, M. (2021b). Lit'erat'ura, k'ult'ura, religia, 2/1, 2010-2019. [Literature, culture, religion, 2/1, 2010-2019]. Tbilisi: National Parliamentary Library of Georgia.
- Tsintsadze, K'. (2010). Chemi mogonebebidan, Mts'ignobroba kartuli, 10. [From the my memories, Georgian Literature, 10]. Tbilisi: Tsitsinatela.
- Vardosanidze, S. (2017). Sakartvelos martlmadidebeli samotsikulo ek'lesiis asts'lovani mat'iane (1917-2017 ts'.ts.). [The centennial chonicle of the Georgian Orthodox Apostolic Church]. Tbilisi: Georgian University.
- Zhurnalebi (2016). Sakartvelos martlmadidebeli ek'lesiis droebiti mmartvelobis skhdomis zhurnalebi (1917 ts'lis 13 mart'i-14 sekt'emberi), Gamosatsemad moamzades, ts'inasit'q'vaoba, k'oment'arebi da biograpiuli tsnobebi daurtes Nino Shiolashvilma da Irina Arabidzem. [Journals of the sessions of the provisional administration of the Georgian Orthodox Church (March, 13-September, 14, 1917), Prepared for publication, and preface, comments and biographical information by Nino Shilashvili and Irina Arabidze]. Tbilisi: Meridiani.

Sokolov, A. (2013). Vizantinist V. N. Beneshevich – upolnomočennyji Vremennogo pravitelstva po delam Gruzinskoji Cerkvi, Trudy Gosudarstvennogo Ermitaža, 69: Vizantia v kontekste mirovoji kultury: Sbornik nauchnykh trudov, posvjaščennyji pamjati Alisy Vladimorovy Bank (1906-1984). [Byzantinist V. N. Beneshevich – a Commissioner of Provisional Government for the Georgian Orthodox Church, Proceedings of the State Hermitage, 69: Byzantium in the context of the World culture: Collection of research articles, dedicated to the memory of Alisa Vladimirovna Bank (1906-1984)]. St.Petersburg: Edition of State Hermitage. Talakvadze, N. (2013). Mokalake-mghvdliis dghiuridan. [From the diaries of civil priest]. Tbilisi: The Museum of Literature.

Memoria

თამარ ბარბაკაძე

Tamar Barbakadze

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

„ხმა – ვით სამყაროს ჭეშმარიტება“¹ „The voice of truth for the world“

This paper is dedicated to Jansug Kordzaia, doctor of philology, professor, poet and thinker, whose commemorative evening was held on December 14, 2022 at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University. This recollection is based on the speech delivered there. Kordzaia's outstanding personal and human qualities still remain unforgettable for his colleagues and students. A special place in the paper is given to Jansug Kordzaia's lyrical collections: "You are already you" (1988), "This Century" (1988), "Just Once" (1989).

It is known that the expressiveness of the lyrics is determined by the intensity of the poet's world outlook and feelings as well as the variety of themes. Scholars distinguish four main thematic groups of lyrics: philosophical, civil, landscape and love. Kordzaia's collection "Selected Lyrics" comprises poems that cover each of the four thematic groups. The above-mentioned lyrical creation is a rare example of a mixture of philosophical and civic theme and serves to explain the cause-and-effect link. In Georgia, political repressions of the 1930s are perceived as the death of the world. The poem presents artistic images created by colorful hearing. The feelings of Jansug Kordzaia's lyrical hero express go beyond melancholy or grief that is the prerogative of elegiac lyrics; in this short poem the poet's lyrical feeling reaches the height of the tragedy and shares with us true catharsis.

1. 14 დეკემბერს, 2022 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ბატონ ჯანსუღ კორძაიას ხსოვნის საღამოზე წარმოთქმული სიტყვა.

It should be noted the emotional perception of sound, accompanied by a step, wind, leaves and rain: all four are dynamic, mobile, alive and exclude static, resisting death and sharing with the reader the movement of music, the world perceived by the conductor ... And “complete silence and stillness” is the “truth of the world”: only the concept is already motionless and constant, and the path to truth is always turbulent, dynamic and painful, only the truth obtained through such a tragic sacrifice is valuable and eternal.

საკვანძო სიტყვები: ჟანსუღ კორძაია, ლირიკა, სამყარო, მსოფლიო ჭეშმარიტება, ტრაგიკული მსხვერპლი.

Key words: Jansug Kordzaia, lyrics, world, “truth of the world”, tragic sacrifice.



სამყაროს შემთხვევითი კავშირების კანონზომიერების ამოხსნა და ადამიანებისათვის სარწმუნო, უექველი, ჰარმონიული თუ დისჰარმონიული ფორმებით შეთავაზება რჩეულთა ხვედრია. ზოგი ამ უზენაეს მოვალეობას თავისი ცხოვრებისეული სტილით, ან პროფესიონალიზმით ადასრულებს, მცირედნი კი ხელოვნების, პოეზიის მსახურებით ეხმაურებიან სამყაროსა და ადამიანების ურთიერთმიმართებას.

იშვიათად, მაგრამ მაინც ისეთი პიროვნებებიც გვხვდებიან ცხოვრების გზაზე, ყოფა და სული, „დღიური პროზა“ და „სულის ხმოვანება“, პოეზია ერთმანეთთან რომ დაუკავშირებიათ, ჰარმონიად გადაუქცევიათ საკუთარი თავისთვისაც და სხვებისთვისაც ეს წუთისოფელი.

ასეთი „სრული კაცები“, უფლის მიერ გამოგზავნილნი, ერთი ფიქრით, ერთი ოცნებით, გამთლიანების სურვილით, ალბათ, XX საუკუნეში დარჩნენ...

ჯანსუღ კორძაია – პიროვნება, ფილოსოფოსი და პოეტი, ლირიკოსი, ერთგულად, მყარად, თანაგრძნობით გვეხმაურება და გვანუგეშებს დღესაც ყველას, ვინც მხოლოდ რამდენჯერმე, შემთხვევიდან შემთხვევამდე, შეხვედრია მას ჩემნაირად, ან მათ, რომელთა ოჯახის წევრი, ბურჯი და ნუგეში იყო: ნათესავებსა და მეგობრებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს, მეზობლებსა და ნაცნობებს, ამ ზნეკეთილი კაცის მოსმენა თუნდაც ერთხელ რომ არგუნა უფალმა.

„ის კაცი იყო, ვით შეკვფერის კაცსა კაცობა!“ – ალბათ, ასე მოკლედ, შექსპირისეულად, დავახასიათებდი ბატონ ჯანსუღს, რომელსაც ასე ძალიან უყვარდა პრინცი ჰამლეტი – „ლამპარი დიდებული“. ქართველები კი ბატონი ჯანსუღის მსგავსი პიროვნების თაობაზე ვამბობთ: „სანთელივით კაცი იყო!“ ჩემთვის, ჩვენი ოჯახისათვის, ჩემი ძმისათვის, ბატონი ჯანსუღ კორძაია ნათელი კაცია... წინა საუკუნის 80-იან წლებში, ანდროპოვისა თუ გორბაჩოვის ჟამს, ვიდრე საქართველოში ე.წ. „მშრალი კანონი“ გაბატონდებოდა, პოლიტიქნიკური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრაზე სემინარების გაძლოა დაევალა ჩემს ძმას, თეიმურაზ ბარბაქაძეს, ლექციებს კი ბატონი ჯანსუღ კორძაია კითხულობდა. მთელი კათედრა აპირებდა ჩვენთან, ხაშურის რაიონში, სტუმრობას, მაგრამ ზემოხსენებულმა კანონმა თეიმურის თანამშრომლებიც დააფრთხო და კათედრის გამგე, ბატონი ვახტანგ გაგოიძეც, საგონებელში ჩააგდო. ოჯახი მზად იყო ლხინისათვის, სტუმრები კი ვერ მოდიოდნენ. ბატონ ჯანსუღ კორძაიას არ შეშინებია არც კანონის დარღვევისა და არც მიზეზები უძებნია ოჯახის დასამშვიდებლად. თქვა, რომ ხაშურში მოდიოდა თეიმურთან, მის მშობლებთან... კათედრის ყველა თანამშრომელი უყოყმანოდ გამოჰყვა ამ ნათელ, ძლიერ, მზრუნველ პროფესორს, რომლისთვისაც უმცროსი კოლეგისა და მისი მოკრძალებული, პატიოსანი, ინტელიგენტი მშობლების გაწბილება უფრო დიდი ცოდვა იქნებოდა, ვიდრე „გენსეკის“ მიერ დადგენილი კანონის დარღვევა. საბედნიეროდ, არავინ არავის დაუსჯია ამ ლამაზი, ხალისიანი ქეიფის გამო, რომლის კოლორიტული თამადა, რა თქმა უნდა, ბატონი ჯანსუღ კორძაია იყო. ჩვენი ოჯახისათვის კი იგი, მართლაც, ნათელი,

ძლიერი, ნამდვილი ადამიანის სიმბოლოდ იქცა. ჩემთვის ბატონი ჯანსუღი გმირის შარავანდედით იყო უკვე მოსილი; მალე კი ამას მისი პოეტური კრებულები: „შენ უკვე შენ ხარ“ (1988), „ეს საუკუნე“ (1988), „ჯერ მხოლოდ ერთხელ“ (1989) მოჰყვა...

1989 წლის პირველ სექტემბერს, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ჩემი რეცენზია დაიბეჭდა ბატონი ჯანსუღ კორძაიას კრებულის თაობაზე. სათაურად ჯანსუღ კორძაიას ლექსის ციტატა ჰქონდა: „...სული – ჟამიდან ჟამში მდინარი“. გაზეთის გამოსვლის დღეს თბილისში არ ვიყავი, სირიაში გახლდით სამოგზაუროდ; რომ დავბრუნდი, ჩემმა ძმამ დამახვედრა „ლიტერატურული საქართველო“ ეს ნომერი და ძალიანაც გამახარა, მაგრამ ნამდვილი სიხარული წინ მელოდა თურმე: რამდენიმე დღის შემდეგ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მობრძანდა ბატონი ჯანსუღ კორძაია ულამაზესი თაიგულით და მადლიერება გამოხატა წერილისათვის ამ, მართლაც, რაინდმა, სულდიდმა და ზნემდალმა პოეტმა და ფილოსოფოსმა.

...სამწუხაროდ, პერგამენტივით გაცრეცილი მარჯვენის ჩამორთმევისას ყრუ ტკივილიც ჩამრჩა ხსოვნაში ბატონი ჯანსუღის უსაყვარლესი მეუღლის გარდაცვალების სამგლოვიარო დღეებში თანაზიარობისათვის ოჯახში მისულს. წლები ხსოვნას სინათლესა და სიკეთეს უმძაფრებს, ბატონი ჯანსუღის ხმა კი მარადისობას ერწყმის, რათა ჭეშმარიტების შეცნობა გაგვიადვილოს მისი სულის თანაზიარებს. ეს ხმა კაცისა, პიროვნებისა, ფილოსოფოსისა და პოეტო-ლირიკოსისა ბევრი ჩვენგანისათვის სითბოსა და სიმყარის გარანტიაა: ჯანსუღ კორძაიას, ლირიკოსის, ხმა, შემთხვევით არ დამიკავშირებია თურმე 33 წლის წინათ წერილის სათაურად გამოტანილი პოეტის ციტატისათვის: „...სული – ჟამიდან ჟამში მდინარი“. ეს სული, ხმოვანი და ნათელი, თანამედროვე მტრულ, გაუცხოებულ, გათითოკაცებულ საქართველოში, საბედნიეროდ, ისევ ხმიანობს, ისევ მაქეზებს ჯანსუღ კორძაიას ლირიკის ძალაზე სასაუბროდ.

...2002 წლის 22 ოქტომბერს უჩუქებია ჩემთვის ბატონ ჯანსუღს თავისი „რჩეული ლირიკა“, წარწერით: „პოეზიის დამფასებელს, ჩემს კრიტიკოსს თამარ ბარბაქაძეს, სიყვარულითა და პატივისცემით!“ მიუხედავად იმისა, რომ ორი ათეული წელი გასულა ამ კრებულის

გამოცემიდან, პოეტ ჯანსუღ კორძაიას ლექსები კვლავ ძვირფასი და მნიშვნელოვანია. მინდა, გავიხსენო თამაზ ჭილაძის სიტყვები, 2009 წელს რომ დაიბეჭდა ჟურნალ „ლიტერატურასა და ხელოვნებაში“: „... რაც უნდა დიდი წინააღმდეგობა გავუწიოთ და ნარკოტიკად ქცეული ინფორმაციის ცვილით ამოვიგლისოთ ყურები, ჩვენს არსებამდე მაინც აღწევს ჭეშმარიტი პოეზიის ხმა, რომანტიკულ სანაპიროზე რომ გვიხმობს და სანამ ეს ხმა გვიხმობს, ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის...“

ჯანსუღ კორძაიას პოეზიის ძალა სწორედ ამ ხმის არსებობით დასტურდება. პოეტი და ფილოსოფოსი ემოციით და განსჯით არწმუნებს მკითხველს, რომ სწორედ ამ ხმის სიმაღლე და სამყაროს ხმებთან მისი ერთიანობა არის სიცოცხლის პირობა: ევგენი მიქელაძის ხსოვნას ეძღვნება ჯანსუღ კორძაიას ორსტროფიანი ლექსი „სამყაროს სიკვდილი“:

მოულოდნელად დაკარგეს ხმები
ნაბიჯმა, ქარმა, ფოთლებმა, წვიმამ,
და მერე უხმო, სულ უხმო ცრემლით
იტირა სულში ჩამწყდარმა სიმმა.

მერე უეცრად დაეშვა ფარდა
სრული სიჩუმე და გარინდება,
სამყარო მოკვდა!
რადგანაც გაქრა
ხმა – ვით სამყაროს ჭეშმარიტება.

ცნობილია, რომ ლირიკის გამომსახველობით სიღრმეს განაპირობებს პოეტის მსოფლმხედველობისა და განცდების სიმძაფრე და თემების მრავალფეროვნება. მკვლევრები ლირიკის ოთხ ძირითად თემატურ ჯგუფს ასახელებენ: ფილოსოფიურ, სამოქალაქო, პეიზაჟურ და სასიყვარულო. ჯანსუღ კორძაიას „რჩეული ლირიკა“ ოთხივე თემატური ჯგუფის ამსახველ ლექსებს აერთიანებს. ზემოთ მოხმობილი ლირიკული ქმნილება კი ფილოსოფიური და სამოქალაქო თემატიკის იშვიათი ხელოვნებით შერწყმისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ახსნას ემსახურება: XX ს. 30-იანი წლების კაენის სულის აღზევება საქართველოში, სამყაროს სიკვდილად გააზრებული, ცოცხალი, ფერადოვანი სმენით აელვარებული, ევგენი მიქელაძის აღ-

სასრული კი არ არის მხოლოდ, არამედ ჭეშმარიტების, სიმართლის, საზოგადოდ, სამყაროს ფინალი. ჯანსუღ კორძაიას ლირიკული გმირის სათქმელი – ეს არ არის მხოლოდ „კაემანი“, ან „სალბუნე გულისა“, რომელიც ელეგიური ლირიკის გამოხატვის პრეროგატივაა, ამ მცირე ზომის ლექსში ლირიკული განცდა პოეტისა ტრაგიზმის სიმაღლეს, სიმდაფრეს და ჭეშმარიტ კათარზისსაც გვაზიარებს.

აღსანიშნავია ხმის ემოციური აღქმა ნაბიჯის, ქარის, ფოთლებისა და წვიმის თანხლებით: ოთხივე დინამიკურია, მოძრავი, ცოცხალი და გამორიცხავს სტატიკას, უპირისპირდება სიკვდილს და მკითხველს აზიარებს მუსიკის მოძრაობას, დირიჟორის მიერ აღქმულ სამყაროს... „სრული სიჩუმე და გარინდება“ კი „სამყაროს ჭეშმარიტებას“ ერთმეზობა: მხოლოდ ცნებაა უკვე უძრავი, მყარი და მუდმივი, ჭეშმარიტებამდე მისასვლელი გზა კი ყოველთვის მღელვარეა, მოქმედი, მოძრავი და მტკივნეული, მხოლოდ ასეთი ტრაგიკული მსხვერპლშეწირვით მიღებული ჭეშმარიტება, სიმართლე არის ღირებული და მარადიული.

მამუკა ბარათაშვილი „ჭაშნიკის“ მეორე ნაწილში გვამცნობს: „ლექსი მრავალი ხმა არს“. ქართული ლექსის პირველი თეორიული ტრაქტატის ავტორი „ხმაში“ საზომს, ლექსის მეტრს გულისხმობს. ქართული ლექსის მრავალფეროვან საზომთა შორის, ჩემი აზრით, გამორჩეულ ხმად უნდა გაჟღერდეს ჯანსუღ კორძაიას პატრიოტული ლირიკის შესანიშნავი ნიმუში „მოწამეთა“. იგი ქართული ლექსისათვის იშვიათი, 15-მარცვლიანი, საზომით არის შესრულებული და, თანაც, ტიპური, 15-მარცვლიანი სიმეტრიული ფორმით, ე. წ. „დიდბესიკურით“ (5/5/5) კი არა, არამედ მეტად იშვიათი სქემით 4/4/4/3-ით არის დაწერილი:

ზენაარის / ჩაგონებით/ და ღვთაების/ კარნახით 4/4/4/3
მოწამეთად/ მოინათლა/ ეს სმარაგდის/ სანახი.

მოწამეთა – საქართველოს ისტორიის ქარაგმა,
ვინც დაარქვა, სწორედ ამგვარ გააზრებით
დაარქვა...

12 მრჩობლედით დაწერილი ამ ლექსის ხუთ ორტაეპედში დატეხილი თხუთმეტმარცვლედის ბოლო მონაკვეთს პოეტი ცალკე სტრიქონად წარმოგვიდგენს, რომელთაგან 4 გამეორებულ მუხლებს გვთავაზობს: „დაარქვა“, „მოწამეთა“; 3 მრჩობლედი კი 15-მარცვლედის განსხვავებულ სქემას ეყრდნობა: 4/4/2/5:

...ყველგან ჯვარცმა და ჯვარცმულთა წმინდა
ძვალშესალაგი.
...ჩვენს მთებზე და ჩვენს ველებზე ყველგან
მოწამეთაა.

ავტორი ლირიკის ძალით აზოგადებს საქართველოს ერთი კონკრეტული ტაძრის სახელს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯანსუღ კორძაიას ლექსების უმრავლესობა მარადიულ ღირებულებათა განზოგადების, ემოციური მეხსიერებით გამძაფრებული კონკრეტული განცდის საკაცობრიო ასპექტით გააზრებას ემსახურება.

უძვირფასეს ადამიანებს, საკუთარ შვილიშვილებს: თორნიკეს, ჯანსუღს, ლუკას უძღვნის ავტორი ცალ-ცალკე ლექსებს, ხოლო შვილებს – დიმიტრი და კახაბერ კორძაიებს – ერთი ლექსით ესაუბრება.

ხმა, ანუ საზომი, ამ ლექსებშიც განმსაზღვრელია – პოეტის შინაგანი რიტმისა და მთავარი სათქმელის მიხედვით: თორნიკესა და ჯანსუღისათვის მიძღვნილი ლექსები უძველესი ქართული საზომით: 4/3 (2/5) არის შესრულებული. ეს საზომი უძველესია: ატენის სიონის კედელზე წაწერილ ლექსებში გვხვდება: „იხილეთ ესე ჟამი, / წავა ვითარცა წამი“ (2/5); „ეგრე იტყვის მოძღვარი, / მუნ არა არს ვაჭარი“ (4/3). თორნიკეს ლექსის რამდენიმე სტროფის რიტმის ჟღერადობაში საზომის ორივე სქემა მონაწილეობს:

ჰომ, რა დრონი მოგელის 4/3
რა განცდის და ვნებების 4/3
ჟამი – სიყვარულის და 2/5
ჟამი – შემმეცნებელის. 2/5

ჯანოსადმი იაპონიაში გასაგზავნ „დედა ენაზე“ წარწერილ ლექსში, ძირითადად, შვიდმარცვლედის ერთი ვარიაცია – 4/3 გაბატონე-

ბულა; თუმცა ორ კატრენში შვიდჯერ ანაფორულად წარმოდგენილ 2-მარცვლიან მუხლს მთავარ სათქმელს აკისრებს ავტორი უცხოეთში მცხოვრები შვილიშვილისათვის, ამიტომ განსხვავებული სქემით – 2/5-ით მართავს მას და ადრესატს სთხოვს:

სამყაროს ბჭეებში... შეაბიჯო ქართულით,
ქართულით
და ქართულად
ქართულ გონით!
და ზღაპრულ
ქართულ ასომთავრულით...
ქართულ ლექსის სიმაღლით
ქართულ ცნობიერებით.

განსხვავებული ხმა ისმის ლუკა კორძაიასადმი მიძღვნილ ლექსში, რომელიც იმჟამად იაპონიაში, ქ. კიოტოში, ცხოვრობდა. ჯანსუღ კორძაია დატეხილ „მცირებესიკურს“, ცნობილ თოთხმეტმარცვლედს, ქართველი რომანტიკოსების მსგავსად, სამ ტაეპად ტეხს და ასეთი „ჩქარი რიტმით“ ყმაწვილურ სისხარტესა და სისწრაფეს ანიჭებს სათქმელს:

აჰა, ეს ლექსიც,	5
ჩემს გულს ვატან,	4
მე ამ სტრიქონებს,	5
ამ ჩემს ოცნებას	5
ამ ჩემს აჯას	4
ამ ჩემს ვედრებას,	5
ჰა, მოდის ის დრო,	5
/ჟამი	
სწრაფად / გადაიქროლებს,	4/5
ჩვენში რომ	
შენი	5
საუკუნე ამომზევდება.	4/5

შვილებს, დიმიტრისა და კახაბერს, ბატონი ჯანსუღი, როგორც ჩანს, თავისი რჩეული საზომით, ხმით, სიმეტრიული თხუთმეტ-

მარცვლედით (5/5/5), დატეხილი ტაეპებით, ესაუბრება – ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისას“ შესავალი: „მიძღვნა კახთათვის“ რომ არის შესრულებული. მიძღვნითი ხასიათის ლექსისათვის ეს საზომი, მართლაც, მომგებიანია: ამაღლებული, მაჟორული ინტონაციით, პატრიოტული სულისკვეთებით:

...არა, სამშობლო არ არის ცნება
იგი მცნებაა –
მაღალ მიზანთა,
წმინდა ზრახვათა,
თავგანწირავათა.
თავგანწირვათა შემკრები მცნება.

ჯანსუღ კორძაიას კიდევ ერთი, 15-მარცვლიანი, ლექსი მინდა გავიხსენო: „ჰეი, ფიქრო“. ამ ვრცელ, მრჩობლედებით, ორტაეპედებით, დაწერილ ლექსში ქართლის ბედზე მარადიულ ფიქრს ასე მიმართავს ავტორი:

ჰა, ელვარებ ქართლის ბედზე, ფიქრო
მარადიულო,
ბიბლიურ მზით ანთებულო, იმედივით მზიურო
და ჟამიდან ჟამში მდინარს, მახვილით და
ზარადით,
თან გადაგაქვს საქართველოს უკვდავება მარადი.
თან გადაგაქვს ხმა, ზარის ხმა, ვით სიცოცხლის
სძლისპირი,
არ გაბედო,
არ გაბედო,
არ გაბედო სიკვდილი!

...ქართლის ბედზე ფიქრის უკვდავების პირობა ჯანსუღ კორძაიას მსგავსი პიროვნებების გახსენება და მათი პოეტური სტრიქონების სიცოცხლეც არის.

საბა მეტრეველი

Saba Metreveli

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

მარი აბრამიშვილი – 100

Mari Abramishvili – 100

On March 27, 1945, on her way home from the university where she worked, Mari Abramishvili was arrested, imprisoned and deported on charges of writing patriotic poems and publishing a handwritten magazine (Anathema). She served her sentence in the Vyatka prison camp. She remains the only woman among the repressed Georgian authors. Mari Abramishvili was accused by the state of writing counter-revolutionary poems and of wanting to restore the monarchy in Georgia.

Crushed and broken under the Russian boots, Georgia was the grief and prayer icon of Mari Abramishvili. The brave daughter of the subjugated and dishonored fatherland faced other absurd blames, including that of being the author of a student paper, The Works of Chola Lomtadze; she was not forgiven for her sincere and deep love for a young man, to whom she dedicated up to sixty poems, because he was the son of an “enemy of the people” repressed in 1937. Such sympathy and love were unacceptable to the socialist motherland. The “Great Soviet Union” was led by the “Great Leader” who was at his highest moment. World War II was underway and the fact that Mari Abramishvili neither praised Stalin nor admired the creed of socialist realism was enough to constitute a crime. Her guilt is therefore compounded: if you were not against the Soviet regime, you would have written at least one poem about the Great Patriotic War.

To save the poet in herself, Mari Abramishvili had a solution: imprisoned, she composed poems orally and recited them aloud. Thus, locked in her cell 31, she created hundreds of poems. With her, Georgian poetry also took the path to Golgotha: Tbilisi-Rostov, Rostov-Moscow, Moscow-Gorki, Gorki-Kirov, Kirov-Vyatka. But, besides these physical hardships, the worst was to perceive that this disaster was due to the betrayal committed by her colleague, close friend and devoted member of the Anathema group.

For the sake of love to Georgia, Mari Abramishvili's monolithic, fearless and unwavering personality withstood everything, and she did it with equal serenity and courage, without complaints and without rancor towards her motherland. She judged the past with the highest human standards and rather than complaining, she gratefully declared: "I am grateful to you, my motherland, for the sufferings you have inflicted on me, I do not blame you, at least because such sufferings are not the fate of small people!".

With all her heart, with all her essence, with all her strength and energy, she praised her captive homeland, she wrote for it, she breathed for it and drew from this love the strength of her existence. Mari Abramishvili was a steadfast daughter of her homeland, whose martyred Saint Queen Ketevan is an icon and a symbol of faith and fortitude. Even when she looked into the eyes of death, she grasped the absolute value of life by perceiving the death itself. In those times of harsh physical and physiological hardships, the ideal of a free homeland and unconditional love for her country left no room for any alternate realities. That's why she declared, "I am this tortured soul, which would have remained the same if it had not been caught within the walls of a prison, because it was born on the soil called Georgia!".

Having triumphed over time itself, she could not free herself from the grip of two things, which were the essence of her life and existence, her mind, her pain and her love – poetry and the motherland, the motherland and poetry! Apart from these two things, she had no other life, thought, work or dream! What an exceptional life this is!

საკვანძო სიტყვები: მარი აბრამიშვილი, რეპრესიები, საბჭოთა ტოტალიტარიზმი, სტალინი, მეორე მსოფლიო ომი.

Key words: Mari Abramishvili; repressions; Soviet totalitarianism, Stalin, World War II.

2022 წლის 21 სექტემბერს ქართულმა პოეზიამ თავისი წამე-ბული შვილის, ერთადერთი რეპრესირებული ქალის, მარი აბრამიშვილის, დაბადების მე-100 წლისთავი აღნიშნა. გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე თავად პოეტი ასე გამოეხმაურა ამ თარიღს: „შენ ორი ათას ოცდაორ წელს, / სექტემბრის თვეში, / სულ მცირე ჟამი – საუკუნე გაგიტოლდება“.



ვინც ყურმოკრულად მაინც იცის საბჭოთა ტოტალიტარიზმის პოლიტიკა ქმნილების გვირგვინის – ადამიანის – წინააღმდეგ, მისთვის ადვილი გასაგები იქნება ამქვეყნიური ჯოჯოხეთის ის მასშტაბი, რომელიც სამშობლოს თავისუფლებაზე მეოცნეზე 22 წლის ახალგაზრდა პოეტის თავზე დატრიალდა. მარი აბრამიშვილს ახალი დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სამსახურიც დაიწყო ნაოცნებარი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფად. მხოლოდ ერთი თვის ხელფასის აღება მოასწრო: „სასოებით

ვინახავდი. ტკბილია პირველი ხელფასი, თუმცა მე აღარაფრის ყიდვა აღარ მღირსებია იმ ფულით. 27 მარტი იყო... 1945 წლის 27 მარტი“ (აბრამიშვილი, 2016, გვ. 64). გარეთ კი აბრამიშვილის ლექსებივით ქვითინებდა ქარი (პ. გრუზინსკი). 1945 წლის 27 მარტს უნივერსიტეტიდან გამოსულსა და სამსახურიდან შინ მიმავალს ცხვირწინ მანქანამ დაუემუხრუჭა. მალე თავი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცივ საკანში ამოაყოფინეს. უცნაური იყო ის წინათგრძნობაც, რომელიც ამ ჩითისკაბიანი სიფრიფანა გოგონას სულში იდგა; იცოდა, გრძნობდა, რომ დაიჭერდნენ:

ჩვენ ამ საღამოს წაგვიყვანენ, მაგრამ რა ვუყოთ,
იქ ხომ ფარული ბორკილები აღარ გვედება!

მოგვიანებით პოეტი ამ დღეს ასე იგონებდა:

„1945 წლის 27 მარტს, ჩვენ, ძირითადი წევრები ამ თავყრილობებისა, დაგვაპატიმრეს: პეტრე გრუზინსკი, მე – მარი აბრამიშვილი, შალვა მჭედლიშვილი, თამარ შანშიაშვილი (სულ არაფერში რომ არ ერია) და იზა აღნიაშვილი (აგრეთვე სრულიად უდანაშაულო, პეტრეს დიდი ხნის თაყვანისმცემელი და მეგობარი). ყველანი ერთ საღამოს ქუჩიდან აგვიყვანეს და შინსახკომის ციხეში მიგვაბრძანეს. გარეთ დარჩნენ: ჟაკი ბალახაშვილი, ქუჯი ძიძიშვილი, მიხეილ ქვლივიძე, რომელიც მალევე მოსკოვში გადასახლდა. რაც შეეხება ვახტანგ კეკელიძეს, რომელიც განუყრელად ჩვენთან იყო, არც ის დაუჭერიათ, რამაც მის ორგულობასა და ღალატში დაგვაეჭვა. მან 1952 წელს თავი ჩამოიხრჩო. მანამდე მერი ჩხაიძემაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, სრულიად ახალგაზრდამ, ოღონდ ეს მან სიყვარულის ნიადაგზე ჩაიდინა. რა თქმა უნდა, გარეთ დარჩნენ ის ახალგაზრდა პოეტებიც, რომლებმაც ჩვენი სალონი ადრე დატოვეს. მაშინ კი არა, დღესაც ვერც ერთი (მე და შალვა ვართ მხოლოდ ცოცხალი) დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, ვინ გაგვწირა იმ წამებისთვის. მას შემდეგ იქნებ სხვაგვარადაც ვფიქრობთ, მაგრამ ფიქრის გამხელაც გვიჭირს“ (აბრამიშვილი, 2016, გვ. 55).

დაკავებულებს ბრალად ედებოდათ კონტრრევოლუციური ლექსების წერა და საქართველოში მონარქიის აღდგენის სურვილი. საქმეში (№210 – ლიტერატურული სალონი „ანათემა“) დაცულია დაკავებულების პირადი წერილები და ხელნაწერი ლექსები, განაჩენში ვკითხულობთ (სტილი დაცულია):

„ყველას ბრალდებათ დანაშაული გათვალისწინებული ს.ს.კ. 58-10,2 58-11 მუხლებით. საბრალდებო დასკვნით აღნიშნულ ბრალდებულებს ბრალი ედებათ მასშიდ, რომ იყვნენ რა ისინი მტრულად განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლებისადმი და მომხრენი საქართველოში მონარქიული წყობილების აღდგენის, 1944 წელში ისინი გაერთიანდნენ ეგრედრედწოდებულ სალონში, სადაც სწერდნენ, არჩევდნენ და ავრ-

ცელებდენ კონტრეულიციონურ ლექსებს. გამოსცეს კონტრეულიციონური ჟურნალი /ხელთ ნაწერი/ ეგრედ წოდებული „ანათემა“, რომელშიდაც სწერდენ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ლექსებს და ავრცელებდენ ნაცნობთა ვიწრო წრეში. ამასთან ერთად, აქებდენ ხალხის მტრებს, რომლებიც რეპრესირებულია შინსახკომის ორგანოების მიერ. იხელმძღვანელა რა სასამართლომ საქმეში არსებული წინასწარი გამოძიების მასალებით, ნივთიერი მტკიცებებით და თვით სასამართლო პროცესზე ბრალდებულების დაკითხვით, გამოირკვა, რომ ამ საქმეზე ბრალდებული მჭედლიშვილი, აბრამიშვილი, აღნიაშვილი და შანშიაშვილი დაუკავშირდენ რა ერთი მეორეს და ამავე დროს ამ საქმეზე ბრალდებულები მჭედლიშვილი და აბრამიშვილი იყვნენ რა თავიდანვე მტრულ განწყობილებაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩამოაყალიბეს 1944 წელში ლიტერატურული ეგრედწოდებული სალონი. აღნიშნული სალონი მათ მიერ გამოყენებულ იქნა კ/რევოლუციონური ლექსებისა და პროზების დასაწერად და წასაკითხავად. ბრალდებული მჭედლიშვილი და აბრამიშვილი სასამართლოს პროცესზედაც აღიარებენ იმ ფაქტს, რომ ისინი მტრულად იყვნენ განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ვინაიდან აბრამიშვილს 1941 წელში ყავს გასამართლებული ძმა კ/რევოლუციონური დანაშაულისთვის, ხოლო მჭედლიშვილს კი – კარგი ამხანაგი კირაკოზოვი /ხალიფაშვილი/, რომელიც კ/რევოლუციონური ორგანიზაციის წევრი იყო. მჭედლიშვილი აღიარებს იმ ფაქტსაც, რომ კირაკოზოვს /ხალიფაშვილს/ მან თავშესაფარი მისცა და მალავდა რამოდენიმე დღეს თავის ბინაში. ბრ. აბრამიშვილმა ამასთან ერთად მიუძღვნა ლექსი კ/რეულიციონურ, ამჟამად ლიკვიდირებულ, მუსტაფა შელიას. დადგენილია, რომ ბრალდებულები მჭედლიშვილი, აბრამიშვილი და შანშიაშვილი თავიანთ მიერ დაწერილ ლექსებში აქეზებდენ მკითხველებს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისკენ და საქართველოში მონარქიული წესების აღდგენისკენ, რასაც თითონაც არ უარყოფენ სასამართლო პროცესზე“ (გიორგაშვილი, 2019, გვ. 397-398).

რუსის ჩექმით გათელილი საქართველო მარი აბრამიშვილის დარდი, ტკივილი, ხატი და სალოცავი იყო. დამონებული, ღირსებაწართმეული სამშობლოს მამაც შვილს სხვა აბსურდული ბრალდებებიც დაუმატეს, მათ შორის სამშობლოს მტრობად ჩაუთვალეს სტუდენტობის ჟამს დაწერილი რეფერატი „ჭოლა ლომთათიძის შემოქმედება“; არ აპატიეს წმინდა და ამაღლებული სიყვარული ერთი ვაჟისა, რადგან ყმაწვილი, რომელიც უყვარდა და რომლისადმიც სამოცამდე ლექსი ჰქონდა მიძღვნილი, 1937 წელს რეპრესირებულის შვილი იყო. მტრის შვილის ტრფობა კი სოციალისტური სამშობლოსთვის მიუღებლად მიიჩნიეს. გარდა ამისა, როდესაც საქმის გამომძიებელი მარი აბრამიშვილის ლექსებს გაეცნო, დაიყვირა: ამის დამწერს ფეხებში უნდა მოჰკიდო ხელი და შუაზე გახლიჩოო. „დიად საბჭოეთს“ დიდი ბელადი მართავდა, რომლის კულტიც ზენიტში იყო. ამასთანავე, მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა და ეპოქის ასეთ კონტექსტში მარი აბრამიშვილი არც სტალინის სადიდებელს წერდა და არც სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკურ კრედოს უხდიდა ხარკს. ამიტომაც, ბრალდება დაუმძიმეს: შენ თუ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგი არ იყავი, სამამულო ომის თემაზე ერთ ლექსს მაინც დაწერდიო (აბრამიშვილი, 2016, გვ. 74).

12 თვე მარტოდმარტო იჯდა 31-ე ვიწრო უსარკმლო საკანში ქედუხრელი და ამაყი შვილი საქართველოსი. როგორი შინაგანი სულიერი ძალა ჰქონდა, როგორი ენერჯია, გაუტეხლობა და ეროვნული სიამაყე, რომ მარი აბრამიშვილს შეეძლო გადმოეწერია კედელი ტირანისა – საბჭოთა ციხისა. არაადამიანური და სასტიკი წესები იყო საპყრობილეში, მათ შორის ერთი ყოვლად დამამცირებელი და პიროვნების ღირსების შეურაცხმყოფელი – სანამ პატიმრებს სასამართლოს შენობაში შეიყვანდნენ, უნდა დაეჩოქებინათ, ჩაემუხლებინათ. დაინიშნა მარი აბრამიშვილის სასამართლო პროცესიც. ციხიდან წამოყვანილი პატიმრები უზენაესი სასამართლოს ეზოში შეიყვანეს:

„მე ჩონჩხადქცეული და მილასლასებული ვიყავი, მაგრამ „ჩორნი ვარონას“ უკანა კარიდან მაინც ყოჩაღად ჩამოვხტი და რუსი ბადრაგების ბრძანებასაც არ დავემორჩილე, ჩაიჩოქეთ, ჩაიჩოქეთო რომ გაჰყვიროდნენ. ჩაცუცქდა ყველა, მე კი გამართული ვიდექი და დამცინავი ღიმილით შევეყურებდი

ამ ფორმიანსა და იარაღიან ბიჭებს, რომლებიც გაშმაგდნენ ჩემს ურჩობაზე, მაგრამ ხელს ვერ მახლებდნენ, სასამართლოს შენობიდან ათასი თვალი გვიყურებდა. ვიცოდი, ზემოთ ჩემი დატანჯული მშობლებიცა და ახლობლებიც იდგნენ, რომელთაც არ მინდოდა მოკუნტული და განადგურებული ვჩვენებოდი, ხელებსაც კი ვაცეკვებდი ზურგს უკან, რომ ისინი გამემხნეებინა!“ (აბრამიშვილი, 2016, გვ. 76).

ასეთი რამ მხოლოდ მარი აბრამიშვილს შეეძლო – ქედუხრელსა და უდრეკს. ამიტომაც უწოდა რ. კვერენჩილაძემ მას „უმიშარი“.

მარი აბრამიშვილმა, საკუთარ არსებაში პოეტი რომ გადაერჩინა, საკუთარ სულში პოეტური აღმაფრენა რომ არ ჩაეკლა, გამოსავალს მიაგნო: საკანში გამოკეტილი კი არ წერდა (ვინ მომაქვავებდა კალამსა და ქალაღდსო), ზეპირად თხზავდა და ხმამაღლა ამბობდა. ასე შეიქმნა 100 ლექსი ციხის 31-ე საკანში: „*გუშაგებს გიჟი ვეგონე. ჩემს სიცოცხლეში რომ არ მიმღერია, ვმღეროდი კიდეც ათასგვარ სიმღერას და ყოველ დილა-საღამოს ვამოწმებდი ჩემსავე თავს, ჯერ ისევ ჭკუაზე ვიყავი თუ შევიშალე*“, – იგონებდა მოგვიანებით (აბრამიშვილი, 2016, გვ. 66).

მარი აბრამიშვილთან ერთად გოლგოთის გზას გადიოდა ქართული მწერლობაც: თბილისი–როსტოვი, როსტოვი–მოსკოვი, მოსკოვი–გორკი, გორკი–კიროვი, კიროვი–ვიატკა: „*აი, ამ ექვსი ქალაქის შვიდ ციხეში ვხეხე ცემენტი ჩემი ძვლებზე გადაკრული კანით*“. ასე გამოიარა ცხოვრების ჯოჯოხეთი და, ალბათ, ფიზიკურ ტანჯვაზე უფრო მწარე იმის გაცნობიერება აღმოჩნდა, რომ ეს კატასტროფა თანამოაზრისა და „ანათემის“ ჯგუფის წევრის, მეგობრისა და თაყვანისმცემლის ღალატმა განაპირობა.

უდანაშაულოდ განწირული ადამიანი შეიძლება გაბოროტდეს, სასტიკი გახდეს, გულში ბოღმა და სიძულვილი ჩაიდოს და მერე ამ აგრესიამ მოინელოს. მარი აბრამიშვილის მონოლითურმა, გაუზზარავმა არსებამ ამ განსაცდელსაც გაუძლო: ყველაფერი დაითმინა, გადაიტანა, იწვნია და იგემა თავისი გაუზზარელი სატრფოს – საქართველოს სიყვარულის სახელით და ეს მიიღო ისეთი სიმშვიდითა და ვაჟკაცობით, რომ საყვედურიც კი არ დასცდენია, სამშობლოს არ გაჰბუტვია. მან წარსული უმაღლესი ადამიანური კრიტერიუმე-

ბით შეაფასა და ჯოჯოხეთადქცეული განვლილი ცხოვრების გამო აუგი კი არა, ასეთი სამადლობელი აღმოთქვა: „მადლობელი ვარ, ჩემო ქვეყანავ, ტანჯვისათვის, რომელიც მომაგე. არ გემდური თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი სატანჯველი პატარა ადამიანების ხვედრი არ არის!“ (აბრამიშვილი, 2016, გვ. 173).

გადასახლებიდან დაბრუნებულს ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო, მაგრამ, როცა გოლგოთა დასრულდა, როცა ციხის კარი გაიღო და გატანჯულ-გაწამებული შინ დაბრუნდა, ირგვლივ სამშობლოსთან გაუცხოებული ადამიანები დახვდნენ, რომლებსაც სიცოცხლის მთავარი, თუმცა უჩინარი, უხილავი არსება – შიში – უთრგუნავდათ სულს და ამიტომაც ერიდებოდნენ „სამშობლოს მტერთან“, რეპრესირებულ პოეტთან ურთიერთობას: „აქ, ჩემს საქართველოში... შიშისაგან გამირბოდა ყველა“, – წერდა სულშემძრული (აბრამიშვილი, 2016, გვ. 95). მან ამაზე ამაღლებაც შეძლო, რადგან უკვე ისეთ პიედესტალზე იდგა, რომ ადამიანურ სისუსტეებს ყურადღებას აღარ აქცევდა. სულგრძელობის, იშვიათი კაცთმოყვარეობის, მაღალი ჰუმანიზმისა და საკუთარ თავზე გამარჯვების მაუწყებელი სტატუსია პოეტის გულიდან ამოდახილი: „მე შეიძლება არ მიყვარდეს, მაგრამ არ შემეძლია, მძულდეს!“ (2016, გვ. 184).

მთელი არსებით, შეგნებით, ძალითა და ენერგიით ეტრფოდა ბორკილდადებულ სამშობლოს, მისთვის წერდა, მისთვის სუნთქავდა და საარსებო ძალებსაც ეს სიყვარული აძლევდა. მარი აბრამიშვილი იყო ქედუხრელი შვილი იმ საქართველოსი, რომელსაც წმინდა ქეთევან დედოფალი ჰყავდა სახედ და ნიმუშად რწმენისა და მამულისათვის თავდადებისა. მაშინაც კი, როცა სიკვდილის სუსხმა ჩახედა თვალებში, სიკვდილის წვდომის გზით სიცოცხლის აბსოლუტური ღირებულება შეიცნო. მწარე ფსიქოლოგიური და ფიზიკური განსაცდელის ჟამს სამშობლოს თავისუფლების იდეა და ქვეყნის უპირობო სიყვარული ადგილს არ ტოვებდა არანაირი სხვა რეალობისთვის. აკი წერდა კიდევ: „მე ის ტანჯული სული ვარ, რომელიც ციხის კედლებშია რომ არ გამოემწყვდიათ, მაინც ის იქნებოდა, რაც არის, რადგანაც იმ მიწაზე იშვა, საქართველო რომ ჰქვია!“ (აბრამიშვილი, 2016, გვ. 26).

დროსა და ჟამზე გამარჯვებულმა მხოლოდ ორი რამის ტყვეობას ვერ დააღწია თავი. ორივე მისი ცხოვრების საზრისი, არსებობის

გამართლება, მისი ფიქრი, ტკივილი და სიყვარული იყო – პოეზია და სამშობლო, სამშობლო და პოეზია – მას არ ჰქონია ამისგან გაუმიჯნავი არც პირადი ცხოვრება, არც სადარდელი, არც საქმე და არც ოცნება!

იშვიათია სიცოცხლის ასეთი სახეობა!

* * *

„ნამდვილი მწერლის ბიოგრაფია სიკვდილის შემდეგაც გრძელდება და ზოგჯერ ცხოვრებისგან განწირული კაცის სახე სრულიად სხვა ელფერს იძენს ჩვენს თვალში. გადის დრო, სინანულის მწუხრი თანდათან შორდება მის ნაკვთებს და ჩვენთან რჩება მხოლოდ მისი მზიური სულის ანარეკლი“ (ასათიანი, 2002, გვ. 3) – გურამ ასათიანის ეს სიტყვები ზუსტად ეხმიანება თანამედროვე კონტექსტს, რომელშიც პოეტის იუბილე აღინიშნა. ასი წელი შეუსრულდა მარი აბრამიშვილს. დიდი საიუბილეო თარიღი კი უკვე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ტკივილით დაღდასმული უშიშარი და უდრევი პოეტის ცხოვრებას მწუხრი ჩამოშორდეს და სწორედ მისი „მზიური სულის ანარეკლი“ – პოეზია დარჩეს შუამავლად ავტორსა და თაობებს შორის!

მარი აბრამიშვილის პოეზია სრულად წარმოაჩენს იმას, რასაც განიცდიდა, რასაც ფიქრობდა, რასაც გრძნობდა: „ჩემი სიტყვა ჭეშმარიტ სიყვარულს ემსახურება, ჭეშმარიტი სიყვარული საქართველოა ჩემი!“ (აბრამიშვილი, 2016, გვ. 182). სამშობლო იყო სწორედ მისი წყევლაც და ბედისწერაც, სიხარულიც და ტკივილიც. მთელი მისი არსება ქვეყნის სიყვარულში დანთქმული ადამიანის უშიშარ ცხოვრებას ჰგავდა:

„ჩემს გულში,
ჩემს სულში,
ჩემს ყურში
მხოლოდ საქართველო ჟღერს!“

მარი აბრამიშვილი თავის ლექსებში ისეთივე გულწრფელი და შეუნიღბავი იყო, როგორც – ცხოვრებაში. სწორედ ამ სითამამეს

შეეწირა მისი ახალგაზრდობის 6 წელი. დღეს უკვე ის საბედისწერო ხელნაწერი ჟურნალი „ანათემა“ დაკარგულად ითვლება, თუმცა რ. კვერენჩილაძის წყალობით შემორჩენილია მცირე ფრაგმენტი ლექსისა „ანათემა“:

„პატარა ერის თავის კუთხეს აღარ მმართველობს,
როგორც ცხვრის ფარა სხვის კომბლის ქვეშ მიედინება....
მითხარ, სად არის ან სამშობლო, ან საქართველო
სად არის ჩვენი ცა-ფირუზ და ხმელეთ – ზურმუხტი?!
ხომ ხედავ, კუთხე წაგვართვეს!“

ერთი წუთითაც კი შემზარავია იმის წარმოდგენა, როდის დაიწერა ეს სტრიქონები, როგორ რეალობაში ფიქრობდა და აზროვნებდა ასე პოეტი! გავიდა დრო და ამ გულწრფელმა სითამამემ თავადაც მოხიბლა: „ახლა რომ ვკითხულობ ამ ჩემს თითქმის ბავშვობისდროინდელ სტრიქონებს... გაცელებული ვარ ნათქვამის სითამამით; ეს იმ დროს, როცა შიშით გულშიაც არ გაივლებდა კაცი ასეთ აზრებს. აქ ისეთი ამბობია სულისა არსებული წყობილების წინააღმდეგ, რომ ბოროტსა და გამოუსწორებელ ადამიანს გიჟური სურვილი მოუვლის ჩემი ხელმეორედ იზოლაციისა“ (აბრამიშვილი, 2016, გვ. 94). ასე სჩვეოდა მას, ასე თხზავდა თავისი სულისა და გულის, ფიქრისა და აზრის „ათრთოლებულ გულის სიმებს“, ოღონდ წერდა „სულისშემძვრელი სიმართლით, ნიჭიერებითა და ასკეტური კეთილშობილებით“ (რ. ამაშუკელი). მთელ მის შემოქმედებას „მრავლისმნახველი ადამიანის ჩუმი წუხილი და დაღლილი კაცის შემწყნარებლური დიმილი“ (მ. ლებანიძე) გასდევს. მარი აბრამიშვილი ბევრს ფიქრობდა დაუნდობელ და გაუტანელ წუთისოფელზე, სამშობლოზე („ადიდე შენი ორიოდ მტკაველი მიწა!“); ებრალებოდა უთვისტომო კაცი, აღელვებდა ჩვენი მენტალური და კულტურული რეალობა, ირონიისა და ცინიზმის გაბატონება, ტრადიციული თემატიკისა და რიტორიკის პაროდირება, უნიჭობისა და ანტიღირებულებათა აგრესიული მოძალეობა. წერდა დედაშვილობის გრძნობის დუდილზე, მშვენიერებაზე, სიკეთესა თუ ეროვნულ ტრადიციებზე: „თუ საკუთარ ბილიკს ვერ გააკვლევ, მამა-პაპის მართალ გზას მაინც გაჰყევი – სისხლითა და ძვლებით მოკირწყლულ გზას“ (აბრამიშვილი, 2016, გვ. 176), –

თითქოს ანდერძად დაგვიგდო თავისი სულისკვეთების მთავარი მოტივი.

მარი აბრამიშვილს არასდროს ტოვებდა თვითცენზურა, თვით-კრიტიკა. მართალია, ყოველ ჩვენგანს ჩვენივე სისუსტეები გვდევს და უცნაური ამაში არაფერია, თუმცა არის რაღაც, ალბათ, უმთავრესი, რომელიც ყოველგვარი შელამაზების გარეშე იცი. სწორედ ამის გამო-ხატულებაა პოეტის სტრიქონები: „აქამდე სუფთად მოვედი და არც არასდროს შემპარვია ეჭვი საკუთარი სულის სიწმინდეში“. სულში ჩაიხედე, სული ცინცხალიაო – გვარწმუნებდა. ასეთი ბუნებრივი და პირველქმნილი სიმართლით იცხოვრა მარი აბრამიშვილმა. იცხოვრა და იცოცხლა არა პირადი კეთილდღეობისათვის, არამედ – სამშობლოს რწმენითა და სიყვარულით და, რადგან ორივე მსხვერპლს მოითხოვს, მანაც უყოყმანოდ გაიღო ეს შესაწირიც:

„ქვეყნის თვალის იქნებ ერთი წამწამი ვარ
ამ ცხოვრების სამსხვერპლოზე დაცემული!“

მარი აბრამიშვილს ყოფითს მოვლენებში შემოჰქონდა მარადი-ულობის უსაზღვროება. ის სიტყვაში აცოცხლებდა იდეას, დროს, საგნის სულს. საზრისის, პოეტიკის, თემატიკისა და მხატვრული რიტორიკის თვალსაზრისით ძნელად მოიძებნება ქართულ პოეზიაში მეორე ავტორი, სატრფიალო ლირიკის ამდენი ნიმუში რომ შეექმნას. ის წერდა ხშირად, წერდა სიყვარულზე, ტრფობაზე და ყველაზე კარგად ამ თემატიკაში ახდენდა საკუთარი ესთეტიკური ემოციის ფორმირებას; წერდა იმ სულისკვეთებითა და შეგნებით, რომ სიყვარული აგვამაღლებს, რომ სიყვარული სიცოცხლის ძალისა და პოეტური შთაგონების მომნიჭებელია, რომ ამ ცხოვრების აზრი მხოლოდ სიყვარულშია. უცნაური ისიცაა, რომ სატრფიალო ლექსებს სიცოცხლის ბოლომდე თხზავდა თავდავიწყებამდე მისული გზნე-ბითა და გატაცებით. ჩვენს გაუტანელ წუთისოფელში პოეტი ამ გზით ავსებდა დაკარგული სიყვარულის (და შესაბამისად – სიკეთის) სივრცეს. ამით კიდევ ერთხელ გვიმტკიცებდა, რომ სიყვარულის-თვის არ არსებობს ასაკი, დრო და მდგომარეობა, რომ ის, მართლაც, ყოვლისშემძლე ძალაა, რომლისთვისაც ნამდვილად ღირს წერაც და ცხოვრებაც!

* * *

შესაძლოა, დღევანდელ კრიზისულ დროში ვინმემ იკითხოს, ვინ იყო მარი აბრამიშვილი... თანამედროვე ეპოქამ პოპულარობას სხვა საზომი დაუდო. პოეტმა კი ამაზე ასეთი პასუხი გაგვცა: „ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ ვერ მამჩნევენ ცოცხალს!“ (აბრამიშვილი, 2016, გვ. 204). ქართველ მკითხველს ეძლევა იშვიათი შესაძლებლობა, არათუ შეამჩნიოს, დაინახოს უბრალოების ის ეფექტი, რომლითაც გამოირჩევა მარი აბრამიშვილი, არამედ შეხვდეს და აღმოაჩინოს ქედუხრელი პოეტი და მადლობა უთხრას თავისუფლების სახელით!

და კიდევ ერთი – ძლიერი ადამიანის თვისებები მარი აბრამიშვილმა ასე განსაზღვრა: „ქედუხრელობა, გამტანობა, სიმართლე და სამართლიანობა, უშიშრობა და გულმოწყალება, კეთილშობილება, მედიდურობასთან ბრძოლა და დაჩაგრულის ქომაგობა, – ყველაფერი, რაც ლიქნასა და ფარისევლობას, ორგულობასა და ღალატს ვერ ითავსებს!“ (აბრამიშვილი, 2016, გვ. 179) – ეს უკვე მისი სულის პროფილია. თავად იყო ამ პრინციპების მატარებელი და შინაგანი კონსტიტუციის ეს „ათი მცნება“ მან დაგვიტოვა ღირსებისა და თავისუფლების ასპარეზზე დგომის მთავარ გარანტად.

უკომპრომისო ცხოვრება სიცოცხლის ურთულესი სახეობაა, რადგან ის პრინციპების ერთგულებას, ღირებულებათა და ფასეულობათა მსახურებას გულისხმობს. თუ ამ პრიზმიდან დავინახავთ ერთადერთი რეპრესირებულ პოეტი ქალის – მარი აბრამიშვილის – ცხოვრებას, მას, უდავოდ, შეიძლება ეწოდოს ქედუხრელის ამბოხი სულისა!

P.S. 2001 წლის მაისითაა დათარიღებული მარი აბრამიშვილის ლექსი „ასი წლისთავზე“. როცა ის ამ სტრიქონებს წერდა, 79 წლის იყო:

ოცი წის შემდეგ

(ან ცოტა ადრე)

ვიღაცას შენი გაჩენის დღე მოაგონდება,

ხსოვნის ეკრანზე გამოაფენს ნაღვლიან კადრებს,

სიმღერასავით აზეიმებს მწარე გოდებას.

ოცი წლის შემდეგ –
შემორჩება პოეტი თბილისს,
ვისთანაც შენი მეგობრობა განმეორდება
და შენი ლანდი აღმართს ისე მჩატედ აივლის,
თითქოს გოლგოთა ჩამოზვავდა მწვანე კორდებად.

შენ ორი ათას ოცდაორ წელს
სექტემბრის თვეში
სულ მცირე ჟამი – საუკუნე გაგიტოლდება,
სულის ცრემლები ჩაიღვრება პატარა ლექსში
და სიცოცხლის ხე განიტოტება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბრამიშვილი, მ. (2016). ბედისწერის განაჩენი, თბილისი: „ინტელექტი“.
- ასათიანი, გ. (2002). ოთხტომეული. ტომი I, თბილისი: „ნეოსტუდია“.
- გიორგაშვილი, მ. (2019). საქმე №210 – ლიტერატურული სალონი „ანათემა“.
წიგნში: ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა, მეორე მსოფლიო
ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956 წწ.), თბილისი:
„მწიგნობარი“.
- კვერენჩილაძე, რ. (2017). წამების გზა. წიგნი II, თბილისი: „უნივერსალი“.


References:

- Abramishvili, M. (2016). Bedists' eris ganacheni. [Judgment of fate]. Tbilisi: „Intelekti“.
- Asatiani, G. (2002). Otkht'omeuli. T'omi, 1. [Four-volume. Volume, 1]. Tbilisi: „Neostudia“.
- Giorgashvili, M. (2019). Sakme N210 – lit'erat'uruli saloni „Anatema“. Bolshevizmi da kartuli lit'erat'ura, meore msoplio omis dats'k'ebidan me-20 q'rilobamde (1941-1956 ts.). [Case N210 – Literary Salon „Anathema“. Bolshevism and Georgian Literature From the World War II to the 20th Congress of the CPSU (1941-1956)]. Tbilisi: „Mts'ignobari“.
- K'verenchkhiladze, R. (2017). Ts'amebis gza. Ts'igni II. [Way of torture. Book II]. Tbilisi: „Universali“.

ახალი წიგნები / New Books


XX საუკუნის ქართული ლიტერატურა (ნაწილი III)

რედაქტორები: მანანა კვაჭანტირაძე, ირმა რატიანი
თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის
გამომცემლობა, 2022



გამოვიდა მესამე წიგნი XX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ (ახალი კვლევები), რომელსაც ახორციელებს ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილება. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში შესულია შემდეგ მწერალთა ლიტერატურული პორტრეტები: დემნა შენგელაია (ავტორი მაია ჯალიაშვილი), ნიკო სამადაშვილი (ავტორი ნონა კუპრეიშვილი), კონსტანტინე გამსახურდია (ავტორი ადა ნემსაძე), იოსებ გრიშაშვილი, ტერენტი გრანელი, ლადო ასათიანი (ავტორი ზოია ცხადაია), სიმონ ჩიქოვანი (ავტორი ემზარ კვიციანიშვილი), მირზა გელოვანი (ავტორი მაკა ჯოხაძე), პოლიკარპე კაკაბაძე (ავტორი მირანდა ტყეშელაშვილი), ბასილ მელიქიშვილი (ავტორი გია არგანაშვილი), წიგნში ასევე შესულია ნარკვევები 20-იანი წლების ლიტერატურული დაჯგუფებების (ავტორი ლალი ავალიანი), ჟურნალ „ჩვენი თაობისა“ და „სამანელი“ მწერლების (ავტორი ზოია ცხადაია) და 20-50-იანი წლების ემიგრანტული ლიტერატურის შესახებ (ავტორი მანანა კვატია), ასევე 20-40-იანი წლების პრესის ანალიზი (ავტორი მანანა შამილიშვილი). წიგნს ერთვის პირთა საძიებელი. სახელმძღვანელოში შემავალი თითოეული ნაკვეთი შესრულებულია ახალი მიდგომების, შეხედულებების, შეფასებების გათვალისწინებით.

ილია ჭავჭავაძე და მარადიული ღირებულებები
რედაქტორი: ირმა რატიანი
თბილისი: „მწიგნობარი“, 2022



2022 წელს შესრულდა 185 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან. კომპარატივისტული ლიტერატურის ქართულმა ასოციაციამ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან ერთად, მიზნად დაისახა ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებულის – „ილია ჭავჭავაძე და ევროპული ღირებულებები“ – შედგენა და გამოცემა, რომელშიც განთავსდა ისტორიულ-ფილოსოფიური, ინტერდისციპლინური და კულტუროლოგიური ხასიათის წერილები, რომელთა მიზანსაც ილია ჭავჭავაძის ნაზრევის იმ კონკრეტული ასპექტით წარმოჩენა წარმოადგენს, რომელმაც ჯერ კიდევ მე-19–მე-20 საუკუნეების მიჯნაზე დაახლოვა ქართული საზოგადოება დასავლეთსა და, ზოგადად, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან და მკაფიო გახადა მისთვის საქართველოს ევროპული მომავლის ნარატივი.

წიგნი დაიბეჭდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით.

თამარ შარაბიძე, თამარ ციციშვილი
ქართული დრამატურგია. ქრესტომათია
ნაცნობი და უცნობი ტექსტები
ნაწილი პირველი
რედაქტორები: ნანა გონჯილაშვილი, მაკა ელბაქიძე
თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2022



ქრესტომათიაში შესულია XIX საუკუნის I ნა-ხევრის ქართველ მწერალთა დრამატურგიული შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი, დრამა-ტურგთა ბიოგრაფიები და პიესათა მოკლე ანალიზი. შესავალ ნაწილში წარმოდგენილია ის რედაქტორული შესწორებანი, რომლებიც განხორციელდა სხვადასხვა გამოცემიდან აღებულ ტექსტებში და მოძიებულ ხელნაწერებში, აგრეთვე – ავტორთა ენობრივ თავისებურებათა მოკლე ანალიზიც.

ადა ნემსაძე
ორი საუკუნე (თანამედროვე ლიტერატურაზე)
თბილისი: „მერიდიანი“, 2022



წიგნში შესულია ბოლო ორი საუკუნის (მე-20 და 21-ე) ქართული ლიტერატურის შესახებ შექმნილი გამოკვლევები. წიგნი სამი თავისაგან შედგება. პირველი ოთარ ჭილაძის პროზის შესახებ დაწერილ სტატიებს ეთმობა. გაანალიზებულია ლიმონის, კიტრიანი არყის ბოთლის, მზის ამოსვლის კუნძულის, ზღვის, გზისა და სხვა სიმბოლურ ნომინაციათა მნიშვნელობები, რელიგიური იდენტობის პრობლემა, „სამთა ერთიანობის“ პრინციპი მწერლის სხვადასხვა რომანის მაგალითზე. მეორე თავი თანამედროვე ლიტერატურას მოიცავს – პოსტსაბჭოთა პერიოდიდან დღემდე. მასში შედის ბექა ქურხულის, ნინო ხარატიშვილის, ნაირა გელაშვილის, აკა მორჩილაძის,

გია ლომაძის, ზურაბ ქარუმიძის მხატვრულ პროზაზე დაწერილი სტატიები. მესამე ნაწილი კი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე შექმნილ ქართულ პროზას ეხება და მოიცავს არჩილ სულაკაურის, გივი მარგველაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვასილ ბარნოვის, ალექსანდრე ჩაჩიკაშვილის, ვანლერ დაისელის შესახებ შექმნილ გამოკვლევებს. წიგნს ერთვის ბიბლიოგრაფია, პირთა საძიებელი და ანოტაციები ინგლისურ ენაზე.

მაია ნაჭყებია
მხატვრული ტექსტი ლიტერატურულ
მიმდინარეობათა კონტექსტში
თბილისი: „საჩინო“, 2022



წიგნი გამოიცა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგამომცემლო პროგრამის მხარდაჭერით. მასში წარმოდგენილია ლიტერატურათმცოდნეობისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც არის „ე.წ. აღორძინების ხანის“ ლიტერატურის შესწავლა ეპოქისთვის დამახასიათებელი ესთეტიკური კრიტერიუმების მიხედვით. წიგნში ეს პერიოდი მოიაზრება როგორც ქართული ბაროკო. ნაშრომის ამოსავალი დებულება შემდეგია: „ე.წ. აღორძინების ხანის“ ქართული ლიტერატურა მსოფლალქმის, თემების და მოტივების დამუშავების, ტროპების და ესთეტიკის თვალსაზრისით ანალოგიურია ევროპული ბაროკოს ლიტერატურისა. ამ პერიოდის ქართველი ავტორების: თეიმურაზ პირველის, არჩილ მეორის, ვახტანგ მეექვსის და დავით გურამიშვილის თხზულებები განხილულია ევროპული ბაროკოს ლიტერატურის კონტექსტში. ლიტერატურული ურთიერთობები წარმოდგენილია სლოვაკეთში 1701 წელს ქეთევან წამებულის თემაზე შექმნილი ბაროკოს ეპოქის სასკოლო პიესით, მოცემულია მისი მრავალმხრივი ანალიზი.

**გრიგოლ ყიფშიძე
ილია ჭავჭავაძე
მერაბ ლალანიძის რედაქციით, განმარტებითა და
თანდართული ნარკვევით
თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკა, 2022.**



წიგნი, რომელიც ეძღვნება ილია ჭავჭავაძის 185 წლისთავს, შეიცავს მწერლისა და მოღვაწის პირველ სრულ ბიოგრაფიას, რომლის ავტორია გრიგოლ ყიფშიძე (1858-1921) და რომელიც პირველად გამოქვეყნდა ილიას თხზულებათა კრებულის 1914 წლის გამოცემაში (გამოცემას მეურვეობდა მიხეილ გედევანიშვილი). ამას გარდა, წიგნში შესულია მიხეილ გედევანიშვილის წინათქმა ილიას ნაწერების პირველი ტომისათვის და, ასევე, გრიგოლ ყიფშიძის გამოხმაურება ილიას გარდაცვალების გამო. წიგნს ერთვის მერაბ ლალანიძის ვრცელი ნარკვევი, რომელშიც განხილულია ილია ჭავჭავაძის ყიფშიძისეული ბიოგრაფიის ჩანაფიქრი, სტრუქტურა, უწყება, მისდროინდელი და დღევანდელი კონტექსტი.

**ელისაბედ ერისთავი
მემუარები
სერიიდან „არტანუჯის წყაროები“
(სერიის რედაქტორი ბუბა კუდავა)
გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები
თარგმნა და სამეცნიერო აპარატი დაურთო
მაია ცერცვაძემ
რედაქტორი: როსტომ ჩხეიძე
თბილისი: „არტანუჯი“, 2022**



ელისაბედ ქსნის ერისთავის (1864-1949) ჩანაწერები შთამომავლობისთვის დატოვებული მეტად საგულისხმო მემუარებია, რომლის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ელისაბედ ერისთავი ცნობილი ოჯახის შვილი იყო და თანა-

დროული ელიტის შუაგულში ტრიალებდა. მოგონებანი ქსნის ერის-
თავთა ერთგვარ საგვარეულო მატთანედაც შეიძლება მივიჩნიოთ.
ზოგადად, ის XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიული ყო-
ფისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფრაგმენტებს ასახავს და სა-
ყურადღებო წყარო და მასალაა ამ პერიოდის ქართული არისტოკრა-
ტიისა და ინტელიგენციის, საზოგადოებრივი აზრის, კულტურისა და
ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად. წიგნი ეძღვნება 2008 წლის
რუსეთ-საქართველოს ომის გმირების ხსოვნას. მისი გამოცემა ემ-
თხვევა 1832 წლის შეთქმულების 190-ე წლისთავს.

თამაზ ჯოლოგუა

ნარკვევები. ლიტერატურული პორტრეტები.

პუბლიკაციები

თბილისი: „არტანუჯი“, 2022.



წიგნში შესულია XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნა-
ლისტიკის, საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა და საზოგა-
დოებრივი აზრის ისტორიასთან დაკავშირებული ნაშრომები (საზო-
გადოებრივი ინიციატივაზე დაფუძნებული პირველი კულტურულ-
საგანმანათლებლო დაწესებულების, „ტფილისის კერძო ბიბლიოთე-
კის“ (1842-1848), რაობა და მიზანდასახულობა, ეროვნულ და საკა-
ცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართება XIX ს. ქართულ ჟურ-
ნალისტიკაში და სხვ.). განხილულია დიმიტრი ყიფიანის „ეროვნული
ხსნის პროგრამისა“ და მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის „კავკასი-
ური პოლიტიკის“ ურთიერთმიმართება. გამოთქმულია თვალსაზრი-
სი, რომ ამ ორი ფაქტორის შერწყმამ გამოიწვია 50-იანი წწ. საქარ-
თველოში სისტემური სახით კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრე-
ბის აღმავლობა, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად განაპი-
რობა 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა დიდი
თაობის წარმოშობა და, აქედან გამომდინარე, ფუნდამენტური მნიშ-
ვნელობის ღირებულებითი და იდეოლოგიური ტრანსფორმაციები.

ცალკე სტატიები ეძღვნება 1832 წლის შეთქმულებასა და მის მონაწილეებს (თამარ და თეკლე ბატონიშვილები, მანანა ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, იასე ფალავანდიშვილი...). წიგნში შესულია ლიტერატურული პორტრეტები (გრიგოლ დადიანი, ზურაბ ანტონოვი, მამია გურიელი, გიორგი შარვაშიძე, გიორგი ჭალადიძე, დავით ერისთავი, იოსებ დავითაშვილი, ნიკოლოზ ბერძნიშვილი, ილია ჭავჭავაძე), აგრეთვე, ორი პუბლიკაცია (ვასილ კირვალიძის „აკაკი“ და დიმიტრი ყიფიანის „დღიური 1857-1858 წლებისა“) შენიშვნებითა და ვრცელი კომენტარებით.

რევაზ სირაძე
თხზულებანი 6 ტომად
ტ. I, ტ. II
რედაქტორები: ანდრო ბედუკაძე,
უჩა შერაზადიშვილი
თბილისი: ილიას ფონდი, 2022.



რევაზ სირაძის თხზულებათა ექვსტომეულით იწყება პრემია „საგურამოს“ ბიბლიოთეკის სერიის გამოცემა. ბიბლიოთეკა მოიცავს მხატვრულ, თარგმნილ და ჰუმანიტარულ-სამეცნიერო ლიტერატურის ტომეულებს. ამ ეტაპზე წარმოდგენილია რევაზ სირაძის ნაშრომები: ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები; ქართული აგიოგრაფია, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან; ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები.

**მემარცხენე მწერლობის ფორმირება
საქართველოში (მე-19-მე-20
საუკუნეების მიჯნაზე) (ორ ტომად)
ავტორი: ავტორთა ჯგუფი
გამომცემლობა: „მწიგნობარი“, 2022**



იდეოლოგიურად ანგაჟირებული საბჭოური კვლევების ფონზე დამახინჯებული იყო ცალკეული ლიტერატურული დაჯგუფებების და მხატვრულ-ესთეტიკური მოვლენებისა და ფაქტების მეცნიერული შესწავლა. მათ შორის იყო მე-19 საუკუნის ქართული მემარცხენე მწერლობაც. სწორედ ამ ინტერპრეტაციული ხარვეზის გამოსწორებას ემსახურება ორტომეული „მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში (მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე)“, რომელიც მომზადდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში. ორტომეული კრებულის პირველი ტომი აერთიანებს კვლევებს (ვრცელი ინგლისური რეზიუმეებით), მეორე ტომში თავმოყრილია აღნიშნული პერიოდის მოღვაწეთა ანთოლოგიური ხასიათის ნაშრომები და უნიკალური ფოტომასალა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დაცული არქივებიდან თუ მუზეუმებიდან. ორტომეულში წარმოდგენილია იმ პერიოდის ქართული ხალხოსნური კრიტიკა თუ მხატვრული შემოქმედება, საარქივო მასალები და ის მასალები, რომელიც დღემდე არ ყოფილა გაშუქებული, ქართული და რუსული ხალხოსნური მწერლობისა და კრიტიკის დამოკიდებულება. ასევე, ცალკე ყურადღება ეთმობა 1860-იანელებსა და ხალხოსნებს შორის დამოკიდებულებას, რომელიც ახალ შესწავლას, მიდგომასა და დამუშავებას საჭიროებდა, რაც აქამდე არ მომხდარა. კრებულში წარმოდგენილ ნაშრომებში ტერმინის რევიზია მოხდა, ე.წ. ხალხოსნური ლიტერატურა ამ პერიოდის მემარცხენე ლიტერატურის კონტექსტში მოთავსდა, რეალისტური ლიტერატურის ფარგლებში.

კონსტანტინე ბრეგამე
ორი ცდა გოეთეზე: გოეთეს მსოფლმხედველობა
გოეთე და ნიცშე
რედაქტორი: მანანა პაიჭამე
თბილისი: „მერიდიანი“, 2022



წიგნში წარმოდგენილია ორი გამოკვლევა, რომელთაგან ერთი ეძღვნება გოეთეს მსოფლმხედველობასა და რელიგიურ მრწამსს, ხოლო მეორე – გოეთეს შემოქმედების ნიცშესეულ რეცეფციებსა და კრიტიკას. წიგნი განკუთვნილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების, სპეციალისტებისა და გოეთეს შემოქმედებითა და პიროვნებით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

სჯანი
ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი
ლიტერატურის თეორიასა და შედარებით
ლიტერატურათმცოდნეობაში N23
რედაქტორი – ირმა რატიანი
თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2022



ჟურნალ „სჯანის“ 23-ე ნომერი ტრადიციულად ეთმობა თანამედროვე სამეცნიერო კვლევებს ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის მიმართულებით. მასში წარმოდგენილი არიან ავტორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (ბელგია, მაკედონია, იაპონია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაცია), რაც ღია კულტურული დიალოგის წარმოების საუკეთესო საშუალებაა.

ჟურნალში მასალა დალაგებულია შემდეგი რუბრიკების მიხედვით: „ლიტერატურის თეორიის პრობლემები“, „ლექსმცოდნეობა“,

„ფილოლოგიური ძიებანი“, „ინტერპრეტაცია“, „კრიტიკული დისკურსი“, „კულტურის პარადიგმები“, „ფოლკლორისტიკა – თანამედროვე კვლევები“. რუბრიკაში „ლიტერატურისმცოდნეობის ქრესტომათია“ იბეჭდება ნიკოლაი კონრადის წერილი „თანამედროვე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემები“. რუბრიკა გამოხმაურება, რეცენზია ეთმობა კონსტანტინე ბრეგაძის წიგნს „მოდერნი და მოდერნიზმი“ (რეცენზენტი ბელა წიფურია) და კრებულს „ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში“ (რეცენზენტი ნათია სიხარულიძე).

„კრიტიკა“ N17

რედაქტორი: მანანა კვაჭანტირაძე

თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2022




ჟურნალ „კრიტიკის“ მე-17 ნომერი ჩვეულებრივ ეთმობა თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების (კინო, თეატრი, მხატვრობა, მუსიკა) მნიშვნელოვანი პრობლემების ანალიზს. სტატიები ეძღვნება გიორგი კაჭარავას, ნიკა ჯორჯანელის, ნინო სადღობელაშვილის, ზაირა არსენიშვილის, მაია ციციშვილის, გიო ლომიძის, ცოტნე ცხვედიანის, ეკატერინე ფავლენიშვილის, ნინო ქადაგიძის, ნინო ჟვანიას პროზასა და პოეზიას (ავტორები: მაია ჯალიაშვილი, ნონა კუპრეიშვილი, ზოია ცხადაია, ადა ნემსაძე, გია არგანაშვილი). ხელოვნების რუბრიკით დაბეჭდილია დიმიტრი თუმანიშვილისა და ლელა ოჩიაურის წერილები. კრებულში ასევე მოთავსებულია ქართული ფუტურიზმის 100 (ავტორი ლალი ავალიანი) და დავით კლდიაშვილის 160 წლისთავისადმი (ავტორი ლევან გელაშვილი) მიძღვნილი პუბლიკაციები. ნომრის სტუმარია პოეტი ვახტანგ ჯავახაძე, რომელთან ინტერვიუსაც უძღვება მირანდა ტყემელაშვილი. „კრიტიკის“ ახალ ნომერში წაიკითხავთ მანანა კვატაიასა და ქეთევან ჯიშიაშვილის თარგმანებს.

ლექსმცოდნეობა XIII

რედაქტორი: თამარ ბარბაქაძე

თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის

გამომცემლობა, 2022



კრებულში გაერთიანებულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარებული ლექსმცოდნეობის სამეცნიერო სესიის მასალები, რომლებიც ნიკო სამადაშვილის პოეზიის შესწავლას ეძღვნება. ნიკო სამადაშვილის მიერ გაჭრილი „სხვა კალაპოტი“ ქართულ პოეზიაში, მისი ორიგინალური რიტმი და ინტონაცია, მის მიერ შექმნილი საკუთარი მითოლოგია და სხვა საინტერესო საკითხები განხილულია ავტორების: ზ. აბზიანიძის, თ. ბარბაქაძის, გ. არგანაშვილის, ხ. გოგიას, ნ. გოგიაშვილის, ქ. ენუქიძის, ნ. ვახანიას, გ. კუჭუხიძის, ი. მანიჟაშვილის, მ. მთვარელიძის, რ. ნიშნიანიძის, ზ. სარიას, ლ. სორდიას, შ. ქურთიშვილის, ზ. ცხადაიას, თ. წოწორიას, მ. ჯალიაშვილის, მ. ჯიქიას სამეცნიერო სტატიებში. ლექსმცოდნეობის წელიწდეულში, ტრადიციულად, იბეჭდება ქართული ლექსის მომავალი მკვლევრების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების – ნ. ბალავაძის, ლ. ბარბაქაძის, მ. გვირჯიშვილის, ს. ლომოურის, ი. ონაშვილის, ქ. სამადაშვილის, ნ. სერვასტიანცის, ნ. შაფაქიძის, ა. ჯავახიშვილის – წერილები ნიკო სამადაშვილის პოეზიის შესახებ.

ნომრის ავტორები

ნანა გონჯილაშვილი
nanagonjilashvili@yahoo.com

ფილოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო – ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, შუასაუკუნეების მწერლობა, რუსთველოლოგია. ასამდე სამეცნიერო ნაშრომისა და ოთხი მონოგრაფიის ავტორი, არაერთი საგრანტო პროექტისა და საერთაშორისო თუ ლოკალური სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე.

ნესტან სულავა
nestansulava@rambler.ru

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის სასულიერო აკადემიაში, საქართველოს უნივერსიტეტში, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში. სამეცნიერო ინტერესთა სფერო: რუსთველოლოგია, ქართული და ბიზანტიური ჰიმნოგრაფია, ქართული ჰაგიოგრაფია, ძველი ქართული ლიტერატურა, მე-19-20 საუკუნეებისა და თანამედროვე ქართული ლიტერატურა, ბიზანტინოლოგია, ქართული მწერლობის ძეგლების რედაქტირების საკითხები. არის 9 მონოგრაფიის (მათ შორის - 3 თანაავტორობით), 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; 95 საერთაშორისო კონფერენციის, სიმპოზიუმის, კონგრესის, ადგილობრივი მნიშვნელობის 130 კონფერენციის მონაწილე.

ზოია ცხადაია
zoiatsxadaia@yahoo.com

ფილოლოგიის დოქტორი. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო: მე-20 საუკუნის ქართული პოეზია, ქართული საბავშვო პოეზია. 40-ზე მეტი სამეცნიერო და ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომის და სამი მონოგრაფიის ავტორი, 12 კოლექტიური მონოგრაფიის თანაავტორი, 40-ზე მეტი ლოკალური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და რამდენიმე საგრანტო პროექტის მონაწილე.

თინათინ ზიგანიშვილი
tinikobiganishvili664@gmail.com

ფილოლოგიის დოქტორი. ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო – ქართული და ევროპული ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურის თეორია. არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი; ლოკალური და საერთაშორისო კონფერენციების მონაწილე.

თამარ ციციშვილი
t.tsitsishvili@yahoo.com

ფილოლოგიის დოქტორი. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო – მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა, ქართული დრამატურგიის ისტორია, ლიტერატურის პერიოდიზაციისა და ლიტერატურული კრიტიკის საკითხები. ავტორი 70-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა, შვიდი კოლექტიური მონოგრაფიის თანაავტორი, არაერთი ლოკალური და საერთაშორისო კონფერენციისა თუ საგრანტო პროექტის მონაწილე.

ირინე მოდებაძე
irinamodeb@gmail.com

ფილოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის სამეცნიერო განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, ინტერტექსტუალური და სოციო-კულტუროლოგიური კვლევები, სლავისტიკა, კავკასიოლოგია, ქართველოლოგია, ჰერმენევტიკა, იმაგოლოგია და ტრანსლატოლოგია. 200-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ, ლატვიურ, უკრაინულ და რუსულ ენებზე; 16 საერთაშორისო და ლოკალური კოლექტიური მონოგრაფიის თანაავტორი. მთარგმნელი ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული სამეცნიერო და მხატვრული თარგმანებისა.

გია არგანაშვილი
giaargani@gmail.com

ფილოლოგიის დოქტორი, ლიტერატურათმცოდნე, მწერალი. შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი. 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი, ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე. ნოველების, კრიტიკული წერილების, ესეების და დოკუმენტური პროზის კრებულთა ავტორი. სცენარის ავტორი მხატვრულ-დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისა; ათეულობით სატელევიზიო გადაცემის ავტორი და წამყვანი.

ლევან ბებურიშვილი
levan.beburishvili@tsu.ge

ფილოლოგიის დოქტორი. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი-თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო: მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, ქართული კრიტიკის ისტორია, რომანტიზმი, რეალიზმი, სიმბოლიზმი. 30-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე, 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 2 მონოგრაფიის ავტორი.

ელისაბედ ზარდიაშვილი
Mukhti@inbox.ru

ფილოლოგიის დოქტორი, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის მიმართულების მეცნიერ-თანამშრომელი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო – ქართველ კლასიკოსთა აკადემიური გამოცემები. შემდგენელი ილია ჭავჭავაძის აკადემიური ოცტომეულის მეთვრამეტე ტომისა, აკაკი წერეთლის აკადემიური ოცტომეულის პირველი, მეთორმეტე, მეთოთხმეტე და მეცხრამეტე ტომებისა, ალექსანდრე ორბელიანის აკადემიური ოთხტომეულის პირველი ტომისა. არის 5 მონოგრაფიისა და არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ლოკალური და საერთაშორისო კონფერენციების მონაწილე.

მაია ცერცვაძე
maiatsertsvadze@yahoo.com

ისტორიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის მკვლევარი, მთარგმნელი. გამოსაცემად მოამზადა და სამეცნიერო აპარატი დაურთო წიგნებს: „ნიკოლოზ ბარათაშვილი. პირადი წერილები“ (2015), „ბაბო შარ-ვაშიძე. მემუარები“ (2019), „ელისაბედ ერისთავი. მემუარები“

(2022). მთარგმნელი დ. ლესინგის, ო. ჰენრის, შ. ანდერსონის, ფ. ფიცჯერალდის, ტ. ვულფის თხზულებებისა. 60-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი, მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციისა თუ ფორუმის მონაწილე. სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

ადა ნემსაძე

ada.nemsadze@tsu.ge

ფილოლოგიის დოქტორი, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო – თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურული კრიტიკა. არაერთი სამეცნიერო სტატიისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, სამეცნიერო საგრანტო პროექტების, ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების მონაწილე.

მანანა კვატაია

mananakvataia@gmail.com

ფილოლოგიის დოქტორი. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მთარგმნელი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო - მე-19-20 სს-ის მწერლობა, თანამედროვე ქართული ლიტერატურა, ქართული ემიგრანტული მწერლობა, ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობები. 180-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. რედაქტორი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ახალი აკადემიური გამოცემების თითო ტომისა, ვიკტორ ნოზაძის უცნობი ნაწერებისა.

მთარგმნელი გრიგოლ რობაქიძისა და ვიკტორ ნოზაძის ნაშრომებისა, დასავლური თეორიული აზროვნების გამოჩენილ წარმომადგენელთა ტექსტებისა და სხვ. არაერთი საგრანტო პროექტისა და საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე.

გოჩა კუჭუხიძე
gochakuch@yahoo.com

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო: ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია, ენათმეცნიერება, ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, რელიგიათმცოდნეობა, არქეოლოგია. ავტორი 270 სამეცნიერო სტატიისა, კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციისა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მთარგმნელი ჰაინრიხ ჰაინეს, ალექსანდრ პუშკინის ლექსებისა, ეგვიპტელი მწერლების ნაჯიბ მაჰფუზისა და თავფიკ ალ-ჰაქიმის ნაწარმოებებისა, არაბული საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ნაშრომებისა.

თამარ გელიტაშვილი
tamgelitashvili@gmail.com

ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და წმიდა ანდრიას ქართული უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო – თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის კრიტიკა. ავტორი არაერთი სამეცნიერო სტატიისა და კრიტიკული წერილისა. პასუხისმგებელი რედაქტორი ლიტერატურულ-სოციალური ჟურნალისა „ცისკარი 1852“; საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალის, „ფილო-ლოგიური ძიებანის“ რედკოლეგიის წევრი.

თამარ ბარბაქაძე

barbakadzetamari57@gmail.com

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო - ლიტერატურის თეორია, ქართული ლექსის ისტორია, მყარი სალექსო ფორმების კვლევა. 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 3 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი; რედაქტორი ორტომეულისა „ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში“, ასევე ყოველწლიური სამეცნიერო კრებულისა „ლექსმცოდნეობა“.

მერი ხუხუნაიშვილი -წიკლაური

mary.tsik@yahoo.com

ფილოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბრიტანეთის ფოლკლორული საზოგადოების წევრი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო – ქართული ფოლკლორი, კერძოდ, ხალხური ეპოსი („ამირანიანი“, „ეთერიანი“), შელოცვები და გამოცანები, ზღაპრის ტიპოლოგია. ქართულ ენაზე ქართული, ესპანური, ბასკური და ბრიტანული ზღაპრების სამტომეულის მთარგმნელი; რედაქტორი ინგლისურ ენაზე გამოცემული „ქართული ხალხური გადმოცემების და ლეგენდებისა“, „ქართული ხალხური ზღაპრებისა“ და ცნობილი ფოლკლორისტის ელენე ვირსალაძის საკვანძო ნაშრომისა „ქართული სამონადირეო მითი და პოეზია“.

მზისა ბუსკივაძე
mzisa.buskivadze@tsu.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი. კვლევის სფერო – თურქული ლიტერატურის ისტორია და ფოლკლორი. ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მონაწილე. თურქეთის მეცნიერებათა აკადემიისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული.

მაია არველაძე
Maiko1@bk.ru

ფილოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის მიმართულების მეცნიერ-თანამშრომელი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო: ტექსტოლოგიური მეცნიერება, საგამომცემლო საქმიანობა, მხატვრული ლიტერატურის ანალიტიკა, XIX-XX საუკუნეების პერიოდულ გამოცემათა მიმოხილვა და ისტორია.

კლასიკოსი მწერლების თხზულებების აკადემიურ გამოცემათა სპეციალისტი, 5 აკადემიური ტომის შემდგენელი. ათობით ტექსტოლოგიური ხასიათის სამეცნიერო ნაშრომის, პუბლიცისტური წერილისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი; რედაქტორი ათამდე სამეცნიერო მონოგრაფიისა; მთავარი რედაქტორი სამეცნიერო კრებულისა „ტექსტოლოგიური ეტიუდები“ (2021); არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე.

მერაბ ლაღანიძე
merabghaghanidze@yahoo.com

ფილოლოგიის (საქართველო, ჩეხეთი) და ფილოსოფიის (იტალია) დოქტორი; მინიჭებული აქვს საგანგებო დიპლომი სულიერი თეოლოგიის სპეციალობით, თომა აკვინელის პაპის უნივერსიტეტის მიერ (რომი). სამეცნიერო ინტერესთა სფერო: ქართული ლიტერატურა

რის ისტორია, ევროპული ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურის თეორია, ქართული ისტორიოგრაფია, ეკლესიის ისტორია, კულტურის კვლევები, რელიგიის კვლევები, ინტელექტუალური ისტორია, ფილოსოფია, თეოლოგია. სხვადასხვა წლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, ამჟამად საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი. ავტორი ორასზე მეტი სტატიისა და თორმეტი წიგნისა ლიტერატურის, კულტურისა და რელიგიის საკითხებზე. მისი რედაქციით გამოცემულია ორმოცამდე წიგნი. ხელმძღვანელობს ორი წელიწდეულის გამოცემას: „წახნაგი: ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული“ და „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“.

საბა მეტრეველი
sabuka77@gmail.com

ფილოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. სამეცნიერო ინტერესთა სფერო – ქართული ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა, ქართული დრამატული თეატრის ისტორია. 13 წიგნის, 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, 300-მდე პუბლიკაციის და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი, არაერთი ლოკალური და საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე.

Contributors:

Nana Gonjilashvili

nanagonjilashvili@yahoo.com

Doctor of philology. Researcher at the Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. Associated Professor of the Faculty of Humanities, at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The sphere of scientific interests: the history of old Georgian literature, medieval literature, Rustaveli studies. Author of more than hundred scientific papers and four monographs. Participant of several grant projects, international and local scientific conferences.

Nestan Sulava

nestansulava@rambler.ru

Doctor of Philological Sciences, Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Visiting professor of Samtskhe-Javakheti State University. Lecturer at Tbilisi State Medical Institute, Sul Khan-Saba Orbeliani Pedagogical State University, Tbilisi Theological Academy, University of Georgia, Georgian-American University. Field of scientific interests: Rustaveli studies, Georgian and Byzantine hymnography, Georgian hagiography, old Georgian literature, 19th-20th century and modern Georgian literature, Byzantine studies, editing issues of samples of Georgian literature. Author of 9 monographs (including 3 co-authorship), more than 300 scientific articles; Participant of 95 international and 130 local scientific forums.

Zoia Tskhadaia

zoiatsxadaia@yahoo.com

Doctor of philology. Researcher at Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. The field of scientific interests: 20th century Georgian poetry, Georgian poetry for children. Author of more than 40 scientific and literary-critical articles and 3 monographs, co-author of 12 collective monographs, participant of more than 40 local and international conferences and some grant projects.

Tinatin Biganishvili

tinikobiganishvili664@gmail.com

Doctor of philology. Visiting professor at Shota Meskhia Zugdidi State University. The sphere of scientific interests – The history of Georgian and European literature, Literary theory. Author of several scientific papers; participant of local and international scientific forums.

Tamar Tsitsishvili

t.tsitsishvili@yahoo.com

Doctor of philology. Senior researcher of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. The field of scientific interests – 19th century Georgian literature, History of Georgian dramaturgy, Issues of literary criticism and the periodization of literature. Author of more than 70 scientific articles, co-author of seven collective monographs, participant of numerous local and international conferences and grant projects.

Modebadze Irine

irinamodeb@gmail.com

Doctor of philology, Senior Researcher of Scientific Department of Literary Theory and Comparative Science at Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. Research interests: comparative literature, intertextuality and socio-cultural studies, Slavistics, Caucasology, Kartvelology, hermeneutics, imagology and translatology. Author of about 200 scientific articles in Georgian, English, French, Latvian, Ukrainian and Russian; co-author of 16 international and local collective monographs. Translator of Georgian-Russian and Russian-Georgian scientific and fiction translations.

Gia Arganashvili
giaargani@gmail.com

Doctor of philology, Literary critic, writer. Researcher of the Department of Georgian Literature at Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. Author of more than 50 scientific articles and several monographs. Participant of local and international scientific conferences. Author of the Collections of novels, critical articles, essays and documentary prose. Scriptwriter of feature-documentary and short-length feature films, author and host of dozens of television programs.

Levan Beburishvili
levan.beburishvili@tsu.ge

Doctor of philology. Researcher at Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Assistant Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Research interests: history of Georgian literature of the nineteenth and twentieth centuries, history of Georgian criticism, romanticism, realism, symbolism. Participant of more than 30 international scientific conferences, the author of more than 30 scientific publications, including 2 monographs.

Elisabed Zardiashvili
mukhti@inbox.ru

Doctor of philology, researcher of the Department of Textology at the TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. Field of scientific interests - preparation of scholarly editions of Georgian classics. Compiler of the eighteenth volume of Ilia Chavchavadze's scholarly twenty-volume edition, the first, twelfth, fourteenth and nineteenth volumes of Akaki Tsereteli's scholarly twenty-volume edition, the first volume of Aleksandre Orbeliani's scholarly four-volume edition. Author of five monographs and many scientific articles. Participant of local and international scientific conferences.

Maia Tsertsvadze

maiatsertsvadze@yahoo.com

Doctor of history, Associated professor of the Georgian Technical University, researcher of Georgian literature and Georgian history of XIX-XX centuries, translator. She prepared for publication and attached the scientific apparatus to the books: “Nikoloz Baratashvili. Personal letters” (2015), “Babo Sharvashidze. Memoirs” (2019), “Elisabed Eristavi. Memoirs” (2022). Translator of D. Lessing’s, O. Henry’s, Sh. Anderson’s, F. Scott Fitzgerald’s, Th. Woolf’s writings. Author of 60 scientific articles. Participant of many international and local scientific conferences and forums; Lecturer at Ivane Javakhishvili Tbilisi State University and St. Andrews Georgian University.

Ada Nemsadze

ada.nemsadze@tsu.ge

Doctor of Philology. Senior researcher at TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. Invited professor at the Faculty of Social and Political Sciences of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The sphere of scientific interests – modern Georgian literature and Literary criticism. Author of scientific articles and 2 monographs, participant in scientific grant projects, local and international scientific forums.

Manana Kvataia

mananakvataia@gmail.com

Doctor of philology, senior researcher at Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, translator. Visiting professor of Sukhumi State University. The sphere of scientific interests - 19th-20th century literature, modern Georgian literature, Georgian émigré writing, Georgian-foreign literary relations, etc. Author of more than 180 scholarly articles. Editor of per volums of the new academic editions of Ilia Chavchavadze’s and Akaki Tsereteli’s writings, Viktor Nozadze’s unknown publications. Translator of Grigol Robakidze’s and Viktor Nozadze’s texts. Participant of the several grant projects and international scientific conferences.

Gocha Kuchukhidze
gochakuch@yahoo.com

Doctor of Philological Sciences, Senior Researcher at Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. Sphere of scientific interests: literary studies, textology, linguistics, historiography, philosophy, theology, archeology. Author of more than 270 publications, member of Georgian Comparative Literature Association and Georgian Academy of Business Sciences. Translator of poems by Heinrich Heine, Alexander Pushkin, novels by Naguib Mahfouz, Tawfiq al-Hakim, old Arabic historical sources, scientific works, etc.

Tamar Gelitashvili
tamgelitashvili@gmail.com

Doctor of philology, Invited professor of Gory State University and Saint Andrew Georgian University; The sphere of scientific interests – modern Georgian literature and Literary criticism. Author of several scientific and critical articles. Charge editor-in-chief of the literary-social journal “Tiskari1852”; a member of the editorial board of the international scientific electronic peer-reviewed journal “Philological Studies”.

Tamar Barbakadze
barbakadzetamari57@gmail.com

Doctor of Philological Sciences, senior researcher of the Department of Literary Theory and Comparative Studies at Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, a visiting professor at the Faculty of Humanities of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The main area of research interests – literary theory, history and theory of Georgian verse. Author of more than 100 scientific articles, three monographs and the textbook. Editor of the book “European and Oriental Fixed Verse Forms in Georgian Poetry” and of the annual collection of scientific articles - “Versification”.

Mary Khukhunaissvili –Tsiklauri

mary.tsik@yahoo.com

Doctor of Philology, Senior researcher of Folklore Department of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, member of the British Folklore Society. Field of scientific research - Georgian folklore; in particular, Georgian epics („Amiraniani“, „Eteriani“), Georgian charms and riddle, typology of folktales. Translator of Georgian, Spanish, Basque and British folktales. Editor of the English translations of „Georgian Traditions and Legends“, „Georgian Folk Tales“ and the monograph of well-known Georgian folklorist Elene Virsaladze „Georgian Hunting Myths and Poetry“.

Mzisa Buskivadze

mzisa.buskivadze@tsu.ge

Assistant professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, faculty of Oriental studies, Department of Turkish Language and Literature. The field of research - the history and folklore of Turkish literature. Participant of local and international conferences and symposiums. The winner of the grant projects of the Turkish Academy of Sciences and Shota Rustaveli National Scientific Foundation.

Maia Arveladze

Maiko1@bk.ru

Doctor of philology. Researcher of the Department of textology at Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. Specialist of the academic editions of the classic writer's selected works, compiler of 5 academic volumes. Author of several textological scientific scrips, articles and one monograph; editor in chief of the collection of scientific articles „Textological Etudes“ (2021); participant of local and international scientific conferences.

Merab Ghaghanidze
merabghaghanidze@yahoo.com

Doctor of philology (Georgia, Czech Republic) and philosophy (Italy); he received a special diploma in spiritual theology at the Pontifical University of St. Thomas Aquinas in Rome. The field of scientific interests: history of Georgian literature, history of European literature, theory of literature, Georgian historiography, history of Church, cultural studies, religious studies, intellectual history, philosophy, theology. In different years professor at Ilia State University and Free University of Tbilisi. Now professor at University of Georgia. Author of more than 200 articles and 12 books, the editor of almost 40 books on literature, culture and religion. Editor of the annuals: “Tsakhnagi/Facet: Annual of Philological Studies” and “Catholic Heritage in Georgia”.

Saba Metreveli
sabuka77@gmail.com

Doctor of Philology, researcher of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. Field of scientific interests - the history and criticism of Georgian literature, history of Georgian dramatic theatre. Author of 13 books, 110 scientific articles, 300 publications and several monographs. Participant of many local and international scientific conferences.

„ლიტერატურული ძიებანის“ სამეცნიერო პუბლიკაციების სტილი
Style of Academic Publications of „Literary Researches“

1. სათაური ქართულად;
2. სათაური ინგლისურად;
3. ავტორის სახელი და გვარი ქართულად;
4. ავტორის სახელი და გვარი ინგლისურად;
5. ორგანიზაციის დასახელება ქართულად;
6. ორგანიზაციის დასახელება ინგლისურად;
7. ფაკულტეტის დასახელება ქართულად;
8. ფაკულტეტის დასახელება ინგლისურად;
9. ვრცელი აბსტრაქტი ინგლისურ ენაზე - **არანაკლებ 500 სიტყვისა;**
10. 5 საკვანძო სიტყვა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
11. სტატიის ძირითადი ტექსტი გამოყენებული ლიტერატურის სიითურთ (MS Word-ით) ქართულად;
12. შრიფტი – **UNICODE (Sylfaen)**
13. ფორმატი – **A4**
14. თავფურცელი გააფორმეთ შემდეგი თანმიმდევრობით:
 - ❖ **სათაური – 16 ზომის შრიფტით ცენტრში;**
 - ❖ **ავტორები – 14 ზომის შრიფტით ცენტრში;**
 - ❖ **ორგანიზაცია, მაგ., „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ –14 ზომის შრიფტით ცენტრში;**
 - ❖ **ფაკულტეტის დასახელება – 11 ზომის შრიფტით ცენტრში;**
 - ❖ **ვრცელი აბსტრაქტი ინგლისურ ენაზე – 12 ზომის შრიფტით;**
 - ❖ **საკვანძო სიტყვები –12 ზომის შრიფტით;**
15. სტატიის ძირითადი ტექსტი დაიწყეთ მომდევნო, ახალი გვერდიდან, **12 ზომის შრიფტით;**
16. სტატიის ძირითადი ტექსტის მოცულობა – **7-10 გვერდი (ამ გვერდების რაოდენობაში არ შედის უცხოენოვანი აბსტრაქტი და ბიბლიოგრაფია);**
17. ბიბლიოგრაფია ანბანური თანმიმდევრობით: ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური გამოცემები;
18. სტრიქონებს შორის მანძილი –1.15;
19. მინდორი: ზევით-ქვევით - 2 სმ; მარჯვნივ-მარცხნივ - 2,5 სმ;
20. ფურცელი არ ინომრება;
21. ფოტოების და სხვა გრაფიკული გამოსახულების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს JPG ფორმატში.

გამოყენებული ლიტერატურის მითითების წესი:

1. წიგნის/კრებულის მითითებისას:

- ❖ გამოცემის თარიღი;
- ❖ გამომცემლობა;
- ❖ სტატიის შემთხვევაში ჟურნალის (კრებულის, რომელშიც განთავსებულია სტატია) დასახელება;
- ❖ ჟურნალის (კრებულის), წიგნის, წიგნის ნაწილის, ღონისძიების **ISSN, ISBN;**
- ❖ სპონსორ(ებ)ის დასახელება, თუ კვლევა შექმნილია რომელიმე ფონდის ფინანსური მხარდაჭერით;

2. ბიბლიოგრაფიული დამოწმებისას სტატიის ტექსტში დასახელებული ყველა ავტორი მიეთითება APA-ს სტილის დაცვით (ანბანის თანმიმდევრობით):

2.1. წიგნის მითითების ნიმუში:

კვაჭაძე, ლ. (1977). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი: „განათლება“

შანიძე, ა. (1953). ქართული გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, I, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“

2.2. სტატიის დამოწმების წესი ბიბლიოგრაფიაში:

2.2.1. ელექტრონული: ვებგვერდის მითითებამდე აუცილებელია ავტორის, წიგნის/სტატიის სათაურის, ჟურნალის, ჟურნალის ნომრის (**# და № სიმბოლოების გარეშე**), გვერდის (**გვ.-ს გარეშე**) გამოყოფა წერტილით, და ამის შემდეგ ვებგვერდის მისამართის მითითება; **სათაურის დამაზუსტებელი ქვესათაური უნდა გამოიყოს ორწერტილით** (მაგ., **ხევისურულის თავისებურებანი: ტექსტებითა და ინდექსით**). ავტორის გვარი უნდა იყოს მარცხნივ გაწეული, დამოწმების ყველა მომდევნო სტრიქონი – შეწეული (TAB-ლილაკით), მაგ.:

ნიკოლაიშვილი, მ. (2012). რა განსაზღვრავს ზმნის კონსტრუქციებს ქართულში? „სპეკალი“, 5. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/49>

2.2.2. ბეჭდური გამოცემის შემთხვევაში კრებულში მოცემული სტატიის გვერდები მიეთითოს პირდაპირ, მძიმით გამოყოფილი ტომის ნომრის შემდეგ, დეფისით:

შარაძენიძე, თ. (1955). ენათა კლასიფიკაცია ენობრივ წრეებად ვილჰელმ შმიდტისა, იკე, VII, 1-31, თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“

3. **ბიბლიოგრაფიის ინგლისურ ვერსიაში** ნაშრომის სათაური მიუთითეთ ჯერ ქართული სიტყვების ტრანსლიტერაციით, უთარგმნელად, ლათინური ასოებით, რომელსაც წერტილის შემდეგ მოჰყვება კვადრატულ ფრჩხილში ჩაწერილი ინგლისურად თარგმნილი სათაური); **სპეციფიკური ბგერების** შემთხვევაში იხელმძღვანელეთ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ მიღებული სტანდარტით http://enadep.gov.ge/uploads/Guidelines_for_Latin_Transliteration_of_the_Sound_System_of_the_Georgian_Language_.pdf);

იხ. ნიმუში:

Chincharauli, A. (1960). Khevsurulis taviseburebani: tekstebita da indeksit. [Peculiarities of Khevsur: with texts and an index]. Tbilisi: press of the Georgian SSR Science Academy.

4. სტატიის ციფრული იდენტიფიკატორის (DOI) არსებობის შემთხვევაში (როგორც წესი, გამოიყენება ვებმისამართის ნაცვლად) საჭიროა ვებმისამართის პრეფიქსის (<https://>) მითითება: https://doi.org/საიდენტიფიკაციო_ნომერი (როგორც წესი, 10-ით იწყება):

doi: 10.1080/02626667.2018.1560449

<https://doi.org/10.1080/02626667.2018.1560449>

შიდატექსტური დამოწმების წესი:

1. APA-ს სტილის ბოლო, მე-7 გამოცემის მიხედვით, კონკრეტული წყაროს შესახებ მოცემულ ინფორმაციაში ყოველი ელემენტი ერთმანეთისაგან უნდა გამოიყოს წერტილით; მძიმეებს ვსვამთ ელემენტების შიდა ჩამონათვალის შემთხვევაში (მაგ.: ავტორთა გვარები, ან ავტორის გვარი, რომელსაც მოჰყვება სახელის ინიციალი); ორწერტილი გამოიყენება მონოგრაფიის/კრებულის გამოცემის ადგილისა და გამომცემლობის სახელებს შორის (და, დამაზუსტებელი, ქვესათაურის არსებობის შემთხვევაშიც);

2. შიდატექსტური დამოწმება:

ციტატა:

2.1. ბრჭყალებში ჩასმული ციტატის შემდეგ ავტორი მიეთითება შემდეგი წესით: **მრგვალ ფრჩხილში (ავტორის გვარი, წელი, გვ. 35), იხ. ნიმუში: „...“ (შანიძე, 1953, გვ. 35).**

Effective teamd can be difficult to describe because „high performance along one domain does not translate to high performance along another“ (Ervin et al., 2018, p. 470).

2.2. ციტატის პერიფრაზის შემთხვევაში, რომელშიც, მსჯელობის ნაწილში, მოყვანილია ავტორის გვარი, მიეთითება მხოლოდ (წელი, გვ. 67) – მრგვალ ფრჩხილებში, ავტორის დასახელების შემდეგ; მაგ., **ა. შანიძის მიხედვით (1953, გვ. 35), ... და გაგრძელდება მსჯელობა.**

3. შიდატექსტურ ციტატაში ორზე მეტი ავტორის შემთხვევაში მრგვალ ფრჩხილში მიეთითება მხოლოდ პირველი ავტორი:

3.1. **ქართულში:** (ქალდანი და სხვ., 1978, გვ. 45)

3.2. **ინგლისურში:** (Kaldani et al., 1978, გვ. 45)

4. 40 სიტყვაზე მეტი მოცულობის, ე.წ. „ბლოკური ციტატა“ ძირითადი ტექსტისაგან უნდა გამოიყოს აბზაცით:

„არც ერთს კანონმდებლობას რუსეთში ისეთი გარკვეული და ჭეშმარიტი აზრი არ ჩაჰრთვია, როგორც განსამართლების წესსა საზოგადოდ და მომრიგებელ მოსამართლობისას ცალკედ; არც-ერთს კანონმდებლობას არ შეჰხვედრია იმისთანა კაცნი, რომელთ ცოდნადა გონებითი ძალნი ესე შესაფერად შესწვდომოდეს ამისთანა მაღალს, უადრესს და რთულს საქმეს... კანონმდებლობა რუსეთში სხვას არც ერთს საქმეს ასე ცნობიერად, გულმოდგინედ და ჭეშმარიტების სიყვარულით არ შესჭიდებია. ამიტომაც განსამართლების წესი რუსეთისა საზოგადოდ უფრო მოსაწონია, ვიდრე დასაწუნი, და ამაზედ უფრო მოსაწონია მომრიგებელ მოსამართლის დაწყობილებას, გარდა ზოგიერთი ნაკლისა, რომელიც შეჰყოლია წესს სხვადასხვა გარემოებების გამო. ეს სიკეთე... აღიარებულია რუსეთის უკეთესთა კაცთაგან და ევროპიელ მეცნიერთაგანაც“ (ჭავჭავაძე, 1987ბ, გვ. 355).

სტატიაში გამოყენებული ციტატები დახარეთ.

ციტირების წესები სრულად იხ. APA-ს სტილის ბოლო გამოცემის ოფიციალურ (განახლებულ) ვებგვერდზე: <https://apastyle.apa.org/>